

კრებული ეძღვნება გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს

The Volume is dedicated to the 50th anniversary of the foundation of
the G. Tsereteli Institute of Oriental Studies

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
G. TSERETELI INSTITUTE OF ORIENTAL STUDIES

ახლო აღმოსავლეთი და საქართველო

VII

THE NEAR EAST AND GEORGIA



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
ILIA STATE UNIVERSITY
2013

ახლო აღმოსავლეთი და საქართველო
THE NEAR EAST AND GEORGIA

სარედაქციო კოლეგია:

აკად. თამაზ გამყრელიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე),
თამაზ აბაშიძე, გრიგოლ ბერაძე, ჯემშიდ გიუნაშვილი,
ნოდარ ლომოური, ირინე ნაჭყებია, გიორგი სანიკიძე,
მიხეილ სვანიძე†

Editorial Board:

Acad. **Thomas V. Gamkrelidze** (Head of the Editorial board),
Tamaz Abashidze, Grigol Beradze, Jamshid Giunasvili, Nodar Lomouri,
Irene Natchkebia, George Sanikidze, Mikhail Svanidze†

ტომის

რედაქტორი: გიორგი სანიკიძე

Editor-in-chief

of the Volume: **George Sanikidze**

საქართველო, თბილისი 0162, აკად. გ. წერეთლის ქ. 3

3. Acad. G. Tsereteli Str., 0162 Tbilisi, Georgia

ტელ./ფაქსი. Phone/Fax: (+995 32) 2233 114

E-mail: gsany@yahoo.com; orientge@hotmail.com; giorgi.sanikidze@iliauni.edu.ge

<http://www.iliauni.edu.ge>

© ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

G. Tsereteli Institute of Oriental Studies of the Ilia State University

ISBN 978-9941-18-197-9

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS

3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

შინაარსი

ფილოლოგია

ენათმეცნიერება

რუსუდან ასათიანი სივრცის ლინგვისტური სრუჭბურთების დინამიკური კონცეპტუალური მოდელი: ქართული ზმნისწინები	11
რამაზ გორგაძე ქართულ-სომხური საერთო ლექსიკის წარმომავლობის შესახებ	16
მანანა გოცირიძე არამეიდების სტატუსისათვის თანამედროვე ებრაულ ენაში	20
მარინა ივანიშვილი მცენარეთა სახელები ქართველურში: ზღმარბლი	23
ვლადიმერ ლეკიაშვილი ენობრივი ინტუიცია და რებროკაუზაცია	26
მარინა მეფარიშვილი სემიტური ენების ზოგიერთი მახასიათებლის შესახებ	31
ნათელა ჟვანია სახელის განსაზღვრულობა ძველ ეთიოპურ ენაში	39
მაია სახოკია ახალი რთული ზმნები ძველ სპარსულში	42
Darejan Svani THE TREATISE OF ARSENIUS (FARIS) FAKHURI AND ITS PLACE IN SYRIAC GRAMMATICAL LITERATURE	60
მარიკა ჯიქია გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის ანთროპონიმია	64

ლიტერატურათმცოდნეობა

ოლლა ბერიძე ეკფრასინის რიტმული სტრუქტურისათვის ძველ ქართულ მწერლობაში	73
ლალი გულედანი „მამათა შეგონებანი“ – תובא 'קרא	85

თამარ მოსიაშვილი იღვარ ალ-ხარაბი და სიურრაალიზმი	95
თამთა ფარულავა ძილისა და მღვიძარებისათვის	102
მურმან ქუთელია რიფა'ა აბ-თაჰტავის შემოქმედების ზოგადი დახასიათება	107
ელენე ჯაველიძე იპსია ქემალის ლირიკის შესწავლის ისტორიისათვის	115

ისტორია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ა

მანანა გაბაშვილი პონტო-ქალაქის მნიშვნელობა ვახტანგ გორგასლისა და ზოგადად ქართული პოლიტიკისათვის	122
ნინო ჯაველიძე აფხილნი ებროსისანი	135

ა ხ ლ ო ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ირაკლი თოფურაძე სულაიმან ფაშა ალ-ქაბირის (ბუიუქის) მმართველობა ერაყში (1780-1802 წწ.)	149
გიორგი სანიკიძე რამდენიმე მოსაზრება ირანისა და თურქეთის „კრიზისების“ შესახებ (II მსოფლიო ომის მიწურული და ომისშემდგომი პირველი წლები).....	157
მიხეილ სვანიძე გურჯი მეჰმედ ფაშა (1536-1626 წწ.)	174

შ ო რ ე უ ლ ი ა ლ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ნანა გელაშვილი ნარა – იაკონის ისტორიული დედაქალაქი	182
---	-----

წ ყ ა რ ო თ მ ც ო დ ნ ე ო ბ ა

Тимур М. Айтберов ПОСЛАНИЕ ПРАВИТЕЛЯ АВАРИИ, СУЛТАНАХМАД-ХАНА, «СВОЕМУ БЛАГОРОДНОМУ БРАТУ» АЛЕКСАНДРУ БАГРАТИОНИ И АНЦУХЦАМ (НАЧАЛО XIX В.)	190
--	-----

Marina Alexidze GEORGIA IN PERSIAN TRAVELOGUES OF THE QAJAR PERIOD.....	194
--	------------

ირინე ნაჭყებია ლაიბენანტ თეოდორ ეტიუს ცნობები საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის შესახებ (1822).....	198
---	------------

ე პ ი გ რ ა ფ ი კ ა

გულბად ამირანაშვილი ზოგიერთი შენიშვნა ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის შესახებ	212
--	------------

ნ უ მ ი ზ მ ა ტ ი კ ა

ირაკლი ფალავა სეფიანებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან –კახეთის ქალაქი ბაგარი (ზაგამი) XVII-XVIII საუკუნეებში	218
--	------------

რ ე ლ ი გ ი ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ნანი გელოვანი მუჰადისი ქალები შუა საუკუნეების დამასკოში.....	227
---	------------

ლუიზა შენგელია ნადირ შაჰის რელიგიური პოლიტიკა	234
--	------------

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს ი ს ტ ო რ ი ა

ირინე ნაჭყებია მიშელ-ფრანსუა პრეტოს რამდენიმე სპარსული ჩანახატი (1807-1809).....	239
---	------------

რ ე ც ე ნ ზ ი ა

გიული ალასანია ორი განსხვავებული ხედვა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე	252
--	------------

S u m m a r i e s

Giuli Alasania TWO DIFFERENT VISIONS CONCERNING SOUTH CAUCASUS CONFLICTS	274
---	------------

Gulbad Amiranashvili SOME REMARKS ON THE FOUR-LINE INSCRIPTION FROM THE BOLNISI SIONI CHURCH.....	275
--	------------

Rusudan Asatiani DYNAMIC CONCEPTUAL MODEL OF THE LINGUISTIC STRUCTURING OF SPACE: GEORGIAN PREVERBS	276
Olga Beridze RHYTHMIC STRUCTURE OF <i>EKPHRASIS</i> IN OLD GEORGIAN LITERATURE	277
Manana Gabashvili IMPORTANCE OF PONTO-TOWN IN VAKHTANG GORGASALI AND GENERAL GEORGIAN POLITICS	277
Nana Gelashvili NARA - HISTORICAL CAPITAL OF JAPAN.....	278
Nani Gelovani WOMEN TRANSMITTERS IN MEDIEVAL DAMASCUS	278
Ramaz Gorgadze CONCERNING THE ORIGINS OF GEORGIAN-ARMENIAN COMMON VOCABULARY	279
Manana Gostsiridze ON THE STATUS OF ARAMAIC LOANWORDS IN MODERN HEBREW	279
Lali Guledani THE “FATHERS’ EXHORTATIONS” (COLLECTION OF RELIGIOUS AND MORAL STATEMENTS OF THE JEWISH WISE FATHERS)	279
Marine Ivanishvili PROTO-KARTVELIAN PLANT NAMES: <i>ZʸMART’L</i> - „MEDLAR“	281
Elene Javelidze FROM THE HISTORY OF THE STUDY OF YAHYA KEMAL'S POETRY	281
Nino Javelidze APSHILS - EGROSS’ PROGENIES	282
Marika Jikia THE ANTHROPONYMS OF THE GRAND REGISTER OF GEORGIA REGION (1595)	282
Murman Kutelia GENERAL CHARACTERISTIC OF WORKS <i>RIFA’ A AT-TAHTAVI</i>	282

Vladimir Lekiasvili LINGUISTIC INTUITION AND BACKWARD CAUSATION	283
Marina Meparishvili ON SOME FEATURES OF SEMITIC LANGUAGES	283
Tamar Mosiashvili IDWAR AL-KHARRAT AND SURREALISM	284
Irina Natchkebia NOTES ABOUT THE TRADE RELATIONS BETWEEN FRANCE AND PERSIA BY LIEUTENANT THÉODORE HETTIER (1822)	284
Irina Natchkebia MICHEL FRANÇOIS PRÉAUX'S SOME DRAWINGS ABOUT PERSIA (1807-1809)	285
Irakli Paghava ON THE SAFAVID-GEORGIAN RELATIONS: CITY OF BAZARI (ZAGEMI) IN KAKHETI IN THE 17th-18th CC. (ACCORDING TO NUMISMATIC AND WRITTEN DATA)	286
Tamta Parulava FOR SLEEP AND VIGILANCE	286
Maia Sakhokia NEW COMPUND VERBS AND PHRASE VERBS IN OLD PERSIAN	287
George Sanikidze SOME REMARKS ABOUT IRANIAN AND TURKISH CRISIS (END OF THE WWII AND FIRST POSTWAR YEARS)	288
Irakli Topuridze RULING OF SULAIMAN PASHA AL-QABIR (BUYUK) IN IRAQ (1780-1802)	289
დარეჯან სვანი ბრუნენი (ფარის) ფახური და მისი აღმზღი სირიულ ბრამბტიკულ ლიტერატურაში	290
Luiza Shengelia NADIR SHAH'S RELIGIOUS POLICY	291
Mikheil Svanidze CÜRCÜ MEHMET PASHA (1526-1626)	291
Natela Zhvania THE DEFINITNESS OF NOUNS IN OLD ETHIOPIC LANGUAGE	292

ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა

რუსუდან ასათიანი

სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების დინამიკური კონსტრუქტული მოდელი: ქართული ზმნისწინები

სივრცის ლინგვისტური სტრუქტურირების რთული პროცესის გასაანალიზებლად, საზოგადოდ, ღირებულია გეოგრაფიული და საკომუნიკაციო სივრცის გამიჯვნა. გეოგრაფიული სივრცე ჩვეულებრივ სტრუქტურირდება გარკვეული აბსტრაქტული მიმართებების საფუძველზე, რომელთა კონკრეტული ინტერპრეტაცია დამოკიდებულია „მთხრობელის“ თვალთახედვაზე, მის მიერ შერჩეულ ათვლის წერტილზე. „მთხრობელი“, როგორც წესი, ემთხვევა მეტყველ | პირს, თუმცა ეს ყოველთვის ასე არაა. ზოგჯერ მთხრობელი განსხვავდება მეტყველი პირისაგან და სივრცეში ორიენტაციაც მისი (და არამეტყველი პირის) თვალსაზრისით მიმდინარეობს. მაგალითად, განვიხილოთ გამონათქვამი: ნინომ თქვა, ზემოთ მივდივარო. ის ადგილი, საითკენაც ნინო მიემართება შესაძლოა სულაც არ იყოს „მაღლა“ იმ მეტყველისათვის, რომელიც ამ წინადადებას წარმოთქვამს; მეტყველი პირი შესაძლოა გეოგრაფიულად ნინოს მდებარეობაზე მაღლა იმყოფებოდეს და მისთვის ის კონკრეტული ადგილი, საითკენაც ნინო მიდის, რეალურად „დაბლა“ იყოს. მიუხედავად ასეთი შესაძლებლობისა, მეტყველი სივრცის სტრუქტურირებისას ყოველთვის ითვალისწინებს მთხრობელის (ამ შემთხვევაში, ნინოს) პოზიციას და მისი (და არა საკუთარი) ათვლის წერტილის შესაბამისად განსაზღვრავს თავისთავად ფარდობით, აბსტრაქტულ მიმართებებს: „მაღლა/დაბლა“.

გეორგაფიული სივრცის ამგვარი აბსტრაქტული მიმართებები ქართულში გამოიხატება ე.წ. მარტივი ზმნისწინებით. ეს მიმართებები შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი კონსტრუქტული სტრუქტურებით:

ა	– „ქვემოდან ზევით“	↑
ჩა	– „ზემოდან ქვევით“	↓
მი	– „იქით“	→
მო	– „აქეთ“	←
გადა	– „წინააღმდეგობის გადალახვა“	↗
შე	– „გარედან შიგნით“	⊖
გა	– „შიგნიდან გარეთ“	⊕
წა	– „რაიმე სივრციდან“	○→
და	– „ზედაპირზე“	—

საკომუნიკაციო სივრცე გულისხმობს საკომუნიკაციო აქტში ჩართული პირების განსხვავებულ როლებს. ამ თვალსაზრისით შეიძლება განსხვავდეს მეტყველის „მე-სივრცე“, მსმენელის „შენ-სივრცე“ და საუბრის თემის „ის-სივრცე“. ლინგვისტური სტრუქტურების მიხედვით ეს სივრცეები სხვადასხვაგვარად შეიძლება გაერთიანდეს. ქართულში, მაგალითად, ენობრივი სტრუქტურების ანალიზი

გვიჩვენებს, რომ „მე-სივრცე“ ერთიანდება „შენ-სივრცესთან“ და იქმნება ლინგვისტური დიქტომია: „მე/შენ-სივრცე“ (ვუწოდოთ მას პირობითად „ეგო-სივრცე“ და აღვნიშნოთ, შესაბამისად, ES-ით) გრამატიკული ოპოზიციების საფუძველზე უპირისპირდება „ის-სივრცეს“ (პირობითად, „სხვა-სივრცე“, AS) (ასათიანი, 1996; 2007):

- (1-ა) შენთან ხვალ გამოვივლი.
- (1-ბ) შენებთან ხვალ ვა-ვივლი.
- (2-ა) ინგლისში აუცილებლად ჩამოვალ.
- (2-ბ) ინგლისში აუცილებლად ჩა-ვალ.

ეს მაგალითები აღწერენ სიტუაციას, რომლის დროსაც მეტყველი საუბრობს ახალ „მე-სივრცისგან“ განსხვავებულ სივრცეში მოხვედრაზე. ის იმგვარად ასტრუქტურირებს ინფორმაციას, რომ (ა) მაგალითებში აფიქსირებს ამ ახალ სივრცეს როგორც „შენ-სივრცის“ შემადგენელს და იყენებს იმავე ზმნისწინს, რომელიც, საზოგადოდ, „მე-სივრცისკენ“ მიმართული მოქმედებების მარკერია. (ბ) შემთხვევებში სამიზნე ახალი სივრცე, როგორც ჩანს, არ მოიაზრება „შენ-სივრცის“ ნაწილად და, შესაბამისად, გამოყენებულია მარტივი ზმნისწინები *მო* – ზმნისწინის გარეშე, რომლებიც ჩვეულებრივ „სხვა-სივრცისკენ მიმართული ქმედებების სტრუქტურირებისას გვხვდება. ამგვარად მიწოდებული ინფორმაცია მსმენელისათვის (ან მსმენელთათვის) დამატებით ინფორმაციასაც იძლევა: (1-ა) შემთხვევაში – *მოვალ შენთან შენს სანახავად*; ხოლო (1-ბ) შემთხვევაში – *მივალ შენი ახლობლების სანახავად*; *შენი იქ ყოფნა აუცილებელი არაა* (ან არ ივარაუდება). (2-ა) გამონათქვამი დამატებით გვატყობინებს, რომ მსმენელი ინგლისში ცხოვრობს და ინგლისი „შენ-სივრცედ“ მოიაზრება (არაა აუცილებელი მეტყველის ჩასვლის დროს მსმენელი იქ იმყოფებოდეს); (2-ბ) გამონათქვამი კი გვატყობინებს – მსმენელი ინგლისში არ ცხოვრობს ან მის მასპინძლად (ინგლისში) არ ივარაუდება.

გრამატიკულად დაპირისპირება „ეგო-სივრცე“: „სხვა-სივრცე“, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება ე.წ. რთული და მარტივი ზმნისწინების შეპირისპირებით: მარტივი ზმნისწინები (*მო*-ს გამოკლებით) მხოლოდ გეოგრაფიულ სივრცობრივ მიმართებებს გამოხატავენ და უპირისპირდებიან რა რთულ ზმნისწინებს ზმნისწინებს, რომლებიც „ეგო-სივრცისკენ“ მიმართულ მოქმედებას ასახავენ, აღნიშნავენ „სხვა-სივრცისკენ“ მიმართულ მოქმედებებს. ფორმალურად რთული ზმნისწინი მიიღება მატრივზე *მო* – ზმნისწინის დართვით: *მო* – და *მო*-იანი ე.წ. რთული ზმნისწინები გამოხატავენ „ეგო-სივრცისკენ“ ორიენტირებულ მოქმედებებს, მარტივები კი „სხვა-სივრცისკენ“ ორიენტირებულ მოქმედებებს.

აუცილებელია აღვნიშნოს, რომ ES ყოველთვის არ ასახავს, არ ემთხვევა სივრცის კუთვნილებით მიმართებებს – სივრცე, რომელიც ეკუთვნის მეტყველს და/ან მსმენელს, არ გულისხმობს აუცილებლად მის ES-დ განსაზღვრას; მაგალითად:

- (3) გუშინ სახლში გვიან მი-ვედი.
- (4) შენთან, ინგლისში, ჩა-ვალ.


(3)-წინადადება ასახავს შემდეგ სიტუაციას: სახლი ეკუთვნის მეტყველს, მაგრამ რამდენადაც, როგორც ჩანს: (ა) მსმენელი საუბრის მომენტში არ იმყოფება მეტყველის სახლში (ე.ი. თავად მეტყველიც არ არის სახლში) და (ბ) მსმენელი არც სახლში მეტყველის დაბრუნების დროს იყო იქ (არა აქვს მნიშვნელობა ისი-

ნი ერთად ცხოვრობენ თუ არა) – ის სახლს არ განიხილავს „ეგო-სივცედ“ (შდრ: გულშინ სახლში გვიან მო-ვედი. ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მსმელელი ჩართულია „ეგო-სივრცეში“, ან ცხოვრობს მასთან ერთად, ან საუბრის მომენტში ისინი სახლში არიან, ან სახლში დაბრუნების დროს მსმენელიც მეტყველის სახლში იყო.)


(4)-წინადადება გვატყობინებს: მეტყველი ჩადის ინგლისში; მან იცის, რომ მსმენელი ინგლისში ცხოვრობს და მისი ჩასვლის მომენტში იქ არ იქნება (შდრ.: შენთან, ინგლისში, ჩამო-ვალ, საიდანაც ნათელია, რომ მეტყველი ინგლისში ჩასვლის დროს ვარაუდობს მსმენელის იქ ყოფნას, ან გეგმავს ვიზიტს იმ დროისათვის, როდესაც მსმენელი იქ იქნება.)

ამგვარი ნიმუშები ამყარებენ იმ თვალსაზრისს, რომ საკომინიკაციო სივრცის სტრუქტურირება არ არის განსაზღვრული გოგრაფიული ან სხვა სახის ფაქტორებით და მხოლოდ მოსაუბრის განწყობებსა და წარმოდგენებზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ რას მიიჩნევს მეტყველი ES-ში ჩარჩულად და რას – არა.

ES:AS დაპირისპირების საფუძველზე სივრცის კომპლექსური (გეოგრაფიულ-საკომუნიკაციო) სტრუქტურირების დინამიკური კონცეპტუალური მოდელი შემდეგი სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:




მეტყველის განწყობებისა და წარმოდგენების შესაბამისად ES შესაძლოა ან დავიწროვდეს, ან განივრცოს; განივრცოს იმდენადაც კი, რომ მოიცვას AS. სწორედ ასეთ შემთხვევაში (როდესაც ES მოიცავს AS-ს) გამოიყენება რთული ზმნისწინები:



ES, ასევე, ყოველთვის არ ემთხვევა „ახლოს“: „შორს“ დიქტომიას, რომელიც „მანძილის“ კონცეპტის მიხედვით გეოგრაფიული (და არა საკომუნიკაციო) სივრცის სტრუქტურირების ერთ-ერთი ღირებული დაპირისპირებაა. „მანძილი“; ES-ის მსგავსად, ცვალებადი სიდიდეა, რომელიც განსხვავდება დაპირისპირებისგან ES:AS – ჩვენთან ახლოს მყოფი ობიექტები არ გულისხმობენ აუცილებლად ES-ში ჩართულობას და პირიქით: „ახლოს“ არ ნიშნავს ყოველთვის „ეგო-სივრცისკენ“ მიმართულ მოქმედებას და „შორს“ – „ეგო-სივრცისგან“ გეოგრაფიულად

დაშორებულ სივრცეს. ამ ნიშანთა ყველა ლოგიკურად შესაძლებელი კომბინაციის წარმოდგენა შესაძლებელია შემდეგი კინცეპტუალური სქემების სახით:



ქართულში თეორიულად დასაშვები ყოველი კომბინაცია რეალიზდება ენობრივ გამონათქვამებში. მათგან ყველაზე „მოულოდნელი“ სიტუაციების: (6) და (7) – ამსახველი გამონათქვამების ნიმუშებად შეიძლება წარმოვადგინოთ წინადადებები (9) და (10):

(9) იქ, თბილისში, ბევრი ხალხი მო-დის ხოლმე მიტინგებზე.

(10) აქ სტუდენტები ხშირად ა-დიან ხოლმე მე-3 სართულზე ბიბლიოთეკაში.

მე-(9) წინადადება ასახავს შემდეგ სიტუაციას: მეტყველი საუბრის მომენტში თბილისიდან შორს იმყოფება, თუმცა თბილისის მიტინგებს ის განიხილავს თავის „ეგო-სივრცის“ ნაწილად და ამიტომ, მიუხედავად სიშორისა, იყენებს მო – ზმნისწინს; მე-(10) წინადადება კი მასში ასახული ძირითადი ინფორმაციის გარდა (სტუდენტები ხშირად დადიან ბიბლიოთეკაში, რომელიც მე-3 სართულზეა) დამატებით გვატყობინებს: მეტყველი იმყოფება იმ დაწესებულებაში, სადაც მდებარეობს ბიბლიოთეკა, თუმცა ამ დაწესებულებას თავის ES ნაწილად არ მიიჩნევს. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი სიტუაციები საკმაოდ სპეციფიკურია და, ამდენად, (6)-(7)-ს შესაბამისი წინადადებებიც იშვიათი.

საზოგადოდ, ქათულის პირველადი ზმნიზედებისა და ნაცვალსახელების სემანტიკური და პრაგმატიკული ანალიზი გვიდასტურებს იმ თვალსაზრისს, რომ ისინი გამოხატავენ გეოგრაფიულ მანძილს და არა საკომუნიკაციო სივრცულ მიმართებებს. ისინი ეფუძნებიან ჩვენებითი ნაცვალსახელების სამწევრა ოპოზიციას – **ეს: ეგ: ის** (ირიბ ბრუნვებში სუპლეტური ფუძეებით – **ამ: მაგ: იმ**). შესაბამისად, ზმნიზედებს და ნაცვალსახელებს ჩვენებითობის ფუნქციაც აქვთ და ქმნიან სივრცობრივ სამწევრა ოპოზიციებს: „მე-სივრცესთან“ გეოგრაფიულად ახლოს (**ა-**იანი ფორმები): „შენ-სივრცესთან“ გეოგრაფიულად ახლოს (**აგ-**იანი ფორმები): „ის-სივრცესთან“ გეოგრაფიულად ახლოს (**ი-**ანი ფორმები):

- (11) **ამდენი: მაგდენი: იმდენი** – „რაოდენობა“
ასეთი: მასეთი: ისეთი – „თვისება“
ამნაირი: მაგნაირი: იმნაირი – „თვისება“ (დიალექტური)
აქ: მანდ: იქ – „ადგილი“
ასე: მასე: ისე – „ვითარება“
ამიტომ: მაგიტომ: იმიტომ – „მიზეზი“
ამდენად: მაგდენად: იმდენად – „ვითარების ხარისხი“ და სხვ.

ამგვარად, წარმოდგენილი ანალიზის მიხედვით ქართულში სივრცული მიმართებების სტრუქტურირებისათვის ღირებულა სამი მთავარი განზომილება:

1. თვალთახედვის წერტილი (მეტყველისა და/ან მთხრობელის);
2. გეოგრაფიული სივრცე (სხვადასხვაგვარი მიმართულებები და მანძილის ამსახველი ოპოზიციები);
3. საკომუნიკაციო სივრცე (ეგო-სივრცე / სხვა-სივრცე).

ამათგან „თვალთახედვის წერტილი“, „საკომუნიკაციო სივრცე“ და „მანძილი“ ფარდობითი სიდიდეებია და მეტყველი პირის თვალსაზრისით, მისი წარმოდგენებისა და განწყობების მიხედვით სტრუქტურირდება; სხვადასხვაგვარი მიმართულებები კი სტაბილური სიდიდეებია და აბსტრაქტული მიმართებების საფუძველზე სტრუქტურირდება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ასათიანი, რ. *ქართველურ ენათა ტიპოლოგიის საკითხები (გრამატიკულ კატეგორიათა სისტემაში დომინანტური კატეგორიის დადგენის თვალსაზრისით)*, თბილისი: მეცნიერება, 1996.
2. შანიძე, აკ. *ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები*, I. თბილისი: მეცნიერება, 1973.
3. Asatiani, R. Conceptual Representation of the Verb Form creation (on the Georgian Data). In: Asatiani R., Chikoidze G., Dekker P. and de Jongh D.(eds) *Proceedings of the Fifth Tbilisi Symposium on LLC*. Amsterdam: Grafisch Centrum Amsterdam, 21-29, 2003.
4. Asatiani, R. Dynamic Conceptual Model for the Linguistic Structuring of Space: Georgian Preverbs. In: Bosch P., Gabelaia D. and Lang D. (eds). *Logic, Language and Computation*. Germany: Springer, 38-47, 2007.
5. Chanishvili, N. Structuring of Space in Georgian. In: Asatiani R., Chikoidze G., Dekker P. and de Jongh D.(eds). *Proceedings of the Fifth Tbilisi Symposium on LLC*. Amsterdam: Grafisch Centrum Amsterdam. 51-59. 2003.
6. Gärdenfors, P. *Conceptual Spaces: The Geometry of Thoughts*. „A Bradford Book“. Cambridge, Massachusetts, London, England: The MIT press, 2000.
7. Givon, T. *On Understanding Grammar*. New York: Acad. Press, 1979.

ქართულ-სომხური საერთო ლექსიკის წარმომავლობის შესახებ (მამფალი, მარი, მარანი)

ნებისმიერი ორი ენისათვის საერთო ხმარების ლექსიკის შესწავლა მეცნიერებისათვის მეტად საინტერესო და საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. საყურადღებოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ამდაგვარი კვლევა ყოველთვის აკონკრეტებს და ნათელს ხდის იმ სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, რომლებიც სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე, მაგრამ გარკვეულ კონტაქტში მყოფ ხალხებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებობდა.

ეს ზოგადი დებულება სრულ გამართლებას ჰპოვებს, როდესაც ჩვენ ქართულ და სომხურ ენებში საერთო ხმარების ისტორიული ლექსიკის საკითხს განვიხილავთ. ამ მიმართულებით მუშაობის დროს ირკვევა არა მარტო ორ ხალხს შორის წარსულში არსებული კონტაქტების ინტენსივობა, არამედ ენობრივი გავლენის მიმართულებებიც და აგრეთვე სოციალური ცხოვრების ის სფეროებიც, რომლებშიც ამგვარი ხასიათის ლექსიკა უფრო აქტიურად ფუნქციონირებდა.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, სამეცნიერო სკოლების ჩამოყალიბების საწყის ეტაპზევე, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ ქართულ და სომხურ ენებში ჭარბად იყო საერთო ხმარების ლექსიკა (ნ.ჰიუბშმანი, ნ.მარი).

ამ ხასიათის მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. ამჟამად ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს გამოვყოფთ და განვიხილავთ.

ერთ-ერთი ამდაგვარი მაგალითია **მამფალ-ი**. ეს ლექსიკური ერთეული დროსა და სივრცეში, ფუნქციონირების თვალსაზრისით, მეტად სპეციფიკურია: განეკუთვნება ისტორიულ ლექსიკას და აღნიშნავს სოციალურად დაწინაურებულ იფენის კონკრეტულ წარმომადგენელს.

სომხური ენის სპეციალისტები შენიშნავენ, რომ ეს ქართული სიტყვა სხვადასხვა ფორმით არის დაფიქსირებული სომხურში (mamphal, mamphajl, mamphul) და შინაარსობრივად ძირითადად „თავადს, მხარის უფროსს“ აღნიშნავს (ჰრ. აჭარიანი მას „მეფისა“ და „პატრიარქის“ მნიშვნელობებითაც განიხილავს). რაც შეეხება მისი ეტიმოლოგიის საკითხს, უნდა ითქვას, რომ ჰრ. აჭარიანს, სტ. მალხასიანს და სხვა სომეხ მეცნიერებს აღნიშნული ლექსიკური ერთეული სომხურ ენაში ქართულიდან შესულად მიაჩნიათ და სიტყვის წარმომავლობის საკითხის განხილვისას ერთხმად იზიარებენ ნიკო მარის მიერ შემოთავაზებულ ეტიმოლოგიას, რომლის მიხედვითაც **მამფალ-ი მამა-უფალის** შემოკლებულ ფორმას წარმოადგენს.

VIII საუკუნეში ატენის სიონის საკურთხეველის აფსიდში მოთავსებული წარწერა გვამცნობს: „წელს სარკინოზთასა რკა (738) აღესრულა კურთხეული **მამფალი** სტეფანოზ“; ხოლო შედარებით გვიანი პერიოდის ამბების გადმოცემისას ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ აშოტ კურაპალატის მრავალრიცხოვან შთამომავლობას ეკუთვნოდნენ კლარჯნი ხელმწიფენი, რომლებიც ამავე დროს არტანუჯელნი ყოფილან და ატარებდნენ **მამფალის** სახელწოდებასაც.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკო მარის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგიის წინააღმდეგ არავინ წასულა, მაინც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ტერმინის შინაარსობრივ-ფუნქციონალური ასპექტით შესწავლა.

ამჟამად აღიარებული თვალსაზრისით, **მამფალი** ფეოდალურ საქართველოში **პატრონის** შესატყვისი ტერმინი იყო, რომელიც მიღებული იქნა ორი სიტყვის: **მამა** და **უფალ**-ის შეერთების გზით. VIII საუკუნეში მისი გავრცელების ფართო მასშტაბზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ეს ტერმინი ამავე მნიშვნელობით ვრცელდებოდა საქართველოს მეზობელ სომხეთის სოციალურ-პოლიტიკურ სისტემაშიც.

IX-X საუკუნეებში ტერმინი **მამფალი** მეთოდურად იცვლება ახალი ტერმინით **პატრონი**.

აქვე გვსურს ყურადღების გამახვილება ერთ მომენტზეც. ის მეცნიერები, რომლებიც განიხილავდნენ IV-VIII საუკუნეების ქართლის სოციალურ-პოლიტიკური, კულტურული თუ ენობრივი სიტუაციის საკითხს, პარალელს ავლებდნენ ტერმინ **მამფალსა** და **მამასახლისს** შორის და ფრთხილად, მაგრამ მაინც ნათლად გამოთქვამდნენ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე **მამფალი** შესაძლოა „მეფეს“, „მთავარს“, „პატრონს“ კი არ ნიშნავდა, არამედ მოსალოდნელია, რომ ის საგვარეულოს უფროსს („სახლის პატრონს“, „სახლის მამას“) აღნიშნავდა. ამ საკითხზე საკმაოდ საინტერესო მასალა აქვთ გამოქვეყნებული სხვადასხვა თაობის ქართველ მეცნიერებს (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია; ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზმის გზაზე, თბ., 1934; აკ. შანიძე, მამასახლისი X ს. საქართველოში, *მაცნე*, 1, თბ., 1971; გ. აბრამიშვილი, სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში, თბ., 1977; ნ. ლომოური, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან; ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV-VIII საუკუნეებში, თბ., 1979 და სხვ.) ამ თვალსაზრისით ჩვენ ყურადღება გვსურს მივაქციოთ ნიკო მარის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგიის შემადგენელ მეორე ნაწილზე (**უფალ-ი**), რომელიც თავისთავად ძველი ქართული ენის ლექსიკური ერთეულია. ეს სიტყვა (**უფალ-ი**), როგორც ფონეტიკურად, ასევე სემანტიკურად, მეტად უახლოვდება ძველ ეგვიპტურ wpr-ს, რომელიც სიტყვასიტყვით ნიშნავს „დიდ სახლს“ და **ფარაონის** სინონიმს წარმოადგენს.

ამგვარად, ჩვენ ვიზიარებთ იმ თვალსაზრისს, რომ სომხურ ენაში mamphal ქართული სოციალ-პოლიტიკური და კულტურული გარემოს გავლენით არის დამკვირვებული, მაგრამ ვაზუსტებთ, რომ თვით ქართულ ენაში როგორც **მამფალის**, ასევე **უფალის** გაჩენა ძველი ეგვიპტური გარემოდან უნდა მომდინარეობდეს. აღნიშვნას საჭიროებს ისიც, რომ ქართული **უფალი** (господь) ყურადღების გარეშე არ დარჩენიან სომეხ მეცნიერებსაც და ის ადრე შედარებული იყო აქადურ (ბაბილონურ) va'al – თან, როგორც იმავე მნიშვნელობის ლექსიკურ ერთეულთან (Капанцян, 1975).

არმენოლოგიაში ცნობილია, რომ ქართულ და სომხურ ენებში საერთო ხმარების სიტყვათა რიგს მიეკუთვნება ქართული **მარ-ი** და სომხური mar, ასევე **მარან-ი** და maran // maran (პირველი სომხური ფორმა კომტი რ-თი არის წარმოდგენილი, მეორე, დიალექტური კი რბილი რ-თი). წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამ მაგალითებში თითქმის სრული დამთხვევაა როგორც ფონეტიკური, ასევე სემანტიკური თვალსაზრისით.

სომხური სიტყვა mar „მშრალი და თხევადი ნივთიერებების საწყაოს სხვადასხვა ზომის ერთეულად სახელდება“ (6, 20, 50 და 150 ქსესტი). ჰრ. აჭარიანს, რომელიც იზიარებს ნ.ჰიუბშმანის თვალსაზრისს, აღნიშნული სომხური სიტყვა ირანულ ნასესხობად მიაჩნია და აღადგენს *mar ფორმას, რომელსაც ბერძენი ავტორები maris ფორმით მოიხსენიებენ. ირანულისთვის უძველეს ფორმად აღ-

დგენილია *mahr ფორმა, რომლის შესატყვისის სანსკრიტში „საწყაოს,, მნიშვნელობით დაფიქსირებულ matra სიტყვაში ხედავენ. სომხური ენის ახალ ჰაიკაზიანის ლექსიკონში ეს სომხური სიტყვა (mar) იმავე მნიშვნელობის ებრაულ moir სიტყვასთან არის დაკავშირებული. ს.ტერვიშიანი თავის ერთ-ერთ ნაშრომში („ინდოევროპული წინარენა“, გვ. 98) ჩვენთვის საინტერესო სიტყვის ეტიმოლოგიისას მოიხსენიებს ძვ. სლავურის мара („ზომა“) სიტყვასაც. სტ. მალხასიანცს ეს სომხური სიტყვა ბერძნულ ნასესხობად მიაჩნია თავის განმარტებით ლექსიკონში. სომხური ენის ერთ-ერთ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში, რომელიც 1894 წლით არის დათარიღებული, გამოთქმულია მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სომხ. mar სიტყვა უნდა მომდინარეობდეს სომხურივე maran სიტყვის ფორმიდან. რაც შეეხება ქართულის მაგალითს, უნდა აღინიშნოს, რომ ჰრ. აჭარიანს და სხვა სომეხ არმენისტებს ქართული სიტყვა მარი („15 ფუთიანი საწყაო“) სომხურ ნასესხობად მიაჩნიათ.

ჩვენი აზრით, ქართულში დაფიქსირებული მარ-ი სიტყვა, თავისი სრული ფონეტიკური და სემანტიკური დამთხვევის გამო, უშუალო კავშირში უნდა იყოს ეგვიპტურ პოლისემიურ mar სიტყვასთან, რომლის ერთ-ერთ მნიშვნელობას სწორედ „ხორბლის საწყაო“ წარმოადგენდა (ცნობისათვის: ეგვიპტური ეს ლექსიკური ერთეული ჩვენთვის საინტერესო მნიშვნელობის გარდა აღნიშნავს „პირამიდას, ანუ სამუდამო განსასვენებელს“; „ცოცხალ ადამიანთა სამხიარულო დასასვენებელს“; „ნილოსზე მგზავრობას“; „წყლის გაღმა გასვლას, ანუ სიკვდილს“ და სხვ.). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს ეგვიპტური ცივილიზაციის კვალთან კავკასიაში.

ზემოთ აღნიშნულთან უშუალო კავშირშია ქართული მარან-ი „ღვინის საცავი სახლი, საღვინე“ და სომხური maran (კოშტი რ-თი), რომელიც „ღვინის შესანახ სახლთან, სარდაფთან“ ერთად „ბელელის“ მნიშვნელობით და „საჭმლისა და პროდუქტების შესანახ მიწურად“ მოიხსენიება. სომხურ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს სიტყვა სომხურ ნასესხობად მიაჩნიათ ქართულსა და უდურში „მარანის“ მნიშვნელობით, ხოლო ქურთულში „საჭმლისა და პროდუქტების შესანახ სათავსად“. რაც შეეხება სომხური სიტყვის წარმომავლობის საკითხს, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. დღეისათვის გაბატონებულია ბროკელმანის, აჭარიანის და მალხასიანცის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით ჩვენთვის საინტერესო სიტყვა სირიულ ნასესხობათა რიგს მიეკუთვნება.

ჩვენი ვარაუდით, ეს ლექსიკური ერთეულიც უნდა იყოს ეგვიპტური წარმომავლობის maran სიტყვა, რომელიც ზემოთ განხილული mar სიტყვის მრავლობითის ფორმას წარმოადგენს ეგვიპტურშივე, შესაბამისად გამოიყოფა მრავლობითობისა და სიტყვის მაწარმოებელი –an ფორმანტი, რომელიც, ქართულისა და სომხურის გარდა, ფუნქციონირებდა მთელ რიგ სხვა უძველეს ენებშიც.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მარ-ი და მარან-ი არც სომხურ ნასესხობად უნდა მივიჩნიოთ ქართულში და არც სომხური გზით დამკვიდრებულ ირანულ თუ სირიულ სიტყვებად. ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვქონდეს ეგვიპტური ცივილიზაციის კვალთან კავკასიაში, რომელმაც თავისი ასახვა ჰპოვა როგორც ქართულში, ასევე სხვა უძველეს ენებში და მოგვიანებით სომხურშიც.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 1-8 თბ., 1950-1964.
2. აჭარიანი, ჰრ. სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. 1-4 ერ. 1971-1979 (სომხ.ენაზე).
3. მალხასიანცი, სტ. სომხური ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 1-4 ერ., 1944-1945 (სომხ.ენაზე).
4. სებასტაცი მხითარ და სხვ., სომხური ენის ლექსიკონი ტ. 1-3, ვენეცია, 1769 (სომხ. ენაზე).
5. ტერვიზიანი, ს. ინდოევროპული წინარეენა. კ.პოლისი, 1887 (სომხ. ენაზე);
6. Gardiner, A. *Egyptian Grammar*. London, 2005.

არამეიზმების სტატუსისათვის თანამედროვე ებრაულ ენაში

არამეული ენის გავლენა ებრაულზე გრძელდებოდა ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევრიდან შუა საუკუნეებამდე. ეჭვი არ არის, რომ ჯერ კიდევ ესაიას ეპოქაში განათლებულმა ებრაელებმა, ყოველ შემთხვევაში მათ, ვინც სახელმწიფო მმართველობაში იყვნენ ჩართულნი, ჩინებულად იცოდნენ არამეული (იხ. 4 მეფ. 18,20; ეს. 36.11) [Гезениус, 1874:19-20].

ბაბილონის ტყვეობიდან მოკიდებული, არამეული ასწლეულების მანძილზე ებრაელთა მეორე დედაენად გვევლინება და იგი ოფიციალურ ენად რჩება პალესტინაში ებრაელების დაბრუნების შემდგომაც. ცნობილია, რომ ამ ხანებში შექმნილი ბიბლიური წიგნების ნაწილიც (ებრა, დანიელი) არამეულ ენაზეა დაწერილი [იხ. მაგ. წერეთელი, 2001: 25].

ებრაულ-არამეული ენების ლინგვისტური სიახლოვისა და ზემოხსენებული კულტურულ-ისტორიული კონტექსტის გამო, არამეული თანამედროვე (ისრაელის) ებრაულის გამდიდრების უმნიშვნელოვანეს წყაროდ იქცა. აქ იგულისხმება არა ბიბლიისა და მიშნის პერიოდში შემოსული არამეული ნასესხობები, რომლებიც თანამედროვე ებრაულს მემკვიდრეობით ერგო, არამედ ის არამეიზმები (უმთავრესად ბაბილონის თალმუდიდან), რომლებიც არ შეუთვისებია ებრაულის ადრეულ ფენებს. არამეული ელემენტის გავრცელებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ XX ს. 20-იან, 30-იან და 40-იან წლებში პალესტინაში ჩადის მრავალი იმიგრანტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან, სადაც ისინი კარგად იყვნენ დაუფლებულნი არამეულს „ხედერსა“ და „იეშივაში“ მიღებული ტრადიციული განათლების წყალობით [Kutscher, 1982: 207].

უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ებრაულში არამეიზმების ხმარების საკითხი არაერთგზის ყოფილა ისრაელელ ლინგვისტთა პოლემიკის საგანი [Гויцман, 1948:12; 107, 1955].

არამეიზმები შეადგენს თანამედროვე ებრაული ენის ლექსიკის დაახლოებით 30%-ს [იხ. Айхенвальд, 1990: 103-104]. ქრონოლოგიური თვალსაზრისით გასარჩევია ბიბლიური, პოსტბიბლიური (უწინარესად მიშნისა და რაბინული ლიტერატურის ხანის) და ახალი პერიოდის არამეიზმები. უძველეს ეპოქაში ნასესხები არამეული სიტყვები სრულად არის ადაპტირებული ებრაულში და მათი უცხო წარმომავლობა მხოლოდ ეტიმოლოგიური კვლევის გზით შეიძლება დადგინდეს. არცთუ იშვიათად ეს ნასესხები ლექსიკური ერთეულები გამოდგენიან ადრე ხმარებულ მკვიდრ ებრაულ სიტყვებს. მაგალითად, zman „დრო“ ცვლის სიტყვას 'et, sof „ბოლო“ ენაცვლება სინონიმურ ლექსემას qec, šalat „მართავდა“ უფრო ხშირია, ვიდრე malax და სხვა [იხ. Корниенко, 1979: 62]. განხილული სიტყვები სტილისტურად ნეიტრალურია და ებრაული ლექსიკის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. თუმცა უკვე ბიბლიის ტექსტში გვხვდება რიგი არამეული წარმოშობის სიტყვებისა, რომლებიც უმთავრესად პოეტური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი და დღეს არქაიზმებად აღიქმება. ამგვარ პოეტიზმებს მიეკუთვნება მაგალითად: d^evav „მტრობა, შუღლი“, nur „ცეცხლი“, qince „ბოლო“, qošt „სიმართლე, ჭეშმარიტება“ [Гочиридзе, 2007:64-65].

არამეული სიტყვებისა და ფრაზეოლოგიური გამოთქმების არქაულ იერსა და მათ წიგნურ, „ინტელექტუალურ“ შეფერილობას არაერთი მკვლევარი უსვამს ხაზს [Белов, 1964: 317; Kutscher, 1964: 209; Rosen, 1977: 94-95]. მაღალი სტილის კუთვნილებად ითვლება მაგალითად, არამეულიდან გადმოღებული შემდეგი ფრაზეოლოგიზმები: *let man d^efalig* „არავინ დავობს“ (=ებრ. *iš eno ḥoleq*), *niḥa* „კეთილი, კარგი, ასე იყოს“ (=ებრ. *ṭov*) [იხ. Kutscher, 1964: 209].

სტილისტურად მარკირებული ჩანს ისეთი არამეიზმებიც, რომლებიც უმეტესად სასაუბრო, არაოფიციალურ მეტყველებაში გვხვდება. მხედველობაში გვაქვს უწინარესად ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, როგორცაა: *ima* „დედა, დედიკო“, *aba* „მამა, მამიკო“, *saba* „ბაბუა“, *savta* „ბებია“. ძალიან გავრცელებულია აგრეთვე არაფორმალური ენისათვის დამახასიათებელი გამოთქმები: *ma ixpat l^exa* „რა შენი საქმეა?“, *lo ixpat l^exa* „არ მენალვლება, ჩემთვის სულერთია“ და მისთ. თუმცა პოსტიბლიურ პერიოდში, განსაკუთრებით კი მიშნისა და თალმუდის ხანაში შემოსული მრავალი არამეიზმი, რომლებიც თანამედროვე ებრაული ენის ვოკაბულარშიც არის დამკვიდრებული, სტილისტურად სრულიად ნეიტრალურია, მაგალითად: *kise* „სკამი“, *baqi* „ექსპერტი, მცოდნე“, *dika* „ჩაგრავდა, ავიწროებდა“ და სხვა. იგივე ითქმის უფრო „ახალგაზრდა“ არამეიზმებზე, რომლებიც ისრაელის ებრაულს უშუალოდ თალმუდის ენიდან უსესხებია ფორმისა და მნიშვნელობის ყოველგვარი ცვლილების გარეშე. აქ პირველ რიგში უნდა ვახსენოთ *maškanta* „იპოთეკური სესხი (ბინის შესაძენად)“, რომელიც ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს ისრაელის ეკონომიკურ ცხოვრებაში. არამ. *maškantā* < *maškōnā*, სირ. *meškānā* („გირაო, წინდი“), მომდინარეობს აქადურიდან: *maškānu* („საცხოვრებელი ადგილი“, „გირაო“) [Klein, 1987: 391-392].

ერთი წყება არამეული წარმომავლობის ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულებისა მოხვედრილა ისრაელის ებრაულში იდიშიდან [იხ. ამის შესახებ Kutscher, 1964: 207]. მაგალითად, *b^ela haxe* „ყველა შემთხვევაში“, *tresar* „დუჟინი“, *tarte d^esatre* „ურთიერთსაწინააღმდეგო“. გვხვდება აგრეთვე ნახევრად არამეული გამოთქმები: *aluba deemet* „სინამდვილეში“, *b^elet brera* „სხვა გზა არ არის, გამოსავალი არ არის“.

არამეიზმების ფონოლოგიური და მორფოლოგიური ინტეგრაცია ებრაულში ამ ორი ენის ახლო ნათესაობის გამო ადვილად ხდება. თუმცა არამეულიდან ნასესხებ მრავალ სახელს, რომლებიც სინქრონიული თვალსაზრისით უცხოურ სიტყვებს აღარ წარმოადგენს, გარკვეული საიდენტიფიკაციო ნიშანი მაინც აქვს (ბოლოკიდური „ალეფი“). დღეს ეს „ალეფი“ ზოგჯერ იკარგვის, უფრო ხშირად კი იცვლება გრაფიკაში „ჰე“ თანხმოვნით, რის შედეგადაც სახელები, რომლებიც არამეულში მამრობით სქესს ეკუთვნოდა, ებრაულში მდედრობითად არის გაგებულნი. მაგალითად: *girsā* „ტექსტის ვარიანტი, ვერსია“, *guzma* „ჰიპერბოლა“, *ḥucpa* „თავხედობა“ და სხვა. როდესაც დაკარგული „ალეფის“ ჩანაცვლება არ ხდება „ჰე“ გრაფემით (რაც მდედრობითის ტიპური დაბოლებია ებრაულში), არამეულიდან ნასესხები სიტყვის გრამატიკული სქესი უცვლელად არის დაცული. შდრ. მაგალითად, *seleq* (არამ. *silqa*) „ჭარხალი“ 'neveg (არამ. *nivga*) „სპორა“ [იხ. Корниенко, 1979: 62-63].

ზემოხსენებული ფორმალური ნიშნით მარკირებული არამეიზმების უმრავლესობა დღეს ორგვარად იწერება: ბოლოკიდური „ალეფითა“ და „ჰეთი“ (მხოლოდობითში ორივე ვარიანტი ერთნაირად იკითხება), მრავლობითში კი ჭარბობს „ალეფიანი“ ვარიანტი შესაბამისი წარმოთქმით: *dugmaot* „მაგალითები“ (და არა *dugmot*). გამოდის, რომ სახელები მხოლოდობით რიცხვში მთლიანად არიან მორგე-

ბული ებრაულს, მრავლობითში კი ჯერ კიდევ დაცულია მათი თავდაპირველი, ორიგინალური ფორმები [Соломоник, 2000: 18]. მსესხებელ ენაში საანალიზო ფორმების ადაპტაციის მაღალ ხარისხს სავარაუდოდ მათი ხმარების დიდი სინ-შირე განსაზღვრავს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. წერეთელი, კ. ბიბლიის ებრაული (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი), თბ., 2001.
2. Айхенвальд, А. Ю. *Современный иврит*, М., 1990.
3. Белов, А. Аврам Шлионский - переводчик «Евгения Онегина». В кн.: *Мастерство перевода*, вып. I, М., 1964.
4. Гезениус, В. *Еврейская грамматика* (пер. К. Коссовича), СПб., 1874.
5. Гоциридзе, М. А. *Лексика перевода «Витязя в барсовой шкуре»*, Тб., 2007.
6. Корниенко, Ю.М. *Лексикология и фразеология языка иврит*. Курс лекций. М, 1979.
7. Соломоник, А. *Из истории иврита*, Тель-Авив, 2000.
8. Klein, E. *A Comprehensive Etymological Dictionary of the Hebrew language*, Jerusalem - Tel Aviv, 1987.
9. Kutschera, E. Y. *A History of the Hebrew Language*, Leiden, 1982.
10. Rosen, H.V. *Contemporary Hebrew*, The Hague, 1977.
11. 1948, 16' מס „נאוש“. א. קלחך, א. ז. מ. .
12. 1955, ח. ר. ה. העברית של: דמותה באור שיטת הבשלתה, ת. א. ב. י.

მცენარეთა სახელები ქართველურში: ზღმარტლი

ქართველურ ენებსა და დიალექტებში **ზღმარტლის** (*Mespilus germanica* L.) აღმნიშვნელი მრავალი ფუძე არის დადასტურებული: ქვ. ქრთ. **ჟღმარტლი**; ქზყ. **ზიმარტლი**; ფშ., ხვს. **ხუთყურა**, **ხუთგულა**; თშ. **სიმარტლი**; რჭ., ლჩხ., გურ., იმ. **სხმარტლი**; ინგ. **სიმარტლ**; ჭნ. **ცქირმუტური**; მგრ. **ბაცუ** (უფრო ნაყოფი), **ცქუმუნტური**, **ცხუმუნტური**; სვან. **ზუნტი**, **ზუნქი**, **ჟუნტუ** (მაყაშვილი, 1961).

სულხან-საბა ორბელიანთან გვხვდება **ზმარტლ** – ფორმა.

ზემოთ წარმოდგენილ მრავალმხრივ საინტერესო ქართველურ ფუძეთა ანალიზს არაერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა ეძღვნება. ივარაუდება, რომ ქართველურ ენებში ამ სახელის უჩვეულოდ მრავალი ვარიანტის საფუძველი ძირის ექსპრესიულობა უნდა იყოს.

მოცემულ მასალას თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ **ზღმარტლ**-ის აღმნიშვნელი დიალექტური ფორმები ერთმანეთისაგან თავკიდური კომპლექსებით (ბგერათმომდევრობებით) განსხვავდებიან: კხ. ქრთ. **ზღმარტლ**-, ქვ. ქრთ. **ჟღმარტლ**-, რჭ., ლჩხ., გურ., იმერ. **სხმარტლ**-, ქიზ. **ზიმარტლ**-, ინგ. **სიმარტლ** ამის გამო ვარაუდობდა ნ. მარი, რომ **ზღმარტლი** ორი ფუძისგან შემდგარი კომპოზიტია (Mapp, 1915: 827:829).

ქართ. **სხმარტლ-/ზღმარტლ** – **სხმარტლ-ი/ზღმარტლ-ი**: მეგრ. **ცხუმუნტურ-/ცხუმუნტურ-/ცქიმუნტურ** – **ცხუმუნტურ-ი/ცხუმუნტურ-ი/ცქიმუნტურ-ი**: ლაზ. **ცხიმუნტურ-/ცქიმუნტურ-/სკილიმუნტურ** – **ცხიმუნტურ-ი/ცქიმუნტურ-ი** /**სკილიმუნტურ-ი**: სვან. **ჟუნტუ/ჟუნტუჟუნტ** ფუძეების შეპირისპირებით გ. კლიმოვმა საერთო-ქართველური ფუძენისათვის აღადგინა ***სხმარტლ** – არქექიპი (ЭСКЯ: 168; შდრ. Klimov, 1998: 171).

ქართულ **სხმარტლ** – (<***სხმარტლ**-) ფორმას შეესატყვისება მეგრული **ცხუმუნტურ** – და ლაზური **ცხიმუნტურ** – (მეგრულსა და ლაზურში **სხ>ცხ**; ამ პროცესის შესახებ იხ. ჟღენტი, 1953: 156; შესატყვისობისათვის საერთო-ქართველური ***რ⁰** ქართ. **რ**: მეგრ. **ურ**: ლაზ. **ურ** იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965: 94-104; **რტ>ნტ** ასიმილაციით, იხ. ჟღენტი, 1953: 123; პირველ მარცვალში განვითარებულია მეგრულში **უ**, ხოლო ლაზურში **ი**). მეგრულის სხვა ვარიანტებს, ჩანს, საფუძველად **ცხუმუნტურ** – უდევს, ხოლო ლაზურისას – **ცხიმუნტურ**–.

სვანური **ჟუნტუ/ჟუნტუჟუნტ.../ჟუნტ** ფუძეების ამ მასალასთან დაკავშირება მნიშვნელობის იგივეობის და ფორმის მსგავსების მიუხედავად ზოგ არსებითი ხასიათის დაბრკოლებას აწყდება (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000).

აღნიშნულ ფუძეებზე ჩვენი ყურადღებაც ამ დაბრკოლებათა გამო შევაჩერეთ.

სვანურში ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში მოხმობილი **ჟუნტუ/ჟუნტუჟუნტ** ფუძეების გარდა გვაქვს თავკიდური **ზ**-იანი ვარიანტებიც: **ზუნტუ** (-ჟიშ, – არ ბზ., – ტჟშ, – არ ლშხ.) **ზუნტი** (-ჟშ, – არ) ბქ., **ზუნტუ** (- დშ, – არ) ლნტ. – **ზღმარტლი**. მიშგუ მუღ იცხი განჟი **ზუნტუ** ალაჯ (ბზ.) – მამაჩემმა მსხლის გვერდით **ზღმარტლი** დარგო. (თოფურია, ქალღანი, 2000). არს. ონიანთან და კ. დონდუასთან „**ზღმარტლი**“ მნიშვნელობისთვის **ჟუნტუ** ფუძეა მოყვანილი. ამგვარად, სვანურში გვაქვს, ერთი მხრივ, **ზუნტუ** || **ზუნტუ** || **ზუნტ**-, მეორე მხრივ კი – **ჟუნტუ** || **ჟუნტუ** || **ჟუნტ** – ფუძეები.

ვფიქრობთ, სვანურის თავკიდური ზ-იანი ფორმები **ზლ[მარტლ]** – ფუძის შესატყვისის უნდა იყოს. ჩვენ ხელთ არსებული სვანური ენის მასალაში თავკიდური **ზლ**-იანი არც ერთი ფუძე არ დადასტურდა (შდრ. ქართ. ზღუა: სვან. ზულუა || ძულ...უა). როგორც ჩანს, თავკიდურმა **ზლ**-მ მოგვცა სვანური ***ზულ** – და **ლ**-ს დაკარგვის შემდეგ **ზუ** – (სიგრძე ამ შემთხვევაში დაკარგული თანხმოვნის კომპენსირების შედეგია. შდრ. საბასთან – **ზმარტლი**. ქართული **მა**-ს შესატყვისად ვვარაუდობთ სვანურ **მუ**-ს, სვანურში – **აუ** გ. მაჭავარიანის მიერ დადგენილი წესის მიხედვით; იხ. მაჭავარიანი 1965: 365-368; შდრ. ЭСКЯ: 129. მაგ. *მაყუ > მუყუ; *მამ > მუ-), **რტ > ნტ** ასიმილაციით (იხ. ჟღენტი, 1953: 123).

ქართ. **ზღმარტლ** – ფუძე ოსურშიც არის შესული “**мантхылы**” (Абаев, 1973). ოსური ანლაუტში ვერ იტანს თანხმოვანთა ჯგუფს, ამიტომ ქართ. **ზღ** – დაიკარგა, ქართ. **რ > ოს. н, т** თანხმოვანთგასაყარია, ხოლო **ხ** – ქართ. სახელობით ბრუნვის –**ი**. აღნიშნული ფუძე, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ სამხრეთ ოსურში გვხვდებოდა (Миллер, 1927-1934), დღეს გავრცელების არეს თანდათან იფართოებს (თედევი, 1975: 22).

თანხმოვნის მომდევნო პოზიციაში, პაუზის წინ, რომელშიც რეალიზდებოდა მოგვიანო ხანის საერთო-ქართველურის ***ლ** ფონემის მარცვლოვანი ალოფონი ***ლო**-, ჩამოყალიბდა შესატყვისობა: ქართ. **ლ**: მეგრ. **VR**: ლაზ. **VR**: სვან. ... (> **O**). ე. ი. ქართ. **ზღმარტლ** –: სვან. ***ზუმუნტუ > *ზუნტუ > ზუნტუ || ზუნტუ || ზუნტ** – ფუძეები, რის საფუძველზეც შესაძლებელია აღვადგინოთ ***ზღმარტლო** – საერთო-ქართველური ფუძე.

გარდაქმნების იგივე გზა უნდა ვივარაუდოთ სვანური **ჟუნტუ || ჟუნტუ || ჟუნტ** – ფუძეებისათვისაც, რაც აღგვადგენინებს – ***ზღმარტლ** – საერთო-ქართველურ ფუძეს. სვანურში დადასტურებული ფუძე ***სხმარტლო** – არქეტიპიდან მომდინარე რომ ყოფილიყო, ***ცხუნტუ** – ფორმა გვექნებოდა (შდრ. ქართ. მსხალ –: მეგრ. სხულ –: ლაზ. მცხულ –: სვან. იცხ/უიცხ/უცხ „მსხალი“).

როგორც ჩანს, პრე-ქართველურში (იხ. თ. გამყრელიძის მოსაზრება პრე – და პროტო – დონეების შესახებ ფუძენაში (გამყრელიძე, 2008) ***„ზღმარტლი“** მნიშვნელობისთვის იყო ***ზღმარტლო**-, ***ზღმარტლო**-, ***სხმარტლო** – პარალელური ფორმები, რომლებიც ფუძენის დიფერენციაციის დროს ენათა მიხედვით განაწილდნენ შემდეგნაირად: ***ზღმარტლო** – ფუძე – ქართულსა და მის დიალექტებში; ***ზღმარტლო** – და ***ზღმარტლო** – ფუძეები – სვანურსა და მის დიალექტებში; **სხმარტლო** – ზანურსა და მის დიალექტებში.

შედარებითი რეკონსტრუქციის დროს ხშირად შესაძარბებელი ენების ფორმები ვერ დაიყვანება ფუძენის ერთ საწყის ფორმაზე. ზოგჯერ დაბრკოლებას წარმოადგენს არა მასალის უკმარისობა, ან კანონზომიერი ბგერათშესატყვისობების დარღვევა, არამედ ბგერათშესატყვისობათა ორი ფორმულის გადაკვეთა. ასეთ შემთხვევაში, ფუძენის „მონოლითურობის“ დაურღვევლად, ივარაუდება დუბლეტური ფორმების არსებობა, რასაც ლოგიკურად მივყავართ ფუძენის ზოგიერთ სიტყვაში ფონემათა თავისუფალი ვარიანტების შესაძლებლობასთან.

დუბლეტური ფორმების წარმოშობის მიზეზად მიჩნეულია: სტილი, სოციალური სტრატეგია, სალიტერატურო ენაში ზეპირმეტყველების ფორმების შესვლა, სესხება, მეტ-ნაკლებად ლოკალიზებული ენობრივი ქვეჯგუფების პრო-ტო-ენების მონაცემების თანაარსებობა და სხვ. (Гигинейшвили, 1972).

შეიძლება მივუთითოთ კვლევითი პრაქტიკის საკმაოდ მრავალ შემთხვევაზე, როდესაც რეკონსტრუქციისას ფუძენაში აღდგება ხოლმე რამდენიმე ფუძე ერთი ან მსგავსი მნიშვნელობით. ვფიქრობთ, ***ზღმარტლო**-, ***ზღმარტლო**-,

***სხმარტლო** – ფუძეებთან დაკავშირებითაც ანალოგიურ შემთხვევასთან უნდა გვეკონდეს საქმე.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, გ. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1949
2. გამყრელიძე, თ. ენა და ენობრივი ნიშანი, თბილისი: საქ. მეცნ. ეროვნული აკადემია 2008
3. გამყრელიძე, თ., მაჭავარიანი, გ. სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი: მეცნიერება 1965
4. გუდავა, ტ. ო-ს უ-ში გადასვლის ზოგიერთი შემთხვევა ზანურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში, საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXV, 1, თბილისი, 1960.
5. დონდუა, კ. სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი: სპუ, 2001.
6. თედევი, ო. მემცენარეობის ქართული ლექსიკა ოსურში, თბილისი: მეცნიერება, 1975.
7. მაყაშვილი, ა. ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1961.
8. მელიქიშვილი, ი. აღდგება თუ არა აქცესიური კომპლექსები საერთო-ქართველურში? ენათმეცნიერების საკითხები, I, თსუ, თბილისი. 1999.
9. ნიჟარაძე, ბ. ქართულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი. უნივერსალი, 2007.
10. ონიანი, არს. ხეებისა და მცენარეების სვანურ სახელთა ლექსიკონი, პეტროგრადი, 1917.
11. ორბელიანი, ს.-ს. ლექსიკონი ქართული, თბილისი. მერანი, 1993.
12. ჟღენტა, ს. ჭანურ-მეგრული ფონეტიკა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1953.
13. ფენრიხი, პ. სარჯველაძე ზ. ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: სპუ, 2000.
14. ქაჯაია, ო. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი: ნეკერი, 2002.
15. შანიძე, აკ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი: თსუ, 1973.
16. ჩიქობავა, არნ. ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფილისი: სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1938.
17. ჭარაია, პ. მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი: სპუ, 1997.
18. ხუბუა, მ. მეგრული ტექსტები, ტფილისი: სსრკ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, 1937.
19. Гигинеишвили Б. К., Сравнительная реконструкция и вопрос о вариативности в языко-основе. Вопросы языкознания, 4, Москва 1972.
20. Кипшидзе, И. Грамматика мингрельского (Иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Петербург, 1914.
21. Климов, Г. А. Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964
22. Март, Н. Я. Яфетические названия деревьев и растений (*pluralia tantum*), I-III, ИАН, Санкт-Петербург, 1915.
23. Нижарадзе, И. И. Русско-сванский словарь, Тифлис, 1910.

ენობრივი ინტუიცია და რეპროკაუზაცია

ენობრივი ფრაზების სემანტიკის განსაზღვრას, როგორც წესი, მათი ფორმალიზაციის გზით ცდილობენ. თავის მხრივ, მეთოდის მათემატიზაციის დონე მისი „მეცნიერულობის“ მაჩვენებლად მიიჩნევა. ერთი ეგაა, ხსენებული მიდგომა თავისთავად გულისხმობს ძალზე მყიფე საზღვარს საინტერესო მიგნებასა და აბსურდულ თეორიას შორის. ეს საზღვარი კი საერთოდაც გამჭვირვალე ხდება, როცა საქმეში ფილოსოფია ერთვება. კაუზაციის და შესაბამისად, კაუზალური გამონათქვამების ანალიზისთვის ლუისმა განავითარა და სრულყო კაუზაციის კონტერფაქტუალური კონცეფცია (Lewis, 1973: 556-567). ძალზე ზოგადად ის ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: გამონათქვამი „A არის B-ს მიზეზი“ ჭეშმარიტია მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ჭეშმარიტია გამონათქვამი „A რომ არ მომხდარიყო, არ მოხდებოდა არც B.“ საქმეში ჩაუხედავ, მაგრამ რაციონალურ ადამიანს ალბათ უცნაურად მოერვენება, როგორ შეიძლება ხსენებული პრინციპიდან გამომდინარეობდეს შემდეგი გამონათქვამის მცდარობა: „გრეტას რომ კვერცხი არ გაეტეხა, 8 საათსა და 5 წუთზე ტაფაზე არ აღმოჩნდებოდა შემწვარი კვერცხი.“ (Elga, 2001: 313-324) (გრეტა ის ადამიანია, რომელმაც ზუსტად 8 საათზე გატეხა კვერცხი და ცხელ ტაფას დაახალა). ამ ერთი შეხედვით აბსურდული შედეგის მიღებისთვის კი, როგორც აღმოჩნდა, საკმარისია მცირეოდენი მონდომება, სტატისტიკური მექანიკის პრინციპების გათვალისწინება და გამომგონებლობა (ეს უკანასკნელი უნარი სასურველია კინემატოგრაფიული გამოცდილებით იყოს ნასაზრდოები, რადგან ანალიზისას მოვლენათა რეკონსტრუქცია საეჭვოდ წააგავს უკუღმა დატრიალებულ კინოფირს). კაუზაციის კონტერფაქტუალური თეორია ინტუიციურად სავსებით დამაჯერებელია, მაგრამ გაუგებრობათა მთელ კასკადს იწვევს ის მეთოდი, რომელსაც ლუისი იყენებს კაუზალურობის სავერიფიკაციო კონტერფაქტუალური გამონათქვამის ჭეშმარიტება-მცდარობის დასადგენად. მხედველობაში გვაქვს ყბადაღებული ვირტუალურ სამყაროთა სემანტიკა – მოდალური ლოგიკისთვის რახანია შეუცვლელი და პროდუქტიული, ბუნებრივენობრივი მოდალური გამონათქვამების ფორმალიზებისთვის კი აშკარად გამოუსადეგარი. მაგრამ სხვა არჩევანი ლუისს, ალბათ, არც ჰქონდა, რადგან ენის ფილოსოფია და ზოგადად, ფილოსოფია ბუნებრივენობრივ ფრაზებს განიხილავს არა როგორც თვითკმარ ენობრივ ობიექტებს, არამედ რაღაც ექსტრალინგვისტურის აღმნიშვნელს, ასეთ შემთხვევაში კი მოდალური ენობრივი გამონათქვამის მნიშვნელობის განსაზღვრა მხოლოდ სიტუაციური კონტექსტების, იმავე „ვირტუალურ სამყაროთა“ აგებით არის შესაძლებელი. ერთი სიტყვით, ფრაზა „A რომ არ მომხდარიყო, არ მოხდებოდა არც B“ ჭეშმარიტია იმ შემთხვევაში, თუ რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ ვირტუალურ სამყაროში, სადაც არ ხდება A, არც B მოხდებოდა. მთავარი სირთულე სწორედ ამ „მაქსიმალური სიახლოვის“ კრიტერიუმის დადგენაა. მკაცრად დეტერმინისტულ სივრცეში რეალურისგან თუნდაც მხოლოდ A-ს არარსებობით განსხვავებული ვირტუალური სამყარო არათუ „მაქსიმალურად მიახლოებული“, არამედ საკმაოდ დაშორებული აღმოჩნდება რეალური სამყაროსგან (ასეთი ვირტუალური სამყაროს აგებისას უნდა გამოირიცხოს A-ს წინაპირობათა და შედეგთა უსასრულო ჯაჭვი). ლუისის თანახმად, სამყაროთა შორის სიახლოვეს განაპირობებს A მოვ-

ლენამდე წარსულის სრული დამთხვევა, „მცირე სასწაული“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ვირტუალურ სამყაროში A-ს „გაქრობა“ და შემდგომ, რეალური სამყაროს ანალოგიური კანონების მიხედვით მომავლის (შესაძლოა, რეალურისგან უკვე საკმაოდ განსხვავებულის) კონსტრუირება. ეს დროითი ასიმეტრია (წარსულის დამთხვევა და მომავლის განსხვავება და არა – პირიქით) ლუისის კონტერფაქტუალური თეორიის პრინციპული შემადგენელია. ამდენად, სამყაროთა მსგავსების მთავარი კრიტერიუმი, ფიზიკური კანონების იგივეობასთან ერთად, შესაბამისი კონტერფაქტუალური გამონათქვამის ანტიცედენტში მოხსენიებული მოვლენის (A) წინა ისტორიის დამთხვევაზე დაიყვანება. ოღონდ ამგვარი მეთოდი გამორიცხავს ე. წ. „უკუმიმართული“ კონტერფაქტუალების („A რომ მომხდარიყო, მასზე ადრე B-ც უნდა მომხდარიყო“) ანალიზს. მსგავსი გამონათქვამების ანალიზს ლუისი არც თვლის საჭიროდ, რადგან მათი ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა, მისი აზრით, უბრალოდ, შეუძლებელია. ელგა სტატისტიკური მექანიკის პრინციპების საფუძველზე ეჭვის ქვეშ აყენებს ლუისისეულ „დროით ასიმეტრიას“ და აგებს ვირტუალურ სამყაროს, რომელშიც ხსენებული A მოვლენის არა წარსული, არამედ მომავალი ისტორია დაემთხვევა რეალურს (Elga, 2001: 313-324). ამგვარი მიდგომით კი უკვე შეუძლებელი ხდება ჩვეულებრივი (არა უკუმიმართული) კონტერფაქტუალური გამონათქვამის ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენა. ელგას ვირტუალური სამყარო თითქოს სავსებით ლეგიტიმურია ლუისის კონცეფციის ფარგლებშიც კი – აქ რეალური სამყაროს იდენტური კანონები მოქმედებს და ის სრულად ემთხვევა რეალური სამყაროს ისტორიის „ნახევარს“ (ოღონდ, მომავალს და არა წარსულს). ერთი ეგაა, ამ სამყაროში A მოვლენის წინა ისტორია წარსულიდან მომავლისკენ ვითარდება ენტროპიის შემცირების კვალდაკვალ, რაც სტატისტიკური მექანიკის თანახმად, გამორიცხული არაა, მაგრამ უკიდურესად ნაკლებსავარაუდოა. ერთი სიტყვით, კონტერფაქტუალური გამონათქვამის შესაფასებლად ლუისი აგებს რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ ვირტუალურ სამყაროს, მისი კოლეგა-ოპონენტის კი „მაქსიმალური სიახლოვის“ ლუისისევი კრიტერიუმის გარკვეული მოდიფიკაციით ისეთ ვირტუალურ სამყაროს ქმნის, რომლის ალბათობაც უსაზღვროდ მცირეა, სამაგიეროდ იძლევა ინტუიციურად აბსურდული შედეგის სრულ გარანტიას (გრეთა ისე მოახერხებდა კვერცხის შეწვას, რომ მისი გატეხვაც არ დასჭირდებოდა). რაოდენ ყურით მოთრეულიც არ უნდა იყოს ელგას არგუმენტაცია, კონტერფაქტუალთა ანალიზის ვირტუალურ სამყაროთა ლუისისეული კონცეფციის დისკრედიტაციის მცდელობა, ვფიქრობთ, სრულ თანაგრძნობას იმსახურებს. თუნდაც იმიტომ, რომ ხსენებული ანალიზი შეგნებულად უვლის გვერდს უკუმიმართული კონტერფაქტუალური გამონათქვამების სემანტიკურ ინტერპრეტაციას იმ საბაბით, რომ ასეთი გამონათქვამები სპეციფიკური სინტაქსით გამოირჩევიან [Lewis, 1979: 458] (“If Jim asked Jack for help today, there would have to have been no quarrel yesterday”), თუმცა არ გამორიცხავს რეტროკაუზაციის პრინციპულ შესაძლებლობას.

თუ სემანტიკური ანალიზის ადეკვატურობის კრიტერიუმად მივიჩნევთ ნებისმიერი გამართული ბუნებრივენოვანი ფრაზის (ანუ საკმარისად რეგულარულის იმისთვის, რომ არ ჩაითვალოს ბოდვად) ინტუიციურად დამაჯერებელ ინტერპრეტაციას, მაშინ ასეთი ანალიზი აუცილებლად უნდა მოიცავდეს უკუმიმართულ კონტერფაქტუალურ და რეტროკაუზალურ გამონათქვამებს. ენის ფილოსოფია და ზოგადად, ფილოსოფია ხსენებულ საკითხებს მხოლოდ და მხოლოდ ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ურთიერთმიმართების

ფარგლებში განიხილავს და შესაბამისი ბუნებრივენოვანი გამონათქვამების ჭეშმარიტობა-მცდარობის დადგენა ვერც კი წარმოუდგენია ინტერტექსტუალური მიმართებების საფუძველზე – ექსტრალინგვისტური „საყრდენის“ გარეშე. კონცეფცია, რომელიც უარყოფს ენობრივი უზუსით ლეგიტიმირებულ რეტროკაუზაციის შესაძლებლობას, ფაქტიურად „კანონგარეშე“ მდგომარეობაში იგდებს თავს. ამავე დროს, ერთი შეხედვით, საკმაოდ ძნელია ისეთი ექსტრალინგვისტური სიტუაციის კონსტრუირება, რომელიც რეტროკაუზაციის შესაძლებლობას დაუშვებდა.

საკითხის გარკვევაში ნიუქამის პარადოქსი დაგვეხმარება. რაღაც არსება, რომელსაც აქვს ადამიანის ქმედებათა უშეცდომო წინასწარგანჭვრეტის უნარი, ეთამაშება ადამიანს – ელისს. არსება სთავაზობს ელისს გააკეთოს არჩევანი: მოცემული ორი A და B ყუთიდან წაიღოს A ან წაიღოს ორივე – A და B; B ყუთში ნებისმიერ შემთხვევაში ჩადებული იქნება 1000 დოლარი; B ყუთი გამჭვირვალეა, A – გაუმჭვირვალე. თუ ელისი წაიღებს მხოლოდ A ყუთს, მისი არჩევანი არსებას ნაწინასწარმეტყველები ექნება და ამ ყუთში დაახვედრებს მილიონ დოლარს. თუ ელისი ორივე ყუთს აირჩევს, მაშინ არსებას ესეც წინასწარ ექნება განჭვრეტილი და A ყუთი ცარიელი იქნება. ყუთების შიგთავსს არსება თამაშამდე გარკვეული ხნით ადრე განსაზღვრავს ელისის არჩევანის წინასწარმეტყველების საფუძველზე (ელისისთვის ეს წინასწარმეტყველება თამაშის ბოლომდე უცნობი რჩება) და შემდგომ არ ცვლის ჩადებულ თანხას. რა არჩევანი უნდა გააკეთოს ელისმა, თუ მისი მიზანი მაქსიმალური თანხის მიღებაა? პარადოქსი ისაა, რომ ორივე ურთიერთგამომრიცხავ პასუხს აქვს რაციონალური დასაბუთება. ნახევარი საუკუნეა, უამრავი ფილოსოფოსი, თეოლოგი („ვინ უნდა იყოს ის ყოვლისმცოდნე არსება, თუ არა ღმერთი?“) და თამაშის თეორეტიკოსი ხალისით მსჯელობს ამ პარადოქსზე და ყოველი მათგანი დამაჯერებლად აცამტყვრებს დანარჩენი მოხალისეების არგუმენტებს. ერთი მხრივ, წარსული ფიქსირებულია, ანუ, მას ვეღარ შეცვლით – უზენაესმა არსებამ უკვე t_0 დროის მომენტში განსაზღვრა A ყუთის შიგთავსი. მოგვიანო, t_1 მომენტში გაკეთებული ელისის არჩევანი უკვე ვეღარ იმოქმედებს A ყუთში მილიონის არსებობა-არარსებობაზე. ამიტომაც მან ორივე ყუთი უნდა აიღოს: არაფერს სჯობია ათასი (უარეს შემთხვევაში), მილიონს კი – მილიონ ათასი (უკეთეს შემთხვევაში). მეორე მხრივ, უზენაესი არსება არასდროს ცდება, მან ზუსტად იცის, რა არჩევანს გააკეთებს ელისი და შესაბამისად, ან ჩადებს მილიონს A ყუთში, ან – არა. ამ დილემის გადაწყვეტა და თამაშის პარადოქსალურობის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ რეტროკაუზაციის დაშვებით, ე. ი. თუ, ჯერ ერთი, ეჭვის ქვეშ არ დავაყენებთ თამაშის უმთავრეს პირობას – უზენაესი არსების შეუმცდარობას და მეორეც, შევეგუებით იმ აზრს, რომ ელისის არჩევანი t_1 მომენტში გავლენას ახდენს წინა, t_0 მომენტში არსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. შმიდტი (Schmidt, 1998: 67-87) ნიუქამის თამაშს მხატვრულ სიუჟეტად აქცევს ამ გზით ცდილობს გაუადვილოს მკითხველს რეტროკაუზაციის მიღება. ამავე დროს, თუ უარს ვიტყვით თამაშის რეტროკაუზალურ ინტერპრეტაციაზე, მთელი სიმწვავეთ დგება ინდივიდის არჩევანის თავისუფლებისა და ფატალიზმის პრობლემა.

ერთი შეხედვით, ყველა ამ ურთიერთდაკავშირებული საკითხის საინტერესო გადაწყვეტას გვთავაზობს კვანტური ალგორითმი. ნიუქამის თამაშის კვანტური ვერსია არ გულისხმობს რეტროკაუზაციას, ელისი თავისუფლად და გააზრებულად აკეთებს არჩევანს და უზენაესი არსების წინასწარმეტყველება ყოველთვის მართლდება – მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ ერთი შეხედვით. მოგ-

ლენები კი ასე ვითარდება: არსება განსაზღვრავს თამაშის საწყის მდგომარეობას, რომელიც შეესაბამება ორი შესაძლო წინასწარმეტყველებიდან ერთ-ერთს (ელისი აიღებს მხოლოდ A ყუთს ან ორივეს) და ახდენს ამ საწყისი მდგომარეობის გარკვეულ ტრანსფორმაციას ე. წ. ადამარის ოპერატორის გამოყენებით. ამის შემდეგ ელისი აკეთებს სვლას: p ალბათობით ($0 \leq p \leq 1$) ცვლის არსებულ მდგომარეობას და $1-p$ ალბათობით მდგომარეობას უცვლელად ტოვებს. შემდეგ უკვე არსება კიდევ ერთხელ ზემოქმედებს მიღებულ მდგომარეობაზე ადამარის ოპერატორით და ფიქსირდება თამაშის შედეგი: საბოლოო მდგომარეობა ყოველთვის ემთხვევა უზენაესი არსების მიერ თავდაპირველად განსაზღვრულ მდგომარეობას (იმისდა მიუხედავად, თუ $[0, 1]$ ინტერვალიდან რა მნიშვნელობას მიიღებდა p). ეს ყველაფერი რამდენადმე განსხვავდება ნიუქამისეული პარადოქსისგან – კვანტურ თამაშში ელისის არჩევანი არის არა $A/A\&B$, არამედ უზენაესი არსების თავდაპირველი (ელისისთვის უცნობი) ვარაუდის შეცვლა/არშეცვლა (გამართლოს მისი წინასწარმეტყველება ან მოახდინოს იმის დემონსტრირება, რომ უზენაესი არსება ცდებოდა), ადამარის ოპერატორის მარწუხებში მოქცეული ელისის სვლა კი საერთოდაც არარელევანტურია თამაშის შედეგისთვის. მეტიც, „ამ შედეგის მისაღწევად უზენაეს არსებას არც სჭირდება ყოვლისმცოდნეობა, მისთვის კვანტური მექანიკის ცოდნაც საკმარისია“ (Grabbe, 2005: 42). ამკარაა, რეტროკაუზალური მიმართების აღიარების გარეშე ამ პარადოქსს ვერც კვანტური მექანიკა შევლის. ეს კი არც ისე ძნელი უნდა იყოს, რამდენადაც ნებისმიერი კულტურა უამრავ მსგავს მაგალითს მოიცავს. ყბადაღებული ფრაზა „რუსეთის ისტორიის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია“ თამამად შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერ ერზე და ყოველგვარი ირონიის გარეშეც – ბოლოს და ბოლოს, ობიექტის მნიშვნელობას მისი კონტექსტი განსაზღვრავს, წარსულისთვის კი ასეთი კონტექსტი, უპირველეს ყოვლისა, მომავალია. მკაცრად დეტერმინისტულ სამყაროში, სადაც უმიზეზოდ და შემთხვევით არაფერი ხდება, მომავალიც ზუსტად ისევეა განსაზღვრული, როგორც წარსული, ხოლო კაუზალური მიმართება მარტივად შეიძლება დაყვანილ იქნას იმპლიკაციაზე – დროითი განზომილება სრულიად კარგავს რელევანტობას. იხსნება ის უზერხულობაც, რასაც ამ ყველაფრის ფატალისტური ინტერპრეტაცია იწვევდა. ერთი მხრივ, ელისს თავისუფალი არჩევანისთვის თითქოს სივრცეც არ რჩება, თუ მან მხოლოდ უნდა დაადასტუროს უზენაესი არსების მიერ წინასწარ განჭვრეტილი გადაწყვეტილება, მაგრამ ანალოგიური მიმართებაა მწერალსა და მის პერსონაჟს შორის; განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ჩანს დოსტოევსკის შემოქმედების ბახტინისეულ ინტერპრეტაციაში: «В замысле Достоевского герой – носитель полноценного слова, а не немой, безгласный предмет авторского слова. Замысел автора о герое – замысел о слове. Поэтому и слово автора о герое – слово о слове. Оно ориентировано на героя как на слово и потому диалогически обращено к нему. Автор говорит всею конструкцией своего романа не о герое, а с героем.» (Бахтин, 1963: 37). მართალია, ავტორი საბოლოოდ მაინც ვერ გაეცევა თავის განსაზღვრულ როლს და პერსონაჟიც მისთვის ობიექტად დარჩება, მაგრამ ლიტერატურულ გმირს აქვს თავისუფალი ნება და თავისუფალი არჩევანი, ოღონდ არა – ავტორისთვის. ნებისმიერ ელისს არაფერი არ ზღუდავს გადაწყვეტილების მიღებისას საკუთარი ცნობიერების გარდა. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ათვლის წერტილზე იქნება დამოკიდებული. საკუთარ სივრცეში ის სრულიად თავისუფალია და რეტროკაუზაციის გზით გავლენას ახდენს უზენაესი არსების წარსულში მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

უკუმიმართული კონტერფაქტუალური და რეტროკაუზალური ბუნებრივ-ნობრივი გამონათქვამების სემანტიკურ ინტერპრეტაციას და მათი ჭეშმარიტება-მცდარობის დადგენის ამოცანას ყველაზე ადვილად ენის კულტურულ მატარებელთა ინტუიცია უმკლავდება. სემანტიკურ თეორიას, რომელიც, როგორც ჩანს, ყოველთვის დაეფუძნება ექსტრალინგვისტურ სპეკულაციებს, თავისი ადეკვატურობის კრიტერიუმად სწორედ ლინგვისტურ ინტუიციასთან თანხვედრის აღიარება მოუწევს – ზუსტად ისევე, როგორც ნიუქემის თამაშში ადამიანი განწირულია დაადასტუროს „უზენაესი არსების“ წინასწარმეტყველება.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Elga, A. Statistical Mechanics and the Asymmetry of Counterfactual Dependence. *Philosophy of Science*, Suppl. 68, 2001.
2. Grabbe, J. Orlin. *An Introduction to Quantum Game Theory*. arXiv:quant-ph/0506219v1
3. Lewis, David. Causation. *Journal of Philosophy* 70 (17), 1973.
4. Lewis, David. Counterfactual Dependence and Time's Arrow. *Noûs* 1, 1979.
5. Schmidt, Jan Hendrik. Newcomb's Paradox Realized with Backward Causation. *The British Journal for the Philosophy of Science*, Vol. 49, No. 1 (Mar., 1998).
6. Бахтин, М.М. *Проблемы поэтики Достоевского*. М., 1963.

სემიტური ენების ზოგიერთი მახასიათებლის შესახებ

შედარებით-ისტორიული სემიტოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, წარმოაჩინოს სხვადასხვა ენობრივ დონეზე მიმდინარე პროცესების სინქრონიული და დიაქრონიული ანალიზი. გარდა ამისა, უკანასკნელ ხანებში შედარებით სემიტოლოგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმგვარ გამოკვლევებს, რომლებიც ეხება საერთოსემიტური ვითარების რეალიზაციის საკითხებს ცალკეულ ენებსა და შტოებში. წინამდებარე სტატიის მიზანია, განისაზღვროს სემიტური ფონოლოგიური სისტემის შემადგენელი ქვესისტემების, კლასებისა და რიგების ტრანსფორმირებულობის ხარისხი ცალკეულ ენებსა და შტოებში, შესაბამისად, დადგინდეს და გამოიყოს ის ენები, რომელთა ბგერითი სისტემებიც საწყის სისტემასთან მიმართებაში ძლიერ, საშუალო ხარისხის ან სუსტ მსგავსებას ამჟღავნებენ.

იმისათვის, რომ ვიმსჯელოთ, თუ რა სახის ტრანსფორმაციები განიცადეს სემიტური ფონოლოგიური სისტემის ცალკეულმა ქვესისტემებმა, კლასებმა და რიგებმა სხვადასხვა სემიტურ ენებსა და შტოებში, საჭიროა შევვხვით სემიტური ფონოლოგიური სისტემის ზოგად მახასიათებლებს. ამჟამად მოკლედ განვიხილავთ პროტოსემიტურისა და ცალკეული რეალიზებული სემიტური ენებისა და შტოების უმნიშვნელოვანეს ნიშან-თვისებებს, რაც მათ სპეციფიკას განაპირობებს და გამოარჩევს სხვა ენებისაგან (მეფარიშვილი, 2008: 21-22).

პროტოსემიტური რეკონსტრუირებული ფონოლოგიური სისტემის მთავარ მახასიათებლებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს შემდეგი:

1. საერთოსემიტურ ფონოლოგიურ სისტემას ახასიათებს უაღრესად მდიდარი კონსონანტიზმი მრავალრიცხოვანი საარტიკულაციო რიგებით, განსხვავებით ვოკალთა სისტემისაგან, რომელიც მეტად მწირია. სემიტური კონსონანტიზმი ხასიათდება წინა, შუა და უკანაენისმიერთა სოლიდური რაოდენობით. აქ წარმოდგენილია შემდეგი საარტიკულაციო რიგები: ბილაბიალური $b\ p$, დენტალური $d\ t\ \text{ṯ}$, ინტერდენტალური $\text{ḏ}\ \text{ṭ}\ \text{Ṣ}$, ალვეოლარული $z\ s\ \text{š}$ პრეპალატალური ṣ , ველარული $g\ k\ \text{ḡ}$, უფულარული q , ფარინგალური ħ და ლარინგალური h . ამას ემატება ორი აპროქსიმანტი: ბილაბიალური w და პალატალური y , აგრეთვე ოთხი ლიკვიდი ანუ სონორი ფონემა: $r\ l\ m\ n$, ასევე უნდა ვახსენოთ დამატებითი ლატერალური კოარტიკულაციის მქონე ორი სპეციფიკური სისინა ყრუ სიბილანტი ś და ṣ .

2. ფონოლოგიურ სისტემაში ოპოზიცია იქმნება მჟღერობა: სიყრუე: გლოტალიზებულიობის ნიშნით. ამასთანავე, აღნიშნული ოპოზიციები იქმნება როგორც ხშულთა სამეულებში (მაგ., $d:t:\text{ṯ}$ $g:k:q$), ასევე ნაპრალოვნებში (მაგ., $z:s:\text{š}$ $\text{ḏ}:\text{ṭ}:\text{Ṣ}$).

3. განსაკუთრებით თვალშისაცემია როგორც უკანაენისმიერ (გუტურალურ) $[g\ k\ q\ \text{ḡ}\ \text{ħ}\ \text{h}]$, ისე სიბილანტურ $[d\ \text{ṯ}\ \text{Ṣ}\ z\ s\ \text{š}\ \text{ś}\ \text{ṣ}]$ ფონემათა სიმრავლე და ფონეტიკური მრავალფეროვნება.

4. სემიტური ენებისათვის დამახასიათებელია ე.წ. „ემფატიკური“ თანხმოვნები, რომლებიც პროტოსემიტურ დონეზე უნდა აღდგეს როგორც გლოტალიზებულიები. ცალკეულ სემიტურ შტოებსა და ენებში ისინი სწორედ გლოტალიზებულია, ხოლო ენათა და შტოთა მეორე ნაწილში კი – ფარინგალიზებული ანუ

„ემფატიკური“ გლოტალიზებული სახითაა ისინი შენარჩუნებული ახალ სამხრეთ-თარაბულ ენებსა და ეთიოსემიტურში, ხოლო ფარინგალიზებული კოარტიკულაციით წარმოგვიდგება დანარჩენ სემიტურ ენებში, მაგ., არაბულში, არამეულში, ებრაულში.

5. განსაკუთრებით საყურადღებოა სემიტური ფონოლოგიისათვის სპეციფიკური ე.წ. ლატერალური სიბილანტების – ზღ-ს არსებობა. ასევე მნიშვნელოვანია აფრიკატ ფონემათა განვითარება დიაქრონიაში. თუმცა აფრიკატების პროტოსემიტურ დონეზე აღდგენა არ ივარაუდება, მაგრამ მათი განვითარების შინაგანი რესურსი ცალკეულ შტოებსა და ენებში სრულიად ბუნებრივი იყო, რაც განხორციელდა კიდევ. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ არაბული, ასევე ეთიოსემიტური ენები და დიალექტები, აგრეთვე ახალარამეული დიალექტები და ა.შ. (იხ. Церетели К.Г. 1979: 112 და მ.მეფარიშვილი, 2008: 83).

6. დაბოლოს, კიდევ ერთხელ უნდა ვახსენოთ ვოკალთა ქვესისტემა, რომელიც სემიტურ კონსონანტიზმთან შედარებით ბევრად ღარიბია, რადგან იგი ფუნქციონალური თვალსაზრისით ერთგვარად შეზღუდულია, ვინაიდან ძირის სემანტიკას არ განსაზღვრავს.

სტატიის შესავალში დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა, პირველ რიგში, გამოვყოთ სემიტური ფონოლოგიური სისტემის შემადგენელი ქვესისტემები და კლასები, მეორე მხრივ, განვიხილოთ მათი განვითარება დიაქრონიაში ანუ შევუდაროთ ისინი ცალკეულ ენებსა და შტოებში დადასტურებულ მოდიფიცირებულ ვარიანტებს და ბოლოს, განვსაზღვროთ მათი ტრანსფორმაციის ხარისხი აღნიშნულ ენებსა და შტოებში. თავდაპირველად ყურადღება გავამახვილოთ სისტემის შემადგენელ კომპონენტებზე. საერთოსემიტურ ფონოლოგიურ სისტემაში, თავის მხრივ, გამოიყოფა რამდენიმე ქვესისტემა თუ კლასი, რომელთა შორისაა:

- ა. ვოკალთა ქვესისტემა;
- ბ. აპროქსიმანტები ანუ ნახევარხმოვნები ;
- გ. ლიკვიდთა ანუ სონორთა კლასი (r l m n);
- დ. ხშულთა კლასი, რომელიც რვა თანმოვანს მოიცავს და შედგება ლაბი-ალური, დენტალური, ველარული რიგებისაგან (b p d t ო g k ო);
- ე. ცხრა ფონემისაგან შემდგარი სიბილანტთა რთული ქვესისტემა, რომელიც მოიცავს ინტერდენტალურ (d t ო), ალვეოლარულ (z s ო), პრეპალატალურ (წ) და ლატერალურ (წ) სიბილანტურ რიგებს;
- ვ. ექვსი ფონემისგან შემდგენილი გუტურალურ წყვილეთა ქვესისტემა ველარული (ო ო), ფარინგალური (' ო) და ლარინგალური (' ო) რიგებით.

თუ შევუდარებთ პროტოსემიტურში არსებულ ვითარებას ცალკეულ სემიტურ შტოებსა და ენებში დადასტურებულ სურათს ანუ თვალს გავადევნებთ ჩამოთვლილი ქვესისტემებისა და კლასების განვითარებას დიაქრონიაში, შეგვიძლია აღვნიშნოთ შემდეგი: ზემოჩამოთვლილი ექვსი კლასი თუ ქვესისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება დიაქრონიაში ტრანსფორმირებულობის ხარისხით; ზოგიერთი მათგანი კონსერვატიულობითა და სტაბილურობით გამოირჩევა, ხოლო სხვები კი შედარებით მცირე ან მაღალი ხარისხის მოდიფიკაციას ავლენენ. თუ შედარების კრიტერიუმად მოდიფიკაციის ხარისხს გამოვიყენებთ, მაშინ ზემოაღნიშნული ქვესისტემები და კლასები შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს.

პირველ ჯგუფში გაერთიანდება ისეთი ქვესისტემა, კლასი ან კლასის შიგნით არსებული რიგი, რომელიც კონსერვატიზმითა და სტაბილურობით გა-

მოიჩვენებს ანუ ისინი, რომელთაც დიაქრონიაში ცვლილებები არ განუცდიათ და პროტოსისტემასთან იდენტურობას ავლენენ. ასეთია, მაგალითად, მთლიანად სონორთა კლასი, აგრეთვე ხშულთა კლასის შიგნით სტაბილურობით გამოირჩეული დენტალური ტრიადა (d t ð), ხოლო სიბილანტთა ქვესისტემის შიგნით კი – მარტივ ალვეოლარულ სიბილანტთა (z s ʃ) ტრიადა.

მეორე ჯგუფში შეგვიძლია გავაერთიანოთ ფონემათა ის კლასები ან ქვესისტემათა ის რიგები, რომელთაც დიაქრონიაში ცალკეულ ენებსა თუ შტოებში შედარებით უმნიშვნელო ცვლილებები განიცადეს. აქ უნდა დავასახელოთ ნახევარხმოვნები, უკანანისმიერ წყვილულთა ქვესისტემის შიგნით ფარინგალები, ხშულთა კლასში კი – ლაბიალური და ველარული რიგები.

მესამე ჯგუფში კი გაერთიანებულია ფონემათა ის კლასები ან ქვესისტემათა ის რიგები, რომლებმაც ცალკეულ სემიტურ შტოებსა და ენებში საგრძნობი მოდიფიკაციები განიცადეს. აქ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ხმოვანთა და სიბილანტთა (ალვეოლარული რიგის გამოკლებით) ქვესისტემები, აგრეთვე გუტურალურ წყვილულებში – ველარული რიგი.

წყარო-სისტემისა და სხვადასხვა ენებში რეალიზებული ტრანსფორმირებული სისტემების შედარებისას ირკვევა, რომ პროტოსისტემასთან ყველაზე დიდ მსგავსებას ავლენენ ეპიგრაფიკული და ახალი სამხრეთარაბული ენები, აგრეთვე ჩრდილოარაბული, კონსერვატიულობის თვალსაზრისით მათ მოსდევს დასავლურსემიტურიდან უგარიტული. ამის საპირისპიროდ, უკიდურესად მოდიფიცირებულია აქადური, შემდეგ – სამხრეთეთიოპური ენები, ებრაული და არამეული კი ამ თვალსაზრისით შუალედურ პოზიციას გვიჩვენებენ. აღნიშნული დასკვნის მართებულებაში დასარწმუნებლად მოკლედ განვიხილოთ მესამე და მეორე ჯგუფში გაერთიანებული კლასებისა და ქვესისტემების ტრანსფორმირებულობის ხარისხი ცალკეულ სემიტურ ენებში. თავდაპირველად შევეხოთ ორ მოდიფიცირებულ ქვესისტემას, რომელმაც ძლიერი ცვლილება განიცადა სემიტური ენების დიფერენციაციისა და განვითარების გზაზე. ესენია ა. ხმოვანთა და ბ. სიბილანტთა ქვესისტემები.

ა. სემიტურ ხმოვნებს ენობრივ სისტემაში ახასიათებთ ფუნქციონალური თვალსაზრისით არასრულფასოვნება, რაც იმაში ვლინდება, რომ ისინი რელაციურ ელემენტებად გვევლინება, რადგან სემიტური ძირის მნიშვნელობას კონსონანტი ფონემები გადმოსცემენ, ხოლო ვოკალები გრამატიკულ ფუნქციას ასრულებენ ან კიდევ აზუსტებენ ძირითადი მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსებს. პროტოსემიტურ დონეზე აღდგება სამი ხმოვანი ორი სიგრძით, კერძოდ, წინა რიგის დაბალი აწეულობის ფართო ა, მაღალი აწეულობის ი და უკანა რიგის მაღალი აწეულობის უ. ამგვარი სურათი უცვლელი სახითაა შენარჩუნებული **ჩრდილოარაბულში, ეპიგრაფიკულ სამხრეთარაბულსა და უგარიტულში**. საინტერესოა, რომ დასახელებული ენები, ზოგადად, მდიდარი კონსონანტიზმით ხასიათდება, მათში შესაბამისად, 28, 29 და 27 თანხმოვანია წარმოდგენილი. ისიც უნდა ითქვას, რომ განვითარების მოგვიანო ეტაპზე ჩრდილოარაბულის დიალექტებში ე და ო ხმოვნებიც გაჩნდა. ცვლილებები განხორციელდა **ასა** (ახალ სამხრეთარაბულ) ენებშიც, კერძოდ, აქ გვაქვს 7 ხმოვანი; გრძელი ა ე ი ო უ და მოკლე ა და ე. მსგავსი ვითარებაა **ეთიოსემიტურშიც**; აქ წარმოდგენილია 5 მოკლე (ა ე ი ო უ) და 2 გრძელი ხმოვანი (ა ე). ამას გარდა, **ამჰარულში** ულტრამოკლე ხმოვანიც გაჩნდა. რაც შეეხება აქადურს, აქ ტრადიციული ა ი უ ხმოვნების გარდა მეოთხე ე ხმოვანიც გაჩნდა, თითოეული ორ-ორი სიგრძით. ხმოვანთა სისტემა უკიდურესად მოდიფიცირებულია ჩრდილოდასავლურ შტო-

ში, კერძოდ, **ებრაულსა** და **არამეულში**. აქ გვაქვს 5 (ა ი უ ო ე) ხმოვანი მოკლე და გრძელი ვარიანტებით. ამას ემატება მესამე – ულტრამოკლე სიგრძე ანუ ხმოვანთა სისტემა უკიდურესად გამდიდრებულია. ყურადღებას იმსახურებს ფონოლოგიურ სისტემაში ე.წ. ბალანსის ფაქტორი, ამ ენებში კონსონანტთა სისტემა გაღარიბდა, მოხდა ზოგიერთ თანხმოვან ფონემათა ოპოზიციის ნეიტრალიზაცია და შერწყმა არამარკირებულ კონსონანტებთან. შედეგად, 28-29 პროტოსემიტური თანხმოვნის ნაცვლად ამ ენებში დარჩა 22-23 კონსონანტი, სამაგიეროდ გამდიდრდა ხმოვანთა სისტემა, ეს მოვლენა საინტერესოა ზოგადტიპოლოგიური თვალსაზრისითაც.

ბ. ურთულესი სიბილანტთა ქვესისტემა პროტოსემიტურ დონეზე 9 ფონემითაა წარმოდგენილი. ესენია ერთმანეთისგან მინიმალური დიფერენციალური ნიშნებით განსხვავებული ნაპრალოვანი სისინ-შიშინა ფონემები, რომელთა შორის ორი მჟღერია (z d) და 7 ყრუ, სამი მათგანი გლოტალიზებულია (ან ფარინგალიზებული ანუ „ემფატიკური“), საარტიკულაციო რიგებია ინტერდენტალური (I ჰორიზონტალური რიგი), ალვეოლარული (II რ.), პრეპალატალური (III რ.). არის ორი დამატებითი ლატერალური კოარტიკულაციის მქონე ფონემაც (IV რ.). სიბილანტთა ქვესისტემა პროტოსემიტურ დონეზე შემდეგი სახით აღდგება: იხ. სქემა (1)

(1)			(2)			D (3)			(4)		
ḏ	ṭ	ṭ̣	ḏ	ṭ	ṭ̣	ḏ	ṭ	ṭ̣			
z	s	ʃ	z	s	ʃ	z	s	ʃ	z	s	ʃ
	š			š			š			š	
-	ś	ʒ	-	ś	ʒ			d			

ამგვარი მინიმალურად განსხვავებული ფონემების სიმრავლე მაღალი ალბათობით უნდა გამარტივებულიყო. ასეც მოხდა, პირველ რიგში გამარტივდა დამატებითი ან რთული არტიკულაციის მქონე ფონემები ანუ ლატერალური და ინტერდენტალური სიბილანტები. ლატერალური სიბილანტები თითქმის იმავე ფონეტიკური მნიშვნელობით მხოლოდ **ეპიგრაფიკულსა** და **ახალ სამხრეთარაბულ** ჯგუფშია წარმოდგენილი, ხოლო ინტერდენტალური კი – **ჩრდილო და სამხრეთარაბულში**, აგრეთვე დასავლურსემიტურიდან **უგარიტულში**. აღსანიშნავია ისიც, რომ იმ ენებშიც, სადაც ეს ფონემები შენარჩუნებულია, თავად რიგის შიგნით ზოგიერთი წევრი ფონეტიკურად სახეცვლილია. მაგ., **არაბულში** ინტერდენტალურების ყრუ გლოტალიზებული წევრი გამჟღერებულია (იხ. სქემა (3), ან კიდევ, იგი ასევე გამჟღერებულია **ახალ სამხრეთარაბულში**, ისევე როგორც პროტოსემიტური ყრუ გლოტალიზებული ლატერალური სიბილანტი, თან ამ უკანასკნელს გლოტალიზაციაც დაკარგული აქვს, თუმც ლატერალურ კოარტიკულაციას ინარჩუნებს იხ. სქემა (2).

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მოდიფიკაცია, რომელიც სემიტური ენების დიფერენციაციის ადრეულ ეტაპზევე განხორციელდა, უკავშირდება შიშინა შ-ს. კერძოდ, **არაბულში**, **ეთიოსემიტურსა** და **სამხრეთარაბულში** შიშინა ṣ გადავიდა სისინა s-ში. ამ კონტექსტში უაღრესად საინტერესოა ზოგადად პროტოსემიტურ სიბილანტთა ქვესისტემის ყრუ ფონემათა ვერტიკალურ ოთხი წევრისგან შედგენილ რიგში განხორციელებული ცვლილებები. კერძოდ, ოთხწევრა ოპოზიცია შენარჩუნებულია მხოლოდ **სამხრეთარაბულ** ენებში, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს

მსგავსება ერთგვარად გარეგნულია, რადგან ξ აქ მეორეული წარმოშობისაა და არ უკავშირდება ეტიმოლოგიურად პროტოსემიტურ $\xi - \text{ს}$, რომელიც ამ ენებშიც არაბულისა და ეთიოსემიტურის მსგავსად s -შია გადასული. სამხრეთარაბული ენების გარდა ოთხწევრა ოპოზიცია არსად აღარ გვხვდება, იგი სამწევრა ოპოზიციად მოდიფიცირდა **არაბულში**, **უგარიტულში** და ნაწილობრივ **ძველებრაულში**, ხოლო **არამეულში**, **აქადურსა** და **ეთიოსემიტურში** კი – ორწევრა ოპოზიციები დასტურდება, რადგან აღნიშნულ ენებში ტრანსფორმირებულია ყრუ სიბილანტთა ოპოზიციის როგორც ინტერდენტალური ξ წევრი, ასევე ყრუ ლატერალური ξ -ც იხ. სქემა (4). აქვე დამატებით შევნიშნავთ, რომ ლატერალური სიბილანტების რიგის მეორე გლოტალიზებული წევრი ξ ყველაზე მოდიფიცირებული ფონემაა არა მხოლოდ სიბილანტთა ქვესისტემის შიგნით, არამედ მთელ ფონოლოგიურ სისტემაში. ეს ისტორიული ფონემა სხვადასხვა სემიტურ ენებში რეალიზებულია ξ და ξ' რეფლექსების სახით, ამაზე დაწვრილებით იხ. მ. მეფარიშვილი, 2008: 107-111.

თუ შევაჯამებთ სიბილანტთა ქვესისტემის ტრანსფორმაციის ხარისხს, უნდა აღინიშნოს, რომ უაღრესად მარკირებული და შესაბამისად, ტრანსფორმირებულია ლატერალურ სიბილანტთა რიგი, განსაკუთრებით, მისი გლოტალიზებული წევრი ξ , რომელსაც მოდიფიკაციების კუთხით კონკურენციას სემიტური ფონოლოგიური სისტემის ვერცერთი სხვა წევრი ვერ უწევს. ლატერალურ სიბილანტებს სირთულითა და დიაქრონიული ცვლილებების კუთხით მოსდევს ინტერდენტალურ სიბილანტთა სამწევრიანი რიგი. აქვე დამატებით შევნიშნავთ, რომ ფონემათა სხვა კლასებიდან ზემოთ ჩამოთვლილ მოდიფიცირებულ ფონემებს მოსდევს ველარულ სპირანტთა წყვილეთულის მუღერი ξ' წევრი. რაც შეეხება ენებსა და შტოებს, პროტოსემიტურ სიბილანტთა ქვესისტემა აბსოლუტურად იდენტურ სურათს არცერთ სემიტურ ენასა და შტოში არ იძლევა. პროტოსისტემას ყველაზე მეტად ჰგავს **ეპიგრაფიკული** და **ახალი სამხრეთარაბული** ენების ჯგუფი, მათ მოსდევს **ჩრდილოარაბული**, რომელშიც მხოლოდ ლატერალური რიგია საგრძნობლად მოდიფიცირებული და დასავლურსემიტური შტოდან – **უგარიტული**. საშუალო დონის მოდიფიკაციაა განხორციელებული **ებრაულსა** და **გეეზში**, ყველაზე მეტად სახეცვლილი კი ამ მხრივ არის **აქადური**, **არამეული** და **სამხრეთეთიოპური** ენები.

ამჯერად მოკლედ მიმოვიხილოთ მეორე ჯგუფში გაერთიანებული კლასები და რიგები, რომელთაც დიაქრონიკაში სიბილანტთა და ვოკალთა ქვესისტემებთან შედარებით მცირე ცვლილებები განიცადეს. ესენია: ანახევარხმოვნები, ბ. უკანაენისმიერ წყვილეთულთა ქვესისტემის შიგნით ფარინგალები და გ. ხშულთა კლასში კი – ლაბიალური და ველარული რიგები.

ა. პროტოსემიტურ დონეზე აღდგება ორი აპროქსიმანტი: w და y (მ. მეფარიშვილი, 2008: 147; Дьяконов И. М., 1970: 21). ამასთან, მათი რეალიზაცია და გამოყენების სიხშირე ცალკეულ სემიტურ ენებსა და შტოებში სხვადასხვაგვარია. ასე მაგალითად, თუ **სამხრეთსემიტურ შტოში**, კერძოდ, სამხრეთარაბულში, ეთიოსემიტურსა და ჩრდილოარაბულში მათ ცვლილება არ განუცდიათ, **აქადურში** ორივე მათგანი დაკარგულია და ნულს იძლევა, ხოლო **ჩრდილოდასავლურში** კი (ებრაულში, არამეულში, უგარიტულში, ფინიკიურში) ძალზე დაბალია w -ის ძირში თანხმოვნის ფუნქციით გამოყენების სიხშირე, რადგან თავკიდურ პოზიციაში w პრაქტიკულად არ გვხვდება, იგი ჩანაცვლებულია y -ით, ანუ **ებრაულსა** და **არამეულში** სემიტურ w -ს ორი რეფლექსი აქვს: II და III პოზიციაში w , ხოლო თავკიდურ პოზიციაში – y .

ბ. ხშულთა კლასში ცალკეულმა რიგებმა მეტ-ნაკლები ხარისხის ტრანსფორმაცია განიცადეს სემიტურ ენებში. პროტოსემიტურ დონეზე ხშულთა კლასი ამგვარად აღდგება: იხ. (1)

ლაბიალური	b	p	-	b	-	-	b	-	-			
დენტალური	d	t	ṭ	(1)	d	t	ṭ	(2)	d	t	ṭ	(3)
ველარული	g	k	q		g	k	q		-	k	q	

სისტემაში ერთი ცარიელი უჯრედეა, რადგან ქვესისტემაში უკიდურესად მარკირებული (იხ. თ. გამყრელიძე, ზ. კიკნაძე, ი. შადური, ნ. შენგელაია., 2003: 173). გლოტალიზებული ლაბიალური პ-ს აღდგენა პროტოსემიტურ დონეზე არ ივარაუდება. ხშულთა კლასს მთლიანობაში ცვლილება არ განუცდია ჩრდილოაღმოსავლურ აქადურსა და ჩრდილოდასავლურ სემიტურ ენებში: **ებრაულში, არამეულში, უგარიტულსა და ფინიკიურში** იმ დროს, როცა მცირედ მოდიფიცირებულია ამ კლასის ლაბიალური რიგი სამხრეთსემიტურ შტოში. კერძოდ, **არაბულში, სამხრეთარაბულსა და ეთიოსემიტურში** ყრუ ლაბიალური p გასულია ხშულთა სისტემიდან და გადასულია ნაპრალოვან f-ში; შესაბამისად, აქ სისტემაში ორი ცარიელი უჯრედე გვხვდება, იხ. სქემა (2). **არაბულში** კი ხშულთა სისტემამ კიდევ ერთი ცვლილება განიცადა, სისტემაში მესამე ცარიელი უჯრედე განდა, რადგან ველარულ რიგში მჟღერი წევრი ḡ პალატალურ აფრიკატ ḡ – ში გადავიდა და ახალი ოპოზიცია შექმნა Ṣ –სთან. ამგვარად, ხშულთა სისტემა ყველაზე მეტად არაბულ ჯგუფშია მოდიფიცირებული. ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას **ეთიოსემიტურზე**, სადაც ჩნდება ასპირირებული p-ც და გლოტალიზებული p –ც, მაგრამ ორივე მათგანი მეორეული წარმოშობისაა და არავითარი ეტიმოლოგიური კავშირი პროტოფონემებთან არ გააჩნიათ. მათ თუმცა შეიძინეს ფონემის სტატუსი, მაგრამ დაბალი სიხშირული მაჩვენებლებით გამოირჩევიან და გვხვდებიან მხოლოდ ნასესხებ ლექსიკურ ერთეულებში, კერძოდ, პ გამოიყენება ყუშიტიზმებში, ხოლო ḡ – ბერძნულ ნასესხობებში.

გ. გარკვეული სახის ცვლილებები განიცადეს გუტურალურ წყვილულთა კლასის შიგნით ფარინგალურმა და ველარულმა რიგებმა. საერთოსემიტურ დონეზე აღდგენილი გუტურალურ წყვილულთა ქვესისტემა ამგვარია: იხ. სქემა (1)

ველარული	ḡ	ħ	(1)	-	ħ	(2)	-	-	(3)	-	ħ	(4)
ფარინგალ.	ʕ	ħ		ʕ	-		ʕ	ħ		-	-	
ლარინგალ.	ʕ	h		ʕ	h		ʕ	h		ʕ	-	

სისტემა ანალოგიური სახით დასტურდება **ჩრდილოარაბულში, სამხრეთარაბულსა და ჩრდილოდასავლური სემიტური შტოდან უგარიტულში**. (იხ. მ. მეფარიშვილი, 2008: 57). მოგვიანებით, **ახალ სამხრეთარაბულში** აღნიშნულმა კლასმა მცირე ცვლილებები განიცადა. კერძოდ, **მეჰრისა და ჰარსუსში** მჟღერი ფარინგალური აინი შეერწყა მჟღერ ლარინგალს (ʕ > ʕ), ხოლო **სოკოტრიში** ველარული რიგი გადავიდა ფარინგალურში (ḡ > ʕ ḡ > ħ).

ებრაულსა და არამეულში ქვესისტემაში ორი ცარიელი უჯრედე ჩნდება იხ. სქემა (2), კერძოდ, თითო წევრი აკლია ველარულსა და ფარინგალურ რიგებს:

მჟღერი ველარული č გადავიდა ფარინგალურ აინში ($\text{č} > \text{ʔ}$), ხოლო ყრუ ფარინგალური ħ კი – ველარულ ħ – ში ($\text{ħ} > \text{ħ}$). აღსანიშნავია, რომ **ებრაულსა და არამეულში** č ბგერა არსებობს, ოღონდ ალოფონის სახით როგორც შედეგი ბე-გადქეფათის წესის – ანუ პოსტვოკალურ პოზიციაში ხშულთა სპირანტიზაციის – მოქმედებისა.

უკანაენისმიერთა წყვილულები საგრძნობლადაა მოდიფიცირებული ეთი-ოსემიტურში. განვითარების ადრეულ ეტაპზე **გეეზში** დასტურდება 5 ფონემა; მჟღერი ł გასულია სისტემიდან და შერწყმულია მჟღერ ველარულ g -სთან, ყრუ x კი შენარჩუნებულია. **ტიგრესა და ტიგრინიაში** ეს უკანასკნელიც დაკარგულია და გადასულია შესაბამის ყრუ ფარინგალურ ħ -ში, ამიტომ სისტემაში ორი ცარიელი უჯრედი ჩნდება. იხ. სქემა (3). სისტემის ტრანსფორმაციის პროცესი კიდევ უფრო შორს წავიდა **სამხრეთეთიოპურში**; აქ გამარტივდა ფარინგალური რიგიც და იგი შეერწყა შესაბამის ლარინგალებს ($\text{ʔ} > \text{ħ} > \text{ħ}$).

აღნიშნული ქვესისტემა უკიდურესად მოდიფიცირებულია **აქადურში**, სადაც 6 ფონემის ნაცვლად შემორჩენილია მხოლოდ ორი: მჟღერი ლარინგალური ʔ და ყრუ ველარული ħ , რის შედეგადაც სისტემაში ოთხი ცარიელი უჯრედი, იხ. სქემა (4). დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უკანაენისმიერი წყვილულები ზემოთგანხილული კლასებიდან შედარებით მაღალი ხარისხის ტრანსფორმირებულობით გამოირჩევიან, განსაკუთრებით **აქადურ შტოსა და სამხრეთეთიოპურ ქვეჯგუფში**.

დაბოლოს, სტატიაში განხილული საკითხები შემაჯამებელი დასკვნების სახით ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

1. განხილული ქვესისტემებიდან და კლასებიდან ყველაზე კონსერვატიულია სონორთა კლასი, შემდეგ მოდის აპროქსიმანტები და ხშულთა კლასი, შემდეგ კი – უკანაენისმიერთა ქვესისტემა.

2. ამის საპირისპიროდ, ყველაზე ტრანსფორმირებულია ურთულესი ცხრა-ფონემიანი სიბილანტთა ქვესისტემა, რომელიც არცერთ შტოში არაა უცვლელი სახით წარმოდგენილი. მოდიფიკაციის ხარისხით მას მოსდევს ხმოვანთა ქვესისტემა. ამასთან, ცალკეულ ფონოლოგიურ სისტემებში შეინიშნება ერთგვარი ბალანსი; იქ, სადაც მდიდარია კონსონანტიზმი, ვოკალიზმი უფრო არქაულ სახეს ინარჩუნებს და მწირია, გამარტივებულ კონსონანტურ სისტემებში კი საპირისპირო სურათია.

3. პროტოსისტემისა და ტრანსფორმირებული სისტემების შედარებისას ცალკეული საარტიკულაციო რიგები ამგვარ სურათს იძლევა: უკიდურესად მარკირებული და შესაბამისად ტრანსფორმირებულია ლატერალურ სიბილანტთა რიგი, შემდეგ კი – ინტერდენტალურ სიბილანტთა რიგი.

4. ცალკეული ფონემებიდან ყველაზე მეტად მოდიფიცირებულია სემიტური ყრუ გლოტალიზებული ლატერალური სიბილანტი, მას მოსდევს ყრუ ლატერალური სიბილანტი ɲ და ველარულ სპირანტთა წყვილულის მჟღერი წევრი č .

5. სხვადასხვა შტოებში ამგვარი სურათი იკვეთება: პროტოსისტემასთან ყველაზე დიდ მსგავსებას ავლენენ ეპიგრაფიკული და ახალი სამხრეთარაბული ენები, აგრეთვე ჩრდილოარაბული, კონსერვატიულობის თვალსაზრისით მათ მოსდევს დასავლურემიტურიდან უგარიტული. ამის საპირისპიროდ, უკიდურესად მოდიფიცირებულია აქადური, შემდეგ – სამხრეთეთიოპური ენები, ებრაული და არამეული კი ამ თვალსაზრისით შუალედურ პოზიციას გვიჩვენებენ.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გამყრელიძე, თ., კიკნაძე, ზ., შადური, ი., შენგელაია, ნ. *თეორიული ენათმეცნიერების კურსი*, თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა, 2003.
2. მეფარიშვილი, მ. *სემიტური ენების ისტორიული გრამატიკა*, ნაწ. I, ფონეტიკა, ფონოლოგია, თბილისი: უნივერსალი, 2008.
3. Дьяконов И. М., *Семито-Хамитские языки*. Москва: Наука, 1965.
4. Церетели К. Г., *Сирийский язык*. Москва: Наука, 1979.

სახელის განსაზღვრულობა ძველ ეთიოპურ ენაში

ძველ ეთიოპურ ენაში (გეეზში) არ არის წარმოდგენილი რაიმე ნიშნით სახელის განსაზღვრელი თუ განსაზღვრული სტატუსი, როგორც სხვა სემიტურ ენებში: მაგ., კლასიკურ არაბულში განსაზღვრულობა გადმოიცემა ნუნაციით (-n), განსაზღვრულობა ('al-) არტიკლით; აქადურში განსაზღვრულობა აღინიშნება მიმაციით (-m) მხოლობითი რიცხვის მამრობით და მდედრობით სქესში და უკანასკნელის მრავლობითში, ხოლო ნუნაციით (-n) – ორობითში. მრავლობითის მამრობით სქესში ნუნაცია და მიმაცია არ არის წარმოდგენილი. ებრაულში და სირიულში მხოლობით რიცხვში განსაზღვრულობა არ აღინიშნება. რაც შეეხება განსაზღვრულობას, ებრაულში იგი გადმოიცემა (hā-) პრეფიქსით, ხოლო სირიულში (-ā) სუფიქსით [Moscati S., 1964: 96-99].

წინამდებარე სტატიაში მაგალითები წარმოდგენილია ტრანსლიტერაციით.

ძველ ეთიოპურში, როგორც ყველა ენაში, თვითგანსაზღვრულები არიან საკუთარი სახელები, სახელები, რომელნიც ერთადერთს წარმოადგენენ: მაგ., s'ahay „მზე“; „amlāk „ღმერთი“; ḥaywat „სიცოცხლე“; mōt „სიკვდილი“; məšraq „აღმოსავლეთი“ და სხვა.

განსაზღვრული არტიკლის როლს ასრულებს ეთიოპურში დამოუკიდებელი მესამე პირის ნაცვალსახელი wə'ətū. მაგ., wə'ətū dabr „ის მთა“; wanaš'a: əmwə'ətū 'əbən: zawə'ətū: bəḥər „აილო ის ლოდი, რომელიც იყო იმ ადგილზე (მხარეში) (დაბადება, 28, 11); watala' 'ala: wə'ətū: bə'əsī „განდიდდა ის კაცი“ (დაბადება, 26, 13).

იგივე მიზანს ემსახურება სახელზე ნაცვალსახელოვანი სუფიქსის დართვა; მაგ., qarbu: 'ardā'ihu „მოუხდნენ მისი (იესოს) მოწაფენი“ (მათე, 18, 1); wayənadəd: dabrū „იმ დროს, როდესაც ის მთა იწვოდა“.

მესამე საშუალება სახელის განსაზღვრულობის გადმოსაცემად არის სემიტური ენებისათვის დამახასიათებელი გენეტიკური კონსტრუქცია, რომელსაც ეთიოპურში განსხვავებული გაფორმება აქვს. სახელით სახელის განსაზღვრა – Status Constructus-ი ძვ. ეთიოპურში წარმოადგენს სინტაგმას, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმულით: n-a+n₁-Ø: n არის საზღვრული (-a) კონსტრუქციის ნიშანი, n₁ არის მსაზღვრელი ნულოვანი მორფემით. მაგ., qāla: 'əgziabher „ხმა უფლისა“; qālāta: nabīyə „სიტყევანი მოციქულისა“ და მრავალი სხვა კონსტრუქციის (-a) ნიშანი დაერთვის როგორც მამრობითი სქესის სახელებს, ისე მდედრობითისას, მხოლობით და მრავლობით რიცხვში. კონსტრუქციის (-a) ნიშანი დაერთვის საზღვრულს და ამით ამყარებს კავშირს მსაზღვრელთან. St. Constr.-ი წინადადებაში შეიძლება იყოს ქვემდებარე, დამატება, გარემოება. როდესაც იგი წარმოადგენს პირდაპირ დამატებას, (-a) განიცდის ორმაგ დატვირთვას, როგორც აკუზატივის ბრუნვის და კონსტრუქციის მაჩვენებელი: მაგ., fannawa: s'ahfeta: ḥəzb „მან გააგზავნა ერის განათლებული კაცი“.

აღნიშნული სინტაგმის ხმარებისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ამ მიმდევრობაში არ შეიძლება სხვა რომელიმე მეტყველების ნაწილის ჩართვა. მაგ., ზედსართავი უნდა იდგეს ამ სინტაგმის წინ ან უნდა მოსდევდეს მას.

მიუხედავად იმისა, რომ აკუზატივის და St. Constructus-ის მაჩვენებელი არის (-a), მათი გარეგნული მსგავსება არ უნდა იყოს საფუძველი მათი იდენტური ბუნებისა. ა.დილმანის ვარაუდით კონსტრუქციის ნიშანი (-a) უნდა იყოს შეკვეცილი ფორმა რელატიური სუფიქსის არსებით სახელთან დამაკავშირებელი ელემენტისა [Dillmann, 1907: 325].

მაკავშირებელი ხმოვანი ჩნდება სახელებთან ნაცვალსახელოვანი სუფიქსის დართვით მრავლობით რიცხვში, ამგვარი ხმოვანი არის მახვილიანი (-ī): მაგ., mawā'əliḥū „დღეები მისი“. მაკავშირებელი ხმოვანი არანაირ ცვლილებას არ განიცდის, პირიქით, მისი დართვით იკარგება აკუზატივის ნიშანი (-a). მაკავშირებელი ელემენტი სრული (-ia) ფორმითაც შეიძლება წარმოჩნდეს, ოღონდ მას წინ უნდა უძღოდეს St. Constructus-ი: მაგ., bə'əsita: 'ənti' aka „ცოლი შენი“; ba'ata: kə'əbat: 'ənti 'ahu „მეორე მღვიმე მისი“ (დაბადება, 23, 9).

ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ა.დილმანის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ კონსტრუქციის (-a) დაბოლოება და მაკავშირებელი (-ī) ხმოვანი უნდა იყოს (-īa)-ს შეკვეცით მიღებული ორი სხვადასხვა ელემენტი [Dillmann, 1907: 325]. საინტერესოა, რომ ეს დიფთონგი არ იძლევა, როგორც მოსალოდნელი იყო (-ē)-ს, ეთიოპური ფონეტიკური წესების მიხედვით, რადგან იგი განსხვავდება ფუძისეული ხმოვნისგან თავისი ბუნებით.

დამოწმებული ლიტერატურა

1. Dillmann, A. *Ethiopic Grammar*. London, 1907.
2. Moscati, S., Spitaler, A., Ullendorff, E., Von Soden, W. *An Introduction to the Comparative Grammar of Semitic Languages*. Wiesbaden, 1964.
3. Praetorius, F., Dr. *Äthiopische Grammatic*. Leipzig, 1886.
4. Старинин, В.П. *Эфиопский язык*. Москва, 1967.
ლეკიაშვილი, ალექსი. *არაბული ენა*, I, თბილისი, 1977.

ახალი რთული ზმნები ძველ სპარსულში

ადრე შექმნილი მაქვს ძველი სპარსულის რთული ზმნების მოდელირებულ ჯგუფთა განზოგადოებული სქემა (Сахокия 1972, 1979, 1985, 1998; იხ. Сахокия, 1985: 93-96, 135, ტაბულა 5). ეს ადრინდელი კვლევა ითვალისწინებდა ცალკეულ ნაშრომებს, რომელიც ეხებოდა სპარსულის ჭრილში რთული ზმნების საკითხებს (Telegdi, 1951; Xanlari, 1998; Рубинчик, 1971, 1972, 1974, 1980, 1981, 1983; Нахуришвили, 1987; ნახუცრიშვილი, 1981, 1985; Гвенцадзе, 1982; Джавов, 1987; Асатрян, 1989; Антадзе, 1987; Веретенников, 1986, 1987; Skaervo, 1981, 1983, 1985; Sims-Williams, 1981; Hale, 1988; Lazard, 1976; Schmitt, 1978, 1980, 1981; Abulqasemi, 1987 და სხვა). შემდგომშიც სპარსული ენობრივი ჭრილის რთულ ზმნებს მიეძღვნა სხვადასხვა სახის მიდგომის არაერთი გამოკვლევა (Moqaddam, 2007; Managadze, 2009; Skaervo, 2005; Fritz, 2009; Karimi-Doostan, 2008; Family, 2009; Ganjavi-Egerdooimian, 2009; Giunashvili, 2010; Хадарцев, 2000; Выдрин, 2007; ანთაძე, 2008 და სხვა). ეს მიდგომები მოიცავს სხვადასხვა პარამეტრებს.

აღსანიშნავია, რომ ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში რთული ზმნების ჩამოყალიბების ენობრივ დონედ პირველ რიგში ძირითადად საშუალო სპარსული ითვლება (ОИЯ 1979; ОИЯ 1981: 135); მაშინ როდესაც ჩემი კვლევების შედეგები ცოტა ხნით ადრე ძველ სპარსულში რთულ ზმნათა მოდელირების მკვეთრ მონაცემებს ააშკარავებდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ახალგაზრდა მკვლევრებსაც. კერძოდ ერთი ავტორი წერს, რომ ირანული ენათმეცნიერების საფუძვლებში რთული ზმნების ჩამოყალიბების კონცეფცია გადასინჯვას მოითხოვს, რადგან ძველი სპარსულის გარკვეული შენაერთები სწორედ რთულ ზმნებად კოდифიკაციას ექვემდებარება: „აღსანიშნავია, რომ ისეთ აკადემიურ კრებულში, როგორცაა Основы иранского языкознания, Среднеиранские языки, „ზმნური ფრაზეოლოგიზმები“, ანუ ე. წ. „ანალიზური ზმნები“ საშუალო სპარსულ ინოვაციადაა განხილული, ანუ უგულვებელყოფილია ის ფაქტი, რომ უკვე ძველი სპარსული ენის ძეგლებში გვხვდება გარკვეული რაოდენობა ორწევრიანი ზმნური შესიტყვებებისა, რომლებიც შეგვიძლია მივაკუთვნოთ ზმნათა ამ კატეგორიას“ (იხ. ანთაძე, 2008: 132, 136). სპარსულ ენობრივ ჭრილში რთულ ზმნათა დინამიკა, რომელიც ფართოდაა წარმოჩენილი ახალსპარსულში, საშუალო სპარსულის დონეზე აშკარა პროტოტიპულ ვითარებას გვიჩვენებს, მაგრამ ეს პროცესი ნათლად შეინიშნება და იწყება ძველი სპარსულის დონეზე; ამ მხრივ სახეზეა მორფოსინტაქსურ ნიშანთა დადასტურებული მემკვიდრეობითობა, ისევე როგორც კონკრეტული ლექსიკური ერთეულების დიაქრონიულ-რეტროსპექტული ანუ პროტოტიპულ-მემკვიდრეობითი ურთიერთკავშირი.

სწორედ ორმხრივი მიმართულების კვლევა უზრუნველყოფს რთულზმნურ მორფოსინტაქსემათა გამოვლენას მათ დინამიკაში, ამ მხრივ აღსანიშნავია ი. რუბინჩიკისეული მოდელირებული სქემების გამოყენება ახალსპარსულიდან უკუსვლით, რეტროსპექტული მიმართულებითა და დიაპაზონით (Рубинчик, 1981, 1983 და სხვა). სწორედ ი. რუბინჩიკის სტრუქტურულ-ლექსიკოლოგიურ პარამეტრებს ეყრდნობოდა ძირითადად ჩემ მიერ წარმოჩენილი ძველსპარსული რთულზმნური სისტემა. ახალი სპარსულის სისტემასთან კოორდინირებული

ჯგუფები მოკლედ ასე ნაწილდებოდა: 1. მამოდელირებელი ზმნით „კეთება“ ან „შექმნა“ (აქტივი); cartanaiy/kar (akunauš, kartam, akunavam, akutā, kunautuv, kunavataiy, akariyā, akariyātā), da (adadā) 2. ზმნით „გახდომა“, წარმოშობით ზმნა „ყოფნა“ ამ მნიშვნელობით (პასივი); bav (abava, abavam 3. ზმნით „ტარება“, „წაღება“ (აქტივი); bar (abaram, abara) 4. ზმნით „ყოფნა“ (პასივი/სტატივი); ah/as (āha, āham, amiy, āhy, biyā) 5. ზმნით „მოჩვენება, ფიქრი“ (აფექტივი); θad (θadaya, θadayātaiy) 6. ზმნით „კვდომა“ (პასივი); Mar (amariyāta) 7. ზმნით „კითხვა, მოკითხვა“ (აქტივი); Pars (aparsam) 8. ზმნით „თქმა, ლაპარაკი“ (აქტივი); Gaub (agaubata) 9. ზმნით „შეძლება, ძალუძს“ (მედიუმი); Tav (tavāyatiy).

ჩამოთვლილი ჯგუფები სხვადასხვა ფორმალურ მორფოსინტაქსურ სტრუქტურებს აწარმოებდა და მათ შორის პარონომაზიული ანუ ეტიმოლოგიური ფიგურებიცაა. ნათელი ლექსიკური პროტოტიპული კავშირი მყარდება ახალსპარსულ მამოდელირებელ ზმნებთან.

ძველსპარსული ტექსტების უფრო დაკვირვებულმა შემდგომმა კვლევამ გააფართოვა ჩემი აზრით კონტექსტიდან გრამატიკალიზებული ერთეულების გამოყოფის შესაძლებლობები და პერსპექტივები, რის შედეგადაც მივიღე ჰირიზონტალური ხაზებიდან რთული ზმნების ახალი ვერტიკალების კვალიფიკაციის პერსპექტივები. ამოსავალი და საყრდენი ადრინდელი სქემები და მოდელებია, დამატებულია ფაქტორთა ახალი სხვადასხვა პარამეტრებიც.

მომყავს ძველი სპარსულის ახალი რთული ზმნები თუ ზმნური ფრაზეოლოგიზმები იმავე ფორმით, რაც ლინგვისტურ კონტექსტშია წარმოდგენილი. უფრო საეჭვო ერთეულებს კითხვის ნიშნით აღვნიშნავ.

bājim abaratā “to paid tax” „ბაჟის გადახდა/მოტანა“; arika abava „to get angry“ „გაბრაზება“; vasiy abava “to multiply” „გამრავლება“; svāipašiyam akutā “to appropriate” „მითვისება, მისაკუთრება“; dītam caxriyā “to capture” „მიტაცება“; gāθavā avāstāyam “to restore [on its own place]” „თავის ადგილზე დაყენება“; maškauva avakanam (?) “to support on skins” „ნავტიკებზე დასმა“ (cp.: ušabarim akunavam “to support on camel, to make camelborn” შდრ. „აქლემებზე დასმა: გააქლემოსნობა“); asam franayam(?) „to bring horses“ „ცხენოსნად გაყვანა“; basta adāriya “to kept bound” „შეპყრობილად დაცვა“; jiyamnam āha, θakata āha “to conclude” „მიწურვა“; dastayā akunauš „to help“ „დახმარება/ხელშეწყობა/შეწყენა“; daušta biyā, āha (?) “to be friend” „მეგობრობა, მეგობრად ყოფნა“; utava āhy “to can” „შეგიძლია, ძალგიძს“; tauma ahatiy „შეგიძლია, ძალგიძს“ (ირიბპოსესიური სტრუქტურით), dipim akunavam „წარწერის გაკეთება“; nipištiya adārayatā “to print, to confirm by seal” „დაბეჭდვა/გამოქვეყნება/გავრცელება“; avastāyā cāxriyatā „to write on skin” „ტყავზე დაწერა“; nipištiyā adārayatā „ბეჭდის დასმა“; viya marda “to destroy” „აღგვა, მოსპობა, განადგურება, მუსრის გავლება“; tacaram akunauš “to build palace” „სასახლის აგება“; stūnā akunavam “to build column” „სვეტთა აღმართვა“; dacaram akunavam “to build palace” „სასახლის აგება“; akunavam ima hadiṣ “to build palace” „სასახლის აგება“; hadiṣ akunavam “to build palace” „სასახლის აგება“; stūnāyā akunauš “to build with column” „სვეტებით/სვეტებად აღმართვა“; apadāna akunauš/akunavam “to build palace” „სასახლის აგება“; gāθavā nišādayam „to place, to put on the its own place” „თავის ადგილზე დამკვიდრება“; kartam akunavam „to make made, to do done“ „საქმის/ნაგებობის გაკეთება“; azdā bavatiy “to recognize” „ცოდნა, შეცნობა, გაგება, ინფორმირება, შეტყობინება“; partaram patiyajata “to wage war” „ომის წარმოება“; pāθim mā avarada “to leave the course, the path” „გზიდან

გადახვევა/სწორი გზის დაკარგვა, გზის ახნევა“; *fraṣam θadayātaiy* “to like, to seem good” „მოწონება, კარგად აღქმა“ (ირიბაფექტური სტრუქტურა); *naibam akunavam* “to better, to improve, to make better” „კეთილად ქმნა, გაუმჯობესება“; *miθa kariyaiṣ* “to do evil, to make evil” „ბოროტება, ავის ქმნა, ბოროტების ჩადენა“; *darṣam dārayāmiy* “to control” „გაკონტროლება, მოწესრიგება, გამგებლობა“; *xṣnuta amiy, uxṣnauṣ amiy* “to enjoy” „კმაყოფილება, მოწონება, გახარება“; *yumainiṣ amiy(?)* “to train, to be in training” „ვარჯიში, ჯომარდობა“; *azdā kuṣuva* “to recognize” „ინფორმირება, გაგება, ცოდნა“; *duruxtam kunavataiy* “to lie” „ტყუილი, ცრუობა“; *aθagam akunavatā* “to cultivate stone, to build stone” „ქვისმთლელობა, ქვის თლა/დამუშავება“; *daraniyam akunavaṣa* “to cultivate gold, to make gilt” „ოქრომჭედლობა, ოქროზე მუშაობა“; *dāruv akunavaṣa* “to cultivate wood” „ხის დამუშავება; ხეზე მუშაობა“; *agurum akunavaṣa* “to make brick” „აგურის დამუშავება, აგურის გამოყვანა“; *didām apiθa* “to paint building” „მონატვა, ნაგებობის მონატვა“; *fraṣam kunautiy* “to adorn, to decorate” „გამშვენება, მოლამაზება, გალამაზება, მორთვა, მოჩუქურთმება, მოპირკეთება“; *gaθ/ tava niyṣādayam* “to place, to put on the its own place” „თავის ადგილზე დამკვიდრება//დაყენება, მოსმა, დასმა“; *gaθava akunavam/kartam* “to place, to put on the its own place” „თავის ადგილზე დამკვიდრება//დაყენება, მოსმა, დასმა“ („კეთება“ ზმნით); *azda havatiy* „ცოდნა, შეტყობა“; *partaram patiyajatā* „ომის ომობა/წარმოება“; *fraṣam θadayātaiy* „მოწონება“ (ირიბაფექტური სტრუქტურა), *daiva ayadiya(?)* “to worship idols” „კერპთაყვანისმცემლობა, კერპების/დევების/ცრულმერთთა თაყვანისცემა“; *frataram akunavam* “to better, to improve” „გაუმჯობესება, კეთილად ქმნა, გამშვენიერება“; *yānam jadiyāmiy* “to ask, to pray favour” „წყალობის თხოვნა, ვედრება, ლოცვა“; *nipiṣtam akunauṣ* “to write, to make whritten” „წარწერის გაკეთება, დაწერა“; *dipim nipiṣtanaiy* “to make inscription, to inscribe” „დაწერა, წარწერის შექმნა“; *paradayadām akunavam* “to make paradise, to build paradise” „სამოთხის შექმნა, სალხინოს/სავანის გაშენება“; *miθa kariyaiṣ* “to make evil” „ავის ქმნა“; *darṣam dārayāmiy* “to control” „მტკიცედ ვთოკავ“; *xṣnuta amiy, uxṣnauṣ amiy* „to enjoy“ „კმაყოფილება“; *azda kuṣuva* “to inform” „შეტყობინება, ცნობის მიცემა“; *duruxtam kunavātaiy* “to seem deceit” „ტყუილად/სიცრუედ ცნობა“ (ირიბაფექტური სტრუქტურა), *aθagam akunavatā* “to cut stone” „ქვის თლა/გამოთლა, ქვის დამუშავება/ქვაზე მუშაობა“; *mayuxa (kasakaina) karta* “to make stone door-knob” „(ქვის) კარის სახელურების გამოყვანა“; *batugara siyamam karta* “to make silver wine-bowl” „ვერცხლის ღვინის თასის გამოჭედვა“; *ustas/canam aθagaina karta* “to make stone staircase” „(ქვის) კიბის მოაჯირის შენება“; *patikaram cartanaiy* “to cut sculptures” „კვეთილობის გამოკვეთა“; *apadanam (stūnāyā aθagainam) akunavam* “to built a palace by stone columns” „(ქვის სვეტებიანი) სასახლე ავაშენე“; *duvarθim visadahyum akunavam* “to make/to built the gates of all countries” „ყველა ქვეყნის კარიბჭის/ხეივანის აგება“; *tyamaiy dartaṇayā havatiy* “to be angry”, „განრისხება“ (აფექტური ირიბსუბიექტური), *katam abava* „to make excavation“ „ამოთხრა, თხრილის გაკეთება“; *yauviyā katanaiy* „არხის გაჭრა/გათხრა“, *būmi akaniya* „to dig earth“ „მიწის თხრა, მიწის ამოყრა“, *iṣṭiṣ ajaniya* „to mold sun-dried brick“ „ალიზის გამოყვანა“, *θika avaniya* „to pack rubble“ „ქვიშის/მიწაყრილის გაკეთება, ჩაყრა: საძირკვლის ჩაყრა, ბალავერის ამოშენება/ამოყვანა“, *manauviṣ amiy* “to be angry” „ვმრისხანებ, გულუფვიცხობ“, *uvaspa uratacā kunautiy* “to make good horses and good chariots” „კარგ ცხენთა და კარგ ეტლთა მოშენება/კეთება“,

yauviyā akaniya “to dig canal” „არხის გაჭრა/გათხრა“; agurum akunavaša „აგურის გამოწვა, აგურის დამზადება“ და სხვა.

მოყვანილი ნიმუშები ნიშანთა სხვადასხვა მოტივაციებით ხასიათდება. მასალა მოითხოვს შემდგომ დაზუსტებულ კვლევას, მაგრამ გარკვეული ახალი რთული ზმნების დამატება ძველსპარსულ სიაში უდავო მგონია.

მასალობრივად ვეყრდობით ძირითადად რ. კენტისეულ გამოცემას (Kent, 1956). ვითვალისწინებთ სხვა აკადემიურ გამოცემებსაც (შდრ.: Brandenstein-Mayrhofer, 1964; Schmitt, 1981, 1980, Abulqasemi, 1997; Skaervo, 2005 და სხვა).

მოგვყავს საკოდიფიკაციო ერთეულების მცირე კონტექსტები. განვიხილავთ კონტექსტურ მონაცემებს შესატყვისი კომენტარებით. აქ წარმოდგენილია და ხაზგასმულია მხოლოდ ახალი რთული ზმნები, რომელიც ადრეულ შრომებში არ იყო კოდიფიცირებული (იხ. სახოკია, 1972; სახოკია, 1979; სახოკია, 1985: 93-96, 173; იხ. იქვე ტაბულა 5: 173).

1. ima dahyāva tyā manā patyāiša vašnā Auramazdāha manā bandakā āhatā manā **bājim abaratā** (DB. I. 18-19) „ეს ქვეყნები, რომლებიც დამექვემდებარნენ, აპურამაზდას ნებით ჩემი სახარაჯონი/მეხარკენი გახდნენ და **ბაჟს/ხარკს მიხდიდნენ** (მოჰქონდათ)“.
2. pasāva kāra arika abava pasāva drauga dahyauvā vasiy abava (DB. I. 33-34) „შემდეგ ხალხი **გაბოროტდა**, შემდეგ ტყუილი/სიცრუე ქვეყანაში **გამრავლდა/გაბევრდა**“.
3. pasāva Gaumāta hya maguš adīnā Kambūjīyam utā Pārsam utā Mādam utā aniyā dahyāva hauv āyasatā **uvāipašīyam akutā** hauv xšāyaθiya abava (DB. I. 46-48). „შემდეგ გაუმატა მოგვმა წარტაცა კამბიზს სპარსეთიც, მიდიაც და სხვა ქვეყნებიც დაიკავა **თავის საკუთრებად აქცია/მიისაკუთრა/მიითვისა**“.
4. naiy āha martīya... naiy amāxam taumāyā kašciy hya avam Gaumātam tyam magum xšācam **dītam caxriyā**, kārašim hacā daršam atarsa (DB. I. 48-50). „არა იყო კაცი... არც ჩვენი გვარისა ვინმე, ვინც იმ გაუმატა მოგვს სამეფოს **წართმევდა (მიტაცებულად აქცევდა)**, ხალხს მისი ძალიან ეშინოდა“.
5. adamšim **gāθavā avāstāyam** yaθā paruvamciy; avaθā adam akunavam.... adam niyačarayam kārahyā abicariš gaiθāmcā māniyamcā viθbišcā tyādiš Gaumāta hya maguš adīnā adam kāram **gāθavā avāstāyam** Pārsamcā Mādamcā utā aniyā dahyāva yaθā paruvamciy (DB.I.62-63;64-67). „მე ის ადგილზე **აღვადგინე/დავაყენე/დავაფუძნე/დავამკვიდრე**, როგორც ადრევე, ისე გავაკეთე; მე დავუბრუნე ხალხს საძოვრები, საქონელი, ქონება და სახლკარიც, რომელიც გაუმატა მოგვმა მიიტაცა, მე ხალხი/ერი **ადგილზე დავამკვიდრე**, სპარსეთშიც, მიდეთშიც და სხვა ქვეყნებშიც, როგორც ადრევე იყო“.
6. pasāva adam kāram **maškāuvā avākanam** (DB.I.86) „შემდეგ მე ხალხი/ჯარი **ნავტიკებზე დავსხი/ავამხედრე**“.
7. aniyam ušabarim akunavam aniyahyā **asam frānāyam** (DB.I.87) „სხვები აქლემებზე ავამხედრე/აქლემოსნები გავხადე, სხვანი კი **ცხენებით გავიყვანე/ვაცხენოსნე**“.
8. duvarayamaiy **basta adāriya** (DB.II.75) „ჩემს კარზე **შეპყრობილი იმყოფებოდა/ინახებოდა**“.

9. pasāva diš Auramazdāmayi **dastayā akunauš** (DB.IV.35). „ამის მერე აპურამაზდამ მე **ხელი გამიმართა/გამიწოდა/დამენმარა**“.
10. martiya hya draujana ahatiy hyavā zūrakara ahatiy avaiy mā **daustā biyā** ufraštādiy parsā (DB.IV.69) „ადამიანს, რომელიც მატყუარაა, ვინც ავისმქმნელია, ნუ **უმეგობრებ**, პასუხი მოსთხოვე!“; Auramazdā θuvām daušta biyā (DB.IV.74-75) „აპურამაზდამ **გიმეგობროს/შეგეწიოს** შენ!“
11. mātya vikanāhi yāvā **utava āhy** avaθāšatā paribarā (DB.IV.71-72) „ნუ წარყვნი მათ, რამდენადაც **ძალგიძს**, ისე დაიცავი ისინი“.
12. utātaiy yāvā **taumā ahatiy** naidiš paribarāhy (DB.IV.) „და შენ როგორც **ძალა შეგწევს/ძალგიძს**, არ დაიცავ მათ“.
13. imām dipim aniyaθā adam **akunavam** patišam ariyā āha utā **avastāyā cāxriyatā** patišam iya dipiś hama āθahavaja **nipištīyā adārayatā** (DB.IV.89-91) „ეს წარწერა სხვაგვარად **გავაკეთე/შევასრულე**, თანაც (შემდეგ) ის იყო არიულ ენაზე და **ტყავზე შესრულდა/გაკეთდა/დაიწერა**, გარდა ამისა (შემდეგ/თანაც) ეს წარწერა მთლიანად/მთლიანობაში გაერთიანებული, **დაიბეჭდა/ბეჭდით გამყარდა/ბეჭდი დაესვა**“.
14. pasāva Gaubaruva Ūvjīya aja utā **viya marda** (DB.V.11) „შემდეგ გაუბარუვამ უფველები დახოცა და **მუსრი გაავლო/ალვაგა პირისაგან მიწისა**“.
15. hya imam **tacaram akunauš** (DPa.6) „ვინც ეს **სასახლე აავო/ააშენა**“.
16. viθiyā imā **stūnā** adam **akunavam** (DSg.3) „სასახლეში ეს **სვეტები დავდგი/დავაყენე/ავაშენე/ალვმართე**“.
17. vasnā Auramazdāha imam **dacaram akunavam** (DSd.3) „აპურამაზდას ნებით ეს **სასახლე ალვაგე/ალვაშენე**“.
18. ima **hadiš** tya Čūšāyā **akunavam** (DSf.22) „ეს **სასახლე სუზისა/თრუშისა ალვაგე**“.
19. ima **hadiš akunām** (XSc.3) „ეს **სასახლე ავაშენე**“.
20. imām **hadiš** tya jivadiy **paradayadām** adam **akunavam** (A2Sd.3) „ეს **სასახლე** ჩემს სიცოცხლეში **სალხინოდ/სავანედ ავიშენე**“.
21. ima **hadiš** Xšayāršā xšāyaθiya hya manā pitā frataram pasāva adam **akunavam** (AIPa.19-20) „ეს **სასახლე** ქშიარშა მეფემ, ვინც მამაჩემია, ადრევე [ააშენა], იმის შემდგომ კი მე **ავაშენე**“.
22. ima **hadiš** Artaxšaça paranam **akunauš** hya manā pitā ima **hadiš** pasāva vašnā Auramazdāha adam **akunavam** (D2Sb.3-4) „ეს **სასახლე** ადრე ართახშათრამ, მამაჩემმა, აავო, ეს **სასახლე** შემდეგ ნებითა აპურამაზდასი, მე **ალვაგე**“.
23. imam **apadānam stūnāya aθagainam** Dārayavauš xšāyaθiya vazraka **akunauš** (D2Sa.1-2) „ეს **აპადანა ქვის სვეტებიანი/ქვის სვეტებით** დარიოსმა, დიდმა მეფემ, **ალავო/ააშენა(გაკეთა)**“.
24. imam **apadāna** Dārayavauš apaniyakama **akunauš** ... imam **apadāna** adam **akunām** (A2Sa.3-4) „ეს **აპადანა/სასახლე** დარაიავაჰუმ, ჩემმა დიდმა პაპამ, აავ...ეს **აპადანა** მე **ალვაგე**“.
25. **apadānam stūnāya aθagainam** Artaxšaça XŠ vazraka **akunauš** (A2Hb) „**აპადანა ქვის სვეტებით** ართახსერქსემ, დიდმა მეფემ, **ალავო/ააშენა(გაკეთა)**“.
26. hya ima **hadiš** vainātiy tya **manā kartam, visahyā frašam θadayātaiy** (Dsj.5) „ვინც ამ **სასახლეს** ხედავს, რომელიც მე **ალვაგე /ჩემი აგებულია, ყველას მოსწონს**“ (კონტექსტი შეიცავს რთულ ზმნაშივე ერგატიული/

- ერგატივისებური კონსტრუქციის სტრუქტურას და აგრეთვე აფექტურ ირიბსუბიექტურ სტრუქტურას).
27. imām **hadiš** utā imām **ustacanām** tya aθagainām*[kar] (A2Sc.5) „ეს **სასახლე** და ეს **მოაჯირიანი კიბე ქვისა**[*აავო]“ (წარწერას აკლია სავარაუდო ზმნა „კეთება“, მაგრამ იკითხება ანალოგიური კონტექსტებით).
 28. imam **apadāna**adam **akunām**; ...uta imam **tya akunā** mā vījanātiy mā vināθayātiy (A2Ha.5) „ეს **აპადანა** ..მე **ავაშენე**, ..და რაც **ავაშენე**, არ დაინგრეს, არც დაზიანდეს“.
 29. ima **hadis** Dārayavauš XŠ **akunauš** (XPc.11) „ეს **სასახლე** დარიოს მეფემ **აავო**“.
 30. ima **hadiš** adam **akunavam** (XPd.16-17) „ეს **სასახლე** მე **აღვაგე**“.
 31. ima **hadiš** Dārayavauš xšāyaθiya **akunauš** (XSa. 1-2). „ეს **სასახლე** დარიოს მეფემ **ააშენა/აავო**“.
 32. ima **hadiš** **akunām** (XSc.3) „ეს **სასახლე** **ავაგე**“.
 33. mām AM **daušta āha** (DSj.3-4) „მე აპურამაზდა **შემეწია/მიმეგობრა**“.
 34. adamšim **gāθavā niyašādayam** (DNa.36) „მე ისინი **ადგილზე დავაყენე**“.
 35. Auramazdāmai upastām abara yātā kartam **akunavam** (DNa.51) „აპურამაზდამ **შეწევნა/მეოხება მომცა**, რათა **საქმე /გასაკეთებელი/გაკეთებულის გამეკეთებინა**“.
 36. **adataiy azdā bavātiy** (DNa.44-45) „ის **შენ იცოდე/გქონდეს ცნობა**“.
 37. Pārsā martiya dūrayapiy hacā Pārsā **partaram patiyajatā** (DNa. 47) „სპარსმა კაცმა **შორს სპარსეთიდან გაიტანა ომის წარმოება/აწარმოა ომი/იომა ომი**“.
 38. **paθim tyām rāstām mā avarada** (DNa. 58-60) „**სწორ/მართალ გზას ნუ მიატოვებ//სწორი გზიდან ნუ გადაუხვევ!**“.
 39. tya **akunavam visahyā frašam θadaiyātiy** (DSa.4-5) „რაც **გავაკეთე**, ყველას **მოეწონა**“. (გრძნობა-გუნების, ირიბსუბიექტური აფექტური სტრუქტურა).
 40. tya duškartam āha ava naibam **akunavam** (DSd. 32) „რაც ცუდადქმნილი იყო, ის **კეთილად ვქმენი/გამოვასწორე/გავაუშვებ**“.
 41. naimā kāma tya skauθaiš tunuvatahyā rādiy **miθa kariyaiš** naimā ava kāma tya tunuvā skauθaiš rādiy **miθa kariyaiš** (DNb.8-11) „არაა ჩემგან/ჩემი სურვილი (მე არ მსურს), რომ სუსტს ძლიერის გამო/გულისთვის **ავი ექმნას/დაიჩავროს**, არც ის მსურს რომ ძლიერს სუსტის გამო **ავი ექმნას/ზიანი მიაღვს**“.
 42. tyā**mai** **dartanayā bavātiy daršam dārayāmiy** (DNb.13-14) „რაც მრისხანება მექნება, მას **მტკიცედ ვფლობ/ვთოკავ/ხელში მიჭირავს**“. (პოსესიური ირიბსუბიექტური მოდელი: „ჩემდა რისხვა არის//რისხვა მაქვს“).
 43. xšnuta amiy utā mām vasiy kāma utā **uxšnauš amiy** (DNb.26) „**კმაყოფილი ვარ**, და სურვილით/სიამით **აღვსილი ვარ** და **ძალიან მომწონს/ნასიამოვნები ვარ**“.
 44. mārīkā daršam **azdā kušuva** ciyākaram amiy (DNb.50) „**ჰოი ადამიანო**, მტკიცედ **გეცნობს** **შენ/იცოდე/ცნობა მოგეცეს** თუ როგორი ვარ მე“.
 45. **mātaiy** avašciy **duruxtam kunavātaiy** tya manā kartam (DNb.55-56) „არ **მოგეჩვენოს** **შენ** ის **ტყუილად/სიცრუედ**, რაც მე **გავაკეთე** ჩემი **გაკეთებულისა**“.

46. martiyā karnuvakā tyaiy **aθagam akunavatā** avaiy Yaunā uta Spardiyā (DSf.48) „ქვის მთლელი ხალხი, ვინც ქვა დაამუშავა/ქვა გამოთალა, იონიელები და სპარდელები“.
47. martiyā dāranīyakarā tyaiy daraniyam akunavaša avaiy Mādā utā Mudrāya (DSf.49-50) „ოქრომჭედელი ხალხი, ვინც ოქრო დაამუშავა/ჭედა, მიდნი და ეგვიპტელები“.
48. martiyā tyaiy **dāruv akunavaša** avaiy Spardiyā utā Mudrāyā (DSf.51-52) „ხალხი, ვინც ხე დაამუშავა/გამოთალა სპარდელები და ეგვიპტელები“.
49. martiyā tyaiy **agurum akunavaša** avaiy Bābiruviyā (DSf.52-54) „ხალხი, ვინც აგური დაამზადა/გამოწვა, ისინი ბაბილონელები“.
50. martiyā tyaiy **didām apiθa** avaiy Māda utā Mudrāyā (DSf.54-55) „ხალხი, ვინც კედლები მოხატა, ისინი მიდნი და ეგვიპტელები“.
51. бага vazraka Auramazdā hya **frašam** ahyāyā būmiyā **kunautiy** (DSs.1-2) „მაღალი ღმერთი აპურამაზდა, ვინც ამქვეყნიურ სიტურფეს/სიკეთეს ქმნის“.
52. hya **uvaspā uraθācā kunautiy** (DSs.5-6) „ვინც კარგ ცხენს და კარგ ეტლს ქმნის“.
53. Auramazdāmaiy upastām abara yātā **kartam akunavam** (XPh.45-46) „აპურამაზდამ შემეწია, რათა საქმე/ გასაკეთებელი/გაკეთებული გამეკეთებინა/შემესრულებინა“: (რთული ზმნის ორივე კომპონენტი შეიცავს ზმნა „კეთების“ ფორმებს: სახელურსა (მიმღეობა>სახელი) და ზმნურს).
54. utā aniyašca āha tya **duškartam akariya** ava adam naibam akunavam (XPh.42-43) „და სხვაც იყო, რაც ავადქმნილი იყო/ავად ქმნილიყო, ის მე კეთილად ვქმენ/გადავაქციე“.
55. tya akunavam avamaīy visam **ucāram āha** (DSj.4) „რაც გავაკეთე, ყოველივე მე კეთილად მექმნა“. (პოსესიური ირიბსუბიექტური მოდელი: „ჩემდა/ჩემთვის კარგი იყო“).
56. tya amaniyaiy kunavānaiy avamaīy visam **ucāram āha** (DSl.5) „რაც მიფიქრია გავაკეთო, ყოველივე კეთილად მექმნა“. (პოსესიური ირიბსუბიექტური მოდელი: „ჩემდა/ჩემთვის კარგი იყო“).
57. martiyam draujanam naiy **dauštā amiy**, naiy **manauviš amiy** (DNb.12-14) „ცრუ ადამიანს არ ვმეგობრობ, არც ფიცხი ვარ/ვფიცხობ“.
58. ava dahyāvam adam ajanam utašim **gāθavā nišādāyam** (XPh.34-35) „ის ქვეყანა მე დავიპყარი და იგი ადგილზე დავაყენე“.
59. paruvam **daivā ayadiya** pasāva ... patiyazbayam **daivā mā yadiyaiša!** Yadāyā paruvam **daivā ayadiya** avadā adam **Auramazdām ayadaiy** (XPh.38-41) „ადრე ცრულმერთებს/კერპებს სცემდნენ თაყვანს, შემდეგ მე განვუცხადე: კერპებს ნუ ეთაყვანებით! სალოცავებში, სადაც ადრე კერპები ითაყვანებოდნენ, იქ მე აპურამაზდას ვეცი თაყვანი“.
60. vasiy tya **naibam akunauš** (XPg.4-5) „ბევრია რაც კეთილად ქმნა“.
61. ava **kartam** utā **frataram akunavam** (XPg.11-12) „ის გავაკეთე და გავაუმჯობესე/უკეთესად გავაკეთე“. (ერგატივისებური კონსტრუქციის ირიბი სუბიექტი ელიპსირებულია, უსუბიექტო მიმღეობური შემასმენელი კირთული ზმნის მიმართ ერთგვარი წვერია).
62. aita adam **yānam jadiyāmiy** Auramazdām (XSc.4) „ამას მე წყალობას ვთხოვ/ვვედრებ აპურამაზდას“.

63. yaniy **dipim** naiy **nipištām akunauš** (XV.22-23) „სადაც წარწერა არ დაწერილია/დაწერილი არ გაუკეთებია“.
64. yaniy **dipim** naiy **nipištām akunauš** pasāva adam niyaštāyam imām dipim nipištānaiy (XV.24-25) „სადაც წარწერა არ ჰქონდა დაწერილი (დაწერილი არ გაუკეთებია), შემდეგ მე დავადგინე ამ წარწერის დაწერა/გაკეთება“.
65. vašnā Auramazdāha imām **hadiš** tya jivadiy **paradayadām** adan **akunavām** (A2Sd.3) „ნებითა აპურამაზდასი ეს სასახლე ჩემს სიცოცხლეში სალხინოდ ავაგე“.
66. **mayūxa kāsakaina** Xšāyaršāha XŠhyā viθiyā **karta** (XPi) „ქვის სახელურები, – კარის სახელურები ქსერქსე მეფის სასახლეში გაკეთდა“.
67. imam **tacaram** adam **akunavam** (XPj) „ეს სასახლე მე ავაგე“.
68. **mayūxa kāsakaina** Dārayavahauš XŠhyā viθiyā **karta** (DPi) „ქვის სახელურები, – კარის სახელურები ქსერქსე მეფის სასახლეში გაკეთდა“.
69. **ardastāna aTagaina Dārayavahauš XŠhyā viθiyā karta** (DPc) „ქვის ფანჯრის რაფები დარიოს მეფის სასახლეში გაკეთდა/გამოიჭრა“.
70. visam **naibam akunavam** (DSi) „ბევრი კარგი/კარგად გავაკეთე: კეთილად ვქმენ“.
71. imam **patikaram** Dārayavauš XŠ **niyaštāya cartanaiy** (DSn) „ეს ბარელიეფები/ქვაზე კვეთილობა დარიოს მეფემ დაადგინა გამოსაკვეთად“.
72. Xšāyāršāhyā XŠhyā viθiyā **kartam** (XH) „[ლოქი] ქსერქსე მეფის სასახლეში გამოიქნა“.
73. hya imam **bātugara siyamam** viθiyā kartā (A1I) „ვის სასახლეშიც ეს ღვინის თასი ვერცხლისა გამოიჭედა“.
74. Čūšāyā idā **frašam akunavam** (DSo) „სუბაში/თრუშაში აქ სიტურფე შევქმენი“.
75. vasiy tya **fraθaram akunauš** (XPf 26-27) „ბევრი რაც კეთილად/ტურფად ააგო/ალაშენა“.
76. vasiy tya **fraθaram akunavam** (XPf 36-38) „ბევრი რაც ტურფად ავაგე“.
77. ima **hadiš** Dārayavauš XŠ **akunauš** (XPc 11-12) „ეს სასახლე დარიოს მეფემ ააგო“.
78. imam **tacaram** adam **akunavam** (XPj) „ეს სასახლე/ტაჩარა მე ავაგე“.
79. ima **hadiš** Dārayavauš XŠ **akunauš** (XSa) „ეს სასახლე დარიოს მეფემ ააგო“.
80. ima **hadiš** Dārayavauš XŠ **akunauš** (XPc 11-12) „ეს სასახლე დარიოს მეფემ ააგო“.
81. ima **hadiš** Dārayavauš XŠ **akunauš** (XPc 11-12) „ეს სასახლე დარიოს მეფემ ააგო“.
82. imam **duvarθim visadahyum** adam **akunavam** (XPa 12-13) „ეს ყველა ქვეყანათა სვეტთა ხეივანი/რიგი მე ჩავრავებ/დავდგი“.
83. ima **hadiš** adam **akunavam** (XPd 16-17) „ეს სასახლე მე ავაგე“.
- 84-88. tya **manā kartam** utā tyamaiy apataram **kartam** ava visam vašnā Auramazdāha **akunavam** mām Auramazdā patuv hadā bagaibiš utāmai y xšačam utā **tyamaiy kartam** (XPb 24-30) „რაც მე ვაკეთე/ალვაგე, და რაც აღმიგია, ის ყოველივე აპურამაზდას ნებით ვაშენე, აპურამაზდამ დამიფაროს ყველა ღმერთებთან ერთად და ჩემი სამეფო და რაც გამიკე“.

თებია/მიშენებია: (კეთება“ ზმნა „შენების/აგების“ მნიშვნელობით ერგა-
ტიულ/ერგატივისებურ კონსტრუქციაში).

მსგავსადვე, უსახელო ანუ სახელური ნაწილის გარეშე კონტექსტში
ცალკე მდგომი ზმნა „კეთება“ რ. კენტთან თარგმნილია ყველგან ასე:
როგორც „შენება“ to build და არა „კეთება“ to do. მაგ.: (XPf 36-43, XPc
12-15, Xpa 13-20, A3Pa 26). და სხვაგანაც ყველგან, სადაც ტექსტში წინ
უსწრებს „აღმშენებლობის, შენების“ თემატიკა და შესატყვისი რთული
ზმნა (იხ. კენტი: 1956).

89. imam **apadānam stūnāya aṭagainam** Dārayavauš Xš vazraka akunauš
(D2Sa) „ეს სასხლე/აპადანა ქვის სვეტებიანი დარიოსმა დიდმა მეფემ
ააშენა“
90. ima hadiṣ Artaxšaça paranam akunauš hya manā pitā ima hadiṣ pasāva
vašnā Auramazdāha adam akunavam (D2Sb) „ეს სასახლე ართახშატრამ
ადრე ააგო, ვინც მამაჩემია, შემდგომ ნებითა აპურამაზდასი მე ავაგე“
(ერთგვარწევრიანი რზ).
91. imam **ustacanām tya aṭagainām .ta** (A2Sc) „ეს ქვის კიბის მოაჯირები
აშენდა“
92. imam **ustašanām aṭagainām** mām upā mām **kartā** (A3Pa 22-23) „ეს ქვის
კიბის მოაჯირი მე ჩემს დროს/ჩემს სიცოცხლეში აღვაგე“
93. vasiy tya **duškartam āha** ava naibam akunavam (Dse 32) „ბევრი რაც
ავადქმნილი იყო ის მე კეთილად გადავაქციე/ვქმენ“
94. vasiy tya paruvam naiy **gāTavā kartam** ava adam **gāTavā akunavam** (DSe
43-44) „ბევრი რაც ადრე ადგილზე არ იყო ნაგები, მე თავის ადგილზე
დავაყენე/ავაგე/ავაშენე: ვავაკეთე“ (ზმნა „კეთება“ – „დაყენება/ /დასხ-
მა/დაფუძნება“ ზმნათა მოდელირებული სინონიმი და ჩამნაცვლებელი:
გრამატიკალიზებული მოდელირებული ვარიანტი).
95. nāma vardanam didā hanatāya avagmatā paruvam akartā hacā avadaša
ā pasāva **didām aniyām akunavam** (DSe 45-49) „ქალაქის ციხე-გალავანი
ჩამოშლილიყო, ადრე დანგრეული იყო, მას მერე მე სხვა ციხე ავაგე“
96. vasiy aniyašciy **naibam kartam āna Pārsā** (XPa 13-14) „ბევრი რაც კეთი-
ლად ვქმენ“
97. **BU akaniya...** yaθā **katam abava pasāva θikam avaniya .t. ya BU akaniya...**
t. ya **θika avaniya** utā t. ya **ištiš ajaniya** (DSf 23-29) „მიწა ამოვთხარეთ..
როცა თხრილი გაკეთდა, მიწაყრილი/საძირკველი/ბალავერი ჩავყარეთ,
ვინც მიწა ამოთხარა და ბალავერი/საძირკველი ჩაყარა და ვინც ალიზი
გამოიყვანა“
98. adam niyaštāyam imām **yauviyā katanaiy** (DZc 8-9) „მე დავადგინე ამ არ-
ხის გაჭრა/გათხრა“
99. pasāva iyam **yauviyā akaniya** (DZs 10) „შემდეგ ეს არხი გაიჭრა/გაითხა-
რა“
100. upariy avām θikām **hadiṣ frāsahya** (DSf27) „იმ ბალავერზე სრა აიგო“

ერთეულთა კოდიფიკაციისას მიიღება მხედველობაში შემდეგი ფაქტორები:
პირობით რთულზმნათა და ზმნურ ფრაზეოლოგიზმთა მცირე, დიდი და ფარ-
თო კონტექსტები, ტექსტის მთელი მონაკვეთების ჩათვლით; კონკრეტული ფარ-
თო კონტექსტის პრაგმატიკა;

ტექსტის ანუ ძველსპარსულ წარწერათა ფართო კულტუროლოგიური კონტექსტი ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორცაა: ეთნოლინგვისტური, სოციოლინგვისტური, კულტურულ – ლინგვისტური გარემო, მაგ.: რელიგიური გამოთქმებისა და ცნებების სემანტიკა, სამეფო ქრონიკების უანრობრივ-ლიტერატურული სტილი, ტექსტის პრაგმატული სემანტიკის მონაცემები, ისტორიულ-ინფორმაციული, აქტუალური საკომუნიკაციო სტრუქტურების მახასიათებლები, ეპოქისა და ადგილის (დროისა და სივრცის) მონაცემები/რეალიები და სხვა. ყველა ეს ფაქტორი განმაპირობებელია და განმსაზღვრელია ლექსიკური ერთეულების მნიშვნელობათა კვალიფიკაციისას;

თავად სამუშაო წესით განსახილველ ერთეულთა სტრუქტურა და სემანტიკა: მამოდელირებელი (მაკომპონირებელი) ზმნა; შენაერთის მოტივირების ხარისხი; სახელური ნაწილის პრაგმატიკა; გრამატიკული და ლექსიკური მნიშვნელობების შეფარდება.

სპარსული ენობრივი ძირის რეტროდიაქრონია: პროტოტიპული დინამიკა უკუსვლით ახალსპარსულიდან ძველისკენ. ძველსპარსულ იდიომთა კოდიფიკაცია და კვალიფიკაცია, აგრეთვე კატეგორიულური კლასიფიკაცია, გამომდინარე ახალსპარსული სისტემიდან ან უკანასკნელის გათვალისწინებით.

ახალსპარსული სისტემის გათვალისწინებისას ძირითადად ვეყრდნობით ი. რუბინჩიკისეულ სქემას, რომელსაც პრინციპულად ვიზიარებთ.

დასკვნები:

თქმულის საფუძველზე გამოგვაქვს შემდეგი ზოგადი დასკვნები და გამოგვყავს კონკრეტული შედეგობრივი მონაცემები:

რთული ზმნების წარმოება-ჩამოყალიბება თავისუფალი მორფოსინტაქსური შენაერთებიდან ფართო სინტაქსური კონტექსტის წიაღში სავსებით ცოცხალი დინამიკური პროცესი ჩანს ძველი სპარსულის დონეზე.

ახალსპარსულ და ძველსპარსულ სისტემებსა თუ კონკრეტულ ერთეულებს შორის გამოყვანადია პროტოტიპულ-მემკვიდრეობითი კავშირი.

ეს კავშირი ავლენს ცალკეულ კომპონენტთა დინამიკასაც და რთულზმნურ თუ ფრაზეოლოგიურ შენაერთთა მორფოსინტაქსურ და ლექსიკურ-სემანტიკურ ტიპებსაც. კერძოდ გამოყვანადია, მაგალითისთვის, შემდეგი მეტად მკვეთრი და ნათელი ელემენტები, რომელიც აპირობებს სამუშაო წესით აქამდე არაკოდირებული ძველსპარსული რთულზმნური და ზმნურ-ფრაზეოლოგიური ჯგუფების დადგენის საფუძველსა და შესაძლებლობებს:

მაკომპონირებელ ზმნათა გარკვეული ჯგუფი გამოიყოფა რთულზმნური სისტემის აქტუალურ მაწარმოებლებად. მაგალითად: ზმნათა რთულზმნური ლექსიკალიზაცია მამოდელირებელი/მაკომპონირებელი ზმნით „კეთება“ ნებისმიერი სახელური ელემენტის სხვადასხვა ხარისხის სემანტიკური მოტივირების შედეგად ამ ზმნასთან ქმნის გრამატიკალიზებულ მთლიან ლექსიკურ ერთეულს. მასალის მიხედვით ზმნა „კეთება“ გამომდინარე სახელური კომპონენტური წყვილის შინაარსიდან, ჩაენაცვლება მნიშვნელობით სხვა ზმნებს. მაგალითად: „შენება (მრავალი სახელური სინონიმიითა და მრავალი კონტექსტით)“; მაგ.: „სასახლეების კეთება: სასახლეების აშენება/აგება/აღშენება“; „ნაკეთობის კეთება: აშენება /კაკეთება /გამოყვანა /დადგმა /დაყენება და მისთ. (აგრეთვე მრავალი

სახელური სინონიმითა და მრავალი კონტექსტით); მაგ.: „(ქვის) კარის სახელურების, ფანჯრების რაფების, კარფანჯრების, კიბეების, კიბის მოაჯირების, კიბის რიგის კეთება: გაკეთება/გამოყვანა; სვეტების კეთება: სვეტების დადგმა/დაყენება/გამოთლა/აშენება/აგება; ხეივნის/ანფილადის კეთება: ხეივნის/ანფილადის გაშენება/გამართვა; ვერცხლის თასის კეთება: თასის გამოჭედვა/გაკეთება; აგრ. სასწორის(?) და სხვა ნივთების „კარგისქმნა/გაუმჯობესება“; „ქვის კეთება: ქვის გამოთლა; ოქროს კეთება: ოქროს დამუშავება/ჭედვა; ხის კეთება/ხის დამუშავება“ და სხვა მისთ.;

„კეთება“ ზმნა მასთან მნიშვნელობით ახლო მდგომი ზმნის „შექმნა“ dā (adādā, āda) ზმნით: გვხვდება სპეციალურად ღვთაებრივი მოქმედების, აპურამაზდას ქმედების გამოსახატავად და ამდენად ჩაითვლება ნაწილობრივ მოტივირებულ რთულზმნურ ერთეულებად განსაკუთრებით პრაგმატულ-კულტუროლოგიური ფაქტორის გათვალისწინებით. კერძოდ, ესაა რელიგიური სემანტიკის კონტექსტები, სადაც მოქმედება მთლიანობაში ღვთაებრივი აქტის განხორციელებაა. მაგალითად: „კარგი ცხენების კეთება, კარგი ცხენების შექმნა“; „კარგი ეტლების კეთება: კარგი ეტლების შექმნა“; „სიკეთის/მშვენიერების/სიტუაციის კეთება: მშვენიერების შექმნა“ (საკუთრივ ზმნა „შექმნა“ იხ. რელიგიური სემანტიკის კულტუროლოგიურ-პრაგმატულ ჯგუფში, ქვემოთ).

ნაწილობრივ მოტივირებული სახელური ნაწილის კომპონირება „კეთება“ ზმნით: dastayā akunauš „ხელის/ხელით კეთება: დახმარება, შეწევნა, ხელის გამართვა, ხელის შეშველება, ხელის გაწვდენა, ხელის გაწოდება, მხარდაჭერა, მეოხება, და მისთ (გამოთქმის გრამატიკალიზაცია-ლექსიკალიზაცია გამაგრებულია პრაგმატული რელიგიური სემანტიკით: „აპურამაზდა ეხმარება მეფეს“)“; აღსანიშნავია, რომ ლექსიკურად იმავე შემადგენლობის ახალსპარსული რთული ზმნა სულ სხვა, ზოგჯერ ანტონიმური, საპირისპირო სემანტიკის მატარებელია: dast kardan (აგრ./dast zadan) „ხელის ჩაყოფა, ხელისშეშლა, ხელის გაკვრა/კიდება“ და სხვა.

ბ) იგივე ზმნა გამოიყენება სხვა სახელური ნაწილის პირდაპირი მნიშვნელობის შენარჩუნების შემთხვევაში მამოღებულ მანარმობლად, მათ შორის პირველ რიგში მიმღებურ სახელურ კომპონენტებთან. მაგ.: „დაწერილის გაკეთება: დაწერა“; „გაკეთებულის/საქმის გაკეთება: გაკეთება/საქმის გაკეთება“; ასეთ წარმოებას მხარს უმაგრებს ანალოგიური მნიშვნელობის მქონე ელემენტთა კომპონირებული ერთეულები, მაგ.: შდრ.: „წარწერის გაკეთება: დაწერა/წარწერის დაწერა“;

„კეთება“ „წერის/დაწერის“ მნიშვნელობით სხვადასხვა სახელური ელემენტების შეწყვილებით, როგორც ჩანს, მთელ მწკრივს ქმნის: კერძოდ, უნიკალურია გრამატიკულადაც და სემანტიკურადაც რთული ზმნა avastāya caxriyāta „ტყავზე/ტყავით კეთება: ტყავზე წერა/დაწერა“ (აშკარაა კონკრეტული მოცემული ტექსტის პრაგმატულ-კულტუროლოგიური კონტექსტით განპირობებაც აღნიშნული ერთეულის დასაკოდიფიცირებლად).

ამავე ქვეჯგუფს განეკუთვნება მიმღებური ერთეული dītam caxriya „წართმეულის/წართმეულად გაკეთება: წართმევა/მიტაცება, წართმევა უკან“;

ჯამში აქ სამი მიმღეობა გვაქვს რთულ ზმნათა სახელურ კომპონენტებად: kartam, nipištam, dītam.

ზედსართაულ სახელურ კომპონენტთან: uvaipašyam akuta „საკუთრებად (გა)კეთება: საკუთრებად (გადა)ქცევა/ მითვისება/მიტაცება“;

„კეთება“ ზმნა მონაწილეობს აფექტივების მოდელირებაშიც: „ტყუილი გაგიკეთდეს: ტყუილად მოგერვნოს“; „ავის/ზიანის კეთება: ზიანის მიყენება, დაჩაგვრა, ავისაქმნა“ და სხვა;

„კეთება“ წამყვან ზმნას კომპონირების და მოდელირების სხვადასხვა ზმნათა რიგშიც მოსდევს, მათ შორის სხვადასხვა გრამატიკული არგუმენტაციით: „მოტანა“, „დაყენება, დადგმა“, „ქონა-ყოლა“, „ყოფნა“, „მოჩვენება“, „დამარცხება“, „მოსპობა“, „წერა/ხატვა“;

„ბაჟის მოტანა: ბაჟის გადახდა“; „ადგილზე დადგმა/დაყენება /მოსმა/დასმა“; „ომის ომობა, ომის წარმოება, ომობა“, „მუსრის გავლება“ (partaram patiyajatā).

პუნქტ ა) -ს დებულებებს აგრძელებს, ავითარებს და აფართოებს სტრუქტურული და სემანტიკური სურათის ზოგადი მონაცემები. ასეთია, მაგალითად: სინონიმური, ომონიმური და ანტონიმური სინქრონულ-პარადიგმული თუ ოპოზიციური წყვილების სისტემური რიგები. მაგ.: ანტ. „კარგის კეთება/ცულის კეთება ანუ კეთილის ქმნა/ავისქმნა“; „დაივების/კერპების თაყვანისცემა: კერპთაყვანისმცემლობა“ და „აპურამაზდას თაყვანისცემა“; სინ. რიგი (მსგავსი ფუნქციური მნიშვნელობის სახელური ელემენტები): „ქვის კეთება: ქვის გამოთლა; ოქროს კეთება: ოქროს დამუშავება/ჭედვა; ხის კეთება/ხის დამუშავება; აგურის კეთება: გამოწვა“ და სხვა მისთ., აქ: ყველა ერთი ზმნით: „კეთება“, რომელიც სხვადასხვა სახელურ ლექსემებთან სემანტიკურად დაკავშირებულ მრავალ სპეციალურ ზმნას ცვლის/ჩაენაცვლება; აღნიშნული ერთეულები კი ჯამში ერთ საერთო ფართო კონტექსტს განეკუთვნება და აქედან გამომდინარე წარმოადგენს ანალოგიურ ან ახლო/მსგავსი მნიშვნელობის მცირე კონტექსტებს ფართო კონტექსტის მნიშვნელობით; უკანასკნელი ამაგრებს პირველის გრამატიკალიზაციას და ლექსიკალიზაციას. ამგვარ ერთნაირზმნურ, პარადიგმულ სინონიმურ რიგს უქმნის სხვა ზმნებიც: მაგ.: „კედლების მოხატვა“ – „კეთების“ საპირწონედ ზმნა „წერა/ხატვა“;

ე) მაკომპონირებელი/მამოდელირებელი ზმნის სინონიმური ჩანაცვლება: მაგ.: „კეთება“ ზმნის მეწყვილე ანალოგიური ან მსგავსი, ახლო მნიშვნელობის ერთეულში. მაგ.: „აქლემზე/ ამხედრებულად გაკეთება/ამხედრება“ („კეთება“) შდრ.: „ნავტიკებზე მოწყვეტა/მოძრობა/ამოთხრა/ჩამოსხმა/ჩამოღება: ნავტიკებზედასხმა“) და სხვა.; „ცხენებით გაყვანა: [[დასხმა/ამხედრება]>გაყვანა]] (საერთო კონტექსტის ფაქტორი)“;

ვ) წამყვანი ზმნების გარდა სხვა ზმნები: მათი არსებობა ოპოზიციურად ამაგრებს ერთის მხრივ ხშირი პარადიგმული რიგების ლექსიკალიზაციას, მეორეს მხრივ ზოგადად საკუთრივ რთულზმნურ თუ ზმნური ფრაზეოლოგიზმების სისტემას; ასეთია, მაგ.: ზმნა didām apiθa „კედლების მოხატვა, ფერწერა“; nipištīyā adārayāta „ბეჭდის დასმა“;

ზ) საზოგადოდ ერთ სახელურ კომპონენტთან ორი მსგავსი ზმნის გამოყენებაც ქმნის წყვილებს და ამალლებს რთული ზმნების კოდიფიკაციის ხარისხს. მაგ.: „ადგილზე დაყენება/დასმა“ ანუ „დაფუძნება, დამკვიდრება“ ორი ზმნითაა წარმოდგენილი: stā, sād/šād/had „დგომა/ყენება/დგმა“ და „ჯდომა/სხმა/დასმა, დამკვიდრება/დაფუძნება“ ასევეა ახალსპარსულში, ორი ან მეტი ზმნის მონაცვლეობა ერთ სახელთან.

მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ეგვევ რთული ზმნა გამოიყენებს აგრეთვე მესამე ზმნასაც: „კეთება“ ზმნას kar, რომელიც გრამატიკალიზაციის უმაღლესი ხარისხის მატარებელია და პარადიგმების მამოდელირებელია. ამ შემთხვევაში „კეთება“ ზმნა იმ ზმნათა სინონიმიცაა და იმავდროულად ამაგ-

რებს პარადიგმულ რიგს და ამტკიცებს საკოდიფიკაციო ერთეულის ლექსიკალიზაციისა და გრამატიკალიზაციის მოცემულობას.

თ) *dār* „ქონა-ყოლის“ ზმნით წარმოების საკმაოდ მკვეთრი ნიმუშებია: *darśam dārayami* „მტკიცედ მაქვს: მტკიცედ/მაგრად მიჭირავს/ვფლობ/მიპყრია/ვპყრობ, //ვთოკავ“; „შეპყრობილად დაცვა“ საქმე ისაა, ახალსპარსულში *dāstan*-ზმნიანი ჯგუფი უკვე გარკვეულად რთულზმნურ ვერტიკალურ პარადიგმათა რიგს განეკუთვნება, რაც აპირობებს ძველ სპარსულშიც სამუშაო წესით ამ ჯგუფის კლასიფიკაცია-კოდიფიკაციას. განსაკუთრებით მკვეთრია შემდეგი ძველსპარსული ნიმუში: *nipštīyā adārayāta* „ბეჭდის/ბეჭდით ქონა: ბეჭდის დასმა/დაბეჭდვა“: „კეთება“ ზმნის წამყვანი მამოდელირებელი რთული ზმნის არსებობა-მოქმედების მიუხედავად ამგვარი მოცემული აქტიური მოქმედების გამოხატვა განხორციელდა სწორედ *dāstan* ზმნით: უკანასკნელის კომპონირება მოცემულ რთულ ზმნაში ეჭვს არ იწვევს, ეჭვგარეშეა.

ი) ცალკე გამოსაყოფია „ყოფნა“ ზმნების კომპონირება: ახალსპარსული *budan*, *hast*-იანი სისტემა დასტურია ამ ჯგუფის გათვალისწინების აუცილებლობისა ძველ სპარსულშიც; ახალსპარსული ლექსიკონის შედგენისას ამუშავდა ამ ერთეულთა ვერტიკალურ-პარადიგმული როლი; ძველსპარსულ ტექსტებში ეს ჯგუფი ფართო კონტექსტითაა საკმაოდ კარგად განპირობებული. მაგ.: „მეგობრობა, მეგობრად ყოფნა/გახდომა“; „მიწურვა, გასრულება, დასრულება, დამთავრება (სპეციფიკ.: დრო, სეზონი, – თვე)“; „განრისხება, რისხვა, რისხვის ქონა-ფლობა (პოსესივი)“; „გულფიცხობა, ფიცხლობა“; „გახარება, კმაყოფილება“; „შეძლება: ძალგძის, ძალგედვას“ „გაბოროტება/ბოროტად გახდომა“: „ყოფნა“ როგორც „გახდომა“ (ნომერი 2); „ბევრი იყო>ბევრი გახდა“: „ყოფნა“ როგორც „გახდომა“;

კ) როგორც ადრევე ვწერდით (სახოკია 1972, 1979, 1985), სწორედ „ყოფნა“ *bav* (ახ, სპ. *budan*) ზმნა უზრუნველყოფს ძველ სპარსულში „კეთება“ ზმნით ნაწარმოები აქტიური რთული ზმნების პასიური ოპოზიციური რიგის მოდელირებას: „ყოფნა“ იხმარება „გახდომა“ ზმნის მნიშვნელობით (ახ სპ. *šodan* ზმნის სინონიმური მნიშვნელობა აქვს). ახალსპარსულში „გახდომა“ და „ყოფნა“ ზმნები სხვადასხვა დამოუკიდებელ პარადიგმულ მწკრივებს ქმნიან, მაგრამ იმავდროულად ხშირად „ყოფნა“ ზმნით კომპონირებული თუ მოდელირებული რთულზმნური ერთეულები ოპოზიციური გრამატიკული სამეულის წევრებადაც გვევლინებიან: აქტივი/პასივი/სტატივი. ძველ სპარსულში სხვა ზმნა „გახდომა“ ზმნის რიგის ანუ პასიური რთულზმნური პარადიგმის საწარმოებლად არ აღინიშნება, გარდა *bav* „ყოფნა“ ზმნისა.

ლ) კულტურული, კულტუროლოგიური ფართო ოპოზიციური კონტექსტი წარწერათა უანრის გათვალისწინებით; ექსტრალინგვისტური თუ სოციოლინგვისტური პრაგმატული ფაქტორებით გამოწვეული გრამატიკალიზაცია.

მ) ვერტიკალური რიგების გამოვლენა ანუ პარადიგმების დადგენა. ერთეულთა სემანტიკური და გრამატიკული ოპოზიციისა. მაგალითად: აქტივი/პასივი, სტატივი. მაგ.: *კეთება/გახდომა* და *ყოფნა ზმნებით*. აფექტური რიგები: *გრძნობა-გუნება* და *მენტალობა-აღქმა*, – მენტალური და აღქმის ზმნები. მაგ.: „მოწონება, მოჩვენება“.

ნ) მნიშვნელოვანია აფექტურ და მენტალურ რთულ ზმნათა წარმოება წამყვანი მაკომპონირებელი ზმნით „კეთება“: „ამბავი/ინფორმაცია/ცოდნა გაგიკეთდეს: მოგეცეს“; „ტყუილად არ გაგიკეთდეს: მოგეჩვენოს/გეგონოს“; „ავის კეთება: ავის ქმნა/ზიანის მიყენება/დაჩაგვრა“;

ო) გრძობა-გუნების და აღქმა-მენტალობის გამოხატვა სხვა მაკომპონირებული ზმნებით. მაგ.: რთული ზმნები „ფიცხოვა, გულფიცხოვა, ფიცხოვა, გაცხარება“, „რისხვა, განრისხება“; „კარგად/მშვენივრად მოჩვენება: მოწონება“; „გახარება, კმაყოფილება“; და მისთ.;

პ) რთულ ზმნათა გრამატიკული სტრუქტურების ანალიზი. მაგალითად: პოსესივები, აფექტივები ანუ მორფოსინტაქსემათა პოსესიური, აფექტური სტრუქტურები-მოდელები, ორპრედიკატული (მოდალური და სხვა) და მრავალპრედიკატული რთული ზმნები და სხვა. ესა თუ ის გარკვეული სემანტიკა ზოგჯერ სრულიად გარკვეულ სტრუქტურას უკავშირდება, მიზნულია მასზე და განპირობებულია ამ გრამატიკული მოდელით. მაგ.: „რისხვა მქონდეს: ვმრისხანებდე“ (პოსესიური სტრუქტურა), „დაადგინა კვეთილობის გამოსაკვეთად“ (ორპრედიკატული მოდალური), „რაც ამიგია/რაც ჩემი აგებულია“ (ერგატიული ანუ ირიბ-სუბიექტური) და სხვა. სპეციალური ანუ სპეციფიკური გრამატიკული სტრუქტურების, ამა თუ იმ მორფოსინტაქსური მოდელების გამოყენება რთულზმნურ და ზმნურ-ფრაზეოლოგიურ სისტემებში ახალსპარსულშიც ფართოდ გავრცელებული მოვლენაა. მაგ.: xābam kame, xābam miād, sardame, garmame, tašname, gošname, yādam raft, xošam miād „ძილი ცოტა მაქვს, მეძინება, მცევა, მთბილა, მცხელა, მწყურია, მშია, დამავიწყდა, მომწონს“ და მრ. სხვა. ასეთ ზმნურ შენაერთებში სხვადასხვა ელემენტები ერთვება. ძველსპარსულშიც და ახალსპარსულშიც გამოიყოფა სპეციფიკური სემანტიკური ჯგუფებიც.

ჟ) რელიგიური გამოთქმები პრაგმატული კულტუროლოგიური: „დაივებს ეთაყვანებოდნენ“, „აჰურამაზდას თაყვანისცემა“ (ზმნა „ღვთისმსახურება“); „მართალი გზიდან გადახვევა“ (ზმნა „აცდენა“), „წყალობის თხოვნა“ (ზმნა „ვედრება“); „ავისქმნა“, „კეთილისქმნა“ (ზმნა „კეთება“); „ადამიანის, მიწა-წყლის, ცის, ბედნიერების, ადამიანის და სხვა მოვლენათა შექმნა (ზმნა „შექმნა“).“ უკანასკნელი კორპუსი მხოლოდ აჰურამაზდას ქმედებას გამოხატავა და ცალკე მდგომია, თუ ჩავთვლით რთულ ზმნებად სწორედ ექსტრალინგვისტური კულტუროლოგიურ-პრაგმატული არგუმენტაციის გამოისობით; მაგრამ ასევე აჰურამაზდას ქმედების გამოხატველი, „კეთება“ ზმნით მოდელირებული ერთეულები „სიკეთის კეთება“, „კარგი ცხენების კეთება“, „კარგი ეტლების კეთება“, ჩემი აზრით, ლექსიკალიზებულ ერთეულებად ჩაითვლება, რადგანაც სწორედ მაკომპონირებული ზმნა „კეთებითა“ ნაწარმოები. ეს წამყვანი ზმნა ყველაზე მეტადაა დაცლილი პირვანდელი მნიშვნელობისგან, მაშინ როდესაც „შექმნა“ ზმნა თავის პირვანდელ მნიშვნელობას ინარჩუნებს და ღმერთისთვის ჩვეული ღვთაებრივი მოქმედებების პრაგმატულ-სემანტიკურად მოტივირებულ ცალკე მდგომ პარადიგმას აყალიბებს.

რ) გვაქვს რთული სტრუქტურებიც. მაგ.: სახელური ნაწილი შედგება ორისამი ან მეტი წევრისგან. მაგალითად, ასეთი მცირე კონტექსტები: მართალ გზას გადაუხვია; სასახლე საღვინოდ ავაგე, მართალი გზიდან არ გადაუხვია, კარგი ცხენების კეთება, კარგი ეტლების კეთება, საგნის მშვენიების/სიკეთის/სიტურფის კეთება, ქვის კიბეების, ქვის სვეტების, ქვის სახელურების, ქვის ფანჯრის რაფების, ქვის მოაჯირების, ქვის სვეტთა ხეივნის, ყველა ქვეყნის სვეტთა, ერთა/ხალხთა კარიბჭის, ქვის სვეტებიანი სასახლის აგება; ვერცხლის თასის გაკეთება, გამოჭედვა, გამოყვანა“ და ა.შ. მისთ.

გვხვდება ერთგვარწევრიანი რთული ზმნებიც, ერთ ზმნასთან („კეთება“) ორი სახელური ნაწილით.

ასეთი სტრუქტურების კოდიფიკაციას მხარს უჭერს ახალსპარსულში ფართოდ გავრცელებული სხვადასხვა მორფოსინტაქსური ტიპის მრავალწევრიანი რთული ზმნები და ზმნური ფრაზეოლოგიზმები.

ს) ფაქტორია სინშირეც: კონკრეტული ერთეულისა ან ანალოგიურ კონტექსტთა სინშირეცები: მაგ.: ხშირი ერთეულებია „ბრძოლა: ბრძოლის კეთება/წარმოება“ და „გამეფება: მეფედ/მეფის კეთება“ ჩვენი ადრინდელი მასალიდან; „რამის შენება/აგება: რამის კეთება“ ახალი მასალიდან და სხვა (შდრ.: სახოკია: 1972, 1979, 1985).

ტ) შესაძლოა, შემდგომი კვლევა გამოავლენს კვლავაც ახალ რთულ ზმნებს ფართო კონტექსტიდან, როგორცაა, მაგ.: „არხის გაჭრა/არხის გათხრა, არხის გაყვანა; ორმოს ამოთხრა/ბალავერის გაჭრა; თხრილის გაკეთება/გაჭრა; მიწის ამოყრა; ალიზის გამოყვანა (ზმნა akaniya); საძირკვლის/ქვიშის ჩაყრა, ქვების ჩასმა/ქვების ამოშენება“ და მისთ. (DSf).

საქმე ისიცაა, აღმშენებლობის, მშენებლობის ფართო პრაგმატულ-სემანტიკური კონტექსტები ხელს უწყობენ და ადასტურებენ ასეთ რთულ ზმნათა კოდიფიკაციას გრამატიკალიზებულ-ლექსიკალიზებულ ერთეულებად.

საკვლევი აგრეთვე „შექმნა“ და „კეთება“ ზმნათა ოპოზიური რიგებიც: მივიჩნევთ თუ არა რთულ ზმნებად ისეთ შენაერთებს, როგორიცაა: „ცისა და ქვეყნის შექმნა, ადამიანის შექმნა, ბედნიერების შექმნა“ და მისთ. .

ამგვარად, გარკვეული კონტექსტები კვლავაც საკვლევიან.

უ) უსახელო ანუ სახელური ნაწილის გარეშე კონტექსტში ცალკე მდგომი ზმნა „კეთება“ გამოიყოფა. რ. კენტთან თარგმნილია ინგლისურად ყველგან როგორც „შენება“ (built), და არა „კეთება“ (done). ასეა ყველგან, სადაც ტექსტში ცალკე მდგომ „კეთება“ ზმნას წინ უსწრებს „აღმშენებლობის, შენების“ თემატიკა და შესატყვისი რთული ზმნა ამა თუ იმ სახელური ნაწილით (იხ. კენტი: 1956). ეს იმას ნიშნავს, რომ ფართო კონტექსტში უსახელო მამოდელირებელი ზმნა იკითხება სწორედ იმ მნიშვნელობით, რომელსაც რთულ ზმნაში იგი ჩაენაცვლება, როგორც: „შენება“, „აგება“, „გამოკვეთა“, „გამოჭედვა“ და მისთ. მით უფრო, გვაქვს პარალელური მორფოსინტაქსემაც: ზმნით „შენება, აგება“ sâ: hadiṣ frâsahya „სრა აიგო/აშენდა/აღმოცენდა“. ასეთი სინონიმური პარალელიზმი მხოლოდ ადასტურებს რთულზმნურ სტრუქტურას. შესაძლოა, რთული ზმნაა აგრეთვე hadiṣ frâsahya-ც „სრის აგება“.

ვ) აღინიშნება შემთხვევები, როდესაც **რთული ზმნის ორივე კომპონენტი შეიცავს ზმნა „კეთების“ ფორმებს: სახელურსა (მიმღებობა>სახელი) და ზმნურს: kartam akunavam. ეს მნიშვნელოვანი პროტოტიპია ერთ-ერთი ძირითადი ახალსპარსული მოდელირებული რთული ზმნისა kâr kardan „საქმის კეთება: მუშაობა“:**

ძირითადი დასკვნა. ჯამში, სახეზეა სამუშაო წესით შედგენილი საკმაოდ მრავალფეროვანი და მტკიცე სისტემა ახალი თუ ადრევე გამოვლენილი რთული ზმნებისა და ზმნური ფრაზემებისა ძველ სპარსულში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Abulqasemi, M. *Dasture tarixiye zabane farsi/The Historical grammar of Persian Language*. Tehran: Samt. 1997 (1375).
2. Антадзе, Ф. *Лексико-семантическая и словообразовательная характеристика наименований одежды и тканей в персидском языке. Автореф. канд. диссерт. Тбилиси: Изд. ТГУ. 1987.*
3. Асатрян, Г. Заметки об этимологических фигурах в иранских языках. *ИФИ АН АРМ.* 3. 125. Ереван: Изд. АН АРМ. 1989. 152-163.
4. Brandenstein, W., Mayrhofer, M. *Handbuch des Altpersischen*. Wiesbaden: Otto Harrassowitz. 1964
5. Выдрин, А.П. *Прямое дополнение и сложные глаголы в современном персидском языке. Грамматический и лексикографический аспекты.* Санкт-Петербург: Изд. СПб ГУ. 2006-2007.
6. Гвенцадзе, Г. С. *Вопросы глагольной фразеологии персидского языка (структурный и семантический анализ).* Автореф. канд. диссертации. Тбилиси: Изд. ТГУ, 1982.
7. Ganjavi, Sh., Megerdooian, K. D-Linked Wh-Phrases and Focus-Fronting in Persian. *ICIL-3: International Conference on Iranian Linguistics*. Abstracts. Paris: Universite de Paris, Sorbonne Nouvelle. 2009. 19.
8. Giunashvili, E. Studies on Middle Persian Complex Predicates with Aspect Meaning. *Archiv Orientalni*. Praha: Academy of Sciences of Check Press. 2011. (to appear).
9. Джавов, А. Г. *Сравнительная характеристика структурно-семантических типов глаголов современного языка дари и современного персидского языка.* Автореф. канд. дисс., Москва: Инст. востоковед., 1987.
10. Веретенников, А. А. *Многочленные глагольные фразеологизмы в персидском языке.* Автореф. канд. дисс., Москва: Изд. Инст.востоковед., 1986.
11. Веретенников, А. А. *Очерки глагольной фразеологии персидского языка.* Москва: Изд. ВЛ, 1993.
12. Family, N. Semi-Productive Constructions: the case of Verb Islands in Persian. *ICIL-3: International Conference on Iranian Linguistics*. Abstracts. Paris: Universite de Paris, Sorbonne Nouvelle. 2009. 18.
13. Fritz, S. Die "Komplexen Verben" des Neupersischen in Umgangssprache und Literatur - eine arealinguistische und kulturhistorische Betrachtung. *IRANISTIK.Deutschsprachige Zeitschrift fur iranistische Studien*. 6. H. 1. N11. Tehran-Iran: Iran - Universitatsverlag. 2009. 5-55.
14. Hale, M. Old Persian Word Order. *Indo-Iranian Journal*. v. 31. 1. 1988. 27 - 40.
15. Karimi-Doostan, Gh. Lexical Categories in Persian. *ICIL-3: International Conference on Iranian Linguistics*. Abstracts. Paris: Universite de Paris, Sorbonne Nouvelle. 2009. 24.
16. Kent, R. *Old Persian*. New Haven. 1956.
17. Managadze, Z. *Die Komplexen Verben des Neupersischen*. Dissertation. Munchen: Munchener Universitat. 2009.
18. Moqaddam, M. Compound verbs in Persian. *Studies in Persian Linguistics*. California: California State University Press. 2007. 65-115.

19. Lazard, G. Notes de vieux perse. *Bulletin de la Societe Linguistique de Paris*. Paris: Societe Linguistique, 1976, v. 71. f. 1. p. 175-192.
20. Lazard, G. Le systeme verbal du vieux perse. *Bulletin de la Societe Linguistique de Paris*. Paris: Societe Linguistique, 1976, v. 71. f. 1. p. 182-192.
21. Нахუციშვილი, Н. *Превербы в новоперсидском языке*. Автореф. канд. диссерт., Тбилиси: Изд. Мецниереба, ИВАН. 1987.
22. ნახუციშვილი, ნ. პრეტერიტთან პრეფიქსის ფუნქციის შესახებ კლასიკურ სპარსულში. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*. 4. 1981..178-187.
23. ნახუციშვილი, ნ. სივრცობრივ წინდებულთა სისტემის განახლება თანამედროვე სპარსულში და მისი გავლენა ზმნურ პრეფიქსაციაზე. *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია*. 2. 1985. 137-141.
24. ნათაძე, მ. რთული ზმნები საშუალო სპარსულ ენაში (უწინდებულ რთული ზმნები). *დავით კობიძე 100, საიუბილეო კრებული*. თბილისი: თსუ გამომც. 2008, 132-137.
25. ОИЯ, ДЯ: *Основы иранского языкознания, Древнеиранские языки*. Москва, Изд. Наука, 1979.
26. ОИЯ, СЯ: *Основы иранского языкознания, Среднеиранские языки*. Москва, Изд. Наука, 1981.
27. Рубинчик, Ю.А. Грамматический очерк персидского языка. *Персидско-русский словарь* 2тт.. Москва, АН-ИВ, Изд. Русский язык, 1983.
28. *Персидско-русский словарь* 2тт. (ред.Рубинчик, Ю.А.), Москва, АН-ИВ, Изд. Русский язык, 1983.
29. Рубинчик, Ю.А. Сложный глагол в персидском языке. - слово или фразеологизм,? *Труды САМГУ*, новая серия, вып. 219, *Вопросы фразеологии*, ч. 2, Самарканд: Изд. САМГУ, 1972, 35-41.
30. Рубинчик, Ю. А. О некоторых особенностях фразеологизмов - предложений сравнительно со словом, *Труды САМГУ*, новая серия, вып. 219, *Вопросы фразеологии*, ч. 2. Самарканд: изд. САМГУ, 1972, 78-81.
31. Рубинчик, Ю.А. Структурно-семантические свойства многочисленных глагольных фразеологизмов в персидском языке. *Вопросы фразеологии, стилистики и грамматического строя восточных языков*. Новая серия, вып. 225, Самарканд: Изд. САМГУ, 1972, 1-11.
32. Рубинчик, Ю.А. Фразеологизмы-предложения в роли главного члена безличных предложений персидского языка. *Вопросы фразеологии, стилистики и грамматического строя восточных языков*. Новая серия, вып. 225. Самарканд: Изд. САМГУ, 1972, 11-21.
33. Рубинчик, Ю.А. Персидский сложный глагол как разновидность глагольных фразеологизмов. *Индийская и иранская филология. Вопросы лексики*. Москва: Изд. ВЛ, 1971, 178-183.
34. Рубинчик, Ю.А. Некоторые вопросы семантической структуры фразеологизмов. *Проблемы семантики*. Москва: Изд. Наука, 1974, 308-316.
35. Рубинчик, Ю. А. Определение объема фразеологии и вопросы включения фразеологизмов в словари персидского языка. *Иранское языкознание*, Ежегодник, Москва: Изд. ВЛ, 1980, 190-197.
36. Рубинчик, Ю.А. *Основы фразеологии персидского языка*. Москва: Изд. ВЛ, 1981.

37. Сахокия, М. М. *Посессивность, переходность и эргативность*. Тбилиси: Изд. Мецниереба, АН Грузии, ИВ, 1985.
38. Сахокия, М.М. О сложных глаголах в древнеперсидском языке и их отнесенности к слову. В: *Труды Самаркандского университета им. Алишера Навои*. Вопросы фразеологии, ч.2,219, Самарканд: изд. САМГУ, 1972, стр. 41-47.
39. Сахокия, М.М. К вопросу образования и классификации сложных глаголов в древнеперсидском языке, В: *მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, მეცნიერებათა აკადემიის გამომც.*1, 1979, გვ. 111-118.
40. სახოკია, მ. *დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში: ინდოევროპული/ქართველური*. სადოქტორო დისერტაცია და ავტორეფერატი, თბილისი: თსუ უნივერსიტეტის გამომც. 1998. Сахокия, М. М., *Диахроническая типология в морфосинтаксисе индоевропейских и картвельских языков*, Автореф. докт. дисс., Тбилиси, 1998,
41. Schmitt, R. Zur altpersischen Syntax. DB.III. 12-14. KZ: *Kuhnts Zeitschrift*. B. 92. H. 1-2. Leiden=Koln, 1978. 62-68.
42. Schmitt, R. *Altpersische Siegel-Inschriften*. Wien. 1981.
43. Schmitt, R. *Zwei unpubliesierte Bruchstuke der Trontrager - Beischriften des Artaxerxes Grabes*. Wien. 1980.
44. Sims-Williams, N. The final paragraph of the Tomb-Inscription Darius DNb 50-60: The Old Persian Text in the light of an Aramaic Version. *Bulletin of the Oriental and African Studies*, London: Society of Oriental and African Studies, v. XLIV p. 1. 1981.1-7.
45. Skaervo, P. O. Verbs in Parthian and Middle Persian Inscriptions. *Studia Grammatica Iranica*. Munchen, 1983, 425-439.
46. Skaervo, P. O. Remarks on the Old Persian verbal system. *MMS: Munchener Studien zur Sprachwissenschaft*. H. 45. Fest.f. K. Hoffman. Teil 2., Munchen: B. Kitzinger, 1985, 211-227.
47. Skaervo, P. O. *Old Persian*. Munchen: B. Kitzinger Press. 2005.
48. Telegdi, Xs. Nature et fonction des periphrases verbales dites „verbes composes“ en persan. *Acta Orientalia*. t.1.f.2-3. Budapest. 1951.
49. Хадарцев, О. А. Сложные глаголы с двумя объектами в персидском языке. *Вторая международная школа по лингвистической типологии и антропологии*. Материалы. Москва: Изд.РГУ. 2000.
50. Xanlari, N. Dasture Zabane Farsi. *The Historical Grammar of Persian Language*. tt. 1-2-3. Tehran: Ed. Tus. 1998.

THE TREATISE OF ARSENIUS (FARIS) FAKHURI AND ITS PLACE IN SYRIAC GRAMMATICAL LITERATURE

Syriac grammatical scholarship originated in the 4th-6th centuries, reaching its summit in the period of activity of the great figure of the 13th century, Abu-l Faraj Gregory bar Hebraeus. He is the last representative of Syrian grammarians, if we do not take into consideration several Maronite grammarians, of whom Arsenius Fakhuri, a 19th-century figure, is noteworthy. The only author providing information about him is L.Cheikho. He offered an extensive description of Fakhuri's life and work in his special study and published it in the journal *Al-Machriq* (*Al-Machriq*, 13, 1900). He also noted some basic moments of Fakhuri's biography in *La littérature arabe au XIX siècle* (L.Cheikho, *La littérature arabe au XIX siècle*, Beyrouth, 1926).

Arsenius (Faris) Fakhuri was born in 1800 in Lebanon. He received elementary education at the Greek College, and then continued his studies at Mar Anthony Seminary, which later became known as Ain Warka.

At Ain Warka Seminary main attention was paid to the study of Literary Arabic and Classical Syriac. Along with these languages, Italian and Latin, theology, logic and philosophy were also taught. The Seminary students also received general education in arithmetic and history. Together with Arabic and Old Syriac, here Fakhuri studied the Italian and the Latin languages, as well as philosophy, logic and theology. Still being a Seminary student, he worked independently on the history of religion and world history. Over a short period of time, Faris won universal recognition as the most erudite person. His popularity reached Youssef Hobaish, the Patriarch of Maronites at that time. In 1826 he appointed Fakhuri Patriarch of Bkerke and named him Arsenius.

The beginning of Fakhuri's activity is linked with the political innovations occurring in Syria and Egypt in the early 19th century. American, French and English missionaries set off to Syria and, especially, Lebanon, where the Christian religion of a part of the population had long since facilitated the dissemination of European culture. Missionaries established theological seminaries and schools. In 1866 the Syrian Protestant College (later known as the American University) was opened in Beirut. The Maronite clergy met with hostility the ever-growing flow of missionaries in Syria and established a new public school at one of the nunneries of Lebanon, where Arsenius Fakhuri was invited as a teacher of the Arabic and the Latin languages. The latter at that time fulfilled the duties of the ambassador in the city of Bella, from where he was immediately withdrawn upon the demand of Youssef Hobaish. However, very soon he was forced to abandon educational activity, as was transferred to the position of secretary of the Pope's ambassador. In 1838 Christian Cadi Metropolitan Gabriel of Lebanon died. The Governor of Lebanon of that period regarded Arsenius Fakhuri as the worthiest for this position. Fakhuri fulfilled the duties of Christian Cadi of Lebanon for a long time and was held in respect by Christians, Muslims and Druses. He was elected as a member of the Majlis and enjoyed great rights as a judge in Lebanon.

For example, this is indicated by the fact that Arsenius Fakhuri participated in the hearing of a case concerning one of the armed attacks between Druses and Christians in 1842.

From 1856 Fakhuri's eyesight deteriorated significantly. He gave up his career as a judge and was engaged only in literary work. Faris (Arsenius) Fakhuri died in 1883.

Arsenius Fakhuri's literary heritage is diverse. He is the author of works of literary, grammatical as well as ecclesiastical character. Mention should be made of his divan of poems, consisting of 440 pages, a book on issues of Arabic poetry and explanations of Al-Mutanabbi's divan of poems. He also composed a textbook for students, which covers morphology and syntax of the Arabic language. His *Grammar of the Syriac Language ("Fundamentals of Syriac Grammar")* deserves special attention.

When discussing Arsenius Fakhuri's grammatical treatise, first of all, several moments should be emphasized: the treatise is the latest of similar works of Syrian authors surviving to the present day and also attracts attention by the fact that views of early grammarians are gathered and taken into consideration in it. Although *Fakhuri mentions only Gregory bar Hebraeus, even this is sufficient to clarify that he was familiar with the works of the Syrian authors, about whom important information is preserved in the grammatical treatise of this great thinker Book of Splendours.*

This allows us to evaluate more correctly the peculiar approach, which is observable at the time of analysis of some categories and selection of illustrative material. The treatise is based on the principles of the Arabic grammatical system. The influence of the Arabic system is observable in the classification of the parts of speech, discussion of the noun categories, especially in the characterization of verb types.

The grammar of Arsenius Fakhuri, consisting of an introduction and three parts, is mainly devoted to issues of morphology, although issues of phonetics as separate chapters are also found in the text.

In the introduction, characterization of the Syriac alphabet, a quite brief overview of issues of the vowel system and punctuation are presented, the final chapter deals with the classification of the parts of a sentence.

The most extensive, second part of the grammar is entirely devoted to names, where nouns, adjectives and pronouns are discussed, statuses characteristic of Syriac nouns i.e. *state* is described. The author dwells specially on *status absolutus*, offers an extensive overview of formation of numerals.

The third part of the grammar deals with verb categories. Verb types are described accurately, from the viewpoint of the completeness of verb conjugation paradigms, Fakhuri's grammar hardly finds parallels in Syriac grammatical literature.

It should be noted that the author begins discussion of one or another issue on the basis of peculiarities recorded in the language at his time. This mostly applies the plosives (*bgdkpt*), and is also attested during the discussion of verbal noun and participle forms. In the first case Fakhuri indicates only those sounds pronunciation of which as spirants is preserved in the language (naturally, here Classical Syriac is not implied).

Thorough knowledge of the Syriac language is confirmed by the rich illustrative material recorded in the grammar. Often one page, sometimes two pages are devoted to Illustrations. The list of peculiar nouns is offered alphabetically. Words and meanings are represented, which are very important for studying the language. Many of them are not attested either in European or Syriac grammatical literature known to us. Unlike works of the same character, here Arabic equivalents of meanings are offered. Thus, illustrative material attracts certain attention from the viewpoint of Syriac as well as Arabic.

As noted above, in the treatise highly precise and extensive analysis of nouns and verbs is offered, views of Arab grammarians are taken into consideration. At the same time it should also be noted that sometimes Fakhuri is original and some of his qualifications seem to be more acceptable than those of the previous authors. There are cases when Fakhuri does not follow the tradition and derives some form or category by the analogy of Arabic. For example, at the time of formation of the Genitive construction, *al-muḏāfa* and *al-muḏāfa ilayhi* are differentiated. Here we can also mention identification of regular and broken plurals in nouns and grouping of nouns according to Arabic.

Since the study of punctuation and accentuation issues are no longer regarded as the main purpose of grammar, in the works of almost all Syrian grammarians one finds analysis of verb categories. Some of them, e.g. Elias of Tirhan (11th c.), whose grammar is created like Arabic and is written in the form of questions and answers, confines himself only to the classification of verbs. In the treatise of Bar Hebraeus, which has no equal in the relevant literature, inflection of all types of verbs are presented, their paradigm, however, is not always indicated. In this respect Arsenius Fakhuri's grammar is different from works of all other authors. In his grammar regular, geminated, weak, guttural verbs are recorded, those of the active voice as well as their reflexives with paradigms. As regards noun inflection and verb inflection, Fakhuri's grammar is the most perfect. In the noun inflection not only the changes are indicated that occur at the time of adding pronominal suffixes, but paradigms of these types are also represented. The situation is the same with verbs. It should be noted that according to the accuracy and consecutiveness of paradigms the treatise is not inferior to European grammars.

The grammatical terminology presented in Fakhuri's work is especially important. It can be said that almost none of the categories or linguistic phenomena occurs without a corresponding term. The majority of grammatical terms given in the treatise are attested in Syriac grammatical literature and are mostly recorded in grammatical treatises of the 10th-13th centuries (in grammars of Jacob of Edessa - 7th c., Bar Zo'bi - 12th c., Elias of Tirhan, Bar Hebraeus). The number of terms offered by Fakhuri exceeds that recorded with other Syrian authors and, most importantly, all Syriac terms are accompanied by Arabic equivalents. In works of Syrian grammarians we get acquainted only with Syriac terminology (not counting Elias of Tirhan; in his grammar, however, only some Arabic terms are found). With Arsenius Fakhuri one often finds terms which are not recorded elsewhere and represent direct translations from Arabic.

References:

1. В. Райт Краткий очерк истории сирийской литературы, С-Пб., 1902.
2. A. Baumstark, Geschichte der syrischen Literatur, Bonn, 1922
3. L. Cheikho, La littérature arabe au XIX siècle, Beyrouth 1926
4. Al-Machriq, 13, 1900

ბურჯინის ვილაიეთის დიდი დავთრის ანთროპონიმია

ისტორიოგრაფიული ძიების წარმმართველი ინტერესი იყო და არის უცხო-ენოვანი ცნობები საკუთარი ქვეყნის წარსულის ამა თუ იმ ფურცლის შესავსებად.

ოსმალეთის იმპერიის კარზე ერთი საოცარი ინსტიტუტი წარმოიშვა – დევთერდარების უმაგალითო სამჭედლოს ვგულისხმობთ. დევთერდარი ჩამოჰყვებოდა დალაშქრულ-დაპყრობილი ქვეყნის კუთხე-კუნჭულს, ხარკის ამოსაღებობიექტად ჩაინიშნავდა ბაღის ბოლოს მიდგმულ სკას, ჭვავის, ხორბლის, ოსპის თუ ფეტვის ქილას, დაუბეგრავს არ დატოვებდა დაქორწინების უფლებასაც კი.

XVI საუკუნის II ნახევარში პოლიტიკურად გაძლიერებულმა ოსმალებმა ისარგებლეს მაშინდელი საქართველოს გართულებული შინაური მდგომარეობით, დაიპყრეს სამხრეთ საქართველოს სამთავრო – სამცხე-საათაბაგო – და მას გურჯისტანის ვილაიეთი, ე.ი. საქართველოს პროვინცია უწოდეს (გვდდ, 1947, VII). ორ ცალად შესრულებული ოფიციალური საბეგრო დოკუმენტის ერთი პირი წარედგინა უმაღლეს პორტას, ხოლო მეორე გურჯისტანშივე უნდა დარჩენილიყო.

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მოხელე დევთერდარები გულმოდგინედ და კვალიფიციურად ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის გამომცემელი ს.ჯიქია წერს: „...უნდა ითქვას სიმართლე, რომ „დავთრის“ შემდგენელი დიდი მონდომებით ცდილობს, რათა შეძლებისდაგვარად ზუსტად ასახოს საკუთარი სახელები... აღწერის ჩამტარებელი თურქი მოხელე უთუოდ პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდება გეოგრაფიულ და ადამიანთა საკუთარი სახელების ზედმიწევნით ფიქსირებას. მას უსათუოდ ესმის, რომ ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტია, რომელშიც არა-ზუსტად ჩაწერილ გეოგრაფიულ თუ ადამიანთა საკუთარ სახელებს გადასახადის აკრეფისა თუ სხვა სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა ჩატარებისას შეუძლიათ გამოიწვიონ სხვადასხვაგვარი გაუგებრობა“ (ჯიქია, 1958: 25).

სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკურ გართულებათა შედეგი იყო გათურქება და გამაჰმადიანება, ემიგრაცია და იმიგრაცია, უცხო ენის გამოცხადება ოფიციალურ ენად. დავთრის ტექსტის მრავალრიცხოვანი მინაწერებიდან ირკვევა ის, თუ როგორ გადადიოდა ქართველ ფეოდალთა ხელიდან მიწები და სხვა უძრავი ქონება თურქ მოხელეთა ხელში. ადგილობრივი ქართული მოსახლეობა შემცირდა იმიტომ, რომ გადარჩენილი მოსახლეობის ნაწილი შიდა საქართველოში გადასახლდა (დავთარში 300-მდე გაუკაცრიელებული სოფელია აღნუსხული). გამაჰმადიანებული ქართველების ფანატიკურად განწყობილი ნაწილი მასიურად გადასახლდა ოსმალეთში (ჯიქია, 1958: 26) და საერთოდ საქართველოს ამ კუთხეში იმატა არაქართულმა მოსახლეობამ. ქურთების, სომხების, ბერძნების, თურქების საკმაოდ ძლიერ ემიგრანტულ ნაკადს დაემატა ძირითადი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის უმაგალითო გათურქება.

ონომატოლოგიური მასალით ადამიანთა ეროვნული წარმომავლობის გარკვევა საგულისხმო შედეგს იძლევა ამა თუ იმ ერის სხვა ერებთან ისტორიულ-კულტურული ურთიერთობისა და მხარის მოსახლეობის იმდროინდელი ეთნიკური შედგენილობის კვლევის საქმეში. დავთრის მიხედვით კი ძირძველ ქართულ

მიწაზე, რომლის მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულებია ახალციხე, ხერთვისი, ასპინძა, ახალქალაქი, ჩრდილი, ფოცხოვი, პეტრე, ბანა (ფანაკი), სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, ტაო, უკვე XVI საუკუნის ბოლოს უამრავი სომეხი და თურქი ცხოვრებულა.

ერთი ენობრივი მასალის გადმოცემა მეორე ენის გრაფემებით გარკვეულ დაბრკოლებებს ხვდება თუნდაც ამ ორი ენის არაიდენტური დამწერლობითი სისტემების გამო. ასეთ შემთხვევებში ენათა ფონეტიკურ-ფონოლოგიური სხვადასხვაობა ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ქართული, თურქული, ქრისტიანული (ებრაულ-ბერძნულ-რომაული წარმომავლობის) და სომხური სახელები გადმოცემულია ამ მიზნისათვის ნაკლებად შესაფერისი არაბული ანბანით, რომელიც თავისთავად დიდად გამოსადეგი არ იყო ამ ენათა ფონეტიკურ-ფონოლოგიური სინამდვილის ასახვისათვის. მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ არაბული ანბანის ორი თანხმოვნის, ვავისა (ج) და იოტის (ي), შესატყვის გრაფემას შეთავსებული აქვს, შესაბამისად, ო,უ და ე,ი ხმოვნების გადმოცემა, ხოლო არაბული ანბანის პირველ ასოს, ალფის (ا) – ა ხმოვნისა. ამდენად, რვა და ცხრახმოვნიანი (მაგ., თურქული და აზერბაიჯანული) ვოკალური ინვენტარის მქონე ენის სამი ხმოვნის შესაბამისი გრაფიკული გამოსახულებით გადმოცემა დიდ შეზღუდვებთანაა დაკავშირებული. რიგისმიერობა (მაგარი და რბილი ხმოვნები) თურქული ვოკალიზმის ძირითადი მახასიათებელია. რადგან არაბული ანბანი გრაფიკულად ამის გამოსატყვის საშუალებას არ იძლეოდა, ხმოვანთა რიგი თანხმოვანთა მიხედვით იყო ამოსაცნობი. ასე, მაგალითად, ასოთა მიმდევრობაში თუ აღმოჩნდებოდა კაფი (ك) და არა ქაფი (ق), სავარაუდო იყო მაგარი ხმოვნები, და – პირიქით. ყოველივე ზემოთქმულს უნდა დავუმატოთ ერთიც: უამრავი ქართული საკუთარი სახელი იწერებოდა არაბული მდივანმწიგნობრული ხელით, ე.წ. სიაკათით, რომელიც ურთულესია ამოსაკითხად. დევთერდარს უმნიშვნელოვანესი ფისკალური დოკუმენტის შედგენა სწორედ ამ ხელწერით ჰქონდა დავალებული. სიები იმ ზომამდეა სტილიზებული, რომ უახლოვდება სპეციალურ, შეიძლება ითქვას, საიდუმლო მონაცემებს და, რაც მთავარია: ასოებს არ გააჩნიათ დიაკრიტიკული ნიშნები. ასე, მაგალითად, ასო (ح) უნიშნოდ შეიძლება /x/-ც იყოს, /ç/-ც, /h/-ც და /ç/-ც. ასო (ق) სიტყვის თავსა და შუაში წერტილების ადგილმდებარეობისა და რაოდენობის მიხედვით შეიძლება იყოს /i/, /b/, /n/, /p/, /t/ და ინტერდენტალური ყრუ სპირანტი /θ/. ამის გამოა, რომ ეთნიკური თურქის მიერ მოსმენით აღქმული და არაბული ანბანით ჩაწერილი ქართული საკუთარი სახელები მნიშვნელოვანწილად შეცვლილია, თუმცა ბევრი სწორი ფორმაც არის დაცული, ან ისეთი, რომელიც ანთროპონიმულ ლექსემად ადვილად იკითხება.

ზოგჯერ სახელი ისეა სახეშეცვლილი, რომ მისი წყარო ენის დადგენისას მხოლოდ სავარაუდო მსჯელობაა შესაძლებელი. ეს განსაკუთრებით საკუთარ სახელებს შეეხება, რომელთაც იშვიათად ახასიათებთ ასოციაციები და მსესხებელ ენაში ძირითადად მარცვალთა უბრალო შეერთებად აღიქმებიან. ვვარაუდობთ, რომ ადამიანის საკუთარ სახელთა სიმრავლიდან არ ხდება მხოლოდ ეთნოანთროპონიმთა დესემანტიზაცია.

ისტორიის არენაზე ყოფნის განმავლობაში ოსმალებს მხოლოდ სახელები ჰქონდათ. ხშირად სახელთან ერთად წარმომავლობის მიხედვით ტოპონიმიც სახელდებოდა (მაგ., Erzerumlu Emrah ემრაჰ ერზრუმელი, Kaşgarlı Mahmud მაჰმუდ კაშგარელი და სხვ.). დევთერდარი გვარის მნიშვნელობას ვერ ხვდებოდა და ამდენად არ არის გასაკვირი, რომ იგი მას არც აღნიშნავდა (მხოლოდ 1934

წელს იქნა დაკანონებული გვარის ტარება). ზოგჯერ იგი გვარს მამის სახელად აფიქსირებდა. ამიტომ აღმოჩნდა დავთარში ოსმალთა დევთერდარის მიერ პირის სახელად აღქმული გვარები: ბერიძე, დემეტრაძე, ვარდიძე, კავკასიძე, პაპაძე, ცირეკიძე, ჭუნბაძე, ჯაველიძე, ჯუჯულაძე და სხვ.

დაბევრილ პიროვნებას მოხელე აზუსტებდა ნათესაობის მიხედვით. ასე, მაგალითად, მზვარეს რაიონის სოფელ ზემო ხუმაში უცხოვრია ვარძელ ელიოზის ძეს (ოჯახის უფროსი იხსენიება სახელითა და მამის სახელით), გოგიჩას, მის ძეს, ვეფხას, მის (გოგიჩას) ძმას, ვარსიმს, მის (ვეფხას) ძმას (გვდდ, 1941, 28). გამოდის, რომ ვარძელს გადასახადთა გადამხდელი სამი ვაჟი ჰყავდა (ოჯახის მეთაურის სტატუსით). უპირატესად ნათესაური კავშირი აღინიშნება შვილობისა (ზოგჯერ: მეორე ძე(გვდდ, II, 387) და ძმობის მიმართებით (ხან ასეც უთითებს: მეორე ძმა (გვდდ, II, 384), ან ძმა მეორე (გვდდ, II, 386), ან – კიდევ ძმა(გვდდ, II, 386). თუმცა არცთუ იშვიათია შვილიშვილის მითითებაც: ლომას შვილიშვილი, ღონენას შვილიშვილი (გვდდ, 1947, 183), აზარბეგის შვილიშვილი (გვდდ, 1941, 348), დარისპანის შვილიშვილი (გვდდ, 1941, 484; ერთი-ორჯერ მითითებულია სიმამრი (გვდდ, 1941, 89) და სიძე (გვდდ, 1941, 53, 474).

ოსმალთა დევთერდარებს ქალები არ შეჰყავდათ საბევრო დავთარში.

მოხარკეთა მარკირების პროცესი პროფესიის აღნიშვნითაც არის გაადვილებული: მჭედელი მჭედლის შვილი (გვდდ, 1941, 89), ოქრომჭედელი (გვდდ, 1941, 154) ოქრომჭედლის შვილი(გვდდ, 1941, 90), იორდანე მჭედლის შვილი(გვდდ, 1941, 154193), ვარძელ თერძი (გვდდ, 1941, 90), ტატია თერძი (გვდდ, 1941, 492), როსაფა ზეინკლის შვილი (გვდდ, 1941, 38, 294), ელისა მექეჩე (გვდდ, 1941, 99), რევაზა მწყემსი (გვდდ, 1941, 465), მენახირე სულალა (გვდდ, 1941, 255), მეთევზის შვილი (გვდდ, 1941, 103), ღვინია მებოსტნის შვილი (გვდდ, 1941, 105), წამალა მექურქის შვილი (გვდდ, 1941, 294), გოგიჩა ქეთხუდა(მამასახლისი) (გვდდ, 1941, 486) და სხვ. ვხვდებით აგრეთვე იალღუზა მებალეს (გვდდ, 1941, 181), ელიაზარ მახალიჩეს (გვდდ, 1941, 264), მეჩექმეს, ყასაბსა თუ სხვათა. სასულიერო პირები და ეკლესიის მსახურებიც კეთილსინდისიერად არის აღნუსხული: დავით მოძღვრის ძე (გვდდ, 1941, 24), მოსე მღვდელი (გვდდ, 1941, 173), ზაქარია მღვდლის შვილი (გვდდ, 1941, 173), თემურ მღვდლის შვილი (გვდდ, 1941, 492), მღვდელი მკალავის შვილი (გვდდ, 1941, 90), მღვდელი დანიელის ძე, ვარძელ მღვდლის ძმა (გვდდ, 1941, 285), ილარიონ დეკანოზის ძე (გვდდ, 1941, 56).

გამოვლინდა 300 ოდენ ქართული, 60-ამდე კანონიკურ-ქრისტიანული, 30 სომხური სახელი, რეგიონში ისლამის გავრცელებასთან დაკავშირებით 70-ზე მეტი საკუთრივ თურქული (ჯიქია, 2002), via turcica 60-ამდე არაბულ-სპარსული ანთროპონიმი.

რიგი სახელებისა გაურკვეველი წარმომავლობისაა.

ქართულ პირის სახელთა უმრავლესობის სემანტიკა საკმაოდ გამჭვირვალეა. ადამიანის ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით სახელდება ანთროპონიმიზაციის უძველესი ეტაპია. ფიზიკური აღნაგობის, თმის შეფერილობის, ადამიანის იერის, ჰაბიტუალური ნაკლისა თუ ღირსების აღმნიშვნელი არაერთი სიტყვა ქცეულა პირის სახელად. ქართულ ანთროპონიმებში ხშირია მახასიათებელი ერთეულები, რომელთაც ენათა უმრავლესობაში დაეძებნება სემანტიკური შესატყვისები. დავთარში დადასტურდა ამ ტიპის სახელები: მალალა, ახალა, ერთგულა, ფირცხალა, ქერა და სხვ.

ტოტემურ ცხოველთა და, საერთოდ, ცხოველთა სახელების გამოყენება ადამიანთა საკუთარ სახელად ადამიანთა სახელდების უძველეს ეტაპად წარ-

მოგვიდგება, რომლის კვალი კარგადაა შემონახული წერილობით ძეგლებსა და ხალხის წარმართული ყოფის ჩვენამდე მოღწეულ გადმონაშთებში. საქართველოს მთაში, სადაც ბევრი ქრისტიანობამდელი წეს-ჩვეულება და რიტუალია დაცული, შემორჩენილია ცხოველთა სახელებისაგან მიღებული ანთროპონიმები: მგელიკა, ძაღლიკა, ვეფხია და სხვ. დავთრისეულ სახელებშიც შეგვხვდა ზოოფორული ონიმები: ფოცხვერა, ქურციკა, ირემა, ვეფხა/ვეფხია, ლომა.

სომატური ლექსემის შემცველია გულა და თვალია.

გამოიყო სხვადასხვა მოტივაციით გაანთროპონიმებული აპელატივები: მარცვალა, წამალა, მამულა, მახათა, ღვინია, სულა/სულია და სხვ.

სახელებად გვხვდება:

არსებითი სახელები: კაკალ-ა, , მამულ-ა, მახათ-ა და სხვ.

ზედსართავი სახელები: ახალ-ა, მაღალ-ა და სხვ.

მორფოლოგიური საშუალებებით წარმოქმნილ სახელებად დადასტურდა ნანათესაობითარი ფორმები: ბედისა, გულისა, ლალისა, მამისა, უფლისა, ხატი-სა, ჯვარისა და სხვ.

დავთრის ქართულ ონიმებში რამდენიმე პირიელი ზმნური ფორმაა: ელოდა, გაბედა, მაცხონა და სხვ.

მოქმედებითი გვარის მიმღებობაა საკმაოდ გავრცელებული სახელი მახარებელი.

ვნებითი გვარის მიმღებობაა ნასყიდა და ნაცვალა.

ხშირია წარმოქმნილი სახელები: – უჩა: გაგუჩა, ქაქუჩა; – იჩა: გოგიჩა; – ორა: გოგორა; – ელა: აღდგომელა, გუბელა, ზუბელა, ბაბელა; – ენა: ლონენა; – უნა: პაპუნა, გაგუნა, ბაბუნა; – ინა: ლომინა; – იტა: ნანიტა; – ია: ცხადია, ბატია, პოპია, თვალია, მახნია; – უკა: ბერუკა; – ულა: ხახულა; – იკა: სულიკა; – უტა: ბახუტა, ხახუტა; – ა: წამალა, მარცვალა, მამულა, ნათენა, კაპანა.

მსაზღვრელ-მსაზღვრულის ტიპის თხზული სახელებია: ახალბედ, ოქროპირ, შავბერი, შავგულა და სხვ.

მართული მსაზღვრელითაა დედისიმედი, ლომისგული, პაპისიმედი, ცისკარა, ჯვარისა.

სახელად გამოყენებულია უსრული წინადადებები: მამისარი, ჯანისარი, ლომისარი.

გურჯისტანის ვილაიეთში 1595 წელს დადასტურებული ქართული სახელებია: ავალ, ამაღლობელ, აღდგომელა, აღნია, ახალა, ახალბედ, ახალკაცი.

ბაბანა, ბაბელა, ბაბუნა, ბადურა, ბაკური, ბალა, ბალია, ბატატა, ბატატგულა, ბატია, ბაქარ, ბაკურა, ბალუტა, ბახუტა, ბედისა, ბენა, ბერა, ბერადავლე, ბერეკა, ბერი, ბერიტა, ბეროზ, ბერუკა, ბერუნა, ბერურა, ბექა, ბიძინა.

გაბა, გაბედა, გაბედულა, გაგა, გაგია, გაგუნა, გაგურა, გეგენა, გელა, გელიტა, გენება, გიგიბერა, გიგინა, გიგოლა, გოგა, გოგელა, გოგია, გოგინა, გოგირა, გოგოლა, გოგორა, გოგოტა, გოგორა, გორა, გოძია, გუბელა, გულა, გულაბა, გულაბერ, გულბერ, გულია, გულისა, გულისადებ.

დარჩია, დედაგულა, დედისიმედი, დემნა, დოდოს.

ედიბერა, ედიშერ, ელოდა, ერდგულა.

ვარსიმა, ვარძელ, ვარძია, ვაშლობელ, ვეფხა/ვეფხია, ვირსხალა.

ზაზა, ზაზია, ზაზუტა, ზამუკა, ზედგინა, ზერეკა, ზოზია, ზუბა, ზუბელა.

თაბუკა, თავაბერი, თავზარი, თანდილ, თარალა, თაყა, თვალია, თორნიკე.

ია, ინა, ინასარ, ირემა, იჩქით.

კაკა, კაკაბა, კაკალა, კაკულა, კაკუტა, კაპანა კარბელა, კვინიკა, კიკნა, კიკოლა, კობალა, კობერა, კობეშა, კობია, კოველა, კოკელა, კოკოლა, კუპატა, კუპრა, კუტუბა.

ლასურა, ლომა, ლომგელი, ლომგულა, ლომდარა, ლომინა, ლომისა, ლომის-გული, ლომკაცი, ლომსა, ლომსარი.

მაისურ, მამაგელა, მამია, მამისა, მამისარი, მამუკა, მამულა, მამურა, მარგ-ველ, მარცვალა, მატატა, მალალა, მალალაბერი, მაყა, მაცხონა, მაცხონე, მაცაცა, მაწყვერელ, მაჭუთა (მაჭუტა), მახა, მახათა, მახარა, მახარებელ, მახნია, მერა-ბა, მიგრია, მოლოდინა.

ნათა, ნათენა, ნანიკა, ნანიტა, ნანუა, ნანურა, ნასყიდა, ნაცვალა, ნიორა.

ორბელ, ოსია, ოტია, ოქრო, ოქროპილ/ ოქროპირ.

პაატა, პაპა, პაპისიმედი, პაპიტა, პაპუნა, პაპუტა, პატარა, პატია, პიპინა, პოპია.

რამაზ, რატია, რევაზ, როსებ, რურია, რუსია.

საგინა, სალარა, სამადა, სამხარა, სარალა, სესია, სეხნა, სიხარულა, სოზა, სოზია, სუთია, სულა, სულია, სულიკა, სუპათა/სუპატა, სუნა, სუნია, სხირთლა.

ტატულა, ტატუნა, ტეტია, ტოგონა, ტოტია, ტყემალა.

უმიკა, უტა, უფლისა.

ფარცვანი, ფირცხალა, ფირცხელა, ფოფხა, ფოცხვერა.

ქავთარ, ქარსელ, ქაქურა, ქიტია, ქოჩია, ქოჩორა, ქუმსია, ქურციკა, ქუცია.

ღვინია, ღონენა, ღოღოლა.

ყვავილა, ყურა, ყურ(დ)ღელა.

შავბერი, შავგულა, შავთვალა, შავჩოხა, შალაბერ, შალვა, შალიკა, შამელა, შაშია, შაშიკა, შაშუტა, შერგილ, შოთა, შოშა, შოშია, შოშიტა.

ჩიტა/ჩიტია.

ცირეკი, ცისკარა, ცხადა/ცხადია, ცხადაბერ, ცხადია.

ძამაგულ, ძამან.

წამალა.

ჭაბუკა, ჭანი, ჭარელა, ჭაჭია, ჭილა.

ხატია, ხახულა/ხახული, ხახუტა, ხატისა, ხინა, ხმალა, ხოსითა, ხოსიკა, ხუ-ტულა, ხუხუნა. უავახა, ჯაველი, ჯალია, ჯანია, ჯანისარი, ჯაყელი, ჯაჯელა, ჯვარა, ჯვარისა, ჯორჯა, ჯოჯიკი, ჯუჯულა (ჯიქია, 2004: 281-287).

ნიშანდობლივია „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისა და პერსონაჟთა სახელების სიმრავლე ამ რეგიონში: შოთა ((გვდდ, 1941: 190, 225, 476), როსტევან/როსთე-ვან (გვდდ, 1941: 78, 286, 484), ფრიდონ (გვდდ, 1941: 485), სარიდან/სარუდან/სარადან (გვდდ, 1941, 487, 362), ტარიელ (გვდდ, 1941, 433), ავთანდილ (გვდდ, 1941: 433), რამაზ (გვდდ, 1941: 78, 286).

ქრისტინულ-კანონიკური (ებრაულ-ბერძნულ-რომაული) სახელებია:

აბელ, აბესალომ, აბიათარ, აბრამი, ალექსა, ამროსი, ანანია, ანდრია, ანდ-რონიკ, ანტონ; ბასილ; გაბრიელ, გიორგი, გრიგოლ; დავით, დანიელ, დემეტრე, ელია, ელისა, ელიაზარ, ენუქ, ერეკლე, ეფრემ; ზაქარა, ზოსიმე; თევდორე; იასა, იასონ, იაყუბ, ივანე, ილარიონი, ილია, იონა, იორამ, იორდანე, იოსებ, ისაია, ისაკა; კვირიკე, კირილე; ლაზარე, მათათა (მატატა), მათია, მანასე, მარკოზ, მაქ-სიმე, მიქელა, მოშია; ნიკოლოზ; პავლე/პავლია, პეტრე; რომანოზ; საბა (საბია), სერაფიონი, სთეფანე/ სტეფანე, სიმონ, სოლომონ, ფილიპე, ქრისტესა.

სომხური სახელებია:

ავანეს, არაქელ, არმენ, არტამეზ, ასვატურ/ასათურ; ბარსეგ; გალუსთ; ვართან; თათოს; კარაპეტ, კირაკოს; მანველ, მანუკ, მარტიროს, მარქარ, მიკირტინ, მიტიჩ, ; ოსეფ; პარონ, პოლოზ; რუბენ; სარგიზ; ტერაკოფ, ტერტერ; ყუზანა; ხაჩათურ/ხაჩატურ, ხაჩიკ, ხითარ; ჰარაპეტ.

თურქული წარმომავლობის პირის სახელებში მრავლად გვხვდება არსებითი სახელები:

budak „ტოტი“, kaplan „ვეფხვი“, kaya „კლდე“, ođlan „ბიჭი“, ođul „ძე“, tanrı „ღმერთი“, kul „მონა“, çomak „ჯოხი“, sonğul „შევარდენი“ და სხვ.

ზედსართავი სახელები:

alaca „ჭრელი“, çirkin „უშნო“, gözäl „ლამაზი“, deli „გიჟი“, dolu „სავსე“, , kara „შავი“, karaca „მოშავო“, küçük „პატარა“, sarı „ყვითელი“, sağır „ყრუ“, uzun „გრძელი“ და სხვ.

ზმნური ფორმები:

ნამყო კატეგორიული დროის III პირის მხ. რიცხვის ფორმაა verdi „მომცა“. ჩრდილო-კავკასიის თურქული მოდემის ერებს – ყუმუხებს, ყარაჩაელებსა და ბალყარებს – ეს სახელი Berdi-ს ფორმით აქვთ (შდრ. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სახელი ბერდია). ეს ფორმა შეიძლება შეუდარდეს ქართულსა და რუსულში არსებულ წავედი! Пошёл! ფორმებს, რომელთაც აქვთ არა მარტო წარსულის მნიშვნელობა, არამედ მომავლისაც.

აწმყო დროის მიმღებობაა duran „ის, ვინც დგას“;

აწმყო განუსაზღვრელი დროის უარყოფითი ასპექტის მიმღებობებია: korkmaz „(ის, ვისაც) არ ეშინია“, dolmaz „აუვსებელი, გაუმაძღარი“, kaytmaz „(ის, ვინც) არ გადათქვამს, არ დაბრუნდება“, utanmaz „(ის, ვისაც) არ რცხვენია“, ürkmeyz „(ის, ვინც) არ დაფრთხება“;

ნამყო დროის მიმღებობებია:

bilmiş „მცოდნე“, bulmuş „ნაპოვნი“, girmiş „შესული“ durmuş „გადარჩენილი“, vermiş „ბოძებული“, satılmış „გაყიდული“;

წარმოქმნილი სახელებია:

ქონების – II სუფიქსიანი სიტყვაფორმებია yaralı (yara „ჭრილობა“) და uđurlu;

-CI აფიქსის როგორც სახელის, ასევე ზმნის ფუძეზე დართვით იწარმოება ხელობა-მესაქმეობის სახელები:

carcı „მაუწყებელი“,ö korucu „მცველი“ (koru – korumak „დაცვა“ ზმნის ფუძე + - ci), dilenci „გლახა, მათხოვარი „(dilen – dilenmek „თხოვნა“ ზმნის ფუძე + - ci).

აღმოსავლურ ენათაგან ნასესხებ სიტყვათა ერთი ნაწილი ქართულსა და სხვა ენებში იჩენს ფრიად ნიშანდობლივ ფონეტიკურ თავისებურებას: არაბული, სპარსული ან თურქული სიტყვის ანლაუტისეული d ან t და უშუალოდ მომდევნო არალაბიალურხმოვნისანი კომპლექსი /da-, dā-, de-, di, dı-, ta-, tā-, te-, ti-,tı - / გვაძლევს დ/თ/ტ + ო/უ კომპლექსს (ჯიქია 1978: 5-7). მაგ., თურქ. dilmeç||tilmeç → ქართ. თოღმაჯი (შდრ. აგრეთვე: რუს. толмач, გერმ. Dolmetscher), სპ. dastqar > ქართ. დოსტაქარი, სპ. dilarduxt → ქართ. დულარდუხტი; არაბ. davlat > დოვლათი და სხვ. თურქულიდან ნასესხებ სიტყვათაგან ეს მოვლენა დასტურდება პირის სახელით დოღენჯი < თურქ. dilen-mek „თხოვნა“ ზმნის ფუძე + - CI აფიქსი: /dilenci/ „მათხოვარი, გლახა.“ გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში გვხვდება როგორც დოღენჯი (გვდდ, 1947: 216) – ლაბიალური ფართო ხმოვნით პირველ მარცვალში, ასევე დიღენჯი (გვდდ, 1947: 348).

ზმნიზედა:

yalanyz > yalğuz „მარტო“

თხზულ ანთროპონიმთა დიდი ნაწილი ერთგვარად თითქოს უფრო მოსალოდნელი ორწევრა დეტერმინატული კომპოზიტი კი არა, სახელთა უბრალო მიერთება აღმოჩნდა, რომელშიც შედის ე.წ. თურქული იზაფეტის წესით დაკავშირებული სიტყვები, ე.ი. არსებითი სახელი + არსებითი სახელი. ფაქტობრივად ეს ლექსემები მარკირებულია მირთვით. ანთროპონიმთა ტიპოლოგიური კვლევის პოზიციიდან აუცილებელი არაა თხზული სახელის კომპონენტებს შორის სემანტიკური მიმართებების წარმოჩენა. ასე, მაგალითად: გერმანული სახელი Siegfried არც „მშვიდობის გამარჯვება“ (Sieg des Friedens) და არც „გამარჯვების მშვიდობა“ (Frieden des Sieges). შენიშნულია, რომ კომპოზიტის წევრთა მიუსადაგებელ შინაარსს ხშირად ახლდა მისტიკური გააზრება.

კომპოზიტი I იზაფეტია:

Atabeg „მამა ბატონი“, Aslanbeg „ასლან ბეგი“, Ağabeg „ალა ბეგი“, Baysoğul „ბატონი შევარდენი“.

კომპოზიტი II იზაფეტია:

Delioğlı „გიჟის (სალოსის) ძე“

დანარჩენი თხზული სახელები ატრიბუტული მსაზღვრელ-საზღვრულია: Akbuğa „თეთრი ბულა“, Gözelbeg „ლამაზი ბატონი“, Dolubeg „უხვი ბატონი“, Dulbeg „ქვრივი ბატონი“, Karaaslan „შავი(ძლიერი)ასლანი“, Karabeg „შავი (ძლიერი) ბეგი“, Karagöz „შავი თვალი“, Karayığit „ძლიერი ვაჟკაცი“, Karaoğlan „შავი ბიჭი“, Sarıbeg/Sarıbeg „ქერა ბეგი“, Saruhan „ქერა ხანი“, Ulubeg „დიდი ბეგი“, Uluhan „დიდი ხანი“, Urdubeg „ურდოს ბეგი“.

წინადადება საკუთარი სახელის ფუნქციით არცთუ უცხოა ენათათვის. შდრ. ქართული მზევინარი, ღვთისავარი, რუსული Богдан, Владимир, გერმანული Bleibimhaus „დარჩი შინ“, Borgenicht „ნუ დამალავ“ და სხვ. თურქულენოვან ხალხთა ანთროპონიმიაში ძალიან ხშირია სახელდება მეტ-ნაკლებად მოტივირებული უსრული წინადადებებით.

ვერბალური კონტექსტის სინტაგმათაგან ქვემდებარე – შემასმენლის ქარგა აქვს შემდეგ სახელებს:

el aldi „ხალხმა წაიყვანა“ (გვდდ, 1941, 181), el almaz „ხალხი არ წაიყვანს“ (გვდდ, 1941, 120, 294), er doğdı „ვაჟკაცი დაიბადა“ (გვდდ, 1941: 189).

ამ ტიპის ორფუძიან სახელთა სხვა მაგალითებში პირველი კომპონენტი არაბული ან სპარსულია:

allah verdi „ალაჰმა მიბოძა“ (გვდდ, 1941, 367), şah verdi „შაჰმა მოგვცა“ (გვდდ, 1941, 345), huda verdi „ღმერთმა მომცა“ (გვდდ, 1941: 177).

პირდაპირი დამატება-შემასმენელია სახელში yüz verdi „სახე მომცა“ (გვდდ, 1941: 496).

გარემოება-შემასმენელია hoş geldi „კარგად მოხვედი“ (გვდდ, 1941: 347, 419).

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით თურქული წარმომავლობის მასკულინური ანთროპონიმის „არსენალი“ ასეთია:

ათაბეგ, ალაჯა, არსლან, ასლანბეგ, ალაბეგ, აღბულა; ბადურა, ბაინდურ, ბაისოღულ, ბილმიშ, ბილყულუ, ბულმუშ, ბუდახა; გირმიშა, გურჯი, გოზალა, გოზალბეგ; დელი (დელუ), დელიოღლი, დილენჯი, დოლმაზ, დოლუბეგი, დულბეგი, დურან, დურმიშ, დურმიშხან; ელალდი, ელალმაზ, ერდოლდი; ვერდი, ვერმიშ; თემურ, თულა; იალღუზ, იანღულ, იარალი, იუზვერდი; კორკმაზი, კორკულ;

ოღლანა, ოღულა; სათილმიშა, სარიბეგ/სარუბეგ, სარუხან, საღირა, სონღულა; უზუნა, უთანმაზ, ულუბეგ/ ულუმბეგა, ულუხანა, ურდუბეგ, ურქმაზ, უღურლუ; ქურუკა; ყაია, ყაითმაზ, ყაფლან, ყარა, ყარაასლან, ყარაბეგ, ყარაგოზ, ყარაჯა, ყარაგოზა, ყარაიგით, ყარაოღლან, ყორჩია, ყულბეგ, ყული; ჩირქინა, ჩოლაყა, ჩომაყა; ხაზარა; ჯარჯი (Cikia, 2002: 185-189).

ანთროპონიმთა ამ სიმრავლეში რამდენიმე სემანტიკური ველის რეპრეზენტანტი სახელები გამოიყოფა.

ეთნონთროპონიმებია:

ბაინდურ, გურჯი, ურუმი (სახელში ურუმბეგ), ჩერქეს, ხაზარა;

ხელობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი სიტყვები:

carci „მაუწყებელი“, ö korucu „მცველი“ dilenci „გლახა, მათხოვარი“.

სოციალური ტერმინები:

ათაბეგ, ულუხანა, ურდუბეგ, ალაბეგ, დულბეგი, ულუბეგ.

აღწერით სახელებს ენათა უმრავლესობაში ეძებნება სემანტიკური შესატყვისები. შდრ. თურქული uzun „გრძელი“ და ქართული გრძელი (გვარში: გრძელიშვილი), აზერბაიჯანული gara „შავი“, გერმანული Schwarz „შავი“ და ქართული შავი (გვარში: შავიშვილი), თურქული küçük „პატარა“, გერმანული Klein „პატარა“ და ქართული პატარა (გვარში: პატარიძე), თურქული Kızıl „წითელი“, რუსული Краснов (< красный „წითელი“) და ქართული წითელი (გვარში: წითელიძე), ქართული თეთრი (გვარში: თეთრაძე), რუსული Белов (< белый „თეთრი“), გერმანული Weiß „თეთრი“.

ამ რიგის დავთრისეული სახელებია:

alaca „ჭრელი“, çirkin „უშნო“, çolak „ცალხელა“, gözäl „ლამაზი“, deli „გიჟი“, dolu „სავსე“, , kara „შავი“, karaca „მოშავო“, küçük „პატარა“, sarı „ყვითელი“, sarır „ყრუ“, uzun „გრძელი“.

ხარიზმატულ, ე.ი. ბოროტ სულთაგან დასაცავ, სახელებს მიმართავდნენ მაშინ, როდესაც ოჯახს თავს ატყდებოდა რაიმე უბედურება. ასეთ დროს მუსლიმის აზრი ინსტინქტურად მიემართებოდა წარსულში და ბედთან ბრძოლაში მხარდაჭერას ისლამამდელ რწმენაში ეძებდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია სახელის შერჩევისას იმ ოჯახებში, სადაც ბავშვები ზედიზედ იხოცებოდნენ. სიცოცხლის შესანარჩუნებლად ახალშობილთ ასეთ სახელებს არქმევდნენ:

girmiş „შე(მო)სულა“, durmuş „გადარჩენილია“, satılmış „გაყიდული“; ეს სახელი ჩვილის ფიქტიურ გაყიდვას გულისხმობს. ე.ი. ახალშობილი სხვა პირის კუთვნილება და ბოროტ სულს მასზე ძალა ეკარგება (შდრ. ქართული ნასყიდა).

თურქული წარმომავლობის ზოოფორულ სახელთაგან Aslan „ლომი“ და Kaplan „ვეფხვი“ საკმაოდ გავრცელებული იყო ძველ საქართველოში. დავთარში შეგვხვდა აგრეთვე sonçul „შევარდენი“ და buğra (სახელში Ağbuğra) „ბულა“.

არაბულ-სპარსული წარმომავლობის ონიმებია: ადარნას, აზატ, ამირნაზარ, ამირსარგის, ანდუყაფარ, ბეჟან, ბეშქენა, ბულაღარ, გულაზიზ, გურასპ/გურასფა, დარისპან, დოვლათიარ, დურალი, ემირგულ, ვარაზგულ, ვარდია, ზალდასთან, ზარხომ/სარხომ, ზოჰრაბ/ზურაბ, თამურაზ, იმედა, ისფენდიარ, ლაშქარა, მელიქ, მეჰრაბ, მირახორ, მირველი, მირზა/მირზია, მირიმან, მურად, მურადბახში; ნაზარ ნარიმან, ნოვრუზ/ნოვრუს, ნოშრევან, ნურაზიზ, ნურალი, როსტომ (როსთომი), სალუყაზან, სეფედავლე, სულთან/სულტან, სულთანიარ, სულთანშაჰ, სუნბათა; ფარაშ, ფარშევან, ფარნაოზ, ფირაზიზ, ფირალი, ფირიჯან, ფირსულთან, ფირყუზან; ქეიყუბად, ლარიზშაჰ, ყანდურალი, ყიასა, ყუბად, ყულაბა, შაქარა, შაჰაზიზ, შაჰველი, შაჰინშაჰი, შაჰმელიქ, შაჰმურად, შაჰრიარ, შაჰყუბად,

შედან, შერმაზან, შირინ, ხალილ, ხუდაბახში, ხუდად/ხუდუდ, ხუსრევ; ჯამასპი, ჯანაზიზ, ჯანიდიარ, ჯემშირ/ჯიმშერ; ჯიჰანშა, ჰაიდარ, ჰაზარბეგ, ჰაზარგულ.

არაბულ-თურქული და სპარსულ-თურქული კომპონენტების შემცველი თხზული სახელებია:

აზარბეგ, ალაჰვერდი, ალიბეგ, ალნაზბეგ, ამირასლან ამირგოზალ, ამირხან, გულასლან, დევალმაზ, ელაზიზ, ველიბეგ, იარაზიზ, მელიქსეთ, მირარსლან, მურადბეგ, მურადხან, ნარინბეგ, ნურყული, ოლლანშაჰ, ფირბუდალა, ფირყულა, ყაზიბეგ, ყარასულთან, ყულისულთან, შაჰარსლან, შაჰბეგ, შაჰბუდახა, შაჰვერდი; ხომგელდი, ხოსაბეგ, ხოჯაბეგ, ხუდავერდი, ჯანასლან, ჰაზარბეგ, ჰაზარშაჰ და სხვ.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარში ონომასტიკოსებისათვის გვერდაუვლელი საკვლევი მასალა არის დაუნჯებული. ოსმალთა დევთერდარის მიერ ჩაწერილი პირთა სახელებით სრულად აღდგება ამ რეგიონის მასკულინური ანთროპონიმია XVI საუკუნის მიწურულში. წარმართული, ქრისტიანული, მუსლიმური სახელები შემოდირდა ენაში და შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა ერთგვარად ანთროპონიმიაში აისახებოდა (ბერიძე, 2009:31). ეს კარგად ჩანს ამ კუთხით განხილულ ფაქტობრივ ფისკალურ დოკუმენტში. ქართველი სხვა ხალხისადმი თავის დამოკიდებულებას ონომასტიკური არსენალითაც გამოხატავდა. ამდენად, ზემოთ ჩამოთვლილი სახელები შეიძლება გაშუქდეს კულტუროლოგიურ მოვლენათა რაკურსში.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გვდდ - გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი II, თარგმანი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
2. გვდდ - გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ, წიგნი I, ტექსტი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1947.
3. ჯიქია, ს. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი. წიგნი III, გამოკვლევა. 1. 3. ხელნაწერის აღწერილობა; 2. შენიშვნები ტექსტის გეოგრაფიისა ტოპონიმისათვის. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958.
4. ბერიძე, მ. მე-16 საუკუნის უძველესი ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის ლინგვისტური პრობლემები. თბილისი: უნივერსალი, 2009.
5. ჯიქია, მ. ქართული ანთროპონიმები გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში. ქართველური ონომასტიკა II, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
6. Cikia, M. Gürcistan Vilayeti'nin mufassal defterinde (1595) kullanılan öz Türkçe adlar. XIII. Türk Tarih Kongresine Sunulan Bildiriler, Ankara: Türk Tarih Kurumu Basımevi, 2002.

ლიტერატურათმცოდნეობა

ოლღა ბერიძე

ეკფრასისის რიტორული სტრუქტურისათვის ძველ ქართულ მწერლობაში

ეკფრასისი (ἔκφρασις), ანუ *აღწერა* ყველა ეპოქის სხვადასხვა ლიტერატურული მიმდინარეობისა თუ ჟანრის მწერლობისათვის მეტად დამახასიათებელი ელემენტია; ბერძნულ ლიტერატურაში ეკფრასისი ზოგჯერ დამოუკიდებელი ჟანრის სახითაც გვხვდება. როგორც რიტორიკული ტროპი, იგი ფართოდ გამოიყენება ქართულ აგიოგრაფიულ და საისტორიო მწერლობაში, რაც იმით აიხსნება, რომ სხვადასხვა ჟანრის თხზულებები გაჯერებულია რიტორიკული ხერხებით. ამას, უპირველეს ყოვლისა, განაპირობებდა ფოლკლორული და ლიტერატურული ტრადიციები, ბერძნული და აღმოსავლური ენებიდან თარგმნილი მდიდარი ლიტერატურა, ძლიერი რიტორიკული სკოლის არსებობა ძველ საქართველოში.

ეკფრასისის დეფინიცია მოცემულია ბერძნულ ენაზე დაწერილ რიტორიკის სახელმძღვანელოებში და იგი კარგადაა ცნობილი მჭევრმეტყველებაში განსწავლულ შემოქმედთათვის: „აღწერითი სიტყვა, რომელიც ნათლად წარმოგვიდგენს საგანს“ (ეკფრასისი მომდინარეობს ბერძნული ზმნიდან ἔκφραξις, რაც ნიშნავს აღწერ; გამოვსახავ); ეკფრასისის სახეები: პორტრეტები, ხასიათები, გეოგრაფიული ადგილები, საცხოვრებელი გარემო, სტიქიური მოვლენები, ბრძოლის სურათები, ხელოვნების ძეგლები და სხვ. სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებში მწერლების მიერ აღწერილია საგნობრივი რეალობის დაცვივითა და წარმოსახვითაც (Downey, *RAC* 4: 921-44; Hohlweg, *RBK* 2: 33-75; Hunger, *Lit. I*: 170-88; Maguire, *Art and Eloquence*: 22-52).

ძველ ქართულში სიტყვა *აღწერა* ნიშნავს „დაწერას“, „წერას“, „მოწერას“, „განწესებას“, „ქვეყნის აღწერას“ (აბულაძე, 1973: 25; s.v. „აღწერა“). მომდევნო მაგალითებში ჩანს, რომ „აღწერას“ კიდევ უფრო მეტი, თანამედროვე გაგებასთან უფრო დაახლოებული, „აღწერის“ მნიშვნელობაც ჰქონდა. ამ სიტყვის ხმარების ყველა შემთხვევა 1963-1971 წლებში გამოცემული „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ ოთხი ტომის მასალის მიხედვით, მოძიებულია და აღწერილი ამ ძეგლების სიმფონია-ლექსიკონში, სწორედ იქაა მითითებული, რომ ძველ ქართულში „აღწერას“ აგრეთვე „გადაწერის“, „აღწერის“ მნიშვნელობაც ჰქონდა (*ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი*, 2008: 71-72). ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“: „გარნა ვიტყოდით ზოგს-რამე შეკრებულთა ცხოვრებისა მისისათა **აღწერით მოთხრობად** და საღმრთოთა სმენის-მოყუარისა სიწმიდისა თქუენისა მოკსენებად“ (*ძეგლები*, 1963: 320); გიორგი მთაწმიდელის „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“: „პელ-ვყავთ მცირედთა ამათ სიტყუათა **აღწერად**, გარნა ურწმუნოცა ნუჟინ არს, რამეთუ ჩუენ თავით თვისით არარად **აღგვეწერია**, არამედ რად-იგი ვისწავეთ კაცთა სარწმუნოთაგან და სულიერთა მამათა...“ (*ძეგლები*, 1967: 40); „და ესე ცხად არს დასაბამითგან სოფლისადთ და ვიდრე აქამომდე **აღწერილთა** წიგნთაგან და გამობრწყინებულთა წმიდათა და რომელთა-იგი ილუაწეს და

აღწერნეს ცხორებანი მათნი და ლუაწლნი და შრომანი...“ (ძეგლები, 1967: 39). გიორგი მცირე – „ცხოვრებად გიორგი მთაწმიდელისაჲ“: „წმიდად რად მამად ჩუენი დიდი ეფთვემე სოფლით განვიდა, ...სახიერებამან ღმრთისამან... გამოაჩინა დიდი ესე მუშაკი საღმრთოსა მადლისაჲ, წმიდად მამად ჩუენი გიორგი, რომლისათვის არს სიტყუად ჩუენი, და წინამდებარე არს **აღწერად და მოთხრობად**“ (v.l. მოთხრობად) შემდგომთა ნათესავთა საწურთელად და გულისკმის-საყოფელად. ვითარცა მან ნეტარმან დიდისა ეფთვემეს ცხოვრებად **აღწერა** სახეც და ხატად სათნოებისა მომავალთა ნათესავთათვის, რომელი-ესე არცა ჩუენ დავიცონოთ შეწევნითა ღმრთისაჲთა, არამედ ყოველი სახე ცხოვრებისა მისისაჲ **აღწეროთ** შობით მისით და ვიდრე აღსრულებამდე“ (ძეგლები, 1967: 109) და მრავალი სხვა; „ართუ **შესხმისა** გზად გვპყრის, არამედ **აღწერად** ცხოვრებისა მოსწრაფე ვართ“ (ათონის კრ., 70). აშკარად იკვეთება უფრო მეტი სემანტიკა სიტყვისა: 1. „აღწერა“ – დაწერა, მოყოლა//დახასიათება; 2. „აღწერით მოთხრობა“; „აღწერად და მოთხრობად“ – თხრობა და აღწერა ცხოვრების „ყოველი სახის“ – ყოველი ნიშნის გამოვლენის მიხედვით, რიტორიკის სახელმძღვანელოთა ავტორები მკაცრად მიჯნავენ ერთმანეთისაგან თხრობას და აღწერას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ფორმით, გადმოცემის თანმიმდევრულობით, მნიშვნელოვანისა თუ მეორეხარისხოვანის ლოგიკური შენაცვლებით, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, და 3. „შესხმა“ (ანუ ენკომიონი, ე. ი. ქება) კი არა, არამედ „აღწერა“ შესაძლებელია მეორე მნიშვნელობა: „**აღწერად და მოთხრობად**“ (// „**მოთხრობად**“) მივიჩნიოთ სემასიოლოგიურ პარონომაზიადაც, როდესაც ერთი ზმნური ფორმის, ანუ შინაარსის გადმოცემა ხდება ორი სინონიმური სიტყვით ან ცნებით (წერეთელი, 1954: 416-502). მესამე მაგალითში კი ერთმანეთთან დაპირისპირებულია ორი რიტორიკული ჟანრი: შესხმა, ანუ ენკომიონი და აღწერა, ანუ ეკფრასისი.

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში სხვა მითითებებიც არის საინტერესო აღწერასთან დაკავშირებით. „კოსტანტი კახაჲს მარტკლობად“–ში დასმულია საკითხი, თუ როგორი უნდა იყოს აღწერა: „და ესე მრავლისაგანი მცირედი აღიწერა სიმკნეთაგანი წმიდისა კოსტანტისი, რადთა იყოს თქუმული ესე **შემოკლებულ და სრულ**, რადთა არა იყოს **შემაწუხებელ ნაკლულევანებითა**, არცა **ნამეტნავ განგრძობითა...**“ (ძეგლები, 1963: 170), ე. ი., აღწერამ არ უნდა გამოიწვიოს „ნაკლულევანების“ გრძნობა, არც მეტისმეტად უნდა იყოს გადატვირთული დეტალებით. მინიშნებები გვაქვს გიორგი მერჩულესთანაც „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“: როგორც ძველად რიტორი-მოძღვარი აფრთხილებდა თავის მოწაფეებს, არ გადაეჭარბებინათ აღწერის დროს და საჭიროებაზე მეტად არ გაეგრძელებინათ თავიანთი სათქმელი, ასევე გიორგი მერჩულე მკითხველის, უფრო მსმენელის წინაშე ზომიერების გრძნობას იცავს, რათა არ იყოს სიტყვა „**ნამეტნავ სასმენელსა მსმენელთასა**. ამისთვის განგებად ყოველი ვერ დაიწერა წიგნსა ამას, არამედ თითო სიტყუად ყოვლისაგან, რომელ აქამდე წესი აქვნდა ხანცთასა და აწ რომელ არს ესრჳთ“ (ძეგლები, 1963: 266).

„საერთოდ, მერჩულეს წერის მხარეა ის, რომ იგი მოვლენებსა და ფაქტებს სახიერად, ხედვითად წარმოგვიდგენს და ამას, უპირველეს ყოვლისა, იმით აღწევს, რომ იგი არ გვაუწყებს, არამედ აღწერს, ხატავს მათ“ (ბარამიძე, 2001: 113). „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებაში“ არის ერთი პასაჟი, როდესაც მეფე დიმიტრი სთხოვს მამა გრიგოლს უჩვენოს „სახე“ და „ყოველი ნიშანი“ კლარჯეთის უდაბნოსი, ანუ გარკვეული ფორმით, დანაწილებით, დეტალებზე ყურადღების გამახვილებით – „ყველა ნიშნით“ – დაწვრილებით საუბარს, აღწერის გზით თემის გაშლას, გამოკვეთას ითხოვს მეფე. „სახე“-ს ძველ ქართულში მრავალი

მნიშვნელობა აქვს, მათ შორის გარეგნული მხარის და ჟანრისა, ფორმისაც კი (*ძველქართულ-ძველბერძნული... ლექსიკონი*, 2010: 37-40). კლარჯეთის უდაბნოს გარემო ყოველმხრივ დახასიათებულია და აღწერილი გრიგოლ ხანცთელის მიერ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, მაინც იმ ნიშნით, თუ რატომ არის ეს ადგილი მნიშვნელოვანი სამონასტროდ და ბერ-მონაზვნური ცხოვრებისათვის. მსგავსი პასაჟი თხზულება „ცხოვრება ილარიონ ქართველისა“-შიც გვაქვს. წმიდა მამის მიერ ყრმის სასწაულებრივი განკურნების შემდეგ მხევალი ქალი მოუყვა დედოფალს „ყოველი სახლს განკურნებისა მისისა და ნიშანი წმიდისა და ენისა-ცა მათისა“ (*ძეგლები*, 1967: 25).

პ. ინგოროყვა გრიგოლ ხანცთელის მიერ კლარჯეთის უდაბნოს შესახებ წარმოთქმულ სიტყვას უწოდებს ქებას, შესხმას და მიიჩნევს ქებითი ჟანრის მონაკვეთად. იგი ქართულ მწერლობაში ქებითი ჟანრის წარმოქმნის თარიღსაც კი ასახელებს ამ წარმოთქმის მიხედვით (ინგოროყვა, 1965: 201-204), ნაწარმოების მოთხოვნის შესაბამისად კი, სწორედ რომ აღწერას, „სახის“ ჩვენებას „ყველა ნიშნით“ ითხოვს მეფე დიმიტრი, ხოლო ქება წარმოითქმება მაშინ, როცა საუბარია ხანცთაზე და შატბერდზე.

ქართულ მწერლობაში მხატვრული აღწერის ისტორიისათვის აღვნიშნავთ შემდეგს: სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სასულიერო მწერლობაში აღწერითი მომენტი სუსტად არის წარმოდგენილი, რადგან ყურადღების ცენტრში მოქცეულია გმირის მხოლოდ სულიერი სიძლიერე, რომლის წყალობითაც იგი იცავს და განიმტკიცებს რწმენას. გარეგნობის აღწერას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ზოგჯერ განგებ არის ხაზგასმა მახინჯ სხეულზე, რათა უფრო მეტად გამოიკვეთოს მომნიშვნელოება სულისა. ამის საილუსტრაციოდ მოტანილია პავლე მოციქულის გარეგნობის აღწერა „თეკლას მარტვილობიდან“: „რამეთუ იყო იგი ასოდა მდაბალ, თმითა ღულარჭნილ, ყურითა განქცეულ, კირ ღრევილ, გრემან თვალითა, წარბითა შეკიცულ, ცხვრ გრძელ და სავსე მადლითა ღმრთისადათა, ოდესმე ეგრე ჩან ვითარცა კაცი, ოდესმე ანგელოზისა სახედ გამოჩნდის იგი.“ კვლავ სხვა მაგალითი იოანე მინჩხის ჰიმნიდან, მოტანილი იმის საილუსტრაციოდ, რომ გარეგნობა საყურადღებო ხდება იმდენად, რამდენადაც იგი სულიერ მხნეობას მოწმობს:

„ჰაეროვნებაჲ პირისა შენისაი
და სიმჭლეჲ გვამისაჲ
წამებდა შრომათა
შენთა თევდოსი.“

მკვლევარის აზრით, სისხლნაკლული, ხოტცტანჯული, მაგრამ რწმენით აღსავსე ადამიანი სასულიერო გმირის იდეალური სახეა, ამიტომ „სასულიერო მწერლობისათვის გარეგნობის ხატოვანი აღწერა არ არის ტიპური მოვლენა. იშვიათად იხმარება შედარებები და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც სახე სულიერი მდგომარეობის დახატვას ემსახურება.“ „...ძუნწად წარმოდგენილ აღწერილობაში არ ჩანს ასაწერი ობიექტისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება“ (მეტრეველი, 1947: 107-109). ასე ვრცლად შევჩერდით ამ თვალსაზრისზე იმიტომ, რომ განსხვავებული პრინციპითაა აგებული ის აღწერები, ანუ ეკფრასისები, რომლებსაც ჩვენ განვიხილავთ, კერძოდ, გიორგი მერჩულეს მიერ აღწერილი გრიგოლ ხანცთელის, როგორც წმინდანის, სახე მშვენიერია როგორც სულიერად, ისე გარეგნულად. ახალგაზრდობიდან ღრმა სიბერემდე იგი არის „სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“ ნამდვილად ესთეტიკურად მშვენიერია სურათი, რომელსაც ხატავს გიორგი მერჩულე, როდესაც მხცოვანი წმინდანის ფიზიკურ სრულყო-

ფილმებზე ამახვილებს ყურადღებას: „ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისად მამად გრიგოლ... ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია, ხოლო ფერი პირისა მისისად არა იცვალა, არცა შეემთხვა თულათა მისთა მრუმედმხედველობად და კორცითა ძლიერ იყო და რადიურთ უძღურებად სიკუდილამდე არა იპოვა მის თანა“ (ძეგლები, 1963: 308). გიორგი მერჩულეს მიერ ეპიკური სტილით, კონკრეტული დეტალების გარეშე, მაცქერალზე გასაოცარი შთაბეჭდილების მოხდენის სურვილით აღწერილია ღმრთის მაღლით გამშვენებული წმინდანის სულიერი და ფიზიკური იერი. აფხაზეთის ხელმწიფესთან მისული წმინდა გრიგოლ ხანცთელი გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს მასზე თავისი სულიერი და გარეგნული დიდებულებით: „და მი-რად-იწია წინაშე ხელმწიფისა მის, ზე აღდგა და წინა მიეგება და სიმდაბლით მოიკითხა, რამეთუ ზარი აჰჰდა მადლთაგან სიწმიდეთა მისთადა და დიდებულებისაგან პირისა მისისა. რამეთუ ვითარცა პირი მოსე წინადაწარმეტყუელისადა, იყო დიდებულ ამის ნეტარისადა ხატი მადლითა ღმრთისადა“ (ძეგლები, 1963: 308). მკვლევარ რ. ბარამიძის აზრით, „...ქრისტიანული მოძღვრების არსიდან გამომდინარე, გიორგი მერჩულე დაბეჯითებით ამკვიდრებს ჰარმონიის იდეას სულსა და ხორცს შორის (ბარამიძე, 2001: 72), ზოგიერთი მკვლევარი კი, გიორგი მერჩულის მიერ აღწერილ წმინდანთა სრული თანაფარდობით სულისა და ხორცის თანაარსებობაში რენესანსული ცნობიერების კვალს იძიებს (ელაშვილი, 2002: 75-77).

უდავოა, სიხარულით ეგებება წმინდა შუშანიკი მის თავზე მოწეულ ყოველგვარ სატანჯველს, მაგრამ ქალური წუხილი მაინც ისმის მის სიტყვებში, როცა ამბობს, რომ ვარსქენმა უდროოდ ყვავილი მისი დააჭკნო: „მიაგოს მას უფალმან, ვითარ მან უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა და სანთელი ჩემი დაშრიტა და ყუავილი ჩემი დააჭკნო, შუენიერებად სიკეთისა ჩემისადა დააბნელა და დიდებდა ჩემი დაამდაბლა“ (ძეგლები, 1963: 26).

არა მარტო რიტორიკული ხერხების უხვი გამოყენებით, მჭევრმეტყველებაში განსწავლული ქართველი ავტორები აღწერისას ცდილობენ დაიცვან სისხარტე, სიზუსტე. ამაღლებული, მაგრამ ნათელი სტილით, სურათოვანი ენით, დიდი ექსპრესიით, ფორმის მკაცრი არქიტექტონიკის დაცვით, პროპორციულად განლაგებული კოლონებით, მათში მარცვალთა სიმეტრიული განლაგებით ქართულ მწერლობაში შექმნილია ეკფრასისი, გამორჩეული რიტმული სტრუქტურითა და ჟღერადობით.

ქრონოლოგიურად პირველივე აგიოგრაფიულ ძეგლში გვხვდება ძალზე ზუსტი აღწერა წამებულის დედოფლის მდგომარეობისა ციხეში, მისი ფიზიკურად დაუძღურებული სხეულის „ავლივით დადნობა“ (ფერვლად ქცევა), და დეტალური აღწერა ადგილისა, სადაც ექვსი წელიწადი დაყო და რომლის არაჯანსაღმა გარემომ დააჩქარა წამებულის დედოფლის აღსასრული. ესაა, რიტორიკული სახელმძღვანელოების მიხედვით, ეკფრასისის ერთ-ერთი სახის – ΤΗΡΟΥ-ს ტიპური ნიმუში. თხრობა შეყოვნებულია და უმაღვე გაძლიერებული ადგილის საკმაოდ ვრცელი აღწერით: „ჟამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწუხელი იგი მკურვალე-ბად მზისადა, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი, დაწერტილნი და დამქნარნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“ (ძეგლები, 1963: 25).

როგორც ციტატიდან ჩანს, თანმიმდევრულად დასახელებულია ზაფხულის ჟამს ცეცხლივით მწველი მზის მხურვალეობა, ასევე ცხელი ქარნი, დამასნეულე-

ბელი, სასმელად უვარგისი წყალი, ყველაფერი იწვევს იმას, რომ ამ ადგილას ადამიანები არიან სენით სავსენი, გაყვითლებულნი, კანდაჩხვლეტილნი, დაწყულლებულნი და მოხუცებულობის ასაკს ვერავინ აღწევს. ასეთი სიცხადით არის გადმოცემული შემზარავი სურათი იმ ადგილისა, სადაც უკანასკნელი დღეები გაატარა წმიდა შუშანიკმა. რა არის მიზანი აღწერის? ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ეს არის უაღრესად კონკრეტული და მრავალმხრივი აღწერილობა იმ გეოგრაფიული გარემოსი, სადაც მიმდინარეობს მოქმედება (ლორთქიფანიძე, 1962: 22). პროფ. გ. ფარულავას აზრით, ეს არის მხატვრული სახე გარემოსი, გმირის წარმოსაჩენად კონსტრუირებული წმინდა პოეტური ფანტაზიის გზით. ავტორს ამ შემთხვევაში არ აინტერესებდა ჰერეთის ბუნების სურათი შეექმნა. მისი მიზანი იყო შუშანიკის იდეალიზაცია. „კაცთაგან მიუთხრობელი“ მისი ღვაწლისა და გმირობის წარმოსახვა. მისი აზრით, რწმენისათვის თავდადებული დედოფლის ხვედრის განსაკუთრებულ ტრაგიკულ მწერალმა იმითაც გაუსვა ხაზი, რომ იგი ადამიანისათვის ფანტასტიკურად აუტანელ გეოგრაფიულ გარემოში წარმოგვისახა. სურათი ამ გარემოსი საგანგებოდ გამოქვეყნებული საღებავებითაა შესრულებული. პოეტური წარმოსახვა უაღრესად გაბედულ ტრანსფორმაციას ახდენს ფაქტობრივი რეალობისა. მოჩვენებითი გარეგნული ფორმა, კონკრეტული გარემოს საგნობრივ რეალობას დაცილებული, დანიშნულია, რათა პერსონაჟის ზეადამიანურ სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს დაუახლოვოს მკითხველის აღქმა“ (ფარულავა, 1982: 77). მძიმე გარემოპირობების აღწერა გმირის „იდეალიზაციას“, რასაკვირველია, ემსახურება, თუმცა არ არსებობს მყარი საფუძველი თხრობის რეალისტურობაში ეჭვის შეტანისა, რადგან დღევანდელი საქართველოს მიხედვით ვერ ვიმსჯელებთ ისტორიული საქართველოს გარემოპირობებზე. „ვერ ვიტყვით, რომ ჰაგიოგრაფიულ ძეგლში ბუნების ეს სურათი „წმინდა პოეტური ფანტაზიის“ გზით იყოს კონსტრუირებული, იგი ნატურადან გადმოღებული ჩანს“ (დოიაშვილი, ბრეგაძე, 1986: 13). ადგილი აღწერილია იმის გადმოსაცემად, თუ რამ გამოიწვია დედოფლის ფიზიკური დასნეულება. მწერალი აღნიშნავს, რომ იგი იმთავითვე თხოვდა დედოფალს, გაფრთხილებოდა თავისი სხეულის სიმრთელეს, თორემ დასუსტებული ვეღარ შეძლებდა მოღვაწეობას კეთილი საქმეებისთვის: „...სენი სნეულებისა და მოიწია მის ზედა, ...და არცა-ღა მცირედ სადა სცა კორცთა მისთა განსუენება, და შეიქმნა და დადნა ვითარცა ავლი.“ მწერალმა განაგრძო თხრობა და დეტალურად აღწერა დედოფლის ცხოვრების მონაზონისებრი წესი, და ბოლოს აღწერა ის ადგილი, სადაც ექვსი წლის განმავლობაში ამგვარ ცხოვრებას მისდევდა უმძიმეს გარემო პირობებში.

ეს აღწერა არის უაღრესად ლაკონური, რიტმული ფრაზებით შექმნილი, ძალზე გამომსახველი, შინაგანად დამუხტული აღწერის მხატვრულ-ლიტერატურული ნიმუში. რიტმული სტრუქტურა ემყარება სტრიქონთა ისოსილაბიზმს – თანაზომიერ ელემენტთა სიმეტრიულ გამეორებას. ორმარცვლიანი და მრავალმარცვლიანი სიტყვების გამეორებით რიტმი მიედინება გარკვეულ ზღვრამდე აღმავალი ინტონაციით. შემდეგ ხდება დაწყნარება, გაშლა, დაცხრომა, ჩატეხვა რიტმისა თითქმის თექვსმეტმარცვლოვანი სტრიქონით, თითქმის ვამბობთ, რადგან უ-ბრჯგუ სიტყვაში „ქუეყანა“ მარცვალს ვერ ქმნის. ფრაზათა აგების ასეთი რიტმული უღერადობა პოეზიას ჰგავს, მაგრამ ორატორული კანონების მიხედვით, ფორმით ლექსი არ უნდა წარმოიქმნას, ლექსი ქრება, მაგრამ არა პოეტური შთაბეჭდილება. აღმავალი ინტონაცია და რიტმი თანაზომარცვლიან

სტრიქონთა მონაცვლეობით წარმოიქმნება. „შუშანიკის წამების“ ტექსტის ეს მონაკვეთი, შეძლებისდაგვარად, აზრობრივ სინტაგმებად დავანაწევრეთ:

„ჟამსა ზაფხულისასა (7)
ცეცხლებრ შემწული იგი (7) მკურვალეზა მზისა (6)
ქარნი ხორშაკნი და (6)
წყალნი მავნებელნი (6),
რომლისა მკვდრნიცა (6) მის ადგილისანი (6)
სავსენი სენითა, (6)
წყლითა განსივებულნი (7) და განყვითლებულნი, (6)
დაწერტილნი, დამჭნარნი (7)
და დამღიერებულნი (7)
ჩარადოვანნი, პირმსივანნი (9)
და დღემოკლედ ცხორებულნი (8)
და მოხუცებულნი არავინ არს მათ ქუეყანათა“ (15).

„პირქუში სურათის“ შესაქმნელად უაღრესად პოეტური ნაწყვეტია. რაც შინაარსითაა გადმოცემული, სრულიად კონტრასტულია ფორმასთან. ვფიქრობთ, მიზანი დამოუკიდებელი პოეტური მთლიანობის – რიტმული წონასწორობით გადმოცემული ეკვრასისის შექმნაა. მონაკვეთი ტექსტისა უაღრესად დახვეწილია მხატვრულად, მწერლური ოსტატობა, ცდა და შედეგი, აშკარაა, აღწერის სიტყვაკაზმული აგება, ცხადია. ცალკეული სტრიქონები და მთლიანად ფორმა გამართულია თანხმიერ ბგერათა ალიტერაციებით, მსგავს მარცვალთა ჯვარედინი დაბოლოებები, რითმად შეიძლება აღგვექვა, თუ შესაძლებელი იქნებოდა მათი სტროფებად განლაგება, რიტორიკული ტერმინით კი, ეს უხვად ხმარებული ჰომოტიტელეგტონებია, სტრიქონის შიგნით და ბოლოს, რაც ზრდის ფრაზათა მუსიკალობას და რიტმულ ჟღერადობას. ასეთივე ფუნქცია აქვს ჰომოიოპტოტონებს – ერთნაირი ბრუნვის ფორმებიანი სიტყვებით დაბოლოებას. კავშირი „და“ გამოყენებულია ანაფორად პაუზისათვის მრავალმარცვლიანი სიტყვების წინ, ამავე დროს იგი საოცარი ძალით აკავშირებს და კრავს სიტყვებს, რომლებიც თითქოს მრავალმარცვლიანობის გამო ძნელად აღქმადი უნდა იყოს. არის პარონომაზია – სემასიოლოგიური გამეორება, პარადიგმატული სტრუქტურა: დღემოკლედ ცხორებულნი უკვე ნიშნავს, რომ მოხუცებული არავინ არის. განსაკუთრებით გამძაფრებით ისმის ზუსტად მოძებნილი დრამატული სიტყვა – სენი – ფრაზაში: სავსენი სენითა, რომელიც ასოციაციურად უკავშირდება ადრე ნათქვამს: „სენი სნეულებისა მოიწია მის ზედა“. ეს ფრაზა ამთლიანებს მანამდე გადმოცემულ და მომდევნო შეგრძნებებს ორი თანაბარმარცვლოვანი (16) სტრიქონით: „და ესეთსა მას ციხესა შინა ექვს წელ პყრობილ იყო // და მძიმეთა მათ საკრველთა შინა აღიდებდა ღმერთსა“.

ტექსტის შემადგენელი კომპონენტების თავისუფალი ვარირება შეზღუდულია, რაც პოეზიისათვის არის დამახასიათებელი და არა პროზისთვის, მით უმეტეს, მასში პროპორციულად განლაგებულ სინტაგმებს არ აკავშირებს ქართული წინადადების შექმნისათვის ასე აუცილებელი შემასმენელი, რაც, აგრეთვე, ერთ-ერთი რიტორიკული ფიგურაა. მთელ ამ მონაკვეთში მხოლოდ ერთი ზმნაა: „არს“ და ისიც მაშინ, როცა აღარ იქმნება აღმავალი ინტონაცია და შეგნებულად ხდება ჩატყვხვა აღმასვლის, რათა კვლავ ბუნებრივად მოხდეს გადასვლა პროზით თხრობაზე. ყველა ეს რიტორიკული ხერხი ბუნების, გეოგრაფიული ადგილის აღწერისათვის არის გამოყენებული, რითაც იქმნება ერთიანი აზრობრივი

სტრუქტურის, მსგავსი შეგრძნებებით გამთლიანებული ძალზე აღქმადი რიტორიკული ტროპი – ეკფრასისი.

მიუხედავად მარცვლედთა საოცარი თანმიმდევრობისა, გარკვეული რიტმული შემადგენლობისა, აქ სალექსო სტრიქონზე, როგორც უმაღლეს რიტმულ ერთეულზე საუბარს ვერიდებით. ჩვენ ვსაუბრობთ გარკვეული რიტმული სტრუქტურით შესრულებულ დამოუკიდებელ რიტორიკულ ტროპზე – ეკფრასისზე, ანუ აღწერაზე, რომელიც აღიქმება დაბრკოლებათა გარეშე და აღვიძებს მძაფრ ემოციებს.

აღწერა დასრულებული მთელია. თუ პოეზიას მხოლოდ ფორმალური ნიშნით, რიტმის ან რითმის მიხედვით, არ აფასებენ და მისი დეფინიციისას დიდი ყურადღება სწორედ შინაარსობრივ მხარესაც ეთმობა, მაშინ ეს აღწერის ნიმუში არის აგიოგრაფიაში ჩართული პოეტური ეკფრასისი.

ეკფრასისის ნიმუშია, აგრეთვე, კლარჯეთის უდაბნოს აღწერა მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან“. საკითხი კარგა ხანია დაისვა იმის შესახებ, რომ ეს არის ლექსი. წამოსვლისას გამოჰკითხა დიმიტრი მეფემ მამა გრიგოლს „სახე კლარჯეთისა უდაბნოთაჲ, რადთა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი ყოველი. და მამამან გრიგოლ ჰრქუა მას: „ღმრთის-მსახურო მეფეო, დაღაცათუ ფრიად განვამრავლო სიტყუაჲ, ვერვე მისწვთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა... „არამედ ვთქუა მრავლისაგან მცირედი ესრეთ, „რამეთუ ბუნებით ერთგუამ არს ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და ჰაერისა. რამეთუ არცა ფრიადი სიცხე შესწუავს მათ და არცა გარდარეული სიცივე შეაურევებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა საზღვარსა უნოტიოჲ, უხორშაკოჲ, უმიწოჲ, მზუარს, რამეთუ კაცთა ნახჭნი ფერკთანი არა ოდეს თიკიან ექმნებიან სლვასა მათსა. ხოლო წყალი კეთილი და შეშად ნებისაებრ უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული ქვშათა მათ შინა, ურიცხვ მალნარი და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ, ბუნებით მხიარულებად მიცემულ არს ღმრთისაგან, და არს იგი უგზო და მიუვალ რადთურთით სოფლისა წესითა მცხორებელთაგან, რამეთუ დადოთა მათათა შინა მაღალთა არს მკვდრობაჲ მათი, და მორტყმულ არს ერთ კერძო მთაჲ იგი და ერთ კერძო შავშეთისა დიდთა წყალთა შეკრებისა გარემოსლვაჲ გარე-მოადგს ზღუდის სახედ უძრავისა“... „მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლე ურიცხვ“ (ძეგლები, 1963: 269).

იმავე თხზულებაში გვაქვს ხანცთის უდაბნოს აღწერა, რომელსაც ტექსტში ჰქვია ქება, და მართლაც აღწერა და ქება ამ მონაკვეთში ერთმანეთთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული: „კეთილ არს უდაბნოჲ იგი მზისა მცხინვარებითა და ჰაერისა შეზავებითა ყოვლით კერძო. და აქუს მას წყაროჲ მდიდრად გამომდინარს, შუენიერი, გრილი და ჰამოჲ, და მალნართა სიმრავლს ურიცხვ და მცირედი რადმე სხუადცა ნუგეშინის-საცემელი ძალისაებრ მის უდაბნოჲსა, ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქუეყანაჲ რადთურთით არა არს, არცა იქმნების ღირლოლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ დადოთაჲსა“ (ძეგლები, 1963: 262).

როგორც ამ ორი აღწერიდან დავინახეთ, ეკფრასისი, ორგანული ნაწილია მთლიანი ნაწარმოებისა და ხანცთისა და კლარჯეთის უდაბნოთა აღწერა საჭირო გახდა იმიტომ, რომ მწერალს ეჩვენებინა ის პირობები, რაც აუცილებელი იყო იმისათვის, რომ იქ დაფუძნებულიყო სამონასტრო ცხოვრება; ამავე დროს, ღრმა და ფაქიზი განცდით დახატულია მშვენიერი ბუნება, რაც მკითხველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

საუკეთესო ნიმუში აღწერისა ამავე ნაწარმოებიდან არის თვითონ გრიგოლ ხანცთელის პიროვნების აღწერა, ესაა ბრწყინვალე ნიმუში $\chi\rho\rho\alpha\kappa\tau\eta\rho\iota\sigma\mu\iota\varsigma$ = ხასიათების. აზრის სხარტად და სიცხადით გამოთქმა, უბრალოება და სისადავე ენისა – აი, ის ძირითადი ნიშნები, რომლითაც გამოძერწილია გრ. ხანცთელის მონუმენტური, წმინდა მოღვაწის ფიგურა. აღწერილია როგორც მისი გარეგნული პორტრეტი, ასევე ძირითადად მისი ხასიათი. მტკიცე, რწმენაში ურყევი, სულით „ახოვანი“ პიროვნებისა, ეს სახე ეპიკურ სურათს უფრო ჩამოჰგავს, აქ ხორციელი და სულიერი სილამაზე თანაარსებობენ. წმინდანის სულიერი სილამაზე არამიწიერ ნათელს ასხივებს, ანათებს სენაკს, არანაკლებ დიდებულია იგი გარეგნულადაც. „ესე იყო შვილი წარჩინებულთა, დიდებულთა და მართლ-მორწმუნეთა მამა-დედათა“, „და მარხვათა შინა იზარდებოდა... რამეთუ სიჩოთგანვე ღვწოდ და კორცი არა შეკდა პირსა მისსა“ (ძეგლები, 1963: 259). „ხოლო გულისხმიერობაჲ სწავლისაჲ განსაკვრვებელ იყო ფრიად“, „მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ და საღმრთონი წიგნი ზეპირით მოიწუართნა, ხოლო სიბრძნეცა იგი ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად.“ „სიტყუაჲ მისი იყო შეზავებულ მარილთა მადლისაჲთა. რაჟამს იტყუნ, ბრძნად აღაღის პირი თვისი და წესი განუჩინის ენათა თვისსა“ (ძეგლები, 1963: 250). „და ესრჳთ მიიღის საზრდელი საგლახაკომ კორცთა თვისთა განსამტკიცებელად ნეტარმან გრიგოლ, მდაბლმან გულითა და გლახაკმან სულითა, მყუდრომან ქცევითა და მოწყალემან გონებითა“ (ძეგლები, 1963: 250). ყოველივე ამის გამო წმინდანი არის „მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა, დიდი მღვდელი და კეთილად განმგებელი მოღუაწე და უდაბნოთა ქალაქ მყოფელი, ზეცისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი“ (ძეგლები, 1963: 249). ამ თვისებებს შემდგომ მრავალი სხვა სამონაზვნო ღირსებებიც შეემატა, რადგან წმ. გრიგოლი ბერებისაგან ითვისებდა „რომელთაგანმე ლოცვასა და მარხვასა, რომელთაგანმე სიმდაბლესა და სიყუარულსა, რომელთაგანმე სიმშვედესა და განურისხველობასა, რომელთაგანმე უპოვარებასა და ქუეყანასა ზედა წოლასა, გინათუ ზეჯდომით ძილსა, რომელთაგანმე უძღურებასა და კელითსაქმარსა დუმილით და მსგავსთა ამათთა სათნოებათა“ (ძეგლები, 1963: 253).

გრიგოლ ხანცთელის სათნოების აღწერისათვის არის აღნიშნული: „ხოლო ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა. ხოლო მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა, პური ნაკლულევანებით დღესა შინა ერთ ჭამის და წყალი წონითვე მცირედი. ღვწოდ კულა სიყრმითგანვე არა ესუა“ (ძეგლები, 1963: 267). კვლავ გრიგოლ ხანცთელის დასახასიათებლად: არა ოდენ „სიბრძნისმეტყუელებდა ყოვლით კერძო, არამედ წმიდასა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარ იყო განუკითხველად, და ყოველთა დღესასწაულთა განგებაჲ კეთილად იცოდა, რამეთუ, რომელიცა დაესწავა, დაუფიწყებლად აკსოვდა. და აქუნდა კმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შუენიერებაჲ, ხოლო განსაკვრვებელ იყო კსოვნებაჲ მისი“ (ძეგლები, 1963: 281). „აწ არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი სულისა მიერ წმიდისა საწელიწდოდ იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან. ხოლო ახლისა შჯულისა დაბეჭდულნი წიგნი ზეპირით იცოდნა და მრავალნი წიგნი ძუელისა სჯულისანი, არამედ დაუბეჭდველნი წმიდათა მოძღუართა თქუმულნი აღურაცხელნი წარმოითქუმოდეს უწიგნოდ“ (ძეგლები, 1963: 282). და ბოლოს, დამაგვირგვინებელი აღწერა მისი გარეგნობისა: „ხოლო იყო ხილვითა დიდ, კორცითა თხელ, ჰასა-

კითა სრულ, ყოვლად კეთილ, სრულიად გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“ (ძეგლები, 1963: 250).

გრიგოლ ხანცთელის გარეგნული ახოვანების აღწერა საოცრად გამშვენებულა სიტყვით: „შეწყობილებად სიტყვისად“ მიღწეულია ლაკონურობით, ზოგადის და კონკრეტულის შერწყმით, ამავე დროს, არის რიტმის თვალსაზრისითაც სრულყოფილი. რიტმული სტრუქტურა მიღწეულია ორწევრიანი და თანაბარმარცვლოვანი კოლონების გამეორებით; ფარულ რიტმს თანაბარწევრიან და თანაბარმარცვლიან კოლონთა სიმეტრიულ ჰარმონიაში ქმნის ერთმარცვლიან სიტყვებზე (ბრახიკოლონებზე) განმეორებადი მახვილი, გვაქვს თანახმიერი (მაგ., ხორხისმიერი) ბგერების ალიტერაცია, ძალზე კეთილმშობანია ჰომოიოპტოტონი: სიტყვათა ერთსა და იმავე მოქმ. ბრუნვაში (-ითა) გამეორება მთელი პერიოდის განმავლობაში:

ხოლო იყო (2:2) ხილვითა დ ი დ, (3:1) 4//4

კორცითა თ ხ ე ლ, (3:1) ჰასაკითა ს რ უ ლ, (4:1), 4//5

ყოვლად კეთილ, (2:2) 4

სრულიად გუამითა მრთელ(3:3:1) 7

და სულითა უბიწო (1:3:3) 7.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კავშირი „და“ შესაძლებელია, არც მონაწილეობდეს საერთო სტრუქტურის შექმნაში და მას ფორმალური და შინაარსობრივი პაუზის ფუნქცია ჰქონდეს, როგორც ანტითეზას, როგორც სრულიად საპირისპიროს ადრე ნათქვამისა, რადგან მანამდე საუბარი იყო გარეგნულ პორტრეტზე და გადასვლა ხდება სულიერ მშვენიერებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მკვლევარი აღფრთოვანებით წერს ქართულ აგიოგრაფიულ ნაწარმოებებთა პოეტურობის შესახებ, ჩვენ მიერ განხილული ფრაგმენტების ლექსითი თავისებურებანი სხვა ავტორებისგან ადრე შენიშნული არ ყოფილა.

ახლა განვიხილოთ რიტმული სტრუქტურის მქონე აღწერის ორი საოცარი ნიმუში საისტორიო პროზიდან. ისინი პ. ინგოროყვას მიაჩნია არქაული ხასიათის ფოლკლორულ ძეგლებად, რომლებიც დანართის სახითაა დაცული XI საუკუნის ავტორის ლეონტი მროველის სახელით მოღწეულ „ქართლის ცხოვრებაში“. პირველი ეხება ქართველთა მეფის მირვანის ბრძოლას კავკასიის მთიელებთან – დურძუკებთან. სასტიკი ბრძოლა აღწერილია ორატორული ხერხების უხვი გამოყენებით; ისოსილაბიზმი მიიღწევა ფორმულით: 5:4//5:4//5:4. პ. ინგოროყვას ეს ტექსტი მიაჩნია წყობილი სიტყვის სალექსო ფორმად, ორად კვეთილი ტაეპებით (ინგოროყვა, 1965: 188-189). აღწერას ჩვენ წარმოვადგენთ პროზის სახით, რომლის ძლიერი რიტმიკა მიიღწევა შედარებებით მდიდარი ისოსილაბური თანაბარწევრიანი კოლონების გამეორებით: „მაშინ /მირვან გარდაკდა ცხენისაგან და (10), მივიდა ქუეითთა თანა თვსთა (10), და წარუძლუა წინა ქუეითთა, და (10) ზურგით შემოადგინნა მკედარნი(10). და მივიდა კართა მათ შინა(9), ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა(9), ვითარცა ვეფხი სიმკნითა(9), ვითარცა ლომი ზახილითა(9). იქმნა მათ შორის ბრძოლა ძლიერი(10) ხოლო / მირვანს ვერ ჰკუეთდა მახვლი დურძუკთა(12) ვითარცა კლდესა სიპსა(7) და დადგა მტკიცედ (M) უძრვად(7), ვითარცა კოშკი მტკიცე (7). (ბოლო სტრიქონი აღვადგინე M ნუსხის მიხედვით – ო. ბ.).

მეორე ეკფრასისში მოთხრობილია კავკასიელთა ეთნარქოსების ბრძოლის შესახებ მათი დამპყრობელი ნებროთის სამოცი გამირის წინააღმდეგ: „ხოლო ვითარცა მოიწივნეს სპანი იგი ნებროთისნი, მაშინ მიეგებნეს შვდნი იგი გამირნი

ძმანი ჰაოსისნი სპითა ძლიერითა. ხოლო ჰაოს სპითა უძლიერესითა დაუდგა უკანით, ზურგით.

იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა, რამეთუ მტყუერი ფერკისა მათისა (5/3) – ვითარცა ღრუბელი სქელი(3/5); ელვად აბჯრისა მათისა(5/3) – ვითარცა ელვად ცისა(5/2); კმა პირისა მათისა(4/3) – ვითარცა კმა ქუხილისა(4/4); სიმრავლე ისართად და ტყორცად ქვისა მათისა(5/3), – ვითარცა სეტყუად კშირი(3/4), და დათხევად სისხლისა მათისა(5/4) – ვითარცა ღუარი სეტყუათა(5/3).

განძლიერდა ბრძოლა მათ შორის(4/5), და მოსწყდა ორგანიტვე ურიცხვ(5/3)“ ხოლო ჰაოს უდგა ზურგად(8) გმირთა მისთა, ძალ-სცემდა და(8) ნუგეშინის – სცემდა კმითა საზარელითა(13), რომელი მსგავსი /M/ იყო მეხისტენისა(12) („ქართლის ცხოვრება“ 2008: 28).

ორი ჯგუფი მეომრებისა სასტიკი ქარიშხალივით დასჯახებია ერთმანეთს, მათი ფერხთა მტვერი წარმოქმნის სქელ ღრუბელს, მათი აბჯრების ელვა ჰგავს ცის ელვას, მრისხანების ხმა – ქუხილის ხმას, ნატყორცნ ისართა და ქვათა სიმრავლე – ხშირ სეტყვას, მათგან დაღვრილი სისხლი ღვარივით მიედინება, უფრო გამძაფრდა ბრძოლა მათ შორის და ორივე მხრიდან უამრავი დაიღუპა. ეს მონაკვეთი, თავისი მითოლოგიური შინაარსით პ. ინგოროყვამ „უძველესი ხალხური ეპოსის ნაშთად“ მიიჩნია და დაახასიათა, როგორც მითოსის ასპექტში გადმოცემული კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლა ბუნების შეცვლის „სახეების პარალელიზმის“ ფონზე (ინგოროყვა, 1965:191-192), ერთმანეთს ცვლიან სურათები: „სასტიკება ჰაერისა“, „ღრუბელი სქელი“, „ ელვა ცისა“, „კმა ქუხილისა“, „სეტყვა კშირი“, „ღვარი სეტყვათა“.

სასტიკი ბრძოლის ამსახველი ეს ეკვრასისი მდიდარია მეტაფორული შედარებებით. ერთნაირი გრამატიკული აგებულების თანაბარწევრიანი ისოსილაბური კოლონები მეორდება და იქმნება რიტმული ჟღერადობა. ალიტერაციები და სხვა მრავალი რიტორიკული ხერხების გამოყენება (მაგალითად, სინტაგმის პირველი წევრი ხასიათდება მონაკვეთის დასასრულს ერთსა და იმავე ბრუნვაში მდგომი სიტყვების გამეორებით, ანუ ჰომოიოპტოტონით) უაღრესად მძაფრ რიტმს სძენს ტექსტს. აქაც, როგორც ზემომოყვანილ აღწერებში, წინადადებები აგებულია ქართული ენისათვის უჩვეულოდ – უშემასმენლოდ, ისოსილაბურ კოლონებს იდენტური მორფოლოგიური სტრუქტურა აქვს, რაც სტრიქონში წევრთა თავისუფალი ვარირების საშუალებას არ იძლევა და მუდმივ პარალელიზმებთან ერთად, ერთი რაოდენობის მარცვალთა კანონზომიერი გამეორებით პოეტურ ნაწარმოებს ჩამოჰგავს. ბრძოლის აღწერა მთლიანი, დამოუკიდებელი მხატვრული მონაკვეთია, თხრობაში შეჭრილი სტატიკური სურათია და ტექსტის ორგანულ ნაწილად არ აღიქმნება, ჩართულია. რიტმული მუდმივი: 5:3 იცვლის ადგილს, ჩანაცვლებულია 3:5-ით, რაც ქმნის რიტმულ წონასწორობას, თუმცა არაა დაცული ბოლომდე, რათა პროზა არ იქცეს ლექსად. განგებ დატენილი სტრიქონები კი პოეტურ შთაბეჭდილებას აძლიერებს. რიტმული სტრუქტურის მისაღწევად გამოყენებულია სტრიქონის ფარგლებში ფორმულა: 8:8/8:7/7:8/8:8/7:7/9:7, ცალკეულ სტრიქონებში ხმოვანთა მატება-კლებით. ამავე დროს სილაბური სეგმენტები იშლება უფრო მცირე ელემენტებად: 4//4; 5//4; 5//3; 5//5 და ა. შ., რის გამოც ფრაზა პოეტური და უფრო აღქმადია.

ადგილის, ბუნების, ხასიათების, ბრძოლის აღწერის ნიმუშები დაწერილია რიტმული პროზით, გარკვეული სიმეტრიული სტრუქტურით: წინადადებები თანაბარწევრიანია და თანაბარხმოვანი მარცვლოვანი დაბოლოებებით მეორდება.

გამორჩეულია წინადადებათა სინტაქსური სტრუქტურაც: ზოგჯერ გამოტოვებულია ქართული წინადადებისათვის აუცილებელი წევრი – შემასმენელი, პროზისთვის დამახასიათებელი თავისუფალი ვარირება ისოკოლონებით და ისოსილაბიზმით დაბრკოლებულია. ძალზე ალქმადი სტრიქონები ამძაფრებს განცდას. პროზა პოეზიაშია გადასული, ლამის ზღვარი წაიშალა. ამიტომ შეიძლება ვისაუბროთ რიტმული სტრუქტურით შექმნილ პოეტურ ფორმაზე – მხატვრულ აღწერაზე.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ძველ ქართულ ლიტერატურულ პროზაში, ფრაგმენტულად შემორჩენილია საერთოქართული სილაბური ლექსის სეგმენტები: თ. გამყრელიძის და ვ. ივანოვის აზრით, „4/4 ან 3/5, 5/3 სტრუქტურის ცეზურის ინდოევროპულ ვერსიფიკაციულ სისტემასთან გასაოცარ პარალელს ავლენს საერთოქართული სილაბური ლექსი თექვსმეტმარცვლიანი სტროფით, რომელიც იქმნება ორი რვამარცვლიანი 4/4, და 3/5 ან 5/3 სილაბური სეგმენტებით. ეს საერთოქართული ვერსიფიკაციული სისტემა, წარმოდგენილი რუსთველის ქართულ კლასიკურ ლექსში, არსებითად ტიპოლოგიურად ისომორფულია რეკონსტრუირებული არქაული ინდოევროპული ლექსისა“ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი. 1984: 842; წერეთელი, 1974). ის ნაწყვეტები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ, ვფიქრობთ, გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ საერთოქართული სილაბური ლექსის უძველესი ფრაგმენტები რუსთველის ქართულ კლასიკურ ლექსზე უფრო ადრეული ხანისაა.

რიტორიკაში განსწავლული ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ავტორები, სხვა ტროპების პარალელურად იყენებენ ეკფრასისსაც. ქმნიან მათ ძლიერი რიტმითა და სიტყვათა აგების ჰარმონიით. ეკფრასისის ტროპის ფარგლებში ავტორების მიერ გამოყენებულია სილაბური სეგმენტები: 4//4, 3//5 ან 5//3 და სხვ. ამ მოვლენას ადგილი აქვს სხვადასხვა თხზულებაში, ამდენად მხოლოდ ავტორების ინდივიდუალიზმით ვერ ავხსნით. მწერლები ცდიან გარკვეულ სალექსო სისტემას, იყენებენ მას ჰარმონიისა და სიმეტრიისათვის, რიტმის მისაღწევად, მაგრამ, არ მიისწრაფვიან პოეტური ფორმისაკენ, ლექსითი მონაკვეთები, ორატორული მოთხოვნების შესაბამისად, განგებ წყდება, სიმეტრია დარღვეულია, „დაკოჭლებული“ ლექსითი ინერცია ჩატენილი, რათა ავტორი არ ასცდეს პროზას და არ შეეჭიდოს პოეტურ მეტრულ-რიტმულ სტრუქტურას.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბულაძე, ი. *ძველი ქართული ენის ლექსიკონი*, თბილისი, 1973.
2. ბარამიძე, რ. *გიორგი მერჩულე – ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენიება*, თბ., 2001.
3. დოიაშვილი, თ. ბრეგაძე, ლ. *ჰაგიოგრაფიის პოეზია და პროზა. ლიტერატურული საქართველო*, 14/II, 1986.
4. ელაშვილი, ქ. რენესანსული ცნობიერების კვალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“. კრ-ში: „ხანძთა – სულიერად მშობელი ქართველთა, კრებული ეძღვნება გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერიდან 1050 წლისთავს, თბ., 2002.
5. ინგოროყვა, პ. *თხზულებები*, IV, 1965.

6. ლორთქიფანიძე, მ. ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1962.
7. მეტრეველი, ე. მხატვრული აღწერა კლასიკური ხანის ქართულ საერო ძეგლებში. ნ. ბარათაშვილის სახ. გორის სახ. პედინსტიტუტის შრომები, II, 1947.
8. ფარულავა, გ. მხატვრული სახის ბუნებისათვის ძველ ქართულ პროზაში, გამომცემლობა „განათლება“, თბ., 1982.
9. ქართლის ცხოვრება, თბილისი, 2008.
10. ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი, I, ა-ლ, თბილისი, 2008.
11. ძველ-ქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი. II, თბილისი, 2010.
12. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I (V-X სს., ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1963.
13. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი II (XI-XV სს., ილია აბულაძის რედაქციით, თბ., 1967.
14. წერეთელი, გ. მეტრი და რითმა ვეფხისტყაოსანში, 1974.
15. წერეთელი, კ. პარონომაზია ქართულში. კრებულში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. ტ. VI, თბილისი, 1954.
16. Гамкрелидзе, Т., Иванов, В. *Индоевропейский язык и индоевропейцы*, II, Тб., 1984.
17. Downey. "Ekphrasis". In: *Reallexikon für Antike und Christentum*, IV, 1959.
18. Hunger, H. *Die hochsprachliche profane Literatur der Byzantiner*, 2 vols. Munich. 1978.
19. Hohlweg, A., "Ekphrasis". In: *Reallexikon zur byzantinischen Kunst*, fasc. 9, Stuttgart, 1967.
20. H. Maguire, *Art and Eloquence in Byzantium*, Princeton. 1981.

„მამათა შეგონებანი“ – תובא 'קרא

(ბრძენ ებრაელ მამათა რელიგიურ-ზნეობრივი გამონათქვამების კრებული)

„მამათა შეგონებანი“ მიშნის მცირე ზომის, მაგრამ შინაარსით მდიდარი ტრაქტატია. მიშნის პერიოდის ლიტერატურა მოიცავს ჩვ. წ. I-VI საუკუნეებს, როცა ებრაული, არამეულით შევიწროებული, მაგრამ ჯერ კიდევ რაბინთა ცოცხალი სალაპარაკო ენაა. მათ შექმნეს აკადემიური ლიტერატურა: ბიბლიის კომენტარები და ბიბლიური კანონების დამატებანი, რომლებიც, ძირითადად, იურიდიული და რელიგიური ხასიათისანი არიან [გულედანი, 2005 ა: 70].

სახელწოდება „მიშნა“ მომდინარეობს ზმნიდან „შანა“, რომლის საწყისი მნიშვნელობაა „განმეორება“. ბიბლიურ ლიტერატურაში მან მიიღო მნიშვნელობა „ისწავლა“, „ასწავლა“ ზეპირი გადმოცემით და არა – წერილობით. ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ გარკვეული ცოდნის მიღება ხდებოდა ხშირი, ზეპირი გამეორების გზით [გულედანი, 2005 ბ: 64].

სხვა მოსაზრებით, თვით ებრაელები „მიშნას“ ხსნიან, როგორც „მეორე კანონს“, იქიდან გამომდინარე, რომ რიცხვითი სახელი „ორი“ ებრაულში იმავე ძირისაა. ამავე დროს, „პირველ კანონად“ ებრაელები თვლიან „თორას“ – მოსეს ხუთწიგნეულს, „მიშნას“ კი ისინი უწოდებენ „ზეპირ თორას“, „დაწერილი თორასაგან“ (ე.ი. მოსეს ხუთწიგნეულისაგან) განსხვავებით, რამდენადაც „მიშნა“ მოსეს ხუთწიგნეულში მოთავსებული კანონების განვითარება მათი განმარტებაა, იგი იქმნებოდა პალესტინის სკოლებში II ტაძრის ეპოქაში. „მიშნა“ მოიცავს „ჰალახებს“ (ჰალახა საკულტო და საღვთისმეტყველო-იურიდიული ნორმაა). „მიშნაში“ მოცემულია ამ ნორმების ახსნა და სისტემატიზაცია ავტორიტეტული სწავლულების მიერ [წერეთელი, 2001: 17].

„მიშნა“ იყოფა ექვს დიდ განყოფილებად ანუ ׀׀׀׀ (წესრიგი), რომელიც მოიცავს 64 ტრაქტატსა (תוספת) და 524 თავს (׀׀׀׀). თითოეული თავი იყოფა პარაგრაფებად (תויאשמ) ან ჰალახებად (תויאלי) [ებრ. ენციკლოპედია, 1992: 132].

ტრაქტატების განლაგება არ არის თანმიმდევრული. მხოლოდ ის შეინიშნება, რომ მოცულობით დიდი ტრაქტატები წინ უსწრებს მომცროებს. თითოეულ სედეტს თავისი დანიშნულება აქვს, თუმცა ხშირია თემიდან გადახვევა. მაგალითად, პირველი განყოფილება იხსნება ტრაქტატით ღვთისმსახურების შესახებ. ასევე მოულოდნელია მეოთხე სედეტში (׀׀׀׀) ისეთი თხზულების ჩართვა, როგორიცაა ე.წ. „მამათა შეგონებანი“, რომელშიც თავმოყრილია სხვადასხვა დროში მოღვაწე ბრძენთა ზნეობრივი შეგონებები, დიდაქტიკა, სენტენციები.

„მამათა შეგონებანი“ რელიგიურ-ზნეობრივი გამოთქმებისა და აფორიზმების კრებულია. აქ გადმოცემულია უძველესი საუკუნეებიდან ჩვ. წ.-ით III საუკუნემდე მცხოვრებ ბრძენ მამათა ცხოვრებისეული გამოცდილების ფილოსოფიური ნააზრევი. ტრაქტატი შედგება ხუთი თავისგან, რომლებიც, თავის მხრივ, პარაგრაფებად იყოფა. პირველ ოთხ თავში მოცემულია 60 ყველაზე უფრო ცნობილი მქადაგებლის სწავლებანი. თითოეული მათგანი წარმოდგენილია სხვადასხვა იდეის მქონე მაღალი ზნეობრივი დატვირთვის ერთი ან რამდენიმე აფორიზმით. თუმცა არის ისეთი ნიმუშებიც, როცა ერთ გამონათქვამში გაერთიანებულია საერთო იდეის მქონე ცხოვრებისეული წესი.

აფორიზმების გადმოცემის სისტემა დამყარებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე, ანუ წმინდა სიმონიდან მოყოლებული მოწაფეებისა და მოწაფეთა მოწაფეების თანმიმდევრობა ქრონოლოგიურად დაცულია. მეხუთე თავში ბოლო ოთხი პარაგრაფის გამოკლებით, ძირითადად, ანონიმი ავტორების სწავლებანია მოცემული, ხოლო მეექვსეში – თორის სწავლების მნიშვნელობის ქადაგება. მე-5 თავის ბოლო და მე-6 თავი მთლიანად განეკუთვნება იმ პერიოდს, როცა მიშნის რედაქტირება დამთავრებული იყო. როგორც ჩანს, ეს მონაკვეთი ამ კრებულში მოგვიანებით ჩართეს [მოკ. ებრ. ენციკლოპედია, 1992: 494-495].

მიშნის სხვა ტრაქტატებისაგან განსხვავებით, მამათა სწავლებანი არ შეიცავს პრაქტიკულ მითითებებს, არამედ ქადაგებს ზნეობრივ და ქცევის ნორმებსა და მაღალ სულიერ თვისებებს. შეგონებებს შორის ყველაზე მრავალრიცხოვანია თორასთან და მის სწავლებასთან დაკავშირებული გამონათქვამები. ამ თემას ეხება „მამათა შეგონებანის“ პირველი ოთხი თავის უმეტესი მუხლი და მეექვსე თავი მთლიანად.

„მამათა შეგონებანი“ თემატურად მრავალფეროვანი და იდეური თვალსაზრისით, საინტერესო კრებულია. სიმრავლით და პათეტიკით გამოირჩევა თორასთან და მის სწავლებასთან დაკავშირებული გამონათქვამები, სადაც აღიარებულია თორის უპირატესობა, მისი სწავლის აუცილებლობა სიბრძნის დაუფლებისა და ცოდვების აცილების მიზნით, რაც აახლოვებს ადამიანებს ღმერთთან. განსაზღვრულია თორის სწავლის პირობები. ხაზგასმულია ის, რომ ღვთისმოშიშების გრძნობით თორის დაუფლება განარიდებს ადამიანს ყველა უბედურებისაგან, ვინაიდან ღმერთი სამართლიანია, ყველაფერს ხედავს, ყველაფერს შეაფასებს და ყველას თავისი მიეზღვება. ის, ვინც დიდ ყურადღებას უთმობს თორის შესწავლასა და მცნებების შესრულებას, თავისუფლდება ცხოვრებისეული სიძნელეებისაგან და მას შრომა სიკეთით აუნაზღაურდება.

თორის სწავლების თემას მჭიდროდ უკავშირდება ბრძენთა მიმართებაში გამოთქმული შეგონებანი, რომელთა ძირითადი მიზანია, შეახსენოს ბრძენებს რაოდენ დიდი მისია აკისრიათ მათ. როგორი ფრთხილები უნდა იყვნენ ისინი ქადაგებისას, რათა მათი სიტყვები არასწორად არ იქნას გაგებული. ასხნა იმისა, თუ რა არის ნამდვილი სიბრძნე, შეგონებებში ზოგჯერ ალეგორიული ფორმით არის გადმოცემული.

თორის სწავლების თემას ხშირად თან სდევს სამართალსა და სამართლიანობასთან დაკავშირებული გამონათქვამები. ძირითადი აზრი ის არის, რომ სამყარო სამ საფუძველზე დგას: ჭეშმარიტებაზე, მართლმსაჯულებასა და მშვიდობაზე. ზოგჯერ ქადაგებაში მითითებულია, თუ როგორ უნდა მოიქცეოს სასამართლოზე, როგორ უნდა დაიკითხოს მოწმეები და ა.შ. რაც მთავარია, არ უნდა განსაჯო ერთპიროვნულად, ვინაიდან ამის უფლება აქვს მხოლოდ ერთს (ღმერთს).

თორის სწავლას უკავშირდება მეგობრობის თემა. სწავლის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვის შეარჩევ მეგობრად. ქადაგება გვეუბნება, რომ უნდა მოერიდო ცუდ მეზობელს, ხელისუფლებაში მყოფსა და არ უნდა იმეგობრო ცოდვილთან. ასევე, არ უნდა განსაჯო მეგობარი, ვიდრე საკუთარ თავს მის ადგილზე არ დააყენებ.

ზოგადად სწავლის მნიშვნელობასა და მოწაფის ტიპებს ეძღვნება რამდენიმე შეგონება. მხატვრულად არის გადმოცემული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სწავლა ახალგაზრდობაში ჯობია და არა სიბერეში, რომ ახალგაზრდა მასწავლებელზე უკეთესად – გამოცდილი, ხანდაზმული ასწავლის, თუმცა იქვე ამის საპირისპირო მოსაზრებაა გამოთქმული, რომლის მიხედვითაც, მნიშვნელობა არა

აქვს იმას, როგორ გამოიყურება მასწავლებელი, არამედ იმას, თუ რა აქვს მას თავში. „შეგონებანში“ ალეგორიულად არის დახასიათებული მოწაფის 4 ტიპი. ასევე, ადამიანის 4 ტიპიც – ხასიათის, ტემპერამენტისა და ქველმოქმედების გაცემის სხვადასხვანაირი უნარით. საინტერესო და სასარგებლო რჩევებია მოცემული ყველა სხვა ბრძნულ ქადაგებაში.

პირველი თავი იწყება მიმართვით, რომ თორა, რომელიც მოსემ მიიღო ღმერთისაგან სინაის მთაზე, გადაეცათ უხუცესებს, უხუცესებისგან წინასწარმეტყველებს, ხოლო მათგან – დიდი კრების წარმომადგენლებს, საჭიროებს დაცვასა და მისი სწავლების გაფართოებას. აქ არის მოწოდება წმინდა წიგნის მცოდნეთა მიმართ, რათა გაავრცელონ თორის სწავლება, ვინაიდან სამყარო დგას სამ საფუძველზე: თორაზე, ღვთისმსახურებასა და ქველმოქმედებაზე [თიბა 'קרא, 1958: 1,2].

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს სხვადასხვა თემაზე რა ხასიათის შეგონებანი გვხვდება კრებულში, წარმოვადგენთ მათგან ზოგიერთს ჩვენეული თარგმანით. (კრებულის თემატური მიმოხილვისათვის ზედმეტად მივიჩნიეთ გამონათქვამების ავტორ ბრძენთა სახელების მითითება):

... კარგია თორის შესწავლა, როცა ეს ხდება სხვა პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, ვინაიდან ასეთი ორმაგი შრომა განგაშორებს ცოდვებს. თუ თორის შესწავლას არ ახლავს სამუშაო, იგი ბოლოს და ბოლოს შეწყდება და გამოიწვევს რაიმე ცოდვას. ყველა, ვინც მუშაობს საზოგადოებისათვის, ამას უნდა სჩადიოდეს ზეციური ძალების სახელით, დამოუკიდებლად. არ უნდა წაადგეს მას წინაპრების დამსახურება. ამ შემთხვევაში მისი შრომის ფასი გაიზრდება და უმწიკვლობა დაფასდება [თიბა 'קרא, 1985: 2,2].

... თუ არ არის თორა – არ არის მორალი, თუ არ არის მორალი – არ არის თორა. თუ არ არის სიბრძნე – არ არის შიში ღვთის წინაშე, არ არის ღვთისმოშიშება – არ არის სიბრძნე. არ არის ცოდნა – არ არის გაგება, არ არის გაგება – არ არის თორის ცოდნა. თუ არ არის ფქვილი – არ არის თორა, თუ არ არის თორა – არ არის ფქვილი (ადამიანი, რომელიც მშიერია, არ არის განწყობილი სწავლისათვის და ასევე, თუ მატერიალურად უზრუნველყოფილი ადამიანი არ მიეცემა თორის შესწავლას, მისი ცხოვრება აზრს მოკლებულია) [თიბა 'קרא, 1985: 3,21].

... ერთი მცნების შემსრულებელი (ერთი მადლის ჩამდენი) იძენს თავისთვის ერთ დამცველს, ხოლო ერთი ცოდვის ჩამდენი იძენს ერთ ბრალმდებელს (ღმერთთან). მობრუნება-მონანიება და კეთილი საქმეები ფარია სასჯელის წინაშე [თიბა 'קרא, 1985: 4,13].

... დაბადებულები გარდაიცვლებიან, მიცვალებულები – მკვდრეთით აღსდგებიან, ხოლო ცოცხლები სამსჯავროზე წარსდგებიან. იქნება უწყება და გაცნობიერება იმისა, რომ ის არის – ღმერთი, ის არის – შემომქმედი, ის არის – შემქმნელი, ის არის – მჭვრეტელი, ის არის – მსაჯული, ის არის – ბრალმდებელი და იგი არის ის – ვინც განსჯის მომავალში [თიბა 'קרא, 1985: 4,20].

... ნუ განსჯი ერთპიროვნულად, ვინაიდან ერთპიროვნულად მხოლოდ ერთი (ღმერთი) განსჯის. ნუ ეტყვი დანარჩენ მოსამართლეებს: „მიიღეთ ჩემი მოსაზრება“, ვინაიდან ამის უფლება აქვთ მათ და არა შენ.“ (იგულისხმება, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით) [თიბა 'קרא, 1985: 4,10].

... ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული (სიტყვასიტყვით: ნაწინასწარმეტყველება), მაგრამ არსებობს არჩევანის თავისუფლება, (იგულისხმება, რომ მართალია, ღმერთისთვის ყველაფერი წინასწარ არის ცნობილი, მაგრამ

ადამიანს ეძლევა ბოროტებასა და სიკეთეს შორის არჩევანის თავისუფლება), სამყარო განისჯება სიკეთით (ანუ: ყველაფერი განისაზღვრება კეთილი საქმეების სიმრავლით და არა ცალკე აღებული ერთი, რომელიმე საქციელის მნიშვნელოვანებით [თიბა 'კუა, 1985: 3,19].

... ყველაფერი გაიცემა პასუხისმგებლობით. ბადე გადაშვებულა ყველა ცოცხალ არსებაზე. ფარდული გახსნილია და მფლობელი (იგულისხმება ღმერთი) მას დებს ვალში. ვალების წიგნი გახსნილია და ხელი წერს. ყველას, ვისაც სესხის აღება უნდა, დაე აიღოს. თანხის ამკრებნი მუდმივად, ყოველდღიურად ჩამოივლიან და მიაქვთ ვალი ნებართვით ან უნებართვოდ; და მათ აქვთ ამის საფუძველი (ალეგორიის მორალია: მართალია, ადამიანი თავისუფალია იცხოვროს თავისებურად, მაგრამ ყველაფრისათვის პასუხი უნდა აგოს. ყოველთვის ვერ აცნობიერებს, რისთვის ატყდება თავს ესა თუ ის უბედურება, რადგან „ბადეს“ ვერავინ გაექცევა) [თიბა 'კუა, 1985: 3,20].

... ის, ვინც სწავლობს ბავშვობაში, მსგავსია სუფთა ფურცლისა, რომელზეც წერენ მელნით. ხოლო ის, ვინც სწავლობს სიბერეში, მსგავსია ფურცლისა, რომელზეც უწინდელი ნაწერი წაშლილია და თავიდან არის დასაწერი ყველაფერი [თიბა 'კუა, 1985: 4,25].

არსებობს მოსწავლის ოთხი ტიპი: მალე ითვისებს და მალევე კარგავს – ღირსება დაფარულია ნაკლით. ძნელად ითვისებს და ღიძნანს არ ივიწყებს – ნაკლი დაფარულია ღირსებით. მალე ითვისებს და ღიძნანს არ ივიწყებს – ეს საუკეთესო ხვედრია. ძნელად ითვისებს და მალევე ივიწყებს – ეს ყველაზე მძიმე ხვედრია [თიბა 'კუა, 1985: 5,16].

... არსებობს ოთხი ტიპი, რომელიც წარსდგება ღმერთის წინაშე: ღრუბელი, ძაბრი, საწური და საცერი. ღრუბელი არის ის, ვინც იწოვს (ანუ ითვისებს) ყველაფერს. ძაბრი არის ის, ვინც იღებს ერთი მხრიდან და უშვებს მეორედან (ანუ ის, ვინც ითვისებს და მალე ივიწყებს), საწური ის არის, რომელიც უშვებს ღვინოს და იკავებს ნალექს (ის, ვინც ანალიტიკოსია ანუ არჩევს კარგსა და ცუდს). საცერი ის არის, ვინც ატარებს ფქვილის მტვერსა და ტოვებს ფქვილს (ანუ პრაქტიკოსი, რომელიც კარგს იტოვებს და ცუდს ყრის) [თიბა 'კუა, 1985: 5,19].

... არის ოთხი სახეობა ადამიანისა. ის, ვინც აცხადებს: „ჩემი ჩემია და შენი – შენი“ – ეს საშუალო ტიპია (ანუ ახასიათებს უმრავლესობას). ის, ვინც ამბობს: „ჩემი შენია და შენი – ჩემი“ – უმცარია; „ჩემი შენია და შენიც შენია“ – კეთილსინდისიერია. და ვინც ამბობს: „ჩემი ჩემია და შენიც ჩემია“ – ბოროტმოქმედია [თიბა 'კუა, 1985: 5,14].

... არის ოთხი ტიპი ქველმოქმედისა: ის, ვინც გასცემს, მაგრამ არ სურს, რომ სხვამაც გასცეს – შურიანი; უპირატესობას ანიჭებს, სხვამ გასცეს და არა მან – ძუნწი; თვითონაც გასცემს და სხვასაც წააქებებს – კეთილსინდისიერი; არც თვითონ გასცემს და არ სურს, რომ სხვამ გასცეს – ბოროტმოქმედი. [თიბა 'კუა, 1985: 5,17].

... სიყვარული, რომელიც განპირობებულია რაიმეთი, ჩამოსცილდება თუ არა პირობა, გაივლის. ხოლო სიყვარული, რომელიც არაფრითაა განპირობებული, მარადიულია.... [თიბა 'კუა, 1985: 5,20].

შევნიშნავთ, რომ „მამათა შეგონებანი“ საინტერესო შედეგებს იძლევა პარამიოლოგიური კვლევების დროს, რადგანაც ქადაგებათა კრებული მრავალი ცნობილი ებრაული ანდაზის წყარო აღმოჩნდა. ჩვენს მიერ ანდაზებისა და შეგონებების ტექსტების შეპირისპირებამ გამოავლინა, რომ „მამათა შეგონებანი“

ამა თუ იმ მუხლში ვრცლად გადმოცემული ქადაგება ანდაზებში მოკლედ, სხარტად და კომპაქტურად თითქმის უცვლელი შინაარსით გადმოიცემა.

რა ხასიათის ანდაზები იღებენ სათავეს „მამათა შეგონებიდან“? ამის დასადგენად წარმოვადგინეთ ისინი წყაროდან შესაბამის ციტატებთან ერთად. დაწვრილებით იხილეთ ჩვენი სტატია [გულედანი, 2005: 70]. აქ კი სანიმუშოდ წარმოვადგენთ მხოლოდ ერთ მათგანს. „მამათა შეგონებანის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პოსტულატად ითვლება ბრძენი ჰილელის ფრაზა, რომელიც ანდაზის სახით არის გავრცელებული: „...’ש ימי’ו יא יא דא“ [ებრაული სახელმძღვანელო, 1989: 3], რაც ქართულად შემდეგნაირად ითარგმნება: „თუ არა მე ჩემთვის, ვინ ჩემთვის“... იგი იმდენად პოპულარულია, რომ ხშირად საუნივერსიტეტო ან სხვა სასწავლო სახელმძღვანელოებშიც ვხვდებით. ამ ფრაზის სიბრძნეს რომ ჩავწვდეთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ იგი შესაბამის კონტექსტში. (ანდაზების კრებული, 1996: 150,14]:

... „თუ მე არა ჩემთვის, მაშ ვინ ჩემთვის“? და თუ მე მხოლოდ ჩემთვის, მაშინ ვინ ვარ მე? და თუ არა ახლა, მაშინ როდის? ამ პარაგრაფში ლაპარაკია იმაზე, რომ მოყვასი მოყვასისთვის უნდა იღვწოდეს მუდამ. (ალეგორია შემდეგნაირად აიხსნება: თუ მე არ ვიზრუნებ საკუთარი თავის სრულყოფილებისათვის, სხვა არავინ იზამს ამას ჩემს ნაცვლად. და თუ მე დაკავებული ვარ მხოლოდ საკუთარი თავით, რად ვღირვარ?)

განსაკუთრებით საინტერესოა „მამათა შეგონებანის“ ბიბლიასთან მიმართების კვლევა. როგორც აღინიშნა, ამ კრებულის ბოლო თავი მთლიანად და შეგონებების ყველაზე დიდი ნაწილი თორასთან და მისი სწავლების აუცილებლობასთან დაკავშირებული გამონათქვამებია, რაც თავისთავად განაპირობებს ქადაგებების მჭიდრო კავშირს ბიბლიასთან. თორაში განსწავლული ბრძენი მამები ხშირად ქადაგებებშივე მიანიშნებენ ბიბლიურ წყაროს. არის ისეთი შეგონებებიც, რომელთა ბიბლიური წყარო გამჭვირვალედ არ იკვეთება და ბიბლიური პარალელების დასადგენად მეტი დაკვირვება და ხანგრძლივი კვლევაა საჭირო.

რა ხასიათის მიმართებაა ამა თუ იმ შეგონებასა და მათ ბიბლიურ წყაროსთან? ამის დასადგენად მათ წარმოვადგენთ ჩვენეული თარგმანით ბიბლიური წყაროდან შესაბამის ციტატებთან ერთად:

... სამ საფუძველზე დგას სამყარო: ჭეშმარიტებაზე, მართლმსაჯულებასა და მშვიდობაზე... [თობა 'ק'ר, 1985: 1,18].

მისი ბიბლიური პარალელია – ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნი:

„ჭეშმარიტება ელაპარაკეთ ერთმანეთს, ჭეშმარიტება და სამშვიდობო სამართალი გააჩინეთ თქვენს კარიბჭესთან“ [ბიბლია, 1989: 855,16].

... რაბან იოჰანან ბენ ზაქაიმ უთხრა თავის მოწაფეებს: „მომიახლოვდით და იხილეთ, როგორია იგი – არასწორი გზა, რომელსაც ადამიანი უნდა გაეცეს. რაბი ელიებერმა თქვა: ავი თვალი; რაბი იეშუამ – ცუდი მეგობარი; რაბი იოსიამ – ცუდი მეზობელი; რაბი სიმონმა თქვა: სესხება და არ დაბრუნება. სესხება ადამიანისგან იგივეა, ისეხსო უზენაესისგან, კურთხეულ იყოს იგი, ვინაიდან ნათქვამია: „ბოროტი ისესხებს და არ გადაიხდის, ხოლო მართალი შეიბრალებს და მისცემს“; რაბი ელიაზარი ამბობს – ბოროტი გული; უთხრა მან მათ: „უპირატესობას ვანიჭებ ელიაზარ ბენ არახს, იმიტომ, რომ ის შეიცავს თქვენს პასუხებსაც“ [თობა 'ק'ר, 1985: 2,14].

(შეგონების ძირითადი აზრია: ადამიანი კმაყოფილი უნდა იყოს თავისი ხვედრით. არ უნდა იყოს შურიანი, არამედ კეთილგანწყობილი და გულწრფელი

მეგობრების მიმართ. ღმერთი სამართლიანია და გამსესხებელს ზარალს აუნაზღაურებს და მოკითხავს არაკეთილსინდისიერ მევალეს).

ამ ქადაგების წყარო ფსალმუნნიდან: „ბოროტი ისესხებს და არ გადაიხდის, მართალი შეიბრალვებს და მისცემს“ [ბიბლია, 1989: 512,21].

... იყავი პუნქტუალური და ყურადღებიანი თორის კითხვისას (ანუ: წაიკითხე ის თავის დროზე), ნუ იქნება შენი ლოცვა დანაშაულის შეგრძნებით, არამედ ხვეწნა და მუდარა აღავლინე ღმერთისადმი, როგორც ნათქვამია: რამეთუ შემბრალე და გულმოწყალეა ის, მრავლისმომთმენი და დიდად მწყალობელი, და ცუდაც აპატიებს. და ნუ ჩათვლი თავს ცოდვილად [თიხა 'კუა, 1985: 2.18].

ამ შეგონების წყარო იოველ წინასწარმეტყველის წიგნიდან:

„... დაუბრუნდით უფალს, თქვენს ღმერთს, მოწყალე და შემბრალეა იგი, სულგრძელი და მრავალმადლიანი და ნანობს ბოროტის ქმნას“ [ბიბლია, 1989: 829,13]....

... თუ ორი ადამიანი ზის და მათ შორის არ არის სიტყვები თორიდან, ეს მასხარების შეკრებაა. ნათქვამია, „ქარაფშუტების“ შეკრებას ის (ღმერთი) არ ესწრებაო, მაგრამ თუ ისინი საუბრობენ თორაზე, შეხინა მათ შორისაა. ნათქვამია: როცა ერთმანეთს ღვთისმოშიშნი ესაუბრებოდნენ, შეისმინა მათი უფალმა და დაიწერა ღირსსახსოვარი წიგნი, რომელიც მათ წინაშეა – ღვთისმოშიშთათვის, რომელნიც პატივს მიაგებენ მას (ღმერთს) [თიხა 'კუა, 1985: 3,3].

ამ ქადაგების პარალელი ფსალმუნნიდან:

„ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას და ცოდვილთა გზას არ ადგას, არ ზის ავყიათა საკრებულოში“ [ბიბლია, 1989: 498,1].

ასევე, მალაქია წინასწარმეტყველის წიგნიდან:

„როცა უფლის მოშიშნი ლაპარაკობენ ერთმანეთში, ყურს უგდებს უფალი, ესმის და იწერება მის წინაშე სამახსოვრო წიგნი უფლის მოშიშთათვის და მისი სახელის მომხსენიებელთათვის“ [ბიბლია, 1989: 860, 16].

... რაბი სიმონი ამბობს: სამნი, თუ ისინი სხედან ერთ მაგიდასთან და არ წარმოთქვამენ ტრაპეზის დროს სიტყვებს თორიდან, გვანან კერპებისთვის მსხვერპლშემწირველებს, ვინაიდან „ყველა მაგიდა სავსეა ნარწყევითა და განავლით – (იქ) არ არის ღმერთი, მაგრამ სამმა, რომელთაც საერთო ტრაპეზის დროს წარმოთქვეს სიტყვები თორიდან, მსგავსნი არიან მათი, ვინც ღვთის სუფრიდან მიირთმევს, ვინაიდან ნათქვამია: „მითხრა მან მე, ეს მაგიდაა უფლის წინაშე.“

(ამ შეგონების დედააზრია: ის, ვინც ტრაპეზის დროსაც დაკავებულია თორით, აცნობიერებს, რომ ადამიანი ცხოვრობს არა ცხოველის მსგავსად, მხოლოდ საჭმლისთვის, არამედ ცხოვრობს ღვთისმსახურებისათვის).

ამ შეგონებას პარალელი ეძებნება ესაია წინასწარმეტყველის წიგნიდან:

„რადგან ყოველი სუფრა სავსეა ნარწყევით, სუფთა ადგილი აღარ დარჩა“ [ბიბლია, 1989: 666,8].

ასევე, ეზეკიელ წინასწარმეტყველის წიგნიდან: „მითხრა მან მე, ეს საკურთხეველია უფლის წინაშე“ [ბიბლია, 1989: 794,22].

... როცა ათი ადამიანი ზის და თორით არის დაკავებული, მათ შორის შეხინაა (ე.ი. ღმერთი ეხმარება მათ თორის გაგებაში), როგორც იტყვიან, უფალი არის უფლის საზოგადოებაში (ებრაული ტრადიციის მიხედვით, მორწმუნეთა საზოგადოებად ითვლება მინიმუმ ათი კაცი). თუ ხუთი შეიკრიბა? ნათქვამია: თავის კავშირი დაამყარა მან მიწასთან. თუ სამია? მაინც, რადგან ნათქვამია: მსაჯულთა შორის ქმნის სამართალს (რაბინთა სასამართლო 3 კაცისაგან შედგება). თუნდაც ორნი იყვნენ, ვინაიდან ნათქვამია: როდესაც ღვთისმოშიშები

ერთმანეთთან საუბრობდნენ უფალმა შეისმინა მათი და გაიგონა [თოხა 'კუა, 1985: 3,7].

ამ შეგონებას სამი პარალელი აქვს: ფსალმუნნიდან, „უფალი ჩადგა საღვთო კრებულში, ღმერთებს შორის ჰქმნა სამართალი...“ [ბიბლია, 1989: 534, 82].

ასევე, ამოს წინასწარმეტყველის წიგნიდან: „ცაში ააგო მან თავისი სამყოფელი და მიწაზე დააფუძნა თავისი კამარა...“ [ბიბლია, 1989: 835,6].

და ასევე გამოსვლიდან: „ყოველ ადგილას, სადაც კი დავთქვამ ჩემი სახელის ხსენებას, გამოგეცხადები და დაგლოცავ“ [ბიბლია, 1989: 75,24].

... ის, ვისაც დაავიწყდა თუნდაც ერთი სიტყვა მის მიერ ნასწავლიდან, საღვთო წიგნის მიხედვით განიხილება ისეთად, ვინც დაამძიმა თავისი სული სასიკვდილო ცოდვით, ვინაიდან ნათქვამია: „გაფრთხილდი და დაიცავი შენი სული, რათა არ დაივიწყო ის, რაც შენმა თვალებმა იხილეს.“ თუმცა არ შეიძლება დაადანაშაულო ის, რომლისთვისაც სწავლა აღმოჩნდა დაუძლეველი, ვინაიდან ნათქვამია: „რათა არ გაქრეს შენი გულიდან, მთელი შენი ცხოვრების დღეებიდან.“ აქედან გამომდინარეობს ის, რომ დამნაშავეა მხოლოდ შეგნებულად უსაქმური, რომელიც დევნის (მართალ სიტყვას) გულიდან.

(იგულისხმება, რომ აუცილებელია დაუღალავად გაიმეორო ნასწავლი, ხოლო თუ საპატიო მიზეზით, ვთქვათ ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო ვერ ითვისებ, არ ხარ დამნაშავე).

ამ ქადაგების პარალელი მეორე რჯულიდან: „ოღონდ გაუფრთხილდი და გულისყურით იყავი, რომ არ დაგავიწყდეს შენი თვალთ ნანახი საქმეები, და ვიდრე ცოცხალი ხარ, გულიდან არ ამოგივარდეს...“ [ბიბლია, 1989: 166,9].

რაბი აკივა ამბობს: „უფლის რჩეულია ადამიანი, რომელიც შექმნილია ღვთის ხატად; განსაკუთრებული სიყვარული ვლინდება (იმიტომ, რომ) მისთვისაც ცნობილია, რომ იგი შექმნილია ღვთის ხატად. უფლის რჩეულია ისრაელი – (ქენი მისნი, რომლებიც) იწოდებიან ღვთის შვილებად. განსაკუთრებული სიყვარული ვლინდება (იმიტომ, რომ) მათთვის ცნობილია, ისინი გამოცხადებულები არიან ღვთის შვილებად. უფლის რჩეულია ისრაელი – მიეცათ რა (მის ქეთა) ბრწყინვალე ჭურჭელი. განსაკუთრებული სიყვარული ვლინდება (იმიტომ, რომ) მათთვის ცნობილია, რომ მიეცათ მათ (ღვთისგან) ბრწყინვალე ჭურჭელი (იგულისხმება თორა).

ამ შეგონების პარალელი იძებნება: დაბადებაში, „ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი, რადგან ღვთის ხატად შეიქმნა ადამი“ [ბიბლია, 1989: 19,6].

ასევე, მეორე რჯულში: „უფლის, თქვენი ღმერთის შვილები ხართ თქვენ“ [ბიბლია, 1989: 176,14,1]. ასევე, იგავნში: „რადგან სასიკეთო დარიგებას გაძლევთ, ჩემი რჯული არ მიატოვოთ“ [ბიბლია, 1989: 566,2].

... ის, ვისი განსწავლულობაც აღემატება მის კეთილ საქმეებს, გავს ხეს, რომელსაც ბევრი ტოტები აქვს და მცირე ფესვები. დაჰბერავს ქარი, ამოთხრის მას ფესვებიანად და მიწას დაანარცხებს. ის იქნება, როგორც ხვია ველზე, რომელიც ვერ დაინახავს მომავალ სიკეთეს გამომშრალ, უკაცრიელ და უნაყოფო უდაბნოში. ხოლო ვისი კეთილი საქმეებიც აღემატება განსწავლულობას, მსგავსია მცირე ტოტიანი და მრავალრიცხოვანი ფესვების მქონე ხისა. მსოფლიოს ყველა მხრიდან რომ დაჰბერონ ქარებმა, ძვრას ვერ უზამს მას. ნათქვამია: „ის იქნე-

ბა, როგორც ხე დარგული წყალთან, რომელსაც ფესვები ჩაშვებული აქვს წყლის ნაკადში. შეუმჩნეველი იქნება მისთვის პაპანაქება. მისი ფოთლები გამწვანდება. გვალვის დროს არ შეშინდება ის და მუდამ გამოისხამს ნაყოფს“ [თოხა '89, 1985: 3,22].

ამ შეგონებას ორი პარალელი აქვს იერემია წინასწარმეტყველის წიგნში:

„იქნება იგი მარტოხელა ბუჩქივით უდაბნოში, ვერსაიდან მოელოდება სიკეთეს, რადგან იცხოვრებს გადახრუკულ ტრამაღზე, მარილიან უკაცრიელ ქვეყანაში“ [ბიბლია, 1989: 710,6].

„იქნება იგი წყლის პირას დარგული ხესავით, რომელსაც მდინარესთან აქვს ფესვები გადგმული; არ უყურებს, რომ დადგება ხვათი, მწვანე ფოთლები იქნება მუდამ, არ უფრთხის გვალვიან წელიწადს და არასოდეს ეღვევა ნაყოფი“ [ბიბლია, 1989: 710,8].

... ვინ არის ბრძენი? – ის, ვინც სწავლობს ნებისმიერი ადამიანისგან, როგორც ნათქვამია: „ყველა ჩემი მასწავლებლისგან ჭკუას ვსწავლობდი, რადგან შენს (იგულისხმება ღმერთი) მცნებებზე იყო ჩემი საუბარი.“ ვინ არის ძლიერი? – ის, ვინც ფლობს თავის სურვილებს, როგორც ნათქვამია: „რისხვის შემკავებელი ძლიერზე უკეთესია და საკუთარი თავის ფლობის უნარის მქონე – ქალაქის დამპყრობელ მეომარზე უკეთესი.“ ვინ არის მდიდარი? – თავისი ხვედრით კმაყოფილი, როგორც ნათქვამია: „თუ იკვებები შენი ხელების ნაშრომით, ბედნიერი ხარ და სიკეთე გაქვს. ბედნიერი ხარ ამქვეყნიურ ცხოვრებაში და მომავალშიც (იმქვეყნიურშიც). ვინ არის პატივსაცემი? – ის, ვინც პატივს სცემს სხვებს, როგორც ნათქვამია (შამოელი, 2:30): „ვინც მე პატივს მცემს ვაღიარებ, ვინც არაფრად მაგდება – იქნება დამცირებული.“

ამ შეგონებას რამდენიმე პარალელი ეძებნება:

ფსალმუნნი, „ყველა ჩემს მოძღვარზე გონიერი გავხდი, რადგან შენი მცნებანი სააზროვნოა ჩემთვის“ [ბიბლია, 1989: 553,99].

იგავნი სოლომონისა: „სულგრძელი კაცი მამაცს სჯობია, საკუთარი თავის ხელმწიფე კი – ქალაქის ამღებს“ [ბიბლია, 1989: 575,32].

ფსალმუნნი: „შენი ხელების ნაყოფს თუ ჭამ, ნეტარება შენ და სიკეთე შენ“ [ბიბლია, 1989: 556, 128-2].

... როცა შენი მტერი ეცემა, არ გაიხარო, თუ ის წაბორძიკდა, არც მაშინ მიეცე სიხარულს, ღმერთმა რომ არ დაინახოს, იმიტომ, რომ (ასეთი საქციელი) არ არის კარგი მის თვალში და მისი რისხვა გადმოვა შენზე [თოხა '89, 1985: 4,24].

ამ ქადაგების წყაროა იგავნი სოლომონისა:

„ნუ ხარობ შენი მტრის დაცემით და მისი წაბორძიკებით. ნუ ილხენს შენი გული, თორემ უფალი დაინახავს და ბოროტებად შერაცხავს, თავის რისხვას შენზე მოაქცევს“ [ბიბლია, 1989: 581, 17-18].

... ათი განსაცდელით ცდიდნენ ჩვენი წინაპრები ღმერთს უდაბნოში, კურთხეულ იყოს იგი, როგორც ნათქვამია: „გამომცადეს მე ათჯერ და არ შეისმინეს ჩემი“ [თოხა '89, 1985: 5,6].

ამ შეგონების წყაროა რიცხვნი: „ვერცერთი იმათგანი, ვინც იხილა ჩემი დიდება და სასწაულები, ეგვიპტეში და უდაბნოში რომ მოვიმოქმედე, ათგზის რომ გამომცადა მე და მაინც არ დაიფერა ჩემი სიტყვა“ [ბიბლია, 1989: 139,22].

... ყოველი, ვინც ხელს უწყობს ბევრის ღვთისმოსაობას, არც თვითონ ვარდება და არც სხვას აგდება ცოდვაში, ხოლო ის, ვისაც ბევრი მიყავს ცოდვამდე, ჭეშმარიტ გზას ვერ დაუბრუნდება. მოსე თავად იყო წმინდანი და ბევრი შემოაბრუნა უბიწოებისაკენ. ამიტომ ბევრის დამსახურება მას ეთვლება, როგორც ნათ-

ქვამია: „სამართლიანობას იქმოდა იგი (მოსე) და მისი სამსჯავრო – ისრაელში“ [თიბა 'რუ, 1985: 5,22].

ამ ქადაგების პარალელი იძებნება მეორე რჯულში:

„საუკეთესო წილი ნახა, რადგან იქ იყო შენახული რჯულმდებლის წილი. მოიყვანა ერის თავკაცნი და აღესრულა უფლის წესი და მისი სამართალი ისრაელს“ [ბიბლია, 1989: 195,21].

... იერობოამ ბენ ნოვატი ცოდავდა და ცოდვაში ითრევდა ბევრს, (ამიტომ) მათი ცოდვები მასზეა, ნათქვამია: „იერობოამის ცოდვების გამო, რომელიც ცოდავდა და ჩააგდო ცოდვაში ისრაელი“ [თიბა 'რუ, 1985: 5,23].

ამ შეგონების წყარო მესამე მეფეთა წიგნია: „იერობოამის ცოდვების გამო თვითონ, რომ შესცოდა და ისრაელიც რომ აცთუნა, როცა გულისწყრომით აავსო უფალი, ისრაელის ღმერთი“ [ბიბლია, 1989: 314,30].

... ყოველი, ვინც ფლობს ქვემოთ მითითებულ სამ ღირსებას – ჩვენი პატრიარქის, აბრაამის მოწაფეა, ხოლო სხვა სამი თვისების მქონე – ერთ-ერთი მოწაფეთაგანი ბოროტმოქმედ ბილამისა. აბრაამის მოწაფეებს აქვთ კეთილი თვალი, თვინიერი სულიერება, თავმდაბალი სული. ბილამის მოწაფეებს კი – ცუდი თვალი, ქედმაღალი სულიერება და გაუმაძლარი სული. რითი განსხვავდება სვედრი აბრაამის მოწაფეებისა ბილამის მოწაფეთაგან? აბრაამის მოწაფენი იგემებენ ნაყოფს ამა ქვეყნისა და მემკვიდრეობით იღებენ მომავალს. როგორც ნათქვამია: „მემკვიდრეობით ვუტოვებ ჩემს მოყვარეთ მარად არსებულს და მათ საგანძურებს აგავსებ, ხოლო ბოროტმოქმედ ბილამის მოწაფეები მემკვიდრეობით მიიღებენ ჯოჯოხეთს და სამარეში ჩავლენ. სისხლის მსმელები და ვერაგები ვერ მიაღწევენ სიცოცხლის დღეთა ნახევარსაც კი, მე კი შენს იმედად ვარ“ [თიბა 'რუ, 1985: 5,24].

ამ შეგონებას ორი პარალელი ეძებნება: იგავნი სოლომონისა: „... რათა დავამდიდრო ჩემი მოყვარულნი და ავუფსო საგანძურები“ [ბიბლია, 1989: 569,8-21].

ფსალმუნნი: „ღმერთო, შენ ჩაგყავს ისინი ჯოჯოხეთში, სისხლის მოყვარულნი და ვერაგნი ნუ მიაღწევენ თავიანთ დღეთა ნახევარს: ხოლო მე შენ გესავ“ [ბიბლია, 1989: 521,24].

ამრიგად, „მამათა შეგონებების“ ზოგიერთი ქადაგების და მისი ბიბლიური წყაროს შეპირისპირებითმა კვლევამ გვიჩვენა, რომ შეგონებები ბიბლიის დიდ ზეგავლენას განიცდიან შინაარსობრივ-იდეური თვალსაზრისით. ესა თუ ის მოსაზრება ზოგჯერ შეუცვლევად არის დამოწმებული ბიბლიიდან, ტექსტები სრულიად იდენტურია ან განიცდიან უმნიშვნელო ცვლილებას, რაც ბუნებრივია, ვინაიდან ებრაელი მამების ცხოვრების ძირითადი აზრი თორის კანონების დაცვა და მისი უზენაესობის აღიარებაა, ხოლო „მამათა შეგონებანის“ თემატური მრავალფეროვნება ერთი იდეით არის განმსჭვალული: ადამიანებმა უნდა შეისმინონ ბრძენ მამათა ქადაგებანი თავიანთი ზნეობრივ-მორალური და ეთიკური ნორმების დასახვეწად და სულიერი სრულყოფის მისაღწევად.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ბიბლია, საქართველოს საპატრიარქო, თბილისი, 1989
2. გულედანი, ლ. *ებრაული ენის განვითარების მეორე პერიოდი-მიშნის ებრაული*, „საზრისი“, 2005 ა.
3. გულედანი, ლ. *ებრაული ანდაზების ერთ-ერთი წყაროს – „მამათა სწავლანის“ შესახებ*, *პერსპექტივა XXI*, თბილისი, 2005ბ.
4. წერეთელი, კ. *ბიბლიის ებრაული (გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი)*, თსუ, 2001
5. *Еврейская энциклопедия*, т. 12, Москва: „Терра“, 1992
6. *Краткая Еврейская энциклопедия*, Иерушалим, Евр. ин-Т, 1992
7. 1989 *ללמוד עברית ברמה ג' מאייר, הרום, הנרפאסי*
8. 1996 *סידור עברי-רוסי* אמונה, שומר אמונה
9. 1985 *“פ'ק' אבות”*, הוצאת ישיבת שבי ר ברקלן, תשנ"ה

იდვარ ალ-ხარრატი და სიურრეალიზმი

სიურრეალიზმი ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. არაცნობიერის წვდომის სურვილმა, დაფარულისა თუ არახილულის ძიებამ ადამიანთა ცხოვრების ბევრი ასპექტის სხვაგვარად დანახვის საშუალება მოგვცა. მეთოდები, რომლებსაც სიურრეალისტები არაცნობიერში არსებული სუფთა აზრების წვდომისთვის და მათი გამოხატვისთვის იყენებდნენ, ხელოვნებასა და ლიტერატურაში ფართოდ დამკვიდრდა.

სიურრეალიზმმა თავი ეგვიპტეშიც იჩინა „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოების“ („جماعة الفن والحريّة“) სახით 1930-იანი წლების ბოლოს. მართალია, საზოგადოებამ დიდხანს არ იარსება, მაგრამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ეგვიპტური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. 1960-იან წლებში კი ეგვიპტურ ლიტერატურაში სიურრეალიზმის ახალი ტალღა გაჩნდა. 1930-40-იანი წლების ნაკადისგან განსხვავებით, ამჯერად მიმდინარეობის გავლენა არაბულ პროზაში უფრო ძლიერად გამოვლინდა.

ახალი ტენდენციებისა და იდეების საფუძველზე ლიტერატურაში აისახა რეალობა, რომელშიც სამყარო ცვალებადი და პირობითი ხდებოდა. რეალიზმის საწინააღმდეგოდ, ხილული რეალობის აღწერის ნაცვლად მწერლებმა ადამიანის შინაგან სამყაროში გადაინაცვლეს და შეეცადნენ, სხვა, უფრო ღრმა რეალობა წარმოეჩინათ. სიურრეალიზმი კი ამისთვის ბევრ კარგ საშუალებას სთავაზობდა მათ.

„ახალი ხედვის“ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია იდვარ ალ-ხარრატი, (ادوار قلته فلتس يوسف الخراط). ცნობილი ეგვიპტელი მწერალი, კრიტიკოსი და მთარგმნელი, 1926 წელს ალექსანდრიაში დაიბადა. კაიროში გადასვლის შემდეგ, ის აქტიურად ჩაება ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში და მალე მწერალთა ახალი თაობის ლიდერად იქცა. ალ-ხარრატი იყო ჟურნალ „გალერეა 68“-ის („68 جاليري“) ერთ-ერთი რედაქტორი. სწორედ ამ ჟურნალის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდების ანუ მომავალი „სამოციანების თაობის“ მოღვაწეობის შედეგად გაჩნდა არაბულ ლიტერატურაში ე.წ. „ახალი ხედვა“ („الحداثة الجديدة“). ამ ტერმინის დამკვიდრებაც ალ-ხარრატის სახელს უკავშირდება. ის ხშირად მიმართავდა ტერმინს „ახალი ხედვა“, რომელშიც იმ დროინდელ ეგვიპტურ ლიტერატურულ ავანგარდს გულისხმობდა. ჟურნალის VIII ნომერში ალ-ხარრატი წერდა, რომ „მას და სხვა ახალგაზრდა მწერლებს მობეზრდათ რაციონალიზმი“ (Kendall, 2006: 100). „რაციონალიზმით დაღლილ“ მწერლებში კი სიურრეალიზმით გატაცებამ იმძლავრა. მათ თხზულებებში გაჩნდა ადამიანის არაცნობიერი სამყაროს წვდომის სურვილი და გონების კონტროლით შეკავებული ნამდვილი აზრებისა და სახეების გამოხატვის მცდელობა.

ალ-ხარრატი სიურრეალიზმით პირველად 1940-იანი წლების ბოლოს დაინტერესდა, როდესაც სტუდენტობისას რევოლუციური საქმიანობის გამო დააპატიმრეს. როგორც აღვნიშნეთ, საფრანგეთიდან ეგვიპტეში მიმდინარეობის შემოსვლა „ხელოვნებისა და თავისუფლების საზოგადოებას“ უკავშირდება. მნიშვნელოვანია ასევე ალექსანდრიაში არსებული ორგანიზაციების „მეუცნობისაკენ“ („نحو المجهول“) და „ახალი კულტურა“ („الثقافة الجديدة“) მოღვაწეობა. ალ-ხარრატი იცნობდა ამ ჯგუფების საქმიანობას, კითხულობდა მათ მიერ გამოცემულ

ჟურნალ-გაზეთებს. მწერალი იხსენებს, რომ ცინეში ყოფნის დროს დიდი ინტერესით ეცნობოდა ფრანგულენოვან ლიტერატურას. განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი სიურრეალისტმა ავტორებმა მოახდინეს, რომლებიც „მის გონებასა და სულში დამკვიდრდნენ“ (الخراط, 2005: 42). გატაცებით კითხულობდა ჟურნალ „ალ-თატავვურს“ (الخراط, 2000: 8) და „ალ-მაჯჯალა ალ-ჯადიდას“, რომელსაც „თავისუფლების და ხელოვნების საზოგადოება“ გამოსცემდა. აქ გამოქვეყნებულმა სტატიებმა რალაც მნიშვნელოვანი შეცვალა მის აზროვნებასა და ცხოვრებაში (الخراط, 2005: 42). ამდენად იდვარი კარგად იცნობდა 1940-იან წლებში არაბულ ლიტერატურაში გაჩენილ მოდერნისტულ ტენდენციებს, ამავე პერიოდის მწერალთა გარკვეული ჯგუფის სიურრეალისტურ მოსაზრებებს და მათ თხზულებებში ასახულ სიურრეალისტური ხედვას. ალ-ხარრატი იხსენებს, თუ როგორ კითხულობდა ალბირ კუსაირის „ალ-თატავვურში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებს¹. მოგვიანებით კი ფრანგულად დაწერილი მისი თხზულებების თარგმნის სურვილიც გაუჩნდა, მაგ.: წიგნის „ნამდვილი სიკვდილის სახლი“ („La maison de la mort certaine“, „منزل الموت الأكيد“). მწერალი ასევე იხსენებს პარიზში კუსაირისთან და სიურრეალისტ პოეტ იდმუნ ჯაბისთან შეხვედრას (الخراط, 2000: 8-20). სიურრეალიზმით ალ-ხარრატის დაინტერესებას მოწმობს მის მიერ „გალერეა 68“-ის VII ნომერში დაბეჭდილი პოლ ელუარის ლექსების თარგმანებიც (Kendall, 2006: 236). მოგვიანებით იდვარ ალ-ხარრატმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა სიურრეალიზმს, სიურრეალისტურ მწერლობასა და ეგვიპტელ სიურრეალისტებს².

რაც შეეხება თავად მწერლის ნაწარმოებებს, სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნები პირველივე ნოველებში შეინიშნება, რომლებიც 1940-50-იანი წლების მიჯნაზე დაიწერა, ანუ იმ პერიოდში, როდესაც ეგვიპტურ ლიტერატურაში რეალიზმის ხანა დაიწყო. გაბრიელე-ბეუგელინკი აღნიშნავს, რომ სწორედ ეპოქასთან შეუთავსებლობა იყო მიზეზი, რომ ალ-ხარრატის ადრეულმა სიურრეალისტური, ფანტასტიკური და მაგიური რეალიზმის ელემენტებით სავსე ნოველებმა დიდი პოპულარობა ვერ მოიპოვა და „პოლიტიკურად და საზოგადოებრივად“ აქტიურ მწერალთა თხზულებების ჩრდილში მოექცა 1960-იანი წლების შუა ხანებამდე (Gabrielle-Beugelink, 2002 [2003]: 12).

სიურრეალიზმთან მიმართებაში ალ-ხარრატის პოზიციის უკეთ გასაგებად საინტერესოა მისი ერთი კრიტიკული წერილი, სადაც არაბულ ლიტერატურაში გაჩენილი მოდერნისტული ხედვისთვის დამახასიათებელ ნიშნებს განიხილავს და რამდენიმე ნაკადს გამოყოფს. იმ ნაკადს კი, რომელსაც თავის თავს მიაკუთვნებს, ასე ახასიათებს: „[...] ეს არის ნაკადი შინაგანი ხედვისა, რომელიც [...] მთელს შინაგან ცხოვრებას გულისხმობს, რომელიც ვლინდება ეფემერული სიზმრის მაგვარ ხილვებსა და წარმოსახვებში. ნაწარმოებებში, რომლებიც ამ ნაკადს მიეკუთვნება, ვხედავთ ადამიანის დაფარულ რეალობას, სადაც დროის ნორმალური მსვლელობა ჩერდება, სიზმარსა და სიფხიზლეს შორის ბარიერი იშლება, ორაზროვნება და მკვეთრი ფორმების მქონე სიცხადე, შინაგანი და გარეგანი, რეალობა და ილუზია ერწყმის. ცხადია, ეს ყველაფერი ხელს უწყობს „რეალობიდან“ გაქცევას სხვა მეორე „რეალობისკენ“ ბოლოს კი დასძენს, რომ 1940-

1 საუბარია ალბირ კუსაირის ნაწარმოებზე „დემერთისგან დავიწყებულები“, „Les hommes oubliés de Dieu“, „المستحيون من الله“, არაბულად თარგმნა აბდ ალ-ჰამიდ ალ-ჰადიდი.

2 იხ.: 2000 الخراط, 1994; الخراط, 1997; الخراط, 2000.

იანი წლებიდან მოყოლებული თავადაც შეიტანა საკუთარი წვლილი ამ ნაკადში (al-Kharrat, 1991: 198-190).

ალ-ხარრატი კალამს რამდენიმე რომანი, ნოველებისა და ლექსების კრებული და ბევრი კრიტიკული ნაშრომი ეკუთვნის. მათში შექმნილი სამყარო ერთი მთლიანობაა და ამიტომ ძნელია მისი ნაწარმოებების იზოლირებულად წაკითხვა. თუმცა, თქვენს ყურადღებას დღეს მის ცნობილ რომანზე „მისი ქვიშა ზაფრანისფერიაზე“ (*ترابها زعفران*)³ შევაჩერებ, რომელიც 1986 წელს გამოქვეყნდა. ამ ნაწარმოების მაგალითზე ვეცდები წარმოვაჩინო ის სიურრეალისტური ნიშან-თვისებები, რომელიც ზოგადად მისი შემოქმედებისთვის არის დამახასიათებელი. „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ ბავშვის მიერ აღქმული, ფანტაზიითა და სიზმრით გაფერადებული და შემდეგ ზრდასრული მთხრობელის მიერ გახსენებული ამბების თხრობას წარმოადგენს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ რომანის ავტობიოგრაფიულ ხასიათზე. მართალია, იდვარ ალ-ხარრატი წიგნის შესავალში ამბობს, რომ ეს არ არის ავტობიოგრაფია (*سيرة ذاتية*) (الخراط, 1999: 5), მაგრამ ნაწარმოებში მოთხრობილი ბევრი ამბავი ძალიან ჰგავს მწერლის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიებს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ იგივე გმირები, ადგილები და ფაქტები გვხვდება ალ-ხარრატის სხვა ნაწარმოებებშიც. მკვლევართა შორის აღიარებულ მოსაზრებას მისი რომანების ავტობიოგრაფიულობის შესახებ მწერალი ასე ეხმიანება: „[...] ის შემთხვევები, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა ილუზია, ის გმირები, რომლებიც მხოლოდ ხილვებია, ის ფანტაზიის გაქანებები და იმ ამბების მოგონება, რომლებიც არასდროს მომხდარა, მაგრამ უნდა მომხდარიყო, ასევე ავტობიოგრაფიულია თავის მხრივ. [...] მაინტერესებს: იქნებ მწერლის ეს წარმოსახვები უფრო „ავტობიოგრაფიულია“ ვიდრე ის ამბები, რომლებიც სინამდვილეში „რეალურად“ მოხდა“ (al-Kharrat, 1998: 9).

მწერალი ჟურნალ „გალერეა 68“-ის ფურცლებზე ხშირად ხმარობდა ტერმინს „მეტარეალური“ ამ სიტყვით აღნიშნავდა იმას, რაც რეალობის მიღმა არსებობს. ავტორი ეყრდნობოდა ხედვას, რომ ხილული რეალობა ხშირად მცდარ სახეს გვიჩვენებს, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს სიმართლის ცოდნა, ვერ დაგვეხმარება, გავიგოთ და ჩავწვდეთ მას. ამიტომ საჭიროა ისეთი მწერლობის არსებობა, რომელიც სწვდება იმას, რაც ხილული გარსის მიღმაა და ჩადის სიღმეში დაფარულ საიდუმლომდე. სწორედ რეალობა და რეალურობაა მისი ნაწარმოებების და აღნიშნული რომანის მნიშვნელოვანი საკითხი. აქ რეალობა მრავალმხრივია, ავტორი უბრალოდ არ აღწერს აწმყოს ან წარსულს. აქ დროისა და ადგილის მრავალი ფორმაა, რომლებიც თხრობის სხვადასხვა ხაზს მიჰყვება და ერთმანეთზე მოქმედებს. ხშირად მოქმედების სივრცეები გმირის, ან მთხრობელის გონების სამყაროში გადადის. თხრობაში ჩართულია ოცნებები, წარმოსახვები და ფანტაზა. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნაწარმოებში რამდენიმე ხმა ისმის. მწერალი მთხრობელია, მაგრამ არ გვევლინება ერთადერთ მთავარ გმირად, რომელიც ყველაფერს წყვეტს, მაგრამ არც ე.წ. „ავტორის სიკვდილი“ გვაქვს. აბდ ალ-კადირი იმოწმებს ფრანსუაზ ჯაიარის მოსაზრებას, რომ „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ განსხვავდება დასავლური რომანის ტრადიციებისგან, რომელიც ცნობილია თეორიულ სწავლებაში. „მე“ რომელიც ტექსტში ჩნდება, ასევე გვევლინება როგორც „ის“; მას ვხედავთ სხვადასხვა ამბავსა და შემთხვე-

3 გამოვიყენე 1999 წლის გამოცემა და ასევე რომანის ინგლისური თარგმანი. იხ.: al-Kharrat, 1989 და الخراط, 1999.

ვაში. ეს „მე“ სხვადასხვა გამოცდილების ნაკრებიდან იქმნება, მას ბევრი ფორმა აქვს (عبد القادر, 2000: 34).

მრავალმხრივ რეალობას და რამდენიმე „მეს“ კავშირს მივყავართ „მისი ქვიშა ზაფრანისფერიას“ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხთან, ერთისა და მრავლის განსაკუთრებულ ურთიერთობასთან. ნაწარმოებში გამუდმებით ვხვდებით ერთის, იდეალურის, აბსოლუტურის გამოვლენას მრავალში, სხვადასხვა სახეში. როგორც ფაბიო კაიანი წერს, თხრობის ერთი ძირითადი ხაზის შესაქმნელად მწერალი მრავალ ხმასა და თხრობის ფორმას იყენებს. ერთის დასაწინააღმდეგებლად ბევრი პერსპექტივა გვაქვს (Caiani, 2007: 34).

მაგალითად, რამდენიმე თითქმის იდენტური სცენაა, სადაც ბავშვი მიხაილი ღამე სიბნელეში იღვიძებს, ეშინია და დედას ეძახის (الخراط, 1999: 75-76, 122, 132). წარმოსახვაში მისი ოთახი საკანია, რომელიც იდენტურად მეორდება სხვადასხვა სახლში. ამ ოთახსა და მის მრავალ სახეში მიხაილს ერთი და იგივე შიში და მოჩვენებები აწუხებს. მიხაილი იღვიძებს ფიზიკურად არსებულ ბევრ ოთახში, მაგრამ ეს ოთახები ერთის სახეებია; ისევე, როგორც სხვადასხვა კომმარო და ღამეული ხილვა ერთი და იმავე პიროვნადი შიშის გამოხატულებაა. საძინებელი ოთახი იმ სივრცის არქიტექტურადაა იქცევა, რომელშიც ეს შიში ამოდის ზედაპირზე (al-Nowaihi, 1994: 52). მსგავსი შინაარსი შეიძლება დავინახოთ იმ ფაქტში, რომ მიხაილს უყვარს ბევრი ქალი, მაგრამ ყველა მათგანი ერთის გამოხატულებაა. გაურკვეველია, ზუსტად ვინ არის მიხაილის სატრფო, რეალურად არსებობს ის თუ არა. სატრფო იდეალია, მისი საჭიროებებისა და სურვილების მთლიანობა. თითოეული ქალი, რომელსაც მიხაილი ხვდება, ერთადერთია, მაგრამ თავის თავში შეიცავს ყველა სხვას.

ერთისა და მრავლის კავშირის ყველაზე საინტერესო მაგალითი კი რომანის მთავარი გმირი – მიხაილია, რომელიც ერთდროულად ერთიც არის და რამდენიმეც. სამი ძირითადი ფიგურა: ავტორი, მთხრობელი და ბავშვი განსხვავებული ფუნქციებით წარმოგვიდგებიან, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ მოვლენებს, მაგრამ, ამასთანავე, ისინი ერთი პიროვნების სახეებია. ამ პიროვნების ერთობა და მრავლობითობა, იგივეობა და განსხვავება ქმნის ნაწარმოების მთავარ ხაზს. რომანში სამი ხმა ისმის და სამივე ერთი „მე“ სხვადასხვა სახეა. აქაც ვხედავთ კავშირს სიურრეალისტურ აზროვნებასთან, სიურრეალისტები ხომ ერთი მთლიანი პიროვნების არსებობას ეჭვქვეშ აყენებდნენ.

„მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ იწყება მიხაილის მოგონებით და მთელი ნაწარმოების მანძილზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვი მიხაილის მოგონებები. ფანტაზა, წარმოსახვით გამდიდრებული მოგონებები და ბავშვის მიერ რეალობისა და ზღაპრის ერთნაირი სიცხადით გააზრება ზოგადად დამახასიათებელია ალ-ხარრატის სხვა თხზულებებისთვისაც. როგორც ვიცით სიურრეალისტებიც განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებოდნენ ბავშვის ფიქრების, მისი აზროვნების შესწავლას, რამდენადაც ის ჯერ არ იყო დაბინძურებული უფროსების რეალური სამყაროს ღირებულებებით.

უნდა აღინიშნოს, რომ მოგონებებით გამოწვეულ შეგრძნებებს ნაწარმოებში მაკავშირებელი ფუნქციაც ეკისრება. ეს გრძნობები ასოციაციურად აკავშირებს ერთ ამბავს მეორესთან და სწორედ ამ ასოციაციურ კავშირებს მიჰყვება თხრობა. ასოციაციური აზროვნება და საწინააღმდეგო, არალოგიკური ნაწილების დაკავშირება ხომ სიურრეალიზმისთვის დამახასიათებელი ელემენტია.

დამაკავშირებელი ელემენტის ფუნქციას ასრულებს ბავშვის მიერ ნანახი სცენები, რომლებიც მის მესსიერებაში სიმბოლური მნიშვნელობის მქონე სა-

ხეებად იქცა და რომლებიც თითქოს ნაწარმოების გაგების საიდუმლოს მოიცავენ საკუთარ თავში. ამ სახეებიდან ყველაზე ხშირად მეორდება ცა და ჩიტები, ზღვა და მისი სანაპირო. მიხაილის მოგონებები ხშირად უკავშირდება ჩიტებსა და ფრენას ან ზღვის ტალღებში ჩაძირვას. ეს სახეები სიყვარულის, სიკვდილის, დროისა და სივრცის შეზღუდვებისაგან ხსნის საკითხებს აერთიანებს.

საინტერესოა რომანის თავების სათაურებიც: „დაუმორჩილებელი თეთრი ღრუბლები“ („السحاب الابيض الجمح“), „მოგონებათა ღრუბლები“ („من الذكريات“), „შავი ყვავები სინათლეზე“ („غريبان سود في النور“), „თეთრფრთიანი თოლიები“ („النوارس بيضاء الجناح“), „აალებული მტრედის ფრთხილი“ („زفرقة الحمام المشتعل“), ეს არის სახეები, რომლებიც მიხაილის გონებაში ჩაიბეჭდა. რომანის წყობა ამ სახეებს და მათ მიერ შექმნილ ასოციაციურ კავშირებს მიჰყვება. რომანის სათაურშიც არ სახელდება ქალაქი ალექსანდრია, სანაცვლოდ, ავტორი გვთავაზობს სახეს – „ზაფრანისფერი ქვიშების ქალაქს“ მაგდა ალ-ნოვაიჰი აღნიშნავს, რომ ეს სახე ალექსანდრიის ზაფრანისფერი ქვიშების შესახებ ნამღერი პოპულარული სიმღერიდან არის ნასესხები (al-Nowaihi, 1994: 43). საინტერესოა ვერსიას გვთავაზობს ემმა ვესტნიც. ის განიხილავს წარსულის ალექსანდრიის, როგორც დაკარგული სამოთხის, ნახევრად მისტიკურ აღწერას და საინტერესო კავშირს პოულობს რომანის სათაურსა და ერთ-ერთ ისლამურ ჰადისში მოცემულ სამოთხის აღწერას შორის:

„[...] وحصاها الياقوت واللؤلؤ و ترابها زعفران“ Westney, 2000: 152);

„[...] მისი კენჭები იაგუნდი და მარგალიტია და მისი ქვიშა ზაფრანი.“

თითქმის ყველა თავის ბოლოს ჩნდება ზღვა და ტალღები. ზღვის სამყარო სიზმრის მსგავს ირეალურ ამბებს უკავშირდება. სიზმრისა და წყლის ეპიზოდებში გმირი მსუბუქად, ყოველგვარი ძალისხმევისა თუ შიშის გარეშე დაუსრულებლად ეშვება წყლის სიღრმეში (الخراط, 1999: 73).

უნდა აღინიშნოს ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც სიზმარსა და წარმოსახვას ეთმობა ალ-ხარრატის თხზულებებში. ძნელია სიზმრისა და რეალობის ერთმანეთისგან გამოყოფა. ხშირად რეალურად მომხდარი ამბის თხრობა მოულოდნელად სიზმარში ნანახ სცენად გადაიქცევა, ან უეცრად ფანტასტიკის სამყაროში გადადის, რომელშიც რეალობასა და სიზმარს შორის ზღვარი წაშლილია. სიზმარში ნანახი უცნაური სახეები და განცდილი არარეალური ამბები პირდაპირ, ლოგიკური ახსნის გარეშე გადმოიცემა, რაც ხშირად სიურრეალისტთა „ავტომატური წერის“ მეთოდს გვაგონებს.

არარეალური ეპიზოდები მიხაილის ფიქრების, გრძნობების, შიშისა და შეკითხვების გამოხატულებაა, განსაკუთრებით კი ყველაზე მნიშვნელოვანის – სიკვდილის შიშის, სიკვდილზე და მის მიერ გამოწვეულ არყოფნაზე გამარჯვების დიდი სურვილის. მიხაილს სურს, თავი დააღწიოს ამ სამყაროს სასრულობას, რაც მისი საკუთარი არსებობის სასრულობასაც ნიშნავს. უკვდავებას ესწრაფვის და ცდილობს, სიმბოლურად მაინც ჩაეჭიდოს მას (al-Nowaihi, 1994: 44). ამ მხრივ საინტერესოა სატრფოს სახესთან დაკავშირებული ეპიზოდები. მაგალითად:

„მოსიყვარულე თეთრი ჩიტი მეხვევა შავი ფრთების ცემით, მისი დამლუპველი სინაზე ჩემთვის აუცილებლად ქცეულა. მე სული მეხუთება მის რბილ ბუმბულებში, თითქოს [სიკვდილი] მინდა, თითქოს მისკენ მივემართები. ყვავი, ძერა, მღედრი, ნაყოფიერი, უხვი. მან მსხვერპლად შემომწირა მიწიერი სხეული; და მის სასიამოვნო მკერდში ჩაძირულმა გავიგე სიყვარულის ძალა და დარჩენის (მარადიულად) შესაძლებლობა“ (الخراط, 1999: 80-81);

"الطائر الأبيض الرؤوم يطبق على بجناحيه الأسودين الوثيرين، يرفرفان، حناؤه قاتل ولا غنى لى عنه واختلافى فى الريش اللين كأننى أريده وأوي إليه. الغراب الحداة الأنثى الخصيبة المعطاء، بذلت لى جسم عمرها، وعرفت فى صدرها الطيب قوة الحب والمقدرة على البقاء."

სატრფოს სურვილი, თავი მიუძღვნას, მიწიერი სხეული მისთვის გაწიროს, გმირს სიყვარულში უკვდავების ნიშნებს დაანახებს. ორი სხეულისა და ორი სულის ერთიანობას შეუძლია გადავიდეს სხვა არსებაში, გახდეს ნაწილი უფრო დიდი ერთეულისა, განვითარდეს და მარადიულობას მიაღწიოს. ტექსტიდან კარგად ჩანს, რომ მიხაილი სიყვარულში შეივგრძნობს მომავალ, შესაძლო სამოთხის სიამოვნებას. აქ ფიზიკური და სულიერი სიამოვნება ერთიანდება და გმირში სულის გადარჩენისა და სამოთხის ნეტარების ასოციაციას იწვევს. არარეალური, სიზმრის მაგვარი ან ფანტაზიით გალამაზებული ეპიზოდების უმრავლესობაში ჩნდება სატრფო, ხშირად სხვადასხვა ქალის სახით. მიხაილი იხსენებს მისი ცხოვრების განსაკუთრებულ ქალებს და მათ მიმართავს ჰიმნით, რომელშიც ასო-ბგერა „ნ“-ს სახელწოდება „ნუნ“ მეორდება, თითქოს ეს ჰიმნი „ნუნს“ ეძღვნება, რომელიც ალ-ნოვაიჰის აზრით, მდებრობითობის სიმბოლოა (al-Nowaihi, 1994: 45): „სასურველი ფერია... დრაკონის ქურუმი, ღილია.. წარმართი და ჩემი მზის ჩასვლის ვენერა... ნაჯრანული პალმა, არაბული უასმინი ჩემ ზაფრანში, დღის მარგალიტი. ნუნ“ (الخراط, 1999: 156);

"الجنية النهمة... كاهنة التنين، سوسنة... الوثنية وفينوس مدنفتى... نخلة نجراني، زنبقة فى زعفراني، جمائة النهار. النون."

სიყვარულის სხვა ჰიმნი მიმართავს ასო „მიმს“, მამრობით სიმბოლოს. ეს ჰიმნიც სიყვარულისა და სიკვდილის გაერთიანებით მთავრდება (al-Nowaihi, 1994: 45).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სიურრეალიზმისთვის, ისე განხილული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია თამამი ეროტიკული სცენები. ალ-ხარატის ნაწარმოებების ერთ-ერთი მთავარი თემა სწორედ სიყვარული და ქალის სილამაზის ეროტიკული განცდაა. სიყვარული, საყვარელ ქალთან შეერთება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარადისობაში გადასვლის საშუალებაა.

ნაწარმოებში არსებულ არარეალურ ეპიზოდებს შეგვიძლია სიურრეალისტური ვუწოდოთ. გმირის სიზმრებსა და ხილვებში ვლინდება ის ნამდვილი აზრები, რომლებიც ღრმადაა ჩახშული მის არაცნობიერ გონებაში. ის ცდილობს მიჰყვეს ამბების გახსენებისას გაჩენილ ასოციაციებს, ლოგიკურზე მეტად ინტუიციურ კავშირებს მიენდოს. ამ ეპიზოდებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩნდება სახეები, რომლებიც გარკვეულ სიმბოლურ მნიშვნელობებს ატარებენ. სიურრეალისტურ ეპიზოდებში ვლინდება მიხაილის არაცნობიერში დაგროვილი ცონდა და სურვილები.

განხილული ასპექტების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „მისი ქვიშა ზაფრანისფერია“ ბევრ საინტერესო თემას მოიცავს, რომელთა გააზრება და გადმოცემა განსაკუთრებული ფორმით ხდება, რომელიც ალ-ხარატის შემოქმედებაზე სიურრეალიზმის ცხად გავლენაზე მეტყველებს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Caiani, F. *Contemporary Arab Fiction, Innovation from Rama to Yalu*. London and New York: Routledge, Taylor & Francis Group, 2007.
2. Gabrielle-Beugelink, S. *The Wedding of Apollo: the Marriage of Historic Hybridity and Fantastic Imagination in the Works of Edwar al-Kharrat*. (D.Phil Thesis). University of Oxford, 2002 [i.e. 2003].
3. al-Kharrat, E. *City of Saffron*. trans. F. Liardet. London and New York: Quartet Books, 1989.
4. al-Kharrat, E. The Mashriq. In: Ostle R. (ed.). *Modern Literature in the Near and Middle East 1850-1970*. London: Routledge, 1991, pp.180-192.
5. al-Kharrat, E. Random Variations on an Autobiographical Theme. In: Ostle R., de Moor E. and Wild S. (eds.). *Writing the Sel: Autobiographical Writing in Modern Arabic Literature*. London: Saqi Books, 1998, pp.9-17.
6. Kendall, E. *Literature, Journalism and the Avant-Garde, Intersection in Egypt*. London and New York: Routledge, Taylor & Francis Group, 2006.
7. al-Nowaihi, M. Memory and Imagination in Edwar Al-Kharrat's Turābuhā Za'farān. In: *Journal of Arabic Literature*, (XXV, Part I). 1994, pp.34-57.
8. Westney, E. *Arabic Literary Modernism: the Short Story Cycles and Episodic Novels of Imīl Ḥabībī and Idwār al-Kharrāt*. (D.Phil Thesis). University of Oxford, 2000.
9. الخراط، إدوار. *الكتابة عبر النوعية، مقالات في ظاهرة "القصة - القصيدة" و نصوص مختارة*. القاهرة: دار شرقيات للنشر والتوزيع، 1994.
10. الخراط، إدوار. *ما وراء الواقع، مقالات في الظاهرة اللاواقعية*. كتابات نقدية. الهيئة العامة لقصور الثقافة، 1997.
11. الخراط، إدوار. *توابها زعفران*. القاهرة: دار الأحمدي للنشر، 1999.
12. الخراط، إدوار. *مصريون قلبا... فرانكفونيون قالبا: شهادة شخصية*. في: *الف، مجلة البلاغة المقارنة* (العدد العشرون). قسم الأدب الإنجليزي والمقارن، الجمعة الأمريكية بالقاهرة: 2000، ص. 8-28.
13. الخراط، إدوار. *مجاندة المستحيل، مقاطع من سيرة ناتية للكتابة*. القاهرة و عمان: دار البستاني للنشر والتوزيع و دار أزمة للنشر والتوزيع، 2005.
14. عبد القادر، عبد الاله. *إدوار الخراط و انيا وقاصدا*. في: *إدوار الخراط مغامر حتى النهاية، نصوص احتفالية العام السبعين*. القاهرة: الحضارة العربية، 2000، ص. 32-38.

ძილისა და მღვიძარებისათვის

ძილი და მღვიძარება ურთიერთდაპირისპირებულ ცნებებად ჯერ კიდევ „ავესტაში“ წარმოგვიდგება. იქ ეს წყვილი ნათელისა და ბნელის ანტაგონისტურ ცნებათა გვერდით მოიხსენება:

„რომელმა შემოქმედმა შექმნა ნათელი და ბნელი?

რომელმა ძილი და ღვიძილი“? (ავესტა, 44. 5).

რა მოიაზრება ამ ცნებებში? როგორ ესმის ფილოსოფიასა თუ ლიტერატურას ძილი და მღვიძარება?

მღვიძარება, პირდაპირი მნიშვნელობით, ძილისაგან თავშეკავებას ნიშნავს. გადატანითი მნიშვნელობით კი მღვიძარებაში სიფრთხილე, უგრძობელობა-სა და უზრუნველობასთან ბრძოლა შეიძლება იგულისხმებოდეს. მუსლიმური ზნეობრივ-ფილოსოფიური კონცეფციის მიხედვით, მღვიძარება, საპირისპიროდ ძილისა, უფლისათვის სათნო საქმედ ითვლებოდა:

„დადექი ლოცვად მზის გადახრისას ღამის ბინდბუნდისკენ, ხოლო ყურანი გამთენიისას იკითხე. ჭეშმარიტად, გამთენიას ჰყავს მოწმეები“ (ყურანი, 17. 80).

„ჭეშმარიტად, ღვთისმოშიშნი ბალებსა და წყაროსთვალეებში. მიმღებელნი იმისა, რასაც უბოძებს უფალი მათი. ჭეშმარიტად, ისინი ამაზე უწინ იყვნენ კეთილისმქმნელნი. მხოლოდ ღამის რაღაც ნაწილში თუ მცირედ წასთვლემდათ. და გამთენიას პატიებას ივედრებოდნენ“ (ყურანი, 51. 15-18).

მუჰამადის ცოლს აიშას მიეწერება მოციქულზე ნათქვამი სიტყვები: როცა მის თვალებს ეძინა, გული ფხიზლობდაო. ხალიფა ომარს კი ერთხელ უთქვამს: ძილთან რა მესაქმება, დღისით რომ დავიძინო, მუსლიმებს დაეკარგავ, ღამით – საკუთარ სულსო (Шиммель, 2000: 96).

ძილისა და სიფხიზლის ავ-კარგზე საუბრობს „ყაბუს-ნამეს“ ავტორიც: „ბრძენნი ძილს ხანმოკლე სიკვდილს უწოდებენ, რადგან მძინარეს მიცვალებულივით ამქვეყნისა არაფერი გაეგება“ (ქეი-ქაუსი, 1978: 67). სხვა შემთხვევაში ვკითხულობთ: „ჩაძინება ნგრევის პირად მისულ სახლს წააგავს. როცა სახლი ინგრევა, ვინც კი შიგნითაა, ქვეშ მოიყოლიებს. ასევე, როცა სხეული ძილს მიეცემა, ძილი ადამიანის მთელ სულიერ სამყაროს ეუფლება, – სმენა, მხედველობა, გემოვნება, შეხება და მეტყველება დაშხულია“ (ქეი-ქაუსი, 1978: 68). „საერთოდ, უნდა ეცადო, ცხოვრების უმეტესი ნაწილი სიფხიზლეში გაატარო, რადგან ხანგრძლივი ძილი წინ გელის“ (ქეი-ქაუსი, 1978: 69). ცხადია, ხანგრძლივი ძილში აქ სიკვდილი იგულისხმება. ბერძნული მითოლოგიაც ძილისა და სიკვდილის ღმერთებს: ჰიპნოსსა და თანატოსს, ტყუპ ძმებად წარმოგვიდგენს.

მაშასადამე, მუსლიმური აზროვნება მღვიძარებისკენ მოუწოდებს ადამიანს, თუმცა ეს სათნოება უფრო საგულისხმო მაინც მუსლიმური მისტიკის წიაღში ხდება. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და ზნეობრივ ღირებულებას სუფიებში ასკეტური ცხოვრების წესის ჩამოყალიბებისას იძენს. პირველი სუფი ასკეტები ხშირად ღამეებს ყურანით განსაზღვრული ლოცვების კითხვით ატარებენ, დღეს კი – მარხვით. სუფიური პრაქტიკის საძირკვლად სამი რამ მოიაზრება: მცირე საკვები, მცირე ძილი, ცოტა საუბარი. სუფიური რელიგიური თემის ჩამოყალიბების პირველივე წლებიდან მღვიძარება უდიდეს სათნოებად ითვლება მისტიკურ გზაზე წინსვლისათვის. თუ წყაროებს დავუჯერებთ, ხშირად წლობით

ფხიზლობენ. რაღა თქმა უნდა, ძილისაგან თავის შეკავება, სიფხიზლე, უპირველესად, სუფიური ასკეტური პრაქტიკის ერთ-ერთი საფენურია, გზაა, რომელმას ასკეტი ახალ გზაზე, ახალ საფენურზე უნდა აიყვანოს, ახალ სულიერ სიმაღლეს აზიაროს. ფიზიკური მღვიძარება ადამიანს სულიერი სრულყოფისათვის მზადყოფნას ასწავლის, სულიერ სიფხიზლემდე მიჰყავს იგი.

მოვუსმინოთ რუმის „მესნევის“ ერთ არაკს. ეს არის ამბავი კაცისა, მძინარეს პირში გველი რომ შეუძვრა (نقثر نوم مولانا, 1929: 106):

ერთი კაცი ცხენზე ამხედრებული მიდიოდა. დაინახა, ხის ქვეშ მძინარე კაცს პირში გველი შეუძვრა. მხედარმა ცხენი მძინარესთან მიაგდო და მძიმე კომბლის დარტყმით გააღვიძა. დამფრთხალი და შეშინებული კაცი გაიქცა, მხედარი კი მისდევდა. საბოლოოდ, ერთ ხეს მიაღწია, რომლის ძირშიც ჩამოცვენილი დამპალი ვაშლი ეყარა. მხედარმა აიძულა ის დამპალი ვაშლი ეჭამა, ვიდრე საბოლოოდ მუცლიდან ის დამპალი ხილი და მასთან ერთად გველიც არ ამოიღო. კაცი მიხვდა, მხედარმა რა ხიფათსაც გადაარჩინა და მადლობაც მოახსენა.

ქერიმ ზამანის განმარტებით, ბრძენი მხედარი აქ სულიერი მოძღვრის ალეგორიაა, მცოცავი გველი – ადამიანის ვნებათა, ხოლო „მძინარე კაცი“ კი ალეგორიაა წუთისოფლის ძილით მთვლემარე ადამიანებისა (كريم زمانى نقثر نوم, 1378: 474).

მაშასადამე, ძილი აქ უზრუნველი ადამიანის მდგომარეობას გამოხატავს. გველი კი ის მაცდურია, რომელიც ადამიანის შინაბუნების მანკიერი ნაწილის გამოღვიძებას ცდილობს, საბოლოოდ კი სიკვდილისაკენ მიაქანებს. თუ კაცი სულიერ მთვლემარებასაა მიცემული, თუ სულიერი ძალები დაძაბუნებული და მოღუწებულია, მან ეს საცდური შეიძლება ვერც შენიშნოს.

ძილისა და მღვიძარების არსზე ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის შუამდინარეთის მოაზროვნენიც ფიქრობდნენ. გილგამეშის ეპოსის ერთ-ერთ პასაჟში რუმის ზემოსხენებული არაკის გმირთა სახეები იკითხება: ძილი – სიკვდილის ტყუპისცალი, მასთან მუდმივად მეზობლი ადამიანი და გველი, როგორც წინააღმდეგობა უკვდავებისაკენ მავალი ადამიანის გზაზე. უკვდავების მოსაპოვებლად გილგამეშმა ექვსი დღე და შვიდი ღამე უნდა იფხიზლოს. ბრძენი მეფე ამ გამოცდას ვერ გაუძლებს, ძილი დაჯაბნის მას. მოგვიანებით კი უგულისყურობის გამო (ესეც სულიერი მთვლემარებაა) სიჭაბუკის მომნიჭებელ ბალახს მდინარის ნაპირზე დატოვებს და მას გველი მოსტაცებს (გილგამეში, 1963).

თუმცა მღვიძარებაც, ისევე როგორც ყველა სხვა სიკეთე, უკეთურ ნიადაგზე დანერგილი, კეთილ ნაყოფს ვერ გამოიღებს. მღვიძარება მხოლოდ მაშინ წაადგება ადამიანის სულს, თუ სულიერი სიფხიზლე კეთილი საქმისაკენ უბიძგებს კაცის ფიქრსა და გონებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მღვიძარებას ისევე ძილი შეიძლება ვამჯობინოთ. საადის „გოლესთანში“ ვკითხულობთ:

„მახსოვს, ბავშვობისას მეტად ღვთისმორწმუნე ვიყავი, ღამით ვდგებოდი სალოცავად, ვიყავ თავდაჭერილი და სულიერი მიდრეკილებაც მწირული მქონდა. ერთ ღამეს მამაჩემთან ვიჯექი. მთელი ღამე თვალი არ დამიხუჭავს, ყურანს ვკითხულობდი. ჩვენ გარშემო მყოფი ხალხი კი ღრმა ძილში იყო. მამას ვუთხარი: ამათგან არც ერთი თავს არ იღებს, რომ საჭირო საღვთო ლოცვა შეასრულოს. ისე ღრმად სძინავთ, თითქოს მკვდრები არიან-მეთქი. მამამ მიპასუხა: ჰოი, სულო მამისავ, ხალხის ძრახვასა და კილვას სჯობდა შენც ასე ღრმად გძინებოდაო“ (საადი, 1948: 96).

შირაზელი პოეტის ამ ამბის მთავარი სათქმელი ფიზიკურ სიფხიზლეს არ ენება. საადი იმას გვასწავლის, რომ ფიზიკური მღვიძარება თვითმიზანი არ უნდა

იყოს. იგი სულიერი მთვლემარების დაძლევას უნდა ემსახურებოდეს; ადამიანი ფიზიკურად უნდა იყოს, რომ მისი ფიზიკური სიფიზიკურად მისივე სულისათვის დამლუპველი არ გახდეს, განკითხვისა და პატივმოყვარეობის ვნებამ არ სძლიოს, საკუთარი ნაღვაწით არ მოიხიბლოს და სულიერი ამბლები ნაცვლად შეცოდება არ გაიმრავლოს.

თუ, ერთი მხრივ, ფიზიკური სიფიზიკურად წინაპირობაა, გზაა, სულიერი მღვიძარებისათვის, მეორე მხრივ, იგი უფალთან შესახვედრად სიფიზიკურად და მზადყოფნას გულისხმობს. სუფიათა ხანგრძლივი სიფიზიკურად მთავარი მიზანიც ღამით უფლის ხილვაა, გამოცხადება; საბოლოოდ კი – მზადყოფნა იმქვეყნად ღმერთთან შეხვედრისათვის. მუსლიმური წყაროები ასეთ ამბავს გადმოგვცემენ: ერთ მეფეს ორმოცი წელი არ ეძინა, მაგრამ ბოლოს ძილმა იძალა და მან უფალი იხილა. წამოიძახა: ო, უფალო, მე შენ გეძებდი ღამის სიფიზიკურად, თუმცა ძილში გიხილე. უფალმა უპასუხა: მეფეო, შენ მე სწორედ ამ ღამეული მღვიძარების წყალობით მიხილე. იქ რომ არ გეძებნე, აქ ვერ მიხილავდიო (Шиммель, 2000: 96).

ამ თემას ეძღვნება რუმის „მესნევის“ ერთი არაკი VI წიგნიდან, ამბავი შეყვარებულისა, პაემანი რომ დაუნიშნეს (مولانا دفتر ششم, 1929: 46):

ძველ დროში ერთი მეტრფე იყო, რომელსაც სატრფოსთან შეერთების სურვილში წლები გაელია. ერთხელაც სატრფომ შეატყობინა, ამა და ამ დროს ამა და ამ ადგილზე მოვალ და დამხვდიო. მეტრფე დანიშნულ ადგილზე მივიდა და იცდიდა. ლოდინი რომ გაგრძელდა, დაიღალა, მიწაზე წამოწვა და ჩაეძინა. შუალამისას სატრფო მოვიდა, კაცი დაძინებული რომ ნახა, მისი სამოსის სახელოს ნაჭერი მოაჭრა, რამდენიმე კაკალი ჯიბეში ჩაუყარა, ბავშვი ყოფილხარ და ითამაშეო, და წავიდა. დილით მეტრფემ გაიღვიძა, სახელო და კაკალი ნახა და თქვა: ყველა უბედურებას ჩვენივე თავი მოგვაწევსო.

როგორ გვიხსნიან ამ არაკის სათქმელს კომენტატორები? „ეს ამბავი მოუღანას იმისათვის მოაქვს, რომ გვიჩვენოს, ადამიანი, რომელიც სიყვარულსა და ძიებაში გულწრფელი არ არის, თამაშით გართულ ბავშვად ჩაითვლება და არ შეიძლება მან სიყვარულზე იყბედოს“ (زمانی دفتر ششم, 1378: 183).

ამ არაკში სანატრელი სატრფო უფალია, მეტრფე – ადამიანი, რომელიც უფალთან შეერთების სურვილითაა სავსე. უდარდებლობის ძილი (خواه غلبت), რომელსაც კაცი ვერ მოერია, ადამიანური სისუსტეა, სულიერი თვლემაა, რომელიც ამ წუთისოფლის შვილებს (اینها دنیا!) მოერევათ ხოლმე. არაკზე დართულ მსჯელობაში პოეტი სულიერ მღვიძარებას ბანზე მოდარაჯე ადამიანის სიფიზიკურად ადარებს. ის, ვისაც ქვეყნარტების ნამდვილი სიყვარული აქვს, გუშაგის მსგავსად თვლენა არ მოერევა.

რუმის არაკის მეტრფე ამ მნიშვნელოვან წუთს სულიერი სიძაბუნით, ძილით შეხვდა. ძილი აქ ადამიანის ყოველდღიურ საზრუნავსა და ფუჭ საფიქრალთან ერთად, სულიერ სიკვდილსაც გულისხმობს. როგორც ფიზიკური ძილის დროს ადამიანს მიცვალებულივით ამქვეყნისა არაფერი გაეგება, სულიერი ძილი კაცს სულიერი ღირებულებებისა და საჭიროებების მიმართ გულგრილს ხდის.

მღვიძარება, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი უპირველესია ქრისტიანულ სათნოებათაგან. რუმის ამ უკანასკნელმა არაკმა მათეს სახარების ერთი იგავი შეიძლება მოგვაგონოს; კერძოდ, იგავი სიძესა და ათ ქალწულზე (მათე, 25. 1-12). აქ სრული მსგავსება მხოლოდ ზოგიერთ სახე-იდეაში ვლინდება, ძირითადი სათქმელი კი, თუმცა მონათესავე აზრებს მოიცავს, მაინც განსხვავებულია. სახარებისეული იგავის სიძეც უფალია, რომელიც შუალამისას მოდის. ათი ქალწული – ეკლესიის მრევლია, რომელნიც სასოებით ემზადებიან სიძესთან შესახვედრად.

თუმცა სიძემ დაიგვიანა და ქალწულთ ჩაეძინათ. განმარტავენ, რომ ეს ძილი სიკვდილის ძილს ნიშნავს (ოქროპირი, 1998: 338), მეორედ მოსვლის ჟამს ყველა გაიღვიძებს. ქალწულთაგან ხუთ ბრძენს ლამპარში საკმარისი ზეთი (ამქვეყნად დაგროვილი კეთილი საქმენი) მოემარაგებინა, ხუთ სულელს კი – არა. სულელნი წავლენ ზეთისათვის და უკან დაბრუნებულებს საქორწილო კარი (ანუ კარი სასუფევლისა) დახშული დახვდებათ. ძილი ქრისტიანის მუდმივ მოვალეობაზე მიუთითებს, რომ იფხიზლონ უფალთან შესახვედრად.

მათეს სახარება მღვიძარების სათნოებაზე უფრო ცხადად სხვა პასაჟში საუბრობს. 24-ე თავში ვკითხულობთ: „ფხიზლად იყავით, რადგან არ იცით, რომელ დღეს მოვა თქვენი უფალი. ესეც იცოდეთ: სახლის პატრონს რომ სცოდნოდა, რომელ საათზე მოვიდოდა ქურდი, იფხიზლებდა და ძირს არ გამოათრევიებდა სახლს. ამიტომ თქვენც იყავით მზად, რადგან სწორედ მაშინ მოვა ძე კაცისა, რადროსაც არ ელით“ (მათე, 24. 42-44).

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს: „უფალი გვიბრძანებს, მღვიძარენი და მომზადებულნი ანუ სათნოების საქმეებით განმდიდრებულნი ვიყოთ, რათა რაჟამს უფალი მოვა, რაც მას ნებავს, ის მივუძღვნათ... მპარავს უფალი ყოველი ჩვენგანის აღსასრულსა და სიკვდილს უწოდებს... გვეუბნება, უბრუნველნი ნუ იქნებით, იფხიზლეთ“ (ბულგარელი, 2005: 220).

ლუკას სახარება კიდევ ერთხელ შეგვახსენებს სიფხიზლის აუცილებლობას: „სარტყელი შემოირტყით წელზე და თქვენი სანთელი აანთეთ. იყავით თქვენ იმ კაცთა მსგავსნი, რომელნიც მოელიან თავიანთ ბატონს, როდის დაბრუნდება ქორწილიდანო, რათა დარეკვისთანავე გაულონ. ნეტავ იმ მონებს, რომლებსაც მოსვლისას ფხიზლად პოვებს მათი ბატონი. ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: სარტყელს შემოირტყამს, დასხამს მათ, მივა და მოემსახურება. თუ მეორე ან მესამე გუშაგობისას მოვა და ასე ნახავს, ნეტარნი იქნებიან ის მონები“ (ლუკა, 12. 35-38). ლუკას სახარების ბატონიც უფალია, მესიაა, რომლის დაბრუნებას მონები სარტყელშემოჭერილი და სანთლით ხელში უნდა დახვდნენ. სარტყელი აუცილებელი იყო, რათა ფართოკალთებიან ტანსაცმელს მონისათვის ხელი არ შეეშალა. იგი გულმოდგინების ნიშანია, ხოლო ანთებული სანთელი კი ქრისტეს ნათელს განასხიერებს, რომელიც სიფხიზლის საწინდარიცაა. „მესია სათანადოდ დაასაჩუქრებს თავის მღვიძარე მონებს... პირველი გუშაგობისას ანუ ღამის დასაწყისში მონებს, რომელთაც სახლში რაღაცეებს ალაგებენ, შესაძლოა, ისედაც არ ეძინოთ. ხოლო მეორე და მესამე გუშაგობისას სიფხიზლე, ეს შეგნებული სიფხიზლეა,“ – განმარტავს ალექსანდრე ლოპუხინი (Лопухин, т. 8, 1904-13: 206). სწორედ ამგვარი შეგნებული სიფხიზლისაკენ მოგვიწოდებს უფალი, სწორედ იგი დასაჩუქრდება.

ამგვარად, მღვიძარება, საპირისპიროდ ძილისა, ზოგადად, რელიგიურ-ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი უპირველესი ცნება და ასკეტური პრაქტიკის მნიშვნელოვანი საფეხურია. მღვიძარება მოიაზრება როგორც აუცილებელი ეტაპი უფალთან შეხვედრის გზაზე და მუსლიმური თუ ქრისტიანული ასკეტიკის შეუცვლელი საფეხური ადამიანის სულიერი სრულყოფისათვის.

ამასვე გვასწავლის რუმის „მესნევის“ პატარა არაკების დიდი სიბრძნე.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ავესტა, გათები, თარგმანი გიორგი ახვლედიანისა, ირანული პოეზია, თბილისი, 1977.
2. ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი, მათეს სახარების განმარტებანი, თბილისი, 2005.
3. გილგამეში, აქადურიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, თბილისი, 1963.
4. წმინდა იოანე ოქროპირი, თარგმანებაი მათეს სახარებისაი, წიგნი III, თბილისი, 1998.
5. შეის მოსლექ-ოდ-დინ საადი, გოლესთანი, თარგმანი ა. ჭელიძისა, თბილისი, 1948.
6. ქეი-ქაუსი, ყაბუს-ნამე, სპარსულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ამირან ლომთაძემ, თბილისი, 1978.
7. ყურანი, არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, თბილისი, 2006.
8. Лопухин А.П. Толковая Библия, или комментарии на все книги Св. писания Ветхого и Нового Завета, т. 8, Петербург, 1904-13.
9. Шиммель, Аннемари, Мир исламского мистицизма, Москва, 2000.
10. شرح جامع مثنوی تألیف کریم زمانی دفتر دوم و ششم تهران 1378
11. مولانا جلال الدین محمد بلخی مثنوی معنوی بر اساس نسخہ ریبولڈ الین نیکلسن دفتر دوم و ششم لندن 1929

რიფა 'ა ატ-ტაჰტავის შემოქმედების ზოგადი დახასიათება

რიფა 'ა ატ-ტაჰტავი არაბული „ალორძინების“ (არაბულად „ნაჰდა“) ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწეთაგანია. XIX საუკუნე ცნობილია „ნაჰდას“ სახელით. ეს არის პერიოდი, როცა არაბთა ცხოვრების ყველა სფეროში ხდება უდიდესი ძვრები, რამაც საბოლოოდ მიგვიყვანა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ალორძინებამდე. მის გამომწვევ სხვადასხვა ფაქტორებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთის მოწინავე ქვეყნების დაინტერესებას არაბული სამყაროთი, მუჰამმად ალის მმართველობას ეგვიპტეში და მისიონერების აქტიურ საქმიანობას, განსაკუთრებით სირიასა და ლიბანში. მუჰამმად ალის მიერ გატარებულმა რეფორმებმა ეგვიპტეში, ხოლო სირია-ლიბანსა და რიგ სხვა არაბულ ქვეყნებში დასავლელი მისიონერების დაულალავმა მოღვაწეობამ ნიადაგი მოუზადა საგანმანათლებლო მოძრაობას, კულტურისა და, მათ შორის, რა თქმა უნდა, ლიტერატურის აღმავლობას, მოსახლეობის თვითშეგნების ზრდას. უმეტეს არაბ განმანათლებელს, ლიტერატორს თუ საზოგადო-პოლიტიკურ მოღვაწეს განათლება მიღებული ჰქონდათ ან მისიონერების მიერ გახსნილ სკოლებში (უპირველესად სირია-ლიბანში), ან კიდევ მუჰამმად ალის მიერ დაარსებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, დიდი როლი ითამაშეს ალ-აზჰარის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მოწინავე ნაწილმა. ამ შემთხვევაში ატ-ტაჰტავისა და მუჰამმად აბდოს სახელების დასახელებაც იკმარებდა.

„ნაჰდას“ პროცესში მთავარი ადგილი განმანათლებლებს ეჭირათ. სხვა არაბულ ქვეყნებთან შედარებით მათმა საქმიანობამ ძლიერი ხასიათი მიიღო ეგვიპტესა და სირია-ლიბანში. სირიაში საგანმანათლებლო მოძრაობის პიკი მოდის XIX ს-ის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე, ხოლო ეგვიპტეში 70-80-იან წლებზე. რაც შეეხება დანარჩენ არაბულ ქვეყნებს, ეს პროცესი XIX ს-ის დასასრულიდან, უფრო ზუსტად კი, XX ს-ის დასწყისიდან იწყება.

ეგვიპტეში პირველ განმანათლებლებად თვლიან ატ-ტაჰტავის და ალი მუბარაქს. მათ მიერ დაწყებული საქმე წარმატებით გააგრძელეს მუჰამმად აბდომ, ჯამალ ად-დინ ალ-აფლანიმ, ადიბ ისჰაკმა, ქამილმა, ვალი ად-დინ იაქუნმა, კასიმ ამინმა და სხვებმა.

რიფა 'ა რაფი' ატ-ტაჰტავი დაიბადა 1801 წელს ეგვიპტის პროვინცია ატ-ტაჰტაში. 1825 წელს დაამთავრა ალ-აზჰარის უნივერსიტეტი. ის, როგორც ეტყობა, ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტი იყო, რადგანაც, როცა მუჰამმად ალის ბრძანებით გადაწყდა ეგვიპტელი ახალგაზრდების 40-კაციანი ჯგუფის გაგზავნა საფრანგეთში ქვეყნისთვის აუცილებელი კადრების მოსამზადებლად და, როცა დღის წესრიგში დადგა ჯგუფის ხელმძღვანელის საკითხი, უნივერსიტეტის რექტორის – ჰასან ალ-ატარის რეკომენდაციით ხელმძღვანელად დაინიშნა სრულიად ახალგაზრდა, 25 წლის ატ-ტაჰტავი. მასვე ევალებოდა აგრეთვე, როგორც სასულიერო პირს (მოლას), ჯგუფის წევრების, რომელთაგან ბევრი ალ-აზჰარის უნივერსიტეტიდან იყო, რელიგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება. რექტორი არ შემცდარა არჩევანში, რადგან მან (ატ-ტაჰტავიმ) საფრანგეთში ყოფნის ხუთწლიანი პერიოდი ყველაზე უფრო ნაყოფიერად გამოიყენა. მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში, ალ-აზჰარის უნივერსიტეტში მიღებული ცოდ-

ნის გვერდით, უდიდესი როლი შეასრულა საფრანგეთში გატარებულმა წლებმა, ფრანგული კულტურის ღრმად გაცნობამ, ფრანგული ლიტერატურის, ფილოსოფიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური შრომების კითხვამ, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა მისი დასავლური ორიენტაცია. გარდა ამისა, როგორც ეტყობა, გარკვეული როლი ითამაშა მისმა მჭიდრო თანამშრომლობამ ცნობილ ფრანგ აღმოსავლეთმცოდნეებთან – სილვესტრ დე სასისთან და კოსენ დე პერსევალთან, მისმა უშუალო ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა ე. ფ. ჟომერმა, რომელიც თავის დროზე მონაწილეობდა ნაპოლეონ ბონოპარტეს ექსპედიციაში ეგვიპტეში, როგორც სამხედრო ინჟინერი.

საფრანგეთში ატ-ტაჰტავის აქტიურ საქმიანობაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ის დიდ ყურადღებას აქცევდა სამეცნიერო ლიტერატურას, გატაცებული იყო ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური ლიტერატურით, ასევე საზოგადოებრივი მეცნიერებით. აქ გაეცნო ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს, რასინის და სხვათა შრომებს. ძლიერ იყო დაინტერესებული მხატვრული ლიტერატურით. აქვე დაიწყო მთარგმნელობითი საქმიანობა. თავისი აქტიური საზოგადოებრივი და მთარგმნელობითი მოღვაწეობა სამშობლოშიც გააგრძელა.

1835 თუ 1836 წელს კაიროში გაიხსნა სპეციალური „ენების სკოლა“, სადაც ატ-ტაჰტავი დანიშნეს თარგმნის ბიუროს ხელმძღვანელად. ამ სკოლაში ის აქტიურად იყო ჩაბმული არა მარტო მთარგმნელობით საქმიანობაში, არამედ ახალგაზრდა ეგვიპტელების მომზადებაში ენის და მთარგმნელის სპეციალობაში. აქ გამოვლინდა მისი ნიჭი როგორც მთარგმნელისა, ისე პედაგოგისა და კარგი ორგანიზატორისა. ის აღმოჩნდა დიდი საზოგადო მოღვაწე და ერთ-ერთი გამორჩეული რეფორმატორი.

დოქტორი შუქრი ‘აიადი აღნიშნავს ატ-ტაჰტავის ღვაწლს პუბლიცისტიკის დარგში. საფრანგეთიდან დაბრუნებული აქტიურად ჩართულა 1828 წელს დაარსებული გაზეთის „ეგვიპტის ამბების“ გამომცემლობაში, რომელსაც ერთხანს ხელმძღვანელობდა ჰასან ალ-‘ატარი, შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ატ-ტაჰტავი ედგა სათავეში. მის დროს ოფიციალური ამბების პარალელურად მნიშვნელოვანი ადგილი დაუკავებია ინფორმაციებს სამეცნიერო, კულტურისა და ლიტერატურის სფეროში. ბეჭდავდა ნაწყვეტებს არაბთა კულტურული წარსულის შესახებ, კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებს და ა.შ. [8, გვ. 19].

1849 წ. ეგვიპტის ახალმა მმართველმა, მუჰამმად ალის შვილიშვილმა აბას I, რომელიც აღმაცერად უყურებდა დასავლურ ცივილიზაციას, ატ-ტაჰტავი მოაშორა კაიროს და გაგზავნა ხართუმში (სუდანი) სასკოლო საქმიანობის გასაკონტროლებლად. აბას I გარდაცვალების (1854) შემდეგ მუჰამმად ალის შვილმა სა‘იდმა იგი დააბრუნა კაიროში და დანიშნა „ენების სკოლის“ დირექტორად. 1870 წელს ატ-ტაჰტავის დაუარსებია უსრნალი „სკოლების ბაღი“ [8, გვ. 19].

ქალთა პირველი სკოლის გახსნასთან დაკავშირებით, იგი 1872 წ. დანიშნეს სასწავლო პროგრამების შემმუშავებელი კომისიის ხელმძღვანელად (ქალთა პირველი სკოლა გაიხსნა სირიაში 1849 წელს).

ატ-ტაჰტავი გარდაიცვალა 1873 წ.

როგორც აღვნიშნეთ, ატ-ტაჰტავი ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდა. მხატვრული თარგმანებიდან აღსანიშნავია ფრანსუა ფენელონის „ტელემაქეს თავგადასავალი“. მან დედნის სათაური თარგმანში ნაწილობრივ შეცვალა (სათაურის შეცვლა არაბთათვის დამახასიათებელი იყო) და უწოდა „ვარსკლავების ომები ტელემაქეს ამბებში“. ასევე მას ეკუთვნის „მარსელიოზის“ თარგმანი.

ატ-ტაჰტავიმ ძალები პოეზიასა და პროზაშიც მოსინჯა. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე სახოტბო ლექსი, სოციალურ თემებსა და პატრიოტულ მოტივებზე დაწერილი ლექსები. ერთ-ერთი სახოტბო ლექსი მიძღვნილია ალ-აზჰარის უნივერსიტეტის რექტორ, შეიხ ჰასან ალ-ატარისადმი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა ატ-ტაჰტავის წარმატებულ პიროვნებად ჩამოყალიბებაში. მისი პატრიოტული ლექსების დადებით მხარედ მიჩნეული იქნა ის, რომ მასში დაინახეს ფრანგული პოეზიის გავლენა. მისი ბევრი ლექსი, ასევე ნაწყვეტები პროზაული ნაწარმოებებიდან შესულია დოქტორ აჰმად ბადავის წიგნში, რომელიც ეძღვნება ატ-ტაჰტავის ცხოვრებას და შემოქმედებას [8, გვ. 20].

ატ-ტაჰტავის უმთავრესი შრომებია „სუფთა ოქროს მიღება პარიზზე თხრობიდან“, რომელსაც ხშირად მოკლედ უწოდებენ „პარიზის აღწერას“, და „საიმედო დამრიგებელი გოგონებისა და ვაჟების აღზრდაში“. ეს წიგნები შესულია მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ მისი შრომების სამტომეულში. ორივე წიგნი დიდი მოცულობისაა, განსაკუთრებით მეორე. წიგნების მოცულობა განპირობებული იყო ავტორის წერის მეთოდით. რადგან მან საზოგადოების წინაშე დააყენა ახალი, უმეტესწილად ევროპულიდან გადმოღებული და მუსლიმთათვის უცხო პროგრესული იდეები და, რომ იგი ყველასთვის გასაგები და მისაღები ყოფილიყო, გამოთქმული მოსაზრებების გასამყარებლად უხვად მოუხმობდა ციტატებს ყურანიდან, ჰადისებიდან, ცნობილი რელიგიური თუ სხვა დარგის ძველი და თანამედროვე მუსლიმი ავტორიტეტების გამონათქვამებს, მოყავდა მაგალითები არაბთა ისტორიიდან, ლიტერატურიდან და ა.შ. წერის ეს ფორმა ტრადიციული იყო არაბებისთვის. მისთვის ჯერ კიდევ ძნელი იყო უარი ეთქვა წერის ტრადიციულ მეთოდებზე. ეგვიპტის და, საერთოდ, არაბული საზოგადოება, როგორც ეტყობა თვითონაც, ჯერ მოუშზადებელი იყო ასეთი რადიკალური ცვლილებებისთვის.

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ ატ-ტაჰტავის შემოქმედების უმთავრესი საკითხები. დავიწყეთ „სამშობლოს“ ცნების მისეული გაგებიდან.

„სამშობლოს“ ტრადიციული გაგება გამომდინარეობდა ამ სიტყვის (არაბულად „ალ-ვატან“) შინაარსიდან – ადამიანის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილი. ატ-ტაჰტავისთვის, მსგავსად მის შემდეგ მოღვაწე განმანათლებლებისთვის, ამოსავალი ეს ტრადიციული გაგებაა. მან მას დაუმატა სამშობლოს სიყვარულის იდეა და მას (პატრიოტიზმს) უდიდესი დატვირთვა დააკისრა. აქედან გამომდინარე ყველა ეგვიპტელის უპირველეს მოვალეობად მიიჩნია ბრძოლა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისთვის თავდადება და მისი ღირსებების განუზრელი დაცვა. მისთვის სამშობლო მხოლოდ და მხოლოდ ეგვიპტე იყო. ამიტომ სამშობლოს სამსახური ყველა მოქალაქის უპირველეს მოვალეობად ჩათვალა. მსგავსი აზრების ხმამაღლა თქმა იმ დროინდელ საზოგადოებაში არ იყო მარტივი საქმე, რადგან მაშინ ეგვიპტურ და არაბულ საზოგადოებაში, აგრეთვე ბევრ განმანათლებელში გაბატონებული იყო გაგება, რომ ყველა მუსლიმისთვის სამშობლო იყო მთელი მუსლიმური სამყარო და არა რომელიმე კონკრეტული ქვეყანა. ბევრი ეგვიპტელი განმანათლებელი, რომლებიც სამშობლოდ თვლიდნენ მთელ მუსლიმურ სამყაროს, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში მოითხოვდნენ საერთო მუსლიმური სახალიფოს შექმნას, ან მუსლიმების გაერთიანებას თურქ-ოსმალების ირგვლივ. მათ ასეთი აზრებისკენ უბიძგებდა ის რეალობა, რომელშიც ეგვიპტე იმყოფებოდა. რეალობა კი შემდეგი იყო: მართალია XIX ს-ის II ნახევარში ეგვიპტე ითვლებოდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ იმპერიის ცენტრიდან

ტერიტორიული სიშორის გამო თურქთა გავლენა სუსტი იყო. სამაგიეროდ, აქ ინგლისელები ბატონობდნენ. ამიტომ ეგვიპტელი განმანათლებლები ეგვიპტის მთავარ მტრად თვლიდნენ ინგლისელ კოლონიზატორებს და მისგან თავის დაცვას ხედავდნენ თურქ-ოსმალებთან ერთ სახელმწიფოში გაერთიანებაში, ან კიდევ საერთო მუსლიმური სახალიფოს შექმნაში. მაგრამ ეგვიპტეში იყვნენ განმანათლებლები, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ საერთო სახალიფოსი თუ სახელმწიფოსი. ატ-ტაჰტავი პატრიოტული გრძნობებიდან გამომდინარე ხაზს უსვამდა, რომ ეგვიპტე მისი შვილებისთვის ყველაზე ძვირფასი მიწაა.

სირიელი მკვლევარი ჯავდათ იბრაჰიმი არნიშნავს, რომ ერთ ქვეყანაში, ერთ სამშობლოში შეიძლება ცხოვრობდეს სხვადასხვა რელიგიის, სხვადასხვა რელიგიური თემების, სხვადასხვა სექტების და სხვადასხვა მიმართულების ხალხები. მაგრამ ეს ატ-ტაჰტავის ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია და ასეთ თანაცხოვრებაში მყოფთ „ბუნებრივ საზოგადოებას“ უწოდებს და არა „რელიგიური ნიშნით გაერთიანებულ საზოგადოებას“. მისი შეხედულებები არ ემყარება რელიგიისადმი ან რელიგიური თემისადმი კუთვნილებას, არამედ ეფუძნება სამშობლოსადმი კუთვნილებას [7, გვ. 31]. აქვე ეხება ატ-ტაჰტავი, შეიძლება ითქვას, „ერის“, „ეროვნების“, „ხალხის“ საკითხს (არაბულად „კავმიათ“). ატ-ტაჰტავის „კავმიათ“ მეტ-ნაკლებად განსხვავდება საერთოდ არაბებში მიღებული „კავმიათის“ ტრადიციული გაგებისგან. არაბული „კავმიათი“ ეფუძნებოდა არაბული მუსლიმური კულტურისადმი კუთვნილებას და იგულისხმებოდა კულტურის ნიშნები და არა რელიგიური. ატ-ტაჰტავის მიხედვით, „კავმიათი“ ეფუძნება არა სისხლით ნათესაობას, ან რელიგიურს, ან სხვა საფუძველს, არამედ ენასა და კულტურას [7, გვ. 31]. ე.ი. მან საერთოდ მიღებულ გაგებას დაუმატა ენა. მისი მსჯელობიდან გამომდინარე შეიძლება ვიფიქროთ, რომ იგი „კავმიათში“ დებდეს უფრო ვიწრო, რეგიონალურ გაგებას და გულისხმობდეს ერთ ქვეყანას, ჩვენს შემთხვევაში, ეგვიპტეს (განსხვავებით „უმმა“-საგან, რომელსაც ფართო გაგება ჰქონდა და საერთო მუსლიმურ, ან არაბულ ხალხს, ერთობას გულისხმობდა). მით უმეტეს ატ-ტაჰტავი მუდამ ხაზს უსვამდა სამშობლოსადმი სიყვარულს, პატრიოტულ გრძნობებს და ეგვიპტეს მიიჩნევდა თავის სამშობლოდ.

ატ-ტაჰტავი სახელმწიფოს და საზოგადოების მოწყობაზე საუბრისას, ფაქტობრივად, იზიარებს დასავლეთში მიღებულ „ბუნების კანონების“ პრინციპებს. მან შესაძლებლად მიიჩნია ადამიანთა საზოგადოება დაეფუძნოს „ბუნების კანონებს“. მან ჩათვალა იგი (ბუნების კანონები) საუკეთესო საფუძველად თანამედროვე სახელმწიფოს ასაშენებლად, რადგანაც ეს იდეა არ მოდის ისლამთან წინააღმდეგობაში.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ ატ-ტაჰტავი შეეცადა გაეგო და პასუხი გაეცა ისეთი საკითხისთვის, როგორც იყო „როგორ შეიძლება მუსლიმები გახდნენ მსოფლიო ცივილიზაციის ნაწილი“. აქეთკენ მიმავალ გზად მას ესახებოდა არაბული სახელმწიფო წყობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული რეფორმა და მის განხორციელებაში უნდა დაყრდნობოდნენ დასავლურ გამოცდილებას [7, გვ. 31].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ატ-ტაჰტავიმ, არაბთა შორის პირველმა, წამოჭრა და განხილვის საგნად აქცია მოქალაქეობის საკითხი. როგორც ცნობილია, იმ დროის არაბულ ქვეყნებში არ არსებობდა „მოქალაქის“ სტატუსი. მას ცვლიდა „ქვეშევრდომის“ ცნება. აქ ქვეყნის მოსახლეობა წარმოადგენდა არა მოქალაქეს, როგორც ეს ევროპის ქვეყნებში იყო, არამედ ქვეშევრდომს. „მოქალაქის“ ცნება გულისხმობდა პიროვნების დამოუკიდებელ არსებობას, რომელ-

საც ჰქონდა კანონით განსაზღვრული უფლებები და ვალდებულებები ქვეყნის წინაშე. „ქვეშევრდომს“ ჰქონდა ვალდებულებები, მაგრამ მოკლებული იყო კანონიერ უფლებებს. მოქალაქის უფლებებში იგულისხმებოდა უპირველესად პოლიტიკური: უფლება ხელისუფლების კრიტიკისა, თუ მოქალაქე მიიჩნევდა ხელისუფალთა ქმედებებში შეცდომებს, აზრის გამოთქმა ამ შეცდომების გამოსასწორებლად, სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება. ეს კი უშუალოდ დაკავშირებული იყო პიროვნების თავისუფლების, კანონიერებისა და თანასწორობის პრინციპებთან. გავიხსენოთ მისი აღტაცებული მსჯელობები „პარიზის აღწერაში“ საფრანგეთის პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტებზე საუბრისას, მისი სიმპათიები ამ ქვეყნის კონსტიტუციური მმართველობის, საპარლამენტო და საარჩევნო სისტემების შესახებ, ხალხის აქტიურ მონაწილეობაზე ქვეყნის მმართვეაში. ასევე მეტად საყურადღებო იყო მისი მსჯელობები „თავისუფლების“, „კანონიერების“ („სამართლის“) და „თანასწორობის“ პრინციპებზე, რომლებიც, როგორც ფორმა საზოგადოების მოწყობისა, მისი აზრით, მუსლიმებისთვის ოდითგანვე იყო ცნობილი და არ ეწინააღმდეგებოდა ისლამს. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ატ-ტაჰტავიმ თავისუფლება მიიჩნია ადამიანთა არსებობის უმთავრეს ფაქტორად და გამოყო მისი ხუთი სახე: 1. თავისუფლება, როგორც ადამიანის ბუნებრივი მდგომარეობა, 2. ქვეყნის თავისუფლება, 3. სინდისის თავისუფლება, 4. სამოქალაქო თავისუფლება და 5. პოლიტიკური თავისუფლება [5, გვ.11].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც აქტიურად განიხილებოდა განმანათლებელთა მოღვაწეობის პერიოდში, იყო არაბი ქალის უფლებების დაცვა. ამ პერიოდში, მითუმეტეს მანამდე, არაბულ საზოგადოებაში ქალი მოკლებული იყო ადამიანურ უფლებებს, ეკრძალებოდა საზოგადოებაში გამოჩენა, ზედმეტი იყო ლაპარაკი საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. გარდა ამისა, ქალი ვერ სარგებლობდა დიდი უფლებებით ოჯახშიც კი, არ იყო აღიარებული ის დიდი როლი, რომელიც მას ჰქონდა როგორც დედას. ეგვიპტელი განმანათლებელი კასიმ ამინი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „მუსლიმის თვალში ქალი არ წარმოადგენს ნამდვილ ადამიანს.....“ [3, გვ. 71]. ქალი იმყოფებოდა მოძველებული ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ტყვეობაში საუკუნეების განმავლობაში. დრო იცვლებოდა. დასავლეთთან კონტაქტების გაძლიერებას კორექტივები შეჰქონდა არაბთა ყოფაში. მრავალ მნიშვნელოვან პრობლემათა გვერდით მწვავედ დადგა ქალთა უფლებების პრობლემა. ეგვიპტელი განმანათლებლები – კასიმ ამინი, ვალი ად-დინ იაქუნი და სხვა დეტალურად განიხილავდნენ ამ პრობლემას და გვთავაზობდნენ პრობლემის მოგვარების პროგრესულ გზებს. თუმცა მათ დროში წინ უსწრებდა ატ-ტაჰტავი და მის მიერ შემოთავაზებული გზები პრობლემის გადასაწყვეტლად არანაკლებ პროგრესული იყო, ვიდრე მის შემდეგ ასპარეზზე გამოსული განმანათლებლებისა.

ატ-ტაჰტავის, სირიელი განმანათლებელ ბუტრუს ალ-ბუსთანის მსგავსად, მუსლიმური საზოგადოების ჩამორჩენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიაჩნდა ის მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა თანამედროვე ეგვიპტელი ქალი. ის წერს, რომ „ევროპელებმა და მათ შორის ფრანგებმა, რომლებიც ამჟამად უძლიერესი ქვეყნებია, მთელი ძალ-ღონე მიმართეს იქითკენ, რომ გოგონების სწავლა-აღზრდა ისეთივე ყოფილიყო, როგორც ვაჟების“ [9, გვ.33]. ის მოითხოვდა გოგონებსა და ვაჟებს ესწავლათ ერთად, არ დაეშვათ მათ შორის განსხვავება სწავლებაში. ცოდნას დაუფლებული გოგონები, მისი ღრმა რწმენით, უფრო მტკიცე ოჯახს შექმნიან, უფრო კარგ შვილებს აღუზრდიან სამშობლოს, უფრო

თამამად ამოუდგებიან გვერდით მამაკაცებს როგორც საოჯახო, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში [2, გვ. 108]. მან დიდი ყურადღება მიაქცია ქორწინების საკითხს, ჩანს ემხრობოდა ორმხრივ სიყვარულზე დამყარებულ ქორწინებას, აშკარად უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს ანგარებით შექმნილი ოჯახის მიმართ. „ოჯახის საფუძველი უნდა იყოს ცოლ-ქმარს შორის ხანგრძლივი და მტკიცე სიყვარული“ – აცხადებს ატ-ტაჰტავი [2, გვ.108-109]. ამასთანავე, ფაქტობრივად, მოითხოვს ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებს, უპირველესად ოჯახსა და ქორწინებაში. აქვე ატ-ტაჰტავი დეტალურად აყალიბებს ქალისა და მამაკაცის (ამ შემთხვევაში – ცოლისა და ქმრის) მოვალეობებს ერთმანეთისა და ოჯახის წინაშე. ყოველივე აქედან გამომდინარე, ის მოითხოვდა და აქტიურად უჭერდა მხარს ეგვიპტეში სასწავლო და სააღმზრდელო ორგანიზაციის რეფორმას, რაც უპირველესად გულისხმობდა სწავლების სისტემის შეცვლას, ან კიდევ, უკიდურეს შემთხვევაში, გაუმჯობესებას მაინც. აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებით მისი ძირითადი მოთხოვნები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ მისი ნაშრომის – „საიმედო დამრიგებელი გოგონებისა და ვაჟების აღზრდაში“ – მიხედვით: გოგონებისა და ვაჟების აღზრდა-განათლება წარმოადგენს ქვეყნის აღორძინების ერთ-ერთ მთავარ საყრდენს; სწორად უნდა შეფასდეს სხვა ქვეყნების (უპირველესად, დასავლეთის) გამოცდილებები, მოხდეს მისი დადებითი მხარეების გადმოღება და შეთავსება ადგილობრივი საზოგადოების პრობლემებთან და საჭიროებებთან, გათვალისწინებული უნდა იქნას მუსლიმური და არაბული კულტურის სპეციფიკა; სწავლა-აღზრდა უნდა დაეფუძნოს სამშობლოს სიყვარულს, ახალგაზრდებში პატრიოტული გრძობების გაღვივებას; სწავლა-განათლებას საფუძვლად უნდა დაედოს შესბამისი კანონები; შემუშავებული იქნას სწორი და გამართული საკოლო და სასწავლო პროგრამები; გოგონებმა და ვაჟებმა სკოლაში უნდა ისწავლონ ერთად, არ უნდა იქნას დაშვებული განსხვავება სწავლებაში და ა.შ. [9].

არაბული განმანათლებლობა, კერძოდ კი ეგვიპტური, მჭიდროდ იყო დაკავშირებული რელიგიასთან. განმანათლებლებს თავიანთი იდეების გავრცელების საშუალებად მიაჩნდათ რეფორმირებული ისლამი. მათი მიზანი იყო ისლამზე დაყრდნობით მუსლიმურ ნიადაგზე დაენერგათ ახალი საზოგადოებრივ – პოლიტიკური იდეები, ისლამის მეშვეობით აეხსნათ ახალი სამეცნიერო მიღწევები. ამიტომ ალ-ქავაქიბი პროგრესის გზას ხედავდა მხოლოდ „უცხო დანაშრეებისგან“ გაწმენდილ ისლამში. XIX ს-ის 70-იან წლებში წარმოიშვა მუსლიმური რეფორმაცია, ანუ მოდერნიზმი ისლამში. იგი ეგვიპტეში იშვა და მისი მიმდევრები ძირითადად ეგვიპტელები იყვნენ, ფუძემდებლები კი ჯამალ ად-დინ ალ-აფლანი (წარმოშობით ავღანელი) და მუჰამმად აბდო. მოდერნიზმი, რომელიც გაიშალა ლოზუნგით – დავუბრუნოთ ისლამს საწყისი სიწმინდე, მიზნად ისახავდა რელიგიის განახლებას, მის შეთავსებას რაციონალური აზროვნების მოთხოვნებთან, დღის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ამოცანებთან. მოდერნიზმები ამოდიოდნენ იმ პრინციპიდან, რომ ისლამი უნივერსალური, მსოფლიო რელიგიაა, ის გამოსადეგია ყველა ხალხისთვის, ყველა დროისთვის და ყოველგვარი კულტურული პირობებისთვის, თვლიდნენ, რომ ისლამი არ ეწინააღმდეგება თანამედროვე ცივილიზაციას. ისინი ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ყურანში არის მიწინებები თანამედროვე სამეცნიერო აღმოჩენებზე. მაგალითად, მუჰამმად აბ-

დოს მოყავდა აიები¹ ყურანიდან, რომელთა მისადაგებას ცდილობდა ისეთ თეორიებთან, როგორებიც იყო ბუნებრივი შერჩევის, ან ისტორიული პროცესების კანონზომიერების თეორიები და ა.შ. მოდერნისტები იმასაც კი ცდილობდნენ ეჩვენებინათ, რომ ისლამი აკურთხებს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას. ალ-ქავაქიბი ისლამის ფუძემდებლურ აიას – „ღმერთი – არ არს ღმერთი გარეშე მისა, მარადცხოველისა, მარადარსისა“ (სურა² 3, აია 2) [1, გვ. 3] – განმარტავდა, რომ ადამიანი არ უნდა დაემორჩილოს არავის გარდა ღმერთისა, ე.ი. უნდა იბრძოლოს იმის წინააღმდეგ, ვინც ცდილობს წაართვას მას თავისუფლება.

ატ-ტაჰტავი მოდერნისტებამდე მოღვაწეობდა, მაგრამ ბევრ რამეს, რასაც მოდერნისტები ითხოვდნენ ისლამისგან, მის მთელ რიგ გამონათქვამში უკეჩანს. რეფორმისტები რომ ამბობდნენ ისლამი მსოფლიო, უნივერსალური რელიგიაო, დაახლოებით მსგავსს ამტკიცებდა ატ-ტაჰტავი, როცა ამბობდა „ისლამი ზეციური რელიგიაა“, ან „ვნახე ისლამი საფრანგეთში მუსლიმების გარეშე ...“ რომ დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა თაობათა მიერ ისლამის საწყისი დებულებების, დოგმებისა და დოქტრინების დამახინჯება. ბევრი მუსლიმი თითქოს იყო ისლამის აღმსარებელი, რეალურად კი არ ასრულებდა ისლამის კანონმდებლურ მოთხოვნებს. ზემოთ მოყვანილ ციტატას ის ასე აგრძელებს: „... ვნახე ეგვიპტეში მუსლიმები ისლამის გარეშე“. პირველ ციტატაში, ჩვენი აზრით, ატ-ტაჰტავი დებს აზრს, რომ ისლამი უნივერსალური რელიგიაა, ის გამოსადეგია ქრისტიანებშიც კი, მით უმეტეს მას ისლამი ზეციურ რელიგიად მიაჩნია. როცა ის გვესაუბრება „ბუნების კანონების“ შესახებ, ამტკიცებს, რომ მასზე (ბუნების კანონებზე) დაყრდნობით და მისადმი მიბაძვით უნდა აშენდეს თანამედროვე სახელმწიფოები და საზოგადოებები. ის ვერ ხედავს დაპირისპირებას ისლამსა და „ბუნების კანონებს“ შორის. მას სჯერა, რომ მოხდება შერიგება რელიგიასა და მეცნიერებას (ცოდნას) შორის, ისლამსა, როგორც „ზეციურ რელიგიასა“, და ყოველივე ცივილიზებულს შორის. ამიტომ მას აუცილებლობად მიაჩნია ისლამის რელიგიის განმარტება-კომენტირება, მასში ჩადებული აზრების სწორი წვდომა, რათა ნათელი გახდეს ჩვენთვის თუ რაში ეთანხმება ის (ისლამი) დროის მოთხოვნებს და, აქედან გამომდინარე, დავინახოთ რაში გამოიხატება წინააღმდეგობა მეცნიერებასა (ცოდნას) და რელიგიას შორის. და თუ ყოველივეს ღრმად გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ დაპირისპირება (წინააღმდეგობა) მათ შორის არის ყალბი, მოგონილი, ფალსიფიცირებული და შესაძლებელია ამის აღმოფხვრა. ატ-ტაჰტავი ასევე აღნიშნავს, რომ რაციონალისტური ცნებები, რომელსაც გაბატონებული ადგილი უკავია ევროპაში, მისკენ მოგვიწოდებს ისლამი. ამიტომ ისლამი კი არ არის ნაკლოვანებების შემცველი, არამედ დროთა ვითარებაში თვით მუსლიმებმა დაამახინჯეს ის. ამის გამო თქვა მან: „... ვნახე ეგვიპტეში მუსლიმები ისლამის გარეშე“ [7, გვ. 27-28]. აქედან მომდინარეობს მისი რწმენა, რომ მუსლიმური ცივილიზაციის მისიაა შექმნას წონასწორობა იმ დიდ გაორებას შორის, რომელიც ყოფს სამყაროს ორ ურთიერთ დაპირისპირებულ ნაწილად: რწმენა და ურწმუნოება, სამოთხე და ჯოჯოხეთი, რაციონალური და რელიგიური ჭეშმარიტებები და ა.შ. [7, გვ. 28].

1 ა ი ა (არაბ. აიათ) – ნიშანი, სასწაული; ნიშნავს აგრეთვე (ყურანის) მუხლს (იხ. ყურანი, აბ. სილაგაძის თარგმანი და კომენტარები; წიგნი 2, გვ. 73).

2 ს უ რ ა – ყურანის თავი; ყურანის ტექსტის მონაკვეთი (იხ. ყურანი, აბ. სილაგაძის თარგმანი და კომენტარები; წიგნი 1, გვ. 51). აქ შეიძლება ვიხმაროთ: თავი.

ამ სტატიაში ჩვენ შევეცადეთ მოკლედ მიმოგვეხილა და შეგვეფასებინა ატ-ტაჰტავის შემოქმედების უმთავრესი საკითხები, გვეჩვენებინა მისი შეხედულებების პროგრესულობა, ასევე გვეჩვენებინა, რომ ის ნამდვილად იყო ეგვიპტეში პირველი განმანათლებელი არამხოლოდ დროის მიხედვით. მან ბევრი ისეთი საკითხი წამოჭრა და შეეცადა შეძლებისდაგვარ გადაეჭრა, რომლებიც მოგვიანებით, საგანმანათლებლო მოძრაობის აღმავლობის პერიოდში, აქტიურად განიხილებოდა და რომელთაგან ზოგიერთი უფრო პროგრესული იყო (მაგ. ქალთა ემანსიპაცია). თუნდაც რად ღირს ის ფაქტი, რომ XIX ს-ის 70-იანი წლების დასასრულიდან ეგვიპტელი ნაციონალისტების მიერ წამოყენებული ლოზუნგი „ეგვიპტე ეგვიპტელებისთვის“, ფაქტობრივად, სათავეს იღებს ატ-ტაჰტავიდან, როცა ის პატრიოტული გრძნობებიდან გამომდინარე ხაზს უსვამდა, რომ „ეგვიპტე მისი შვილებისთვის ყველაზე ძვირფასი მიწაა.“ ამიტომ ატ-ტაჰტავიზე, დასკვნის სახით, თამამად შეიძლება გავიმეოროთ შუქრი ალ – ‘აიადის წიგნში „ახალი არაბული ლიტერატურის ისტორია“ ნათქვამი სიტყვები: „მომასწავებელი (მაუწყებელი) ახალი აღორძინებისა“, ასევე კ. ოჰერნბერგის სიტყვები წიგნიდან „რიფა‘ა ბეი ალ-ტაჰტავი (1801-73): „...მედროშე და სიმბოლო არაბული აღორძინებისა, უდავოდ ყველაზე უფრო გამორჩეული მოაზროვნე თავისი ეპოქისა.“ [6. გვ. 92].

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ყურანი, თარგმანი არაბულიდან და კომენტარები აპოლონ სილაგაძისა, თბილისი, 2009.
2. ქუთელია მ., *არაბული რომანტიზმი*, თბილისი, 2009.
3. Долинина А. А., *Очерки истории арабской литературы нового времени (Египет и Сирия)*, М., 1968
4. Долинина А. А., *Основные направления в египетской литературе XIX - XX веков, сб. Актуальные проблемы изучения литератур Африки*, М., 1969
5. Левин З. И., *Развитие основных течений общественно-политической мысли в Сирии и Египте*, М., 1972.
6. Kutelia M., *Egyptian Enlightener Rifa‘ a at-Tahtawi, Scientific Journal of International Black Sea University*, v. 5, issue 1, Tbilisi,
7. جودت ابراهيم. محطات في الثقافة العربية المعاصرة. 2008
8. شكر العياد. تاريخ الادب العربي الحديث. القاهرة
9. الطهطاوي. رفاعة رافع. تحرير المرأة المسلمة. كتاب المرشد الامين في تربية البنات و البنين. بيروت. 2000

იაჰია ქემალის ლირიკის შესწავლის ისტორიისათვის

გამორჩენილი თურქი პოეტის იაჰია ქემალის (1884-1958) ლირიკის მხატვრული ნიშან-თვისებები XX საუკუნის დასაწყისიდან დღემდე ლიტერატურათმცოდნეთა განუხრელ ინტერესს იწვევს; შრომათა რაოდენობა ძალზე დიდი და მრავალფეროვანია; რიგი ნაშრომებისა ეძღვნება მხატვრული ტექსტის სხვადასხვა პლანში შესწავლას, მისი ლირიკის ზოგიერთი სპეციფიკურობის გამოვლენას. ასევე, წარმოდგენილია შრომები, რომლებიც გვაძლევს საშუალებას ერთიან მთლიანობაში განვიხილოთ იაჰია ქემალის კულტურული მემკვიდრეობა.

როგორც აღვნიშნეთ პუბლიკაციებში აღვნიშნეთ, იაჰია ქემალის შემოქმედება ლიტერატორთა მუდმივი ყურადღების ცენტრშია მოქცეული. ეს პროცესი ქრონოლოგიურ ქრილში ორ ეტაპს მოიცავს: 1. აღფრთოვანებული დიტირამბების პერიოდი; 2. რაციონალური შეფასებების ხანა. უნდა ვაღიაროთ, რომ პრაქტიკულად არ გვეგულება სხვა პოეტი, რომელის სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლა ამდენი ია-ვარდებით მოფენილი და ეგზომ წარმატებული ყოფილიყო. პრაქტიკულად, ყველა კრიტიკოსი მას გუნდრუკს უკმევდა, რასაც თავისი განუზომელი ნიჭით, მხატვრული გამოხატვის ინდივიდუალური სტილით იმსახურებდა კიდევ, ოღონდ, ერთი რამაა, ამას მასიური ისტერიის სახე მიეცა, მას „ღმერთიც“ კი უწოდეს (Tunç, 1998: 26).

იაჰია ქემალს სიცოცხლეში პოეტური კრებული არ გამოუცია. მართალია, იგი ლექსებს სხვადასხვა ჟურნალში აქვეყნებდა, მაგრამ ლექსზე მუშაობის პროცესს ვერ ასრულებდა. მუდმივად ხვეწდა ყოველ პწკარს, სიტყვას, ბგერათა ევფონიურ სტრუქტურას. შემოქმედებითი პროცესის ამგვარი „დაუსრულებლობა“ პოეტს განსაკუთრებულ პოზიციაში აყენებს. განვმეორდებით და ვიტყვით, არ გვეგულება მკითხველი საზოგადოების მიერ აღიარებული და ამდენად განდიდებული არც ერთი პოეტი, რომელსაც სრულყოფილების ეგზომ მაღალი კრიტიკერიუმები ჰქონოდა.

პოეტის მიმართ გამოთქმულ უშურველ პანეგირიკებს, რა თქმა უნდა, რამდენიმე ოპონენტიც გამოუჩნდა, მაგალითად, ჰასან ალი იუჯელი **გააოგნა** ორხან სეიფის **კადნიერებამ**, რომელმაც „ღმერთს“ წიგნის გამოცემა მოსთხოვა! „მე რომ ორხან სეიფის ადგილზე რომ ვიყო, პირველად „ვიკითხავდი, ვინ არის თქვენი წინასწარმეტყველი, ან წინასწარმეტყველებიო“; როცა ეს ნათელი გახდებოდა, მერე წავადგენდი ჩემს თხოვნას;“ – ქილიკით აღნიშნავს კრიტიკოსი (Yücel, 1998: 133). ნურულაჰ ათაჩი კი საპირისპიროს ამტკიცებდა. განმარტავდა, რომ ევროპული მწერლობის მიბაძვის სანაცვლოდ, იაჰია ქემალმა წმინდა თურქული პოეზიის აღორძინება განიზრახა. მან ანდრე ჟიდსა და იაჰია ქემალს შორის მსგავსებაც დაინახა და ერთგვარი ნიშნისმოგებით გაიმეორა საბაჰათინ ეუბოლლუს მოსაზრება იმის შესახებ, რომ ანდრე ჟიდის ნაწარმოებებს როგორც ნაციონალური, ასევე, ზოგადსაკაცობრიო ღირებულება აქვს (Ataç, 1998: 100). აქ საკამათო არაფერია. ანდრე ჟიდის პოეზია ნაციონალურ საზღვრებს გასცდა სწორედ იმით, რომ ზენაციონალურია თავისი არსით. რომელი მკვლევარი მოინდომებს ანდრე ჟიდის ლირიკაში „ნაციონალიზმის“ მოძიებას?! აი, ამაში ვლინდება თურქული კრიტიკის არაკომპეტენტურობა.

რაც შეეხება იაჰია ქემალს, მისი ნაციონალიზმი სრულიად თვალსაჩინოა. ემსახურება თურქი ერის თვითშეგნების ამაღლებას. ასე ვთქვათ, ლოკალური დანიშნულების მატარებელია. პოეტის მხატვრული მემკვიდრეობის ამ სეგმენტს ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან საერთო არაფერი გააჩნია და არათურქ მკითხველში ინტერესს არ აღძრავს. ის, რამაც იაჰია ქემალის შემოქმედება თურქეთის საზღვრებს მიღმა ღირებული გახადა, არის ის, რაც „პატრიოტიზმის“ მიღმაა: ლირიკულ განცდათა გადმოცემის სტილი; სახე-სიმბოლოთა სპეციფიკური პლასტიკური მოხაზულობა, რომლებიც პოეტური ნაწარმოების უნიკალურ ქსოვილს აყალიბებს.

როგორც ვიცით, აღზევებას უცილობლად დაცემა მოჰყვება. იაჰია ქემალის გარდაცვალების შემდეგ ზემოთნახსენებმა ნურულაჰ ათაჩმა „გადააფასა“, ერთგვარად მოიბეზრა ეგზომ განდიდებული პოეტი, რომელსაც „თურქი ხალხის უდიდეს პოეტს“ უწოდებდა და განაცხადა: „უაპელაციო დითირამების და კატეგორიული შეფასებებისგან თავს შევიკავებო“ (Kabaklı, 1994:752). ფაქტია, რომ პანთურქიზმის იდეოლოგიამ აქტუალობა დაკარგა, ოსმალეთის იმპერიის ნანგრევებზე თურქეთის რესპუბლიკა აღმოცენდა. რა გვეთქმის, ჭეშმარიტად, დრონი მეფობენ.

იაჰია ქემალის სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლის ხანა ემთხვევა დრამატული კოლიზიებით აღსავსე ერთ-ერთ ყველაზე რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პერიოდს. ქვეყანაში მძვინვარებდა სისხლიანი ტერორი. აკრძალვების, გაუგონარი ცენზურის პირობებში მწერალთა ერთი ნაწილი დააპატიმრეს, გადაასახლეს. ზოგიერთმა თავს უშველა, ევროპაში გაიქცა. მათ შორის აღმოჩნდა იაჰია ქემალიც. აღსანიშნავია, რომ ყმაწვილ პოეტს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა. თუმცა იგი სულთნის უზენაეს ნებართვას არ დაელოდა, ისე დატოვა ქვეყანა და საფრანგეთს გაემშურა.

პარიზში ცხოვრების პერიოდში იაჰია ქემალი სიმბოლიზმის ესთეტიკის შესწავლით იყო დაკავებული; ესწრებოდა მალარმეს სამშაბათებს; ჟან მორეასის წრეში შევიდა; შეისწავლა პრაქტიკულად ყველა სიმბოლისტის შემოქმედება. აღსანიშნავია, რომ სიმბოლიზმი პირდაპირ ასოცირებული გახდა პოეტურ ჟანრთან. მისთვის ნიშანდობლივი ჰერმეტიზმი ლირიკის უნივერსალურ კოდად იქცა. პოეზიამ ლიტერატურაში უმაღლესი პოზიცია დაიკავა.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ მომდევნო მიმდინარეობებმა ახალი პოეტური კონცეფციების გამოსახატავად სახისმეტყველების განსხვავებული სკალა დაამკვიდრეს, რაც უკვე თვალსაჩინო გახდა სიურეალიზმში, რომელმაც რევოლუციური ხასიათის ცვლილებები განახორციელა. ამავე დროს, სიმბოლიზმის ესთეტიკამ გარკვეული მუტაცია განიცადა; შეერწყა სხვა მიმდინარეობებს და მისი ფუნქციური არეალი გაფართოვდა. ედმუნდ უილსონი თავის „აქსელის სასახლეში“ სიმბოლიზმის ელემენტებს ხედავს ჯოისისა და პრუსტის რომანებში, ჰერტრუდა შტაინის არაცნობიერსა და დადაიზმში. მისი აზრით, იდეათა რთული ასოციაციური ჯაჭვი, პერსონალური, უნიკალური განცდების სიმბოლოურ-მეტაფორული სტრუქტურა ამ მწერლებს სიმბოლიზმთან აახლოებს (Wilson, 1936: 22).

იაჰია ქემალის პოეტური ინტერესები და ორიენტაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრა სიმბოლიზმის ესთეტიკამ; ეს საკითხი პოეტს მკითხველთა სამსჯავროზე გამოაქვს. ლექსში „ძველი პარიზი“ მწერალი ამბობს, რომ ამ ქალაქის უნიკალური ატმოსფეროს შემქმნელები ბოდლერი და ვერლენია: „ვერლენის აბსენტიტ, ბოდლერის ოპიუმით შეზავებული ჯადოსნური ნეტარებით იყო სავსე პოეზია.“ თუ რამდენად მარკირებულია იაჰია ქემალისთვის სიტყვა **ჯადოსნური**, ვიგებთ

მის „ჯადოსნურ ლექსში“, რომელშიც კვლავ სიმბოლისტური პოეტური სამყაროს სიყვარული გამოსჭვივს. ამ ლექსში პოეტი ისევ ბოდლერისა და ვერლენის მიმართ თავის განუზომელ სიყვარულზე მოგვითხრობს; ქედს იხრის ბოდლერის წინაშე (მისი კერპთაყვანისცემელია); მიგვანიშნებს ვერლენზეც (აბსენტი ხომ მასთან არის პერსონოფიცირებული!). უმნიშვნელოვანესი კი ის არის, რომ პოეზია მის სულში ჩაიღვარა „ამაღლებული ნაღველივით“, ანუ პოეტი სიმბოლიზმის უმთავრეს ესთეტიკურ პოსტულატზე გვესაუბრება; **ნაღველი** სიმბოლისტური პოეტიკის ძირითადი კონსტანტაა. პოეტი პარიზული ცხოვრების განუმეორებელ ატმოსფეროს გვიხატავს:

„პარიზში ახალგაზრდობისას ბოდლერის ნამდვილი კერპთაყვანისმცემელი ვიყავი...

აივნებით, მოგზაურობით, სილამაზით მთვრალი ვიყავი.

ჩაიღვარა ჩემს სულში პოეზია ამაღლებული დარდივით;

აბსენტში წვეთ-წვეთ დაწრეტილი შაქარივით.

წარმოსახვის შემქმნელი ის უცხო ადგილები!

ხშირი დაფნებით შემორტყმული ოპიუმის ბალები...“

სევდიანი პოეტი აცხადებს: „ერთ დღეს იმ ქვეყნის ცხოვრებას დავემშვიდობე; დავუბრუნდი სრულად, სრულად სამშობლოს“. სწორედ ამიტომ გვესაუბრება პოეტი **ძველ პარიზზე**, რადგან იგი ირაციონალური „სიმთვრალიდან“ შეგნებულად, როგორც თავად ამბობს, **სრულად, სრულად** დაუბრუნდა თავის სამშობლოს, გაითავისა ქვეყნის სატკივარი, მაგრამ, ამავე დროს, განმარტავს: „არ დაჭკნების ჩემს სულში იმ პოეზიის ყვავილები“. ამით პოეტი ხაზს უსვამს თავის ესთეტიკურ კავშირს სიმბოლისტებთან, ოღონდ პოეტის ეს თეზაც გარკვეულ განმარტებას მოითხოვს, რადგან იაჰია ქემალი იმ ტიპის პოეტიკა, რომლის მოთავესა რაიმე სახის ლიტერატურულ მიმდინარეობასა თუ მიმართულებაში პრაქტიკულად შეუძლებელია. ამაში ჩვენ დავრწმუნდებით, თუ პოეტის ზოგიერთ მოსაზრებას გავეცნობით.

მწერალი იხსენებდა: „როდესაც მალარმე ახალგაზრდა ლიტერატორებს პოეტური ხელოვნების გაკვეთილებს აძლევდა, ურჩევდა ვერლენის „გალანტური დღესასწაულები“ დაუბეპირებინათ. როგორც კი მალარმეს ეს რჩევა მოვისმინე, მაშინვე პარიზის აღმოსავლურ ენათა სასწავლებელში გავიქეცი და იქ არაბული და სპარსული ენების შესწავლა დავიწყე. წავიკითხე ჩვენი დივანის პოეტები; მათი აზროვნების სისტემა შევისისხლხორცე. სამწუხაროდ, თურქული პოეზიისა და მისი კლასიკოსების შესწავლის შესაძლებლობა მხოლოდ საფრანგეთში მომეცა! (...) ოღონდ ეს ესთეტიკური გრძნობით კი არ იყო ნაკარნახევი, არამედ ნაციონალური თვითშეგნებით იყო ნასაზრდოები“ (Kurdakul, 1978: 192).

იაჰია ქემალის შემოქმედებითი აზროვნების არაორდინალურობის კიდევ ერთი ნიუანსი – მისი ნაციონალიზმი პარიზში ყოფნის დროს გამოიკვეთა. მოდერნისტული ხელოვნების დედაქალაქად აღიარებულ პარიზში მწერლებმა და მხატვრებმა პრაქტიკულად ნაციონალური კუთვნილება დაკარგეს. პარადოქსია, მაგრამ „კოსმოპოლისტი ინდივიდუალისტების“ გარემოცვაში მყოფი იაჰია ქემალი თავის ნაციონალურ ფესვებს დაუბრუნდა.

გვინდა განვმარტოთ, რატომ აღმოჩნდა ვერლენის „გალანტური დღესასწაულები“ თურქული კლასიკური პოეზიის შესწავლის მიზეზი. ამაზე თავად პოეტი მოგვითხრობს: „განსაკუთრებულად შემეყვარდა ვერლენის „გალანტური დღესასწაულები“. პოეტი სიძველის ეფექტს ენის ხელოვნური დაძველებით აღ-

წევს. სწორედ ამიტომ მეც მიწოდდა ეს საკუთარ ენაზე გამომეხატა და ასამდე ღაბელი და რუბაი დავწერე“ (Kemal, 1984: 92). შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და განმარტავს: „მე ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ახალ სტილზე გადასულ პოეტთა საპირისპირო პოზიციაზე აღვმოჩნდი. პარიზში პოლ ვერლენის „გალანტური ღღესასწაულების“ კრებულმა აღმაფრთოვანა. ფრანგებისთვის უსაყვარლეს ნატიფ და მშვენიერ XVIII საუკუნის პარკში ხდება მოქმედება, თანაც ის იმ პერიოდის ენაზე არის შექმნილი“ (Kemal, 1984: 275).

როგორც ვხედავთ, იაჰია ქემალს შესანიშნავად ესმის, რომ ის საერთო ტენდენციებს არ მიჰყვება; ასე ვთქვათ, დინების საწინააღმდეგოდ მოძრაობს; ამიტომ, თითქოს, თავის გამართლება სურს და გვიხსნის ჩემი ნეოკლასიციტური ლექსები ვერლენის „გალანტური ღღესასწაულების“ გავლენით შექმენი და ძველი დივანის პოეზიის ენით დავიწყე წერაო. ოღონდ, ძველი ფრანგული ენა ახლისგან პრაქტიკულად სიტყვების გრაფიკული გამოსახვის წესებით განსხვავდება, ხოლო ძველი თურქული, ანუ, ოსმალური პოეზია არაბულ-სპარსული ლექსიკითა და შესიტყვებებით არის დახუნძლული; მასში საკუთრივ თურქული ლექსიკის ხვედრითი წილი უმნიშვნელოა და, ხშირ შემთხვევაში, დამხმარე ზმნის სახით არის წარმოდგენილი. ასე რომ, პოეტის გატაცება დივანის ლიტერატურით ოდენ ვერლენის, ერდიას, თუ მორეასის მიერ შემოთავაზებული ნეოკლასიციზმით არ აიხსნება. იაჰია ქემალის სწრაფვა ძველი პოეტიკის მიმართ დივანის ლიტერატურის სიყვარულით არის ნასაზრდოები, მისი შემოქმედებითი ინსპირაციის წყარო ნედიმისა და ფუზულის პოეზიაა (Alkan, 2005: 478).

იაჰია ქემალის ინტერესი დივანის პოეზიის სახეობრივი სისტემისაკენ, მის მიერ ძველი კლასიკური ლექსიკის გამოყენება ლიტერატორთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა. ზოგიერთისთვის ეს პოეტის უდიდესი წარმატება იყო, რადგან მან თანამედროვე ხედვა შეადუღა ძველ სიტყვაკაზმულ პოეზიასთან (Eyübođlu, 1998:91), (Ađaiođlu, 1998:58-62); სხვათათვის ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი (Yücel, 1998:103-107). ფაზილ აჰმედი, იაჰია ქემალის მიმართ გამოთქმული კრიტიციზმის მიუხედავად, მუდამ აღნიშნავდა: მე იაჰია ქემალის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ვარო. საუბედუროდ, ყოველ უმნიშვნელო კრიტიკასაც კი იაჰია ქემალის დამცველთაგან „საკადრისი“ პასუხი მოსდევდა. ოპონენტების ასეთი რეაქციით გაოგნებული ფაზილ აჰმედი წერდა: „ჩვენ, რა, აზრების შერკინებას ვმართავთ, თუ რომაელ გლადიატორთა ორთაბრძოლაში ვმონაწილეობთ?! გაუფონარი რამაა!“ (Ahmet, 1998: 98).

ჩვენ წინაშე ორი იაჰია ქემალია ერთი მოდერნისტული პოეტური ხელოვნების შემომტანი ნოვატორი; მეორე კი დივანის პოეზიაზე შეყვარებული, დიდებულის, მაგრამ სრულიად არათანამედროვე არქაისტი პოეტი, რომლის ლირიკამაც ორად გახლიჩა საზოგადოება. საერთოდ, როდესაც იაჰია ქემალის შემოქმედებაზე ვმსჯელობთ, ჩვენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეთავსება-შეთავსებლობის პარადოქსს ვაწყდებით. ყოფიერების აღქმის, რეფლექსიის ორი სრულიად რელევანტური ფორმა, მართალია, თავსდება იაჰია ქემალის ლირიკაში, მაგრამ თანაფარდობაზე ზედმეტია ლაპარაკი; მისი გონება და გული აღმოსავლეთს ეკუთვნის. პოეტს ერთი რამ აღელვებს, ანაღვლებს – ეს არის ძველი აღმოსავლეთის დაკნინება, განადგურება. გულგახეთქილი აცხადებს კიდევ: „აღმოსავლეთი მოკვდაო!“ და ძველი სამყაროს აღორძინებას იწყებს.

იაჰია ქემალის ლირიკა უკვე იმით არის საინტერესო და, ჩვენ ვიტყვით, რთული, რომ ლექსში გამოვლენილი აზროვნება, განცდები ირეკლავს დივანის პოეზიის ებოთერიზმს; კლასიკური პოეტიკის სიმბოლური დონის მრავალმრი-

ანობა ახალი ელემენტებით მდიდრდება; იაჰია ქემალის ლირიკა წარსულის დი-ალექტიკური სიღრმის მატარებელი ხდება.

იაჰია ქემალი განმარტავდა: „მე თურქულ ლიტერატურაში „პოესიდ პურე“ (წმინდა პოეზიის) შექმნისთვის ვიღწვოდი“ (Uysal, 1959: 117). პოეტის აზრით, „ლექსის მუსიკალური ჟღერადობა მუსიკისგან განსხვავებულია; მასში „შინაგანი ჰარმონია“ განცხადებული. იაჰია ქემალმა ლექსის ყოველ პწკარში განხორციელებულ შემოქმედებით პრინციპს „შინაგანი კეთილხმოვანებისა და ჰარმონიის“ მიღწევის მცდელობა უწოდა; ამგვარი ფორმით შექმნილ ლექსს კი 1913 წელს „წმინდა პოეზიის“ ან „გემოვნებიანი ლექსის“ სახელით იხსენიებს (Kemal, 1984: 9-21).

ვეპბი ერალფი მიუთითებს, რომ ფრანგი ბერის, ანრი ბრემონის, ანალოგიური მოსაზრება 1925 წელს გახდა ცნობილი. თავმდაბალი აბატი ბრემონი აღნიშნავდა, რომ ტერმინი „წმინდა პოეზია“ მას არ ეკუთვნის, მისი ავტორი პოლ ვალერია, თუმცა პოლ ვალერიასთვის მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ჰქონდა მნიშვნელობა ამ ტერმინს (Balakian, 1962: 165). იაჰია ქემალის ქარიზმით მონუსხული ვეპბი ერალფი კი მიზნად ისახავს როგორმე დაამტკიცოს, რომ ეს ტერმინი იაჰია ქემალს ეკუთვნის. საგულისხმოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქემალიცა და ბრემონიც თავიანთ კონცეპციას ერთგვარ ტერმინებსა და გამოთქმებში გამოხატავენ. პოეზიისა და მუსიკის დაახლოების კონცეპცია ლექსის, როგორც სპეციფიკური მუსიკალური ნაწარმოების პრინციპები ჯერ კიდევ სიმბოლიზმის ავანგარდისტულმა ფრთამ ბოდლერის, ვერლენის, მალარმეს სახით ნათლად გამოხატა. ლექსის შინაგანი ჟღერადობის, ჰარმონიის პრინციპები სწორედ მათი ჩამოყალიბებულია. იაჰია ქემალიც აღნიშნავს, რომ „წმინდა პოეზია სიმბოლისტებმა თავიანთი თეორიის საფუძვლად აღიარეს და ამ მიმდინარეობის ნაწილად ითვლება“ (Kemal, 1984: 163).

მკვლევარი, რომელსაც, სულ მცირე, წაკითხული უნდა ჰქონდა იაჰია ქემალის ეს განცხადება, იძულებულია აღიაროს: „პრინციპში, XIX საუკუნის ბოლოდან „წმინდა პოეზიის“ კონცეფცია გავრცელებული იყო; ბრემონმა და იაჰია ქემალმა ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ ისინი ერთგვარმა ხედვამ შეიპყრო (Eralp, 1960:34). აღსანიშნავია, რომ თურქეთში არა მარტო იაჰია ქემალი იყო „წმინდა პოეზიის“ პოპულარიზატორი და დამცველი, ანალოგიურ ტერმინებში გამოხატავდა თავის შეხედულებებს პოეზიის რაობაზე აჰმედ ჰაშიმიც, რომელიც თურქული სიმბოლიზმის ფუძემდებლად ითვლება (Haşim, 1999: 69-77). საინტერესოა, ვეპბი ერალფი რატომ უწევს ამ ფაქტს იგნორირებას?!

არსებობს ერთი საკითხი, რომელიც ნაწილობრივ აცალკევებს იაჰია ქემალისა და ანრი ბრემონის შეხედულებებს. სიმბოლიზმის პოეტიკაზე დაყრდნობით აბატი ბრემონი კრიტიკულად აფასებდა ლექსის „გაგების“ პროზაულ განსაზღვრებას. ლექსის ახსნა, მისი „გაგება“ იგივეა, რაც წრისგან კვადრატის გაკეთება; როცა ენიგმა დაკარგულია, ძალზე ცოტა რამ რჩება მკითხველის მისაზიდად, – თვლიდა ბრემონი (Balakian, 1962:160). ჩნდება ბუნებრივი კითხვა, რამდენად ენიგმატურად, შეუცნობლად შეიძლება ჩაითვალოს იაჰია ქემალის ლირიკა?! ჩვენი აზრით, იაჰია ქემალის ლირიკული სტილი ძალზე ახლოს დგას ტ.ს. ელიოტისეულ „ობიექტურ კორელატივთან“; რადგან ორივე პოეტი აფართოვებს ხატ-სიმბოლოების ინტერმედიატორულ ფუნქციას, ანუ პოეტი იწყებს ურთიერთობას მკითხველთან, რაც სიმბოლისტებს პრაქტიკულად არ აინტერესებდათ.

იაჰია ქემალის მიზანი იყო ცვლილებები გაეტარებინა თურქულ პოეზიაში. მწერალი თვლიდა, რომ ლექსი „დაწერილი და წაკითხული“ კი არ უნდა იყოს,

როგორც დივანის პოეზია, არამედ „წარმოქმული და მოსმენილი“, როგორც ევროპული ლირიკა (Huygüzel, 1984: 86). მას ხალხის ფართო მასებისთვის გასაგებ ენაზე ლექსის შექმნა სურდა. პოეტი აცხადებდა: „მე მინდა, რომ პოეზია საყოველთაო ენაზე იყოს დაწერილი. ლექსი თურქული ხორხის შესატყვისი ბგერებით უნდა შეიქმნას“ (Kabaklı, 1994: 445). აქ მწერალი უკვე სულ სხვა პოზიციიდან საუბრობს; კერძოდ, იგი აღარ გვევლინება „დივანის“ პოეტად და „სახალხო“ პოეტის რანგში წარმოგვიდგება.

იაჰია ქემალის მხატვრული აზროვნება იმდენად ამბივალენტურია, რომ მისი შემოქმედების მკვლევარს აიძულებს გადაჭრას მთელი რიგი თეორიული მეთოდოლოგიური საკითხებისა, რომელიც უცილობლად წამოიჭრება მხატვრული ტექსტის გააზრებისას. განსხვავებული იდეური, თემატური, კომპოზიციური, ენობრივი ელემენტების მრავალფეროვნება არის იაჰია ქემალის ლირიკის უმთავრესი ნიშან-თვისება. იაჰია ქემალის პოეზიის მრავალშრიანობა, ლექსის მრავალწახანაგოვანი სტილისტიკა, ემყარება სამშობლოს ისტორიისა და კულტურისადმი ლტოლვას, სამყაროსა და ადამიანის მაკრო და მიკრო სტრუქტურების აღქმა-გააზრებას. ერთი მხრივ, იაჰია ქემალმა შეინარჩუნა ძველი კლასიკური ლიტერატურის საგანძური, მეორე მხრივ, მის ლირიკულ მეთოდში დაუსაზღვრელი შესაძლებლობები გამოიკვეთა: მან გარკვეულად მოხსნა წინაღობა „სპეციალური“ ლირიკულ მეტყველებასა და ჩვეულებრივ სამეტყველო ენას შორის. მან ყოფით სიტყვას ლირიკული უღერადობა და სიღრმე შესძინა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იაჰია ქემალის ავტორისეული „მეს“ საკითხი, მისი დამოკიდებულება ლირიკული „მეს“ მიმართ. ამ ნიშან-თვისებათა სპეციფიკა აყალიბებს პოეტის მხატვრულ სამყაროს. პოეტის „მე“ შეიძლება წარმოჩინდეს, როგორც ლირიკული გმირის „მე“, როდესაც ის, ასე ვთქვათ, თავის პირადულ განცდებს გადმოგვცემს. ეს თვითგამოხატვის ფორმები ვლინდება პოეტის ცოცხალი რეფლექსიის, პერცეპციისა და აპერცეპციის ხერხებში. მეორე მხრივ, ავტორის „მე“ და ლირიკული გმირის „მე“ სხვადასხვა სიდიდეში რთული და დიფერენცირებულია; მათი ურთიერთმიმართება განსხვავებულ ენობრივ ქსოვილშია წარმოჩენილი. ახლანდელში გამოვლენილია ავტორის სუბიექტივიზმი, წარსულში – ეზოთერიზმი, ერის ისტორიული „მეობა“, ანუ ის დიდებული, სანუკვარი, ძვირფასი „ჩვენ“, რომელიც მოიცავს თურქი ხალხის ისტორიას.

არის კიდევ ერთი პლასტი იაჰია ქემალის ლირიკაში, რომელიც პირდაპირ კავშირშია ეზოთერიზმთან, მისტიციზმთან დივანის ლიტერატურის პოეტიკასთან. პოეტი სხვადასხვა ჟანრისა და სტილისტიკის ნაწარმოებში მოვლენათა საკუთარ ხედვას იძლევა; განსხვავებული ენობრივი ორგანიზაციის ნაწარმოებებს ქმნის; მწიგნობრული და სასაუბრო ენის შერწყმაზე მუშაობს. მწერალს აქვს უნარი მასშტაბური გახადოს პოეტური ნახაზის კონტური; იყოს მოტივირებული განსხვავებული შემოქმედებითი ამოცანებით; გააფართოვოს ან, უბრალოდ, გავიდეს სალიტერატურო ენის ფარგლებიდან; იმოგზაუროს ძველი სამყაროს ჯადოსნურ სივრცეში.

პოეტი ტკბება კლასიკური მწერლობის მეტაფორული სიღრმით; მიჰყვება ტრადიციული პირობითობის ესთეტიკას. ამავე დროს, არ კარგავს კავშირს დღევანდელობასთან; ფართოდ იყენებს ახალ მხატვრულ ხერხებს და ტექსტის ფარგლებში უნიკალურ ბგერათა უღერადობაზე აგებულ სიტყვათა მოდულაციებით აღმავალი და დაღმავალი რიტმული ხმეერების ეფექტს ქმნის. იაჰია ქემალის შემოქმედებითი ინტერესებისა და ორიენტაციის პოლარიზაციამ განსაზღვრა ის

ობიექტური თუ ტენდენციური მიდგომით გამოწვეული სირთულეები, რომლებსაც ჩვენ მისი ლირიკის შემსწავლელ ლიტერატორთა ნაშრომებში ვაწყდებით.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. M. Şekip Tunç, Tanrı Şairi, *Yahya Kemal için Yazılanlar*, İst.1998.
2. Hasan Ali Yücel, *Yahya Kemal Meselesi, Yahya Kemal için Yazılanlar*, İst.1998.
3. Nurulah Ataç, Notlar, *Yahya Kemal için Yazılanlar*, İst.1998.
4. Ahmet Kabaklı, *Türk Edebiyatı*, İst. 1994.
5. Edmund Wilson, *Axsel's Castle*, New York, 1936.
6. Şukran Kurdakul, *Çağdaş Türk Edebiyatı, Meşrutiyet Dönemi*, İst. 1986.
7. Yahya Kemal, *Edebiyata Dair*, İst. 1984.
8. Erdoğan Alkan, *Şiir Sanatı*, İst. 2005.
9. Sabahattin Eyüboğlu, *Yeni Türk Sanatkari yahut Frenkten Türk'e Dönüş, Yahya Kemal için Yazılanlar*, İst. 1998.
10. Ahmet Ağaoğlu, *Yahya Kemal'in Ne Kadar Hakkı Var, Yahya Kemal için Yazılanlar*, İst. 1998.
11. Fazıl Ahmet, *Alı Şu Kasaturalı Edebiyat, Yahya Kemal için Yazılanlar*, İst. 1998.
12. Sermet Sami Uysal, *Yahya Kemalle Sohbetler*, 1959.
13. Yahya Kemal, *Bir Dağdan bir Dağa*, İst. 1984.
14. Anna Balakian, *The Symbolist movement a Critical Appraisal*, New York, 1962.
15. Vehbi Eralp, *Yahya Kemal*, İst. 1960.
16. Ahmet Haşim, *Bütün Eserleri*, İst. 1999.
17. Ö. Faruk Huyugüzel, *Yahya Kemal'in Şiir Görüşü ve Kulandiği Terimler, Yahya Kemal Beyatlı*, İst.1984.

მანანა გაბაშვილი

პონტო-ქალაქის მნიშვნელობა ვახტანგ გორგასლისა და ზოგადად ქართული პოლიტიკისათვის

„ქართლის ცხოვრება“, რომელსაც მეცნიერთა არაერთი თაობა იკვლევს, საისტორიო დარგის განვითარების ყოველ ეტაპზე გარკვეული მასალის ახლებური გაგებისა და ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამ თვალსაზრისით, შუა საუკუნეების საქართველოს საზღვაო ინტერესებზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო საზღვაო ქალაქმა, რომელიც პონტო-ქალაქის სახელწოდებით არის ცნობილი. აღნიშნული ქალაქი გვხვდება ჯუანშერის თხზულებაში „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, რომელიც ქართველი მეფის მოღვაწეობისა და მმართველობისადმი მიძღვნილი [ჯუანშერი, ქ. ცხ., I, 1955: 160, 163, 172, 184, 240]. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნული ქალაქი ამ სახით, სხვა ქართულ წყაროებში არ დასტურდება. მოგვიანებით ის ვახუშტი ბაგრატიონთან გვხვდება [ბატონიშვილი ვახუშტი, ქ. ცხ., IV, 1971: 105].

პონტო-ქალაქთან დაკავშირებულ მოვლენებზე დაკვირვების შედეგად გაგვიჩნდა აზრი, რომ მის ლოკალიზაციასა და კითხვაზე პასუხს, კერძოდ, თუ რომელი ქალაქი შეიძლება იგულისხმებოდეს მასში, დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი კარდინალური პრობლემის გადასაწყვეტად. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს საქართველოს საზღვაო ინტერესები, რომლის კვლევაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო და არაერთი საკითხი არა თუ გარკვეული, დასმულიც არ არის.

პონტო-ქალაქთან მიმართებაში პრობლემის ამგვარად დაყენება უკვე მიგვანიშნებს, რომ ამის თაობაზე ჩვენც, ისევე როგორც იმ მკვლევრებს, რომლებიც პონტო-ქალაქით არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაინტერესდნენ, გარკვეული მოსაზრება გაგვაჩნია. ვფიქრობთ, რომ პონტო-ქალაქთან დაკავშირებული მასალების ამეტიყველება, სათანადოდ გაამდიდრებდა ჩვენს ცოდნას იმ ამოცანების შესახებ, რომელიც ქართული პოლიტიკის მესვეურთა წინაშე იდგა და რომლის გადაჭრასაც უძველესი დროიდან მოყოლებული, საუკუნეების მანძილზე ცდილობდნენ. მათ რიგში ვგულისხმობთ ვახტანგ გორგასალსაც, კერძოდ, მისი მმართველობის იმ მხარეებს, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არ არის გარკვეული.

ვახტანგის ისტორიკოსის, ჯუანშერის თხზულების ზედაპირული გაცნობიდანაც აშკარაა, რომ პონტო-ქალაქისადმი მიმართულ პოლიტიკას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვახტანგ გორგასლის პოლიტიკაში, რაც საფუძვლიან ახსნას ითხოვს. ამ თვალსაზრისით პონტო-ქალაქი მართალია განვიხილეთ ვახტანგ გორგასლის საზღვაო პოლიტიკისადმი მიძღვნილ სტატიაში [გაბაშვილი, 2009: 73-94], მაგრამ საჭიროდ ჩავთვალეთ მისდამი ცალკე გამოკვლევის მიძღვნა. შესაბამისად ამ ქალაქთან დაკავშირებული მასალების კიდევ უფრო ფართოდ განხილვა და დამატებითი არგუმენტების მოშველიება.

ჯუანშერთან აღნიშნული ქალაქი, რომელიც პონტო-ქალაქის სახით გვხვდება, სხვა სახელწოდებით ცნობილი, ანდა დაკონკრეტებული არ არის. ამან სირთულეები შეუქმნა მკვლევართ, თუმცა ჯუანშერის თანამედროვეთათვის, როგორც ჩანს, კარგად იყო ცნობილი თუ რომელი ქალაქი იგულისხმებოდა მასში.

ამ მიმართულებით კვლევის დროს ასევე უნდა გაირკვეს, შუა საუკუნეების წყაროები (მხედველობაში გვაქვს უცხოურიც) რამდენად იცნობენ და გვაწვდიან ცნობას პონტო-ქალაქის სხვა შესაძლებელი სახელწოდების შესახებაც. მაგრამ მანამდე განვიხილოთ ტერმინი პონტო, რომელიც აღნიშნული წერილის წინაშე დასმულ ამოცანაში გასარკვევად ერთგვარ ორიენტირად გვევლინება.¹

შუა საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, ტერმინი პონტო აღნიშნავს როგორც მხარეს, ქვეყანას, ისე შავ ზღვას (ლეონტი მროველი, ქ.ცხ., I, 1955: 4, 6, 66, 78, მათიანე ქართლისა, ქ. ცხ., I, 1955, 251; ჟამთააღმწერელი, ქ.ცხ., II: 310, 315...). გვხვდება აგრეთვე „პონტოს დიდი გზა“ და „პონტოელნი“, ანუ პონტო ქალაქის მცხოვრებნი [ჯუანშერი, ქ. ცხ., I, 1955: 171, 172].² ასევეა უცხოურ წყაროებშიც („პონტო“, „პონტოს სანაპიროები“ და სხვა). ცნობილია, რომ არა ერთი მაგალითია, როდესაც ესა თუ ის ქალაქი თავის სახელწოდებას მხარისა, თუ ქვეყნის, ანდა იმ ზღვის მიხედვით იღებდა, რომლის სანაპიროზეც მდებარეობდა. ცნობილია, ამა თუ იმ ქვეყნის დედაქალაქის უბრალოდ, ქალაქად მოხსენიების ფაქტიც (თბილისი და სხვა).

ჯუანშერთან პონტო-ქალაქი რამდენჯერმე, საქართველოს ისტორიისა და საერთაშორისო პოლიტიკისთვის საინტერესო, სხვადასხვა სიტუაციასთან კავშირში გვხვდება. ეს არის, როგორც უცხო ძალების პონტო-ქალაქისთვის გამართული ბრძოლები, რომელშიც ვახტანგ გორგასალიც არის ჩართული, ისე დიპლომატიური მოლაპარაკებები [ჯუანშერი, ქ.ცხ., I, 1955: 160, 163, 172, 240]. ქართველი ისტორიკოსი აღნიშნულ ქალაქს, ჩვეულებრივ პონტო-ქალაქად მოიხსენიებს, მაგრამ იქ, სადაც იგი საჭიროდ მიიჩნევს მისი მნიშვნელობისა და სიდიდის ჩვენებას, მას პონტოს საზღვაო დიდ ქალაქს („პონტოსა ქალაქსა დიდსა ზღვის კიდესა“) უწოდებს [ჯუანშერი, ქ.ცხ., I, 1955: 160].

თუ კი დავსვამთ კითხვას, თუ როგორი ყურადღება ეთმობა აღნიშნულ ქალაქს ჯუანშერთან, დავინახავთ, რომ ის არის ჩვეულებრივზე გაცილებით დიდი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შუა საუკუნეების ისტორიკოსი, რასაც თავისი მიზეზები უნდა ჰქონდეს. მისი ფართო ისტორიულ ჭრილში განხილვა ნათელს ხდის, პონტო-ქალაქი და მის გარშემო განვითარებული მოვლენები, ვახტანგ გორგასლის პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზს რამდენად უკავშირდება. მაინც რა იგულისხმება ამ პოლიტიკაში.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემას შევეცადეთ ვახტანგ გორგასლის საზღვაო ინტერესებისადმი მიძღვნილ ზემოთ აღნიშნულ სტატიაში, სადაც პონტო-ქალაქთან დაკავშირებული მასალის განზოგადების საფუძველზე დავსვით ვახტანგ გორგასლის საზღვაო ინტერესების საკითხი, რაც ამ კუთხით ქართულ ისტო-

1 ტრაპიზონის ისტორიის ცნობილი მკვლევრის ა.ბრაიერის თანახმად პონტო მოიცავს შემდეგ ტერიტორიებს – ლაზიას, ტრაპიზონს, ლიმონს, კერასუნტს, სამსუნს და სინოპს [Bryer, 1988-1989: 42: 180; ე.ჟორდანი, 2010: 147, შენ. 1].

2 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთების მიხედვით, აფხაზეთის კათალიკოსის წოდებულებების (რომელიც სხვადასხვა სახით გვხვდება), რამდენიმე ვარიანტში დასტურდება პონტო: „პონტო ჩრდილოსისა და აფხაზ-იმერთა საცესებისა კ-ზი“, ანდა „პონტო ჩრდილოთ აფხაზ-იმერთა და ყოვლისა ქვემოისა ივერიისა კ-ზი“ [ბერძენიშვილი, 1971: 118].

რიოგრაფიაში არ განხილულა. ამას ხელს უშლიდა როგორც დიდი ხნის მანძილზე პონტო-ქალაქისადმი ინტერესის არ არსებობა, ისე თავად ჯუანშერის, როგორც ისტორიკოსისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩაეყარა. ამ მხრივ, როგორც საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის კარგად არის ცნობილი, დიდი როლი შეასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, სომეხმა მეცნიერმა კ.პატკანოვმა და ზოგიერთმა რუსმა და ევროპელმა მეცნიერმა. ამ მკვლევართა მაშინდელმა ავტორიტეტმა, სამწუხაროდ, გავლენა იქონია ქართველ მეცნიერებზეც. შესაბამისად, საკმაოდ ბევრი დრო დაიკარგა და ასეთი მიდგომის გამო, საქართველოს ისტორიის არაერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა არც დასმულა.

პონტო-ქალაქთან დაკავშირებული მასალა, ერთ-ერთი მაგალითია, თუ მისი სათანადო ამეტყველებით როგორ შეიძლება თავად ამ წყაროსადმი ზემოთ აღნიშული პრობლემისადმი დამოკიდებულების შეცვლა და მოგვარებაც. ასეთი კვლევით ირკვევა, რამდენად რეალურ ფაქტებსა და ისტორიაზე არის დაფუძნებული აღნიშნული თხზულება. ხოლო ის, რაც მიაწერეს ჯუანშერს, ზღაპრული ხასიათი თუ სხვა, ეს, ჩვენი აზრით, მეცნიერების განვითარების იმ ეტაპითაც იყო გამოწვეული, როდესაც მკვლევართათვის ზოგიერთი საკითხი აუხსნელი და გაურკვეველი რჩებოდა. ამგვარი მიდგომა შეეხო, ჩვენი კვლევისთვის საინტერესო, პონტო-ქალაქსაც. ჯუანშერის თხზულების რუსულად მთარგმნელს გ.წულაიას ამ ქალაქთან დაკავშირებული ამბები (რისთვისაც შესაბამის გვერდებსაც მონიშნავს) მოჰყავს, როგორც ვახტანგ გორგასლის პიროვნების ჰიპერბოლიზაციის მაგალითი [Джуаншер Джуаншерияни, 1986: 159-179]. ამ დროს აშკარაა, ჯუანშერი პონტო-ქალაქს მის მიერ დასახელებული სხვა ქალაქებისგან რომ გამოარჩევს. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგანაც ჩანს ისიც, თუ როგორ წარმართავს იგი ამ ქალაქისადმი მკითხველის ყურადღებას.

შუა საუკუნეების ისტორიკოსი მხოლოდ პონტო-ქალაქთან დაკავშირებით მიიჩნევს საჭიროდ აღნიშნოს, რომ ეს არის პონტოს რეგიონის არა მხოლოდ დიდი, არამედ საზღვაო ქალაქიც. რაც შეეხება სხვა ქალაქებს, რომელსაც იგი პონტო-ქალაქთან კონტექსტში მოიხსენიებს, (ანძიაძორი, ეკლევცი და სტერი), იგი მათ შესახებ მსგავს ინფორმაციას არ გვაწვდის. ამ შემთხვევაშიც ჩანს ჯუანშერის პონტო-ქალაქისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება და ინტერესი.

ზემოთ უკვე ითქვა, რომ პონტო-ქალაქის სახელწოდების მატარებელი ქალაქი იმდენად კარგად იყო ცნობილი თანამედროვეთათვის, რომ ჯუანშერი საჭიროდ არ მიიჩნევს მის დაზუსტებას. ამ ლოგიკიდან უნდა გამომდინარეობდეს, რომ იგი ასევე არ მიუთითებს იმ ზღვის სახელწოდებასაც, რომლის სანაპიროზეც პონტო-ქალაქი მდებარეობდა. ბუნებრივია, საინტერესოა, თუ თანამედროვე მეცნიერები რომელ ქალაქს ხედავენ მასში. არანაკლებ საინტერესოა მისი განმარტება „ქართლის ცხოვრების“ ძველი და ახალი გამოცემების საკუთარ სახელთა საძიებლებში. მათი გაცნობისას მაშინვე აშკარა ხდება პონტო-ქალაქისადმი არაერთგვაროვანი, რაც მთავარია, არათანმიმდევრული დამოკიდებულება. საქმე ის არის, რომ გარკვეულ შემთხვევაში პონტო-ქალაქი საერთოდ უგულებელყოფილია. ასეა, მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ 2008 წლის ახალ გამოცემაში, რომლის გეოგრაფიულ სახელთა საძიებელში, აღნიშნული ქალაქი საერთოდ არ აისახა.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ აღრინდელ, აკადემიკოს ს.ყაუხჩიშვილის 1955 წლის გამოცემას, მან მართალია საგანგებოდ გაამახვილა პონტო-ქალაქზე ყურადღება და საკუთარ სახელთა შესაბამის საძიებელში კიდევაც მიუჩინა აღ-

გილი, მაგრამ პონტო-ქალაქის ლოკალიზაცია და განმარტება არ მოუცია (ქ. ცხ., 1955: 416). მოგვიანებით, ამავე მეცნიერის მიერ რედაქტირებული ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოს“-ის საკუთარ სახელთა საძიებელში პონტო-ქალაქი არ არის გამოტანილი, თუმცა ვახუშტი აღნიშნულ ქალაქთან დაკავშირებულ ამბებს ყურადღებას უთმობს [ბატონიშვილი ვახუშტი, ქ.ცხ., IV, 1971: 105]. საინტერესოა, რომ განსხვავებული სურათი გვაქვს „ქართლის ცხოვრების“ რუსულ თარგმანში, რომელიც ახალი, ქართული (2008 წლის) გამოცემის პარალელურად გამოვიდა. მის გეოგრაფიულ საძიებელში გარდა იმისა, რომ პონტო-ქალაქი დასტურდება, ის განმარტებულიცაა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ პონტო-ქალაქში იგულისხმება ტრაპიზონი [Джуаншер Джуаншерияни, 2008: 446, 448]. ამ თხზულების რუსულად მთარგმნელი, მოსკოვში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე გ.წულაიაა, რომელმაც აღნიშნულ გამოცემაზე ადრე ჯუანშერის თხზულების რუსული თარგმანი ცალკე წიგნად, კომენტარებითურთ გამოაქვეყნა. უკვე მაშინ მან გამოთქვა მოსაზრება, რომ პონტო-ქალაქში ტრაპიზონი იგულისხმებოდა [Джуаншер Джуаншерияни, 1986: 121. прим. 98].

„ქართლის ცხოვრების“ ახალ, რუსულ გამოცემაში, გ.წულაიამ უკვე საბოლოოდ მისაღებად მიიჩნია ეს შეხედულება და შესაბამისად, საძიებელში პონტო-ქალაქი განმარტა როგორც ტრაპიზონი [Джуаншер Джуаншерияни, 2008: 446].

პონტო-ქალაქისადმი ასეთი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მეტყველებს, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მას არც სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი და რაც მთავარია, მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის სიღრმისეულად არ არის გააზრებული. ამ დროს, და ზემოთ ეს უკვე ითქვა, ჯუანშერის პონტო-ქალაქთან დაკავშირებული ადგილების თუნდაც ზედაპირული გაცნობიდანაც ნათელია, თუ ამ ქალაქსა და მის გარშემო განვითარებულ მოვლენებს რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ისტორიკოსი. ასევე აღნიშნა, რომ შუა საუკუნეების ავტორი მიმართულებასა და გეზს გვაძლევს, როდესაც აქცენტს აკეთებს ქართული სახელმწიფოსთვის პონტო-ქალაქის როლსა და მნიშვნელობაზე. ამიტომაც ეს თემა აშკარად ერთერთი წამყვანი და მთავარი თემაა ჯუანშერის თხზულებისა, რაც კიდევ უფრო ზრდის ინტერესს ამ ქალაქისადმი, ხოლო თანამედროვე მკვლევართ განსჯისა და ანალიზისთვის უმნიშვნელოვანეს მასალას აწვდის. ეს ეხება არა მხოლოდ პონტო-ქალაქს, არამედ ზოგადად ჯუანშერის თხზულების მთლიანობაში გააზრებას.

აღნიშნული ცნობები ღირებულია იმ მხრივაც, რომ არა მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, არამედ შემდგომ პერიოდში მოღვაწე ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკისთვისაც არის მნიშვნელოვანი და ვფიქრობთ, მის ერთგვარ გასაღებასაც წარმოადგენს. მითუმეტეს, რომ ნაჩვენებია პონტო-ქალაქით არა მხოლოდ ვახტანგ გორგასლის, არამედ მისი თანადროული საერთაშორისო პოლიტიკის დაინტერესებაც, რომელშიც (შავ ზღვაზე დასამკვიდრებლადაც) ჩართული იყვნენ მაშინდელი დიდი ძალები ბიზანტიისა და სპარსეთის სახით.

ასეთ ფონზე კიდევ უფრო საინტერესოდ იკვეთება საქართველოს როლი და ვახტანგის წინაშე დასმული ამოცანები, რომელიც საამისოდ, ქვეყნის საშინაო და საგარეო ვითარების გათვალისწინებით, სხვადასხვა ხერხს მიმართავდა. მთელი ამ მასალის განზოგადებიდან ნათელი ხდება, რომ ვახტანგ გორგასალი იმ გეოპოლიტიკიდან ამოდიოდა, რაც საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავდა საქართველოს ისტორიის თავისებურებასა და მის ინტერესებს აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართ. პონტო-ქალაქიც, როგორც გავარკვეით, ამ აღმოსავ-

ლური და დასავლური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მიზანმიმართული და პროგრამული დატვირთვა ჰქონდა.

პონტო-ქალაქი ჯუანშერთან თავიდანვე საინტერესო და მნიშვნელოვან კონტექსტშია წარმოდგენილი, იქ, სადაც ვახტანგ გორგასლის პონტოში გალაშქრებაზეა საუბარი და პონტო-ქალაქის ალყაზე [ჯუანშერი, ქ.ცხ., I, 1955: 160]. არა ნაკლებ ყურადსაღებია ამ ცნობის გაგრძელებაც, სადაც პონტო-ქალაქთან მიმართებაში ბიზანტია-სპარსეთის მეტოქეობასთან დაკავშირებით, შექმნილ ვითარებაში, ნაჩვენებია ვახტანგის როლი, რასაც იგი, საერთაშორისო პოლიტიკის გათვალისწინებით, ქართული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე ასრულებდა [ჯუანშერი, ქ.ცხ., I, 1955: 170, 184, 240]. ჩანს, აგრეთვე, მისი დამოკიდებულება ამ ქალაქისა და მისი მცხოვრებლების, პონტოელების მიმართ, რაც მათდამი განსაკუთრებულ ზრუნვაში გამოიხატებოდა.¹

ტერმინი პონტო ლეონტი მროველთან ჩვენი კვლევისთვის საინტერესო კონტექსტში დასტურდება. ეს არის ქართული სამეფოს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც მირიან მეფისა და ნანა დედოფლის დაქორწინებას უკავშირდება. მასში ნათქვამია: „ხოლო მირიან მეფემან ჰმატა კეთილსა ქართველთასა, და მოიყვანა ცოლი საბერძნეთით, პონტოით, ასული ოლილოტოსისი, სახელით ნანა“ [ლეონტი მროველი, ქ.ცხ., I, 1955: 66].

მოყვანილი ნაწყვეტი ჩვენი კვლევისთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში საბერძნეთი პონტოს მხარეს გულისხმობს და ასეთი მაგალითები შუა საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში არაერთია. ცნობილია, რომ ქართული წერილობითი წყაროების თანახმად, საბერძნეთი, როგორც წესი, ბიზანტიაა, მაგრამ იმავე ქართული წყაროების თანახმად, გარკვეულ შემთხვევაში, საბერძნეთი პონტოსაც, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონს აღნიშნავს. ამიტომ, შუა საუკუნეების ავტორები ზოგჯერ საჭიროდ მიიჩნევენ მის ისეთ განმარტებას, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ, მირიანთან და ნანასთან დაკავშირებულ ტექსტშია მოცემული. მაგრამ იგივე ლეონტი მროველი, „მატიანე ქართლისას“ ავტორი და სხვები, საბერძნეთს პონტოს მნიშვნელობით ყოველგვარი განმარტების გარეშეც მოიხსენიებენ, ამდენად, თანამედროვეთათვის ის ამ შინაარსითაც კარგად იყო ცნობილი. კიდევ ერთ გარემოებაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. პონტო-ქალაქი, პირველ რიგში, რასაც ჯუანშერი საგანგებოდ აღნიშნავს, ამ რეგიონის საზღვაო ქალაქია. თუ პონტოსადმი, როგორც რეგიონისადმი ინტერესზე ვილაპარაკებთ, ამ ინტერესში პონტო-ქალაქიც უნდა ვიგულისხმოთ და თავისთავად ცხადია, ზოგადად საქართველოს საზღვაო ინტერესებიც. მითუმეტეს, რომ ჯუანშერი გვიჩვენებს ვახტანგ გორგასლის აღნიშნული ქალაქისთვის ბრძოლას, რაშიც მას დიპლომატიაც ჰქონდა ჩართული. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მეცნიერებმა გაცილებით მეტი ყურადღება დაუთმეს პონტო-ქალაქის ადგილმდებარეობის გარკვევასა და საკითხს, თუ რომელი ქალაქი შეიძლება მასში იგულისხმებოდეს, ვიდრე მის შესაბამის ისტორიულ კონტექსტში განხილვასა და მასთან დაკავშირებული მოვლენების ანალიზს.

ჯუანშერი, როგორც ეს უკვე აღინიშნა, იმ ზღვის სახელწოდებას, რომლის სანაპიროზეც პონტო-ქალაქი მდებარეობს, არ აზუსტებს, მაგრამ ცხადია, იგუ-

1 ვინაიდან ეს საკითხები ვახტანგ გორგასლის საზღვაო პოლიტიკისადმი მიძღვნილ წერილში საგანგებოდ გვაქვს განხილული [გაბაშვილი, 2009: 84-85], ამიტომ მას აღარ შევხებით და მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას დავეჯერდებით.

ლისხმება შავი ზღვა, რომელიც პონტოს რეგიონს ეკვროდა. ცნობილია, რომ ამ რეგიონმა მისცა შავ ზღვას მისი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახელწოდება „პონტოს ზღვა.“ ამდენად, „პონტოს“ როგორც სახელწოდებას თუ კი თავად რეგიონი და შავი ზღვა ატარებდა, არ არის გამორიცხული, ასეთივე სახელი მის სანაპიროზე მდებარე დიდ ქალაქსაც რომ რქმეოდა.

მაგრამ აქ კიდევ ერთ გარემოებაა საინტერესო, რომელიც წაადგებოდა პონტო-ქალაქის ლოკალიზაციის საკითხს. ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით გავარკვეით, რომ გარკვეულ კონტექსტში, როდესაც შავი ზღვის აღმნიშვნელი „პონტოს ზღვის“ პარალელურად უბრალოდ ზღვა გვხვდება (კონკრეტული სახელის მითითების გარეშე), მასში მისი სამხრეთი ნაწილი იგულისხმება. ასეა ლეონტი მროველთან [ლეონტი მროველი, ქ.ცხ., I, 1955: 74;]. მასთან შავი ზღვის ყველაზე გავრცელებული სახელი „პონტო“ (რომელშიც შავი ზღვის მთლიანი სივრცე იგულისხმება), ერთ კონტექსტში გვხვდება შავი ზღვის გარკვეულ მონაკვეთთან, კერძოდ, მის სამხრეთი ნაწილთან, რომელიც მარტივად ზღვად იწოდება. ასეა არა მხოლოდ ლეონტი მროველთან, არამედ შუა საუკუნეების სხვა ქართველ ავტორებთანაც [ჟამთააღმწერელი, ქ.ცხ., II, 1959: 304 და სხვა]. მაგრამ არ შეიძლება არ დაიბადოს შემდეგი კითხვაც. სამხრეთის ეს ნაწილი ზოგჯერ სახელითაც ხომ არ კონკრეტდება. როგორც იმავე ქართული წყაროების თანახმად ირკვევა მსგავსი შემთხვევები დასტურდება. ქართული წყაროების ამ კუთხით ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგ შემთხვევაში, შუა საუკუნეებში შავი ზღვის სამხრეთ ნაწილს „სპერის ზღვა“ ეწოდებოდა [ლეონტი მროველი, ქ.ცხ., I, 1955: 8, 9, 19...], რაც კიდევ უფრო საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ეს არის შავი ზღვის წმინდა ქართული სახელწოდება, რომელსაც მეცნიერები იბერიასა და იბერიელებს (სპერი, სასპერი) უკავშირებენ. ამგვარად, ირკვევა, რომ შუა საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიისთვის კარგად იყო ცნობილი „პონტოს ზღვის“ სამხრეთ ნაწილს „სპერის ზღვა“ რომ ეწოდებოდა. შავი ზღვის სახელწოდებების ასეთი ანალიზი კიდევ ერთი დამატებითი მასალაა პონტო-ქალაქის ლოკალიზაციისთვის, თუ კი სხვა საამისო მასალა არ გვექნებოდა.

ამასთან დაკავშირებით შემდეგი კითხვაც იბადება. იცნობს თუ არა თავად ჯუანშერი შავი ზღვის სამხრეთი ნაწილის აღმნიშვნელ სახელს. როგორც ირკვევა, იცნობს და ეს არის მისი წმინდა ქართული სახელწოდება „სპერის ზღვა“ [ჯუანშერი, ქ.ცხ., I, 1955: .205]. ასეთი მსჯელობით გამოდის, რომ პონტო-ქალაქი შავი ზღვის სამხრეთით მდებარეობდა. შესაბამისად, გვაქვს საფუძველი პონტო-ქალაქი „სპერის ზღვის“ სანაპიროზე გაშენებულ ქალაქად მივიჩნიოთ.

მრავლისმეტყველია, რომ აღნიშნული სახელწოდება იმ რეგიონიდან, ანუ სპერიდან (თანამედროვე ისპირი) მომდინარეობდა, საიდანაც წარმოშობით იყვნენ ბაგრატიონები. მათ პოლიტიკაში საზღვაო ინტერესებს გარკვეული ადგილი ეკავა, ხოლო სპერის რეგიონი ამ პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვან პლაცდარმად უნდა მივიჩნიოთ. ჯერ კიდევ ივ.ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ სპერის მხარე ტრაპიზონის რეგიონს გულისხმობდა. ასე იყო ეს ჯუანშერის დროსაც, რომელიც მიგვანიშნებს, რომ პონტო-ქალაქი „სპერის ზღვის“ სანაპიროზე იყო გაშენებული.

თავად „სპერის ზღვას“ (ანუ იბერიის ზღვას), როგორც ეს არაერთგზის ვუჩვენეთ სხვადასხვა გამოკვლევაში, შეესაბამება X საუკუნის სპარსელ ანონიმთან („ჰუდუდ ალ-ალამი“) რამდენჯერმე (9-ჯერ) დადასტურებული „ქართველთა ზღვა“ [Hudud al-'Alam, 1962: 13-14, 35, 50, 184-187, 189, 192; გაბაშვილი, 2009: 351-387].

შუა საუკუნეებში ამ რიგის, ანუ ქართველებთან და ქართველურ სამყაროსთან დაკავშირებულ სახელებს შორის, კიდევ უფრო ადრე გვხვდება „კოლხთა ზღვა“ [სტრაბონის გეოგრაფია, 1955: 109], რომელიც ძირითადად მის სამხრეთ ნაწილს ეწოდებოდა, მოგვიანებით კი (Xლს.) სპარსულ წყაროში უკვე „ლაზთა ზღვა“ დასტურდება [Берадзе, 1989: 14]. „ლაზთა ზღვა“ დასტურდება XIX საუკუნის სომეხ გეოგრაფთან მინას ბჟიშკიანთან (მინას მედიჩი) [კუტალიევილი, 1987: 217].

ამდენად, „კოლხთა ზღვა“ ისევე შეცვალა „ლაზთა ზღვამ“, როგორც მოგვიანებით „კოლხი“ და „კოლხეთი“ – „ლაზმა“ და „ლაზეთმა.“ ასე რომ, ქართველებითა და ქართველური მოდგმის ხალხით დასახლებული ეს რეგიონი, სხვადასხვა დროს, შავ ზღვას თავის სახელებს აძლევდა. პონტო-ქალაქი კი ჯუანშერის მინიშნების თანახმად, „პონტოს ზღვის“ სამხრეთით, „სპერის ზღვის“ სანაპიროზე მდებარეობდა, ანუ იმ რეგიონში, რომელიც ქართველებითა და ქართველური მოდგმის ხალხით იყო ცნობილი. ამითაც უნდა აიხსნას ვახტანგ გორგასლის განსაკუთრებული და მზრუნველი დამოკიდებულება პონტო-ქალაქისა და მისი მცხოვრებლების მიმართ. ეს იყო ქართველი მეფის მიერ კარგად გააზრებული და გათვლილი პოლიტიკა, რომელიც ამ რეგიონში ქართველური მოდგმის ხალხს ეყრდნობოდა. ჩვენი დაკვირვებით, ასეთი პოლიტიკა და მიდგომა შემდგომაც იყო ნიშანდობლივი ქართული სახელმწიფოს მესვეურთა მხრიდან. მით უმეტეს, რომ ქართველ მეფეთა ინტერესი ამ რეგიონისადმი ყოველთვის დიდი იყო. რაც მთავარია, მათი ეს პოლიტიკა თანმიმდევრულსა და პროგრამულ ხასიათს ატარებდა. ამაზე მინიშნებას „ქართლის ცხოვრება“ ვახტანგის მემკვიდრეების (დაჩისა და მირდატის) მაგალითზეც აკეთებს, რომელთა პოლიტიკასთან მიმართებაშიც ფიგურირებს „სპერის ზღვა“ [ჯუანშერი, ქ.ცხ., I: 205].

როგორც ითქვა, სპერის რეგიონი იგივე ტრაპიზონის მხარეა, რაც შავი ზღვის სახელწოდებაზეც აისახა. ნიშანდობლივია, რომ X საუკუნის უცხოურ, კერძოდ კი არაბულ წყაროებში შავი ზღვის სამხრეთ ნაწილს „ტრაპიზონის ზღვა“ ეწოდებოდა [Бейлис, 1969: 28]. მასუდი და არაბული გეოგრაფიული ლექსიკონის ავტორი იაკუთი საგანგებოდ აღნიშნავენ, რომ არაბებში „პონტოს ზღვა“ „ტრაპიზონის ზღვის“ სახელწოდებით იყო გავრცელებული [Бейлис, 1969: 12]. ამასთან, შუა საუკუნეებში, ამ პერიოდის შავი ზღვის ქალაქებს შორის, ქალაქი ტრაპიზონი ერთადერთია, ვის სახელსაც აღნიშნული ზღვა ატარებდა. მას ეხმაურება ქართული წყაროების „სპერის ზღვა“, ბერძნული წყაროს „კოლხეთის ზღვა“ და სპარსულ წყაროში დადასტურებული „ქართველთა ზღვა“ და სპარსული და სომხური წყაროების „ლაზთა ზღვა“.

ჩვენი აზრით, ქართველებთან და ქართველურ სამყაროსთან დაკავშირებული შავი ზღვის ეს სახელები (უმრავლეს შემთხვევაში შავი ზღვის სამხრეთი ნაწილის აღმნიშვნელი) შემთხვევით არ აისახება ქართულსა და უცხოურ წყაროებში, მაშინ, როდესაც ამ რეგიონში ქართული პოლიტიკის გააქტიურება შეინიშნება და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც Xლს. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესი იწყება. ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ ფაქტორზეც. კერძოდ, შავ ზღვასთან დაკავშირებული ყველა ეს ტერმინი (X-XIIIს.) ბიზანტია-საქართველოს დაპირისპირების ხანას ემთხვევა, რომლის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს ტრაპიზონი წარმოადგენდა. ამ დროს ადგილი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ ლაზების სეპარატისტულ მოძრაობას, რასაც ხელს საქართველო უწყობდა. ამ პროცესების დამაგვირგვინებელი თამარის მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსება იყო. ნიშანდობლივია, რომ ქარ-

თველების ხელშეწყობით ახლად დაარსებულ სახელმწიფოს პონტოს სამეფოც ეწოდებოდა.

აკად. ს.ყაუხჩიშვილს, „ქართლის ცხოვრების“ საკუთარ სახელთა საძიებელში, პონტო (გარკვეულ კონტექსტში) განმარტებული აქვს როგორც პონტოს სამეფო, ტრაპიზონის იმპერია [ქ. ცხ., II, 1959: 677]. ჟამთააღმწერლის თანახმად ტრაპიზონის იმპერატორებს პონტოს მეფეებიც ერქვათ [ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, 1959: 274]. თავის მხრივ, როგორც ეს კარგად არის ცნობილი, პონტოს მეფეებს ბიზანტიური წყაროები ლაზთა, ანდა კოლხთა მმართველებსაც რომ უწოდებდნენ.

პონტოს, ლაზეთისა და ტრაპიზონის ასეთი ურთიერთმიმართება, ცხადია, ქართული სამყაროსთვის კარგად ნაცნობი ძველი ტრადიციების გამოძახილიც იყო. ამიტომ არ უნდა იყოს გასაკვირი როგორც პონტო, ისე ლაზეთი (ლაზიკა) ქალაქ ტრაპიზონის სახელებს შორის რომ ასახულიყო.

აღსანიშნავია, რომ ქართულ წყაროში ერთგვარი მინიშნებაა ტრაპიზონისა და პონტოს ურთიერთმიმართების თაობაზე. „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ (XV საუკუნის მიწურულისა და XVI საუკუნის ამბების გადმოცემისას) ნათქვამია: „ამისა შემდგომად მოიძიეს სხუა ეპისკოპოზი და ჰპოვეს საზღვართაგან პონტოსათა, ქალაქით ტრაპიზონელი“ [ახ. ქ. ცხ. II, 1959: 483].

„საზღვართა პონტოსათას“ მიესადაგება „სამზღვარი მეგრელთაც“, რომელიც ასევე ტრაპიზონთან მიმართებაში გვხვდება [ჟორდანიას, I, 1892: 64]. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შუა საუკუნეებში, ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ ძეგლებში, ტრაპიზონის მხარის (ლეონტი მროველის ჩანართსა და სხვა წყაროებში) „მეგრელთა ქვეყნად“ მოიხსენიების ფაქტები [ლეონტი მროველი, ქ. ცხ., I 1955.: 38-39; გაბაშვილი, 1998: 145]. ტრაპიზონს სამეგრელოს სანახებს უწოდებს IX საუკუნის ისტორიკოსი, კონსტანტინოპოლის პატრიარქი (806-815წწ.), ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი [ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი, IV, ნაკვ., II, 1952: 208, შენ., 1].

ცნობილია, რომ „მეგრელთა ქვეყანა“ იგივეა, რაც ლაზეთი და ქალდიის მხარე (ქალდეა), რომელიც ქართული წყაროების მიხედვით ასევე ტრაპიზონია [იოვანე საბანის ძე, I, 1963: 59] კონსტანტინე პორფიროგენეტი (ბიზანტიის კეისარი 912-959წწ.), ქალდიას VIII თემაში ათავსებს, მის დედაქალაქად კი ტრაპიზონს ასახელებს [კონსტანტინე პორფიროგენეტი, IV, ნაკვ., II, 1952: 300]. მოგვიანო პერიოდის ბიზანტიელი ავტორი ლაონიკე ხალკოკონდილე (XV ს.), ტრაპიზონს „კოლხეთის ტრაპიზონს“ უწოდებდა [ლაონიკე ხალკოკონდილე, VIII, 93].

ქალდიას (ხალდია) პ.ინგოროყვა ტრაპიზონის მხარისა და ზოგადად მთელი სამხრეთ კოლხეთის სახელწოდებად მიჩნევდა [ინგოროყვა, 1954: 268].

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა ქალდიას ლაზეთთან, ლაზიკასთან აიგივებს, რაც ტრაპიზონის სახელზეც აისახა. ტრაპიზონს „ლაზიკის ქალაქს“ უწოდებენ სხვადასხვა პერიოდის ავტორები. ბიზანტიელები ეპიფანე მონაზონი (VIII ს. II ნახ.) და ნიკიფორე ქსანტოპულოსი (XIV ს.) [ნიკიფორე ქსანტოპულოსი, 1967: 114, 115]. ტრაპიზონს „ლაზიკის ქალაქი“ ეწოდებოდა შუა საუკუნეების არაბულსა და მოგვიანო პერიოდის თურქულ წყაროებშიც.¹ ევლია ჩელები (XVIII ს.), რომელიც ტრაპიზონს „ლაზიკის ქალაქს“ უწოდებს, მის მეორე სახელწოდებასაც აღნიშნავს – „ქალაქი ქვემო ბათუმი.“ ორივე ეს სახელ-

1 ტრაპიზონს ლაზების ენაზე ტამტრა ეწოდებოდა. ტოპონიმი ტრაპიზონი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ტრაპეჯუს“, რაც ნიშნავს მაგიდას.

წოდება, ზემოთ მოყვანილ სხვა სახელებთან ერთად, პირდაპირ კავშირშია ქართულ სამყაროსთან და მასთან სიახლოვეს ადასტურებს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ჯუანშერის მსგავსად ევლია ჩელებიც ტრაპიზონს დიდ ქალაქად მოიხსენიებს [ევლია ჩელები, 1971: 82]. ტრაპიზონს „ლაზიკის ქალაქად“ მოიხსენიებს ასევე თურქ ავტორ ქათიბ ჩელებთანაც (XVIII.) [ქათიბ ჩელები, 1968: 79].

როგორც ვხედავთ, ქართული მოდგმის ხალხთან – ლაზებთან დაკავშირებული ტრაპიზონის ეს სახელწოდება გვიან პერიოდშიც პოპულარული იყო.¹ მაგრამ ტრაპიზონთან და ტრაპიზონის რეგიონთან მიმართებაში მოხსენიებულ სახელებს შორის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული პონტოა, რომელიც მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ქართულ, აღმოსავლურსა და ევროპულ წყაროებში გვხვდება. ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა. პონტო ერთგვარი ორიენტირის როლსაც ხომ არ ასრულებდა ტრაპიზონისა და მის რეგიონთან დაკავშირებულ სხვადასხვა პერიოდში გავრცელებული სახელების მიმართ. იგივე კითხვა, კიდევ უფრო ადრე, გაგვიჩნდა „პონტოს ზღვასთან“ დაკავშირებითაც. მხედველობაში გვაქვს მისი შავი ზღვის სხვა სახელებთან მიმართება.

„პონტოს ზღვას“, ყველაზე პოპულარულ სახელწოდებას, უძველესი დროიდან მოყოლებული გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლით, როგორც გავარკვევით, განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. საქმე ის არის, რომ შავი ზღვის ახალი სახელების გაჩენისთანავე, გასაგები რომ ყოფილიყო თუ რომელ ზღვაზე იყო საუბარი მას, კარგად ნაცნობი სახელით, „პონტოთი“ განმარტავდნენ. ასეა სტრაბონიდან მოყოლებული, სადაც „კოლხეთის ზღვის“ პარალელურად „პონტოს ზღვაც“ დასტურდება. ასეა შუა საუკუნეების ქართულ და უცხოურ წყაროებში, სადაც „სპერის ზღვის“, „ლაზთა ზღვის“, „ტრაპიზონის ზღვის“, „ქართველთა ზღვისა“ და მოგვიანო პერიოდის „შავი ზღვის“ პარალელურად „პონტოს ზღვაც“ გვხვდება [გაბაშვილი, 2009: 356-359, 378].

ამგვარად, შავი ზღვის სახელების ცვლასთან დაკავშირებით, იმისათვის რომ გასაგები ყოფილიყო თუ რომელ ზღვაზე იყო ლაპარაკი, ორიენტირად „პონტოს ზღვა“ გამოიყენებოდა. მაგრამ, თუ კი პონტო ზოგადი სახელი იყო როგორც შავი ზღვის, ისე შავი ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიებისა, რომელშიც ლაზეთიც იგულისხმებოდა, რატომ არ შეიძლებოდა რომ ის ყოფილიყო ქალაქ ტრაპიზონის სახელწოდებაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა აგათია სქოლასტიკოსის (VII.) ცნობა, სადაც ტრაპიზონი პონტოს ქალაქად არის მოხსენიებული [აგათია სქოლასტიკოსი, 3, 1936: 96]. ს.ყაუხჩიშვილს, გეორგიკის აღნიშნული ტომის საძიებელში, შესაბამისი კონტექსტის თანახმად პონტო განმარტებული აქვს როგორც ქალაქი ტრაპიზონი. ამ მხრივ ასევე საინტერესოა, VI საუკუნის ავტორის, პროკოფი კესარიელის შემდეგი ცნობა. მასში ნათქვამია: „ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პონტოელები ვიდრე ტრაპეზუნტის ქალაქამდე და მის საზღვრებამდე. აქ სხვა ზღვისპირა ქალაქებს შორის არის სინოპი და ამისე...“ [პროკოპი კესარიელი, 2, 1965: 121].

როგორც ვხედავთ, მოყვანილ ნაწყვეტში პონტოელები ტრაპიზონთან არიან დაკავშირებულნი, სინოპი კი ცალკე დგას, რასაც შემდეგი ფაქტორის გამო აღვნიშნავთ. მართალია მკვლევართა უმრავლესობა პონტო-ქალაქში ტრაპიზონს ხედავს (გ.წულაია, ნ.ნიკოლოზიშვილი...), რაც ძირითადად ფაქტის კონსტანტა-

1 აღსანიშნავია, რომ ადრეულ ხანაში, მკვლევართა ნაწილი, ამ მხარის მცხოვრებლებს (კაპადოკიელებს, რომლებსაც პონტოელებსაც უწოდებდნენ) ქართულ სამყაროს უკავშირებდა. VII საუკუნის ავტორის, იოანე ანტიოქელის ცნობით კაპადოკიის ქალაქი ტრაპიზონი იყო [გეორგიკა, IV, თბ., 1941: 11].

ციას არ გასცდენია, მაგრამ გამონაკლისთანაც გვაქვს საქმე. ვ.გოილაძემ პონტო-ქალაქში სინოპი მოიაზრა. მანვე განაზოგადა და ისტორიულ კონტექსტში განიხილა ამ ქალაქთან დაკავშირებული მოვლენები. მაგრამ, ვინაიდან მან პონტო-ქალაქში სინოპი დაინახა, ამან სხვა მიმართულებით წარმართა მისი მსჯელობა [გოილაძე, 1991: 136].¹

აღსანიშნავია, რომ ზემოთ მოყვანილი ავტორები, ვისთანაც პონტო-ქალაქი ტრაპიზონია (ისევე როგორც პონტოელების ქალაქი), ახლოს დგანან ჯუანშერის მიერ აღწერილ მოვლენებთან. მასთან კიდევ უფრო ახლოსაა V საუკუნისა და VI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი ისტორიკოსი ზოსიმე, რომლის თანახმადაც ზღვის პირას მდებარე ტრაპიზონი დიდი და ხალხმრავალი ქალაქია [ზოსიმე, I, 1961: 269]. ზოსიმეს ეს ცნობა ძალიან ჰგავს ჯუანშერისეულ პონტო-ქალაქის დახასიათებას. ორივე ავტორის თანახმად, საქმე გვაქვს ზღვისპირა დიდ ქალაქთან.

V საუკუნეში ტრაპიზონის ხალხმრავლობა და სიდიდე, ცხადია, ტრაპიზონის დიდი საერთაშორისო სავაჭრო კავშირებით იყო გაპირობებული, რაც მიმზიდველი უნდა ყოფილიყო როგორც ვახტანგ გორგასლის, ისე მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკისთვის.

მაგრამ არსებობს თუ არა დამატებითი მასალა, რომელიც წაადგებოდა მოყვანილ არგუმენტებს, რომ პონტო-ქალაქი ტრაპიზონია. როგორც ამ ბოლო დროს გაირკვა ასეთი მასალა დასტურდება. ნ.ნიკოლოზიშვილმა, რომელიც არ იზიარებს ვ.გოილაძის ამ შეხედულებას, გამოაქვეყნა სტატია, სადაც აღნიშნა, რომ ვ.გოილაძეს არ გაუცია პასუხი უმთავრეს კითხვაზე: იწოდება კი სადმე, თუნდაც ერთ წყაროში, სინოპი პონტო-ქალაქად, მაშინ როდესაც ბერძნული და სომხური წყაროების თანახმად, ტრაპიზონი, ზოგჯერ პონტოს სახელით გვხვდება. საამისოდ ნ.ნიკოლოზიშვილს მოჰყავს 1986წ. სომხურ ენაზე გამოცემული „სომხეთისა და მიმდებარე რეგიონების ტოპონიმთა ლექსიკონი“ [ნ.ნიკოლოზიშვილი, 2008: 98]. აღსანიშნავია ასევე, რომ 2001წ. სომხურ ენაზე გამოცემულ ტოპონიმთა ლექსიკონში პონტო იგივე ტრაპიზონია. ტრაპიზონის სახელწოდებათა ვარიანტთა ჩამონათვალში, პონტო დასტურდება, როგორც ერთადერთი განსხვავებული სახელწოდება (ტრაპიზონ, ტრაპზუნ, ტრაპზონ, პონტო, ტრაპეზონდ, ტრაპეზოს, ტრაპეზუნდ, ტრაპეზუნტ, ტრაპიზონდ“) [ნ.ნიკოლოზიშვილი, 2008: 99]. მაგრამ ფაქტის კონსტატაციასთან ერთად, აქვე აუცილებელია განიმარტოს თუ რით იყო გაპირობებული სომხების აშკარა ინტერესი ტრაპიზონის სახელწოდებებისადმი. საქმე ის არის, რომ როგორც არშაკიდების, ისე ბაგრატიდების ეპოქაში წამყვანი ფუნქცია მიენიჭა გზას, რომელიც სომხეთის ქალაქებს ტრაპიზონს უკავშირებდა. მკვლევართა აღიარებით (ნ.მარი, ა.მანანდიანი...) შუა საუკუნეების სომხური ქალაქების ზრდის (ზოგიერთის წარმოშობის), შემოსავლებისა და სიმდიდრის ერთ-ერთი უმთავრეს წყაროს უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სავაჭრო ცენტრთან, ტრაპიზონთან ვაჭრობა წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებრივია სომხებისთვის, რომლებიც ტრაპიზონის საშუალებით ლევანტის საერთაშორისო

1 მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე რომ თამარმა ტრაპიზონის იმპერიის დაარსებისას, სხვადასხვა ქალაქი, მათ შორის ტრაპიზონთან ერთად სინოპიც აიღო, მაგრამ თავისი საზღვაო პოლიტიკის ცენტრად (მაშინ როდესაც საქართველო ახლო აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა), ტრაპიზონი და არა სინოპი აირჩია [ბასილი ეზოსმოდლუარი, ქ.ცხ., II, 1959: 142]. ამის მთავარი მიზეზი, ლაზური მოსახლეების გარდა, ტრაპიზონის საქართველოსთან სიახლოვეც იყო და ტრაპიზონთან დაკავშირებული ტრადიციული პოლიტიკა.

სო ვაჭრობაში მონაწილეობდნენ, ტრაპიზონი განსაკუთრებული დაკვირვების ობიექტს რომ წარმოადგენდა [გაბაშვილი, 2002: 258]. შესაბამისად, ყველაფერი რაც ტრაპიზონს უკავშირდებოდა, ტრაპიზონის სახელების ჩათვლით, სომხებში დიდ ინტერესს იწვევდა. ამიტომაც ბუნებრივია, რომ მათ ტრაპიზონის სახელწოდების სხვადასხვა წაკითხვასთან ერთად (ტრაპზუნ, ტრაპეზონდ და სხვა) „პონტოს“ სახით მისი განსხვავებული სახელიც მოგვაწოდეს. აღნიშნული სახელწოდების ზემოთ მოყვანილ კონტექსტში დადასტურება მეტყველებს, რომ ტრაპიზონის შემდეგ ეს იყო ამ ქალაქის ყველაზე პოპულარული და გავრცელებული სახელწოდება, რაც კარგად იცოდნენ ტრაპიზონთან ინტენსიური მიმოსვლითა და ვაჭრობით დაკავშირებულმა სომხებმა.

ვფიქრობთ, კიდევ ერთი გზა არის იმის დასასაბუთებლად, რომ პონტო-ქალაქი ტრაპიზონია. ეს არის არტანუჯის საკითხი. მხედველობაში გვაქვს, როგორ და რამდენად უკავშირდება ვახტანგ გორგასლის მიერ მისი დაარსება პონტო-ქალაქისადმი წარმართულ პოლიტიკას. ვინაიდან ამის შესახებ სტატია გვაქვს დასაბეჭდად გადაცემული, აქ მხოლოდ გაკვრით შევნიშნავთ, რომ არტანუჯის დაარსება და პონტო-ქალაქის პოლიტიკა აშკარად ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია. საკითხისადმი ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს ახლებურად დავსვათ და გავიაზროთ არტანუჯის დაარსების დრო და პირობები, რომელიც თავიდანვე პონტო-ქალაქზე, ანუ ტრაპიზონსა და მასთან დაკავშირებულ პოლიტიკაზე იყო ორიენტირებული. მხედველობაშია აგრეთვე მისაღები, რომ ტრაპიზონი, არტანუჯი და ვახტანგ გორგასლის მიერ დაარსებული თბილისი, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, ჩრდილოეთ ლევანტის საერთაშორისო მაგისტრალის საკვანძო პუნქტებს წარმოადგენდნენ. არ არის შემთხვევითი, რომ ჯუანშერი ყურადღებას ამახვილებს გზებზე („პონტოს დიდი გზა“, „აღარბადაგანის გზა“ და სხვა) [გაბაშვილი, 2009: 89].

ამგვარად, სხვადასხვა მასალის ანალიზისა და შეჯერების შედეგად გვაქვს საფუძველი, რომ პონტო-ქალაქში ტრაპიზონი ვიგულისხმობთ.

საკითხის დასმა, რომ პონტო-ქალაქი ტრაპიზონია მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი, როგორც საქართველოს ისტორიის, ისე მაშინდელი საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით, ვინაიდან სხვადასხვა პრობლემის ახლებურად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ქართული პოლიტიკის რეალური მასშტაბი, ასევე ვახტანგ გორგასლის პოლიტიკის ახლებური ინტერპრეტაცია და გააზრება (მაგალითად, არტანუჯის დაარსების საკითხი), რომლის თანახმადაც გამოდის, რომ ტრაპიზონის პოლიტიკას (რომელზეც საქართველოს საზღვაო ინტერესები იყო ორიენტირებული), საფუძველი არა დავით აღმაშენებლის დროს (ასეა მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში), არამედ ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს ჩაეყარა. თუმცა არსებობს ნიშნები, რომ მას გაცილებით ადრეც უნდა ჰქონოდა ადგილი, რაც ასევე ცალკე კვლევას ითხოვს. ამდენად, პრობლემის ასე დასმა ვახტანგს თამარის აღმოსავლური და დასავლური მასშტაბური პოლიტიკის წინამორბედად ხდის, რომლის შემადგენელ ნაწილსაც ტრაპიზონიც წარმოადგენდა. როგორც ჩანს, ეს კარგად უნდა ჰქონოდათ გაცნობიერებული შუა საუკუნეებში. ამის დასტურად მიგვაჩინია, თამარის მიერ ვახტანგ გორგასლის სახელის გამიზნულად წინ წამოწევა და მინიშნება ვახტანგის პოლიტიკის იმ მემკვიდრეობაზეც, რომელიც ტრაპიზონსა (1204წ.) და სპარსეთზე (1210წ.) იყო ორიენტირებული.

პონტო-ქალაქის ტრაპიზონთან დაკავშირება ასევე ვახტანგ გორგასლის კონსტანტინოპოლზე შესაძლო ლაშქრობის [ჯუანშერი, ქ.ცხ., I, 1955: 170-171]

რეალობაში გარკვევის საშუალებასაც იძლევა (456წ.), რასაც არაერთი მკვლევარი სკეპტიკურად უყურებს. პონტო-ქალაქი, ამ შემთხვევაშიც, პრობლემაში წვდომის ერთგვარ გასაღებს წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი ყურადღება მიიპყრო პონტო-ქალაქის კონსტანტინოპოლთან ერთად ერთ კონტექსტში დადასტურების ფაქტმაც, რომელშიც გარკვევის შედეგად საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი იხსნება. რაც მთავარია, ამ კუთხითაც, ახალი პარალელების გავლება შეიძლება ვახტანგისა და თამარის იმ პოლიტიკას შორის, რომელიც მან ორ ეტაპად დაჰყო და ძმებს შორის, ალექსისა და დავით კომნენოსებს შორის გადაანაწილა. ალექსი თუ თამარმა მყარად დასვა ტრაპიზონის ტახტზე, კონსტანტინოპოლისკენ ლაშქრობა დავით კომნენოსს დაავალა [გაბაშვილი, 2001: 182-184].

მრავლიმეტყველია, რომ პონტო-ქალაქთან დაკავშირებით ჯუანშერი ფაქტობრივად იგივე სქემას გვაწვდის, რაც ვახტანგ გორგასლის შემდგომაც, მის მემკვიდრეებში (საშინაო და საგარეო ვითარების გათვალისწინებით) მეტნაკლები წარმატებით მუშაობდა. პირველ რიგში, ეს ეხება საქართველოს აღმოსავლურსა და დასავლურ პოლიტიკას, რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილსაც, ტრაპიზონზე ფოკუსირებული საზღვაო ინტერესები შეადგენდა. ჯუანშერის პონტო-ქალაქთან დაკავშირებული მასალის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე კარგად ჩანს, რამდენად შუა საუკუნეების ისტორიკოსი კარგად ერკვეოდა საქართველოს წინაშე დასმულ გეოპოლიტიკურ ამოცანებში. მისი ცნობების ამგვარი გააზრებით იცვლება ჯუანშერის ცნობებისადმი დამოკიდებულებაც, რაც აქარწყლებს მისდამი უნდობლობას. ამის საფუძველს მკვლევართ პონტო-ქალაქიც აძლევდა, კერძოდ, ის ფაქტი, რომ პონტო-ქალაქთან დაკავშირებული ამბები მათ არარეალურად მიაჩნდათ. როგორც აღინიშნა, მასში გარკვევა მხოლოდ მეცნიერების განვითარების გარკვეულ ეტაპზე გახდა შესაძლებელი, რამაც დაგვანახა ჯუანშერის ცნობების რეალისტური ხასიათი, რომელიც მას იმდენად დაწვრილებითა და საქმის ცოდნით აქვს გადმოცემული, რაც მხოლოდ მოვლენების თვითმხილველსა და თანამედროვეს თუ შეეძლო.

ჯუანშერის თხზულების ახელეწიფი ამეტყველება, რაშიც პონტო-ქალაქს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, მისი ძირითადი ნაწილის V საუკუნით გადათარიღების საფუძველსაც იძლევა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აგათია სქოლასტიკოსი, *გეორგიკა*, ტ. 3., ტფ., 1936.
2. ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ტექსტი დადენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, IV, თბ., 1973.
3. ბერძენიშვილი, ნ. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, V, თბ., 1971.
4. გაბაშვილი, მ. ტრაპიზონი ქართული წყაროების მიხედვით, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, სერია, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ., 1998, №327.
5. გაბაშვილი, მ. *ტრაპიზონის საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი X-XIII საუკუნეებში*, თბ., 2002.
6. გაბაშვილი, მ. თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, *საიუბილო კრებული „ვალერიან გაბაშვილი 90“*, თბ., 2003.

7. გაბაშვილი, მ. ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები – დავით კურაპალატი, საიუბილეო კრებული „თამარ გამსახურდია 70“, თბ., 2007.
8. ვახტანგ გორგასლის საზღვაო პოლიტიკის ისტორიისათვის, საიუბილეო კრებული „როინ მეტრეველი 70“, თბ., 2009.
9. გაბაშვილი, მ. „ქართველთა ზღვა“ „პუდუდ ალ“ალამის“ მიხედვით, კრებული „სამეცნიერო პარადიგმები“ კრებული ეძღვნება პროფესორ ნათელა ვაჩნაძეს, თბ., 2009.
10. გოილაძე, ვ. ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, თბ., 1991.
11. ზოსიმე. გეორგიკა, I, თბ., 1965.
12. ინგოროყვა, პ. გიორგი მერჩულე, თბ., 1954.
13. იოანე ანტიოქელი, გეორგიკა, IV, ნაკვ., I, თბ., 1940.
14. იოანე ლიდე, გეორგიკა, 2, თბ., 1965.
15. ისტორიანი და აზმანი, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
16. კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ., II, თბ., 1952.
17. კუტალეიშვილი, ზ. ნაოსნობა საქართველოში, თბ., 1987.
18. ლაონიკე ხალკოკონდილე, გეორგიკა, VIII, თბ., 1970.
19. ლეონტი მროველი, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
20. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ., II, თბ., 1952.
21. ნიკიფორე ქსანტოპულოსი, გეორგიკა, VII, თბ., 1967.
22. ნიკოლოზიშვილი, ნ. ანძიაძორის ლოკალიზაცია და მისი მნიშვნელობა ქართლის სამეფო ისტორიისათვის, საისტორიო ძიებანი, თბ., 2008.
23. პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, 2, თბ., 1965.
24. ჟამთაალმწერელი, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959.
25. ჟორდანია, თ. ქრონიკები, I, ტფილისი, 1892.
26. ჟორდანია, ე. ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ქართული წყაროები, ბიზანტია ქართულ წყაროებში, თბ., 2010.
27. სტრაბონის გეოგრაფია (ცნობები საქართველოს შესახებ), ტექსტის თარგმანი და კომენტარები თ.ყაუხჩიშვილის, თბ., 1955.
28. ქათიბ ჩელები, გ. ფუთურიდის გამოცემა, თბ., 1971.
29. ჯუანშერი, „ქართლის ცხოვრება“ ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
30. Bryer, A. David Komnenos and Saint EluTherios, AP, 42, 1988-1989
31. Hudud al - 'Alam, Min al-Mashriq ila al-Maghrib, Compiled in 982-3 A.D. = 372, A.H. Edited by Sotoodeh, M. Tehran University Press, 1962.
32. Бейлис, В.М. Сведения о Черном море в сочинениях арабских географов IX-X вв., Сб. Ближний и Средний Восток, М., 1969.
33. Берадзе, Т.Н. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тбилиси, 1989.
34. Джуаншер Джуаншериани, Жизнь Вахтанга Горгасала, Перевод введение и примечания Цулая, Г.В. Тб., 1986.
35. Джуаншер Джуаншериани, Жизнь Вахтанга Горгасала, Картлис Цховреба, глав. ред. Р. Метревели, Тб., 2008.

აფშილნი ებროსისანი

„ეგრისის ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთის“ სამეფოში მოსახლე ტომთა შორის აფშილები და აბაზგები მკვლევართა განსაკუთრებულ ცნობისწადილს იწვევენ, რადგანაც სწორედ ამ ორი ტომის ეთნიკური რაობის გარკვევა იძლევა შესაძლებლობას, რათა დავადგინოთ, ვისი წინაპრები იყვნენ ისინი, აფსუა-აფხაზეცების, რომლებიც დღეს აცხადებენ, რომ აფხაზეთის მკვიდრნი არიან, თუ ქართველი ერის. მეცნიერული კამათი ამ პრობლემის თაობაზე არა ერთ ათწლეულს გრძელდება და დღემდე არ დასრულებულა.

აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხით მრავალი ქართველი მკვლევარი იყო დაინტერესებული. ერთნი (ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა, ქ. ბერძენიშვილი, დ. მუსხელიშვილი, ნ. აფხაზავა და სხვ.) აფშილებს ერთ-ერთ ქართველ ტომად მიიჩნევენ. სხვანი კი (ნ. ლომოური, გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე, მ. ინაძე და სხვ.) აფშილთა ტომს დღევანდელი აფსუა-აფხაზეცების წინაპრად აღიქვამენ. ის ისტორიკოსები და ენათმეცნიერები, რომლებიც მკვლევართა მეორე ჯგუფს განეკუთვნებიან და აფშილებს აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ხალხად აღიარებენ, ამ ტომს დღევანდელ აფხაზეცებთან მათი თვითსახელის „აფს“-ძირის გამო აკავშირებენ. მათგან ცალკე გვსურს გამოვყოთ მ. ინაძის თვალსაზრისი, რადგანაც მკვლევარმა ეს საკითხი ყველაზე უფრო მეტად განავრცო. მ. ინაძის აზრით: „აფხაზურ-ადიღეური ტომის აფსილების ხანგრძლივი ყოფნა ქართული მოსახლეობის გარემოცვაში უთუოდ ზეგავლენას ახდენდა მათ ენასა და კულტურაზე. ერთის მხრივ აფსილების და სვანების თანაარსებობის შედეგად ამ ორი ტომის მოსაზღვრე ტერიტორიაზე წარმოიშვა მისიმიანთა გაერთიანება, რომელშიც წამყვანი ეთნიკური ელემენტი სვანთა ერთ-ერთ ტომს უნდა ჰქონოდა. მეორეს მხრივ, აფსილთა სამოსახლოს სამხრეთ ნაწილში, სადაც ისინი ლაზთა სამეფოს ესაზღვრებოდნენ, მიმდინარეობდა ლაზ-აფსილთა შერწყმის პროცესი, რაც გამოიხატა აფსილთა გალაზებით უკვე VI ს.-თვის [მ. ინაძე, 1992, №2, 55-56]. მისივე აზრით, საწინააღმდეგო პროცესი მიმდინარეობს აფსილთა ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით, რაც ჯერ იწყება აფსილთა და სანიგთა ერთმანეთში შეკავშირებით, ხოლო შემდგომ, ახ.წ. VI ს.-თვის მათი და აბაზგთა თანაარსებობით, რის შედეგადაც აბაზგები VIII ს.-დან საკუთარ ფარგლებში აქცევენ აფსილებს (ჩაჩის ტომის გარდა) და აფშილეთის ქალაქი ცხუმი აფხაზეთის ქალაქი ხდება. „ამიერიდან აფხაზეთის მოსახლეობა ორი სხვადასხვა სახეობისა ჩანს. პირველი – ბარის, ანუ სანაპირო ზოლის მცხოვრებნი – ძველთაგანვე ქრისტიანული, ქართული კულტურის ძლიერი გავლენის ქვეშ მყოფი, გალაზების გზაზე მდგომი აფსილები და ზანური წარმომადგენლობის სანიგები. მეორე – მთიანი ზონის მოსახლეობა, მეტწილად ნაკლებ განვითარებული აფხაზურ-ადიღეური ტომები. ამასთან, აფსილთა ენის გავლენა მთის აბაზგ-აფხაზთა ენაზე უფრო ძლიერდება და აბაზგთა ძველი ენა განიცდის შევიწროვებას, მასში დიალექტები ჩნდება, რაც მთავარია, აბაზგთა ტომები ითვისებენ აფშილთა ტომის სახელწოდებას და აქედან მთელი აფხაზური მოსახლეობის თვითსახელი ხდება „აფსუა“ [მ. ინაძე, 1992, №2, 60-61].

იმ მკვლევართა შორის, რომელნიც აფშილებს ქართველებად აცხადებენ, გვსურს თავდაპირველად ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება წარმოვაჩინოთ. მართა-

ლია, მას საკითხი სპეციალურად არ შეუსწავლია, მაგრამ აფშილებს იგი რამდენიმეგზის ახსენებს. ერთგან მკვლევარი წერს: „როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებს და სვანებს“. სხვაგან კი დევ, როდესაც ქართველ ტომთა გადაადგილების შესახებ საუბრობს, ამბობს: „საფიქრებელია, რომ კავკასიაში პირველად ის ქართველი ტომები უნდა მოსულიყვნენ, რომელნიც ისტორიულად კარგად ცნობილ დროში დანარჩენებზე ჩრდილოეთით ბინადრობდნენ. მაშასადამე, ჯერ აფხაზ-აფშილები, სვანები, თუშები და სხვა მთიელები, შემდეგ კოლხები და კასხები“ [ივ. ჯავახიშვილი, 1951, 420, 428]. როგორც ვხედავთ, მკვლევარი აფშილებსა და აფხაზებს ქართველ ტომებად, თანაც მთიელ ქართველებად მიიჩნევს.¹

იმავე აზრისა იყო პ. ინგოროყვა. მისი თქმით, სახელწოდება აბსილეთი მომდინარეობს სატომო სახელიდან ბასილი, საიდანაც შემდეგ აბსილთა ტომის სახელი დამკვიდრდა. ბასილები მესხი ტომისანი იყვნენ. მკვლევარი გეოგრაფიულ ნომენკლატურას, ქართულ გვარ-სახელებსა და სომხურ წყაროთა მონაცემებს ეყრდნობა [პ. ინგოროყვა, 1954, 140-145].

ქ. ბერძენიშვილი წებელდის რაიონში აღმოჩენილი კერამიკული ჭურჭლის შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ ეს მასალა კიდეც ერთი დამადასტურებელი არგუმენტია აბსილთა ქართველობის წარმოჩენისთვის [ქ. ბერძენიშვილი, 1959, 95-108].

მკვლევარი ნ. აფხაზავა ლინგვისტური მონაცემების (ოსურ ენაში არსებული ქართული სიტყვები) ანალიზით ვარაუდობს, რომ „აფსილ-აფშილები ქართველური მეგრულენოვანი ტომია, ვისგანაც ალან-ოსებს „მეგრელიზმი“ შეუთვისებიათ“ [ნ. აფხაზავა, 1998, 6-13].

აკად. დ. მუსხელიშვილი სიტყვა „აფშილი“-ს მორფოლოგიური ანალიზისა და აფშილთა შესახებ არსებული ისტორიული ცნობების საფუძველზე აფშილებს „ერთ-ერთ დასავლურ-ქართულ ტომად მიიჩნევს, რომელიც გვიან საუკუნეებში „ნაწილობრივ აბსოლუტურად შეერწყა მეგრელებს, ნაწილობრივ კი გააფხაზდა“ [დ. მუსხელიშვილი, 2000, 17-23]. ერთი სიტყვით, აფშილთა რაობის თაობაზე ერთიანი აზრი არ არსებობს. ერთადერთი, რაც კამათს არ იწვევს, ის არის, რომ მკვლევართა აზრით, აფშილები თავინათ სამკვიდრო ადგილებში I საუკუნეზე ადრეც უნდა ყოფილიყვნენ და მათი არსებობა წინარე ხანიდან იღებს სათავეს. ამასთან, მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც აფშილებს აფხაზურ-ადიღურ ეთნოსს მიაკუთვნებს, ფიქრობს, რომ ისინი იგულისხმებიან ხსენებული რეგიონის იმ მრისხანე სტიქიაში, რის შესახებაც წყაროებში კონკრეტული ცნობები შემონახული არ არის. მეორე ნაწილი კი ვარაუდობს, რომ აფშილები უფრო ადრეულ პერიოდში ნახსენები სხვა ქართველი ტომის (ბასილები) სახელწოდებით არსებობდნენ. მეტიც, პ. ინგოროყვას აზრით, აბსილების მოსახლეობა იყო ნარევი ორი ქართველი ტომისა – აფხაზეთის მესხების (ბასხი-ბასილი) და აფხაზეთის კოლხების (კორახები).

იმის გამო, რომ მკვლევარნი აფშილთა ეთნიკურობას ერთ-ერთ არსებით და მნიშვნელოვან საკითხად აღიარებენ, ამასთან, იგი ამომწურავად შესწავლილი

1 აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილი ზემოთქმულს წერდა საბჭოთა იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიამდე, ანუ სანამ მკვლევარნი საბჭოურ-იდეოლოგიური წნევისგან თავისუფალი იყვნენ. შემდგომ, როდესაც ამ იდეოლოგიურმა ზეწოლამ იმძლავრა, ივ. ჯავახიშვილი ერთგვარად არბილებს თავის ნათქვამს და 1920-იანი წლების ბოლოს, ნ. მართან კამათისას აღნიშნავს, რომ აფხაზები არა ქართველებად, არამედ მონათესავე ხალხად ესახებოდა [ივ. ჯავახიშვილი, 1979, 152].

არ არის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტომის თაობაზე არსებული ყველა სახის მასალის კიდევ ერთხელ შეჯერება და გაანალიზება.

გვიანანტიკური და შემდგომი ხანის წყაროებში შემონახულია ცნობები აფშილთა ადგილმოსახლეობის, აღმსარებლობის, ეთნიკური კუთვნილების, სამეტყველო ენისა და სხვ. შესახებ. ვინაიდან ბერძნულ-რომაული წყაროები ქართულ და სხვაენოვან მათიანეებთან შედარებით უფრო ძველია, უპირველესად ამ წყაროთა მონაცემებს მოვიხმობთ. პლინიუს უფროსი (I ს.) პირდაპირ მიუთითებს, რომ აფშილები ეგრისში მკვიდრობდნენ: „...სვანთა მხარეზე გავლით კავკასიიდან მოედინება მდ. ხობი. შემდეგ – როანი, კევრიტიკეს მხარე, მდინარეები სიგანია, თერსოსი, ასტელეფოსი, ქრისოროასი, აბსილთა ტომი, სებასტოპოლის ციხე-სიმაგრე... სანიგების ტომი, ქ. კიგნუმი, მდინარე და ქალაქი პენიუსი, დაბოლოს ჰენიოხთა ტომები...“ [Латышев В. В., 1904, 179]. ამრიგად, რომელი აფტორი აფშილებს კოდორ-კელასურის მდინარეებსა და ქ. ცხუმს შორის ათავსებს. II ს.-ის აფტორი არიანეც განსაზღვრავს პონტოს ზღვისპირას აფშილთა ადგილსაცხოვრის: „ლაზების მეზობლები აფსილები არიან... აფსილების მეზობლები აბასკები არიან“ – ამბობს იგი. თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს არიანეს ნათქვამს V ს.-ის ანონიმეც [გეორგიკა, 1965, 8]. შემდგომი ხანის ბიზანტიურ წყაროშიც ნათქვამია, რომ აფშილეთის მიწიდან შეიძლება ზღვის სანაპიროზე გასვლა: „რომელთა ჯარის უფროსი დაიძრა აფსილიისკენ, იქიდან ჩავიდა ზღვის სანაპიროზე და იუსტინიანესთან გადაცურა [გეორგიკა, 1941, 110]. ქართულ წყაროში პირდაპირაა მითითებული, რომ VIII ს.-ში ქ. ცხუმი აფშილეთის ქალაქია: „და ვითარცა შეველო ყრუმან კლისორა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა და შემუსრა ქალაქი აფშილეთისა ცხუმი და მოადგა ციხესა ანაკოფისასა...“ [ქ. ცხ; 234].¹ „სომხურ გეოგრაფიაში“ აფშილები ასევე ზღვის სანაპიროზე ჩანან განსახლებულები: „ბულგარებსა და პონტოს ზღვას შორის ცხოვრობენ ხალხები: გარშები, კუტები და სვანები ქ. პიტიუნტამდე, რომელიც აბაზგთა ქვეყნის სანაპიროზეა და სადაც აფშილები და აბხაზები თავიანთ სანაპირო ქალაქ სებასტოპოლისამდე სახლობენ...“ [Армянская география, 1883, 29]. ამავე სახის ცნობას შეიცავს ერთი არაბული წყაროც, რომელსაც მ. ბროსე ეყრდნობა ლაზიკის შესახებ საუბრისას: „ვიდაც გურჯელი მეფე, რომელიც აფსილიიდან მოსული ფოთში ხომალდში ჩამსხდარიყოს და აქედამ სისში და პტოლემაიდაში გამგზავრებულიყოს“ [მ. ბროსე, 1989, 157]. ალბათ, VI ს.-ის ეგრისში წარმოებული ომის გამო „კულბაზ მეფის შვილს გურჯელ მეფეს“ ქ. ცხუმის ნავმისადგომით ვერ უსარგებლია და ფოთიდან გამგზავრებულა მცირე აზიისკენ.

მაგრამ აფშილები მხოლოდ სანაპირო ზოლის მკვიდრნი როდი იყვნენ, იუსტინიანე (VI ს.) თავის „ნოველებში“ მათ ეგრისის მთიანი ზოლის ტომთა შორის ჩამოთვლის: „ამ (ჭანთა) ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებულნი არიან სხვა ტომებიც: სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვ.“ [გეორგიკა, 1965, 37]. მენანდრე პროტიქტორატის თანახმად აფშილეთში მისვლა შემოვლითი (დარინის) გზით კავკასიონის მხრიდანაც შეიძლებოდა: „ზემარქე დარინის გზით მივიდა აფსილიაში, რადგანაც მისიმიანთა ქვეყანაში წასვლა არ შეიძლებოდა“ [გეორგიკა, 1936, 236-37]. თეოფანე ჟამთააღმწერელის მიხედვითაც აფშილეთი კავკასიონის ქედამდე ვრცელდებოდა: „იუსტინიანეს მიერ ალანიაში გაგზავნილი

1 აღსანიშნავია, რომ უმეტეს ნუსხებში ცხუმი აფშილეთის ქალაქადა აღიარებული. მხოლოდ ქ. ცხ.-ის უძველეს, ანა დედოფლისეულ ნუსხაშია (XV ს.) ნათქვამი, რომ ცხუმი „აფშილეთისა და აფხაზეთის“ ქალაქი იყო [ქ. ცხ; 1942, 149].

ლენინი მივიდა აფსილიაში, იქ გადალახა კავკასიის მთები და ალანიაში გადავიდა“ [გეორგიკა, 1936, 105]. ასევე ერთ-ერთ ბიზანტიურ წყაროში, რომლითაც ნ. მარი სარგებლობდა, მითითებულია, რომ აფშილები მთიან რეგიონში ცხოვრობდნენ: „552 წლის დამლევს მისსიმიანები, რომელნიც ცხოვრობდნენ აპსილსა და სვანეთს შუა, ჩამოცილდნენ ბერძნებს...“ [მ. ბროსეს, 1998, 293]. მისიმიანთა გვერდით სახელდება აფშილეთი მ. ბროსეს მიერვე მოხმობილ სომხურ წყაროში, სადაც წერია: „ლაზები დაერქვათ ეგრისის მკვიდრთ... რომელიც მდებარეობდა... აპშეგების, ანუ აპესეგების და მისილიანების ქვეყნამდე...“ [მ. ბროსეს, 1998, 290]. VII ს.-ის იმავე „სომხურ გეოგრაფიაში“ აფშილები კავკასიის მთიელ ტომებთან ერთად არიან ნახსენები: „სარმატიაში ცხოვრობენ აპშეგები, აფხაზები, მარგოლები, წანარები, თუშები, მასკუტები, გუდამაყრები და სხვ.“ [Армянская география, 1883, 28].

ამრიგად, ქართული, სომხური, ბერძნულ-რომაული, არაბული წყაროებიდან დასტურდება, რომ აფშილეთის მიწა, ქ. ცხუმის მიდამოებიდან დაწყებული, კავკასიონის ქედამდე განეფინებოდა. სანაპიროზე სამთავრო ვრცელ ტერიტორიას არ ფლობდა, რადგანაც, როგორც სწორად შენიშნავს მკვლევარი მ. ინაძე, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო დასახლებული იყო ერთის მხრივ ლაზებით, მეორეს მხრივ კი სანიგებით [მ. ინაძე, 1992, №2, 50]. აფშილეთი, ძირითადად შიდა ტერიტორიაზე, მთა-გორიან ზონაში მდებარეობდა, აბაზგიისა და მისიმიან-სვანეთის სამთავროებს შორის. მის საზღვრებში იყო მოქცეული ჩრდილოკავკასიაში გადასასვლელი უღელტეხილებიც, საიდანაც აფშილები და იმიერკავკასიელი ტომები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

აფშილთა ეთნიკურობის გასარკვევად გვსურს თავდაპირველად განვიხილოთ არგუმენტები, რომლებითაც საკუთარ თვალსაზრისს ის მკვლევარნი ასაბუთებენ, აფშილებს აფხაზურ-ადიღეურ ჯგუფს რომ მიაკუთვნებენ. როგორც ვთქვით, მათი აზრით, დღევანდელი აფხაზეცების თვითსახელ „აფსუა“-ს ფუძე ემთხვევა აფშილთა (აფსილთა) სატომო სახელწოდების ფუძეს, რაც ამ ორი ხალხის გენეტიკურ მემკვიდრეობას უნდა ადასტურებდეს. ამ თვალსაზრისს იზიარებენ როგორც ისტორიკოსები, ასევე ენათმეცნიერი მკვლევარნიც. დავიწყოთ იმით, რომ ენათმეცნიერთა კვლევა „აფს“ ერთეულის თაობაზე არ გახლავთ უნაკლო და არა ერთ კითხვას ბადებს. ეს ნაკლი წარმოაჩინა ისტორიკოსმა, აკად. დ. მუსხელიშვილმა, რომელმაც ისტორიული ცნობების მოშველიებითა და ლინგვისტური ანალიზით აჩვენა, რომ სიტყვის „აფსილი“ ფუძე არ შეიძლება იყოს „აფს“ ძირი, ანუ ეთნონიმი აფსილი არ გახლავთ შედგენილი ტერმინი, სადაც „აფს“ – ფუძეა, ხოლო „ილ“ სადაურობის მაწარმოებელი. მკვლევარმა დაასაბუთა, რომ „აფშილი“ არის მთლიანი, დაუნაწევრებელი ფუძე, რომელიც ეთნიკურ ერთეულს აღნიშნავს. მისი აზრით: ჯერ ერთი, „აფშ//აფს“ რომ ეთნონიმად წარმოვიდგინოთ, გამორიცხულია „აფშილ-აფსილი“-ც ეთნონიმი იყოს ისევე, როგორც არ შეიძლება არსებობდეს ერთდროულად „მესხი და მესხელი“: მეორეც, აფშილი „მეორადი წარმოების“ ეთნონიმი რომ იყოს, მაშინ ამ შემთხვევაში უნდა გვექონდეს გეოგრაფიული ტერმინი „აფშეთი“ და არა „აფშილეთი“ (მაგ. კახი – კახეთი – კახელი), რაც ასევე შეუსაბამოა. მესამეც, „აფშილი“ რომ იყოს შედგენილი ტერმინი, მაშინ ქართული სიტყვათწარმოებითი აზროვნების წესის მიხედვით მისგან ვერ მივიღებდით გეოგრაფიულ ტერმინ „აფშილეთ“-ს ისევე, როგორც წარმოუდგენელია ხორონიმები „კახელეთი“, „რაჭველეთი“ და სხვ. [დ. მუსხელიშვილი, 2000, 21]. დაბოლოს, მკვლევარი ასკვნის, რომ ეთნონიმი „აფშილი“ არ არის შედგენილი ტერმინი, იგი მთლიანი ფუძეა ისევე, როგორც მის მეზობლად მოსახლე „ბასილი“

და „აფშილს“ არც გეოგრაფიულად, არც ქრონოლოგიურად და არც ფორმალურ-ლინგვისტურად არაფერი აქვს საერთო „აფსუასთან“.

მაგრამ ჰიპოთეზურად რომც წარმოვიდგინოთ „აფს“ საერთო ფუძის არსებობა, ამ არგუმენტს მაინც ვერ მოვიხმობთ აფშილ-აფსილთა ადილურობის დასამტკიცებლად. მართალია, ჩერქეზულად „ფსგ“ წყალს აღნიშნავს, მაგრამ იმავე „ფს“ ძირიანი სიტყვა არქაული ხანის ქართულშიც არსებობდა, საიდანაც ჩერქეზულს უნდა ესესხებინა. ქართულ ენაში რომ „ფას“ – „ფს“ ფუძიანი სიტყვა ძირეულია და არა მერმინდელი, ამას ამ ფუძის მრავალგვარი განშტოება ადასტურებს (ფშა – წყარო, მდინარე; ფშატალა – თოვლნარევი წყალი, ფსორი – გუბე, ფოსო – ჩაღრმავებული, წყლიანი ადგილი, ფ(ა)სელი – *urina*, ფსია – დიდწყლიანობა და სხვ.). სწორედ ეს მრავალსახეობა ამ ფუძისა მაჩვენებელია, რომ იგი ძირეულია და თავდაპირველად წყლის ცნებას გადმოცემდა [მ. ჯანაშვილი, 1893, 2; პ. ინგოროყვა, 1954, 185]. ერთი სიტყვით, „ფს“ ფუძიანი სიტყვა პირვანდელი ქართულია და ამდენად აფსუათა თვითსახელი არ გამოდგება აფშილთა და ამ ადილური ტომის ეთნიკური ერთობის დამადასტურებელ არგუმენტად.

როგორც ზემოთაც ვთქვით, მკვლევარნი აღნიშნავენ, რომ აფშილთა მოხსენიება წყაროებში მხოლოდ ახ.წ. I ს.-დან არ უნდა ნიშნავდეს, თითქოს ეს ტომი ადრეულ ხანაში აქ არ მკვიდრობდა. თუმცა ისინი, ვინც აფშილებს აფხაზურ-ადილურ ჯგუფს მიაკუთვნებენ, ამტკიცებენ, რომ მათ სამკვიდრო ადგილებში უწინ სარმატული ტომები სახლობდნენ. ასე მაგ., მ. ინაძის აზრით, დიოსკურიის, ჰერაკლესისა და პიტიუნტის ჩრდილოეთით, ქვეყნის შიგნით, ეპაგერიტები და სხვა სარმატი ტომები ცხოვრობდნენ. მკვლევარი ამის საბუთად სტრაბონისა და პლინიუსის ცნობებს ასახელებს. მისი თქმით, სტრაბონის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქ. დიოსკურიის ზემოთ, ე.ი. ჩრდილოეთით, მთიან ადგილებში ცხოვრობდა მრავალი წვრილი ტომი და ამ ტომების დიდი ნაწილი სარმატები იყვნენ, ყველანი კი კავკასიელებად იწოდებოდნენ. ამას გარდა, თითქოს პლინიუსიც ქალაქების დიოსკურიის, ჰერაკლესისა და პიტიუნტის მახლობლად, „კავკასიის მთებში“ სარმატულ ტომებს – ეპაგერიტებს აღნიშნავს [მ. ინაძე, 1960, 158]. თუმცა, ორივე ამ ავტორის თხზულებებს თუკი გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ მათ ნაწერებში ამ აზრის დამამტკიცებელი ცნობები არ მოიპოვება. დავიწყოთ იმით, რომ ჯერ კიდევ ჰეროდოტე კოლხების ჩრდილოეთით, კავკასიონამდე მათ მეზობელ ტომებს მოიხსენიებს: „კოლხებმაც დაიწესეს საჩუქრები (დარიოსისთვის) და ასევე მათმა მეზობლებმა ვიდრე კავკასის მთებამდე“ [ჰეროდოტე, 1957, 227]. ამ „მეზობელ ტომებში“ თავად მკვლევარი მ. ინაძე, უპირველესად, კოლხებსა და კორაქსებს, ხოლო მათ აღმოსავლეთით, სვანურ ტომებს მოიაზრებს და იქვე შენიშნავს, რომ, არქეოლოგიური მასალით თუ ვიმსჯელებთ, ძვ.წ. VII ს.-დან აღნიშნულ რეგიონში უკვე დასტურდება ჩრდილო კავკასიიდან სკვითური წარმომავლობის ცალკეული ეთნიკური ჯგუფების ჩამოსვლა ანუ წვრილი ტომების შემოჭრა-ო [მ. ინაძე, 1992, №1, 10]. ამ შენიშვნის გამო უნდა ვთქვათ, რომ ჰეროდოტეს სხვა ცნობები უარყოფენ იმ ხანად ეგრისში სარმატულ-სკვითური ტომების ჩამოსახლებისა და დამკვიდრების შესაძლებლობას. ასე, მაგ; ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ სპარსეთის მმართველობა კავკასიონამდე ვრცელდებოდა, ხოლო მთებს მიღმა, ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებს „არაფერი უნდათ იცოდნენ სპარსელებისა . . . ასე გრძელდება ჩვენს დრომდე“ [ჰეროდოტე, 1957, 227]. ამ ჩანაწერიდან ჩანს, რომ ჩრდილოკავკასიური მხარე თავისუფალი იყო სპარსთა ბატონობისგან, კავკასიონის სამხრეთ ტერიტორიაზე მცხოვრებნი კი მათ ძღვენს უგზავნიდნენ. საფიქრებელია, რომ თავისუფალ და ველურ სარმატ-

სკვიტებს არ უნდა ჰქონოდათ სურვილი კავკასიონის სამხრეთ კალთებზე დამკვიდრებულიყვნენ და სპარსთა უღლის ქვეშ მოქცეულიყვნენ. თანაც ჰეროდოტე აღნიშნავს, რომ ამგვარი ვითარება – ე.ი. იმიერკავკასიის მიწების თავისუფლება „ჩვენს დრომდე“ ანუ ძვ.წ. V ს.-მდე გრძელდებოდაო.

ყოველივეს გათვალისწინებით ვერ გავიზიარებთ აზრს, რომ მოთარეშე სარმატ-სკვიტები იმ ხანად ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ მიწებზე დასამკვიდრებლად შემოდოდნენ. მათგან მარბიელი თარეში გამორიცხული სულაც არ იყო, მაგრამ მნიშვნელოვანი, მკვიდრი დასახლებები, ვფიქრობთ, არ იქმნებოდა. თუკი ასეთ მოვლენას მართლაც ექნებოდა ადგილი, მაშინ სათანადო მასალა მომდევნო საუკუნეების ავტორებს უნდა შემოენახათ. მაგრამ არც სტრაბონს, არც პლინიუსს – რომელთაც მკვლევარი მ. ინაძე იმოწმებს – და არც სხვა მემკვიდრეებს ეგრისის ჩრდილო-დასავლეთ მიწაზე სარმატთა დამკვიდრების პროცესის ამსახველი ცნობები არ მოეპოვებათ. სტრაბონთან ვკითხულობთ: „ამ ქალაქში (დიოსკურია) იკრიბება 70-მდე ხალხი, ისინი საუბრობენ სხვადასხვა ენაზე, რადგანაც ცხოვრობენ განცალკევებით, ჩაკეტილად, ვინაიდან ამაყები და ველურები არიან. მათი უმრავლესობა სარმატებია, ისინი ყველანი კავკასიელები არიან“ [თ. ყაუხჩიშვილი, 1957, 125].

სტრაბონი აქ საუბრობს „კავკასიელ სარმატებსა და სხვა ველურ ხალხზე“, რომლებიც დიოსკურიაში იკრიბებიან, მაგრამ არსად უთითებს, რომ ისინი კავკასიონის სამხრეთით მკვიდრობენ. ცოტა ქვემოთ იგი კვლავ უბრუნდება დიოსკურიაში შეკრებილ ტომებს და ამბობს: „ტომებს შორის, რომლებიც თავს იყრიან დიოსკურიაში, არიან ფთიეროფაგები, მახლობლად არიან სვანები... სხვა ტომები, რომლებიც კავკასიონის მახლობლად არიან, ღარიბები და მცირე მიწის მქონენი არიან“ [თ. ყაუხჩიშვილი, 1957, 125-6]. სტრაბონთანაა დაცული მითრიდატეს ომების აღმწერთა ცნობებიც, რომელიც ასეთი შინაარსისაა: „ჯერ არიან აქაელები, მერე ზიგები, მერე ჰენიოხები, კვლავ კერკეტები, მოსხები, კოლხები, შემდეგ ამათ ზემოთ ფთიეროფაგები, სვანები და სხვა პატარა ტომები კავკასიასთან...“ [თ. ყაუხჩიშვილი, 1957, 120]. „ომების“ აღმწერი ხსენებული ისტორიკოსები არსად ამბობენ, რომ ეგრისის ზღვისპირეთსა და კავკასიონის სამხრეთ კალთებზე მოსახლე ტომთა შორის სარმატებიც ცხოვრობდნენ. ისინიც და სტრაბონიც, როდესაც შენიშნავენ „სხვა პატარა ტომებს“, მათში, ვფიქრობთ, ადრინდელ წყაროებში დამოწმებულ კოლებს, კორაქსებს, ან თუნდაც მერმინდელ წყაროებში ნახსენებ აფშილებს, აბაზგებსა და მისიმიანებს უნდა გულისხმობდნენ. ამის თქმის უფლებას ის გვაძლევს, რომ იგივე სტრაბონი ყოველთვის, როდესაც სარმატ-სკვიტებსა და მათ ცალკეულ ტომებს ჩამოთვლის, საცხოვრის ადგილად იმიერკავკასიის მიწებს მიუჩენს: „სარმატები... სამხრეთისაკენ, ვიდრე კავკასიონის მთებამდე აღწევენ“; ანდა „ეს მთა საზღვრავს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ხოლო ჩრდილოეთისაკენ სარმატთა დაბლობებს“; კიდევ: „როცა ჩამოვდივართ მთის ფერდობზე, აქ უფრო ჩრდილოეთის, მაგრამ რბილი კლიმატია, რადგან ეკვრის ეს ადგილები სირკების დაბლობებს... არიან ტროგლოტიდები... ქამაიკოიტები, პოლიფაგები, ეისადიკები... რომლებიც მეოტისსა და კასპიას შორის არიან და სხვ. [თ. ყაუხჩიშვილი, 1957, 110, 121, 142, 144]. ასე რომ, სტრაბონს ეგრისის ჩრდილო მიწებზე სარმატ-სკვიტების ჩამოსახლება-დამკვიდრების ამსახველი ცნობები არ მოეპოვება. ჩვენი აზრით, იგი დიოსკურიაში შეკრებილ 70 ენაზე მოსაუბრე ხალხს შორის არა ეგრისში დაფუძნებულ, არამედ სავაჭროდ ჩამოსულ გადამთიელებს, მათ შორის სარმატული მოდგმის ტომებსაც ასახელებს.

მსგავსი ამბავი, ოღონდ უკვე პიტიუნტის შესახებ პლინიუს უფროსმაც აღწერა. იგი ამბობს: „ამ სივრცის შიგნით უმდიდრესი ქალაქი პიტიუნტია, გაძარცვული ჰენიონების მიერ. მის უკან კავკასიის მთებში ცხოვრობს სარმატული ხალხი ეპაგერიტები, მათ შემდეგ კი – სავრომატები, ამ უკანასკნელებთან იმპერატორ კლავდიუსის დროს მითრიდატე გაიქცა, რომელიც ამბობდა, რომ მათ (სავრომატების) მეზობლად ცხოვრობდნენ თალები, და ისინი აღმოსავლეთისკენ კასპიის ზღვის ყურემდე ვრცელდებიან“ [Латышев В. В., 1904, 179-80]. პლინიუსის მონათხრობიდან, რომელიც მითრიდატეს სიტყვებსაც იმოწმებს, ცხადდება, რომ აქ ნახსენები სარმატი ეპაგერიტები, პიტიუნტის უკან, კავკასიონის ჩრდილო კალთებზე ცხოვრობდნენ, რადგანაც მათ შემდეგ სახელდებიან სავრომატები, რომლებთანაც მითრიდატე ევპატორი გაიქცა. ცნობილია, რომ რომაელთა მიერ დევნილმა მითრიდატემ ეგრისის ტერიტორია გადალახა და თავი სკვითეთს (სავრომატებთან) შეაფარა. აქედან აშკარაა, რომ პლინიუსთან ნახსენები ეპაგერიტების შემდეგ განსახლებული სავრომატები იმიერკავკასიაში სახელდებიან. თანაც რომაელი ავტორი იქვე გადმოგვცემს მითრიდატეს მონაყოლს თალების ტომის შესახებ, რომელთა სამოსახლოები კასპიის სანახებამდე ვრცელდებოდა. თალების საცხოვრისის მდებარეობაც დასტურია იმისა, რომ ზემოხსენებული ეპაგერიტები და „სხვა სავრომატები“ კავკასიონის ჩრდილოეთ მიწებზე იგულისხმებიან. ჩვენს თვალსაზრისს ადასტურებს პლინიუსის ნაშრომის მიხედვით XIX ს.-ში ფრედერიკ დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი რუკა. შვეიცარიელმა პროფესორმა რუკაზე ხსენებული ტომის აღმნიშვნელი წარწერა „სარმატი ეპაგერიტები“ კავკასიონის იმიერ მიწაზე, ამაზონების ტომის ჩრდილო-დასავლეთით განათავსა. ე.ი. არც პლინიუს უფროსის მიხედვით დასტურდება, რომ სარმატ-სკვითები კავკასიონის სამხრეთ მიწებზე მკვიდრობდნენ. აქვე შეგვიძლია მოვიხმოთ ძვ.წ. II ს.-ის ავტორის სკიმნე-ქიოსელის ცნობაც, რომელიც შემოინახა V ს.-ის ანონიმმა. აქ საუბარია ფოთის ნავსაყუდელის შესახებ: „მდ. ფასისის მარცხნივ მდებარეობს... ქალაქი... ფაზისი... რომელშიაც, ამბობენ ჩამოდის სამოცი ტომი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, მათ შორის ამბობენ, ზოგნი არიან ბარბაროსები ინდოეთიდან და ბაქტრიანიდან. მათ შორის ბარბაროსული ქვეყანაა კორაქსიკე, რომლის შემადგენელი ნაწილია ე.წ. კოლიკე, რომელიც ახლა უჭირავს მელანქლენებისა და კოლხების ტომს“ [გეორგიკა, 1965, 4]. აქაც ანტიკური ხანის ავტორი წვრილად ყვება, რომ ფოთში მრავალ ენაზე მოლაპარაკე ტომები „ჩამოდიან“; მათგან იგი შორეული ბაქტრიის და ინდოეთის მაცხოვრებლებსაც მოიხსენიებს, ხოლო, რაც შეეხება ეგრისის სამეფოს მკვიდრთ, მათ შორის არცერთ სარმატ ტომს არ აღნიშნავს, თუმც კი კოლები, კორაქსები, კოლხები და მელანქლენები მისი თვალსაწიერის მიღმა არ დარჩენილან. სკიმნე-ქიოსელის ტექსტიდანაც ჩანს, რომ მრავალ ენაზე მოსაუბრე ტომთა უმრავლესობა კავკასიონის იმიერი მიწებიდან სავაჭროდ ჩამოსული ხალხია, რომელთაც შეუფერხებლად შეეძლოთ ეგრისის ჩრდილო სასაზღვრო ზონაში მდებარე უძველესი ტომებით გადმოელახათ კავკასიონის ქედი და ნავმისადგომებში ევაჭრათ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ვერ ვხედავთ საბუთს იმისა, რომ „აფხაზეთის მთიან რაიონებში აბაზგთა და აფშილთა სამთავროების წარმოშობის წინა ხანებში (ძვ.წ. I ს) ძირითადად სარმატულ, ანუ ჩერქეზულ-ადიღეურ მოსახლეობას ეცხოვროს“ (მ. ინაძე). თავდასხმებისა თუ თარეშის უამს, თქმა არ უნდა, სარმატული ტომები ეგრისის სამეფოს ჩრდილო მიწებს არც თუ იშვიათად სტუმრობდნენ, მაგრამ იმ ხანად ისინი თავიანთი „სპორადული დასახლებებიდან“ ვფიქრობთ, ქართველ ტომებზე ისე ვერ

იმძლავრებდნენ, რომ მკვიდრი მოსახლეობა აეყარათ და ეგრისის მიწაზე არაქართული პოლიტიკურ-ტერიტორიული გაერთიანებები (სამთავროები) შეექმნათ. რაც შეეხება წებელდის სამაროვანში აღმოჩენილ რკინის იარაღს, რომელიც გვიანსარმატული მატერიალური კულტურისთვისაა დამახასიათებელი, ამის თაობაზე თავად მ. ინაძე ფიქრობს, რომ იგი ოდენ აფშილთა და ჩრდილოკავკასიელი ტომების მჭიდრო ურთიერთობებზე უნდა მეტყველებდეს [მ. ინაძე, 1992, №2 54]. ერთი სიტყვით, აფშილთა და ადიღეულ ტომთა გასაიგივებლად თანამედროვე აფსუების და სახელის „აფშილი“ საერთოძირიანობა არ მტკიცდება. მით უფრო არ დასტურდება, რომ აფხაზთა და აფშილთა სამთავროების წარმოქმნამდე ეგრისის მიწებზე სკვითურ-სარმატული ტომები ჩამოსახლებულიყვნენ და დამკვიდრებულყვნენ. ზემოხსენებული არგუმენტებით აფშილთა ტომის აფხაზურ-ადიღეური ჯგუფისადმი მიკუთვნება უსაფუძვლოა.

აფშილთა ეთნიკური რაობის გარკვევისთვის საყურადღებო მონაცემებს არქეოლოგიური მასალაც იძლევა. წარმართ აფშილთა ტოტემის თაობაზე წებელდის გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკული ჭურჭელი მეტყველებს. მათზე არაერთი ღვთიური ფიგურაა დატანებული. კერძოდ, დიდ წრეში ჩახატულია ღორის (ტახის) თავი, რასაც შუბლზე აქვს მრგვალი, ჭდეური ორნამენტი შუაში ჩასმული წერტილით, მკვლევარმა ქ. ბერძენიშვილმა დაადგინა, რომ წებელდაში, რაჭაში, სვანეთში, ღრმალელებში, თრიალეთში, სამთავროში, დაბლაგომსა და სხვ. ნაპოვნ ნივთებზე გამოსახული წერტილიანი სპირალები თუ წრიული ხაზები ერთსა და იმავე ასტრალურ სიმბოლოს წარმოადგენდნენ, რომლითაც ღვთაებათა წრეს აღნიშნავდნენ. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ აფშილეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ ტომებს საერთო სახის ასტრალური ნიშნები ჰქონდათ. მკვლევარმა ასევე შეისწავლა წებელდის კერამიკაზე გამოსახული ღორის თავის სემანტიკა და დაასკვნა, რომ იგი აფშილთა შორის ღვთაება ბასილას არსებობას უნდა მიანიშნებდეს. ცნობილია, რომ „ღორის სალოცველი“ საქართველოს მრავალ კუთხეში (რაჭა, ლეჩხუმი, სამეგრელო, სვანეთი) იყო აღნუსხული, რაც უკავშირდებოდა ზოგადქართულ ღვთაება „ბოსელ-ბოსლა-ბოსლო“-ს. (გურიაში დღესაც არსებობს ამ სახელწოდების სოფელი ბასილეთი, ქვემო ქართლში – ბოსლეთი, იმერეთში მდებარეობს ამავე დასახელების სოფელი ბოსლეთი და სხვ.) ჩანს, აფშილთა ტომის ეს ღვთაება (ბასილი), წრეში გამოსახული ტახის თავის სახით, „ბოსლა-ბოსლოს“ პარალელური ეპითეტი უნდა ყოფილიყო [ქ. ბერძენიშვილი, 1959, 95-108]. ეს ფაქტი, თავის მხრივ, წარმართი აფშილებისა და სხვა ქართველი ტომებისთვის საერთო ღვთაებათა არსებობას წარმოაჩენს და ცხადყოფს, რომ აფშილები ეთნიკურად ქართველთა ერთ-ერთ ტომს წარმოადგენდნენ. შესაძლოა ოპონენტები აქვე შემეკამათონ და მიპასუხონ, რომ ოდენ საერთო წეს-ჩვეულებები და ერთიანი ასტრალური სამყარო მაინცადამაინც ტომთა ეთნიკურ იგივეობას არ მოასწავებს, ვინაიდან აფხაზურ-ადიღეური (სარმატული) მოდემის აფშილებს ყოველივე ეს ქართველ ტომთაგან შეეძლოთ გაეთავისებინათ. მაგრამ, ჯერ ერთი, სკვითებს არ ანასიათებდათ სხვა ეთნოსების ზნე-ჩვეულებების გათავისება. ამის შესახებ ჯერ კიდევ ჰეროდოტე შენიშნავდა: „სკვითები (მსგავსად სხვა ბარბაროსებისა) თავს არიდებდნენ უცხო წეს-ჩვეულებებს, არ ითავისებდნენ მათ არავისგან, განსაკუთრებით კი ელიმებისგან“ [Латышев В. В., 1893, 32]. ამდენად, აფშილები სარმატ-სკვითური მოდემისანი რომ ყოფილიყვნენ, საეჭვოა მათ ქართული ზნე-ჩვეულებები შეესისხლხორცებინათ და ქართველ ტომებთან ერთად ტრადიციათა ერთიანი სამყარო ჰქონოდათ. მეორეც, გენეტიკურად განსხვავე-

ბული ეთნოსების ტრადიციებში ერთმანეთის წეს-ჩვეულებები, როგორც წესი, ადგილს არ იმკვიდრებენ და ამის ნათელი მაგალითი ქართლში ბუნ-თურქების ჩამოსახლებაა. ეს სკვითურ-სარმატული ტომები, წყაროთა მიხედვით, ქრისტე-შობამდელ ხანაში, დაახლოებით 3 საუკუნე ქართველთა შორის ცხოვრობდნენ და „იყვნენ ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი“. მართალია, ქართველებმა ბუნ-თურქებისგან „იპყრეს სჯული უბოროტესი“, მაგრამ როდესაც ძვ.წ. IV ს.-ის დასასრულს ეს სკვითურ-სარმატული მოდგმა ქართლში „მოისრა“, მათი „უსასტიკესი სჯულის“ აღრევის კვალიც გაქრა. ქართველთა და სარმატთა ტომებში ტრადიციულად არ დამკვიდრებულა ერთმანეთისთვის უცხო წეს-ჩვეულებანი და ეს „აღრევა“ დროებით-იძულებითი ხასიათის იყო. ასევე აფშინიც, სარმატული მოდგმისანი რომ ყოფილიყვნენ, ქართველ ტომებთან ერთად ვერ შექმნიდნენ იმ საერთო-საკრალურ სამყაროს, რომელიც, წებელდური ჭურჭლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ოდესღაც მათში ცოცხლად მოქმედებდა“ და შემდგომ ქართველთა „ეთნოგრაფიულ ყოფაში გადმონაშთის სახით წეს-ჩვეულებებში აირეკლა“. ამრიგად, წარმართი აფშინელებისთვის ქართველ ტომთა უძველესი წარმოდგენები არათუ უცხო იყო, პირიქით, მათი არქაული წეს-ჩვეულებები ზოგადქართულ სამყაროს შემადგენელ ნაწილად აღიქმება, რაც თავის მხრივ აფშინელების, როგორც ქართველი ტომის სასარგებლოდ მეტყველებს.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ღვთაება ბასილას სახელს, რომელიც, მკვლევართა აზრით, გენეტიურად უნდა უკავშირდებოდეს აფშინელთა (აფსილთა) სახელწოდებას, ასევე მივყავართ ამავე ტოტემის სახელით ცნობილ მეორე ტომთან „ბასილი“, რომლის შესახებაც სომხურ წყაროებში არცთუ მწირი მასალა მოაპოვება. „სომხურ გეოგრაფიაში“ ნათქვამია, რომ ბასილები (ბარსილები, ბასლიკები) სხვა 53 დასახელების ხალხთან ერთად იმ სივრცეზე ცხოვრობდნენ, რასაც სარმატია ეწოდებოდა. იმიერკავკასიაში ბასილთა ტომები „მდინარე ეთილის“ ანუ ვოლგის სანაპიროებზეც ყოფილან „გამაგრებულნი“. სხვა ტომთა შორის ბასილები გამორჩეულები ჩანან და სომხურ წყაროებში მათ ხაზართა ლაშქრის შემადგენლობიდან ცალკე გამოყოფენ. ბასილებს ჰყავდათ საკუთარი „მეფე“ და VII ს.-ში ხაზართა ხაყანის ცოლი წარმოშობით ბასილთა ტომთაგანი ყოფილა [Армянская география, 1883, 28-29]. კ. პატკანოვის აზრით, ბასილები უფრო ადრინდელ წყაროშიც არიან მოხსენიებულნი, იგი პირველწყაროებიდან პტოლემესა და ჰეროდოტესაც კი ასახელებს. მართლაც, ჰეროდოტე ახსენებს ე.წ. „სამეფო სკვითებს“, კლავდიოს პტოლემეაიოსი კი – ე.წ. „სამეფო სარმატებს“. კ. პატკანოვი შენიშნავს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ბასილთა ტომი (ბასილი=ბასილევსი)-ო. ხსენებულ ბერძენ ავტორთა ცნობებს ჩვენ შეგვიძლია პომპონიუს მელას მონაცემებიც დავუმატოთ, რომლის მიხედვითაც ბასილთა (ბასილიდების) ტომი ნომადების გვერდით ცხოვრობდნენ [Латышев В. В. 1904, 120]. თანაც ცნობიდან ჩანს, რომ რომელიც ავტორი რომელიღაცა სხვა წყაროთი სარგებლობდა, რადგანაც იგი არც ჰეროდოტეს და არც პტოლემეაიოსის მიერ ნახსენებ სახელწოდებებს არ იმეორებს, არამედ ბასილთა ტომს ბასილიდებით მოიხსენიებს. ეს კი თავის მხრივ მაუწყებელია, რომ ბასილთა ტომს არაერთი ძველბერძენი ავტორი იცნობდა, რომელთა ცნობებს ჩვენამდე, სამწუხაროდ, არ მოუღწევია. ერთი სიტყვით, პომპონიუს მელას თანახმადაც ბასილთა ტომი კავკასიონის იმიერ მიწებზე მკვიდრობდა. მოვსეს ხორენაცის (VII ს.) თხზულებაშიც ბასილები „ჩრდილოელთა ბრბოთაგანი“ არიან, ზოგიერთნი ამ ტომთაგანნი კი სომეხთა ქვეყანაშიც გადმოხვეწილან და ხოსროვ I დროს ერთ-ერთი „მამაცი ბასილთაგანი დამოყვრებია არაველიანთა სანახარარო გვარს“. II საუკუნეში, ბა-

სილთა ტომები ხაზარებთან ერთად ჩორის გზით კავკასიონზე გადმოსულან და ისინი გაერთიანებული ძალებით სომხებს შებრძოლებიან. III საუკუნეშიც ალბანეთის მიწაზე მომხდარა ბრძოლა სომეხთა და „ჩრდილოელთა შორის“, რომლის დროსაც თრდატ სომეხთა მეფეს ბასილთა მეფე მოუკლავს [მოვსეს ხორენაცი, 1989, 147, 154, 170]. მაგრამ იმავე წყაროებიდან ჩანს, რომ ბასილები პირაქეთა კავკასიაშიც მკვიდრობდნენ, რადგანაც ზოგი მათგანი სომხეთში გადახვეწილა და იქ სამუდამოდ დაფუძნებულა. ბასილთა ეგრისში მკვიდრობის თვალსაჩინო მაგალითია აწინდელი აფხაზეთის ტოპონიმია და აგრეთვე სხვა სახის მასალაც. მაგ.: ცხუმთან მოედინება მდინარე ბასილა-ბასილეთი, აქვეა ბესლეთის ხიდიც. აღარაფერს ვამბობთ გვარ-სახელების – ბასარია, აფშილავას შესახებ [პ. ინგოროყვა, 1954, 141]. ამასთან, უნდა ითქვას, რომ წარმართობისდროინდელი ღორის თავის გამოსახულება დამოწმებულია რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილ სარმატულ სამარხებშიც, რაც, ჩვენი აზრით, იმიერკავკასიაში მცხოვრები ბასილი ტომების წარმართულ სამყაროს უნდა ეკუთვნოდეს. ჩვენს თვალსაზრისს ამყარებს ის ფაქტი, რომ, ჰეროდოტეს თანახმად, სკვითთა ტომებს საკუთარ „ქვეყნებში“ ღორი საერთოდ არ ჰყოლიათ მოშინაურებული და ისინი თავიანთ ღვთაებებს მსხვერპლად ღორის გარდა „ყოველგვარ საქონელს, განსაკუთრებით კი ცხენს სწირავდნენ“ ასეთია სკვითების მსხვერპლშეწირვა, ღორს ისინი მსხვერპლად საერთოდ არ სწირავენ და საკუთარ ქვეყანაში მათი მოშენება არც სურთ – აღნიშნავს ჰეროდოტე [Латышев В. В., 1893, 26-27]. ამდენად, ჩრდილოკავკასიის წარმართობისდროინდელ საფლავებში აღმოჩენილი ღორის თავის გამოსახულება „სარმატულ-სკვითური წარმოშობის“ არ უნდა იყოს და იგი ამ მიწებზე ოდესღაც მოსახლე ბასილთა ტომების ნაკვალევად უნდა მივიჩიოთ. ერთი სიტყვით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული ჰიდრო თუ ტოპონიმების, აგრეთვე არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ნათელი ეფინება ერთის მხრივ ბასილი და აფშილი ტომების, ხოლო მეორეს მხრივ ქართული წარმართული პანთეონის ერთ-ერთი ღვთაების – ბასილას შორის არსებულ ურთიერთკავშირს, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ეთნონიმი აფშილი ბასილი ტომის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს.

აფშილთა ტომის სამეტყველო ენის თაობაზე საუბრობენ ბიზანტიური წყაროები. ამას გარდა, ისტორიულ აფშილეთში მდებარე ტოპონიმიაკაც გვაძლევს საშუალებას გავარკვიოთ, თუ რა ენაზე მეტყველებდნენ აფშილები. VI ს.-ის ავტორი აგათია სქოლასტიკოსი რამდენიმეგზის საუბრობს აფშილთა ეთნიკური კუთვნილებისა და სამეტყველო ენის თაობაზე. როდესაც იგი მისიმიელებს ახასიათებს, შენიშნავს, რომ ისინი „კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ [გეორგიკა, 1936, 86]. ცოტა ქვემოთ აგრძლებს, რომ ლაშქრობის დროს ბიზანტიელებმა მისიმიელებთან მოციქულებად გაგზავნეს „წარჩინებული კაცები აფსილიელთა ტომიდან... მაგრამ მისიმიელებმა უკუაგდეს საერთაშორისო კანონები და მოკლეს მოციქულები, თუმცა ისინი მათ მონათესავე და მეზობელ აფსილიელთა ტომს ეკუთვნოდნენ“ [გეორგიკა, 1936, 161-162]. ბიზანტიელი ავტორი შენიშნავს, რომ აფშილნი და მისიმიელნი მონათესავე ტომები იყვნენ, თუმცა მისიმიელნი ლაზთა და აფშილთაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებდნენ და სხვა კანონებსაც მისდევენ. ე.ი. აგათია სქოლასტიკოსისთვის ცნობილი ყოფილა, რომ ლაზ-აფშილ-მისიმიელნი ქართველი ტომები იყვნენ, მაგრამ მისთვის ლაზ-აფშილნი და მისიმიელნი განსხვავებულ ენაზე მეტყველებდნენ: უცხოელისთვის თვალშისაცემი ეს „განსხვავებული მეტყველება“ რა თქმა უნდა, მას

აფიქრებიანებდა, რომ ეს ტომები სხვადასხვა ენით მოუბარნი იყვნენ, თუმც კი მისივე მონათხრობიდან ირკვევა, რომ ხსენებული ტომები ერთ ეთნოსს წარმოადგენდნენ. ამასთან დაკავშირებით გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ ბიზანტიელებს მისიმიელებთან მოსალაპარაკებლად აფშილთა წარჩინებულები გაუგზავნიან. ცხადია, აფშილებსა და მისიმიელებს ერთი სამეცყველო ენა რომ არ ჰქონოდათ, ისინი ერთმანეთს ვერ დაელაპარაკებოდნენ. ის ფაქტი, რომ მისიმიელები და ლაზ-აფშილები „განსხვავებულ ენაზე საუბრობდნენ“ მაგრამ აფშილებს და მისიმიელებს ერთმანეთში შეეძლოთ ესაუბრათ, გვაფიქრებინებს, რომ მათი „განსხვავებული ენები“ სვანური და ლაზურ-მეგრული კილო-ენები უნდა ყოფილიყო, ხოლო ყველანი ერთად ქართულენოვანი ტომები იყვნენ.

აფშილნი რომ ლაზების მსგავსად მეგრულენოვანი მოსახლეობა იყო, ამის თაობაზე მათ სამთავროში აღნუსხული ტოპონიმების შინაარსიც მეტყველებს. პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ აფშილეთში მდებარეობდა მეტად მტკიცე ციხე-სიმაგრე, რომელსაც „ადგილობრივი მცხოვრებლები წიბილეს უწოდებდნენ“ [გეორგიკა, 1965, 162]. აგათია სქოლასტიკოსი აზუსტებს წიბილეს ადგილმდებარეობას და ამბობს, რომ „ტიბელეოსი მდებარეობდა მისიმიანთა მხარესთან საზღვრის სიახლოვეს“ [გეორგიკა, 1936, 160].

პროკოპი კესარიელის ნათქვამიდან ყურადსაღები ისაა, რომ ციხე-სიმაგრესთვის სახელი წიბილე ადგილობრივ მცხოვრებლებს შეურქმევიათ. წიბილე არის იგივე „წიბელი-წიფელი“ და აქედან ჩანს, რომ აფშილეთის მცხოვრებლები ქართულად მეტყველებდნენ. მაგრამ, ვინაიდან პროკოპი კესარიელი არ განმარტავს, თუ ვინ იგულისხმებთან სიტყვით „მოსახლეობა“; ამდენად მკვლევართა შორის გაჩნდა ეჭვი, არიან თუ არა ისინი აფშილები, თუ სხვა ტომები. ასე მაგ., მ. ინაძის აზრით, აფშილთა მიწა-წყალზე დადასტურებული არაერთი ქართული ტოპონიმი (მათ შორის წიბილე) აფშილთა ქართულ ეთნიკურ სამყაროსთან ოდენ მჭიდრო ურთიერთობის მოწმობა ყოფილა [მ. ინაძე, 1992, №2, გვ.55]. მაგრამ აფშილეთის მიწაზე, იმავე ბიზანტიური წყაროებით, გარდა „წიბილე“-სი არა ერთი სხვა ქართული ტოპონიმიცაა დადასტურებული: თეოდოსი განგრელი გვაუწყებს, რომ აფშილეთში იყო შემდეგი ციხე-სიმაგრეები: 1) სკოტორი – იგი მდებარეობდა აბაზგიის მახლობლად, თანაც წყაროებში წერია, რომ ხსენებულ ციხე-სიმაგრეს ამ სახელით თვითონ აფშილები მოიხსენიებდნენ [გეორგიკა, 1941, 42]. ასე რომ, აქ საეჭვო აღარაფერია – ეს სახელწოდება ციხე-სიმაგრესთვის აფშილებს დაურქმევიათ. სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ სკოტორი იგივე კოდორის ციხეა, რომელიც ამავე სახელწოდების მდინარესთან უნდა არსებულებო. კ. კეკელიძის აზრით, კოდორი ქართველურ დიალექტებზე „ზეგანს ან უტყყო ადგილს“ აღნიშნავდა. 2) მოქვი – სოფელი, რომელიც აფშილეთში მდებარეობდა და რომლის მსგავსი ტოპონიმები (ჩაქვი და სხვ.) საქართველოს სხვა კუთხეებშიც მოიპოვება. 3) თუსავი – ეს დასახლებული პუნქტი მოქვის ზემოთ, აფშილეთის საზღვარზე, აბაზგებისა და ალანების მახლობლად იყო. მისი მსგავსი ტოპონიმიც არაერთია საქართველოში (მანავი, ცურტავი, თელავი და სხვ.). 4) ფუსტა – თეოდოსი განგრელის თანახმად, ეს ციხე-სიმაგრე „აფსილიის და მისიმიანის მხარეებში“ იყო. ტერმინი „ფუსტელები“ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის (VIII ს.) თხზულებაშიც გვხვდება. ამ გეოგრაფიულ ტერმინს სვანთა უზენაესი ღვთაების ფუსტას სახელს უკავშირებენ. ერთ-ერთ ბიზანტიურ წყაროში, რომელიც მაქსიმე აღმსარებლის მოღვაწეობას ეხება, დაზუსტებულია, რომ ფუსტა მდებარეობდა „აფსილიის და მისიმიანის საზღვარზე“ აქვე უნდა ითქვას, რომ ფუსტას ლეონტი მროველი „ფოსტაფორს“ უწოდებს [Жартлис Цховреба, 2008,

126]. ეს ტერმინი აგებულების მიხედვით უდავოდ მსგავსებას ავლენს სამხრეთ საქართველოში დამოწმებულ ტოპონიმთან „კარმიფორი“ (კარნიფოლა), რომელიც მესხეთში მდებარე მხარეს და მთას ეწოდებოდა. 5) ჯიხახორა – ეს ციხესიმაგრეც თეოდოსი განგრელის მიერ გამოცემულ ანასტასის წერილშია დადასტურებული, რომელსაც ბერძნულად ზიხახორეოსი ეწოდება. იგი გამჭვირვალე ეტიმოლოგიისაა და ნიშნავს „ციხე-სახლს“ [დ. მუსხელიშვილი, 2000, 22]. მართალია, ანასტასი აპოკრიფიანი პირდაპირ არ უთითებს, თუ სად მდებარეობდა ეს ტოპონიმი, მაგრამ მის მიერ აფშილეთის მხარის აღწერიდან შესაძლებელია გაირკვეს, თუ სად იყო ეს დასახლება. ბიზანტიელი დესპანი წერს, რომ ლაზიკის მთავარმა იგი, სქემარის ციხისკენ გაგზავნილი, უკან დააბრუნა და მოათავსა თავისი სახლიდან ხუთი სიგნის მანძილზე მდებარე მოქვეში [გეორგიკა, 1941, 46]. თავად თეოდოსი განგრელის „მოგონებებში“ იგივე ამბავი უფრო დაწვრილებითაა მოთხრობილი და ნათქვამია, რომ ანასტასი აპოკრიფიანი მოათავსეს არა შიგ მოქვეში, არამედ თუსავის ციხეში, რომელიც მდებარეობდა „სოფელ მოქვის ზევით, აფსილიის მხარის საზღვარზე, კავკასიის მთების ზედ ძირში, ალანებისა და აბაზგების ტომის მახლობლად, ხუთი სიმიის მანძილზე სოფელ ჯიხახორიდან – ლაზთა პატრიკიოსისა და მაგისტროსის პირველი სახლიდან“ [X, 50]. ამ აღწერილობიდან ირკვევა, რომ ანასტასი იმყოფებოდა თუსავის ციხეში, ხოლო ლაზიკის მთავრის ერთ-ერთი რეზიდენცია სოფელ ჯიხახორაში ყოფილა. თუკი თუსავის ციხე აფშილეთის უკიდურეს ჩრდილოეთით (აფშილების საზღვარზე, ალანების და აბაზგების მახლობლად, კავკასიის მთების ძირში) მდებარეობდა, მაშინ სოფელი ჯიხახორი, რომელიც თუსავიდან 5000 ნაბიჯით იყო დაშორებული, სამთავროს ტერიტორიაზე, მის ქვემო ნაწილში იქნებოდა განლაგებული და მას სახელწოდებაც, ცხადია, აფშილებმა დაარქვეს. აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ტოპონიმები არა მხოლოდ აფშილეთში, ეგრისის მთელ ტერიტორიაზე აღინიშნებოდა. მაგ.: გურიაში არსებობს მთა ჯიხან-ჯირი, იმერეთში სოფლებს დღემდე შემორჩათ სახელი ჯიხაიში და ნაჯიხევი. ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა, რომ ხსენებული სოფლების არსებობა ადასტურებდა ამ მიწა-წყალზე (გურიასა და იმერეთში) თავდაპირველად მეგრელების განსახლებას [ივ. ჯავახიშვილი, 1951, 420-421]. ცხადია, აფშილნიც, რომელთა სამეცყველო ენაზეც შეიქმნა ზემონახსენები ციხეებისა და სოფლების დასახლებები, ქართულენოვანი მოსახლეობა იყო.

აფშილთა აღმსარებლობის შემცველი ცნობები დაცულია ბიზანტიურ წყაროებში და წებელდაში ჩატარებული გათხრების დროს აღმოჩენილი მასალაც იძლევა შესაძლებლობას მათი მრწამსის წარმოსაჩენად. VI ს.-ის ბიზანტიელი ავტორი პროკოპი კესარიელი აღნიშნავს, რომ იმ დროისათვის აფშილები დიდი ხნის გაქრისტიანებულნი იყვნენ („ძველთაგანვე ქრისტიანები“). პროკოპის მიერ ნათქვამი სიტყვა „ძველთაგანვე“ იმის მაუწყებელია, რომ აფშილები ქრისტიანობას მისი საქართველოში გავრცელებისთანავე თუ არა, მალევე უნდა ზიარებოდნენ [გეორგიკა, 1965, 128]. აფშილთა აღმსარებლობის ამსახველი ცნობები VII ს.-ში მოღვაწე ანასტასი აპოკრიფიანის წერილშიც არის შემონახული. ანასტასი აფშილეთის სოფელ მოქვეში ყოფნისას წერს, რომ მის საძებნელად ლაზიკაში ჩამოსული იოანე ხუცესის შვილი სტეფანე მცხოვრებლებმა დიდი ხალისით და სიამოვნებით მიიღეს და მას პატივი სცეს. სტეფანემ, „როგორც სულიერმა ცხენმა მოიბრინა მთელი ლაზიკე, აფსილია და აბაზგია“; სადაც ჭეშმარიტების და ახალი მიმართულების შესახებ უშიშრად ქადაგებდა. როგორც ჩანს, სტეფანეს მთელ ეგრისში და, მათ შორის, აფშილეთშიც მართლმადიდებლობის შესახებ უშიშრად

იმიტომაც უქადაგია, რომ აფშილნი, სხვა ეგროსისანთა მსგავსად, „ძველთაგან-ვე“ ქრისტიანები იყვნენ და უცხო მისიონერისთვის მართლმადიდებლობის გავრცელება არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. ბიზანტიური წყაროების ცნობები წებელდის არქეოლოგიური მასალით კიდევ უფრო სარწმუნო ხდება. აქ აღმოჩენილ ჭურჭელსა და მინის სასმისებზე აღბეჭდილია ჯვრები. ნაპოვნია პატარა ზომის ოქროს ჯვარი და ვერცხლის მედალიონი, რომელზეც წერია: „ერთარსი ღმერთი, მშველელი შემწირველთა“. სამარხებში დადასტურებული დასაფლავების წესიც აშკარა ქრისტიანულია [მ. ინაძე, 1992, №2, 56]. ერთი სიტყვით, ყოველივე მეტყველებს, რომ აფშილნი ეგრისის უძველესი ქრისტიანი მცხოვრებლები იყვნენ.

ამრიგად, ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალის, ეთნოგრაფიული, ლინგვისტური მონაცემების და გეოგრაფიული ნომენკლატურის მიხედვით აფშილებისა და აფშილეთის თაობაზე შეიძლება შემდეგი ითქვას: აფშილთა ტომი, წყაროთა თანახმად, ისტორიულ სარბიელზე ახ.წ. I საუკუნიდან ჩნდება. მათი საცხოვრისი ეგრისის („ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“) სამეფოს ჩრდილო დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა. აფშილეთი ზღვის სანაპიროზე მცირე ტერიტორიას მოიცავდა, ცხუმი VIII ს.-ში აფშილეთის სამთავროს ქალაქი იყო. სამთავროს მიწა-წყალი, ძირითადად მთავორიან ზონაში მდებარეობდა, ხოლო ჩრდილოეთით სასაზღვრო მიწები კავკასიონის ქედამდე აღწევდა. აფშილთა გამოჩენა ახ.წ. I ს.-დან არ ნიშნავს, რომ ეს ტომი სამკვიდრო ადგილას უწინაც არ ცხოვრობდა. გამოთქმული მოსაზრება, თითქოს აფშილთა მიწა-წყალზე წინა საუკუნეებში სარმატული ტომები ჩამოსახლდნენ და მათგან მომდინარეობენ თავად აფშილები, წყაროებით არ დასტურდება. სარმატული ტომები ჩრდილო ეგრისის მიწებზე ანტიკურ, გვიანანტიკურ და ადრემუშასაუკუნეებში დამკვიდრებულნი არ ჩანან და არც აფშილები განეკუთვნებიან სარმატულ, ანუ ადიღეურ ჯგუფს. ამასვე ამტკიცებს აფშილთა სახელწოდების ლინგვისტური ანალიზი, რომლის მიხედვითაც „აფშილი“ განუყოფელი, ერთიანი ფუძეა და აფშილებს საერთო არაფერი აქვთ აფსუებთან. აფშილთა სახელწოდება საერთოს ბასილი ტომის სახელთან ჰპოვებს, რომლის სამოსახლოები არსებობდა როგორც ეგრისის სამეფოში, კერძოდ აფშილეთში, გურიაში, იმერეთსა და სხვ., ასევე იმიერკავკასიაშიც. აფშილები ქართულენოვანი მკვიდრნი იყვნენ, რომელთა მიწა-წყალზე აღნუსხული ტოპონიმიკა ძირითადად მეგრულია. ისინი და სხვა ქართველი ტომები წყაროებში მოიხსენიებიან, როგორც ერთი, ეთნიკურად მონათესავე ხალხი. აფშილთა წარმართულ-ასტრალური პანთეონი ზოგადქართულია და აფშილებმა ქრისტიანობა ერთ-ერთმა პირველებმა იწამეს. ყოველივე მეტყველებს, რომ აფშილები ისეთივე ეგროსისანი იყვნენ, როგორც სხვა დასავლეთქართველი ტომები. და ბოლოს უნდა ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია აფშილების სატომო სახელისა და ძვ. წ. XII-XI სს.-ის ასურულ წარწერებში აღნუსხული „აბშილა“ ტერმინის მსგავსება და ეს უკანასკნელი მეცნიერთა მიერ აფშილთა ტომის სახელის ვარიანტად არის აღქმული. თანაც ასურული წყაროების აბეშლავლები სამხრეთ კოლხური წარმოშობის ტომადაა მიჩნეული, რაც, თავის მხრივ მეტყველებს, რომ აფშილთა ტომები არა მხოლოდ კავკასიონის დასავლეთ კალთებისა და მის გაყოლებით შავი ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, არამედ მათ ანტიკავკასიონის არეალშიც, სამხრეთით ჰქონდათ სამკვიდრო ადგილები. ჩანს, აფშილნი ეგროსისანი კოლხთა, ლაზთა, მესხთა, ჰენიოხთა, კორაქსთა, კოლების და სხვ. ქართველ ტომთა დარად ეგრისის სამეფოს როგორც ჩრდილო მიწებზე, ასევე მის სამხრეთითაც მოსახლეობდნენ.

დამოწმებული ლიტერატურა

1. აფხაზავა ნ. , აფშილთა ეთნიკური ვინაობისთვის, კრებულში: *აფხაზეთის ისტორიის პრობლემები*, თბილისი, 1998.
2. ბერძენიშვილი ქ. , წებელდის გვიანანტიკური ხანის კერამიკა, *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისთვის*, ტ. II, თბილისი, 1959.
3. ბროსსე მარი, *საქართველოს ისტორია*, ბათუმი, 1998.
4. გეორგიკა, ტ. II, თბილისი, 1965.
5. გეორგიკა, ტ. III, თბილისი, 1936.
6. გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. I, თბილისი, 1941.
7. მ. ინაძე, ანტიკური ხანის შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის საკითხისთვის, *მეცნ. საზ. განყოფილების „მოამბე“*, თბილისი, 1960.
8. ინაძე მ. , ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, *მაცნე*, 1992, №2.
9. ინაძე მ. , ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები, 1992, *მაცნე*, №1.
10. ინგოროყვა პ. , *გიორგი მერჩულე*, თბილისი, 1954.
11. მოვსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, თარგმნა ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1989.
12. მუსხელიშვილი დ. , *აფშილთა ეთნიკური კუთვნილების საკითხისთვის*, თბილისი: არტანუჯი, 2000.
13. *ქართლის ცხოვრება*, ანა დედოფლისეული ნუსხა, სიმ. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942.
14. *ქართლის ცხოვრება*, ტ. I, თბილისი, 1955.
15. ყაუხჩიშვილი თ. , *სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ*, თბილისი, 1957.
16. ჯავახიშვილი ივ. , *ქართველი ერის ისტორია*, თბილისი, 1951.
17. ჯავახიშვილი ივ. , *თხზულებანი თორმეტ ტომად*, ტ. I, თბილისი, 1979.
18. ჰეროდოტე, *ისტორია*, თარგმნა თ. ყაუხჩიშვილმა, ტ. I, თბილისი, 1957.
19. Армянская география VII века по Р.Х., ЖМНП, март, 1883, ч.ССXXVI.
20. Джанашвили М., *Абхазия и абхазцы (Этнографический очерк)*, Тифлис, 1893.
21. «Картлис цховреба», *История Грузии*, Тбилиси, 2008.
22. Латышев В.В., *Известия древних писателей о Скифии и Кавказе*, т. I, вып. I, СПб., 1893.
23. Латышев В.В., *Известия древних писателей о Скифии и Кавказе*, т. II, вып. I, СПб., 1904.

ირაკლი თოფურძე

**სულაიმან ფაშა ალ-ქაბირის (ბუიუქის)
მმართველობა ერაყში (1780-1802 წწ.)**

XVIII ს-ს 70-იან წლებში ოსმალეთის იმპერიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილში, ერაყის საფაშოში, ვითარება მკვეთრად დაძაბული იყო. ვილაეთის მამულურ ქურთული ხელისუფლება დიდი გაჭირვებით უმკლავდებოდა ერაყის არაბული თუ ქურთული ტომების აჯანყებებს, ქვეყანაში მძვინვარებდა შავი ჭირის ეპიდემია, რომელმაც ერაყის საფაშოს მმართველ წრეებამდეც მიაღწია. ამ უბედურებას დაემატა სპარსეთის ახალი და ენერგიული მმართველის ქერიმ ხან ზენდის (1775–1779წწ.) აქტიურობა, რომელიც გამუდმებით ცდილობდა ბაღდადის საფაშოს საშინაო საქმეებში ჩარეულიყო.

ერაყელების მხრიდან სპარსელი პილიგრიმების მიმართ ცუდი მოქცევა შიიტური წმინდა ადგილების ნეჯეფისა და ქარბალას მონახულებისას იყო მხოლოდ მიზეზი იმისა, რომ სპარსეთს გამოეცხადებინა ომი ერაყის ხელში ჩასაგდებად 1775 წლის დასაწყისში (შენგელია, 1973: 108). ამავე დროს, ქერიმ ხან ზენდი, რომელსაც ძალიან ბევრი მიმდევარი ჰყავდა შეჰრიზორში და მთელს ერაყის ქურთისტანში, განაგრძობდა ერაყის საქმეებში ჩარევას, რამაც მხარეებს შორის ცხარე შეტაკებები გამოიწვია. ამ დროს ოსმალეთის იმპერია ცდილობდა როგორმე შეეჩერებინა გაძლიერებული რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-ის (1762-1796 წწ.) ჯარები, რომლებიც დამარცხებას დამარცხებაზე აყენებდნენ ოსმალეთს. გამომდინარე აქედან სულთან 'აბდ ულ-ჰამიდ I-ს (1773 – 1789 წწ.) არ ჰქონდა არანაირი საშუალება, რომ დამხმარე ძალები გაეგზავნა ერაყში.

ქერიმ ხან ზენდმა ქ.ბასრასაკენ თავისი ძმის სადიკ-ხანის მეთაურობით 50 000-იანი ჯარი გააგზავნა. ამავე დროს მდ.შატ ულ-არაბის შესართავისაკენ დაიძრა სპარსული გემების ფლოტილია, რომელიც ოცდაათ ერთეულს შეადგენდა. ბასრა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, მოახლოებულ მტერს მხოლოდ ქალაქის გარნიზონი უპირისპირდებოდა, რომელიც მხოლოდ ათასხუთას მეომარს ითვლიდა (عبد الرحمن بن عبد الله السويدي البغدادي, 55-56, 1987). ბასრას დაცვა ადგილობრივმა მუთასალიმმა ითავა, რომელიც შემდგომში სულაიმან ფაშა ალ-ქაბირის (ბუიუქის) სახელით იქნა ცნობილი. წარმოშობით ქართველი მამლუქი სულაიმან ალა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ბასრელებს შორის და დიდი ენერჯია დახარჯა ქალაქის დაცვის საქმეში, ვიდრე მისი ძალები არ გამოიღია.

ოსმალეთის იმპერიის სულტანმა ქერიმ ხან ზენდს შირაზში ზავის შეთავაზებით ელჩობა გაუგზავნა. მაგრამ სპარსეთის მმართველმა ოსმალთა პირობები უარყო და ელჩები უშედეგოდ დაბრუნდნენ სტამბულში. შედეგად თოთხმეტოვანი ალყის შემდეგ 1776 წლის 15 აპრილს ბასრა მტერს დანებდა, ასევე სპარსელებს დანებდა მასკატის იმამის ფლოტი, რომელიც ბასრელების მხარეზე იბრძოდა.

ერაყში დატრიალებულმა ამბებმა ძლიერი გამოხმაურება გამოიწვია სტამბულში. სულტანმა, 'აბდ ულ-ჰამიდ I-მა, რომელმაც სულ მცირე ხნის წინ ძლივს

თავი დააღწია რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სთან მომქანცველ და დამამცირებელ ომს, თავისი ჯარები ბალდადში გააგზავნა. მაგრამ სულტანი დარწმუნებული იყო იმაში, რომ ერაყში მომხდარი, მთლიანად მამლუქური წარმომავლობის ბალდადის მმართველის ომარ ფაშას (1764-1775 წწ.) ბრალი იყო და იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა მას ჯარით ქ.ბასრას გადასარჩენად პირიქით მოიქცა – 1775 წელს ფაშა მოაკვლევინა (الشیخ رسول حاوی الکرکوکلی، بدون تاریخ، 152-153). ამ ნაბიჯით სულტანმა სცადა თავისი პიდაპირი მმართველობა დაემყარებინა ერაყში ბალდადში არამამლუქი ფაშას დანიშვნის გზით. მაგრამ არამამლუქი ფაშების დანიშვნამ კვლავ დაამტკიცა მათი უუნარობა ქვეყნის მართვასა და მის გადარჩენაში. ეს ყველაფერი გამოწვეული იყო იმით, რომ ბალდადის მოსახლეობას არ სწამდა ახალი მმართველობისა. ამ ვითარებას საქმე გადატრიალებამდე მიჰყავდა, რომელშიც მამლუქებს მთავარი როლი დაეკისრათ.

მიუხედავად ამისა სულტანი 'აბდ ულ-ჰამიდ I კვლავ განაგრძობდა არამამლუქი ფაშების დანიშვნას ერაყში, რომლებსაც არ შეეძლოთ მამლუქების ნაირად ემართათ ქვეყანა და მოსახლეობაში ზიზღს იწვევდნენ (عبد العزيز سليمان (نوار، 1968، 32).

1775-1780 წლებს შორის ბალდადის მმართველის ტახტი რამდენიმე პიროვნებას ეკავა, რომლებიც პირდაპირ მაღალი პორტიდან ინიშნებოდნენ. ამ მმართველთა მხრიდან ერაყის მოსახლეობისადმი ავტორიტეტის სრულმა უქონლობამ თავისი შედეგები გამოიწვია – მთელ საფაშოში ქაოსმა დაისადგურა, ქვეყანა აჯანყებებისაგან იძრწოდა. ქირქუქის ყოფილი გამგებელის, ალბანური წარმოშობის ყოფილი მამლუქის (جعفر الخياط، 1981:178; ჰასან ფაშა (1778-1780 წწ.) (عبد الرحمن بن عبد الله السويدي البغدادي، 1987: 68-69).

ბალდადის ვალიდ მსახურისას, არეულობამ ერაყში თავის პიკს მიაღწია. ფაშას წინააღმდეგ დაწყებულმა აჯანყებამ, რომელსაც ქურთთა მმართველი მაჰმუდ ბაბანი ხელმძღვანელობდა აიძულა ჰასან ფაშა დაეტოვებინა ბალდადი და სტამბულში გაქცეულიყო, როდესაც 1780 წელს აჯანყებულები ბალდადის კედლებს მიადგნენ (عثمان بن سند الوائلي البصري، 1991: 145-146).

ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, 1779 წელს სპარსელებმა დატოვეს ქ.ბასრა, რადგანაც ქალაქის სპარსი მმართველი სამშობლოში დაბრუნდა, რათა დახმარებოდა თავის ძმას, ქერიმ ხან ზენდის, სპარსეთის ტახტის მოპოვებაში (შენგელია, 1973: 111). რაც შეეხება სულაიმან ალას, მან ისარგებლა შექმნილი ვითარებით, დაბრუნდა ოთხწლიანი ტყვეობიდან ბასრაში და შეუდგა მის მართვას (جعفر الخياط، 1981: 183), ხოლო ჰასან ფაშას მიერ ბალდადის დატოვების შემდეგ სულაიმანმა მოთხოვნები გაუგზავნა სულტან 'აბდ ალ-ჰამიდ I-ს და საკუთარი კანდიდატურა წაუყენა მას საფაშოს მმართველის თანამდებობაზე, გამოიყენა რა თავისი ინგლისელი მეგობრის ლატუშის შუამავლობა, რომელიც ქ.ბასრაში ცხოვრობდა (ابراهيم فصیح بن السيد صبغة الله الحيدري البغدادي، 1999: 153) და Longrigg, 1968: 196).

თავისი პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე სტამბულში სულაიმანი შესაბამის კანდიდატურად მიიჩნის ბალდადის ვალის თანამდებობისათვის. ოსმალეთის იმპერიის მთავრობამ ჩათვალა, რომ სულაიმანი ზუსტად ის პიროვნება იყო, რომელსაც შეეძლო ბოლო მოეღო ერაყის სხვადასხვა ტომების აჯანყებებისათვის და ქვეყანა ფეხზე დაეყენებინა. სულაიმანის კანდიდატურის სასარგებლოდ მის მიერ გამოვლენილი თავდადებაც მოწმობდა ქ.ბასრას დაცვის საქმეში სპარსელების წინააღმდეგ (علاء موسى كاظم نورس، 1975: 45).

სულაიმან ფაშას უპირველესი მიზანი იყო ქვეყანაში უსაფრთხოებისა და სიმშვიდის დამყარება. ამ დროს არც სპარსეთს ეცალა ერაყისათვის ქვეყანაში შიდა არეულობის გამო.

სულაიმან ფაშამ შთამომავლობით მიიღო ის პრობლემები, რომლებიც ერაყში მოსახლე ტომებს ეხებოდა. ყველა მისი წინაპარი ამ პრობლემის ხმლის ძალით მოგვარებას ცდილობდა და არც სულაიმან ფაშა იყო გამონაკლისი (99,1967 (رجازد) كوك).

პირველი საშიში აჯანყება, რომელიც წინ დაუდგა სულაიმანს იყო ძლიერი არაბული ტომის – ალ-ხაზა'ილების¹ აჯანყება მათი შეიხის ჰამდ ალ-ჰამუდის მეთაურობით (1783 წ.). ეს აჯანყება გამოიწვიოდა თავისი სისასტიკითა და სიძლიერით. მაგრამ სულაიმანმა გამოიყენა რა ქურთების ძალები, ჩაახშო ეს აჯანყება. შეიხს აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ პატიება ეთხოვა სულაიმანისაგან, რომელიც მიიღო კიდევაც. თუმცა სულაიმანმა ჰამდ ალ-ჰამუდს მაინც შეუტია და კვლავ დაამარცხა იგი (1784 წ.). ამის შემდეგ სულაიმან ფაშა ბაღდადში დაბრუნდა ახლა უკვე ალ-'აბიდის არაბული ტომის² პრობლემის გადასაწყვეტად, რომლის შეიხთა საბჭოს სულაიმან ბექ აშ-შავი მეთაურობდა (Адамов, 1912, 385-386).

ამ დიდ ტომს, რომელიც თავისი სიმამაცით იყო განთქმული, პრეტენზია ჰქონდა მოსულიყო ერაყის მართვის სათავეში. ამავე დროს სულაიმანი ცდილობდა არ დაეშვა არაბული ეროვნული ელემენტი ქვეყნის მართვის საქმეში და მთელი ძალაუფლება მამლუქთა ხელში მოექცია. მაგრამ „აბიდის ტომი გასათვალისწინებელი ძალა იყო, რადგანაც მას შეეძლო დაეწყო აჯანყება ფაშას წინააღმდეგ, რაც ამ უკანასკნელს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა. უეჭველია ის, რომ ქაჰიას³ თანამდებობაზე სრულიად უცნობი აჰმადის დანიშვნა, როდესაც ამ თანამდებობის მოპოვებას თვით სულაიმან ბექ ალ-შავი ესწრაფვოდა, საკმარისი მიზეზი იყო იმისათვის, რომ სულაიმან ალ-შავის ხანგრძლივი აჯანყება დაეწყო. ამ აჯანყებაში ალ-შავიმ რიგ წარმატებებს მიაღწია, რომელთა შორის უდიდესი იყო ქურთული ტომების ბაბანიანთა ამირას დატყვევება. ამ დროს ბაბანიანები უძლიერეს ოჯახად ითვლებოდნენ ქურთისტანში და ამ მხარეს მართავდნენ. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ბაბანიანთა ამირა სულაიმან ფაშას უჭერდა მხარს, სულაიმან ალ-შავიმ იგი გაანთავისუფლა იმ იმედით, რომ ქურთთა ძალები ამ უკანასკნელის მხარეზე გადმოვიდოდნენ. თვით სულაიმან ფაშა ალ-ქაბირი (ბუიუქი) ბექვზე გადაურჩა 'აბიდის ტომის ტყვედ ჩავარდნას რომ არა აკილის არაბული ტომის დახმარება, რომელიც ფაშას სამსახურში იმყოფებოდა. ამის შემდეგ სულაიმან ალ-შავი ალ-მუნთაფიკების ტომის⁴ შეიხს სუვანის დაუკავშირდა, რათა მათ ერთიანი ძალებით დაემხოთ მამლუქთა ძალაუფლება

1 ალ-ხაზა'ილების ძლიერი არაბული ტომი ორ ქვეყანაში ბინადრობს — ერაყსა და ეგვიპტეში. ეგვიპტეში სახას (سخا) რაიონში, ხოლო ერაყში ქ.ჰილას მიდამოებში და ას-სამავას დასავლეთით. 245. ص. 1940. بغداد, ج 2, بغداد, عاصم العزاوي, 'عشائر العراق', 2.

2 ალ-'აბიდის - العبيد - ძლიერი არაბული ტომი ბინადრობდა ქ.ბაღდადის ჩრდილოეთით.

3 (كبي) كبي - შერბილებული გამოთქმა სპარსული სიტყვისა (كند), რომელიც დამხმარეს ან მოადგილეს ნიშნავს. ეს სიტყვა გამოიყენებოდა დიდი ადმინისტრაციული თანამდებობის პირის აღსანიშნავად, ხოლო შემდგომ მიიღო საფაშოს მმართველის პირველი ვეზირის დატვირთვა, რომელიც როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამხედრო საქმეებს განაგებდა.

4 ალ-მუნთაფიკების ძლიერი არაბული ტომობრივი კონფედერაცია ბინადრობდა მდ.ტიგროსსა და მდ.ევფრატს შორის ამ მდინარეთა ქვემო დინებაში ქ.ხასრას ჩრდი-

და ერაცის მართვის სადავეები არაბულ ტომებს ჩაეგდოთ ხელში. ამ მიზნის მი-საღწევად 'აბიდის, ხაზა' იღებისა და ალ-მუნთაფიკების ტომების გულები ცეცხ-ლით ანთო. მაგრამ სულაიმან ფაშა ბუიუქმა არაბულ ტომებს ბრძოლა გაუმარ-თა, დაამარცხა ისინი და ხელისუფლება კვლავ მამლუქებმა შეინარჩუნეს (40-41, 1961 (سليمان فائق بك)).

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქურთული სამხედრო შენაერთები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ ფაშას ხელში. მაგრამ ამავე დროს ისინი, თავიანთი ძლიერებით არანაკლებ საშიშროებას წარმოადგენდნენ თვით ფაშა-სათვის. ეჭვს არ იწვევს ის ფაქტი, რომ ფაშას ჭირდებოდა ქურთთა ლაშქარი იმის გამო, რომ მისი მამლუქები ჯერჯერობით არ იყვნენ გაწვრთნილი სათა-ნადო დონეზე. ამის დამამტკიცებელი ისაა, რომ არაბული ტომების აჯანყების ჩახშობა სულაიმან ალ-შავის მეთაურობით ფაშამ ქურთთა დიდი და ძლიერი ლაშქრის გამოყენებით შეძლო (36-37:1968 (عبد العزيز سليمان نوار)).

ქურთთა ძლიერება და მათი მხრიდან გამომდინარე საშიშროება არსებობდა როგორც ერაცში, ასევე ერაცის მეზობელ და მეტოქე სპარსეთში, სადაც ქურთე-ბი ცხოვრობდნენ ქერმანშაჰის რაიონში.

ეს უკანასკნელი სპარსეთის უფლისწულ მუჰამედ ალი მირზას მფლობელო-ბაში გადავიდა, როდესაც სპარსეთის შაჰმა ფათჰ ალიმ (1797 – 1834 წწ.) სპარ-სეთი თავის შვილებს დაუნაწილა. ამ რაიონში ბაბანიანთა ავტორიტეტი არა ნაკლები იყო ვიდრე ერაცის ქურთისტანში და საკმარისი იყო ქურთთა ამირას მოთხოვნა ბაღდადიდან არ დაკმაყოფილებულიყო, იგი სპარსეთში გადადიოდა და იქ ითხოვდა დახმარებას. სპარსეთი კი მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში იმ-ყოფებოდა, რათა დაეპყრო ერაცის რომელიმე ნაწილი, ანდა მთელი საფაშო. ამიტომ, გაითვალისწინა რა, არსებული მდგომარეობა, სულაიმან ფაშამ, არ დაელოდა რა სულთნის ფირმანს, ქურთთა ამირას ქურთისტანის მუთასალიმის თანამდებობა მისცა, რამაც ბაბანიანები და სულაიმან ფაშა ბუიუქი დაახლოვა. რაც შეეხება ძველ მუთასალიმს, რომელიც ასევე ბაბანიანთა გვარის წარმომად-გენელი იყო და მხილებულ იქნა სპარსეთთან კავშირში, იგი ფაშამ თანამდებო-ბიდან გადააყენა (152-157: 1991 (عثمان بن سند الوائلي البصري)).

ამავდროულად სულაიმან ფაშა ბუიუქი ცდილობდა დიდი ხნით არ გაეჩერე-ბინა ქურთთა მუთასალიმის თანამდებობაზე ერთი პიროვნება, რათა მის ხელში არ მომხდარიყო ხელისუფლების კონცენტრაცია მთელს ერაცის ქურთისტანში. ფაშა ცდილობდა არ გაეერთიანებინა ქურთები ერთი კაცის მმართველობის ქვეშ და ამიტომ ხშირ-ხშირად ცვლიდა ქურთთა მუთასალიმის თანამდებობაზე ბაბა-ნიანთა ოჯახის წევრებს (108, 1954 (عباس العزاوي)).

მას შემდეგ, რაც სულაიმან ფაშა ბუიუქმა წარმატებით ჩაახშო ყველა აჯან-ყება, სულტანმა მასში დიდი ძალა დაინახა იმისათვის, რომ გამოეყენებინა იგი როგორც საფაშოს შიგნით, ასევე ერაცის საზღვრებს გარეთ. ამიტომაც დაავალა მას სირიის უდაბნოში მომთაბარე ალ-მალის ტომის აჯანყების ჩახშობა. თუმ-ცადა ერაცის ფაშა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა ამ დავალებისაგან

ლოეთით. ამ ტომს დიდი ზეგავლენა ჰქონდა ერაცის საშინაო პოლიტიკურ ცხოვრება-ზე. ალმუნთაფიკების ისტორია აღწერილია

سليمان فائق بك، "عشائر المنتفق"، ترجمة محمد خلوصي الناصري، تقديم عبد الرزاق الحسني، اذار العربية للموسوعات بيروت، 2003

და

الدكتور عبد الجليل الطاهر، "العشائر العراقية"، أنساب عشائر المنتفق و العمارة و البصرة، دار لبنان، بيروت، 1972

თავი აერიდებინა. სულაიმან ფაშა ბუიუქის წარმატება ალ-მალის აჯანყების ჩახშობაში დამოკიდებული იყო იმაზე, რომ დიარბაქრსა და მარდინში ფაშას უზრუნველყოფის ბაზები ჰქონდა და ასევე იმაზე, რომ მამლუქებისათვის ბრძოლის ველი კარგად იყო ცნობილი (ბრძოლა გაიმართა სირიის უდაბნოში) (69-70, 1952, أحمد علي الصوفي) და ეს იმისაგან განსხვავებით, რაც სულაიმან ფაშა ბუიუქის უზარმაზარ არაბულ-ქურთულ ლაშქარს დაემართა ვაჰაბიტებთან ბრძოლის დროს, სადაც მისი არაშეკავშირებული ლაშქარი უცხო და ველურ უდაბნოში სასტიკად დამარცხდა და თავი რომ გადაერჩინა არაბეთის ნახევარკუნძული დატოვა (24-25, 2003, سليمان فاتق بك).

სულტანმა სალიმ III-მ (1789 – 1807წწ.) კვლავ მოსთხოვა სულაიმან ფაშა ბუიუქს გაეგზავნა ექსპედიცია ვაჰაბიტების წინააღმდეგ, თანაც ამის ძლიერი წინაპირობა არსებობდა, რადგანაც ერაყელი არაბები არ იზიარებდნენ თავიანთი უდაბნოელი ვაჰაბიტი მოძმეების შეხედულებებს. ფაშამ მეორეჯერ გააგზავნა თავისი ჯარები ვაჰაბიტების წინააღმდეგ. ამ ლაშქრობას ალ-მუნთაფიკების ტომობრივი კონფედერაციის შეიხი სუვანი ჩაუდგა სათავეში. მის ლაშქარში სხვადასხვა არაბული ტომების მებრძოლთა გარდა მამლუქური და იენიჩართა შენაერთები იყვნენ გაერთიანებულნი. ლაშქრობა 1797 წ. დასაწყისში დაიწყო და არაფერ კარგს უქადდა ვაჰაბიტებს. მაგრამ ბედმა უეცრად გაუღიმა პურიტან მუსლიმებს – სამხედრო კამპანიის მსვლელობისას იმავე წლის ივნისში შეიხ სუვანი მოკლულ იქნა მისივე მონის, ფარული ვაჰაბიტის, ვინმე ტუაისის მიერ. სუვანის მკვლელობამ კატასტროფული შედეგები გამოიტანა ბაღდადის ფაშას ჯარებისათვის. მისმა ძალებმა უსისტემოდ და პანიკურად დატოვეს ბრძოლის ველი, რამაც ვაჰაბიტებს ხელ-ფეხი გაუხსნა და მათ გარდა იმისა, რომ ბრძოლის დროს დიდი ნადავლი მოიპოვეს, გამოიყენეს მომენტი და ერაყის საზღვრისპირა რაიონების ძარცვა დაიწყეს. ხოლო შემდგომ 1798 წელს მათ მარბიელმა შენაერთებმა სირიის უდაბნოს მიაღწიეს და ერაყულ ქალაქებს სუკ აშ-შუიუხსა და სამავას შეუტიეს (116-117, 1998, عثمان بن بشر النجدي).

ამ ამბის შემდეგ სტამბულმა კატეგორიულად მოსთხოვა სულაიმან ფაშა ალ-ქაბირს (ბუიუქს) ერთხელ და სამუდამოდ მოეგვარებინა ვაჰაბიტური პრობლემა. ბაღდადის გამგებელმა თავის ქაჰიას 'ალი ფაშას დაავალა ვაჰაბიტთა გამობტომების აღკვეთა. 'ალი ფაშას არმია, რომელიც ათი ათასზე მეტ მებრძოლს ითვლიდა 1798 წლის სექტემბერში ნელა დაიძრა ვაჰაბიტების წინააღმდეგ. გზად მას ერაყის არაბული ტომების რაზმები უერთდებოდნენ და 1798 წლის მიწურულს – 1799 წლის დასაწყისში ერაყელებმა მტერს შეუტიეს (Васильев, 1967, 141-142).

მაგრამ ეს მცდელობაც უშედეგოდ დასრულდა. 'ალი ფაშას არმია მძიმე ბრძოლების შემდეგ იძულებული იყო დაეტოვებინა არაბეთის ნახევარკუნძული. ამ გარემოებამ, რა თქმა უნდა, გააღვივა ვაჰაბიტებისა და მათი ლიდერის ას-სა,უდის ამბიციები ქ.ბასრასა და ევფრატის დასავლეთ სანაპიროზე. სულაიმან ფაშა ბუიუქმა გადაწყვიტა ამ დაძაბული მდგომარეობიდან მოლაპარაკებების გზით გამოსულიყო და 1801 წლის მარტის დასაწყისში ვაჰაბიტებთან ელჩად გააგზავნა 'აბდ ალ-'აზიზ ბინ 'აბდ ალ-ლაჰ ბინ შავი. მოლაპარაკებებზე ას-სა,უდმა დამცინავად მიმართა ბაღდადის ფაშას წარგზავნილს: „ის რაც ევფრატის დასავლეთით მდებარეობს მე მეკუთვნის, ხოლო რაც აღმოსავლეთით – მისია [ფაშასი]“ (عثمان بن سند الوائلي البصري, 238, 1991). მოლაპარაკებები ჩაიშალა და 'აბდ ალ-'აზიზ ბინ 'აბდ ალ-ლაჰ ბინ შავი იმავე წლის 14 მარტს უშედეგოდ დაბრუნდა ერაყში 53-56, 1975 (علاء موسى كاظم نورس).

ამ წელიწადს სხვა პრობლემებმაც იჩინა თავი: თვით სულაიმან ფაშა ალ-ქაბირს (ბუიუქს) გაუმძაფრდა ავადმყოფობა, ქვეყანაში გავრცელდა შავი ჭირი, ტომებს შორის მმართველობით უკმაყოფილებამ იჩინა თავი, გაძლიერდა ვაჰაბიტთა ზეწოლა – 1802 წლის 22 აპრილს მათ აიღეს ქ.ქარბალა და რვა საათის განმავლობაში სასტიკად გააპარტახეს იგი (69:1952, أحمد علي الصوفي). ამას დაემატა ურთიერთობების უკიდურესად დაძაბვა ოსმალეთსა და სპარსეთს შორის. ასევე ის, რომ სულაიმან ფაშა ალ-ქაბირმა (ბუიუქმა) უარი განუცხადა სპარსელებს ერაყის ტერიტორიის გავლით ვაჰაბიტებთან საბრძოლველად მათი სამხედრო ნაწილების გაგზავნაზე. სულაიმანის ამ განცხადებამ სპარსელების უკიდურესი გაღიზიანება გამოიწვია (39, 1968, عبدالعزیز سليمان نوار).

სულაიმან ფაშა ალ-ქაბირის (ბუიუქის) ხანგრძლივი ბრძოლის ისტორია ერაყის ტომების წინააღმდეგ მიუთითებს იმაზე, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა არა ძალის გამოყენებით, არამედ ამ ტომების უფლებების ცნობით უნდა მომხდარიყო. ზუსტად ამ მიზეზის გამო ერაყის ტომების პრობლემის გადაწყვეტა გაგრძელდა ვიდრე XX საუკუნემდე და როგორც კი მამლუქები თავიანთი ხმლის ძალით ჩაახშობდნენ ერთი ტომის აჯანყებას, მაშინვე იწყებოდა უფრო ძლიერი და საშიში წინააღმდეგობა სხვა ტომების მხრიდან. მიუხედავად ამ აჯანყებებისა, სულაიმან ფაშა ალ-ქაბირმა (ბუიუქმა) წარმატებულად მართა ქვეყანა თითქმის ოცი წლის განმავლობაში. ეს იყო ოქროს ხანა ერაყელი მამლუქებისათვის, რადგანაც მათ მთლიანად ეპყრათ საფაშო საკუთარ სადავეებში. ალ-სანიშნავია, რომ სულაიმან ფაშა ალ-ქაბირის მმართველობის დროს მამლუქთა რაოდენობა საკმაოდ გაიზარდა და მათი უმრავლესობა საქართველოს შვილებს წარმოადგენდა (Longrigg, 1968: 200, 207, 211). მიუხედავად მრავალი აჯანყებისა, ქვეყანა გაცილებით უფრო სტაბილურად გამოიყურებოდა ვიდრე მთელი ოსმალეთის იმპერია, რომელიც აჯანყებებისაგან იძრწოდა. ამავე დროს სულტანი კარგად ხედავდა, რომ იმპერიის განაპირას არსებობს ძლიერი სამხედრო ძალა, რომლის სათავეში მამლუქთა წრიდან გამოსული ფაშა იდგა. ამიტომაც იგი ცდილობდა გამოეყენებინა ეს ძალა ალ-მალის არაბული ტომისა და ვაჰაბიტების წინააღმდეგ. რა ბედი ეწია სულაიმან ფაშა ალ-ქაბირს (ბუიუქს) ვაჰაბიტების წინააღმდეგ ბრძოლაში და რა მიზეზებით მოხდა ეს, ჩვენს მიერ უკვე ნახსენებია. მაგრამ სულაიმანმა აჯობა თავის წინამორბედებს ქვეყნის უდიდეს ნაწილში სტაბილური მდგომარეობის დამყარების საქმეში. ამ მიზნის მისაღწევად იგი ხანდახან წაკიდებდა არაბებსა და ქურთებს, ხანდახან კი თვით ქურთთა და არაბთა შიგნით შუღლს ჩამოაგდებდა, დაასუსტებდა მათ, ხოლო შემდეგ თავის მიერ შექმნილ ვითარებას აკონტროლებდა და ნელ-ნელა ახდენდა ძალაუფლების კონცენტრაციას მამლუქთა ხელში. რაც შეეხება ერაყში არსებულ კიდევ ერთ სამხედრო ძალას – იენიჩრებს, ისინი პრაქტიკულად ვერანაირ როლს ვერ ასრულებდნენ საფაშოს ცხოვრებაში (Longrigg, 1968: 220). აი ასე, ნელ-ნელა მთელი ერაყის სამხედრო და ადმინისტრაციული თანამდებობები მამლუქთა ხელში გადავიდა.

მიუხედავად იმ პრობლემებისა, რომელიც თავს დაატყდა სულაიმანს შავი ჭირისა და გვალვების სახით, ბაღდადის საფაშომ მისი მმართველობის პერიოდში შესძლო თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ერაყის სხვა მცირე საფაშოები, იქნებოდა ეს ქურთული ტომებით, თუ შიიტი ან სუნიტი არაბებით დასახლებული რაიონები. მაგ., ქ.მოსულის გამგებელთა ოჯახის ალ-ჯალილების წარმომადგენელი მოსულის მმართველად ინიშნებოდა მხოლოდ სტამბულის თანხმობითა და ბაღდადის ფაშას აზრის გათვალისწინებით (138, 1975, عماد عبد السلام رؤوف).

ფაშამ დიდი გავლენა მოახდინა ქ. რევანდუზის¹ საშინაო საქმეებში. ქ. ქო- ისინჯაკის გამგებლობა ბაბანიანთა დაქვემდებარებაში მყოფ სორანის ქურთულ ოჯახს გადაეცა, რამაც საშუალება მისცა ბალდადს თვითონ დაენიშნა ქირქუქის მუთასალიმი. ბალდადის დაქვემდებარებაში მოექცა ერბილი, მარდინი, ნასიბინი და ქიფრი (140 , 1975 , *عماد عبد السلام رؤوف*), ანუ პრაქტიკულად მთელი ერაციის ქურთისტანი.

პოლიომიოტიისაგან დასუსტებულმა სულაიმან ფაშა ბუიუქმა 1802 წელს სიკვდილის წინ შეკრიბა თავისი სიძეები საწოლის გარშემო, რომელზედაც იყო მიჯაჭვული და ერთსულოვნება უანდერძა. ჩანს სულაიმანს ეშინოდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ თავის სიძეებს შორის დაძაბულობა ჩამოგარდებოდა თანამდებობების ხელახალი გადანაწილების გამო. ერაციის ერთ-ერთი უძლიერესი ქართული წარმოშობის მმართველი 66 წლის ასაკში გარდაიცვალა 1802 წლის 7 აგვისტოს დაახლოებით დილის 10 საათზე (Longrigg, 1968: 220 და 1975 , 59 , *علاء موسى كاظم نورس*). ასევე ჩანს ისიც, რომ ფაშას ანდერძის თანახმად ბალდადის ვალის თანამდებობაზე უნდა დანიშნულიყო მისი უფროსი ქალიშვილის ქმარი, ქართული წარმომავლობის ყოფილი მამლუქი 'ალი 59 , 1975 , *علاء موسى كاظم نورس*).

ამგვარად დასრულდა ერაციის ახალი ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მონაკვეთი. იგი განისაზღვრება, როგორც ერაციის გაერთიანებისათვის და სტაბილურობისათვის ბრძოლის ოცდაორწლიანი პერიოდი. როგორც ზემოთ აღინიშნა, სულაიმან ფაშა ალ-ქაბირი (ბუიუქი) ცდილობდა რიცხვობრივად გაეზარდა მამლუქები და ამ საქმისათვის არ იშურებდა ფულად დანახარჯებს. მის მიერ მამლუქთა ადმინისტრაციულ თამანდებობებზე დაწინაურების პოლიტიკამ საფუძველი ჩაუყარა იმ დინასტიურ ჯაჭვს, რომელიც „ერაციის მამლუქთა ქართულ დინასტიად“ არის ცნობილი და რომელიც მართავდა საფაშოს ერაციის უკანასკნელი ქართული წარმომავლობის ყოფილი მამლუქის, დაუდ ფაშას მმართველობის განადგურებამდე 1831 წელს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. შენგელია, ლ. *ირანი ქერიმ ხან ზენდის დროს*. თბილისი: მეცნიერება, 1973.
2. Адамов, А. *Ирак Арабский, Бассорский вилает в его прошлом и настоящем*. СПб, 1912.
3. Васильев, А.М. *Пуритане Ислама? Ваххабизм и первое государство Саудидов в Аравии (1744/45-1818)*. Москва: Наука, 1967.
4. إبراهيم فصيح بن السيد صبغة الله الحيدري البغدادي, "عنوان المجد في بيان أحوال بغداد و البصرة و النجد", مكتبة مديبولي, القاهرة, 1999.
5. شيخ رسول حاوي الكركوكلي, "دوحة الوزراء في تاريخ وقائع بغداد الزوراء", ترجمة علاء موسى كاظم نورس, بيروت - بغداد, بدون تاريخ.
6. سليمان فائق بك, "تاريخ المماليك الكولة منذ" في بغداد", نقلها إلى اللغة العربية محمد نجيب أرمنزاي, مطبعة المعارف, بغداد, 1961 .
7. سليمان فائق بك, "عشائر المنتفق", ترجمة محمد خلوصي الناصري, تقديم عبد الرزاق الحسني, الدار العربية للموسوعات, بيروت, 2003.

1 ქურთული ქალაქი ამაღიასა და სულაიმანიეს შორის.

8. عبد الرحمن بن عبد الله السويدي البغدادي ، "تاريخ حوادث بغداد و البصرة"، حقق و قدم له و علق عليه الدكتور عماد عبد السلام الرؤوف، بغداد، 1987.
9. عثمان بن سند الوائلي البصري، "مطالع السعود"، تحقيق عماد عبد السلام رؤوف و سهيلة عبد المجيد القيسي، الموصل، 1991
10. عثمان بن بشر النجدي ، "عنوان المجد في تاريخ نجد" ، مكتبة الثقافة الدينية ، بيروت ، 1998
11. أحمد علي الصوفي، "الممالك في العراق"، الموصل، 1952
12. جعفر الخياط، "صور من تاريخ العراق في العصور المظلمة"، الجزء الأول، بيروت، 1981
13. ريجارد كوك، "بغداد مدينة السلام"، الجزء الثاني، ترجمة إلى اللغة العربية الدكتور مصطفى جواد و فؤاد جميل بغداد، 1967
14. عبد العزيز سليمان نوار ، "داود باشا والي بغداد"، القاهرة، 1968
15. علاء موسى كاظم نورس، "حكم المماليك في العراق"، بغداد، 1975
16. عباس العزاوي، "عشائر العراق"، ج 2 ، بغداد ، 1940
17. عباس العزاوي ، "تاريخ العراق بين احتلالين" ، المجلد السادس ، بغداد ، 1954
18. عماد عبد السلام رؤوف، "الموصل في العهد العثماني"، النجف الأشرف، 1975
19. Longrigg, Stephen Hemsley. *Four Centuries of Modern Iraq. Beirut: Librairie du Liban, 1968.*

**რამდენიმე მოსაზრება ირანისა და თურქეთის
„კრიზისების“ შესახებ**

(II მსოფლიო ომის მიწურული და ომის შემდგომი პირველი წლები)

II მსოფლიო ომის მიწურულს და ომის შემდგომ პირველ წლებში არსებულ ე.წ. ირანისა და თურქეთის კრიზისების საფუძვლად მიიჩნევენ საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებს ამ ორი ქვეყნის მიმართ. ამ საკითხებთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს. მიუხედავად ამისა, საჭიროდ ჩავთვალე კიდევ ერთხელ გამემახვილებინა ყურადღება ამ პრობლემებზე შემდეგი მოსაზრებებიდან გამომდინარე: 1) ეს ორი კრიზისი ჯერჯერობით არ ყოფილა განხილული ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და პირადად მე ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად მესახება, რამდენადაც მიმაჩნია, რომ საბოლოო ჯამში, სწორედ ამ არაპირდაპირმა კავშირმა, ნაწილობრივ მაინც, განაპირობა საბჭოთა კავშირის უკანდახევა. 2) ყურადღება არაა განმახვილებული იმ ფაქტზე, რომ საბჭოთა კავშირის თავდაპირველი მოთხოვნები სრულიად სხვა საკითხებს ეხებოდა და არა ტერიტორიულ პრეტენზიებს – ირანის შემთხვევაში ეს იყო ქვეყნის ჩრდ. ნაწილში ნავთობის ძიებისა და მოპოვების მონოპოლია, ხოლო თურქეთის შემთხვევაში – სრუტეების კონტროლი – რუსეთის იმპერიის ტრადიციული ოცნება. 3) არც დასავლეთს და არც საბჭოთა კავშირს ხანგრძლივი დროის მანძილზე არ ჰქონია მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკუთარი მიზნები. 4) უკიდურესად მნიშვნელოვანია, რომ კრიზისების დასრულების მიზეზი გახდა არა იმდენად დასავლეთის ზეწოლა (გადაჭარბებულად მივიჩნევ ატომური მუქარის გამო საბჭოთა კავშირის უკანდახევას), არამედ, უპირველესად, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საბჭოთა ხელმძღვანელობის რაციონალური პოზიცია – იმ საფრთხის გათვლა, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა სამხრეთ კავკასიაში ამ ტერიტორიულ ცვლილებებს. ამდენად, ასევე გადაჭარბებულია ფართოდ გაზიარებული თვალსაზრისი, რომ მაგალითად ირანის კრიზისის დასრულება წარმოადგენს შეერთებული შტატების პირველ გამარჯვებას ახლადდაწყებულ ცივ ომში.

ამ კრიზისების შესახებ ძირითად წყაროებს წარმოადგენს თანამედროვეთა ჩანაწერები, არქივებში არსებული სხვადასხვა სახის დოკუმენტები. აქვე მინდა ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა მკვლევარმა გიორგი მამულიამ შეისწავლა საქართველოს არქივებში არსებული დოკუმენტები ამ კრიზისების შესახებ და ყურადსაღები სტატია გამოაქვეყნა ფრანგულ ენაზე (Mamoulia, 2004). საქართველოში არსებული დოკუმენტების უმრავლესობა, ბუნებრივია, რუსეთის არქივებშიცაა დაცული და შესწავლილია, მაგრამ მაინც მეტად ფასეულია გიორგი მამულიას მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე დოკუმენტი: მაგალითად ქართული და სომხური მხარეების „დავა“ თურქეთის ტერიტორიებზე, ასევე მეტად საინტერესოა დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ ისფაჰანის საბჭოთა კავშირის საკონსულოში სპეციალურად დაინიშნა საქართველოს წარმომადგენელი, რომელსაც უნდა ემუშავა ფერეიდნელებთან. საინტერესოა, თვითონ ამ პიროვნების მოხსენებითი ბარათი ფერეიდნელების შესახებ, სადაც ის წერს, რომ ირანელი ქართველები უპირობოდ უჭერენ მხარს თუდეს პროკომუნისტურ პარტიას. უკვე რუსი დიპლომატის ჩანაწერებში კი ხაზგასმულია, რომ ქართველები ირანში სოფ-

ლის მოსახლეობას წარმოადგენენ და აბსოლუტურად აპოლიტიკურები არიან. (Mamoullia, 2004 – სპა, ფ. 14, აღწ. 19). ეს მეორე თვალსაზრისი ალბათ ბევრად უფრო დამაჯერებელია, პირველ შემთხვევაში კი ერთგვარ პატრიოტიზმის გამოვლენასთან გვაქვს საქმე.

ახლა საკუთრივ ამ კრიზისების მიმდინარეობის შესახებ:

ა) ირანი

ჯერ კიდევ 1942 წლის თებერვლის დასაწყისში მოჰამად რეზა შაჰმა სთხოვა პრეზიდენტ რუზველტს, რომ აშშ გამხდარიყო ირანის ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობის გარანტი. ირანის მთავრობას სურდა, რომ აშშ მის მხარდამჭერ საგარეო ძალად გადაქცეულიყო (გერმანიის ნაცვლად). აშშ, რუსეთისა და ბრიტანეთისაგან განსხვავებით, არ იყო ასოცირებული ტრადიციულ კოლონიურ პოლიტიკასთან. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ რუზველტი მოერიდა იმ ხანებში ირანის მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო „დამცველად“ ქცევას, აშშ უაღრესად გააქტიურდა ქვეყანაში. შტატებმა ლენდ ლიზის პროგრამით 4 მლნ ტონა სამხედრო აღჭურვილობა გაგზავნა საბჭოთა კავშირში ირანის გზით (Rossow, 1956: 17).

აზერბაიჯანის ქვეშარიტი კრიზისი დაიწყო მაშინ, როდესაც საბჭოთა კავშირმა, გაიგო რა შტატებისათვის შესაძლო სანავეთობო კონცესიის გაცემის შესახებ, მოინდომა ირანზე ზეწოლის განხორციელება ქვეყნის ჩრდილოეთში სანავეთობო კონცესიის მოსაპოვებლად. აქედან დაწყებული, მოსკოვი ყოველმხრივ უწყობდა ხელს სინდიკატების შექმნას და თუდეს პროკომუნისტური პარტიის იმპლანტაციას ჩრდილოეთის პროვინციებში. თუმცა, ძლიერი ზეგავლენის მიუხედავად, მაინც ვერ მოხერხდა თუდეს მთლიანად საბჭოთა მიზნებისათვის დაქვემდებარება.

თუდეს პარტიის აზერბაიჯანის ფრთა დაიშალა 1945 წლის ზაფხულში, როდესაც დაარსდა აზერბაიჯანის დემოკრატიული პარტია (სპ. *ფერქა-იე დე-მოქრათ-ე აზერბაიჯანი*). ახალი პარტიის ლიდერი გახდა ძველი კომუნისტი ჯაფარ ფიშავარი (ის ჯერ კიდევ 1905 წელს მონაწილეობდა ბაქოში მიმდინარე რევოლუციურ მოძრაობაში). პარტიის წევრები მოითხოვდნენ რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭებას (შემდგომ უკვე დამოუკიდებლობის, შესაძლოა საბჭოთა აზერბაიჯანთან გაერთიანების პერსპექტივითაც) და თვლიდნენ, რომ ამგვარი რევოლუციური მოწოდება უფრო კარგად იქნებოდა მიღებული სახალხო ფენების მიერ ცენტრალიზაციის პოლიტიკის არაპოპულარობის გამო. ისინი ცენტრალურ ხელისუფლებას ბრალს დებდნენ ეთნიკური უმცირესობების ინტერესების უგულვებელყოფაში. თავის მხრივ, თუდე იზიარებდა ცენტრალიზმის იდეებს და ზღუდავდა ლოკალური ენების გამოყენებას თავის შეკრებებსა და პროპაგანდაში. დემოკრატიული პარტია ასევე მოითხოვდა ღონისძიებების გატარებას გლეხთა დასაცავად მიწისმფლობელებისაგან და ვაჭრობის ხელშეწყობას.

თუდემ, პარტიის ერთ-ერთი აქტიური წევრის ხალილ მალექის მომხრეთა მეცადინეობით, კავშირი გაწყვიტა დემოკრატიულ პარტიასთან. ამის ერთ-ერთი მიზეზი საბჭოთა საელჩოს მოქმედებაც იყო, რომელიც ცდილობდა თუდე დემოკრატიული პარტიის უბრალო დანამატად ექცია. ახალმა პარტიამ სწრაფად შექმნა პოლიტიკურ ადმინისტრაცია, საკუთარი მილიციით, რომელსაც აიარაღებდა წითელი არმია.

თუდეს პარტიის ლიდერები ეთანხმებოდნენ ფიშავარს უმცირესობათა უფლებების დაცვის აუცილებლობაში, მაგრამ კატეგორიულად უარყოფდნენ სეცესიონისტურ მოთხოვნებს. მალექიმ და თუდეს სხვა ლიდერებმა რეზოლუციაც კი

მიიღეს, რომლითაც უარს აცხადებდნენ ფიშავარის პარტიის ცნობაზე. მაგრამ საბჭოთა საელჩომ მოთხოვა თუდეს, რომ უარი ეთქვა რეზოლუციის გამოქვეყნებაზე, ვინაიდან ეს „საზიანო იქნებოდა სოციალიზმის მომავლისათვის ირანში“ და აიძულა, რომ თუდეს მისალოცი წერილიც კი გაეგზავნა ფიშავარისათვის (Blake, 2009: 13). თუმცა, ამით „შერიგება“ არ განხორციელებულა და თუდესაც არ შეუცვლია ირანის უპირობო ერთიანობის დაცვის პოზიცია, რამაც განაპირობა ზემონახსენები განხეთქილება.

დემოკრატიულმა პარტიამ 1945 წელს ჩაატარა კონგრესი თავრიზში, რომელზეც გამოცხადდა აზერბაიჯანის ავტონომიის შექმნა, მაგრამ ირანულ სახელმწიფოსთან კავშირის გაწყვეტის გარეშე, რომლისთვისაც პროვინცია აგრძელებდა გადასახადების გადახდას. დემოკრატიული პარტიის მიერ ირანის პარლამენტის ლეგიტიმურობაც აღიარებული იყო, ვინაიდან აზერბაიჯანი დეპუტატებს აგზავნიდა თეირანში. ამასთან ერთად, პროვინციაში განლაგებული ირანული სამხედრო შენაერთები ადგილობრივ ხელისუფლებას დაემორჩილნენ და არააზერბაიჯანული წარმოშობის საჯარო მოხელეები დაითხოვეს სამსახურებიდან.

ოფიციალურად, საბჭოთა არმია ნეიტრალური იყო, რეალურად კი, 1942 წლის ხელშეკრულებით მოსკოვის მიერ აღებული ვალდებულების საწინააღმდეგოდ, არ აპირებდა ქვეყნიდან გასვლას. კომუნისტებისათვის, რომლებიც ცდილობდნენ ამგვარი ქცევის გამართლებას, სტრატეგიული თვალსაზრისით აზერბაიჯანი მიიჩნეოდა საბჭოთა კავშირის და კერძოდ, კავკასიის უსაფრთხოებისათვის უმნიშვნელოვანეს რეგიონად.

კიდევ ერთი ავტონომისტური მოძრაობა დაიწყო ქურთისტანში. მას არ ჰქონდა მკაფიოდ გამოკვეთილი კომუნისტური შეფერილობა, მიუხედავად საბჭოელებს მცდელობისა საკუთარი მიზნებისათვის დაექვემდებარებინათ იგი. ამ მოძრაობის ლიდერი ადგილობრივი დიდგვაროვნები, ყაზი მოჰადამის მეთაურობით, არაერთხელ მიიწვიეს ბაქოში კომუნიზმის „წარმატებების“ საჩვენებლად, მაგრამ დიდი ზეწოლის მიუხედავად, მათ უარი თქვეს შეერთებოდნენ აზერბაიჯანულ მოძრაობას.

არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება ქურთისტანის დემოკრატიულ პარტიასა და ფიშავარის აზერბაიჯანის დემოკრატიულ პარტიას შორის. ფიშავარის პარტიის წევრებს ძირითადად ის ირანელები შეადგენდნენ, ვინც დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში და კარგად იცნობდა კომუნისტურ იდეოლოგიას. ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის წევრები კი იყვნენ ადგილობრივი კლანების ლიდერები, რომლებმაც არაფერი იცოდნენ კომუნიზმის შესახებ და საერთოდ, განათლებაც არ ჰქონდათ მიღებული. ამ მიზეზით, საბჭოელებს გაცილებით უფრო უჭირდათ ქურთების საკუთარ მხარეზე გადმობირება. ისინი დემოკრატიულ პარტიას იარაღით და ფულით ამარაგებდნენ, მაგრამ მაინც ვერ მოიკიდეს მყარად ფეხი ქურთისტანში.

თავის მხრივ, ირანის აზერბაიჯანში მხარდაჭერის მოპოვების მიზნით, ჯერ კიდევ 1944 წლის 6 მარტს, ბაქოში შეიქმნა კავკასიის მუსლიმთა სამმართველო (აზერბაიჯანის კომპარტიის გადაწყვეტილებით!). რელიგიისა და მორწმუნეების ხელშეწყობით საბჭოთა ხელმძღვანელობა იმედოვნებდა სამხრეთ აზერბაიჯანის მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებას (თუმცა, ეს სულაც არ ყოფილა მთავარი მიზანი). ომის დროს კავკასიის მუსლიმი სამღვდელოებისა და მორწმუნეების კონგრესმა მიიღო დეკლარაცია, რომლითაც მოუწოდა მთელი მსოფლიოს მუსლიმებს ჯიჰადისკენ „ფაშიზმის, გერმანიისა და იტალიის, ჰიტლერისა და მუსო-

ლინის“ წინააღმდეგ, რომელთა გეგმებშიც შედიოდა „არაბეთისა და ეგვიპტის წმინდა მიწების დაპყრობა“.

დიდი ბრიტანეთი და აშშ ყოველმხრივ ცდილობდნენ არ დაეშვათ საბჭოთა ზეგავლენის გაძლიერება ირანში. ვაშინგტონმა და ლონდონმა ამგვარი ქმედებებით აშკარად უბიძგეს საბჭოელებს გაეგზავნათ დელეგაცია თეირანში 1944 წელს, რომელსაც საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის თანაშემწე სერგო ქავთარაძე მეთაურობდა. სექტემბერში თეირანში ჩასულმა დელეგაციამ მოითხოვა ხუთწლიანი სანავთობო საძიებო კონცესია ირანის ჩრდილოეთში (Hess, 1974: 122) 6 ოქტომბერს ირანის პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ნებისმიერ კონცესიაზე დისკუსიების აკრძალვის შესახებ ომის დასრულებამდე. ქავთარაძე, საბჭოთა პრესა და თუდე მკაცრად აკრიტიკებდნენ მთავრობის გადაწყვეტილებას (იქვე, 121).

ჯორჯ ქენანის, მოსკოვში აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის თანახმად, ქავთარაძის მისიის მიზანი იყო არა სანავთობო კონცესია, არამედ ირანში დასავლური სახელმწიფოების პოზიციების გამყარების შიში, რომელსაც თან ერთვოდა საკუთარ პრესტიჟზე ზრუნვა. საბჭოელებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ არც ერთი ქვეყანა არ შეეშვათ ჩრდ. ირანში ნავთობის ექსპლუატაციისათვის და ქენანის აზრით, შეიძლება ფიქრობდნენ, რომ აშშ მათ პოლიტიკურ მიზნებს უპირისპირდებოდა ქვეყნის ჩრდილოეთში.

1944 წლის 25 ოქტომბერს, ერთთვიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ, საბჭოთა „სანავთობო“ დელეგაცია დაბრუნდა თეირანიდან მოსკოვში და მაშინვე დაიწყო სამხრეთ აზერბაიჯანში სააგიტაციო კამპანია. დაახლ. 70 ათასი ადამიანი გაიფიცა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ – ამგვარი იყო პრემიერ საედისადმი საბჭოთა პასუხი.

მაშინ, როცა საბჭოთა აზერბაიჯანის ლიდერები ფართო აგიტაციას ეწეოდნენ ბრძოლის მოწოდებით „გაყოფილი“ ერის გასამთლიანებლად, მოსკოვში უფრო პრაგმატული მიდგომა აირჩიეს. 1945 წლის 6 ივლისს პოლიტბიურომ მიიღო საიდუმლო რეზოლუცია „სამხრეთ აზერბაიჯანსა და ჩრდ. ირანის სხვა პროვინციებში სეპარატისტული მოძრაობის მოღვაწეობის ორგანიზებისათვის“. სწორედ ეს გახდა ფიშავარის მთავრობის შექმნისაკენ გადაწყვეტი ბიძგი.

რა თქმა უნდა, ჩრდილოეთ ირანის ნავთობის რეზერვებმა დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაინტერესებაში ახლო აღმოსავლეთით. თუმცა, ნავთობის კონცესიის საბჭოთა მოთხოვნას ასევე განაპირობებდა გეოპოლიტიკური ფაქტორიც და რთულია საბოლოო დასკვნამდე მისვლა იმის თაობაზე, თუ რა იყო პირველადი და რა მეორადი სტალინის სურვილში მოეპოვებინა ნავთობის კონცესია ჩრდ. ირანში. თუმცა ხაზგასასმელია, რომ საბჭოთა და ირანის მთავრობებს შორის სანავთობო დისპუტები (ერთი ირანული კაბინეტი ამ „სანავთობო თამაშებს“ საერთოდ შეეწირა) 1944-46 წლებში სტიმულს აძლევდა და აძლიერებდა პროპაგანდას „სამხრეთ აზერბაიჯანის გათავისუფლებისთვის“. არსებობს მოსაზრება, რომ სტალინისათვის არ იდგა უბრალოდ ირანის აზერბაიჯანში სეპარატიზმის მხარდაჭერის საკითხი. საბჭოთა პოლიტიკა გაცილებით უფრო ამბიციური იყო და მის მიზანს წარმოადგენდა ჩრდილოეთ-სამხრეთის რკალის შექმნა პროსაბჭოურად განწყობილი ირანული ტომებისაგან, რაც მოსკოვს სპარსეთის ყურეზე გასვლის საშუალებას მისცემდა (Morozova, 2005: 88). თუმცა, ეს მოსაზრება ლოგიკური ვარაუდის ჩარჩოებს ვერ ცდება, რამდენადაც საბჭოთა ხელმძღვანელობას ამ მიმართულებით არ გადაუდგამს არათუ არც ერთი ნაბიჯი, არამედ მეტნაკლებად მწყობრი გეგმაც არ შეუქმუშავებია.

1945 წლის ივნისიდან სტალინმა გადაწყვიტა ირანის მიმართ პოლიტიკა გაცილებით უფრო აგრესიული გაეხადა. სამხედრო დაზვერვის წყალობით მისთვის ცნობილი გახდა, რომ ბრიტანელებს დაწყებული ჰქონდათ ნავთობის საძიებო სამუშაოები თეირანის რეგიონის დასავლეთითა და ჩრდილოეთით. საბჭოთა სამხედროები აქ ხედავდნენ ნავთობით მდიდარ ამ რეგიონებში ინგლისელთა შეჭრის დასაწყისს კასპიისპირეთისაკენ მათი წინსვლის პერსპექტივით. 11 ივნისს ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა მოლოტოვს, ქავთარაძეს და აზერბაიჯანის კომპარტიის ლიდერს ბაგიროვს „შემუშავებინათ წინადადებები ირანის აზერბაიჯანსა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში სეპარატისტული მოძრაობების ორგანიზებისათვის“ (Mamoulia, 2004: 276). რეზოლუცია ითვალისწინებდა სამხრეთ აზერბაიჯანში ავტონომიის შექმნას (ირანის შემადგენლობაში) და ავტონომისტური მოძრაობების წაქეზებას გილანში, მაზანდარანსა და ხორასანში. მოძრაობის წარმართვა უნდა დავალებოდა „აზერბაიჯანის კომუნისტურ პარტიას, რომელიც უნდა შეექმნათ ირანის კომუნისტური პარტიის ადგილობრივ წევრებს. რეზოლუციაში ასევე ხაზგასმული იყო ქურთული მოძრაობის წამოწყების აუცილებლობა. მართლაც, აგვისტოს ბოლოს საბჭოთა კავშირის ხელდასხმით შეიქმნა ზემოთნახსენები დემოკრატიული (რეალურად კომუნისტური) პარტია. 10 დეკემბერს კი ჯაფარ ფიშავარმა ირანის აზერბაიჯანის დედაქალაქ თავრიზში ავტონომიური მთავრობის დაფუძნება გამოაცხადა. 1946 წლის იანვარში შეიქმნა ქურთული ავტონომიური მთავრობაც.

თავის მხრივ, საბჭოთა აზერბაიჯანის ლიდერი ბაგიროვი უკვე დიდი ხანია ცდილობდა ცენტრი დაერწმუნებინა ორი აზერბაიჯანის გაერთიანების აუცილებლობაში. ბაგიროვი ეწინააღმდეგებოდა ქურთული ავტონომიის შექმნის იდეას. ის ამჯობინებდა ქურთული რეგიონის გაერთიანებას ავტონომიურ აზერბაიჯანში და ქურთებისათვის კულტურული ავტონომიის მინიჭებას. ბაგიროვი ასევე უპირისპირდებოდა საბჭოთა სომხეთის ხელმძღვანელობას, რომელიც ცდილობდა კრემლიდან მიეღო დასტური ურმიის ტბის რეგიონის, სადაც სომხები მრავლად იყვნენ, საბჭოთა სომხეთისათვის მიერთებაზე ირანის დაშლის შემთხვევაში (Hasanli, 2006: 166-168).

სტალინი არ იზიარებდა ბაგიროვის მოსაზრებებს ქურთულ საკითხთან დაკავშირებით. ბაგიროვის გეგმის განხორციელების შემთხვევაში, აზერბაიჯანელები დომინანტ პოზიციას მოიპოვებდნენ რეგიონში და რაოდენობრივად ბევრად გადააჭარბებდნენ ქართველებსა და სომხებს.

ირანის აზერბაიჯანის საბჭოთა აზერბაიჯანისათვის მიერთების პერსპექტივამ ქართველ და სომეხ კომუნისტებს იმედი ჩაუსახა, რომ შესაძლებლობა შეექმნებოდათ აზერბაიჯანისათვის მოეთხოვათ ტერიტორიების რევიზია. საქართველოს მხრიდან საქმე ეხებოდა საინგილოს პროვინცია (კახის, ზაქათალას და ბელაქნის რაიონები). სომხების მხრიდან, ბუნებრივია, საქმე ეხებოდა მთიან ყარაბახს.

1946 წლის ზაფხულში საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა მიიღო უფლება დაენიშნა ქართველი დიპლომატი ისფაჰანის საბჭოთა საელჩოში, რომელსაც დაეკისრებოდა ფერეიდნელ ქართველებთან სამუშაოდ სპეციალური მისია. 1946 წლის 10 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ მოითხოვა ფერეიდანში დელეგაციის გაგზავნა ფერეიდნის ქართველებისათვის ჰუმანიტარული დახმარების ჩასატანად. კიდევ ერთხელ ხაზგასმული იყო „სამშობლოში დაბრუნების მსურველი ქართველების დაუყოვნებლივი რეპატრიაციის აუცილებლობა“ (ციტ. Mamoulia, 2004 : 279). 1946 წლის ოქტომბერში თბილისს მიეცა ირანის

ქართველებისათვის განსაზღვრული რადიოგადაცემების განხორციელების უფლება. საბჭოელთა გააქტიურება ფერეიდანის ქართველებთან დაკავშირებით აიხსნება 20 სექტემბერს პრობრიტანული და პროამერიკული ყაშყაელების ამბოხით (Kuniholm, 1980: 385). სტალინს სურდა, რომ ჰქონოდა მეტოქე ბრიტანეთის გავლენის ზონაში მღელვარებების გამოწვევის საშუალება.

კავკასიის ლიდერების ოცნებები ზოგადად ეფემერული იყო, რასაც მოსკოვში აცნობიერებდნენ. სტალინიც სულაც არ იყო „დიდი აზერბაიჯანის“ შექმნის მოსურნე. ფერეიდანის საკითხი, სამხ. აზერბაიჯანის საკითხთან შედარებით, ბუნებრივია, მეორეხარისხოვანი იყო და რაიმე კონკრეტული მიზნის მიღწევას არ ემსახურებოდა.

ირანის სუვერენიტეტის დარღვევა მოკავშირეების მძაფრი პოლემიკის საგნად იქცა 1945 წელს საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის კონფერენციაზე. ამ კონფერენციამ დასავლეთს იმედები გაუცრუა. როდესაც ჯეიმს ბირსნმა ირანის საკითხი დააყენა, სტალინმა მას უპასუხა, რომ ა) საზღვართან ახლოს მდებარე ბაქოს ნავთობსაბადოები „დაცული უნდა იყოს ირანის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ნებისმიერი მტრული ქმედებისაგან და ირანის მთავრობის ნდობა არ შეიძლება“; ბ) რუსეთს აქვს უფლება ირანში ჯარები დატოვოს 15 მარტამდე (სინამდვილეში, 2 მარტამდე, რადგან ამ დღეს სრულდებოდა იაპონიასთან ომის დამთავრებიდან 6 თვე); გ) 1921 წლის ხელშეკრულება საბჭოთა კავშირს უფლებას აძლევს გაგზავნოს ჯარები ირანში „თუ არსებობს რომელიმე საგარეო წყაროდან შესაძლო საფრთხე“ (Byrnes, 1947: 119).

1945 წლის 15 ნოემბერს საბჭოელებმა დაიწყეს ირანის აზერბაიჯანში ამბოხებულებისათვის იარაღის დარიგება და მომდევნო დღეს გულდასმით დაგეგმილი რევოლუციური ოპერაცია დაიწყო.

ფიშავარის რეჟიმმა ტერორის ატმოსფერო შექმნა. მოსახლეობის დატერორებას კი აწარმოებდა ფიშავარის მთავრობის შრომის, განათლებისა და პროპაგანდის მინისტრი მოჰამად ბერია (არაფერი ჰქონია საერთო ლავრენტი ბერიასთან) (Rossow, 1956: 19). ის იყენებდა ე.წ. „საბჭოთა აზერბაიჯანთან მეგობრობის საზოგადოების“ მებრძოლებს. 1946 წლის იანვარში ფიშავარმა „ჯიჰადი“ გამოუცხადა დანარჩენ ირანს და მოუწოდა აზერბაიჯანელ ხალხს „ამბოხება, თეირანის მთავრობის დამხობა და ახლის შექმნა“.

ნათელი იყო, რომ მოძრაობის საბოლოო მიზანი საბჭოელებს და ფიშავარს სხვადასხვაგვარად წარმოედგინათ. ეს უკანასკნელი, ჩანს, რომ არ კმაყოფილდებოდა ავტონომიით ირანის ფარგლებში. ის ოცნებობდა აზერბაიჯანის ეროვნულ-დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის ზეგავლენის სფეროში შევიდოდა, მსგავსად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა.

სამხრეთ აზერბაიჯანში მოვლენათა სწრაფმა განვითარებამ 1945 წლის მიწურულსა და 1946 წლის დასაწყისში გადააჭარბა მოსკოვის მოლოდინს და ეს სულ უფრო მეტად ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო დიპლომატიის იმ ჩარჩოებს, რომელიც საბჭოთა კავშირს არსებულ ვითარებაში უნდა დაეცვა. აზერბაიჯანის ეროვნულმა პარლამენტმა საბოლოოდ გამოაცხადა თავისი გადაწყვეტილება შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო. სწორედ მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დროს ეროვნულმა პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება „აზერბაიჯანის სახალხო არმიის შექმნის“ შესახებ (Hasanli, 2006: 170).

თუმცა, მაისის ბოლოს ფიშავარი უკვე ალაპარაკდა იმის თაობაზე, რომ საჭირო იყო საერთო ენის გამონახვა ცენტრალურ ხელისუფლებასთან „ვინაიდან

ბრიტანელები და ამერიკელები აზერბაიჯანის საკითხს გასაცვლელ პაიკად იყენებენ ჩვენ დიდი მეგობართან, საბჭოთა კავშირთან თამაშში“ (Rossow, 1956: 25).

შექმნილ ვითარებაში, პრემიერ ჰაქიმის მთავრობის უუნარობამ გადაელახა კრიზისი გამოიწვია მისი გადადგომა და გზა გაუხნა აჰმად ყავამს, რომელიც ხელახლა გახდა ირანის პრემიერი 1946 წლის 27 იანვარს.

სახელმწიფო მდივან ბირნსისგან განსხვავებით, რომელსაც შეეძლო გამოეყენებინა შტატების ძალა ირანის მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის საჯაროდ დაგმობისას, ყავამი თავს არიდებდა ირანის დიდი მეზობლის პროვოცირებას. მან მალე დააპატიმრა პრობრიტანულად განწყობილი რამდენიმე ოფიციალური პირი და გამოამუშავა მზადყოფნა საბჭოელებთან მალალ დონეზე ოფიციალური მოლაპარაკებების გამართვაზე (Lenczowski, 1949: 295). ისტორიული ჩანაწერების მიხედვით, ყავამი ბურუსით მოცულ პიროვნებად წარმოდგება. თითქმის ყველას ჰქონდა მისდამი უნდობლობის საფუძველი. შაჰს აღიზიანებდა იგი, რადგანაც მისი თვალთახედვიდან, ყავამს შეეძლო კომუნისტებისათვის ჩაება-რებისა ქვეყანა; რუსები ეჭვობდნენ, რომ ყავამი ორმაგ თამაშს თამაშობდა და ბრიტანელებისა და ამერიკელების მარიონეტი იყო; ამერიკელი დიპლომატები მას გამჭრიახი პოლიტიკოსად თვლიდნენ, რომლის მიზნების გარკვევაც ხშირად რთული იყო; ბრიტანელები კი „ცბიერ ბებერ ჩიტად“ (sly old bird) მოიხსენიებდნენ. ის ფაქტი, რომ ყავამს ყველა ეჭვის თვალთ უყურებდა, ალბათ მისი გონიერებისა და დამოუკიდებლობის დამადასტურებელია. მიზნების მისაღწევად ყავამი, როგორც მსგავსი პოლიტიკური ფიგურები ნებისმიერ დროსა და ადგილზე, იყო უნარის მქონე ეთამაშა ცბიერი თამაში, თუკი ეს ემსახურებოდა ქვეყნის ინტერესებს (Samii, 1987: 99).

ყავამს თებერვალში მოსკოვში ჰქონდა უშედეგო მოლაპარაკებები (საბჭოთა მოთხოვნა იყო გაურკვეველი ვადით ჯარების გამოყვანის გადადება და ერთობლივი სანავთობო კომპანიის შექმნა). მარტში ის თეირანში შეხვდა აშშ-ის ახლო აღმოსავლეთისა და აფრიკის საქმეების დივიზიონის დირექტორს მარეის და შეატყობინა, რომ საბჭოელები ყოყმანობდნენ ჯარების გაყვანაზე, უარყოფდნენ აზერბაიჯანის საქმეებში ჩარევას და იმავდროულად დაჟინებით მოითხოვდნენ ერთობლივი სანავთობო კომპანიის შექმნას. პრემიერმა მათ უპასუხა, რომ სანავთობო მოლაპარაკებებამდე საჭირო იყო ახალი მეჯლისის არჩევა, მაგრამ არჩევნები ვერ ჩატარდებოდა, სანამ საბჭოთა ჯარები ირანში იდგნენ. მარეიმ ყავამს პოზიციების მტკიცედ დაცვა ურჩია და დაპირდა ამერიკის სრულ მხარდაჭერას; ასევე შეახსენა, რომ ირანი დამოუკიდებელი ქვეყანა იყო და მოქმედების სრული თავისუფლება ჰქონდა. დამატებით, მარეიმ ხაზი გაუსვა ისედაც გავრცელებულ ხმებს საბჭოელების მიერ თეირანის მოსალოდნელი ოკუპაციის შესახებ და საბჭოთა კავშირის ქმედებები შეადარა ევროპულ ქვეყნებში ჰიტლერის მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მეთოდებს (Lenczowski, 1949: 297-98).

იმ დროს აშშ-ში ირანის ელჩის ჰოსეინ ალის ცნობით, საბჭოთა ლიდერები ცდილობდნენ ყავამის დათანხმებას შემდეგ წინადადებებზე:

– საბჭოთა შეიარაღებული ძალები ირანში დარჩებოდნენ განუსაზღვრელი ვადით;

– ირანის მთავრობა აღიარებდა აზერბაიჯანის ავტონომიას; სამაგიეროდ, საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფდა, რომ ადგილობრივი შემოსავლების 30% გადასცემოდა თეირანის ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელსაც ეს თანხები უნდა გამოეყენებინა პროვინციის დაცვისა და მისი საგარეო ურთიერთობებისათვის;

– საბჭოთა კავშირი უარს იტყობდა სანავთობო კონცესიების მოთხოვნაზე ერთობლივი ირანულ-საბჭოთა სააქციო საზოგადოების შექმნის სანაცვლოდ, რომლის აქტივების 51%-ის მფლობელი საბჭოთა მხარე უნდა გამხდარიყო (ციტ. Sicker, 1988: 75).

საბჭოთა კავშირმა, ჯარების გამოყვანის ნაცვლად, პირიქით, ჯარების შეყვანა დაიწყო 1946 წლის მარტში. იმავდროულად სატანკო არმია მარშალ ტოლბუხინის მეთაურობით განლაგდა აღმოსავლეთ ბულგარეთში თურქეთის ევროპული საზღვრის გასწვრივ. 4 მარტს 15-მა საბჭოთა საჯავშნო ბრიგადამ გადალახა საზღვარი (ეს ხდებოდა ყავამის მოსკოვში ყოფნის დროს) და თურქეთ-ირანის საზღვრიდან დაიწყო წინსვლა თეირანისაკენ. მაჰაბადში ქურთულმა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საქართველომ კი ოფიციალური გამოთქვა ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ. ზოგიერთი მკვლევარი სწორედ ამ მოვლენებს მიიჩნევს „ცივი ომის“ დასაწყისად, რამდენადაც სწორედ ამ დროს მოხდა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნების პირდაპირი დაპირისპირება, რომელიც ვერ გადაწყდა დიპლომატიური გზებით (Morozova, 2005: 110).

შტატებმა დაუყოვნებლივ მოთხოვა პასუხი მოსკოვს. თუმცა, მოსკოვი კატეგორიულად უარყოფდა, რომ დამატებითი ძალები შეიყვანა ირანში.

„ირანი ომის დროს ჩვენი მოკავშირე იყო. ირანი რუსეთის მოკავშირეც იყო ომში... ახლა კი რუსეთი აგულისებს აჯანყებებს და ტოვებს ჯარებს ჩვენი მეგობრისა და მოკავშირის – ირანის მიწაზე. ჩემთვის ეჭვი არ არსებობს, რომ რუსეთი აპირებს თურქეთში და შავი ზღვის სრუტეებში შეჭრას ხმელთაშუა ზღვისაკენ. თუკი რუსეთს არ დაუპირისპირდება მტკიცე ნება და მყარი განცხადებები, კიდევ ერთი ომი დაიწყება... მე არ ვფიქრობ, რომ უნდა გავაგრძელოთ კომპრომისები... მე დავილაღე რუსების ფერებით; წერდა აშშ-ის პრეზიდენტი ტრუმენი (Truman, 1955: 550).

სწორედ იმ დღეს, როდესაც ჩერჩილი ფულტონში სიტყვით გამოდიოდა, სახელმწიფო მდივანმა ბირნსმა მოსკოვში ნოტა გააგზავნა, რომელიც მეორე დღეს ქენანმა საბჭოთა ხელმძღვანელობას გადასცა. წერილის თანახმად, „საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება დატოვოს საბჭოთა ჯარები ირანში იმ დროის შემდეგ, რაც განსაზღვრულია სამმხრივი ხელშეკრულებით, ქმნის სიტუაციას, რომლის მიმართაც შეერთებული შტატები, როგორც გაერო-ს წევრი და როგორც მონაწილე 1943 წლის 1 დეკემბრის დეკლარაციისა ირანის შესახებ, არ შეიძლება დარჩეს ინდიფერენტული“ (Samii, 1987: 99).

ამ ნოტას არ მოჰყოლია ოფიციალური საბჭოთა პასუხი; იყო მხოლოდ ტრუმენის კრიტიკა ჩერჩილის ფულტონის გამოსვლის მხარდაჭერისათვის.

მეორე წერილი მოსკოვში 8 მარტს გაიგზავნა. ჯორჯ ქენანს მიცემული ჰქონდა ინსტრუქცია, შეეტყობინებინა საბჭოთა მთავრობისათვის, რომ „აშშ-ის მთავრობას სურს იცოდეს, თუ რატომ ხდება, რომ საბჭოთა მთავრობას, ირანიდან ჯარების გამოყვანის ნაცვლად, როგორც ეს მოთხოვნილია საელჩოს 6 მარტის ნოტაში, დამატებითი ძალები შეჰყავს ქვეყანაში. საბჭოთა ძალების ირანში გაზრდის შემთხვევაში, მთავრობა მოხარული იქნება მიიღოს ინფორმაცია ზემოთქმულის სათანადო განმარტებით“ (იქვე). ამერიკის მმართველი წრეების განწყობას ნათლად გამოხატავს ამონარიდი ჯორჯ ქენანის ე.წ. „გრძელი ტელეგრამიდან“ (22.02.1946): „სადაც კი მიიჩნევა, რომ დადგა შესაფერისი დრო და ეს მომგებიანია, განხორციელდება საბჭოთა ძალაუფლების ოფიციალური საზღვრების გაფართოება. ამ დროისათვის ეს ძალისხმევა შემოფარგლულია ზოგიერ-

თი მოსაზღვრე ადგილით, რომლებიც უშუალო სტრატეგიულ აუცილებლობად აღიქმება. ეს არის ჩრდილოეთ ირანი, თურქეთი... ამგვარად, „მეგობარ“ სპარსეთის მთავრობას შეიძლება მოთხოვონ სპარსეთის ყურეში რუსეთისათვის პორტის გადაცემა. მაგრამ ასეთი მოთხოვნები ოფიციალურ დონეზე განცხადდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც არაოფიციალური მომზადება უკვე დასრულებული იქნება.“

საბჭოთა კავშირმაც, თავის მხრივ, უშიშროების საბჭოსადმი გაგზავნილ წერილში დააფიქსირა საკუთარი პოზიცია: „ირანის აზერბაიჯანის მოვლენებს არაფერი აქვს საერთო საბჭოთა ჯარების ყოფნასთან... ეს მოვლენები მხოლოდ ირანს ეხება და საშინაო ხასიათისაა. როგორც ცნობილია, ის რაც ხდება ჩრდ. ირანში, წარმოადგენს ჩრდ. ირანის მოსახლეობის განწყობის და ნების გამოხატულებას ავტონომიის შექმნისადმი ირანული სახელმწიფოს საზღვრებში, რაც სრულიად ჩვეულებრივია დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.“

საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია ყურადღება არ მიაქციოს იმ ფაქტს რომ საბჭოთა კავშირს მიმართ მტრული პროპაგანდა სულ უფრო მყარდება ირანში და ირანის მთავრობა სულაც არ არის ამის წინააღმდეგი. ეს პროპაგანდა არაფრით განსხვავდება იმ ფაშისტური პროპაგანდისგან, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ხორციელდებოდა რეზა შაჰის დროს.

ირანში საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი რეაქციული ძალების ანტიდემოკრატიული და პოგრომისტული საქმიანობა, რომელიც მხარდაჭერილია მმართველი კლასებიდან გამოსული ზოგიერთი გავლენიანი ირანული ჯგუფის და პოლიციური ხელისუფლების, ქმნის აზერბაიჯანისა და ბაქოსათვის ორგანიზებული მტრული აქციების, დივერსიებისა და ა.შ. საშიშროებას“ (The Soviet Letter, 1946: 84-85).

24 მარტს, უსაფრთხოების საბჭოს შეკრებამდე ერთი დღით ადრე, საბჭოთა კავშირმა გამოხატა ნება გაეყვანა ჯარები ირანიდან ექვსი კვირის მანძილზე, „თუკი რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა“ მიუხედავად იმისა, რომ ეს განცხადება სულაც არ ნიშნავდა კრიზისის დასრულებას, ეს იყო საბჭოთა პოზიციის შემსუბუქების პირველი ნიშანი.

ბირნსმა, შტატების სახელით, საბჭოელებს მოსთხოვა ჯარების უპირობოდ გაყვანა. საბოლოოდ, საბჭოთა კავშირი დათანხმდა, რომ ევაკუაცია დასრულდებოდა 6 მაისამდე. უეჭველია, რომ 24 მარტის საბჭოთა განცხადება, 4 აპრილის სსრკ-ირანის შეთანხმება და 14 აპრილს საბჭოთა კავშირის კიდევ ერთხელ უკანდახვევა ტრუმენის ადმინისტრაციის მუდმივი პრესის შედეგი იყო.

ყავამი გამხნევებული იყო შტატების მიერ მხარდაჭერის გამოხატვით და ღირეექტივა მისცა ირანის წარმომადგენელს გაერო-ში, რომ განეცხადებინა იქ ირანის მთავრობის განზრახვის შესახებ შეეყვანა ჯარები აზერბაიჯანში. ამ განცხადებამ წონასწორობიდან გამოიყვანა რუსები. ირანში საბჭოთა ელჩი მივიდა ყავამთან და განუცხადა, რომ „საბჭოთა მთავრობა გადახედავს თავის დამოკიდებულებას პირადად თქვენდამი“. მაგრამ ყავამი უკვე დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა საფრთხე ქვეყანას აღარ ემუქრებოდა.

საბოლოოდ ირანსა და საბჭოთა კავშირს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმადაც საბჭოთა ჯარები უნდა გასულიყვნენ მაისის დასაწყისში და უნდა შექმნილიყო ერთობლივი სანავთობო კომპანია. დოკუმენტში ხაზგასმული იყო, რომ აზერბაიჯანის საკითხი წმინდა საშინაო პრობლემას წარმოადგენდა და უშუალოდ ირანის მთავრობისა და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ უნდა გადაწყვეტილიყო.

საბჭოთა კავშირის ჯარების გასვლის შემდგომ პირველ ხანებში ყავამის პოლიტიკა საბჭოელების მიმართ ზომიერი იყო. ფიშავარის მთავრობას მან საკმაოდ დიდი უფლებები მიანიჭა და საკუთარ მინისტრთა კაბინეტში თუდეს სამი წევრიც შეიყვანა. მაგრამ საბოლოოდ, ამერიკელთა მხარდაჭერით გათამამებულმა ყავამმა 1946 წლის დეკემბერში ჯარები შეიყვანა აზერბაიჯანში და 14 დეკემბერს ფიშავარის რეჟიმის დაემხო. ჯარებს აზერბაიჯანის მოსახლეობა ენთუზიაზმით შეხვდა, რამდენადაც ბევრად უფრო ამჯობინებდნენ თეირანის დომინირებას მოსკოვისას (Hess, 1974: 144). ქურთისტანში ყაზი მოჰამადმა და მისმა მომხრეებმა სწრაფად გააცნობიერეს, რომ ცენტრალური ხელისუფლებისათვის წინააღმდეგობის გაწევა აზრსმოკლებული იყო. სულ მალე სამთავრობო ჯარები მაჰაბადში შევიდნენ და ქურთისტანის რესპუბლიკის არსებობას საბოლოო წერტილი დაესვა.

ყავამმა თუდეს წევრები კაბინეტიდან ჯერ კიდევ ოქტომბრის შუა ხანებში დაითხოვა. ყავამის გადაწყვეტილება დაპირისპირებოდა თუდეს, დიდწილად განპირობებული იყო შეერთებული სტატების მტკიცე პოზიციით განერიდებინა ირანისათვის საბჭოთა საფრთხე (Sicker, 2008: 79). ნოემბრის შუა რიცხვებში ყავამმა თუდეს ასამდე აქტივისტი დააპატიმრა თეირანში. ახალ არჩევნებში კი თუდემ სულ ორი ადგილი მოიპოვა მეჯლისში.

საბოლოოდ კი, ივნისში პარლამენტმა 102 ხმით 2-ის წინააღმდეგ არ მოახდინა საბჭოთა კავშირთან სანავთობო კონცესიის რატიფიკაცია.

ამგვარად დასრულდა ირანის კრიზისი.

ბ) თურქეთი

ომის საწყის ეტაპზე საბჭოთა კავშირს, ბუნებრივია, არ ჰქონია ტერიტორიული თუ სხვა სახის პრეტენზიები თურქეთის მიმართ. საბჭოთა ხელმძღვანელობა იზიარებდა დიდი ბრიტანეთის მთავრობის აზრს, რომ აუცილებელი იყო თურქეთის კეთილგანწყობის შენარჩუნება.

1941 წლის დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა ელჩებმა თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში წარადგინეს ერთნაირი შინაარსის დეკლარაციები. ბრიტანული დეკლარაციის ტექსტი შემდეგი სახის იყო:

„მისი უდიდებულესობის მთავრობა ადასტურებს მონტრეს კონვენციის ერთგულებას და არწმუნებს თურქეთის მთავრობას, რომ არ აქვს აგრესიული ზრახვები სრუტეებთან მიმართებაში.“

„მისი უდიდებულესობის მთავრობა, ისე როგორც საბჭოთა მთავრობა, მზადყოფნას გამოთქვამს პატივი სცეს და დაიცვას თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობა.“

„...ითვალისწინებს რა თურქეთის მთავრობის სურვილს ქვეყნის ომში არჩართვის შესახებ, მისი უდიდებულესობის მთავრობა, ისე როგორც საბჭოთა მთავრობა, მზად არის მას დახმარება გაუწიოს რომელიმე ევროპული სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში“ (British and U.S.S.R. Governments Declaration..., 1941: 1079).

მაგრამ ომის დასკვნით ეტაპზე და განსაკუთრებით მისი დამთავრების შემდეგ, საბჭოთა კავშირი მიზანმიმართულად ცდილობდა, მონტრეს კონვენციის რევიზიას იმ მიზნით, რომ სრუტეებში გასვლის უფლება მხოლოდ ზღვის მოსაზღვრე ქვეყნებს ჰქონოდათ. რუმინეთისა და ბულგარეთის „სახალხო დემოკრატიებად“ ქვეყნის პირობებში, პრაქტიკულად ამას შეეძლო შავი ზღვა საბჭოთა ტბად ექცია (King, 2006: 230). მონტრეს კონვენციის გადასინჯვის საკითხი სტალინმა 1944 წლის დეკემბერში მოსკოვში, ხოლო შემდეგ 1945 წლის თებერვალში იალ-

ტის კონფერენციაზე დააყენა (თუმცა, ამ დროს საბჭოთა ხელმძღვანელობას არ გამოუთქვამს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ). თავის მხრივ, ცივი ომის დაწყების შემდეგ, თურქეთი და აშშ მოითხოვდნენ სრუტეების საერთაშორისო საწყალოსნო გზად შენარჩუნებას, რომელიც ღია უნდა ყოფილიყო როგორც სავაჭრო, ისე სამხედრო გემებისათვის. ეს ამერიკულ სამხედრო გემებს საშუალებას აძლევდა ჩვეულებრივ შესულიყვნენ სრუტეებში მონტრეს კონვენციის მიხედვით.

II მსოფლიო ომის დამთავრების დროისათვის ამერიკელ პოლიტიკოსებს ეჭვი ეპარებოდათ, რომ საბჭოთა ლიდერებს განზრახული ჰქონდათ ძალის გამოყენება თურქეთის წინააღმდეგ თავიანთი მიზნების მისაღწევად. ის, რომ საბჭოთა კავშირს სურდა მონტრეს კონვენციის გადასინჯვა, ბაზების შექმნა დარდანელის სრუტეში, ასევე ყარსისა და არდაჰანის ოლქების შემოერთება, უფრო შორეულ პერსპექტივად ეჩვენებოდათ. საგარეო პოლიტიკისა და სამხედრო საქმის ისეთი ექსპერტების, როგორც იყვნენ ჯორჯ ქენანი, ელბრიჯ დუბროუ და გენერალი ჯორჯ ა. ლინკოლნი თვლიდნენ, რომ საბჭოთა ლიდერები გრძნობდნენ სისუსტეს და ამდენად ვერ განახორციელებდნენ სამხედრო აგრესიას, ვინაიდან დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდნენ (Leffle, 1985: 808-809).

მიუხედავად რწმენისა, რომ საბჭოთა კავშირი ვერ გაბედავდა სამხედრო ძალის გამოყენებას, ამერიკელ პოლიტიკოსებს აშფოთებდათ, რომ დარდანელის სრუტეში ბაზების მოთხოვნა წარმოადგენდა უფრო შორეული საბჭოთა გეგმის ნაწილს, რომელიც ითვალისწინებდა პოზიციების გამყარებას აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთში. რეგიონში საბჭოთა ზეგავლენის განვრცობის შემთხვევაში, აქ ბრიტანეთის სანავთობო მრეწველობას საფრთხე შეექმნებოდა. დიდი ბრიტანეთის იმპერიის დაშლის პირობებში კი საბჭოთა კავშირს ევრაზიაში ჰეგემონობის დამყარების შანსი მიეცემოდა.

ევროპაში ომის დასრულებიდან სულ მალე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარმა მოლოტოვმა წერილი გაუგზავნა თურქეთის ელჩს, რომელშიც აცხადებდა, რომ 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა კავშირ თურქეთის ხელშეკრულება „აღარ შეესაბამება ახალ სიტუაციას და მოითხოვს სერიოზულ გაუმჯობესებას.“ საბჭოთა კავშირი დაინტერესებული იყო თურქეთთან საზღვრის ცვლილებით, მონტრეს კონვენციის გადასინჯვით, რომელიც აწესრიგებდა სრუტეების რეჟიმს, და ასევე თურქეთის ბრიტანეთთან კავშირების შესუსტებით. დარდანელის სრუტეში საბჭოთა ბაზის გახსნის აუცილებლობა მოლოტოვმა გამართლა იმ ფაქტი გამომდინარე, რომ თურქეთს არ ჰქონდა საკმარისი ძალა სრუტის დასაცავად (Sadak, 1949: 456).

1945 წლის 7 ივნისს თურქეთის ელჩი საბჭოთა კავშირში სელიმ შარფერი შეხვდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა კომისარს ვიჩესლავ მოლოტოვს ახალი სამეგობრო ხელშეკრულების დადების პერსპექტივების განხილვის მიზნით. ამ უკანასკნელმა ელჩს განუცხადა, რომ ახალი ხელშეკრულების დადებამდე უნდა გადაწყვეტილიყო სადავო საკითხები. პირველ რიგში, საქმე შეეხებოდა 1921 წლის ხელშეკრულებით თურქეთისათვის დათმობილ ტერიტორიებს, რაც მოლოტოვის განცხადებით, იძულებით და ზეწოლის შედეგად განხორციელდა. ამდენად, ყარსისა და არდაჰანის ოლქების ტერიტორიები უნდა დაბრუნებოდა საბჭოთა კავშირს. შარფერმა უპასუხა, რომ თურქეთის მთავრობა არ იყო მზად მოლაპარაკებები დაეწყო მსგავსი საკითხების შესახებ. მან უარი თქვა ისეთი საკითხების განხილვაზე, რომელიც შეეხებოდა თურქეთის ტერიტორიულ მთლი-

ანობას. მოლოტოვმა კი განაცხადა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, საკითხი ღიად რჩებოდა.

სწორედ აქ გამოიკვეთა საბჭოთა ხელმძღვანელობის სურვილი, რომ თურქეთი უნდა შესულიყო საბჭოთა „უსაფრთხოების ზონაში“, რომელსაც უნდა მოეცვა ვრცელი ტერიტორია ფინეთიდან ჩინეთამდე (Xydis, 1960: 420-421).

საბჭოთა მიზანი თურქეთთან მიმართებაში მეტნაკლებად გამოკვეთილი იყო: პირველი, შავი ზღვის „ჩაკეტვა“ საბჭოთა ბლოკის არაწევრი ქვეყნებისათვის და იმავდროულად ხმელთაშუა ზღვაზე თავისუფალი გასასვლელის მოპოვება; მეორე, კავკასიის სამხრეთი საზღვრების გაფართოება – ერთი მხრივ, აღმოსავლეთ თურქეთისა და ალექსანდრეტას ოლქის დაქვემდებარების გზით აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში გასვლა, და მეორე მხრივ, ერაყისა და ირანის დაქვემდებარების გზით სპარსეთის ყურეში გასვლა. საქართველოსა და სომხეთის ისტორიული ტერიტორიების „დაბრუნების“ მოთხოვნა სწორედ ამ პოლიტიკის კონტექსტში ჯდება. თუმცა ამ მიზნებს, როგორც ირანის შემთხვევაში, კარგად გათვლილი და გააზრებული გეგმის სახე არ მიუღია.

პირველად ყარსის, არდაჰანისა და ართვინის შესახებ მოთხოვნა გაკეთდა სომხეთის რესპუბლიკის სახელით, მაგრამ ოდნავ მოგვიანებით ირედენტისტული მოთხოვნები საქართველომაც წამოაყენა. საკითხი წამოიჭრა პოტსდამში 1945 წელს და კიდევ ერთხელ სტალინის შეხვედრაზე დასავლეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებთან დეკემბერში.

დაიწყო სომხური დიასპორის საბჭოთა სომხეთში რეპატრიაციის კამპანია, სომხური ეკლესია უშუალოდ იყო ჩართული ყარსისა და არდაჰანის სომხეთისათვის შემოერთების ძალისხმევაში. საბჭოთა მოთხოვნებმა შეაშფოთა თურქები, ისე როგორც ბრიტანელები და ამერიკელები და იყო ერთ-ერთი ფაქტორი თურქეთის დასავლური ალიანსისაკენ გადახრისა (Sunii, 1984: 285). საბჭოთა ხელისუფლებამ, სომხური მოთხოვნების მხარდასაჭერად ამ პერიოდში დაახლ. 90 ათას სომეხს უფლება მისცა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში გადმოსახლებული, მათგან 5 ათასი ციმბირში დაასახლეს (Dekmejian, 1968: 511) (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, გაასახლეს).

ამასთან ერთად, მოლოტოვმა პოტსდამის კონფერენციაზე მკაფიო მინიშნება გააკეთა იმის თაობაზე, რომ კრემლისათვის უმთავრესი სრუტეების საკითხი იყო. „თუ თურქეთის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შეუძლებელია ორივე ამ საკითხზე [სრუტეების და საზღვრების გადასინჯვის] შეთანხმების მიღწევა, ჩვენ მზად ვართ შეთანხმებისთვის, რომელშიც გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სრუტეები“ (ციტ. Кочкин, 2002: 65).

ამდენად, ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებით, ტერიტორიებს საბჭოთა კავშირისათვის მხოლოდ მეორადი მნიშვნელობა ჰქონდა. თავის მხრივ კი მოკავშირეები სწორედ ტერიტორიების გადასინჯვის საკითხთან დაკავშირებით ამჟღავნებდნენ კომპრომისზე წასვლის მზადყოფნას. „ტერიტორიული საკითხი ეხება საბჭოთა კავშირს და თურქეთს და უნდა გადაწყდეს ამ ორი ქვეყნის მიერ... სრუტეების საკითხი კი ჩვენც გვეხება, როგორც სხვა მრავალ ქვეყანას;“ განაცხადა პრეზიდენტმა ტრუმენმა (იქვე). თითქოს ჩანდა, რომ პოტსდამში მიღწეულ იქნა კომპრომისი: დასავლეთი თვალეზს დახუჭავდა საზღვრების გადასინჯვაზე, თუ სტალინი უარს იტყოდა თავის ამბიციებზე სრუტეებთან დაკავშირებით. თუმცა, დასავლეთისა და, პირველ რიგში, შეერთებული შტატების შემდგომი ძალისხმევა სწორედ თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული.

საზღვრების გადასინჯვის საკითხს დიდი გამოხმაურება მოჰყვა საქართველოში. საქართველოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გ. კიკნაძემ 1945 წლის ოქტომბერში ლ. ბერიას გადასცა ორი მემორანდუმი: „თურქეთის შემადგენლობაში შესული ქართული ტერიტორიების შესახებ“ და „თურქეთის მიერ მითვისებული ქართული პროვინციების შესახებ“ (იხ. Mamoulia, 2004). პირველ მემორანდუმს სომხური მხარის მძაფრი რეაქცია მოჰყვა, რამდენადაც საბჭოთა კავშირისათვის შესაერთებელი სავარაუდო ტერიტორიების 4/5 „ისტორიულ სომხეთად“ იქნა მიჩნეული. მეორე მემორანდუმში ქართული მხარე „თანხმობას“ აცხადებდა ტერიტორიების დაახლოებით თანაბარ გაყოფაზე საქართველოსა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებს შორის.

ამ ტალღაზე, 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და მიკო ბერძენიშვილის სტატია (ბუნებრივია, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის დაკვეთით) „ჩვენი კანონიერი მოთხოვნები თურქეთის მიმართ“ აკადემიკოსები ასაბუთებდნენ თურქეთში შემავალი ისტორიული ქართული პროვინციების შემოერთების მართლზომიერებას. მოთხოვნილ ტერიტორიებში შედიოდა არდაჰანი, ოლთისის რეგიონები, ბაიბურდის, თორთომის, ისპირის, გუმისხანეს ოლქები და ლაზისტანიც ტრაპიზონისა და გერასუნტის ჩათვლით.

ოდნავ ადრე, 27 ნოემბერს, სომეხთა კათალიკოსი კევორკ VI აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებისათვის გაგზავნილ ნოტაში (მათი მოსკოვში შეკრების წინ) მოითხოვდა სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აღდგენას სევრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საზღვრებში (Mouradian, 1979: 80).

ქართველ აკადემიკოსთა წერილს ფართო კამპანია მოყვა საბჭოთა პრესაში. 1946 წლის 25 თებერვალს, საბჭოთა საქართველოს შექმნის 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, „პრავდაში“ გამოქვეყნდა საქართველოს ცკ-ის პირველი მდივნის კ. ჩარკვიანის წერილი, რომელშიც კიდევ ერთხელ იყო ნახსენები საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნები და ხაზი გაესმეოდა ამ მოთხოვნების ლეგიტიმურ ხასიათს. თუმცა, ამ კამპანიას რეალურად გაგრძელება არ მოჰყოლია.

სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი ვიშინსკიმ 1947 წლის 24 ოქტომბერს გაერო-ში სიტყვით გამოსვლისას მხარი დაუჭირა ქართველების მოთხოვნებს. ამან სომხური დიასპორის მძაფრი პროტესტი გამოიწვია და ის იძულებული გახდა ერთი თვის შემდეგ უკან წაეღო თავისი სიტყვები საბჭოთა კავშირის საელჩოში მიღების დროს (Dekmejian, 1968: 512).

შეიძლება ითქვას, რომ სტალინი კავკასიურ ირედენტიზმს ვაჭრობის საგნად გამოსაყენებლად მიიჩნევდა ახლო აღმოსავლეთში ძალთა ურთიერთმიმართების გაცილებით უფრო ფართო თამაშში.

1946 წლის 7 აგვისტოს საბჭოთა მთავრობამ თურქეთის მთავრობას ნოტა გაუგზავნა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო სრუტეებთან დაკავშირებით საბჭოთა პოზიცია: თურქეთსა და საბჭოთა კავშირს, რომელთაც ყველაზე მეტად შეეძლოთ სრუტეებში კომერციული ნავიგაციის თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, არ უნდა დაეშვათ სრუტეების გამოყენება სხვა ქვეყნების მიერ, რომელთაც შავი ზღვის სახელმწიფოების მიმართ „მტრული განზრახვები“ ჰქონდათ. ამერიკული პოზიცია განსხვავებული იყო და ეფუძნებოდა სრუტეების საერთაშორისო დაცვის სისტემის შექმნის იდეას, რომელიც უზრუნველყოფდა შავ ზღვაზე უსაფრთხოებას. საბჭოთა მოთხოვნებზე აშშ-ის 1946 წლის 19 აგვისტოსა და 2 ნოემბრის პასუხებში, ხაზგასმული იყო, რომ სრუტეების უსაფრთხო-

ების საკითხი არ ეხებოდათ მხოლოდ შავი ზღვის სახელმწიფოებს. თავის მხრივ, 1946 წლის 22 აგვისტოს წერილში, თურქეთის მთავრობა კატეგორიულად უარყოფდა საბჭოთა კავშირის მოთხოვნებს ერთობლივი საბჭოთა-თურქული თავდაცვითი სისტემის შექმნის შესახებ სრუტეებში. თუმცა მზადყოფნას გამოთქვამდა მონტრეს კონვენციის ზოგიერთი პუნქტის გადახედვაზე (Howard, 1947: 71).

საბჭოთა ზეწოლის პირობებში, თურქეთმა დახმარებისათვის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს მიმართა. დახმარებასაც არ დაუგვიანია და გამოიხატა ტრუმენის დოქტრინითა და მარშალის გეგმით. თურქეთის დასავლეთთან კავშირის ფორმალიზება მოხდა ქვეყნის ნატო-ში გაერთიანებით და შემდეგ ბალდაღის პაქტში გაწევრიანებით, რომლის მიზანიც ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა კავშირის შეკავება იყო.

მაგრამ ბალდაღის პაქტის შექმნამდეც, სტალინის სიკვდილიდან სულ მალე, პრობლემა მოიხსნა. მოლოტოვმა 1953 წლის ივლისში გამოაცხადა, რომ „საქართველო და სომხეთი შესაძლებლად მიიჩნევენ უარი თქვან თურქეთისადმი ტერიტორიულ მოთხოვნებზე. საბჭოთა მთავრობა შესაბამისად ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირს არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები თურქეთის მიმართ“ (Правда, 19.07.1953).

ამდენად, ეს ორი კრიზისი, საბჭოთა კავშირისათვის უშედეგოდ დასრულდა. მაგრამ ისმის მთავარი კითხვა – რამდენად იყო მოწადინებული საბჭოთა კავშირი, რომ გაფართოებულიყო სამხრეთელი მეზობლების ხარჯზე?

ჩამოვთვალოთ ამ ტერიტორიული გაფართოების ჰიპოთეკური შედეგები: ირანის აზერბაიჯანის შემოერთების შემთხვევაში საბჭოთა აზერბაიჯანი ტერიტორიული და განსაკუთრებით მოსახლეობის თვალსაზრისით უზომოდ გაიზრდებოდა და ბევრად გადააჭარბებდა თავის კავკასიელ მეზობლებს – საქართველოსა და სომხეთს. ეს რესპუბლიკები კი, თავის მხრივ, მოითხოვდნენ შესაბამისად, როგორც საინგილოსა და ყარაბახის შემოერთებას, ისე თურქეთის ტერიტორიებისას. გარდა ამისა, სომხებს ირანის აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილზეც ჰქონდათ პრეტენზიები – ურმიის ტბის მიმდებარე რეგიონზე, სადაც სომხები მრავლად ცხოვრობდნენ.

თურქული ტერიტორიების შემოერთების შემთხვევაშიც, პრობლემები კიდევ უფრო მძაფრდებოდა. ერთი მხრივ, ამ მიწებზე მოსახლეობის უმრავლესობას მუსლიმი თურქები წარმოადგენდნენ (ისტორიული სომხეთის ტერიტორიაზე კი ბევრი იყვნენ მუსლიმი ქურთები, რომლებთანაც სომხებს მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ). მუსლიმი ქურთებს, თავის მხრივ, გაუჩნდებოდათ ირანელ ქურთებთან ერთობლივად რესპუბლიკის შექმნის სურვილი (როგორც ზემოთ ითქვა, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან ერთად ირანის ქურთებით დასახლებულ ტერიტორიაზე შეიქმნა ქურთისტანის (მაჰაბადის) დემოკრატიული რესპუბლიკა).

ამ თურქული ტერიტორიების შემოერთების შემთხვევაში ბუნებრივად შეიქმნებოდა კავშირი ერთმანეთის მონათესავე თურქებსა და აზერბაიჯანელებს შორის და არ იყო გამორიცხული პერსპეტივაში პანთურქისტული მოძრაობის აღორძინება. კრიზისის პერიოდში ასევე ნათლად გამოჩნდა, რომ ტერიტორიების გადანაწილების საკითხზე სერიოზული წინააღმდეგობა იქმნებოდა საქართველოსა და სომხეთს შორის. საბჭოური ხისტი პოლიტიკა (მასობრივი გადასახლებები, რეპრესიები და ა.შ.) ამ სიტუაციაში, როდესაც ამდენი პრობლემა იყო ერთმანეთთან ურთიერთგადაჯახებული, რთული განსახორციელებელი იყო. რაც

შეეხება ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმას და „საკამათო“ რეგიონების ავტონომიზაციას საბჭოური სტილის მმართველობით, ეს არაფრის მომტანი იქნებოდა (რაც დაადასტურა უფრო ადრე ჩრდ. ირანში გილანის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის წარუმატებელმა ექსპერიმენტმა).

კიდევ ერთი ვარიანტი იყო ყოველგვარი ავტონომიების გარეშე ამ ორივე ქვეყნის საბჭოთა სატელიტებად ქცევა. აი აქ უკვე საქმე ბევრად უფრო რთულად იდგა და დასავლეთი გაცილებით უფრო მტკიცე პოზიციას დაიჭერდა (ეს უპირველესად ეხება დიდ ბრიტანეთს, რომელსაც განსაკუთრებული სანავთობო ინტერესები ჰქონდა ირანში). ომის შემდგომი საბჭოთა სტრატეგია მიმართული იყო დასავლეთით, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სატელიტებად ქცევისაკენ. ახლო აღმოსავლეთი კი ყურადღების ცენტრში გაცილებით უფრო გვიან, 50-იანი წლების მიწურულს მოექცა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კრიზისების ამგვარად უშედეგოდ დასრულება, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, საბჭოთა ხელმძღვანელების პრაგმატული გადაწყვეტილებების შედეგი იყო – ეს ტერიტორიული შენაძენები გაცილებით უფრო მეტი პრობლემის მომტანი იქნებოდა, ვიდრე სარგებლის. ამდენად, დასავლეთის გამარჯვება ცივი ომის ამ პირველ ეტაპზე მხოლოდ სიმბოლურად შეიძლება ჩაითვალოს და არც ატომური იარაღით საბჭოთა კავშირის დაშინებას შეიძლება დაუკავშიროთ, რასაც ზოგიერთი ავტორი აკეთებს. საბჭოთა კავშირის მარცხის უმთავრესი გამოხატულება კი, არა ტერიტორიული, არამედ სტრატეგიული და ეკონომიკური ხასიათისა იყო – სრუტეებზე საკუთარი ჯარის განთავსებაზე და ირანის ჩრდილოეთში ნავთობის ძიება-მოპოვებაზე უარის თქმა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Atabagi, Touraj. *Azerbaijan., Ethnicity and the Struggle for Power in Iran*. London & New York: I.B.Tauris, 2000.
2. Blake, Kristen. *The U.S.-Soviet Confrontation in Iran, 1945-1962. A Case in the Annals of the Cold War*. Lanham, Maryland: University Press of America, 2009.
3. Byrnes, James F. *Speaking Frankly*. New York: Harper, 1947), p. 119.
4. Cottam, Richard W. *Nationalism in Iran* (Updated through 1978). University of Pittsburgh Press, 1988.
5. Dekmejian, R. H. Soviet-Turkish Relations and Politics in the Armenian SSR. *Soviet Studies*, Vol. 19, No 4, 1968, pp. 510-525.
6. Elwell-Sutton, L. P. Political Parties in Iran 1941-1948. *Middle East Journal*, Vol. 3, No. 1 (Jan., 1949), pp. 45-62.
7. Fawcett, Louise L'Estrange. *Iran and the Cold War, The Azerbaijani Crisis of 1946*. Cambridge: Cambridge University Press, 1992.
8. Feis, Herbert. *From Trust to Terror: The Onset of the Cold War, 1945-1950*. New York: W. W. Norton, 1970.
9. Halliday, Fred. On the Left in Iran. *MERIP Reports*, No 77, May, 1979.
10. Hasanli, Jamil. *Iran at the Dawn of the Cold War: The Soviet-American Crisis over Iranian Azerbaijan, 1941-1946*. Lanham, Md.: Roman & Littlefield, 2006.

11. Hess, Gary R. The Iranian Crisis of 1945-46 and the Cold War. *Political Science Quarterly*, Vol. 89, No 1, 1974, pp. 117-146
12. Howard, Harry N. The United States and the Problem of the Turkish Straits: A Reference Article. *MES*, Vol. 1, No 1, 1947, pp. 59-72.
13. Howard, Harry N. *Turkey, the Straits, and the U.S. Policy*. Baltimore: Johns Hopkins University Press, 1974.
14. King, Charles. *The Black Sea. A History*. Oxford University Press, 2006.
15. Kuniholm, Bruce R. *The Origins of the Cold War in the Near East: Great Power Conflict and Diplomacy in Iran, Turkey, and Greece*. Princeton, N.J.: Princeton University Press, 1980.
16. Lenczowski, George. *Russia and the West in Iran, 1918-1948: A Study in Big - Power Rivalry*. Ithaca, N.Y.: Cornell University Press, 1949.
17. Lenczowski, George. The Communist Movement in Iran. *MES (Middle East Studies)*, Vol. 1, No. 1, Jan., 1947, pp. 29-45.
18. Lenczowski, George. United States“ Support for Iran“s Independence and Integrity, 1945-1959. *Annals of the American Academy of Political and Social Sciences*, Vol. 401, *America and the Middle East*, May, 1972, pp. 45-55.
19. Mamoulia, Géorges. Les crises turque et iraniègne 1945-1947. *Cahiers du Monde russe*, 45/1-2, Janvier-juin 2004, pp. 267-292.
20. McFarland, Stephen. A Peripheral View of the Origins of the Cold War: The Crises in Iran, 1941-1947. *Diplomatic History*, 4, 1980, pp. 333-51.
21. Morozova, Irina. Contemporary Azerbaijani Historiography on the Problem of „Southern Azerbaijan“ after World War II. *Iran & the Caucasus*, Vol. 9, No 1, Leiden: Brill, 2005, pp. 85-120.
22. Mouradian, Claire. L“immigration des Armèniens de la diaspora vers la RSS d“Armènie. 1946-1962. *Cahiers du Monde russe et soviétique*, Vol. 20, No. 1, 1979, pp. 79-110.
23. Raine, Fernand S. The Iranian Crisis of 1946 and the Origins of the Cold War. In Leffler, Melvyn & Painter, David (eds). *The Origins of the Cold War: An International History*, Oxon, U.K.: Routledge, 2005, pp. 93-112.
24. Ramazani, R. K. The Autonomous Republics of Azerbaijan and Kurdish People“s Republic: Their Rise and Falls. In Hammond, Thomas T. (ed.). *The Anatomy of Communist Takeovers*. Yale University Press, 1975. pp.4 48-74.
25. Roosevelt, Archie Jr. The Kurdish Republic of Mahabad. *MES*, Vol. 1, No 3 1947, pp. 247-269.
26. Rossow, Robert Jr. The Battle of Azerbaijan, 1946. *MES*, Vol. 10, No 1, 1956, pp. 17-32.
27. Samii, Kuross A. Truman against Stalin in Iran: A Tale of Three Messages. *MES*, Vol. 23, No. 1 1987, pp. 95-107.
28. Suni, Ronald G. *The Making of the Georgian Nation*. 2nd ed. Bloomington and Indianapolis: Indiana University Press, 1994.
29. The Soviet Letter to the Security Council re Persia. *Chronology of International Events and Documents*, Vol. 2, No. 3, January 21-February 3, 1946.
30. Thorpe, James A. Truman’s Ultimatum to Stalin on the 1946 Azerbaijan Crisis: the Making of a Myth. *The Journal of Politics*, Vol. 40, No 1, 1978, pp. 188-195.

31. Truman, Harry S. *Memoirs*, Vol. 1, *Year of Decisions*. Garden City, N.Y.: Doubleday & Company, 1955.
32. Westermann, William Linn. Kurdish Independence and Russian Expansion. *Foreign Affairs*, Vol. 70, No 3, Summer, 1991, pp. 50-54.
33. Xydis, Stephen G. New Light on the Big Three Crisis over Turkey in 1945. *Middle East Journal*, Vol. 14, No. 4 (Autumn, 1960), pp. 416-432.
34. Yegorova, Natalia. *The Iranian Crisis of 1945-46: A View from the Russian Archives*. Working paper no. 15, Woodrow Wilson International Center for Scholars: [www.wilsoncenter.org /topics/pubs/ACFB51.pdf](http://www.wilsoncenter.org/topics/pubs/ACFB51.pdf).
35. Кочкин, Н.В. СССР, США, Англия и турецкий кризис, 1945-1947. *Новая и новейшая история*, 3, 2002.

**გურჯი მეჰმედ ფაშა
(1536-1626 წწ.)**

გურჯი მეჰმედ ფაშა წარმოშობით პირველი ქართველია, რომელიც ოსმალეთის დიდი ვეზირი გახდა. იგი ბავშვობაში დაუტყვევებიათ და ოსმალეთში მონად გაუყიდათ. სულეიმან I-ის (1520-1566) მეფობის ბოლო წლებში, როდესაც დიდი ვეზირი სემიზ ალი ფაშა (1561-1565) გახდა, მან თავისი თეთრი საჭურისი მონა გურჯი მეჰმედი სულთნის სასახლეში მიიყვანა, სადაც იგი სხვადასხვა სამსახურს ასრულებდა, შემდეგ კაფი ალად დაინიშნა და სულთნის სასახლის თეთრკანიან საჭურისთა უფროსი გახდა (Cezar, 1960:1848). მის მოვალეობას შეადგენდა სულთნის სასახლის გამგებლობა და ამასთან დაკავშირებული საქმეების სულთნისათვის მოხსენება, აუდიენციაზე სულთანთან უცხო სახელმწიფოთა ელჩებისა და წარმომადგენლების წარდგენა, სახელმწიფოში მოგზაურობის დროს ფადიშაჰებისა და უფლისწულის თანხლება და სხვ.

იმ დროს, როდესაც გურჯი მეჰმედი სულთნის სასახლეში მსახურობდა, ოსმალების მიერ დატყვევებული სიმონ I ქართლის მეფე სტამბოლში ჩაიყვანეს და იედიკულეს ციხეში მოათავსეს (1600 წ.). სიმონ I-ის დატყვევებისა და იედიკულეს ციხეში მოთავსების შემდეგ მისმა შვილმა გიორგი X-მ სტამბოლში დელეგაცია გაგზავნა სიმონის ტყვეობიდან განთავისუფლების მიზნით. საფიქრებელია, რომ ქართველები დაუკავშირდნენ გურჯი მეჰმედ ფაშას, რომელსაც, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უშუალოდ ევალეობდა უცხო სახელმწიფოების დელეგაციების მიღების ორგანიზაცია და მათი სულთნისათვის წარდგენა. ცხადია, ქართველები ამ საქმეში გურჯი მეჰმედ ფაშას დახმარებას თხოვდნენ. საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ 1603 წელს ირანმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო და სიმონ მეფის ტყვეობიდან განთავისუფლება ჩაიშალა, რადგან ქართლ-კახეთის მეფეები ირანის მოკავშირეებად გამოდიოდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში.

1603 წლის დეკემბერში ტახტზე ავიდა აჰმედ I (1603-1617). მის დროს განსაკუთრებით სწრაფად წინაურდება გურჯი მეჰმედი. აჰმედის გამეფების ორი კვირის შემდეგ, 1604 წლის 4 იანვარს იგი ჰასოდაბაშად დაინიშნა. ჰასოდაბაში სულთნის სასახლის მსახურთა უხუცესი იყო და მას ემორჩილებოდა სასახლის მთელი მომსახურე პერსონალი, რომელსაც უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ სულთანთან. ამ თანამდებობაზე მყოფი მოხელე სულთნის ერთ-ერთ უახლოეს პიროვნებად ითვლებოდა (Sertoğlu, 1997:146). რვა თვის შემდეგ, 1604 წლის აგვისტო-სექტემბერში მას სულთნის უავგუსტოესის დივანის მესამე ვეზირის წოდება მიენიჭა. 1604 წლის 22 სექტემბერს გურჯი მეჰმედ ფაშა ეგვიპტის ვალად დანიშნეს. იგი ეგვიპტეში ჩავიდა, თავისი წინამორბედი ჰაჯი იბრაჰიმ ფაშა, რომელმაც აჯანყება მოაწყო, დაამარცხა და სიკვდილით დასაჯა. ეგვიპტეში წესრიგი დაამყარა და ხაზინის საქმეებიც მოაგვარა. 1605 წლის მაისს-ივნისში იგი ეგვიპტის ვალის თანამდებობიდან გაანთავისუფლეს და სტამბოლში დააბრუნეს (Süreyyâ, 1997:179).

1606 წლის 25 მაისს გურჯი მეჰმედ ფაშა გახდა რუმელიის ვალი; იმავე წელს ბოსნიის ბეგლარბეგად დანიშნეს და ბელგრადისა და დუნაისპირეთის სანახების დაცვა დაავალეს 1016 წელს (1607); გადაყენებულ იქნა 1017 წელს (1608-1609) და მას დამასკოს ვალის თანამდებობა ეკავა (Süreyyâ, 1997:179).

1609 წლის 11 მაისს, როდესაც დიდმა ვეზირმა მურად ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა, გურჯი მეჰმედ ფაშას პირველად დაევალა დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება (Süreyyâ, 1997:179; Cezar, 1960:1848).

მურად ფაშას სიკვდილის შემდეგ (1611 წ.) დიდ ვეზირად დაინიშნა ნასუჰ ფაშა და მისი ლაშქრობიდან სტამბოლში დაბრუნებამდე, დიდი ვეზირის მოვალეობას კვლავ გურჯი მეჰმედ ფაშა ასრულებდა და 1021 წ. (1612-1613) ერზურუმის ვალის თანამდებობა მიიღო. შემდგომ კუბეშანი გახდა, მესამე ვეზირობა ებოძა და დედაქალაქში იმყოფებოდა (Süreyyâ, 1997:179; Cezar, 1960:1848).

1612 წლის 20 ნოემბერს სტამბოლში ოსმალეთსა და ირანს შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება. აღსანიშნავია, რომ ამ ზავის დადებამდე გარკვეული წვლილი მიუძღოდა ქართველ დიპლომატ ქალს გულჩარა ბაგრატიონს (სვანიძე, 1971: 264).

ირანთან ზავის დადების შემდეგ, სულთან იედირნეში გაემგზავრა, ხოლო გურჯი მეჰმედ ფაშა 1613 წლის 25 ნოემბერს სტამბოლის კაიმაკამად დაინიშნა.

ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ, 1613 წლის ოქტომბერში შაჰ-აბასი საქართველოს წინააღმდეგ გამოემართა. ქართლ-კახეთის მეფეები მტერს მოუმზადებელი შეხვდნენ და იძულებული შეიქმნენ იმერეთში გაქცეულიყვნენ. აქედან მათ სტამბოლში ელჩები გაგზავნეს და სულთანს საქართველოზე თავდასხმა შეატყობინეს.

საფიქრებელია, რომ სტამბოლში ჩასული ქართველები დახმარებისათვის გურჯი მეჰმედ ფაშას მიმართავდნენ. მართალია, ჩვენ ამის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ მოგვეპოვეთ, მაგრამ შემდგომი მოვლენათა სვლა ამის სასარგებლოდ მეტყველებს. სტამბოლში ჩასულმა ქართველებმა სულთანს სრული ინფორმაცია მიაწოდეს შაჰის საქართველოში ლაშქრობასთან დაკავშირებით და დახმარება სთხოვეს.

ოსმალეთმა ირანს 1612 წლის ზავის პირობების დარღვევა დააბრალა. აღსანიშნავია, რომ ოსმალთა ისტორიკოსები ზავის დარღვევის ერთ-ერთ მიზეზად შაჰის საქართველოში ლაშქრობას ასახელებენ (Cezar, 1960: 1800).

ოსმალეთის დიდი ვეზირი ნასუჰ ფაშა გადააყენეს და სიკვდილით დასაჯეს. სულთანმა გადაწყვიტა ირანის წინააღმდეგ ომი დაეწყო.

1615 წლის 22 მაისს ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ოქუზ მეჰმედ ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა, ხოლო მეორედ დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება კვლავ დაევალა გურჯი მეჰმედ ფაშას (Süreyyâ, 1997:179; Cezar, 1960:1848, 1849).

ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ომში წარმატებას ვერ მიაღწია.

სულთან აჰმედ I-ის სიკვდილის (1617 წ. ნოემბერი) შემდეგ ოსმალეთის სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის დაიწყო ბრძოლა სახელმწიფოში თავიანთი სასურველი კანდიდატის გამეფებისათვის. 1617-1623 წლებში რამდენჯერმე მოხდა სასახლის კარის გადატრიალება, ამ ხნის განმავლობაში სულთანი ოთხჯერ შეიცვალა.

ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობის გაუარესებამ გამოიწვია ცალკეულ ფეოდალურ ჯგუფებს შორის ბრძოლის გამწვავება. სწორედ ეს იყო მიზეზი სასახლის გადატრიალებებისა.

ოსმალეთის სოციალურ-პოლიტიკური კრიზისის ერთ-ერთი გამოხატულება იყო იენიჩარების კორპუსის ბრძოლისუნარიანობისა და დისციპლინის კატასტროფული დაქვეითება. ერთმანეთის საწინააღმდეგო დაჯგუფებანი ძალაუფ-

ლებისათვის ბრძოლაში რეგულარულად იყენებდნენ იენიჩართა მისწრაფებებს – განემტკიცებინათ თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა, უბიძგებდნენ რა ამბოხებისაკენ არასასურველი სულთნების, დიდი ვეზირებისა ან ცალკეული დიდმოხელის ჩამოგდება-გადაყენებისაკენ.

ერთ-ერთმა დაჯგუფებამ, რომელთაც იენიჩარები უჭერდნენ მხარს, მოითხოვა, რომ ტახტი გადაცემოდა მეჰმედ III-ის (1595-1603) ვაჟს მუსტაფას, რომელიც გონებასუსტი იყო. მათ თავისი გაიტანეს და მუსტაფა I გაამეფეს. ამ დაჯგუფების ფარვაში დიდხანს არ გაგრძელდა. მუსტაფა I-მა სამ თვესა და ათ დღეს იმეფა. იგი ტახტიდან ჩამოაგდეს და 1618 წლის 26 თებერვალს ოსმან II (1618-1622) გაამეფეს. ოსმანი საკმაოდ ენერგიული იყო და მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ (სვანიძე, 2007:196, 198).

ოსმან II-მ გადაწყვიტა პოლონეთის წინააღმდეგ ომი დაეწყო და მისი წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, აემალლებინა თავისი ავტორიტეტი. მას იმედი ჰქონდა, რომ პოლონეთთან ომში დიდ წარმატებებს მიაღწევდა და ამიტომ თვითონ ჩაუდგა სათავეში ოსმალეთის ლაშქარს.

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის წინააღმდეგ ლაშქრობის დროს ოსმან II-ის ამაღლება იმყოფებოდა გურჯი მეჰმედ ფაშა და სულთნის ხაზინის საქმეებს განაგებდა (Cezar, 1960:1806, 1807).

1621 წლის სექტემბრის დამდეგს ოსმალეთის ლაშქარი მდ.დნესტრის ნაპირებს მიაღდა და ციხე-ქალაქ ხოტინის წინ დაბანაკდა. თითქმის მთელი თვის განმავლობაში ხოტინისათვის მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები, მიუხედავად არა ერთი იერიშისა, ოსმალებმა ვერ შესძლეს ხოტინის აღება. სულთანი იძულებული იყო ალყა მოეხსნა და პოლონეთს დაზავებოდა.

1622 წლის 25 იანვარს ოსმან II სტამბოლში დაბრუნდა. სულთანი განსაკუთრებით უკმაყოფილო იყო იენიჩარებითა და დაქირავებული სიფაჰიებით. დაბრუნებისთანავე მან გასცა ბრძანება მრავალი იენიჩარისა და სიფაჰიებისათვის ხელფასი დაეკავებინათ და რეესტრებიდან ამოერიცხათ. მათი დაბალი ბრძოლისუნარიანობისა და უდისციპლინობის გამო, მან ვერ შესძლო პოლონელებზე ერთი გამარჯვების მოპოვებაც კი.

ოსმან II-მ, დაახლოებული პირების რჩევით, გადაწყვიტა შეეცვალა იენიჩართა კორპუსი ახალი სამხედრო შენაერთით. ამ მიზნით ანატოლიაში გლეხების ოჯახებიდან უნდა შეედგინათ რეკრუტი და დაეკომპლექტებინათ ახალი სამხედრო შენაერთი.

ოსმან II ემზადებოდა სტამბოლიდან აზიაში გასამგზავრებლად. მას განზრახული ჰქონდა დედაქალაქი დამასკოში ან ალექსანდრიაში გადაეტანა. მთელი სიმდიდრე, ოქრო-ვერცხლი, რომელიც სტამბოლში ინახებოდა, შეკრიბა და მოამზადა წასაღებად. ეს გეგმა რომ არ გამხდარიყო ცნობილი, ოსმან II-მ გაავრცელა ხმა, თითქოს იგი მიემგზავრებოდა მექაში მუჰამადის საფლავის მოსანახულებლად. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ დროს ოსმან II-მ გურჯი მეჰმედ ფაშა დანიშნა აღრიანოპოლის კომენდანტად (Cezar, 1960:1838, 1818)

ოსმანის გეგმების შესახებ შეიტყვეს ფაშებმა, მუფტიმ და სასულიერო წოდების პირებმა. მათ სთხოვეს სულთანს ხელი აელო თავის განზრახვაზე, მაგრამ ამაოდ.

რეაქციულმა დაჯგუფებამ იენიჩარები და დაქირავებული სიფაჰიები აამხედრეს, მუსტაფა I 19 მაისს ხელახლა გაამეფეს, ხოლო ოსმან II ტახტიდან ჩამოაგდეს და მოკლეს.

მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო. სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ამის გამონათქვამი იყო დიდი ვეზირების ხშირი ცვლა.

დაუდ ფაშა, რომელიც ერთ-ერთი მოთავე იყო ამ სახელმწიფო გადატრიალებისა, ამის შემდეგ დიდი ვეზირი გახდა. მან ამ თანამდებობაზე მხოლოდ 26 დღე დაჰყო. იენიჩარებმა იგი გადააყენეს და მისი ადგილი დაიკავა მეორე ჰუსეინ ფაშამ. მან 35 დღე მართა ქვეყანა, ისიც გადააყენეს და დანიშნეს ლეფქელი მუსტაფა ფაშა, რომელმაც დიდი ვეზირის ბეჭედი 27 დღეს ატარა. მალე ისიც აღარ მოისურვეს და 1622 წლის 21 სექტემბერს დიდვეზირად დანიშნეს გურჯი მეჰმედ ფაშა და მას ეს თანამდებობა ეკავა 1623 წ. 5 თებერვლამდე. მას ამ თანამდებობაზე მოღვაწეობა მეტად რთულ ვითარებაში მოუხდა (Süreyâ, 1997:179; Cezar, 1960:1849; სვანიძე, 2007:199-208).

სულთან მუსტაფა I-ის მეფობის ხანაში დიდ ვეზირად დანიშნულ პირთაგან ყველაზე ძლიერი და გამოჩენილი პიროვნება გურჯი მეჰმედ ფაშა იყო. სანამ მას ამ თანამდებობაზე დანიშნავდნენ, მას სხვადასხვა საპასუხისმგებლო დიდი თანამდებობები ეკავა, სამჯერ იყო დიდი ვეზირის მოვალეობის შემსრულებელი და ამიტომ მან სახელმწიფო საქმეების წარმოება მშვენივრად იცოდა. დიდ ვეზირად ყოფნისას მან შესძლო ქვეყანაში არსებული კრიზისისა და არეულობის დაძლევა, რაც საწინდარი იყო ქვეყანაში მშვიდობის დამყარებისა და მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. ცენტრალური ხელისუფლება თავიდან ბოლომდე მოშლილი იყო, ლამდამობით ქურდობები და მკვლევლობები ხდებოდა. გურჯი მეჰმედ ფაშამ ამ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით თანამდებობის პირები და უღმრთეები შეკრიბა და ზომები მიიღო. თვალშისაცემი უწესრიგობა და უღისციპლინობა, მხოლოდ წესრიგის საკითხს როდი ეხებოდა.

სწორედ გურჯი მეჰმედის დროს გამოიძიეს ოსმან II-ის მკვლელობა. გამოძიების შედეგად გამოირკვა, რომ მუსტაფა I არ გაუცია ბრძანება ოსმან II მკვლელობის შესახებ. ეს ჩაიღინა იენიჩართა ასეულმა (ორთა), დაუდ ფაშას მითითებით, იენიჩართა ეს ასეული დაშალეს და შემდგომ აღარ აღუდგენიათ, ხოლო დაუდ ფაშა 1623 წლის 5 იანვარს სიკვდილით დასაჯეს (იქვე).

სულთან მუსტაფა I-ის გამეფებასა და ოსმან II-ის ტახტიდან ჩამოგდებასა და მის მკვლელობაში გარკვეული წვლილი მიუძღოდა დერვიშ ალას, რომელიც მუსტაფას გამეფების შემდეგ იენიჩართა აღად დანიშნეს. გურჯი მეჰმედ ფაშამ დერვიშ ალა გაანთავისუფლა თანამდებობიდან და მის ადგილზე იენიჩართა უფროსად დანიშნა მუსტაფა ალა.

გურჯი მეჰმედ ფაშამ აგრეთვე მიიღო ზომები ფულის კურსის განმტკიცებისათვის, მაგრამ მძიმე ეკონომიკური კრიზისის ვითარებაში შეუძლებელი იყო რაიმე წარმატების მიღწევა.

გურჯი მეჰმედ ფაშამ გადადგა ნაბიჯები დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმების ასალავმავად. XVI ს-ის II ნახევრიდან და განსაკუთრებით XVII ს-ის I ნახევარში მნიშვნელოვნად გახშირდა დონისა და ზაპოროჟიელი კაზაკების თავდასხმები. ისინი კარგი მეზღვაურები იყვნენ და თავიანთი ნაევებით „ჩაიკებთ“ სერავდნენ შავ ზღვას და ძარცვავდნენ ოსმალეთის სავაჭრო ხომალდებს, აღარ კმაყოფილდებოდნენ ზღვაზე მოპოვებული ნადავლით და აწყობდნენ თავდასხმებს ოსმალეთის შავი ზღვის სანაპირო ქალაქებზე – ტრაპიზონზე, სამსუნზე, სინოპსა და თვით სტამბოლზედაც კი. ეს თავდასხმები იმდენად საშიში შეიქმნა, რომ ბოსფორზე კაზაკების გამოჩენამ დიდად შეაშფოთა ოსმალეთის მთავრობა. სულთანმა ბრძანება გასცა ოქროს ყურეში რკინის ჯაჭვი გაეხატა და

ამით თავი დაეცვათ დედაქალაქზე კაზაკების მოულოდნელი თავდასხმებისაგან (სვანიძე, 2007:199,200).

პოლონეთთან დადებული დროებითი ზავის პირობების მიხედვით, კაზაკებს შავი ზღვის სანაპიროებზე თავდასხმა აკრძალული ჰქონდათ. ოსმალეთის სასახლის კარზე მომხდარი ამბების გამო, კაზაკებმა თავიანთი ხასიათი კვლავ გამოამჟღავნეს. მათი თავდასხმების საპასუხოდ გურჯი მეჰმედ ფაშამ შავი ზღვის ფლოტის სარდალი დამად რეჯებ ფაშა გაგზავნა 600 ბარჯით. ბრძოლაში კაზაკ მეზღვაურების ბარჯების უმეტესობა ჩაძირეს, თურქებმა 18 ბარჯა დააკავეს და 1622 წლის 1 ოქტომბერს სტამბოლში დაბრუნდნენ.

ავად თუ კარგად გურჯი მეჰმედ ფაშას მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

გურჯი მეჰმედ ფაშას დიდგვებრობის დროს სტამბოლში ჩავიდნენ სხვადასხვა სახელმწიფოების ელჩები, რომლებთანაც მან აქტიური დიპლომატიური ურთიერთობა გააბა.

1622 წლის 8 ოქტომბერს სტამბოლში ჩავიდა ირანის შაჰის ელჩი ალა რიზა ხანი. მან ახალ ფადიშაჰს ტახტზე ასვლა მოულოცა და ძვირფასი საჩუქრები გადასცა. ოსმალთა მემკვიდრე შენიშნავს, რომ ასეთი ძვირფასი საჩუქრებით ოსმალეთში ადრე არავინ ჩამოსულა. საფიქრებელია, რომ შაჰ აბასის ელჩი სტამბოლში დაზვერვის მიზნით იყო ჩასული, რადგან ამ დროს შაჰი ოსმალეთის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდა. ცხადია, იგი ეცდებოდა გარკვეულიყო ოსმალეთის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაში.

დაახლოებით ამ დროს უნდა ჩასულიყო თეიმურაზ მეფე სტამბოლში. როგორც ზემოთ ითქვა, ოსმალეთის საშინაო მდგომარეობა მეტად მძიმე იყო და ოსმალეთისაგან რაიმე დანებების მიღება გამორიცხული იყო. პირიქით, ამ დროს ოსმალეთი დაინტერესებული იყო ირანთან ზავის შენარჩუნებით. ყოველივე ამის გამო, თეიმურაზის ელჩობას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყვა (სვანიძე, 2007:97-111).

1622 წლის ნოემბერში სტამბოლში ჩავიდა რუსეთის ელჩი. ამ დროს რუსეთსა და პოლონეთს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო. საფიქრებელია, რუსეთის ელჩის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა აემხედრებინა ოსმალეთი პოლონეთის წინააღმდეგ და ჩაეშალა სტამბოლში დაწყებული ოსმალეთ-პოლონეთის მოლაპარაკება, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია.

1622-1623 წლებში სტამბოლში იმყოფებოდა პოლონეთის ელჩი კ. ბრაჟევი-სკი. მას დავალებული ჰქონდა 1621 წელს პოლონეთსა და ოსმალეთს შორის დადებული დროებითი ზავის შემდეგ ხელმოწერილი ყოფილიყო საბოლოო საზავო ხელშეკრულება. სწორედ გურჯი მეჰმედ ფაშას დიდგვებრობის დროს შემუშავებულ იქნა ამ ხელშეკრულების ძირითადი მუხლები. ამ მოლაპარაკებაში იგი უშუალოდ მონაწილეობას იღებდა. მიუხედავად იმისა, რომ მოლაპარაკება მეტად დაძაბულ ვითარებაში მიმდინარეობდა, პოლონელი დიპლომატი ძალზე მაღალ შეფასებას აძლევს გურჯი მეჰმედ ფაშას. „საერო აზრით, წერს, – კ. ბრაჟევი-სკი, – იგი იყო არაჩვეულებრივი ჭკუის ადამიანი“ (Описание, 1984:205).

როგორც ჩანს, გურჯი მეჰმედ ფაშას გარკვეული დიპლომატიური ნიჭი და ალღო გამოუჩნდა უცხო სახელმწიფოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის დროს.

სასახლის დიდმოხელეების ერთ ნაწილსა და იენიჩარებს არ მოსწონდათ გურჯი მეჰმედ ფაშას მოღვაწეობა, რომლის საქმიანობაც მიმართული იყო ქვეყანაში წესრიგის დამყარებისა და სახელმწიფოს განმტკიცებისაკენ. მათი მოთ-

ხოვნით, იგი გადააყენეს დიდი ვეზირის თანამდებობიდან და კუნძულ როდოსზე გაგზავნეს (Cezar, 1960:1837,8; Süreyyâ, 1997:179).

მუსტაფა I-ის გარშემო მოკალათებული დაჯგუფებისადმი ოპოზიციურად განწყობილი მეორე ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ დიდმოხელეები, უმაღლესი სასულიერო პირები, ზოგიერთი პროვინციის გამგებელი, დიდად იყვნენ შეშფოთებული სულთნის სასახლის კარზე იენიჩართა გავლენის ზრდით. მართალია, მათ შესძლეს დაეშალათ იენიჩართა ასეული, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოსმან II-ის მკვლელობაში, მაგრამ ამ სასჯელმა იენიჩარებს წესრიგი ვერ შემატა. ამ დაჯგუფებას მიაჩნდა, რომ ქვეყანაში საჭიროა ძლიერი ხელისუფლების დამყარება, რომელსაც უნარი ექნებოდა მკაცრი და გადამჭრელი საშუალებებით შეეჩერებინათ ოსმალეთის სახელმწიფოს დაცემა-დაქვეითების პროცესი. მათ რიცხვს ეკუთვნოდა გურჯი მეჰედ ფაშა.

ამ ჯგუფის უღმებმა მუსტაფა I-ის დედას აცნობეს, რომ მათ განზრახული აქვთ მუსტაფას, შარიათის წესის შესაბამისად, დაუსვან რამდენიმე შეკითხვა: „რა ჰქვია მას“, „ვისი შვილია“, „დღეს რა დღეა“ თუ ამ კითხვებზე პასუხს გასცემს, იგი ჩვენი ფადიშაჰი იქნებაო. სულთნის დედას უთქვამს, „ჩემი შვილი ვერ შესძლებს ამ კითხვებზე პასუხის გაცემასო“.

მეორე დღეს მოიწვიეს დივანის სხდომა. დიდმა ვეზირმა და შეიხულ-ისლამმა მუსტაფას დედას განუცხადეს, რომ შარიათის წესით, მუსტაფა ტახტიდან უნდა გადადგეს. დედამისმა განაცხადა, რომ მისთვის შარიათის წესი კანონია – მხოლოდ თხოვეს მის შვილს შეუნარჩუნონ სიცოცხლე. ამის შემდეგ გადაწყვიტეს ტახტზე აეყვანათ აჰმედ I-ის შვილი მურად IV (1623 წ. 10 სექტემბერი).

მურად IV-ის გამეფების შემდეგ გურჯი მეჰმედ ფაშა სტამბოლში დააბრუნეს და იგი მეორე ვეზირად დანიშნეს.

ამ დროს ოსმალეთის მთავრობის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ერზურუმის გამგებლის აბაზა მეჰმედ ფაშას დამორჩილება. როდესაც ოსმან II ტახტიდან ჩამოაგდეს, აბაზა მეჰმედ ფაშამ განაცხადა, რომ იგი არ ცნობს იმ მთავრობას, რომელმაც იენიჩარებთან ერთად კანონიერი სულთანი ოსმან II მოკლა, ოსმანის მკვლელებზე შურისძიება ოფიციალურად თავს იდგა და დაიწყო აჯანყება ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ. აბაზა ფაშამ გაწყვიტა ერზურუმში განლაგებული იენიჩარები. ამასთანვე მან წერილი გაუგზავნა იენიჩარებს და შეუთვალა, რომ „მთლიანად მათი მოსპობა სურს.“ აბაზა ფაშამ სასწრაფოდ შეადგინა 30-40 ათასიანი ლაშქარი და ხელთ იგდო სივასი, ყარაჰისარი, ანკარა, ბურსა და სხვა ქალაქები, აჯანყება მოედო აღმოსავლეთ და ცენტრალური ანატოლიის დიდ ნაწილს, აბაზამ ეს რეგიონი თავის კონტროლს დაუქვემდებარა. აღსანიშნავია, რომ აბაზა ფაშა წარმოშობით ქართველი იყო. ოსმალეთის ცდა, დაემორჩილებინა აბაზა ფაშა, უშედეგოდ დამთავრდა.

როდესაც მურად IV გამეფდა, ჩანს, აბაზა ფაშას სურვილი ჰქონდა სულთნისათვის მორჩილება გამოეცხადებინა, მაგრამ არ იყო დარწმუნებული, რომ მას დანაშაულს აპატიებდნენ და ამიტომ განაგრძობდა წინააღმდეგობის გაწევას.

1624 წლის აპრილის დამდეგს ჩერქეზი მეჰმედ ფაშა დიდ ვეზირად დანიშნეს. მას დაევალა აბაზა მეჰმედ ფაშას მორჩილებაში მოყვანა. 1624 წლის 28 მაისს მან დატოვა სტამბოლი და აბაზა ფაშას დასამორჩილებლად გაემგზავრა, ხოლო დიდი ვეზირის მოვალეობის შესრულება ამჯერადაც მესამედ დაევალა გურჯი მეჰმედ ფაშას. ეს თანამდებობა მას ეკავა სიკვდილამდე – 1626 წლის 13 ივლისამდე (Süreyyâ, 1997:179; Cezar, 1960:1849; Donismend, 1962:329).

1624 წლის ზაფხულში დონისა და უკრაინის კაზაკებმა კვლავ განაახლეს თავდასხმები შავი ზღვის სანაპიროზე. ასე მაგალითად, 20 ივლისს კაზაკები 150 ჩაიკით თავს დაესხნენ ბოსფორის სრუტესთან მდებარე სოფელ იენიკოის და სასტიკად დაარბიეს იგი. სტამბოლიდან გაგზავნილი ფლოტის დახმარებით, ოსმალებმა ძლივს შესძლეს თავიდან აეცილებინათ მათი დედაქალაქზე თავდასხმა.

საქმე ისაა, რომ სტამბოლი უმთავრესად მარაგდებოდა შავი ზღვის რეგიონიდან შემოტანილი სურსათ-სანოვავით და კაზაკთა თარეში შავ ზღვაზე აფერხებდა დედაქალაქის პროდუქტებით მომარაგებას. ეს კი აუარესებდა მოსახლეობის მდგომარეობას და იწვევდა ხალხის მასების უკმაყოფილებას.

მეჰმედ ფაშამ ოსმალეთის ფლოტი კაფუდან ფაშას (ფლოტის ადმირალ) რეჯექ ფაშას სარდლობით გაგზავნა კაზაკების წინააღმდეგ საბრძოლველად. ოსმალეთის ფლოტი თავს დაესხა ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვის საზღვაო ქალაქებსა და მდინარეების შესართავებს, სადაც თავს აფარებდნენ კაზაკები და დიდი ზარალი მიაყენა მათ.

შაჰ აბასმა ისარგებლა ოსმალეთში შექმნილი მძიმე მდგომარეობით, დაარღვია მასთან დადებული ზავი და მის წინააღმდეგ ომი განაახლა. 1623 წლის 28 ნოემბერს სპარსელებმა ბალდადი დაიკავეს, ხოლო 1624 წელს მთელი ერაცი და ქურთისტანის ნაწილი.

საქართველოში გიორგი სააკაძის მეთაურობით ირანის წინააღმდეგ დიდი აჯანყება დაიწყო. 1625 წლის 25 მარტს ქართველებმა მარტყოფის ველზე ყიზილბაშების ლაშქარი ამოჟლიტეს და მათ წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდნენ.

ოსმალეთის დიდ ვეზირს ჰაფიზ ფაშას, რომელიც ამ დროს დიარბექირში იმყოფებოდა და ბალდადის წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებოდა, მოურავმა ელჩი გაუგზავნა და ოსმალებს ამიერკავკასიაში ყიზილბაშთა წინააღმდეგ სალაშქროდ მოუწოდა. დიდმა ვეზირმა ჰადიზ ფაშამ ქართველებს განუცხადა, რომ მას სულთნისაგან დავალებული აქვს ბალდადის დაპყრობა. როდესაც ქართველებმა დიდ ვეზირისაგან გადამჭრელი პასუხი ვერ მიიღეს, მათ გადაწყვიტეს სტამბოლში ჩასულიყვნენ და სულთნისათვის ეთხოვათ დახმარება.

1625 წლის ნოემბერში გიორგი სააკაძის ელჩი სტამბოლში ჩავიდა. თურქული და ევროპული წყაროების ცნობით, ქართველებმა ყიზილბაშთა მოკვეთილი თავები, დროშებთან, იარაღთან ერთად სტამბოლში ჩაიტანეს და სულთანს მიართვეს.

ამ დროს, როგორც ვიცით, სტამბოლში დიდი ვეზირის მოვალეობას ასრულებდა გურჯი მეჰმედ ფაშა, რომელიც მთელი სახელმწიფოს საქმეებს განაგებდა. ცხადია, ქართველები მას მიმართავდნენ დახმარებისათვის.

ჩანს, ქართველების თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. ამასთან დაკავშირებით მოიპოვება მურად IV-ის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ სულთანი დახმარებას პირდებოდა გიორგი სააკაძეს ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში (ჯიქია, 1942: 233-235). საფიქრებელია, რომ სულთნის ამ დოკუმენტის მომზადება-შედგენაში დიდი წვლილი მიუძღვის გურჯი მეჰმედ ფაშას.

გურჯი მეჰმედ ფაშას მოღვაწეობა არ მოსწონდათ რეაქციულ ძალებს, განსაკუთრებით იენიჩარებს, რომლებიც არ იყვნენ დაინტერესებული ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით. ამ ძალების წაქეზებით, იენიჩარები აჯანყდნენ და მოითხოვეს გურჯი ფაშას სიკვდილით დასჯა და განახორციელეს კიდეც ეს 1626 წლის 13 ივლისს.

ოსმალთა მემკვიდრე მუსტაფა ნაიმა გურჯი მეჰმედ ფაშას მოღვაწეობას დიდად აფასებდა: „გურჯი მეჰმედ ფაშა, წერს იგი, ბედნიერების დედაქალაქს კანიკამოხისას დიდხანს სრული დამოუკიდებლობით, სიძლიერითა და დიდებით მართავდა. მან აგრეთვე დიდი მზრუნველობა გამოიჩინა ფულის გამყარების საქმეში (Nayma, 1874: 394, 399).

გურჯი მეჰმედ ფაშას სიკვდილთან დაკავშირებით ორი ცნობა მოიპოვება: პირველის მიხედვით, გურჯი მეჰმედ ფაშა იენიჩარებმა სიკვდილით იმის გამო დასაჯეს, რომ მან დახმარება არ აღმოუჩინა ბაღდადის წინააღმდეგ მიმავალ ოსმალების ლაშქარს. ეს ნაკლებად დამაჯერებელი გვეჩვენება. უფრო სწორი უნდა იყოს ვენეციის კონსულის (ბაილოს) ცნობა. მისი გადმოცემით, იენიჩარებს ხელთ ჩაუვარდათ საბუთი, რომლის მიხედვითაც გურჯი მეჰმედ ფაშა აპირებდა იენიჩარების უფლებების შეზღუდვას. ამის გამო იენიჩარები შეიკრიბნენ მეჰმედ ფადის მერეთის წინ და მოთხოვეს მურად IV გურჯი მეჰმედ ფაშას სიკვდილით დასჯა. სულთანს მერყეობდა, არ უნდოდა 90 წლის მოხუცი ვეზირის სიკვდილით დასჯა, მაგრამ იენიჩარებმა თავისი გაიტანეს.

ოსმალური და ევროპული წყაროები ერთხმად აღიარებენ, რომ გურჯი მეჰმედ ფაშა იყო ჭკვიანი, ღირსეული, ერთგული და მტკიცე ნებისყოფის სახელოვანი ადამიანი.

გურჯი მეჰმედ ფაშა მთელი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე იცავდა სახელმწიფოს ინტერესებს და იბრძოდა ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

ჩვენი დაკვირვებით, 1625 წელს სტამბოლში ჩასულ საქართველოს წარმომადგენლებს, რომლებმაც გურჯი მეჰმედ ფაშას სთხოვეს დახმარება ოსმალთა ძალმომრეობის წინააღმდეგ, იგი დადებითად შეხვდა, რადგან ყიზილბაშების აგრესია საქართველოს წინააღმდეგ ოსმალების სულთნის ხელისუფლების ინტერესებში არ შედიოდა.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. სვანიძე მ. *საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.)*, თბილისი, 1990.
2. სვანიძე მ. *თურქეთის ისტორია (1239-2000)*, თბილისი, 2007.
3. სვანიძე მ. 1619-1623 წლებში თეიმურაზ ელჩობა სტამბოლში, *ქართული დიპლომატიის წელიწდეული*, N3, 2007.
4. ჯიქია ს. ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაგზავნილი სიგელი, „ენიმკის მოამბე“, ტ. XIII, 1942 წ.
5. *Описание о посольстве князя Бержневского в Турцию в 1622-1623 годах. Османская империя в первой четверти XVII века*. Москва, 1984 г.
6. Gezar Mustafa, *Mufassal Osmanli Tarihi*, Istanbul, 1960, c. IV.
7. Danismend I.H. *Izahli Osmanli Tarihi Kronolojisi*, Istanbul, 1961, c. III.
8. Nayma Mustafa, *Tarihi Nayma*, Istanbul, 1874, c. II.
9. Sertoğlu Midhat, *Osmanli Tarihi lügati*, Istanbul, 1986.
10. Süreyya Mehmed, *Sicili Osmanli*, Istanbul, 1997, c. IV/I

ნანა გელაშვილი

ნარა – იაპონიის ისტორიული დედაქალაქი

იაპონიის ისტორიულ ქალაქებს შორის ნარას გამორჩეული და განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისი სახელწოდება იმ დაბლობის სახელიდან მომდინარეობს, სადაც ქალაქი გაშენდა.¹ თავდაპირველად კი ის ჰეიჯოს (იაპონურად ნიშნავს – სამყაროს ციტადელი, სამყაროს დედაქალაქი) სახელით მოიხსენიებოდა. ნარა იაპონიის პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა 710-784 წლებში. „ნარას პერიოდი“ ეწოდება იმ ხანას, როდესაც ის ქვეყნის დედაქალაქი იყო და მას ემატება კიდევ 10 წელი, როდესაც საიმპერატორო რეზიდენცია მცირე ხნით ნაგაოკაში (ნარას ჩრდილო-დასავლეთით) იყო განთავსებული. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგანაც დროის ეს ხანმოკლე მონაკვეთი მთელი თავისი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პარამეტრებით წინა პერიოდის პირდაპირ გაგრძელებას წარმოადგენდა.

საქალაქო ცხოვრების დამკვიდრება იაპონიაში უშუალო კავშირში იყო ჩინურ ზეგავლენასთან. იაპონიის მმართველები ადრეულ პერიოდში მუდამ ორიენტირებულნი იყვნენ იმაზე, რომ თავიანთ ქვეყანაში დაენერგათ ის მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, რომელიც არსებობდა ჩინეთში და საამისოდ რადიკალურ ღონისძიებებს ახორციელებენ. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინურ ცივილიზაციასთან ნაზიარებმა იაპონელებმა დროთა ვითარებაში უცხო კულტურის გადაღების თავისებური მექანიზმი შეიმუშავეს. კერძოდ, ხდებოდა არა ბრმად წაბაძვა, არამედ მხოლოდ მათთვის მისაღები ელემენტების გადამუშავება, ადგილობრივ ტრადიციებთან მათი შეთავსება და სინთეზი, რამაც უდაოდ, შესანიშნავი შედეგი გამოიღო (Сәһиом, 1999: 114). ყოველივე ამის ერთერთი თვალსაჩინო ნიმუშია ქ. ნარა, რომელიც ჩინეთის თანის დინასტიის (618-907) იმჟამინდელი დედაქალაქის ჩანანის ნიმუშით აიგო, თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნარას პერიოდი წარმოადგენდა ჩინური ზეგავლენის ბოლო ეტაპს, ვინაიდან IX საუკუნიდან იაპონურ რეალობაში ეს გავლენა გაფერმკრთალდა, შემდეგ კი საერთოდ გაქრა.

VIII საუკუნემდე იაპონიას მიდმივი დედაქალაქი არ ჰქონია, ყოველი ახალი მმართველი თავისი რეზიდენციისათვის ახალ ადგილს ირჩევდა. ამის ერთერთი მთავარი მიზეზი იყო რწმენა იმის შესახებ, რომ იმ ადგილას, სადაც გარდაცვლილი იმპერატორის სული განისვენებდა, ან ავადმყოფობებით იყო წაბილწული, ნეგატიური ენერგეტიკა იბუდებდა და სახიფათო იყო საცხოვრებლად. გარდა ამისა, რეზიდენციების ხშირი ადგილმონაცვლეობა იმიტაც იყო განპირობებული, რომ სასახლეების უმეტესობა ხისაგან იგებოდა, რომელიც სტიქიისა და ხანძრის დროს მნიშვნელოვნად ზიანდებოდა. აქედან გამომდინარე, რეზიდენციების ადგილსამყოფელის გამოცვლა აუცილებლობით იყო გამოწვეული. 645 წლიდან

1 ნარა (იაპონურად – ბრტყელი, სწორი, მშვიდი, მშვიდობიანი) დღევანდელი ნარას პრეფექტურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

ჩინეთის ნიმუშით გატარებული ე.წ. ტაიკას რეფორმების შედეგად, იაპონიის ხელისუფალთა წინაშე დღის წესრიგში დადგა ქვეყნის მუდმივი დედაქალაქის დაარსების საკითხიც. სრული მასშტაბით ამის ცხოვრებაში განხორციელება სწორედ ნარას შემთხვევაში მოხდა (მანამდე საიმპერატორო რეზიდენცია იყო კერ ასუკაში, შემდეგ ფუჯივარაში). ნარა თავისი სასახლეებით, ციხესიმაგრეებით, უზარმაზარი და ულამაზესი ტაძრებით, ბუდისტური პაგოდებით განასახიერებდა იაპონური ცივილიზაციის აყვავების ხანას (Накорчевский, 2000: 15; Сэнсом, 1999: 109). სწორედ ნარას პერიოდში მიმდინარეობდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს ფორმირება, რაც წარმატებით იქნა განხორციელებული. საამისოდ კი ნიმუშად გამოყენებული იყო ჩინური მოდელი. ჩინეთთან მსგავსებისაკენ და მასთან გათანაბრებისაკენ სწრაფვა ცხოვრების ყველა სფეროში იჩენდა თავს: ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფაში, სამოხელეო სტრუქტურებში, ოფიციალურ იდეოლოგიაში, კულტურაში, მასშტაბურ სამშენებლო პროექტებში და სხვ. თუმცა ადგილობრივი პოლიტიკურ და კულტურულ ტრადიციებს იმთავითვე გარკვეული კორექტივები შემოჰქონდათ ყველა ზემოხსენებულ სფეროში (История Японии, 1999: 98-99). ფუჯივარიდან (სადაც მცირე ხნით – 16 წლის მანძილზე იმყოფებოდა საიმპერატორო რეზიდენცია) ნარაში დედაქალაქის გადატანის მიზეზების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დომინირებს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ნარა ფუჯივარისაგან განსხვავებით, უფრო მოხერხებული ადგილმდებარეობით და ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებით გამოირჩეოდა. იაპონური საიტორიო წყაროს „შიოკუ ნიჰონგის“ („იაპონიის ანალების გაგრძელება“, შედგენილი 797 წელს) თანახმად, ახალი სატახტო ქალაქი უკეთ მიესადაგებოდა ნაგებობათა ჩინურ ტრადიციულ პრინციპებს. კერძოდ, შენობა-ნაგებობები ისე უნდა განლაგებულიყო ბუნებრივ ლანდშაფტში, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მაქსიმალური რაოდენობით დადებითი ენერგეტიკის მიღება და უარყოფითის კი – უკუქცევა. ამის საფუძველზე, ისეთი ადგილის შერჩევა ხდებოდა, რომელიც ქარისაგან მთებით იყო დაცული, იყო მზიანი და იმავდროულად ბუნებრივად ნიავედებოდა (Мещеряков, Грачев, 2002: 292). მართლაც, ნარა ჩინურ ტრადიციულ მოდელს სრულად მიესადაგებოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნარა ჩინეთის იმჟამინდელი დედაქალაქის – ჩანანის (დღევანდელი სიანი) ნიმუშით აიგო. ამაში იგულისხმება ქალაქის დაგეგმარება, საცხოვრებელი და ადმინისტრაციული ნაგებობები, ქუჩები, ტაძრები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ იაპონიის მომდევნო სატახტო ქალაქებიც: ნაგაოკა, ჰეიანი (დღევანდელი კიოტო), კამაკურა ძირითადად ჩინური ხუროთმოძღვრების ნიმუშით იგებოდა (გელაშვილი, 2001: 49). ჩანანის მსგავსად, ნარას სწორკუთხედის ფორმა ჰქონდა, რომელიც ქუჩების ქსელით სიმეტრიულ ბადეებად იყო დაყოფილი. თუმცა, გარკვეული განსხვავებაც არსებობდა. კერძოდ, ჩინეთის დედაქალაქისაგან განსხვავებით, ნარა უფრო მცირე ზომისა იყო: აღმოსავლეთიდან დასავლეთით მისი სიგრძე 4,3 კმ იყო, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ – 4,8კმ (ჩანანის ზომები კი 9,7 კმ X 8,7 კმ იყო). იმპერატორის სასახლე და ადმინისტრაციული ნაგებობები ნარაში ერთიან არქიტექტურულ კომპლექსს ქმნიდა, რომელსაც ქალაქის ჩრდილო ნაწილში ოთხი კვარტალი ეკავა, ჩანანში კი სასახლე და ადმინისტრაციული დაწესებულებები ერთმანეთისაგან განცალკევებულად იყო განთავსებული. გარდა ამისა, ნარას ირგვლივ გალავანი არ ერტყა, მხოლოდ იმპერატორის სასახლის კომპლექსს ჰქონდა ირგვლივ დაახლოებით ხუთი მეტრი სიმაღლის სქელი კედელი შემოვლებული, რომელსაც 12 კარიბჭე ჰქონდა – 3-3 თითოეულ მხარეს (Светлов, 1994: 89; История Японии, 1999:

114). კიდევ ერთი საყურადღებო განმასხვავებელი ნიშანი ჩინეთისაგან ის იყო, რომ იაპონიაში იმ ხანად მშენებლობაში ქვა და აგური არ გამოიყენებოდა; მთელი ქალაქი, სასახლის კომპლექსისა და ტაძრების (როგორც შინტოისტური, ისე ბუდისტური) ჩათვლით, ხისგან იგებოდა, მხოლოდ ფუნდამენტი ემაგრებოდა ქვის საძირკველს. მართალია, ეს გამუდმებით ხანძარსაშიშ სიტუაციას ქმნიდა, სამაგიეროდ, მიწისძვრების დროს ნაგებობები ნაკლებად ზიანდებოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ხე როგორც სამშენებლო მასალა შედარებით მოკლე ვადიანია, განსახილველი პერიოდის თითქმის არც ერთ ნაგებობას პირვანდელი სახით არ მოუღწევია.¹ ნარას მრავალრიცხოვან ბუდისტურ ტაძრებში სათუთად დაცული ბრინჯაოს ქანდაკებები კი გაცილებით ძველია იმ ნაგებობებზე, რომელთა შიგნითაც ისინი არიან განთავსებული.

ნარას აღმშენებლობაში წამყვანი როლი კორეულ და ჩინელ მიგრანტებს ეჭირათ. ხანმოკლე დროში იმ პერიოდის პარამეტრებით საკმაოდ დიდი ქალაქის გაშენებას უზარმაზარი ადამიანური და მატერიალური რესურსები დასჭირდა. რაც შეეხება ნარას მოსახლეობას, სხვადასხვა მონაცემებით ის 100-დან 200 ათასამდე მერყეობდა (მთლიანად იაპონიის მოსახლეობა VIII საუკუნის მეორე ნახევარში 6 მილიონს აღწევდა). აქედან 7-10 ათასი იყვნენ მაღალი რანგის ჩინოვნიკები თავიანთი ოჯახებით. დანარჩენ მოსახლეობას ძირითადად შეადგენდნენ ვაჭრები, ხელოსნები, ღვთისმსახურები, ხელოსნები, ხელოვნების მოღვაწენი, ღვთისმსახურები (The Cambridge History of Japan, 1997: 241-242). საყურადღებოა, რომ დედაქალაქში ცხოვრების უფლება მხოლოდ მათ ჰქონდათ, ვინც იქ იყო ჩაწერილი, დედაქალაქში შესვლა-გასვლა კი საშვთა რეჟიმის სისტემით ხდებოდა, ამგვარ საშვებად თავდაპირველად სპეციალური ფირფიტები – მოკანები² გამოიყენებოდა. შემდეგ საამისოდ უკვე ბეჭედდასმული ქალაქი იხმარებოდა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მოკანები მოწმობენ, რომ მათზე იწერებოდა არა მხოლოდ პიროვნების მონაცემები (მაგალითად, სახელი, რანგი, ჩაწერის ადგილი, მოგზაურობის მიზანი), არამედ ცხენის ჯიშიც კი, თუკი ის ჰყავდა (Мешеряков, Грачев, 2002: 331). ცხადია, ეს ყველაფერი გარკვეულ დისკომფორტს უქმნიდა გადაადგილებულ პირს, ვაჭარი იქნებოდა ის, ჩინოვნიკი თუ გლეხი.

ნარას პერიოდის ცენტრალური ხელისუფლების ერთერთი მთავარი ამოცანა იყო საიმედო კონტროლის უზრუნველყოფა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამიტომაც ცენტრსა და პერიფერიებს შორის სათანადო კავშირისათვის მასშტაბური ღონისძიებები ხორციელდებოდა. უპირველეს ყოვლისა, გაყვანილ იქნა 7 მთავარი გზა, რომელიც ნარას ქვეყნის ძირითად რეგიონებთან აკავშირებდა. გარდა ამისა გაკეთდა სხვა გზებიც, რომლებსაც თავიანთი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდათ. გზებზე მოწყობილი იყო საფოსტო სადგურები, რომლებიც შიკრიკებს უზრუნველყოფდნენ ღამისთევით და ცხენებით. მთლიანობაში ნარას პერიოდში შექმნილი საგზაო-სატრანსპორტო სისტემა ფრიალ ეფექტური იყო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სახელმწიფოებრივი საკომუნიკაციო

1 იაპონიაში, როგორც წესი, ყოველ ოც წელიწადში ხის ნაგებობების დაშლა და მათი თავიდან აგება ხდებოდა

2 მოკან – იაპონურად ნიშნავს „ხის წარწერები“. ეს იყო ხის თხელ ფირფიტებზე შესრულებული წარწერები (სიგრძე 10-25 სმ, სიგანე 2-3 სმ). ეპიგრაფიკის ეს სახეობა იაპონიაში კორეიდან და ჩინეთიდან გავრცელდა. იაპონიაში აღმოჩენილი ფირფიტებიდან ყველაზე ადრინდელი VIII საუკუნის II მეოთხედით თარიღდება. მათი განსაკუთრებით დიდი რაოდენობა კონცენტრირებულია ფუჯივარასა და ნარას რაიონში.

სისტემის შექმნისას, თითქმის მთლიანად იგნორირებულ იყო წყლის საკომუნიკაციო საშუალებები. ასე რომ, ამ სფეროში იაპონიაში ხორციელდებოდა სახმელეთო სამიწათმოქმედო სახელმწიფოს ტიპური სტრატეგია. ნიშანდობლივია, რომ სატახტო ქალაქიც განლაგებული იყო არა წყლის ნაპირზე, არამედ ქვეყნის მატერიკული ნაწილის სიღრმეში (*История Японии*, 1999: 112-113).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნარაში მეტად ინტენსიურად მიმდინარეობდა საქონელბრუნვის, ინფორმაციის გაცვლის და კომუნიკაციის პროცესი. სხვადასხვა პროდუქტი და საქონელი იქ 19 პროვინციიდან შეჰქონდათ. დედაქალაქში ორი დიდი ბაზარი ფუნქციონირებდა – აღმოსავლეთის და დასავლეთის, სადაც იყიდებოდა ყველაფერი, დაწყებული საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლით, სამკაულებით და სხვა საქონლით, ბუდისტური სუტრებით დამთავრებული. ბაზრები მთავრობის უშუალო კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა, რომელიც ფიქსირებულ ფასებს აწესებდა. ვინაიდან ბაზარი დიდი რაოდენობით ხალხის თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა, მთავრობა მას საჯარო სადამსჯელო ადგილად იყენებდა. პროვინციებისაგან განსხვავებით, სადაც ვაჭრობა წარმოებდა ბრინჯზე, ნაჭრის ქსოვილზე ან ვერცხლზე გაცვლით, ხელისუფლება შეეცადა, რომ დედაქალაქში ეს ფულით უნდა მომხდარიყო. თუმცა ნარას პერიოდში ფულის მიმოქცევის სტიმულაციისკენ მიმართული სამთავრობო პოლიტიკა უშედეგო აღმოჩნდა. პირველი ვერცხლის და სპილენძის იაპონური მონეტები 1 მონის¹ შემცველობით 708 წელს მოიჭრა. ვინაიდან იაპონიის ერთადერთი ვერცხლის საბადო ჰქონდა კუნძ. ცუშიმაზე, ამის გამო ვერცხლის მონეტების გამოშვება მალევე შეწყდა და მხოლოდ სპილენძის მონეტებილა დარჩა (გამოიყენებოდა ასევე ჩინური მონეტები). ფულის ღირებულება თანდათან კლებულობდა, რაშიც დიდი როლი შეასრულა უკონტროლოდ განხორციელებულმა ემისიებმა (*Мещеряков, Гречев*: 2002, 282-283). შესაბამისად, დომინირებდა საქონელგაცვლა ნატურით. ჩინოვნიკებსაც ხელფასი ნაჭრის ქსოვილით ან ბრინჯით ეძლეოდათ, და მხოლოდ ნაწილობრივი ფულით.

ნარას პერიოდი ბუდისტური კულტურის მძლავრი აყვავებით აღინიშნა იაპონიაში ბუდიზმმა VI საუკუნის შუა ხანებში შეაღწია ჩინეთიდან (კორეას გზით). თავდაპირველად მას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა ზოგიერთი გავლენიანი ფეოდალური საგვარეულოს (მაგალითად: მონონობეს და ნაკატომის) სახით. ამის მიზეზად ის სახელდებოდა, რომ თავიანთი წარმომავლობის სათავეს ისინი იაპონელთა ეროვნული რელიგიის – შინტოიზმის ღმერთების პანთეონით იწყებდნენ, ბუდიზმი კი დისონანსს შეიტანდა ამ მიმართებით. მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ იაპონიის არქიპელაგზე ამ ორი რელიგიის ურთიერთობა ძირითადად მშვიდობიან თანაარსებობას და ურთიერთშეთავსებას ეფუძნებოდა. ამის ნათელი გამოხატულებაა თუნდაც ის ფაქტი, რომ შინტოისტური ღმერთები ბუდისტურ ღვთაებათა პანთეონში იქნა ჩართული და პირიქით – შინტოისტურ ტაძრებში ბუდას ქანდაკებებმა საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ ისინი ვინც ბუდიზმი მიიღეს, უწინდებურად შინტოისტურ რიტუალებშიც იღებდნენ მონაწილეობას და მის ღმერთებს მიაგებდნენ პატივს (*Крывелев*, 1988: 299; *გელაშვილი*, 2004: 58). VII-VIII სს იაპონიაში ბუდისტური ტაძრების ინტენსიური მშენებლობა გაიშალა; თავდაპირველად დედაქალაქი ნარა, შემდეგ უკვე პროვინციები ერთბაშად მო-

1 მონ – ფულის ერთეული, რომელიც უტოლდებოდა 6 შო ბრინჯს. 1 შო = +0.72 ლიტრი ანუ დაახლოებით 600 გრამი.

იფინა დიდებული, პომპეზური ტაძარ-მონასტრებით და პაგოდებით. თითოეულ ტაძართან, როგორც წესი, ბუდას მონუმენტური ქანდაკება იდგმებოდა. ჯერ კიდევ 685 წელს იმპერატორ ტემუს (672-686) მიერ გამოცემული ედიქტის ძალით, ბუდიზმი ფაქტობრივად სახელმწიფო რელიგიის სტატუსს იძენდა. მის თანახმად, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ბუდისტური სალოცავი უნდა აგებულიყო ბუდას გამოსახულებითურთ (Eliot, 1964: 219-220).

ნარა განთქმულია უპირველეს ყოვლისა, სწორედ უძველესი და ულამაზესი ბუდისტური ტაძრებით. 720 წლისთვის იქ 46 ბუდისტური ტაძარი იყო. თავდაპირველად იქ შინტოისტური ტაძრები არ იყო, მხოლოდ 768 წელს ერთერთი ყველაზე გავლენიანი ფეოდალური საგვარეულოს – ფუჯივარას მიერ აიგო შინტოისტური ტაძარი კასუგა, რომელიც ამ საგვარეულოს კუთვნილებას წარმოადგენდა საუკუნეთა მანძილზე. კასუგა მეტად ორიგინალურ არქიტექტურულ სტილში იყო აგებული, რადგანაც მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული ბუდიზმის ელემენტები შინტოიზმთან.

ნარას ბუდისტური ტაძრებიდან ყურადღებას ორ მათგანზე შევაჩერებ, რომლებიც თავიანთი მასშტაბურობით და სილამაზით იაპონიის არქიპელაგზე აგებულ სატაძრო ნაგებობათა კლასიკურ ნიმუშებს განსახიერებენ. ესენია – ჰორიუჯი და ტოდაიჯი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტაძრებსა და მონასტრებს უმთავრესად ჩინელი და კორეელი ხუროთმოძღვრები აგებდნენ, მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სტილით. თუმცა, პარალელურად მკვიდრდებოდა იაპონური დამოუკიდებელი სტილი მშენებლობაში. კერძოდ, მოგრძო ფორმის ნაგებობები კვიპაროსის ქერქით გადახურული სახურავით, სამხრეთ ნაწილში ბალით და დეკორატიული დიდი ტბით (История стран зарубежной Азии в средние века, 1970: 33). ჰორიუჯის სატაძრო კომპლექსი მსოფლიოში დღემდე შემონახულ ყელაზე ძველ ხის ნაგებობადაა აღიარებული. ტაძარი ჯერ კიდევ 607 წელს აიგო ბუდიზმის დიდი თაყვანისმცემელი უფლისწულ-რეგენტის შოტიკუ ტაიშის (572-622) ძალისხმევით, მოგვიანებით ტაძარს სხვა ნაგებობები დაემატა და ის ნარას სამხრეთ-დასავლეთ შემოგარენში მოექცა (Varley, 1984: 24-25; Young, 2007: 44). საუკუნეთა მანძილზე მან უამრავ სტიქიურ უბედურებებს გაუძლო, დღესდღეისობით თითქმის პირვანდელი სახით შემონახულია ჰორიუჯის ე.წ. ოქროს ტაძარი (კონდო) და ხუთიარუსიანი პაგოდა, რომლის სიმაღლეა 32, 45 მეტრი (Сабуно: 1972, 60).

დიდებულებით და მასშტაბურობით იაპონიაში ბადალი არ მოეპოვება ნარას ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ტოდაიჯის (იაპ. – „აღმოსავლეთის დიდი ტაძარი“) სამონასტრო კომპლექსს, რომელსაც 903-ზე მეტი ფართობი ეკავა, თუმცა დღესდღეობით მისი ტერიტორია უფრო ნაკლებია. თუკი ზემოხსენებული ჰორიუჯი ყველაზე ძველ ხის ნაგებობადაა აღიარებული, ტოდაიჯი მსოფლიოში ყველაზე დიდ ხის ნაგებობადაა მიჩნეული. მისი სიმაღლეა – 49მ, სიგანე – 57მ, სიგანე – 57მ (Силичев, 1998: 72; История Японии, 1999: 116). მისი მშენებლობა 743-752 წწ მიმდინარეობდა იმპერატორ შომუს (724-756) ძალისხმევით. ტაძრის მთავარ დარბაზში ლოტოსის¹ ყავავილზე მჯდომი ბუდას უზარმაზარი, 16მ სიმაღლის ქანდაკება დაიდგა, რომელსაც მასშტაბური ზომების გამო დაიბეცუ ანუ დიდი ბუდა ეწოდა (Varley, 1984: 34; Сэнсом, 1999: 130-132). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნარას პერიოდი სხვადასხვა საგვარეულოებს შორის სერიოზული

1 ლოტოსი ბუდიზმში უბიწოების, უმანკობის და სიბრძნის განსახიერებაა, რაც ესოდენ საჭიროა ნირვანას მისაღწევად.

კონფლიქტების ხანას წარმოადგენდა. იმპერატორი შომუ იმედოვნებდა ბუდიზმის გამოყენებას ქვეყნის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ამიტომაც იყო, რომ გრანდიოზული ბუდისტური კომპლექსის ასაგებად და ბუდას ქანდაკების დასამზადებლად მან კოლოსალური ხარჯები გაიღო (A Pictorial Journey to Japan's Cultural Treasures, 2004: 66) აღსანიშნავია, რომ ჰორიუჯი და ტოდაიჯიც იუნესკოს მსოფლიო კულტურულ მემკვიდრეობათა ნუსხაშია შეტანილი.

ნარას პერიოდში ხელისუფლების სათავეში იდგა იმპერატორი (იაპ. – მიკადო), რომელიც ფლობდა უზენაეს ძალაუფლებას ადმინისტრაციული მართვის სფეროში, ჩინოვნიკთა დანიშვნაში, საგარეო ურთიერთობათა წარმართვაში (რომელიც აღნიშნულ პერიოდში ძირითადად კორეასთან და ჩინეთთან კონტაქტებით შემოიფარგლებოდა) და ჯარის მეთაურობაში. იმპერატორს უშუალოდ ექვემდებარებოდა სამი უმაღლესი სახელმწიფო უწყება: დიდი სახელმწიფო საბჭო, რომელსაც სათავეში მთავარი მინისტრი (დაჯიო) ედგა, მას 8 სამინისტრო ექვემდებარებოდა. ეს უკანასკნელნი კიდევ იყოფოდნენ სხვადასხვა სტრუქტურებად (Мещеряков, Грачев, 2002: 227), ასე რომ, სახელმწიფო აპარატი ძალზე დანაწევრებული იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა, VIII საუკუნის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში გამოდმებულად მიმდინარეობდა ბრძოლა პოლიტიკურ იერარქიაში ადგილის მოსაპოვებლად. საქმე ის იყო, რომ საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობითობის წესზე კანონი არ არსებობდა, ამიტომაც სასურველი კანდიდატის გასამეფებლად ფეოდალურ საგვარეულოთა შორის გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა. თუკი მაინც რაიმე წესზე ან კანონზომიერებაზე შეიძლება საუბარი, ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის თავიდან აცილების მიზნით, საიმპერატორო ტახტს ის იკავებდა, ვისაც გადაამდგარი ან მომაკვდავი იმპერატორი დაასახელებდა (მნიშვნელობა არ ჰქონდა ქალი იქნებოდა ეს თუ მამაკაცი, არასრულწლოვანი თუ ზრდასრული ადამიანი). მაგრამ იაპონიის ისტორიის ადრეულ ხანაში ეს პრინციპიც ხშირად ირღვეოდა (გელაშვილი, 2005: 78), ამ კონტექსტში საყურადღებოა ასევე შემდეგი გარემოება: ნარას პერიოდის დამდეგიდან პოლიტიკურ არენაზე სოგას ფეოდალურ საგვარეულოს პირველობა ფუჯივარას გვარმა ჩამოართვა. ამიერიდან წესად დამკვიდრდა, ხომ იმპერატორს და უფლისწულებს ცოლად უნდა შეერთოთ ფუჯივარას გვარის ქალიშვილები (მანამდე ეს სოგას გვარის პრეროგატივას წარმოადგენდა). აქედან გამომდინარე, უკვე ფუჯივარას გვარი განსაზღვრავდა საიმპერატორო კარის პოლიტიკური ცხოვრების ძირითად დინამიკას, მისი წარმომადგენლები ქვეყანას პირველი მინისტრის (კამპაკუ) და რეგენტის (სეშიო) რანგში 300 წელზე მეტი ხნის მანძილზე მართავდნენ (Сагуро, 1972: 218-219; Мещеряков, Грачев, 2002: 222).

სახელმწიფოს ცენტრალიზაციის პროცესს ნარას პერიოდში თან ახლდა ოფიციალური იდეოლოგიის ფორმირება. ძირითადი იდეოლოგიები აღნიშნულ პერიოდში იყო იაპონელთა უძველესი ეროვნული რელიგია შინტოიზმი, რომელიც წინაპართა სულების და ბუნების ძალების თაყვანისცემას ქადაგებდა, მატერიკიდან იმპორტირებული ბუდიზმი და უფრო მცირე დოზით – კონფუციანური მოძღვრების დოქტრინები. აქედან გამომდინარე, იაპონიის ოფიციალური იდეოლოგია ადგილობრივი და უცხოური წარმოშობის იდეების რთულ კონგლომერატს წარმოადგენდა. უპირველეს ყოვლისა, განმტკიცდა შინტოიზმის პოზიციები, კიდევ უფრო ამაღლდა მისი უზენაესი ღვთაების – ქალღმერთ ამატერასუს კულტი (Накорчевский, 2000: 12). პარალელურად მატულობდა ბუდიზმის როლიც არისტოკრატთა ფენაში და საიმპერატორო კარზე, სადაც ხშირად ტარდებოდა

სხვადასხვა ბუდისტური ცერემონიები. აღსანიშნავია რომ, კრემაციის ბუდისტურმა წესმა თანდათან შეავიწროვა მიცვალებულის მიწას მიბარების შინტოისტური ტრადიცია. იაპონიის ქალი იმპერატორი ჯიტო (690-697) იაპონიის მონარქებიდან პირველი იყო, რომლის ნეშოსაც კრემაცია გაუკეთდა (Кузнецов, Навлицкая, Сырицын, 1988: 52; გელაშვილი: 2005, 77). მომდევნო ხანებში იაპონიაში ეს უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მართალია, მონარქები დიდ მფარველობას უწევდნენ ბუდისტურ ტაძარ – მონასტრებს, ხშირად ასაჩუქრებდნენ მათ მიწებით მათზე მომაგრებულ გლეხებთან ერთად და სხვ. მიუხედავად ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ხელისუფლება ტოტალურ კონტროლს ახორციელებდა ბუდიზმზე და მის სამღვდლოების საქმიანობაზე, რათა ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი ინტერესების მქონე სოციალურ ჯგუფად არ ქცეულიყო. სახელმწიფო აპარატისაგან შედარებითი დამოუკიდებლობა ბუდიზმმა VIII საუკუნის მიწურულს მოიპოვა. დიდი მონასტრები, რომლებიც უზარმაზარ მიწებს და მატერიალურ რესურსებს ფლობდნენ, ახლა უკვე დამოუკიდებლად არსებობა ძალუძდათ (The Cambridge History of Japan, 410-412; История Японии, 1999: 141), რაც შეხება კონფუციონიზმს, იაპონიაში მან უმთავრესად განათლების სისტემაში, სწავლა-აღზრდის, სახელმწიფოს მართვის სფეროებში დაიმკვიდრა პოზიციები. ზოგადად ჩინური ენის, ლიტერატურის, დამწერლობის შესწავლა ნარას არისტოკრატის მთავარ ინტელექტუალურ საქმიანობას წარმოადგენდა. მათი ათვისება კი თავის მხრივ, კონფუციანურ ღირებულებებთან იყო დაკავშირებული. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩინური ფილოსოფიური ტრადიციები განსაკუთრებული წარმატებით არ სარგებლობდა იაპონიაში. ამის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი ის იყო, რომ იაპონიის სახელმწიფო და საზოგადოება ჩინეთისგან ძირეულად განსხვავდებოდა, თავისებურებით გამოირჩეოდა ამ ორ ქვეყანაში შემუშავებული წარმოდგენაც სამყაროზე. ეს კი თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენდა კონფუციანური ტექსტების ათვისების ხარისხზე და მათ ინტერპრეტაციაზე (Сэнсом, 1999: 116-117). მართალია, VIII-XI საუკუნეებში კონფუციონიზმის იდეებმა იაპონიის ფეოდალური არისტოკრატის დიდი ნაწილი მოიცვა, მაგრამ ბუდიზმმა ადვილად მოახერხა მისი შევიწროვება. კონფუციონიზმის აღორძინება – გაძლიერება იაპონიაში XVI საუკუნის დამდეგიდან დაიწყო (გელაშვილი: 2001, 35).

ამრიგად, VIII საუკუნის იაპონია ანუ ნარას პერიოდი წარმოადგენდა მასშტაბურ პროექტების წარმატებით განხორციელების ხანას (ქალაქის აღმშენებლობა, ბუდისტური ტაძრების და მონასტრების აგება, გზების გაყვანა, ცენტრალიზებული სახელმწიფოს და მისი სტრუქტურების ფორმირება და სხვ.), ძირითადად მიღწეულ იქნა იაპონური პოლიტიკური სისტემის სტაბილიზაცია. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეპოქის მახასიათებელი იყო ასევე საიმპერატორო ტახტის მემკვიდრეობითობის განსაზღვრისათვის გაუთავებელი შინა ომები, სასახლის ინტრიგები, რამაც საბოლოო ჯამში ნარას პერიოდის დასასრული დააჩქარა.

784 წელს იმპერატორის რეზიდენცია ნარადან ნაგაოკაში იქნა გადატანილი. მიტოვებული დედაქალაქი გადახნეს და ბრინჯის მიწდვრებად აქციეს, თუმცა მალევე აღორძინდა იქ არსებული ტაძრების წყალობით, რომლებიც არა მხოლოდ ბუდისტური კულტის კერებად, არამედ პოლიტიკური ზეგავლენის მნიშვნელოვან ცენტრებად იქცნენ. რამდენადაც ყველა ეს ტაძარი ნარაში და მის შემოგარენში მდებარეობდა, სწორედ აქ დაიწყო ქალაქის ახალი მოსახლეობის კონცენტრირება (Светлов, 1994: 116). პირველი მოსახლეები იყვნენ სატაძრო

მეურნეობასთან დაკავშირებული პირები. ასე თანდათან ქალაქისთვის ახალი სულის შთაბერვა მოხდა, დღესდღეობით ნარა ქალაქ-მუზეუმს წარმოადგენს, სადაც იაპონელთა რწმენით, ღმერთების და წინაპრების სული ტრიალებს, ფიჭვნარში, მთლიანად მწვანეში ჩაფლული ქალაქის სიმყუდროვეს და სიწყნარეს მხოლოდ ბუდისტურ ტაძართა ზარების ხმა არღვევს. გამომდინარე იქიდან, რომ ნარა ქვეყნის წმიდათაწმინდა ადგილადაა შერაცხული, იქ მუდამ უამრავი მომლოცველი და მნახველი ჩადის.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. გელაშვილი, ნ. *იაპონური კულტურა*. თბ., 2001
2. გელაშვილი, ნ. ბუდიზმი ადრეული შუა საუკუნეების იაპონიაში. *აღმოსავლეთი და კავკასია*, №2, თბ., 2004
3. გელაშვილი, ნ. იმპერატორი ქალები იაპონიის ისტორიაში. *თსუ ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის 55 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*, თბ., 2005
4. *История стран зарубежной Азии в средние века*, Москва, 1970.
5. *История Японии*, т. I. Ответственный редактор Жуков, А.Е. Москва, 1999.
6. Кривелев, И.А. *История религии*, т. II. Москва, 1988.
7. Кузнецов, Ю.Д., Навлицкая, Г.Б., Сырицын, И.М. *История Японии*. Москва, 1988.
8. Мещеряков, А. Грачев М. *История древней Японии*. Санкт-Петербург, 2002.
9. Накорчевский, А. А. *Синто*. Москва, 2000.
10. Сабуро, И. *История Японской культуры*. Москва, 1972.
11. Светлов, Г.Е. *Колыбель Японской цивилизации. История, религия, культура*. Москва, 1994.
12. Силичев, Д.А. *Культурология*. Москва, 1998.
13. Сэнсом, Дж.Б. *Япония - краткая история культуры*. Санкт-Петербург, 1999.
14. *A Pictorial Journey to Japan's Cultural Treasures*. Foreword by Seidensticker, E. Tokyo, 2004.
15. Eliot, Ch. *Japanese Buddhism*. London, 1964
16. *The Cambridge History of Japan*, v.I. Ed. by Brown, D. Cambridge Univ. Press, 1997.
17. Varley, H.P. *Japanese Culture*. Hanolulu, 1984.
18. Young D., Young M. *The Art of Japanese Architecture*. Singapore, 2007.

Тимур М. Айтберов

**ПОСЛАНИЕ ПРАВИТЕЛЯ АВАРИИ, СУЛТАНАХМАД-ХАНА,
«СВОЕМУ БЛАГОРОДНОМУ БРАТУ» АЛЕКСАНДРУ БАГРАТИОНИ
И АНЦУХЦАМ (НАЧАЛО XIX В.)**

Одной из небезынтересных проблем для кавказоведения наших дней, когда стали разделять кавказцев государственные границы, является изучение взаимоотношений, существовавших в прошлом между грузинами и «леками». Следует указать, при этом, что в последние столетия нашей истории - тогда, когда указанные взаимоотношения приняли достаточно отчетливый характер, - подразумевались под «леками» те дагестанцы и закавказцы, которые общались между собой на аварском языке (*бол мац I* «язык войска»). Это, однако, не исключало того, что могли они иметь свои особые наречия - для потребления в среде односельчан.

С другой стороны - проблема, которая названа выше, служит уже давно предметом достаточно пристального внимания со стороны историков опирающихся на русские, в первую очередь, а также на закавказские по происхождению источники. Указанный материал позволил им написать ценные труды обобщающего характера. Вместе с этим нельзя, однако, сказать, что в их разысканиях использован с необходимой полнотой арабоязычный материал, который сохранился в дагестанских собраниях. Это - переписка, в том числе письма царя Ираклия II к ханам дагестанцев и к их военачальникам (*белад*, но в Дагестане чаще *цевехъан*), памятные записи и исторические сочинения.¹

Автором этих строк написано исследование *Закавказские аварцы (VIII - начало XVIII вв.)*. Сделана мной также публикация аварского (*аджам*) списка *Хроники войн Джара*, причем с установлением параллелей к тем или иным событиям, которые берутся из грузинских, русских и иных источников.² Уже тогда я убедился, что еще одно обращение к проблеме грузино-лекских взаимоотношений, с учетом дагестанских арабоязычных источников, не будет лишним.

Источником ценного материала к решению отмеченной проблемы считать можно и неизвестную ранее российской науке *Историю газавата*, написанную в 60-е годы XIX в. на арабском языке шамилевским наибом Иманмухаммадом из сел. Гигатль.³ Опираясь на рассказы своего деда, который

1 Ценные публикации сделаны в отмеченном направлении грузинскими, прежде всего, учеными - Н.Г.Канчавели (см., например, Письмо Ираклия II-го Денгал Хаджи Тиндинскому // Мравалтави. Тбилиси, 1975. Вып. V. С. 234-237) и М.Т.Гудава.

2 Айтберов Т.М. Закавказские аварцы: этнос, государственность, законы (VIII - начало XVIII вв.). Махачкала, 2000.; Он же. История войн закавказских аварцев. Махачкала, 1996 (авар. яз.).

3 Мной и М.Гамзаевым подготовлен для публикации полный перевод указанного дагестанского исторического сочинения.

был одним из дагестанских «предводителей» – участников горских набегов на Кахетию и на другие грузинские регионы, Иманмухаммад перечисляет целый ряд «предводителей» XVIII – начала XIX вв. Отметив, что дагестанцы вели себя на грузинских землях «подобно свирепым хищникам», далее пишет Иманмухаммад, что уже к началу 30-х годов XIX в. «тушино-кахетинские породы», сформировавшиеся в горах Дагестана как рабы, «смешались со свободными», то есть узденскими (*озден*), «растворились в них бесследно». Теперь, по словам Иманмухаммада Гигатлинского, «потомство тушино-кахетинских пленников» и природно «свободные» аварцы, как и другие дагестанцы, «относятся друг к другу как тесть к зятю и наоборот».¹ Данное утверждение, которое исходит со стороны информированного – в силу своего происхождения и общественного статуса² дагестанца (XIX в.) узденского корня, находит себе подтверждение в этнографическом материале XX века. Из последнего вытекает, что в наиболее сильных и богатых, традиционно, зонах Дагестана примерно четверть населения происходит от закавказцев (*хъузхъул* <*хъазахъ* «батрак») – от цалкинских греков, грузин и закавказских осетин (*гуржиял*), от карабахцев и шекинцев (*эрменал*), от тюркоязычных шиитов (*къужрул*). Подавляющее большинство таковых, если брать тут Аваристан, имеет, при этом все же такие корни, которые тянутся с закавказских территорий находившихся ранее под властью Багратионов, то есть – из пределов исторической Грузии. Данное обстоятельство накладывает, в свою очередь, заметный отпечаток на развитие грузино-дагестанских отношений XXI в. Дело в том, что является оно источником неосознанных симпатий к грузинскому народу, существующих в душах очень многих аварцев, среди которых «растворились» этнические элементы, идущие из пределов исторической Грузии, «как соль растворяется в воде».³

Послание Султанахмад-хана Аварского Александру Багратиони и анцухцам сохранялось (2-я половина XX в.) в подлиннике.⁴ Написано оно черными чернилами, каламом рукой канцлера (*мирза*) ханов Аварии, который был известен как Дибир-кади, на листе синей бумаги европейского производства. Текст, составленный по-арабски частично огласован.

Царевич Александр был одним из крупных государственных деятелей Кавказа, хотя в имперских документах встречаются иногда оскорбительные (типа презренный «бродяга» и т.п.) характеристики в его адрес. Известно, что в 1826 г., во время русско-персидской войны, царевич Александр, который пользовался, кстати, значительным авторитетом среди закавказских аварцев, эмигрировал в Иран с их территории, вместе «со свитой из 70 человек».

Что же касается Султанахмад-хана Аварского, то это – личность, которая зафиксирована во многих источниках, различного, причем, происхождения. Принадлежал он к той боковой ветви аварского ханского рода, которая правила (XVIII-XIX вв.) в дагестанском предгорье – на территории известной как

1 Выдержки из Истории газавата в переводе Т. Айтберова и М.Гамзаева // газ. «Новое дело» за 5.02.2009 г. С. 26.

2 После пленения Шамиля гигатлинец Иманухаммад поступил, согласно сельским преданиям, на российскую службу, получил офицерский чин, но был затем вынужден уйти в отставку: по той причине, что отразил он в грубой форме приставания начальника (закавказца) к своей красивой жене.

3 Новое дело. 5.02.2009 г. С. 26.

4 Оно находилось у ныне покойного Алиева Т., отца моего друга детства Алиева З.Т.

«Мехтула». Этот решительный и смелый человек, являвшийся сыном Али-султана Мехтулинского, который получил власть в Аварии благодаря женскому полу (через мать и своих жен), правил там с 1802 г. по 1823 г.

Александр Багратиони, как известно, концентрировал вокруг себя анти-русские силы, имевшиеся на Восточном Кавказе, еще до того как власть перешла - в пределах Аварии - в руки Султанахмад-хана. Имея местопребыванием г. Белооканы, к примеру, Александр, старался собрать там, в 1802 г., «дворян» Кахетии и ее «князей». После, однако, нашествия ген. Гулякова (≈ 1500 русских пехотинцев, 8 пушек, 200 казаков и 4500 кизикцев, «грузинских князей и дворян») и последующего разорения им Белоокан, в 1803 г., названный сторонник Иранской державы вынужден был перебраться в горы Дагестана - в Анцух. С другой стороны - среди богатых белооканских аварцев появились, после 1803 г., люди не желающие (из боязни разорения) противостояния Российской империи. Царевич же Александр и верные ему авароязычные горцы-анцухцы, действуя тут, как думается, в интересах Ирана, громили таких людей. Как результат, ген. Ермолов заявлял в 1816 г. жителям Анцуха, что белооканцы - по его мнению, - относятся к «давно ищущим вашей гибели».¹

В свете всего сказанного выше напрашивается мысль, что арабское письмо, разбираемое здесь, которое адресовано царевичу Александру Ираклиевичу и анцухцам, начертано было в Хунзахе не ранее 1804 г. и не позднее 1816 г.

Перевод

Он - Всевышний!

Многие приветы от благородного эмира Султанахмад-хана своему благородному брату Алискандер-хану, который является сыном Эрекли-хана, а также всем общинам Анцуха¹.

А далее.

Податель этого письма, содержащего приветы - мой слуга, чье имя Мухаммад. Я, Султанахмад-хан, посылал его раньше в Белооканы (*Билкан*)², для разрешения некоторых нужд. Это было тогда,² когда там имела место *слабость*.³

Ваши мужи совершили, однако, грабительские действия в отношении этого Мухаммада - отняли у последнего его оружие и его товар (*мата*). Случилось же это тогда, когда подвергли разграблению усадьбу (дияр) Мухаммада Белооканского, происходящего из [рода] Халладж.⁴ Как сообщают ниже следующие лица: Бац-Мухаммад,⁵ Чикка-Али⁶ и Саид - на моем слуге в тех условиях какой-либо вины не было.

Я желаю, чтобы вы, поступив тут в соответствии с присущей вам справедливостью, возвратили бы имущество моего слуги, которого зовут Мухам-

1 Петрушевский И. Джаро-Белооканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифлис, 1934; Указ. соч. Махачкала, 1993. 88, 90, 91, 98, 99: по российским документам.

2 Точным переводом арабского текста было бы здесь: *когда был он* (Мухаммад) *вялым* или *слабым*. Контекст письма заставляет, однако, думать, что имеет место в данном случае обычная для дагестанца грамматическая ошибка, допущенная Дибиром-кади. Исходя из этого и сделан наш перевод.

GEORGIA IN PERSIAN TRAVELOGUES OF THE QAJAR PERIOD

Persian travel literature has a history of thousand years. The earliest preserved travelogue in Persian was written by Nāser Khosrow in the mid-eleventh century (Asfar, 2002:145). However, Medieval travel narratives did not form a particular genre of Persian literature until the Qajar period (Hanaway, 2002:249). Beginning from the early nineteenth century, writing travel notes and accounts became increasingly popular. According to the recent studies, there were about five hundred travelogues written in the Qajar period. Apart from their role in the development of the Persian literary style, many of the travelogues were the means of transferring scientific knowledge, new economic and political ideas, cultural and educational innovations. Thus, they are significant as the most vivid reflection of the cultural interaction of Iranians with the rest of the world.

Georgia appears in dozens of books written by Iranian travellers in the nineteenth and early twentieth centuries. Almost all of them visited Georgia on their way to other countries. Two major routes - to Mecca and to Western Europe - went through Georgia. Generally, pilgrims from northern Iran carrying out hajj traveled to Istanbul via Georgia and from there proceeded to Mecca. That was a long and difficult journey, but safer and more pleasant than other routes. Georgia is described in many travelogues written by pilgrims most well-known of which were Farhad Mirzā, Mirzā Mohammad Hoseyn Farāhāni, Amin al-Dovle, Mohammad Rezā Tabātabā'i Tabrizi, Mirzā 'Abd al-Hoseyn Khān Afshār Orumi and Seyf al-Dovle Soltān Mohammad.

Travellers to Western Europe and Central Russia formed another important group of Iranians who passed through Georgia. As a rule, these were well-educated people who considered writing travelogues to be an essential outcome of their trips. Among them, there were two royal persons: Nāser al-Din Shāh and Mozaffar al-Din Shāh, as well as many notables, government officials, military men, and diplomat (Mirzā Abu'l-Hasan Khān Shirāzi Ilchi, Mirzā Saleh Shirāzi, Seyf al-Molk, Mirzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, E'temād al-Saltane, Majd al-Saltane, Zahir al-Dovle, Mirzā Serāj al-Din 'Abd al-Rauf, Rezā 'Ali Divān Bigi, etc). Also, Western Europe was the main destination for rare independent intellectuals among which the most famous was the indefatigable traveller Hāj Sāyāh. Actually, his eighteen-year tour around the world started in Tiflis/Tbilisi.

Southern Caucasus in general and Georgia in particular was a gateway to the West for Iranians. In fact, the route to Europe through Georgia had no alternative. The importance of that route significantly increased after the opening of the Transcaucasian railway in 1883, which provided fast and cheap transportation from Baku to the Black Sea ports (Beradze, 2002:14-17). Iranian pilgrims to Mecca also actively used this railway line.

Persian travelogues of the Qajar period, which contain notes on Georgia cover the period of more than a century from 1810s to 1920s. They are valuable sources of how Iranians of the Qajar period saw Georgia. Being very different from each other in literary form and taste as well as in their authors' interests they deal with various aspects of the country such as history, geography, climate, population, government, law, education, industry, transport, society, religion, moral, everyday life, leisure, food, etc.

What was Georgia in the eyes of Iranian travellers? The following aspects should be mentioned here.

The first is that the Iranians saw Georgia as a part of the great entity that we call Persianate world. Subjugation of Georgia to the Russian Empire and its political and cultural consequences were considered by Iranians as the error of history, something abnormal and upsetting. Naturally, this feeling of vexation is stronger in the writings of the early Qajar period travelling authors such as Mirzā Abu'l-Hasan Khān Shirāzi Ilchi and Mirzā Saleh Shirāzi, who visited Georgia respectively in 1814 and 1815. These two noblemen remembered times of the sole domination of Persia in the south Caucasus, when Georgia was politically and culturally closely linked to Persia. They believed that Persian domination in Georgia was the normal state of things having a centuries-old history and being of benefit both for Persians and Georgians. One can easily imagine contradictory feelings that seized them in Georgia. Unlike Paris and London where crowds used to assemble to gaze at exotic guests (Tavakoli-Targhi, 2001:41-42), nobody was surprised at their beards and native costumes in Tbilisi. Inhabitants of Georgia were well accustomed to seeing Iranians in their cities and towns. Iranian travellers met people whose standards and style of everyday life were very similar to their own. But this feeling of being in a familiar cultural environment was clouded by the fact that this land belonged to a foreign - and actually hostile - power. Ilchi and Mirzā Saleh Shirāzi saw Georgia that had become a province of the Russian Empire just few years before their visit and their attitude to this new political reality was very deprecative and somehow jealous. Ilchi believed that the dissolution of morals was the main result of the Russian rule in Georgia. He was outraged by relaxed manners of Georgians, which he ascribed to the pernicious Russian influence. Generally, the „Russian style of behaviour“ is the object of his sharp criticism and the underlying message of that criticism is a reproach on Georgians for their cultural choice in favour of Russia (Shirāzi Mirzā Mohammad Hadi 'Alavi, 1978:28).

Stinging rebukes of the inhabitants of Georgia for immorality could be found in the writings of later Iranian travellers as well. In 1854, Seyf al-Dovle Soltān Mohammad wrote: „This country strikingly differs from our country. Here one can find everything except for piety and decency. May God protect a Muslim traveller in this country from Satan's temptations and depravity!“ (Seyf al-Dovle, 1985:79).

Some Iranian travellers blamed breaking off of Iranian-Georgian relations not only on Georgian kings, but also on Shahs of Iran criticizing them for aggressiveness and lack of flexibility. Farhād Mirzā wrote in 1856: „Perhaps the centuries-old alliance [of Iran and Georgia] would not go with the wind if the Shahs treated Georgian rulers with more respect“(Farhād Mirzā, 1987:48). Here and there, the idea of revenge upon Russia occurs in the nineteenth-century Persian travelogues. Mirzā Khānlar Khān E'tesām al-Molk, who was the member of the Iranian diplomatic mission to London in 1863, wrote in his travelogue that Pasha Khan Khoja al-Molk, the head of the mission, gave a promise to ask Naser al-Din Shah to send 30 000 soldiers to drive Russians out of Georgia (E'tesām al-Molk, 1982:16).

Iranian travellers often quoted legends and stories, which were to stress the civilizational role of Iran for Georgia. According to Farāhāni, concerning Tbilisi „some have said that it is one of the constructions of Anushirvān“ (Farāhāni, 1983:75). Mohammad Rezā Tabātabā'i Tabrizi (Tabātabā'i Tabrizi, 2007:93) and Seyf al-Dovle Soltān Mohammad (Seyf al-Dovle, 1985:71) wrote that Shah Abbas built not only a mosque and a minaret, but also a church in Tbilisi.

The nostalgia for the previous close Persian-Georgian relations is peculiar, to more or less extent, to almost all Iranian travellers. The loss of the dominant

position in the south Caucasus by Iran was a bitter reality that upset them. But sentiments did not prevent them from being interested in what happened in the region after Iran had left it. On the first place, their eyes were directed to Tbilisi, the „Queen of the Caucasus“, which reflected most fully economic and cultural development of the region in the nineteenth century. Tbilisi was considered the fourth capital of the Russian Empire, after St Petersburg, Moscow, and Warsaw. It had a „royal court“ of its own – the palace of the viceroy. Since 1850s, there was everything that one could find in any European city: banks, clubs, hotels, hospitals, public schools, libraries, theatres, museums, etc. Thus, from economic, social, and cultural points of view, the city could serve as a certain narrow-scale model of the Russian Empire and – to a certain degree – of Europe as well for those who wanted to gain the first-hand knowledge of European modernity. The importance of the Caucasian capital was intensified by the fact that it was the first europeanized (at least partly) city that met Iranian travellers on their way and accordingly the place where they could observe the wide variety of the fruits of European civilization for the first time. Reading travelogues one can easily notice that unlike European travellers who were attracted by picturesque narrow streets and boisterous markets of the Oriental quarter of Tbilisi, Iranian visitors were mostly interested in „European“ Tbilisi with its modern institutions and establishments.

Iranian travellers did not fail to notice that along with European progress the Russian rule brought its ubiquitous bureaucracy and corruption to Georgia. Seyf al-Dovle vividly described Russian bribe-taker officials on the post office and their methods of extortion (Seyf al-Dovle, 1985:77).

Iranian travellers paid particular attention to their compatriots living in Georgia, specifically in Tbilisi and Batumi. Iranian community existed in Tbilisi since the Middle Ages. Centuries of coexistence side by side with Christians noticeably affected their customs and mode of life. Farāhāni, one of the most observant travellers, noted in 1885: „the Muslims there are like Christians: they never obey the dietary laws [of Islam]; they eat [Christian] food and animals slaughtered by Christians; and they use all kinds of intoxicating beverages“ (Farāhāni, 1983:79).

It is natural that Iranian travellers in Georgia drew attention to the holy places related to Islam. The most important among them was the alleged grave of Sheykh Sana,‘ān, a highly venerated semi-legendary personage. According to the classical version of his story, sheikh dedicated 50 years of his life to serving Islam and spent days in praying together with his numerous disciples. Then he fell in love with a Christian girl and adopted Christianity at her request, but after some time he recognized his mistake and returned to Islam. In the eighteenth and nineteenth centuries, the local version of the story of Sheykh Sana,‘ān was developed in Tbilisi. According to that version, the sheikh’s sweetheart Christian maiden was Georgian; the sheikh died in Tbilisi and was buried on the slope of the Mt Mtatsminda, in the yard of the Church of St David. Moreover, in folk conception Sheykh Sana,‘ān was identified with a Christian holy man, St David of Gareja, to whom the church is dedicated (Alexidze, 2009:73-85). Several Iranian travellers beginning with Ilchi refer to the Sheykh Sana,‘ān’s grave on the Mt Mtatsminda. Farāhāni (Farāhāni, 1983:79) and Majd al-Saltane (Majd-os-Saltane, 1971:96) wrote that the Mt. Mtatsminda was a venerated site and a place of pilgrimage both for Christians and for Muslims.

It is impossible to give in a brief article a comprehensive survey of Iranian travellers’ accounts of Georgia. I focused only on some aspects that seemed most interesting to me.

Bibliography:

1. Alexidze, M. Le cheikh Sana'an et Tiflis / Tbilissi, in: *La Géorgie entre Perse et Europe*, sous la direction de F. Hellot-Bellier et I. Natchkebia, Paris, 2009.
2. Asfar, I. Persian Travelogues: A Description and Bibliography, in: E. L. Daniel (ed), *Society an Culture in Qajar Iran, Studies in Honor of Hafez Farmayan*, Costa Mesa, CA, 2002.
3. Beradze, G. The Transcaucasian Railway and the Muslim Pilgrimage: Iranians in Tbilisi and Batumi (Late Nineteenth Century), in: International Conference „*Tbilisi in the Nineteenth Century*“, Abstracts, Tbilisi, 2002.
4. E'tesām al-Molk Mirzā Khānlar Khān. *Safar-nāme*, ed. by Manuchebr Mahmudi, Tehran, 1361/1982.
5. Farāhāni Mirzā Mohammad Hoseyn Hoseyni. *Safar-nāme*, ed. by Mas'ud Golzāri, Tehran, 1362/1983.
6. Farhād Mirzā. *Safar-nāme*, ed. by Gholām Rezā Tabātabā'i, Tehran, 1366/1987.
7. Hanaway, W. L. Persian Travel Narratives: Note Toward the Definition of a Nineteenth-Century Genre, in: E. L. Daniel (ed), *Society an Culture in Qajar Iran*, Studies in Honor of Hafez Farmayan , Costa Mesa, CA, 2002.
8. Majd-os-Saltane. *Kalak Tbilisis aghtsera (The Description of the City of Tbilisi)*, translated into Georgian and commented by M. Mamatsashvili, Tbilisi, 1971.
9. Seyf al-Dovle Soltān Mohammad. *Safar-nāme-ye Makka*, ed. by 'Ali Akbar Khodāparast, Tehran, 1364/1985.
10. Shirāzi Mirzā Mohammad Hadi 'Alavi. *Safar-nāme-ye Mirzā Abu'l-Hasan Khān Shirāzi (Ilchi) be Rusiye*, ed. by Mohammad Golbon, Tehran, 1357/1978.
11. Tabātabā'i Tabrīzī Mohammad Rezā. *Safar-nāme-ye Makka*, ed. by Rasūl Ja'faryān, Tehran, 1386/2007.
12. Tavakoli-Targhi, M. *Refashioning Iran: Orientalism, Occidentalism, and Historiography*, New York, 2001.

ლეიტენანტ თეოდორ ეტიეს ცნობები საფრანგეთ-სპარსეთის მაჭრობის შესახებ (1822)

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია 1822 წლის 30 იანვრით დათარიღებული ხელნაწერი, სათაურით „ჩანაწერები სპარსეთის შესახებ“, რომელსაც ხელს აწერს თეოდორ ეტიე (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 247r-261r, Théodore Hettier, Note sur la Perse). ვინ იყო თეოდორ ეტიე და რა მიზნით დაწერა მან აღნიშნული „ჩანაწერები“?

ნაპოლეონის არმიის ექს-ოფიცერი – თეოდორ ეტიე. 1809 წლის აპრილში სპარსეთიდან გენერალ გარდანის თვითნებური წასვლის გამო განრისხებულმა ნაპოლეონმა, რომელსაც არ სურდა სპარსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტა, 1810 წლის ივნისში იქ საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულად ჟორჟ უტრეი დანიშნა, რომელიც თეირანის კარმა, ინგლისელების გავლენით, არ მიიღო (Sevaistre, 1996: I, 197, 198, 199). ამგვარად, შეწყდა 1805 წელს დაწყებული საფრანგეთ-სპარსეთის დიპლომატიური ურთიერთობები.

რუსეთ-სპარსეთის 1804-1813 წლების ომის დასრულების გამო გულისთან-ში დადებული ზავის (24.10.1813) შემდეგ, ფათჰ-ალი შაჰს (1797-1834) სურდა სპარსეთში ინგლისელთა გავლენის წინააღმდეგ საფრანგეთთან შეწყვეტილი ურთიერთობის აღდგენა და მისი სამხედრო მხარდაჭერის მოპოვება. ამ მიზნით 1815 წლის მაისში მან პარიზში მისიით გაგზავნა დაუდ შაჰნაზარი,¹ რომელიც ლუი XVIII-მ 1816 წლის ივნისში მიიღო, მაგრამ ამ ელჩობას შედეგი არ მოჰყოლია. იმავე წლის ოქტომბერში დაუდი პარიზიდან ნაპოლეონის გვარდიის ყოფილ ქირურგთან, მაიორ ბარანშინთან ერთად გაემგზავრა თავრიზში, სადაც 1810 წლიდან ფრანგი ქალი, მადამ დე ლა მარინიერი, აბას მირზას შვილებს ასწავლიდა ფრანგულს. მაიორი ბარანშენი 1817-1818 წლებში აბას მირზას, ხოლო 1819-1820 წლებში ფრანგ ოფიცერ კურთან ერთად ქერმანშაჰში მეფისწულ მოჰამად-ალი მირზას სამსახურში იდგა.²

1810-1820 წლებში სპარსეთში მყოფ ფრანგებს შორის არ არის ნახსენები ნაპოლეონის გვარდიის ყოფილი ოფიცერი, ლეიტენანტი თეოდორ ეტიე. 1815 წლის სამხედრო დოკუმენტების თანახმად, საფრანგეთში, კალვადოსის დეპარტამენტში დაბადებული თეოდორ ეტიე (1795-1846) იმავე დეპარტამენტში, კანში, განლაგებული ნაციონალური გვარდიის 52-ე პოლკის ლეიტენანტი და ხაზინადარი იყო.

1 მირ დაუდ ზადურ ხან მელიქ შაჰნაზარი, იგივე დავიდ ბეგი, ისფაჰანში დაბადებული სომეხი, რუსულ წყაროებში დავით ცატუროვის, ფრანგულში კი დაუდის სახელით იხსენიება. 1802-1818 წლებში იგი საფრანგეთის, შემდეგ კი სპარსეთის სამსახურში იყო (AMFAE, CP/Perse, vol. 8: doc. 2, fol. 40r-40v; doc. 35, fol. 73r-74v; Hellot, 2007: 499, 501). 1816 წელს მან პარიზში გამოსცა ბროშურა ფრანგულ, სომხურ და სპარსულ ენებზე, სათაურით – *Détails sur la situation actuelle du royaume de Perse* – რომელშიც ხოტბას ასხამს ფათჰ-ალი შაჰის მმართველობას (AMFAE, MD/Perse, vol. 6: doc. 32, fol. 191r-197v; doc. 33, fol. 199r-202r).

2 მოჰამად-ალი მირზამ ბარანშენს საფრანგეთის სამეფო კარზე წერილები გაატანა, რომლებშიც იგი თოფებისა და ლაფეტების გამოგზავნას ითხოვდა (Hellot, 2007: 110, 501).

ასი დღისა და ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ¹ ბურბონებმა დაბრუნებისთანავე გაუნახვერეს ხელფასი მრავალ ოფიცერს, მათ მეთაურებად კი როიალისტები დანიშნეს. ეტიე ოფიცერთა ძირითად შემადგენლობასთან ერთად ბურბონების რეჟიმით უკმაყოფილოთა ბანაკში აღმოჩნდა და ინგლისში გადასახლდა. ჰარფორდში მან ერთი ბენარესელი ინდოელი გაიცნო, რომელმაც იგი სპარსეთით დააინტერესა და მას სპარსეთის ტახტის მემკვიდრის, აბას მირზას (1788-1833) მიერ ინგლისში სასწავლებლად გაგზავნილი ახალგაზრდა სპარსელებიც გააცნო. თავისი „ჩანაწერების...“ მოკლე წინათქმაში თეოდორ ეტიე შემდეგს წერს სპარსეთში თავისი გამგზავრების შესახებ: „ქვემოთ ხელისმომწერმა ინგლისში უსაქმოდ ყოფნის დროს გაიცნო ის პირები, რომლებიც სპარსეთის მდგომარეობის ცოდნას ირემებდნენ, ხოლო არაზუსტი თუ გაზვიადებული ანგარიშების შესწავლის შემდეგ, რომლებსაც სპარსეთის შესახებ უკანასკნელი 15 წლის მანძილზე გვაწვდიდნენ სხვადასხვა მოგზაურები, მან 1819 წლის დასაწყისში სამოგზაუროდ წასვლა გადაწყვიტა.“ 1819 წლის დასაწყისში თეოდორ ეტიე კონსტანტინოპოლში ჩავიდა და იქ გაიცნო 1807-1809 წლებში გენერალ გარდანის მისიის პირველი დრაგომანი ჟოზეფ ჟუანენი,² – იმჟამად პორტაში საფრანგეთის საელჩოს პირველი დრაგომანი, – რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა ძველი კავშირები სპარსელ წარჩინებულებთან. მან ეტიეს სარეკომენდაციო წერილი გაატანა აბას მირზას სტატს-მდივანთან, მირზა მასუდთან. 1820 წლის იანვრის დასაწყისში ეტიე თავრიზში ჩავიდა და 10 იანვარს მხოლოდ იმ პირობით გააფორმა ერთწლიანი ხელშეკრულება სპარსეთის ტახტის მემკვიდრესთან, რომ მომავალში სხვებთან შედარებით მას მისცემდნენ უპირატესობას. 1820-1821 წლებში ნაპოლეონის გვარდიის ყოფილმა ოფიცერმა გაწვრთნა აბას მირზას ინფანტერიის სამი ბატალიონი და უმეთაურა მარანდისა და ნახჭევანის პოლკებს; მაგრამ ნაწილობრივ ინგლისელების ინტრიგების შედეგად, რომლებიც აბას მირზას უფრო ნაკლები ანაზღაურებით ჰპირდებოდნენ ოფიცრების დაქირავებას, ნაწილობრივ კი მეფისწულისათვის დამახასიათებელი სიხარბის გამო, მან აღარ ისურვა ეტიეს მიერ მოთხოვნილი და მისთვის თავიდანვე დაპირებული უპირატესობის მიცემა. 1821 წლის აგვისტოში ეტიემ მეფისწულისაგან წასვლის ნებართვა მიიღო. აბას მირზამ მას გზის ხარჯები გადაუხადა, სპარსეთში რუსეთის მისიამ კი ფრანგ ოფიცერს რუსეთის ტერიტორიაზე გასაგულელად ვიზა მისცა. სპარსეთში თეოდორ ეტიე მეტად დაუახლოვდა ალექსანდრ გრიბო-ედოვს და 1821 წლის ნოემბერში მასთან ერთად გაემგზავრა სპარსეთიდან თბილი-სისკენ (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 247r; Кальма, 1935: т. 19-21, 143-144).

თეოდორ ეტიეს „ჩანაწერები სპარსეთის შესახებ“ 1822 წლის დასაწყისში თეოდორ ეტიე მიიწვია 1819-1827 წლებში სანკ-პეტერბურგში საფრანგეთის ელჩმა, საფრანგეთის პერმა გრაფმა დე ლა ფერუნაიმ,³ რათა ეტიეს მისთვის მიეწოდებინა ცნობები სპარსეთის პოლიტიკური და სავაჭრო მდგომარეობის შესახებ.

1 ასი დღის დასაწყისია 1815 წლის 1 მარტი კუნძულ ელბადან ნაპოლეონის საფრანგეთში დაბრუნება, დასასრული კი – იმავე წლის 18 ივნისს ვატერლოოს ბრძოლის წაგება და 22 ივნისს ნაპოლეონის ტახტიდან გადადგომა.

2 ჟოზეფ-მარი ჟუანენი (1783-1844) – ცნობილი ფრანგი დიპლომატი და ორიენტალისტი.

3 გრაფი ალბერ დე ლა ფერუნაი – საფრანგეთის ელჩი სანკტ-პეტერბურგში 1819-1827 წლებში.

თეოდორ ეტიეს მოხსენებითი ბარათი ოთხი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში დახასიათებულია ფათჰ-ალი შაჰის მმართველობა. აღნიშნულია, რომ ქვეყნის მმართველობაზე ზრუნვისაგან გასათავისუფლებად შაჰმა თავის უფროს ვაჟებს შორის გაანაწილა სპარსეთი იმ ერთადერთი პირობით, რომ ყოველ მათგანს მისთვის ყოველწლიურად გადაეხადა თავისი პროვინციის შესაძლებლობის პროპორციული თანხა, ომის დროს კი მეზობლები გაეყვანა. შაჰი სპარსეთს თავის ვაჟებს შორის არსებული შურის საფუძველზე მართავდა, შედეგად კი ვერც ერთი მათგანი ვერ ბედავდა მის თავდასხმას იმის შიშით, რომ ძმები თვითონ მას არ დასხმოდნენ თავს. ფათჰ-ალი შაჰი დახასიათებულია როგორც უამბიციო მმართველი, რომელიც დიდ დროს ატარებდა თავის ჰარამხანაში, სურდა ბედნიერად ცხოვრება და სულერთი იყო, თუ რა დაემართებოდა მის იმპერიას მისი სიკვდილის შემდეგ. ფრანგი ოფიცერი სპარსეთში არსებულ ვითარებასაც ახასიათებს და წერს: „სპარსეთის იმპერია ამჟამად საკმაოდ უღირს მდგომარეობაშია, ხალხი სხვადასხვა ტირანებს ატანჯვინებს თავს და ბრმად ემორჩილება მათ. საგრძნობლადაა შემცირებული ყოველგვარი წარმოება, მოსახლეობა კლებულობს, ყველაფერი ინგრევა; უმთავრესი სურვილი ყველასათვის მხოლოდ დაგროვება და მიწაში ოქროს დაფვლაა. სპარსელ ერს აღარც ადათ-წესები გააჩნია და აღარც ზნეობრიობა; პირიქით, მისთვის, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი გახდა ყველაზე უფრო დიდი მანკიერებები“ (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 247r-248v).

მოხსენებითი ბარათის მეორე ნაწილში დახასიათებულია სპარსეთის მთავარი გუბერნიები, რომლებსაც შაჰის ვაჟები და ერთგული ხანები განაგებდნენ. ფრანგი ოფიცერი ზოგიერთ გუბერნიას პროვინციის სახელით იხსენიებს, ზოგს კი – მთავარი ქალაქისა. ეს ერთეულებია: აზერბაიჯანი, ქურთისტანი, ქერმანშაჰი, ბორუჯირდი, ისფაჰანი, შირაზი, სისტანი, ხორასანი, თეირანი, მაზანდარანი, ყაჯარების მშობლიური ქალაქი ასთარაბადი, ყაზვინი, ზენჯანი, გილანი, ბახტიარეთი და სხვ¹.

სხვა ევროპელ ავტორთა მსგავსად, ეტიეც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ფათჰ-ალი შაჰის პირველშობილი ვაჟის, მოჰამად-ალი მირზას ნაცვლად, რომლის დედა ქართველი ტყვე იყო,² სპარსეთის ტახტის მემკვიდრედ არჩეული იყო მეფისწული აბას მირზა,³ რადგან მისი დედა ყაჯართა სამეფო ოჯახიდან იყო. მაგრამ სხვა ევროპელი ავტორებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანის მმართველის, აბას მირზას დახასიათებისას ეტიე არ ფარავს მის მიმართ თავის ირონიულ დამოკიდებულებას და წერს: „მეფისწული, მეტად სალმიანი, სასიამოვნო მოსაუბრეა, რომელმაც მრავალ უცხოელთან ურთიერთობით ისწავლა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა სახელწოდებები, უკანასკნელი პოლიტიკური მოვლენების მონაწილეთა, მეცნიერთა თუ ხელოვანთა ყველაზე უფრო ცნობილი გვარები. შედეგად კი ზოგიერთმა მწერალმა-მოგზაურმა მიიჩნია, რომ მან ნამდ-

1 სპარსეთის მთავარი მსხვილი თერთმეტი ადმინისტრაციული ერთეული იყო: ხორასანი, მაზანდარანი, გილანი, აზერბაიჯანი ერევნის სახანოსთან ერთად, სპარსეთის ქურთისტანი, სპარსეთის ერაყი, ფარსი, ქერმანი, მექრანი, სისტანი (Natchkebia, 2006: V/1-2, 235-255).

2 მოჰამად-ალი მირზას დედა ზიბაჩეჰ-ხანუმი, მარი ბროსეს აზრით, რასაც სპარსელი ისტორიკოსი საიდ ნაფისიცი იზიარებს, ქართველი ტყვე, გვარად წიქარიშვილი უნდა ყოფილიყო (შარაშენიძე, 1984: 36).

3 აბას მირზა ფათჰ-ალი შაჰის მეოთხე ვაჟი იყო; ეტიე, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ევროპელი ავტორი, მას შეცდომით მოიხსენიებს შაჰის მეორე ვაჟად..

ვილად ღრმად იცოდა ის ამბები, რომელთა შესახებ მხოლოდ გაეგო. დაბოლოს, ეს სუსტი ხასიათის კაცია, მუდამ ვილაცის, ხშირად საკმაოდ უღირსის, მიერ მართული. მას მეტად ცვალებადი ხასიათი აქვს, ამიტომ მის გარემოცვაში მყოფი თორმეტიოდე კაცი მას მართავს, ქურდავს და ცუდად ემსახურება.“ ფრანგი ოფიცერი აბას მირზას სამხედრო შესაძლებლობებსაც ეხება და წერს, რომ მას ომში 20 000 მეზობელზე მეტის გაყვანა არ შეეძლო.

მთიანი ქურთისტანის, ხუზისტანისა და ლურისტანის გუბერნატორი, ტახტის მემკვიდრეობას ჩამოცილებული მოჰამად-ალი მირზა, დახასიათებულია როგორც მეტად ვერაგი და სასტიკი, მაგრამ ძლიერ მამაცი და საქმიანი კაცი. მას ჰყავდა ფრანგების მიერ გაწვრთნილი ინჟანტერიის 5 ბატალიონი¹. ეტიეს ცნობით, მოჰამად-ალი მირზას ისევე, როგორც აბას მირზას, მრავალი მომხრე ჰყავდა და იგი შაჰის სიკვდილისთანავე შეებრძოლება აბას მირზას გვირგვინის გამო (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 248v-253r).

მოხსენებითი ბარათის მესამე ნაწილში თეოდორ ეტიე კვლავ ეხება ფათჰ-ალი შაჰის მმართველობას და წერს: „სპარსეთის შაჰის პოლიტიკა და სურვილები ცნობილია. ეს მამაცი კაცია, რომელსაც არაფერი არ უნდა ქვეყანაზე თავისი სიამოვნების გარდა; მას ძლიერ სურს მშვიდობიანად იყოს ყველასთან; იგი დაკავებულია მხოლოდ თავის სამ თუ ოთხ ვაჟს შორის ბალანსის შენარჩუნებით და ხელს უწყობს მათ შორის შურის გაღვივებას, რათა არც ერთმა მათგანმა არ იეჭვიანოს. მან ეს ისე კარგად შეძლო, რომ მის წინააღმდეგ დღემდე არც ერთ მათგანს არაფერი არ მოუშოქმედია. ამგვარად, შაჰის პოლიტიკაა მიაღწიოს მშვიდობას და სიმშვიდეს იმის ხარჯზე რასაც ფლობს და იგი ყოველივეს შესწირავს ამ შედეგის მისაღწევად.“

ამავე თავში საგანგებოდაა განხილული სპარსეთში რუსეთისა და ინგლისის ინტერესები და სპარსეთში აკრედიტებული ამ სახელმწიფოების მისიების წევრების საქმიანობა. ფრანგი ოფიცრის რწმენით, რუსებისა და ინგლისელების ერთ-ერთი მთავარი მიზანი სპარსეთის საქმეებში ჩარევა იყო შაჰის გარდაცვალების შემდეგაც. ეტიე აღნიშნავს, რომ გენერალ ერმოლოვის² მკაცრი დამოკიდებულება აბას მირზას მიმართ მეტად აფერხებდა რუსეთის მთავრობის მიერ მის აღიარებას ტახტის მემკვიდრედ, მეფისწულს კი ეშინოდა, რომ რუსებს იგი არ მიეტოვებინათ ან გვირგვინში მეტად ძვირი არ გადაეხდებინათ. ფრანგი ოფიცრის აზრით, საჭირო იყო, რომ რუსეთის მთავრობას იმჟამად დაედსტურებინა თავისი მეგობრობა აბას მირზასათვის, მეფისწულს კი თავისი პროვინციის გეოგრაფიული მდებარეობისა და არსებული პოლიტიკური ვითარების გამო კარგი ურთიერთობა უნდა დაემყარებინა რუსებთან, რადგამ მათთან ცუდი ურთიერთობით იგი ვერაფერს ვერ მოიგებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ტახტზე ავიდოდა და რუსები მისთვის სასარგებლონიც კი იქნებოდნენ. აქ ეტიე შემდეგ კითხვას სვამს: „თუკი მას თავისი ძმა (მოჰამად-ალი მირზა – ი.წ.) აჯობებს, სად უნდა წავიდეს?“ და იქვე სცემს პასუხს: „მხოლოდ რუსებთან, რომლებიც მას დაეხმარებიან და კარგადაც გადაუხდიან.“ თუკი რუსეთს ძლიერი სახელმწიფო დაუჭერდა მხარს, – „ძლიერ სახელმწიფოდ“ კი ეტიეს საფრანგეთი ესაზებოდა, – ინგლისელებს მალე განდევნიდნენ სპარსეთიდან. ეტიემ ყურადღება მიაქცია

1 სავარაუდოა, რომ ეტიე გულისხმობს ფრანგი ოფიცრების, ბარანშენისა და კურის მიერ გაწვრთნილ ნაწილებს.

2 ალექსეი ერმოლოვი (1777-1861) — რუსი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე. 1816-1827 მთავარსარდალი საქართველოში. 1817 წელს სპარსეთში იმპერატორ ალექსანდრე I-ის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი.

იმ ფაქტსაც, რომ ინგლისის საქმეთა რწმუნებული, კავალერიის კაპიტანი ჰენრი ვილოკი¹, თვითონ ეახლა მოჰამად-ალი მირზას და იარაღით, სამხედრო აღჭურვილობითა და ოფიცრებით დახმარება აღუთქვა. იმ შემთხვევაში, თუ ინგლისელები მოჰამად-ალი მირზას დაუჭერდნენ მხარს, ეტიეს აზრით მაშინვე იქნებოდა შესაძლებელი მცირეოდენი თანხითა და დაშინებით ფათჰ-ალი შაჰის ჩარევა, რომ მოჰამად-ალი მირზას შეეწყვიტა შეთქმულება აბას მირზას წინააღმდეგ. ამგვარად, აბას მირზა იმათი გავლენის ქვეშ მოექცეოდა, ვინც მას სამსახური გაუწია და ქვეყანა გარდა-უვალი ნგრევისაგან გადაარჩინა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 253r-258r).

მოსხენებითი ბარათის მეოთხე ნაწილი ეხება საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის გეგმებს შავი და კასპიის ზღვების ჩართვით, დასახელებულია საექსპორტო და საიმპორტო საქონლის ნუსხა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 258r-261v).

წინამდებარე სტატიაში ეტიეს მოხსენებითი ბარათის მესამე და მეოთხე ნაწილებში მოცემული ცნობების საფუძველზე წარმოვადგენთ საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის საკითხებს. მათ განხილვამდე მოკლედ შევეხებით საფრანგეთ-სპარსეთის დიპლომატიურ თუ სავაჭრო ურთიერთობებს XVII საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 20-ან წლებამდე.

საფრანგეთ-სპარსეთის ურთიერთობების მოკლე მიმოხილვა. საფრანგეთსა და სპარსეთს შორის პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების პირველი მცდელობა XVII საუკუნის 20-იან წლებში დაიწყო მარსელელი ვაჭრების მოთხოვნის საფუძველზე. ლუი XIII-მ (1610-1643) თავისი წარმომადგენლები შაჰ-აბას I-ის (1587-1629) კარზე ორჯერ, 1626 და 1628 წლებში, გაგზავნა. სპარსეთის შაჰი მათ კათოლიკური მისიების მფარველობას და საფრანგეთისათვის ლევანტის² გზით ვაჭრობისათვის პრივილეგიის მიცემას დაჰპირდა. 1708 წელს სპარსეთში კვლავ მარსელის მკვიდრი, პიერ-ვიქტორ მიშელი გაგზავნეს. ინგლისური და ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანიების მხრიდან დაპირისპირების მიუხედავად, მიშელმა შაჰ სულთან ჰუსეინთან (1694-1722) ხელშეკრულება გააფორმა. ეს იყო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება საფრანგეთსა და სპარსეთს შორის, რომელიც სპარსეთში ქრისტიანული მისიებისა და სავაჭრო საქმიანობის დაცვას ითვალისწინებდა. მიუხედავად ამისა, სპარსეთის ყურეში არც ერთი ფრანგული გემი არ შესულა. 1715 წლის 13 აგვისტოს ვერსალში საფრანგეთსა და სპარსეთს შორის საფრანგეთისათვის კიდევ უფრო ხელსაყრელი სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო, მაგრამ ფრანგი ვაჭრები უპირატესობას კვლავ სპარსეთის ყურით ვაჭრობას ანიჭებდნენ. XVIII საუკუნის 20-იანი წლებიდან სეფიანთა დინასტიის დაცემის შემდეგ საფრანგეთსა და სპარსეთს შორის ურთიერთობა შეწყდა, 1708 და 1715 წლებში დადებული ხელშეკრულებები კი მხოლოდ ქალაქებზე დარჩა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის კონსულები ბაღდადში – კლოდ პირო, მისი გარდაცვალების შემდეგ კი ჟან-ფრანსუა ქსავიერუსო³ – სპარსეთის ყურეში საფრანგეთის კომერციულ ინტერესებს ბოლომ-

1 ჰენრი ვილოკი – 1815-1822 და 1823-1826 წლებში სპარსეთში ბრიტანეთის წარგზავნილი.

2 ლევანტი (ფრ. *Levant* ან იტალ. *Levante* – აღმოსავლეთი) – ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნების (სირია, ლიბანი, ისრაელი, პალესტინა, იორდანია, ეგვიპტე, თურქეთი) საერთო სახელწოდება.

3 ჟან-ფრანსუა ქსავიერუსო (1738, ჯულფა – 1808, ალექსო) – ფრანგი დიპლომატი და თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე, XVIII საუკუნიდან ახლო აღმოსავლეთში მოღვაწე

დე არ თმობდნენ. მათი მეცადინეობით 1766 წელს სპარსეთის მმართველმა ქერიმ-ხან ზენდმა (1760-1779) საფრანგეთს გადასცა 1770 წელს ჰოლანდიელების მიერ მიტოვებული კუნძული ხარქი, მაგრამ ამ საკითხმა ლუი XV-ის მთავრობა არ დააინტერესა. 1796 წლის შემოდგომაზე სპარსეთთან ურთიერთობების აღსადგენად ალა-მაჰმად-ხანის კარზე ჩავიდნენ საფრანგეთის დირექტორიის წარგზავნილი მეცნიერები, გიომ-ანტუან ოლივიე და ჟან-გიომ ბრიუნიერი, მაგრამ მათი მისია უშედეგოდ დამთავრდა (AMFAE, MD/Perse: vol. 6, doc. 1, fol. 4r; vol. 6, doc. 19, fol. 135v; AMFAE, CP/Perse, vol. 8: doc. 2, fol. 40r-40v; doc. 35, fol. 73r-74v; კაციტაძე, 2001: 359, 404-405; Иоаннисян, 1958: xl-xliv; Amini, 1995: 19-38; Calmard, 2000: X, 126-130; Touzard, 2002: II, 297-316).

XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ნაპოლეონი ინდოეთზე ლაშქრობაში სპარსეთის ჩართვას ვარაუდობდა, საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრის, ტალეირანის დაავალებით ვრცელი ანგარიში მომზადდა სპარსეთის იმუამინდელი მდგომარეობის შესახებ. მასში საგანგებოდაა განხილული საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის შესაძლებლობა. ეს თხზულება მომზადებული იყო 1805-1808 წლებში ბასრაში საფრანგეთის კონსულის, ჟოზეფ რუსოს¹ მიერ. იგი დიდწილად თავისი მამის, იმუამად ბაღდადში საფრანგეთის კონსულის, ჟან-ფრანსუა-ქსავიე რუსოს ცნობებს ეყრდნობოდა, რომელიც 50 წლის მანძილზე ხედავდა, თუ რაოდენ დიდი მოგება მოჰქონდა ინგლისისათვის სპარსეთის ყურეში ვაჭრობას. ინდოეთზე წარმატებული ლაშქრობის შემთხვევაში რუსოთა მიზანი არა მხოლოდ სპარსეთის ყურის ვაჭრობის საფრანგეთისათვის დაქვემდებარება, არამედ მარსელიდან ალექსანდრეტამდე (დღევანდელი ისქანდერუნი – ი. ნ.), იქიდან კი ალექსოა და ბაღდადზე გავლით სპარსეთამდე ვაჭრობის წარმოებით საფრანგეთისათვის აზიის ახალი ბაზრის მოპოვება იყო (AMFAE, MD/Perse, vol. 6, doc. 19, fol. 152v-158v).

1807-1809 წლებში სპარსეთში საფრანგეთის სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანისათვის მიცემული ნაპოლეონის ინსტრუქციების თანახმად, გენერალს უნდა შეესწავლა საფრანგეთ-სპარსეთის სავაჭრო ექსპორტისა და იმპორტის ნუსხა, ამასთან მინისტრი უფლებამოსილი იყო ეწარმოებინა ახალი სავაჭრო მოლაპარაკებები 1708 და 1715 წლების ხელშეკრულებების საფუძველზე. ეს საკითხი მე-15-ე მუხლად იყო შეტანილი 1807 წლის 4 მაისს ფინკენშტეინში დადებულ საფრანგეთ-სპარსეთის ხელშეკრულებაში. 1808 წლის 21 იანვარს გენერალმა გარდანმა და ფათჰ-ალი შაჰის პირველმა ვეზირმა, მირზა შაფიმ, ხელი მოაწერეს ჟოზეფ რუსოს – საფრანგეთის მისიის მეორე მდივნის – მიერ შედგენილ სავაჭრო კონვენციას საფრანგეთში იარაღის შესყიდვის შესახებ; ამას გარდა, შაჰს სურდა, რომ სპარსეთში გაეგზავნათ მაუდისა და მორითული ქსოვილების მწარმოებლები, იუველიერები, გრავიორები, მხატვრები, მხეჭდავები, მინის, ბროლის, მინანქრის, ფაიფურის, თეთრი და ფერადი თიხის, ქანქარიანი საათებისა და იარაღის ოსტატები; დურგლები, ქვის მთელელები, სამთო ინჟინრები, გემთმშენებლები და სხვ. (AMFAE, CP/Perse, vol. 9, doc. 171, fol. 309r-310v; SHAT, 1M, n 1673). ეს დოკუმენტი არასოდეს არ ყოფილა რატიფიცირებული და ასევე დარჩა ქაღალდზე, როგორც გენერალ გარდანის მისიის წევრთა მოხსენე-

რუსოთა ოჯახის მესამე წარმომადგენელი (AMFAE, CP/Perse, vol. 8, doc. 165, fol. 399r; Sacy, 1810: 2-3).

1 ჟოზეფ რუსო, ბარონი (1780-1831) – ჟან-ფრანსუა ქსავიე რუსოს ვაჟი, ფრანგი დიპლომატი (1805-1831) და თვალსაჩინო აღმოსავლეთმცოდნე, საფრანგეთის დამწერლობისა და სიტყვიერების აკადემიის წევრი (Rousseau, 1899: X-XV)

ბით ბარათებში მოცემული ცნობები სპარსეთის საშინაო და საგარეო ვაჭრობის შესახებ (AMFAE, *Protocoles*, C 13, 110.05.1807; ნაჭყებია, 2005: III, 184-203).

თეოდორ ეტიეს ცნობები საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის შესახებ. თეოდორ ეტიეს მოსაზრებები საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის შესახებ მოვლენების სავარაუდო კონტექსტშია დაწერილი. ფრანგი ოფიცრის აზრით, ამ ვაჭრობის განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი სპარსეთი რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცეოდა. საფრანგეთის ვაჭრობის ინტერესში აღმოჩნდებოდა აბას მირზას მხარდაჭერის მოპოვება, რადგან მისი პროვინციიდან უფრო მოხერხებული იქნებოდა სავაჭრო კავშირების დამყარება, ვაჭრები კი მისი მფარველობით ისარგებლებდნენ. როდესაც ფრანგი საქმეთა რწმუნებული სპარსეთში კარგად მოეწყობოდა, იგი საფრანგეთის მთავრობას მეფისწულ აბას მირზას სახელით სთხოვდა სპარსეთში სამხედრო ნაწილების გაგზავნას, რათა რუსების ან ინგლისელების შური არ გამოეწვია რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მიცემით. მეფისწულის თხოვნას შეატყობინებდნენ ლუი XVIII, რომელსაც მეგობრობის ნიშნად იქ 4 000 მოხალისე ოფიცრისა და ჯარისკაცისაგან შემდგარ ინფანტერიის ორი პოლკი უნდა გაეგზავნა, რათა მათ აბას მირზას ტახტზე ასვლამდე ემსახურათ სპარსეთში. მათი შერჩევისას ყურადღება უნდა მიქცეოდა სამხედრო პირთა ზნეობას, რათა თავიანთი ქცევით საფრანგეთის მიმართ პატივისცემა გამოეწვიათ. თუმცა ეტიე აკრიტიკებს სპარსეთში გენერალ გარდანის მოღვაწეობას და წერს, რომ იგი ცუდად ემსახურა სპარსეთს, მიუხედავად ამისა, იგი იქვე მიუთითებს, რომ ფრანგი ჯარისკაცების მეთაურებად იმ ოფიცრების დაყენება კარგი იქნებოდა, რომლებიც ადრე მსახურობდნენ სპარსეთში და იქ ისეთი კარგი სახელი ჰქონდათ, როგორც ლამის, ვერდიესა და სხვა ოფიცრებს.¹ ამას გარდა, მეფისწული სიამოვნებით მიიღებდა საინჟინრო საქმეთა, არტილერიისა და არსენალის მასალების მცოდნე ოფიცრებსაც – აბას მირზა კი, რომელიც „აღმერთებდა ფრანგებს“, მათ ყველა მოთხოვნას დააკმაყოფილებდა. უმცროსი ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის საკმარისი იქნებოდა იმავე ოდენობის ხელფასის მიცემა, როგორსაც მეფისწული რუს დეზერტირებს უხდიდა. ოფიცრებს კი მაღალი ხელფასი უნდა ჰქონოდათ, რათა ინგლისელ ოფიცრებზე არანაკლებ ღირსეულად წარმოჩენილიყვნენ. ეტიე მზად იყო, თვითონ წარედგინა სპარსეთში ოფიცრებისა და ჯარისკაცების განსახლების გეგმა. მისი აზრით, 4 000 ფრანგისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილები ისეთ სენსაციას გამოიწვევდა სპარსეთში, რომ ვერავინ ვერ გაბედავდა მათთან შეჯიბრებას. ფრანგები რუსეთთან ერთად არა მხოლოდ გაბატონდებოდნენ სპარსეთში, არამედ თურქეთის საქმეებშიც ჩაერეოდნენ, შედეგად კი ნელ-ნელა მხოლოდ საფრანგეთისა და რუსეთის ვაჭრობას შეეწყობოდა ხელი, ხოლო საფ-

1 თეოდორ ეტიე გულისხმობს გენერალ გარდანის მისიის ოფიცრების მოღვაწეობას, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ყაჯართა ლაშქარში ევროპული სამხედრო სისტემის დამკვიდრებას. ეს იყო ყაჯართათვის გაწეული პირველი ევროპული დახმარება. სამხედრო საინჟინრო საქმეთა კაპიტანმა არმან-ფრანსუა ლამიმ დაზვერა და გაამაგრა არაქსის საზღვარი, ააშენებინა ყაზარმები თავრიზისა და ნახჭევანის მახლობლად, ათახალგაზრდა სპარსელს შეასწავლა გეომეტრია, საინჟინრო საქმე და ფრანგული ენა (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 305r). საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია მისი გეგმა სპარსეთში სამხედრო სკოლის ჩამოყალიბების შესახებ (AMFAE, MD/Perse, vol. 7, doc. 32, fol. 39v-40r). ინფანტერიის კაპიტანმა გრაფმა ჟან-ანტუან დე ვერდიემ გაწვრთნა აბას მირზას ინფანტერიის 6 ბატალიონი და გააუქმა ჯარში მოლაშქრეთა მათრახით დასჯა (AMFAE, CP/Perse, vol. 11. doc. 181, fol. 305v; abd or-razay domboli, 1982: 227).

რანგეთი რამდენიმე წელიწადში დიდ მოგებას ნახავდა ამ ვაჭრობით (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 255r-256r).

ნაპოლეონის არმიის ექს-ოფიცრის, თეოდორ ეტიეს, მოსაზრება აბას მირზას ტახტზე ასვლაში მხარდასაჭერად სპარსეთში საფრანგეთის სამხედრო ნაწილების შეყვანის შესახებ სპარსეთის იმჟამინდელ სისუსტეს ადასტურებდა. მისი ეს თამამი (თუ არა თავხედური) აზრი სრულიად სცილდებოდა როგორც 1805-1809 წლებში სპარსეთში ნაპოლეონის პოლიტიკას, ისე ამ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების დამყარებას და სპარსეთის შიდა პოლიტიკაში ჩარევას გულისხმობდა.

ის პირი, რომლის დახმარებაც ფრანგებს დასჭირდებოდათ სპარსეთში, რუსეთის იმჟამინდელი საქმეთა მმართველი, მაზაროვიჩი¹ იყო. ინგლისელების ინტრიგებისა და რუსების მიმართ სპარსელების სიძულვილის მიუხედავად, მას თავისი კარგი მანერებით, მდიდრულად ცხოვრებითა და ბრძნული ქცევით სამ წელიწადში მოეხერხებინა, რომ პირადად მისთვის ეცათ პატივი და ნაწილობრივ რუსეთის მიმართ სპარსელთა მტრობაც გაექარწყლებინა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 255v).

თუ ზემოთ წარმოდგენილი გეგმა ვერ განხორციელდებოდა, სპარსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად საჭირო იქნებოდა თავრიზში მყოფ რუსეთის საქმეთა რწმუნებულთან, მაზაროვიჩთან შეთანხმებით, საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა ფათჰალი შაჰთან და გუბერ-ნატორებთან. ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ ფრანგი ვაჭრები და მათი საქონელი იმავე უსაფრთხოებითა და პრივილეგიებით ისარგებლებდნენ, როგორცაც რუსები.² ამ შემთხვევაში საშიში აღარ იქნებოდა სპარსეთში საქონლის გაგზავნა და იქ კანტორების დაარსება. ამას გარდა, შესაძლებელი გახდებოდა არა მხოლოდ 12-მილიონიანი ერის ვაჭრობის მონოპოლიზება, არამედ მის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნებისაც, რომლებიც აგრეთვე უეჭველად მოინდომებდნენ ამ ვაჭრობაში ჩართვას. ეს რუსეთისთვისაც მომგებიანი იქნებოდა, რადგან თავისი სამრეწველო საქონლისათვის ბაზარს მოიპოვებდა, რაც მას დიდ მოგებას მოუტანდა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 257r).

თეოდორ ეტიე იმასაც ვარაუდობდა, რომ სპარსეთთან ვაჭრობას ზოგიერთი საქონლის გამო იმდენად დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთისათვის, რომ მას დაკარგულ კოლონიებსაც კი დაავიწყებდა. საფრანგეთის საიმპორტო საქონელი იყო: აბრეშუმი, ბამბა, შალი, დიდი რაოდენობით საღებავი და სამკურნალო ნედლეული, ხორასანისა და ჰერათის ხალიჩები, სპარსეთში ქაშმირიდან შეტანილი შალები, მარგალიტები და სამკაულები, საფრანგეთის ცხენ-საშენებში ცხენების ჯიშის გასაუმჯობესებლად შესანიშნავი არაბული ცხენები სპარსეთის სამხრეთიდან. საფრანგეთში მათი გადაყვანა ადვილად იქნებოდა

1 სიმონ ივანეს ძე მაზაროვიჩი, 1817 წელს სპარსეთში გენერალ ერმოლოვის მეთაურობით წარგზავნილი ელჩობის ექიმი იყო. შემდეგ იგი დიპლომატიურ თანამდებობაზე გადაიყვანეს.

2 გულისთანის ხელშეკრულების მე-9-ე მუხლის თანახმად, რუსი ვაჭრების მიერ სპარსეთის ქალაქებსა და ნავსადგურებში შეტანილ, ან სპარსეთიდან გატანილ საქონელზე, საბაჟო გადასახადი 5 პროცენტზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. იგივე წესი მოქმედებდა სპარსელი ვაჭრებისათვის. საგულისხმოა, რომ 1821 წელს თბილისში მყოფი ალექსანდრ გრიბოედოვი თეოდორ ეტიესაგან ითხოვს გულისთანის ხელშეკრულების ტექსტს ფრანგულ ენაზე, რაც მიუთითებს ეტიეს ამ დოკუმენტით დაინტერესებას (Кальма, 1935: т. 19-21, 23).

შესაძლებელი იმერეთის ზღვიდან (იგულისხმება შავი ზღვა – ი.ნ.) მარსელში და უფრო ნაკლები ელირებოდა, ვიდრე საფრანგეთის მთავრობის მიერ ალექსის მხარეში ნაყიდი ცხენები.

სპარსეთში საფრანგეთის ექსპორტი უნდა ყოფილიყო ფრანგული წარმოების საქონელი დიდი რაოდენობით: ფრანგული მაუდი, სხვადასხვა ფერისა და ხარისხის აბრეშუმის ნაწარმი, ხავერდი, მარლა, ოქრომკედი, დიდი რაოდენობით მოჩითული ბამბის ყველა ხარისხისა და ფერის ქსოვილი, მცირე რაოდენობით რკინა-კავეული, ცოტაოდენი სამკაული, ბრტყლად დაწახნაგებული ალმასები, ფართო მოხმარების მოდელების ფაიფურის საათები, მინის ნაწარმი, ყავა Bourbon და Amérique, რაფინირებული შაქარი და ყანდი, პატარა წითელი ქუდები à la Gréque, ფრანგული მოდელების შალის და ბამბის წინდები, ზოგიერთი მოდელის შავი ტყავის ჩექმა და ფესხაცმელი, შალისა და ბამბის საკერავი ძაფები, მაკრატლები და ნემსები, პატარა ზომის სარკეები, იარაღი – პისტოლეტები, სანადირო თოფები და ხანჯლები სპარსელების გემოვნების გათვალისწინებით, აგრეთვე ხელთათმანები, ლენტები და სირმები მცირე რაოდენობით.

სპარსეთთან ვაჭრობის დასაწყებად ფრანგ აგენტს სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთთან შეთანხმებით უნდა დაედო თავდაპირველად ფათჰ-ალი შაჰთან და მხოლოდ შემდეგ სხვადასხვა გუბერნიების მმართველებთან, რადგან როდესაც ხელზე ექნებოდათ შაჰთან დადებული ხელშეკრულება, მეფისწულებისა და გუბერნატორების მოთხოვნები გაცილებით ნაკლები იქნებოდა. სპარსეთში ღირსეულად წარსადგენად, ფრანგ წარგზავნილს უნდა ხლებოდა შესაფერისი ამაღლა, შემდგარი ჭკვიანი და კეთილი ზნის ხალხისაგან. არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა მისიაში ისეთი პირის შეყვანას, რომელიც იცნობდა ქვეყანას. ეტიე წერდა, რომ „საჩუქრებითა და უეჭველი მოგების დაპირებებით სპარსელებს ყველაფერს გააკეთებინებ“-ო.¹ საფრანგეთის წარმომადგენელი ოთხი თვე თეირანში, რვა თვე კი თავრიზში იქნებოდა. ამ თანამდებობაზე საუკეთესო კანდიდატად მას კონსტანტინოპოლში საფრანგეთის პირველი დრაგომანი, ჟოზეფ ჟუანენი, მიაჩნდა: ქვეყნისა და ენის ზედმიწევნით ცოდნის გარდა, მას საუკეთესო რეპუტაცია ჰქონდა სპარსეთში, მას პატივს სცემდნენ შაჰი, წარჩინებულები და აბას მირზა, რომელთანაც მას კვლავ ჰქონდა მიწერ-მოწერა. ამას გარდა, კონსტანტინოპოლში მყოფი სპარსელი ვაჭრები იქ წარმოქმნილი სადავო საქმეების მოგვარებაში დახმარებისათვის სწორედ ჟუანენს მიმართავდნენ.

მეტად საყურადღებოა ეტიეს წინადადება იმის შესახებ, რომ მისიის შემადგენლობაში აუცილებელად შეეყვანათ ახალგაზრდა ექიმი-ქირურგი, რომელსაც უნდა შეესწავლა სპარსული ენა და თავისი პროფესიის გამო საჭირო გამხდარიყო წარჩინებულებისა და ჰარამხანისათვისაც. ეს მას ისე მისცემდა ინფორმაციის მოპოვებისა და საიდუმლო საქმეების წარმართვის შესაძლებლობას, რომ საეჭვო არ ყოფილიყო. პოლიტიკური ჯაშუშობის ამგვარი შესაძლებლობა თეოდორ ეტიეს ოსტ-ინდოეთის მისიის საქმიანობის ანალოგიით გაუჩნდა: სპარსული ენის კარგად მცოდნე ოსტ-ინდოეთის კომპანიის ექიმი ჯონ კორმიკი უფასო კონსულტაციას უწევდა აბას მირზას ჰარამხანას და იქ შეკრებილ ინფორმაციას კაპიტან ჰენრი ვილოკს აწვდიდა. ექიმს ძლიერ კარგი ურთიერთობა ჰქონდა აბას მირზასთან და მის პირველ საჭურისთან, რომელიც სპარსეთ-ინგლისის ურთიერთო-

1 აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის დასაწყისში, სპარსეთთან ურთიერთობის დაწყებისას, ტალიერანისადმი გაგზავნილ წერილებში ბაღდადში საფრანგეთის კონსული, ჟან-ფრანსუა რუსო, სწორედ ამ საკითხებს უსვამდა ხაზს (AMFAE, CP/Perse: vol. 8, doc. 64; vol. 9, doc. 26).

ბებში ერთ-ერთ მთავარ პერსონად მიიჩნეოდა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 256v-257r, 258v).

სპარსეთში ფრანგი წარმომადგენლის დამკვიდრების შემთხვევაში, საჭირო იქნებოდა კანტორების დაარსება ერევანში, თავრიზში, რაშთში, თეირანში, ისფაჰანსა და შირაზში. ეს მეტად მოხერხებული იქნებოდა ადგილობრივი ვაჭრებისათვის, რომლებიც ოდნავ მეტსაც კი გადაიხდიდნენ ადგილზევე ნანახ საქონელში და აღარც ფარდულის მიეტოვებდა დასჭირდებოდათ, რადგან თუ სპარსელ ვაჭარს არ ჰყავდა შესაფერისი ასაკის ვაჟი, რომელიც მისი არყოფნის დროს ჩაიბარებდა საქმეებს, იგი ფარდულს ხურავდა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 258r).

თეოდორ ეტიეს აზრით, იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთის მთავრობა სპარსეთში აგენტს საერთოდ არ გაგზავნიდა, კარგი იქნებოდა საწყობების გახსნა ერევანში, თავრიზში, რაშთსა და თეირანში, რადგან ამ ადგილებში მმართველები უფრო ცივილიზებულიები ჩანდნენ და ევროპელებთან ურთიერთობის მეტი გამოცდელეობა ჰქონდათ; ამასთან, ეს ადგილები საზღვართანაც ახლოს იყო და არეულობის შემთხვევაში ვაჭრები თავიანთი საქონლით სპარსეთიდან დროულად გავიდოდნენ. ძირითადი სატრანსპორტო საშუალება ცხენების, სახედრებისა და აქლემებისაგან შემდგარი ქარავნები იყო; სათანადო ანაზღაურების შედეგად ქარავნის უფროსი ყოველგვარი სახის საქონელს გადაიტანდა. სპარსეთის შიდა გზები უსაფრთხო იყო, შაჰთან დადებული ხელშეკრულების წყალობით კი, თუკი ქურდობა მოხდებოდა, დანაკლისი ადგილობრივ გუბერნატორს უნდა აენაზღაურებინა.

თეოდორ ეტიე სპარსეთის ყურით ვაჭრობასაც შეეხო. მას მიაჩნდა, რომ იქ ინგლისელებთან დაპირისპირება საშიში არ იყო, რადგან ინგლისური საქონელი ინგლისიდან ჯერ ინდოეთში შეჰქონდათ და მხოლოდ შემდეგ სპარსეთში და ის მეტად ძვირი იყო, ხოლო გზა ბანდარ-ბუშირიდან შირაზამდე ერთადერთი და თითქმის გაუვალი იყო. ამის გამო ინგლისელებს გაწვეული ჰყავდათ იქიდან რეზიდენტი და საქონელი მხოლოდ ბასრისა და ბაღდადის გზით გადაჰქონდათ, სადაც საფრანგეთსაც შეეძლებოდა მეტოქეობის გაწევა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 258v-259r).

ინგლისსა და თურქეთს შორის კოალიციის შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდებოდა ვაჭრობის შავი ზღვით წარმოება, შესაძლებელი იქნებოდა საქონლის გადაზიდვა ვოლგით პეტერბურგიდან ასტრახანში,¹ იქიდან კი კასპიის ზღვით² ბაქოდან რაშთამდე. ეს ქალაქი სავაჭრო საქონლის საწყობი გახდებოდა, ხარჯი კი მცირე, თითქმის იგივე იქნებოდა, რაც სპარსეთში შესატან საქონელზე; მდინარით გადატანის გაზრდილ ხარჯს ხმელეთით ტრანსპორტირებისას აინაზღაურებდნენ და იმ შემთხვევაში, თუ თეირანი გახდებოდა საქონლის ცენტრალური საწყობი, 35 დღესაც მოიგებდნენ, რადგან რაშთი იმავე მანძილზე მდებარეობდა თეირანიდან, როგორც რედუტ-ყალე (დღეს – ყულევი)³ ტიფლისიდან, საიდა-

1 თეოდორ ეტიე გულისხმობდა პეტერბურგთან მდ. ვოლგის აუზის დამაკავშირებელ ვიშნევილოცკის (XVIII ს.) და იმავე მიმართულებით გახსნილ მარიინის და ტიხვინის (1810-1811 წწ.) არხების სისტემებს. პირველი გემი ნევაზე 1815 წელს, ვოლგასა და კამაზე კი 1817 წელს გაუშვეს.

2 გულისთანის ხელშეკრულების მე-5-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ რუსეთის სავაჭრო გემებს უფლება ჰქონდათ ეცურათ კასპიის ზღვის სანაპიროებთან და მიდგომოდნენ მათ. იგივე უფლებები ჰქონდათ სპარსულ სავაჭრო გემებსაც.

3 მარსელიდან რედუტ-ყალემდე ვაჭრობის გეგმაში, ბრწყინვალე პორტაში საფრანგეთის საელჩოს სურვილიც აისახა: კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის (1820-

ნაც თეირანამდე ქარავნით აგრეთვე 35 დღე იყო საჭირო. ერთადერთი სიძნელე რუსეთის მთავრობისაგან ტრანზიტის უკაზის მიღება იქნებოდა. ეტიეს აზრით, ზაფხულში ვოლგით ასტრახანამდე და იქიდან რაშთამდე კარგად ორგანიზებული ნაოსნობა უფრო მომგებიანი იქნებოდა და ნაკლებად შეფერხდებოდა, რადგან ამ გზით თავიდან აიცილებდნენ ბაჟის გადახდას ერევნის სარდლის, ნახჭევანის, მარანდის, თავრიზისა და ზენჯანის მმართველებისათვის, რადგან საქმე მხოლოდ რაშთისა და ყაზვინის მმართველებთან იქნებოდათ. ამ ადგილებიდან თეირანამდე მხოლოდ 4 დღის სავალი იყო.

ზემოთ წარმოდგენილი გეგმის მიუხედავად, ფრანგი ოფიცრის აზრით ერთადერთი სანაოსნო გზა ზამთარში მაინც შავი ზღვა იყო, ამასთან მეტად ნათელი და თვალსაჩინო იყო ამ გზით საქართველოსა და სპარსეთს შორის ვაჭრობის უპირატესობაც: მარსელიდან რედუტ-ყალემდე ტვირთის გადატანის ხარჯი მხოლოდ ერთი პროცენტით აღემატებოდა მარსელიდან კონსტანტინოპოლამდე ტვირთის გადატანის ხარჯს. კონსტანტინოპოლიდან თავრიზამდე პირველი ხელის საქონელზე მოგება, მისი გადაზიდვა და საბაჟო გადასახადი კი სხვადასხვა საფაშოებში შედარებით მცირე წონის საქონელზე, ისეთზე, როგორიც მაჟდი იყო, საშუალოდ 50 პროცენტით იმატებდა, ხოლო სხვა სახის საქონელზე კი – 40 პროცენტით. ეტიეს რწმენით, ბალდადის, არზრუმისა და კონსტანტინოპოლის ვაჭრობაც გეზს ტიფლისისაკენ შეიცვლიდა, ვაჭრები კი უფრო დიდ მოგებას მიიღებდნენ (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 259v-260r). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ ამ საკითხზე წერის დროს ეტიესათვის უკვე ცნობილი იყო 1821 წლის შემოდგომაზე თურქეთში აბას მირზას შეჭრის შესახებ, რითაც დაიწყო 1821-1823 წლების თურქეთ-სპარსეთ ომი.

თეოდორ ეტიესვე ცნობით, საქართველოსა და რუსეთის მმართველობაში მოქცეულ მხარეებში რუს და უცხოელ ვაჭრებს ჰქონდათ პრივილეგიები, მაგრამ მეტ სარგებელს სპარსეთთან ვაჭრობა მოიტანდა, რადგან ხალხის დაბალი ფენა საქართველოსა და სპარსეთში ერთნაირად ღარიბი იყო, ხოლო საშუალო და მაღალი ფენა სპარსეთში – გაცილებით უფრო შეძლებული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა სპარსეთისაზე უფრო ღარიბი იყო, იმუამად არსებული სიმშვიდისა და უსაფრთხოების გამო მეტად სარფიანი იქნებოდა იქ საბითუმო ვაჭრობის წარმოება, რადგან შესაძლებელი იქნებოდა საექსპორტო საქონლის დიდი თანხით მონოპოლიზირება და ფასების დადგენა იმპორტულ საქონელზე. ეს მეტად ადვილი განსახორციელებელი იქნებოდა იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოსა და მის მიდამოებში ვაჭრობა იმუამად ადგილობრივი ვაჭრების ხელში იყო, რომელთაგან უმდიდრესს ხშირად 2 000 დუკატიც¹

1824), გრაფ არმან-შარლ დე გიემონის სურდა, რომ ფრანგი ვაჭრები დაფუძნებულიყვნენ ტრაპიზონში, თავრიზსა და ტიფლისში, მაგრამ მის მცდელობას შედეგი არ მოჰყვა. როდესაც 1821 წელს შევალიე გამბამ ტიფლისში გახსნა საკონსულო, აბას მირზაც დათანხმდა ჟოზეფ ჟუანენის წინადადებას საკონსულოს თავრიზში გახსნის შესახებ. ამიტომ შარლ X-ს საგარეო ურთიერთობათა მინისტრმა, ბარონმა ანჟ-ჰიაციინტ დე დამამ (1824-1828), სპარსეთთან ურთიერთობის განახლების მიზნით იქ ვიკონტი ეჟენ დესბასენ დე რიშემონი გაგზავნა, რომელსაც ტიფლისთან ოდესიდან ან შავი ზღვით სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაც დაევალა (Hellot, 2007: 110-111, 501). თავის მოხსენებით ბარათებში ვიკონტი დეტალურად ანალიზებს სპარსეთთან საფრანგეთის ვაჭრობის სხვადასხვა ვარიანტებს, მათ შორის ტიფლისის ჩართვასაც, მაგრამ მისი მოსაზრება ამ საკითხზე დადებითი არ იყო (Bélanger, 1836: II, 417-443).

1 დუკატი [რუს. червонец] – სამი მანეთის ღირებულების რუსული ოქროს ფული, რომელსაც მე-18 საუკუნიდან ჰქონდა გასავალი რუსეთში. რუსეთში დუკატს 1701-1855

კი არა ჰქონდა. საქონლის შესაძენად ვაჭარს ამ თანხით თვითონ უნდა მოეწყო რუსეთის ან კონსტანტინოპოლის ბაზრები თუ ბაზრობები, შემდეგ მის გადაყიდვას დალოდებოდა, რასაც ხშირად დიდი დრო სჭირდებოდა და ოჯახიც ამ მოგებით უნდა ერჩინა (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 260r-260v). როდესაც ვაჭრობა კარგად აეწყობოდა და იმერეთიდან (ეტიე იმერეთში ქუთაისს გულისხმობს – ი.ნ.) ბაქომდე კავშირი გაიოლდებოდა, შესაძლებელი იქნებოდა მის მიდამოებში უსაფრთხო ნავსადგურის შერჩევა და იქ ასიოდე ტონიანი გემის დაყენება. ის წელიწადში ორჯერ განსაზღვრულ დროს იმოძრაებდა კასპიის აღმოსავლეთ სანაპიროებზე და ადგილობრივ მოსახლეობას მათთვის საჭირო ყოველგვარ საქონელს ჩაუტანდა, სანაცვლოდ კი ექსპორტისთვის საჭირო საქონელს წამოიღებდა. რეიდზე მდგომ გემს კანტორის და საწყობის ფუნქცია ექნებოდა, საქონელს კი ადგილობრივ ვაჭრებთან შეთანხმებით გადაზიდავდნენ ხმელეთზე. გემი კასპიის ზღვის ყველა ნაპირს მიადგებოდა და ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებების მიხედვით ვაჭრობა თანდათან გაიზრდებოდა ყოველგვარი რისკისა და დიდი ხარჯის გარეშე. ფრანგული წარმოების საქონლის გასასაღებლად ან მის საექსპორტო საქონელზე გადასაცვლელად, შესაძლებელი იქნებოდა ვაჭრობის დაწყება ყალმუხებთანაც. ეს ვაჭრობა უდანაკარგო და წარმატებული იქნებოდა, უარეს შემთხვევაში კი ისეთივე წარმატება ექნებოდა, როგორც ასტრახანელ ვაჭრებს ჰქონდათ, რომლებიც იქ მესამე ან მეოთხე ხელიდან აღებულ საქონელს ყიდდნენ (AMFAE, MD/Perse, vol. 2, doc. 29. fol. 261r-261v).

დასკვნა. ამგვარად, XIX საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც თეოდორ ეტიე სპარსეთში ჩავიდა, საფრანგეთსა და სპარსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყვეტილი იყო, სავაჭრო კი არ არსებობდა. ხოლო ეტიეს მოსაზრებები საფრანგეთ-სპარსეთის ვაჭრობის შესახებ კერძო პირის მიერ ოფიციალური საფრანგეთის ტრადიციული სურვილის გაცხადება იყო.

როგორც ჩანს, ნაპოლეონის ექს-ოფიცერმა თეოდორ ეტიემ ვერ მიიღო საფრანგეთის მხარდაჭერა თავისი გეგმის განსახორციელებლად და საცხოვრებლად რუსეთში დარჩა. თავისი სავაჭრო გეგმის განხორციელებას იგი ალექსანდრ გრიბოედოვთან ერთად ეცადა, რომელსაც მუდმივად არ ჰყოფნიდა ფული სათანადო ცხოვრებისათვის. სპარსეთში ყოფნის დროს იგი სპარსეთის ბაზარზე ინგლისური კაპიტალის ბატონობასაც კარგად ხედავდა და რუსეთისათვის სპარსეთთან ვაჭრობას მნიშვნელობაც კარგად ესმოდა. რადგან მისთვის, როგორც დიპლომატისათვის, ვაჭრობის წარმოება შეუძლებელი იყო. ამიტომ 1823 წლის მაისში გრობოედოვმა, ალექსანდრ ვსევოლოუსკიმ და ეტიემ კომერციული საქმიანობა წამოიწყეს. თეოდორ ეტიე 1824 წლის 24 ივნისს სპარსეთში გაემგზავრა, 1825 წლის მარტში კი უკვე ჰქონდა „სპარსეთთან რუსეთის ვაჭრობის გეგმა.“ მასში დაწვრილებით იყო წარმოდგენილი ლამისთვის, ცხენებისა და საქონლის ტრანსპორტირების, საექსპორტო და იმპორტული საქონლის ფასები და სხვ. მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა არასაკმარისი თანხის გამო.

ალექსანდრ გრიბოედოვისა და მისი ოჯახის ხელშეწყობით,¹ თეოდორ ეტიეს კარგად იღებდა მოსკოვის თავადაზნაურობა. თავის მეუღლესთან, ანა-ფრანსუ-

წლებში ჭრიდნენ, მას ჩერვონეცი ეწოდებოდა და 3,6 გ-ს იწონიდა.

1 ეტიეების უფროსი ვაჟი, ალექსანდრი, მონათლეს ა. ვსევოლოუსკიმ და ალექსანდრ გრობოედოვის დამ, მარია სერგეევნამ; ა. ვსევოლოუსკიმ მონათლა ეტიეს ქალიშვილიც, ხოლო ეტიეების მესამე შვილი, შარლ-ადოლფი, გრიბოედოვის დედამ, ანასტა-

აზასთან ერთად იგი მათ ოჯახებში აღმზრდელით საქმიანობას ეწეოდა. 1842 წელს მან რუსეთის მოქალაქეობა მიიღო და ფეოდორ პეტროვიჩი დაირქვა. იგი 1846 წელს გარდაიცვალა მოსკოვში (Кальма, 1935: т. 19-21, 154-176).

დამოწმებული ლიტერატურა:

1. აბდ ორ-რაზაყ დომბოლი, *მეფეთა საგმირო საქმეები*. სპარსულიდან ქართულად თარგმნეს, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთეს ზ. შარაშენიძემ და ა. ჭეიშვილმა, თბილისი, 1982 (ხელნაწერი).
2. კაციტაძე დ., *ირანის ისტორია*, III-XVIII სს., თბილისი, 2001.
3. ნაჭყებია, ი., გენერალ გარდანის მისიის წევრთა ცნობები ირანის ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ ინდოეთზე ლაშქრობის კონტექსტში (1807-1809). – *აღმოსავლეთი და კავკასია*, №3, თსუ, ეძღვნება აკადემიკოს კოტე წერეთლის ხსოვნას, თბილისი, 2005, გვ. 184-203, 370.
4. შარაშენიძე ზ., *ირანის შინაპოლიტიკური ვითარება და საგარეო ურთიერთობანი XIX საუკუნის დასაწყისში*, თბილისი, 1984.
5. Балаян, Б. П., *Международные отношения Ирана в 1813-1823 гг.* Ереван, 1967.
6. Кальма, Н., „Коммерческие замыслы Грибоедова“. Литературное наследство, Москва, 1935, т 19-21, сс. 143-176.
7. Иоаннисян, А. Р., *Присоединение Закавказья к России и международные отношения в начале XIX столетия*, Ереван, 1958.
8. Amini, I. *Napoléon et la Perse, Les relations franco-persanes sous le Premier Empire dans le context des rivalités entre la France, l'Angleterre et la Russie*, Paris, 1995.
9. Archives du Ministère des Affaires Étrangères, Série, Correspondances Politiques, Perse (AMFAE, CP/Perse), vol. 8, doc: 2, 35, 64, 165; vol. 9, doc: 26, 171; vol. 11. doc. 181.
10. Archives du Ministère des Affaires Étrangères, Série: Mémoires et Documents, Perse, (AMFAE, MD/Perse), vol. 2, doc. 29; vol. 6, doc: 1, 19; vol. 7, doc. 32.
11. Archives du Ministère des Affaires étrangères, Protocoles (AMFAE, Protocoles), C 13, Copie.
12. Bélanger, Ch. *Voyage aux Indes Orientales, par le Nord de l'Europe, les provinces du Caucase, la Géorgie, l'Arménie et la Perse, suivi de détails topographiques, statistiques et autres sur le Pégou, les îles de Java, de Maurice et de Bourbon, sur le cap de Bonne-Espérance et Sainte Héléne pendant les années 1825, 1826, 1827, 1828 et 1829, I-VIII, 8 et 3 atlas grands.* Paris, 1836-1846.
13. Calmard, J. France, ii. Relations with Persia to 1789. *Encyclopædia Iranica*, vol. X, 2000.
14. Hellot-Bellier, F. *France - Iran, quatre cents ans de dialogue*. Avec le concours de L'UMR 7528 «Mondes iranien et indien », Paris, 2007.
15. Natchkebia, I. „General Gardane and the members of his mission on Persia in the context of the Indian expedition (1807-1809)“. – *Eurasian Studies* V/1-2, 2006 (volume special: Liber Amicorum. Etudes sur l'Iran

სია ფეოდოროვნამ და მასწავლებელმა ადოლფ პეროტემ მონათლეს (Кальма, 1935: т. 19-21, 160, 170, 175).

- medieval et moderne offertes a Jean Calmard, textes reunis par Michele Bernardini, Masashi Haneda et Maria Szuppe), pp. 235-255.
16. Rousseau, J.-B. Louis Jacques. *Voyage de Bagdad à Alep* (1808). Publié d'après le manuscrit inédit de l'auteur, par Louis Poinssot, Membre de la Société de Géographie de Paris. Paris, 1899.
 17. Sacy, Sylvestre de. *Eloge historique de feu Jean-François Rousseau ancien consul général de France à Bagdad et à Bassora, mort à alep le 12 mai 1808*. Précédé de quelques détails curieux et intéressans sur le voyage de son père à la cour de Perse, au commencement du dix-huitième siècle. 1810.
 18. Service historique de l'Armée de Terre (SHAT), Vincennes), 1M, n°1673.
 19. Sevaistre, Contre Amiral (cr). „Missions Françaises en Perse en 1805 et 1810“. *Revue d'histoire diplomatique*, I, Paris, 1996, pp. 191-200.
 20. Touzard A.-M. „Un drogman Grec consul de France en Perse“. *Studia iranica*. Cahier 26, Iran questions et connaissances. Actes du IV^e congrès européen des études iraniennes organisé par la Societas Iranologica Europea, Paris, 6-10 septembre 1999, vol. II: Périodes médiévale et moderne, texte réunis par Maria Szuppe, Paris, 2002, pp. 297-316.

გულზად ამირანაშვილი

ზოგიერთი შენიშვნა ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის შესახებ

ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის აღდგენა-შესწავლასა და ტაძრის მშენებლობის თარიღთან დაკავშირებული საკითხების კვლევას მრავალი ქართველი მეცნიერი შეეხო: ლევან მუსხელიშვილი (1938, 325-7), აკაკი შანიძე (მის მიერ გაშიფრული ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი წარწერის ტექსტი გამოქვეყნდა გიორგი ჩუბინაშვილის ნაშრომში, 1940, 69), გიორგი ჩუბინაშვილი (1940), კორნელი კეკელიძე (აკაკი შანიძის გაშიფრვას თავიდან არ დაეთანხმნენ ლევან მუსხელიშვილი და კორნელი კეკელიძე; მათ მხოლოდ მოგვიანებით აღიარეს აკაკი შანიძის წაკითხვის მართებულობა: ლ. მუსხელიშვილი 1941, 12, შენიშვნა 4; კორნელი კეკელიძე 1960, 420), ივანე ჯავახიშვილი (1949, 163-4), სარგის კაკაბაძე (მის მიერ 1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე წაკითხული მოხსენება გამოქვეყნდა 1985 წელს), შალვა ამირანაშვილი (1958, 1-3), ჯუანშერ ამირანაშვილი (1968), ვალერი სილოგავა (1970), ნუკრი შოშიაშვილი (1980, 67), მიხეილ ჩხიკვაძე (1981, 40-58), რამაზ პატარიძე (1984, 140-159), საურმაგ კაკაბაძე (1984, 90-99), ბაადურ მჭედლიშვილი (1984, 100-114), ნოდარ ლომოური (1984, 115-129), ნუგზარ ანდლულაძე, დავით თუმანიშვილი, თეიმურაზ საყვარელიძე (1984, 129-141), ანრი ბოგვერაძე (1985, 168-9), მარინა ჩხარტიშვილი (1984, 166), ელენე მაჭავარიანი (1985), ვახტანგ გოლაძე (1990, 120-126)...

დღემდე ისევ ძალაშია ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერის აკაკი შანიძისეული წაკითხვა, რაც თავიდანვე გაზიარებული იქნა გიორგი ჩუბინაშვილის მიერ. მცირეოდენი ტექსტობრივი ცვლილებით, ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა ცალკე წიგნად გამოაქვეყნა ელენე მაჭავარიანი.

სასანიანთა ირანის საშუალო-სპარსულ ეპიგრაფიკულ ძეგლების შესწავლის პარალელურად ვიკვლევდი ქართულ ეპიგრაფიკულ მასალას. წინამორბედ მკვლევარებთან შედარებით განსხვავებული თვალსაზრისი ჩამომიყალიბდა ბოლნისის სიონის ასომთავრული წარწერების შესახებ.

ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიან ასომთავრულ წარწერაზე მუშაობის დროს ვიხელმძღვანელებ გამოჩენილი გერმანელი მკვლევარის – არქეოლოგი-სა და ეპიგრაფისტის, ენათმეცნიერისა და ისტორიკოსის ერნსტ ჰერცფელდის მეთოდით: წარწერის ტექსტის დაყოფა თანაბარ ვერტიკალურ ნაწილებად. ეს მეთოდი ერნსტ ჰერცფელდმა გამოიყენა სასანელი შაჰინშაჰ ნარსეს (293-302) სახელით ამოკვეთილი ორენოვანი (პართულ და საშუალო-სპარსულ ენებზე) წარწერის აღდგენისა და გაშიფრვის დროს. ასეთმა სეგმენტურმა ბადემ მეცნიერს საშუალება მისცა განესაზღვრა წაშლილ ასოთა სავარაუდო რაოდენობა და შესაბამისად აღედგინა ტექსტი.

ეპიგრაფიული ტექსტის აღდგენის პერცფელდისეული მეთოდი გამოვიყენე ბოლნისის ოთხსტრიქონიანი წარწერის შესწავლისათვის. წარწერის ტექსტი დავყავი ვერტიკალური პარალელური ხაზებით და მთლიანი ეპიგრაფიკული მასალა მოვაქციე ორასოიან კვადრატებში.

ბოლნისის სიონის ეპიგრაფიკისათვის პერცფელდის მეთოდის გამოყენების შედეგად აღმოჩნდა:

ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ეპიგრაფიული ძეგლი წარმოადგენს არა ერთ მთლიან ტექსტს, როგორც ეს მიღებულია მეცნიერებაში, არამედ იგი შედგენილია ორი სხვადასხვა წარწერისაგან. კერძოდ, ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ეპიგრაფიკული ძეგლის ზედა ორი სტრიქონი წარმოადგენს დასრულებული აზრის მქონე პირველ წარწერას, ხოლო ქვედა ორი სტრიქონი – ასევე დასრულებული აზრის მქონე მეორე წარწერაა.

პირველი ანუ ზედა ორსტრიქონიანი წარწერის მიხედვით ეკლესიის მშენებლობა პეროზ მეფის სახელთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე ანუ ქვედა ორსტრიქონიანი წარწერის მიხედვით ეკლესიის მშენებელია სასულიერო პირი – ეპისკოპოსი.

პირველი წარწერისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე მეორე წარწერა არ წარმოადგენს პირველი წარწერის გაგრძელებას ან მის მეორე ნაწილს.

განსხვავება მდგომარეობს იმაშიც, რომ ზედა ორსტრიქონიან წარწერაში დაცულია სიტყვათგამყოფი ინტერვალი, რომელსაც ერთი ასოს მოხაზულობისათვის განკუთვნილი ფართი უჭირავს. ქვედა ორსტრიქონიან წარწერაში სიტყვათგამყოფი ინტერვალი არ არსებობს, სიტყვები გადაბმულად მიყვებიან ერთიმეორეს.

ვიზუალურადაც ადვილად შესამჩნევია, რომ ზედა წარწერის ასოთა მოხაზულობა ოდნავ განსხვავებული ფორმისაა, ვიდრე ქვედა წარწერის ასოთა მოხაზულობა. ამასთანავე, ზედა წარწერაში საკმაოდ ხშირია ასომკვეთი – ხელოსნის მიერ დაშვებული შეცდომა ასოს მონახაზის კვეთის დროს. შეცდომადაშვებული ასოსათვის სათავსი ფართი მთლიანად გადაფხეკილია ასომკვეთის მიერ, რის გამოც ზედა წარწერის ზოგიერთი სიტყვა წყვეტილად არის წარმოდგენილი. მაგ., „სამების – აძთა“, „ა-მის“, „ეკ-ლესიადსაჲ“ და სხვ. ასეთი შემთხვევა ქვედა ორსტრიქონიან წარწერაში არ დასტურდება.

ქვედა ორსტრიქონიანი წარწერის ასომკვეთის მიერ კვეთის დროს არსად არ არის დაშვებული არც ერთი შეცდომა, ე.ი. კვეთის ტექნიკის თვალსაზრისით წარწერები გამოიყოფა ერთმანეთისაგან. ეს იმ გასაგები გარემოების გამო, რომ ზედა და ქვედა წარწერა შედგენილია განსხვავებული ხელწერის მქონე სხვადასხვა ასომკვეთის მიერ. ამასთან ერთად ჩანს, რომ ქვედა ორსტრიქონიანი წარწერის ასომკვეთი თავის საქმეში დახელოვნებული ოსტატი ყოფილა.

ქვედა ორსტრიქონიან წარწერაში არის შემთხვევები, როცა ორი ასოს ტევადობის ერთ კვადრატში მოთავსებულია შემცირებული ფორმის სამი ასო, ანდა, ორ კვადრატში მოთავსებულია გადიდებული ფორმის სამი ასო. ასეთი შემთხვევები ზედა ორსტრიქონიან წარწერაში არ შეიმჩნევა.

თუ ტრადიციისამებრ, ბოლნისის სიონის ეპიგრაფიკულ ძეგლს მივიჩნევთ ერთ მთლიან ოთხსტრიქონიან წარწერად და გამოვალთ მისი ერთობლივი შინაარსიდან, ვღებულობთ შეუსაბამობას. კერძოდ, თხუთმეტი წლის განმავლობაში მშენებარე ეკლესია დამთავრებისთანავე მყისვე ააშენა ეპისკოპოსმა. მხოლოდ ორ წარწერად წარმოდგენილ ტექსტთა შედარებითი შესწავლის შედეგად

ირკვევა, რომ დროითი ინტერვალის დაცვით ერთი და იგივე ეკლესია აშენდა ორჯერ, შესაბამისად ორ სხვადასხვა წელს.

ეპისკოპოსის მიერ ეკლესიის აგება გამოწვეული უნდა ყოფილიყო პირველად შენებული ეკლესიის დანგრევით. მტრის მიერ ან ჩამორღვევა-ჩამოშლით რაიმე სხვა ბუნებრივი მოვლენის შედეგად.

როგორც ეს ბოლნისის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ეპიგრაფიული ძეგლის ზედა ორსტრიქონიანი წარწერის შინაარსიდან ირკვევა, ეკლესია აშენდა „შეწვენითა წმიდისა სამებისათა“. ეს ქრისტიანული ფორმულა გვიზუსტებს, რომ პირველშენებული ეკლესია წარმოადგენდა სამების სახელზე შექმნილ ქრისტიანულ ტაძარს.

ქვედა ორსტრიქონიანი წარწერის „ქე შენდა მიმართ ვინ აქა შინა თაჳყანისხცეს ღწ შეიწყალენ და ვინ [ამის ეკლესიაჲსა მაშწნებელსა დთ ე] პისკოპოსსა ხულოცოს იგიცა ღწ შეიწყალენ ამჟნ“ (ე. მაჭავარიანი, 1985, 20). შინაარსის მიხედვით ეკლესიის მამულებელია ქრისტიანული სასულიერო იერარქიის წარმომადგენელი ეპისკოპოსი. სამწუხაროა, რომ ტექსტში „ეპისკოპოსის“ წინმსწრები სიტყვა, სადაც მისი სახელი იქნებოდა აღნიშნული, მთლიანად გადაშლილ-დაზიანებულია და არ ექვემდებარება არავითარ აღდგენას.

წმიდა მარიამის მიძინების სახელზე უნდა ყოფილიყო ეპისკოპოსის წყალობით აგებული ეკლესია, რასაც მოწმობს დღემდე შემორჩენილი ამ ეკლესიის სახელი „სიონი“. ადვილი შესაძლებელია, რომ ეკლესიის მშენებელი ეპისკოპოსი, მის მიერ შენებულ ეკლესიაში განისვენებდეს.

ბოლნისის სიონმა მეორეჯერ განიცადა რეკონსტრუქცია – განახლება, კერძოდ, V ს-ის 70-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ვახტანგ მეფის (V ს-ის მეორე ნახევარი) საეკლესიო რეფორმის შედეგად ქართლში დაწესდა კათალიკოსობა. სწორედ ამ პერიოდში განახლდა ძველი და აშენდა ახალი საეპარქიო ტაძრები და იქ შეიცვალნენ ეპისკოპოსები. ამ წლებში ბოლნისის ეპარქიის წინამძღვრად უნდა გამხდარიყო ეპისკოპოსი დავითი, რომლის სახელით ამოკვეთილია რვასტრიქონიანი ასომთავრული წარწერა ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე, მზის დისკოში ჩასმულ „ძღვევის ჯვრის“ ირგვლივ.

მეცნიერებაში არსებულ თვალსაზრისით, ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე არსებულ რვასტრიქონიან ასომთავრულ წარწერას მიიჩნევენ ბოლნისის ეპარქიის წინამძღვრის დავით ეპისკოპოსის მოსახსენებელ წარწერად (ელ. მაჭავარიანი, 1985, 36). რადგანაც დავით ეპისკოპოსი ბოლნისისა, მონაწილეობას იღებდა ალბანელთა, სომეხთა და ქართველთა 506 წლის დვინის საეკლესიო თავყრილობაზე და მისი ხელმოწერაა დაფიქსირებული კრების ძეგლის წერაში (ივ. ჯავახიშვილი, 1949, 164; ზ. ალექსიძე 1968, 97; ივ. ჯავახიშვილი, 1979, 340), ამიტომ დავით ეპისკოპოსის მოსახსენებელი წარწერა ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე უნდა ჩაითვალოს 506 წლის შემდგომი პერიოდის ეპიგრაფიკულ ძეგლად. ეს წარწერა ამოკვეთილი უნდა იყოს დავით ეპისკოპოსის გარდაცვალების წელს.

ასევე მოსახსენებელი შინაარსის წარწერაა ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ეპიგრაფიკული ძეგლის ზედა ორსტრიქონიანი წარწერაც. ამას გვიდასტურებს ტექსტის დასაწყისში არსებული ქრისტეს ჯვრის გამოსახულება და არა აქ ამოცნობილი ასო „ქ“-ანი, დაქარაგმების ნიშნისა და დაბოლოება „ე“-ნის გარეშე.

ასევე მოწამებრივი ჯვარი უნდა იგულისხმებოდეს ქვედა ორსტრიქონიანი წარწერის ტექსტის საწყისს ნაწილშიც, რაც აღდგენას არ ექვემდებარება.

ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ეპიგრაფიული ძეგლის როგორც ზედა ორსტრიქონიანი წარწერა, ასევე ქვედა ორსტრიქონიანი წარწერაც სამშენებლო დანიშნულებასთან ერთად წარმოადგენენ მოსახსენებელ წარწერებს. ასევე მოსახსენებელი წარწერაა რვასტრიქონიანი ეპიგრაფიკული ძეგლი ბოლნისის სიონის აღმოსავლეთ ფასადზე: „ქ(რისტ)ე დ(ავი)თ ეპისკოპოსი კრებო/ზლი-თურთ და ამას ეკ/ლესიასა შინა შენდ/ა მიმართ თაჴ/ყანისმცემელ/ნი შეიწყალენ და/ მშრომელთა ამას ეკლესიასა/ შინა შეხეწიე ი(ყავ)ნ ი(ყავ)ნ“ (ე. მაჭავარიანი, 1985, 36).

ბოლნისის სიონის ბოლო რეკონსტრუქციის დროს, ე.ი. V ს-ის 70-იანი წლების მეორე ნახევარში უკვე აღარ იყო მისთვის განკუთვნილ ადგილზე ჩრდილოეთ ფასადის მარცხენა შესასვლელის წარწერებიანი ზღუდარის შუა ნაწილი. იგი, 1937 წლამდე პირქვე იყო ჩაფლული სიონის ეკლესიის ჩრდილოეთ ფასადის მარცხენა მხარის შესასვლელში. და სწორედ ამიტომ შემოგვინახა.

დასკვნის სახით აღვნიშნავ, რომ ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ეპიგრაფიული ძეგლის სამშენებლო-მოსახსენებელი შინაარსის პირველი ორი სტრიქონი ანუ ზედა ორსტრიქონიანი წარწერა განეკუთვნებოდა სამების ეკლესიას, რომელიც აღარ არსებობს.

ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ეპიგრაფიკული ძეგლის მეორე ორი სტრიქონი ანუ სამშენებლო-მოსახსენებელი დანიშნულების ქვედა ორსტრიქონიანი წარწერა განეკუთვნება ტაძრის პირველი რეკონსტრუქციის პერიოდს და წარმოადგენს წმიდა მარიამის მიძინების ეკლესიის კუთვნილ წარწერას. ეს ეკლესიაც არ შემოინახა.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლნისის სიონის მეორე ანუ ბოლო რეკონსტრუქცია ჩატარდა V ს-ის 70-იანი წლების მეორე ნახევარში. და სწორედ, ამ პერიოდში განახლებულმა ქრისტიანულმა ტაძარმა მოაღწია ჩვენამდე.

ბოლნისის სიონის ოთხსტრიქონიანი ასომთავრული ეპიგრაფიკული ძეგლის პირველი ორი სტრიქონი ანუ ზედა ორსტრიქონიანი წარწერა ჩვენი მეცნიერების მიერ ამოკითხულია განსხვავებულად; მოგვაქვს ამ წარწერის ზედა ორი სტრიქონი გაშიფრული აკაკი შანიძის მიერ:

„შეწევნითა წმიდისა სამებისადთა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე ხიქმნა დაწყებამდ ამის ეკლესიადსად და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა“ (გ. ჩუბინაშვილი 1940, 69).

აკაკი შანიძისეული მეორე ვარიანტი:

„შეწევნითა წმიდისა სამებისადთა ოც წლისა პეროზ მეფისა ზე დახიდვა საფუძველი ამის ეკლესიადსად და ათხუთმეტ წლისა შემდგომად განხეშორა“ (ა. შანიძე, 1975, 30).

რამაზ პატარიძის ამოკითხვით:

„ოო შეწევნითა წმიდისა სამებისადთა ოოფელისა პეროზ მეფეთა თვისისა ნახპეტობასა ხიწყო წ~ ისა ამის ეკლესიადსად და ათხუთმეტ წლისა ჟამეოვლსა აღხეშენა“ (რ. პატარიძე 1984, ელ. მაჭავარიანი, 1985, 14).

სარგის კაკაბაძის წაკითხვით:

შეწვენ[ითა წმიდ]ისა სამებისადთა ო[არიზ]ისა პეროზ მეფე[თა ავადაგი]სა [ნ]ახპე – [ტობასა ხიწყეს] ამის ეკლესიადსად და ათხოვთმეტ წლი[სა ზედა სროვლიადლ]ა [განხეშორა... (ს. კაკაბაძე, 1985, 150)].

ელენე მაჭავარიანის ვერსიით:

„ქ. შეწევნითა წმიდისა სამებისადთა ოც წლისა პეროზ მეფედასაა შშნებად ხიწყო წმიდისა ამის ეკლესიადსა და ათხუთმეტ წლისა განხეშორა“ (ე. მაჭავარიანი, 1985, 20).

ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილი არგუმენტების გათვალისწინებით წარწერის აღდგენილი ფორმა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

(2) (1) (1) (1) (3) (2) (1) (1) (4) (2) (2)

„† შეწევნითა წმიდისა სამებისადთა უფ/ა/ლისა პეროზ მეფე/დასა წყალობითად

(1) (1) (4 (1) (1) (1) (1) (1) (2) (2)

ხი – ქმნა შანებად amis ეკლესიადსა და ათხუთმეტ წლისა/დასაა მეფობადასა (1)

განხეშორა.“

(1) – აკაკი შანიძის ამოკითხვით, (2) – გულბად ამირანაშვილის ცდით, (3) რამაზ პატარიძის ვარიანტით, (4) ელენე მაჭავარიანის ვერსიით.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე, ზ. *ეპისტოლეთა წიგნი*, თბილისი 1968.
2. ამირანაშვილი, შ. ბოლნისის სიონის ტაძრის აგების თარიღის დაზუსტებისათვის, *საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის შრომები*, №4(61), თბილისი 1958, გვ. 1-3.
3. ამირანაშვილი, ჯ. *ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები*, თბილისი 1968, გვ. 19-25.
4. ზოგვერაძე, ა. ძიებანი V ს-ის საქართველოს ისტორიიდან, „*მაცნე*“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1985, №4, გვ. 168-169.
5. გოილაძე, ვ. ბოლნისის სიონის აშენების საკითხი ძველი ქართული წყაროების მიხედვით, იხ.: მისივე, *ფარნავაზიანთა სახლის ქრისტიან მეფეთა ქრონოლოგია*, თბილისი 1990, გვ. 120-126.
6. კაკაბაძე, ს. ბოლნისის ტაძრის წარწერების შესახებ, „*მნათობი*“, 1985, №5, გვ. 149-154.
7. კეკელიძე, კ. ბოლნისის ტაძრის წარწერების ინტერპრეტაციისათვის, იხ.: მისივე „*ეტიუდები*“, VI, თბილისი 1960.
8. ლომოური, ნ., ანდლულაძე, ნ., თუმანიშვილი, დ., საყვარელიძე, თ. ბოლნისის სიონის საკითხისათვის, „*მაცნე*“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, №3, გვ. 115-141.
9. მაჭავარიანი, ე. ბოლნისის სიონის სამშენებლო წარწერა, თბილისი 1985.
10. მუსხელიშვილი, ლ. ბოლნისი, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე (შემოკლ.: „ენიმიკი“-ს მოამბე), ტ. III, თბილისი 1938.
11. მუსხელიშვილი, ლ. *არქეოლოგიური ექსპედიცია მაშავერსხეობაში*, თბილისი 1941.

12. მჭედლიშვილი, ბ. ბოლნისის სიონის დათარიღებისათვის, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, №3, გვ. 100-114.
13. პატარიძე, რ. ბოლნისის ტაძრის სამშენებლო წარწერები, „მნათობი“ 1984, №1, გვ. 140-159.
14. საყვარელიძე, თ. ბოლნისის სიონი, თბილისი 1983.
15. სილოგავა, ვ. ბოლნისის სიონის უძველესი ქართული წარწერები, იხ.: ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომები, ტომი X, თბილისი, 1970.
16. შოშიაშვილი, ნ. ლაპიდარული წარწერები, ტ. I, თბილისი 1980.
17. ჩხარტიშვილი, მ. ფრიად სარწმუნო ბაკური, „მნათობი“, 1985, №5, გვ. 161-166.
18. ჩხიკვაძე, მ. ბოლნისის სიონის აგების დათარიღებისათვის, „არქიტექტურა და მშენებლობა“; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებული №1, თბილისი 1981, გვ. 40-58.
19. ჯავახიშვილი, ი. ქართული პალეოგრაფია, თბილისი 1949;
20. ჯავახიშვილი, ი. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი I, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი. თბ. 1979.
21. Какабадзе, С. *Строительная надпись Болнисского Сиона*, „მაცნე“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1984, №3, გვ. 90-99.
22. Чубинашвили Г.Н., *Болнисский Сион. Исследование по истории грузинской архитектуры*, აკად. ნ. მარის სახელობის „ენიმკი“-ს მოამბე, ტ. IX, თბილისი 1940.

ირაკლი ფალავა

**საფიანაბთან საქართველოს ურთიერთობის
ისტორიიდან — კახეთის ქალაქი ბაზარი (ზაგემი) XVII-XVIII საუკუნეებში**

(ნუმისმატიკური და წერილობითი მონაცემებით)

ქალაქი ბაზარი¹ XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოს ერთ-ერთი წამყვან ურბანულ ცენტრად მიიჩნევა (ჭილაშვილი, 1980: 171-179; Кутелия, 1979: 22-24). განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მისი ეკონომიკური მნიშვნელობა — ბაზარი, როგორც ჩანს, ამ ქართული პოლიტიკური ერთეულის ფულის გამომშვებ ერთადერთ ცენტრს წარმოადგენდა (ჭილაშვილი, 1980: 175-179)².

იქ მოჭრილ და ჩვენამდე მოღწეულ მონეტებზე მოჭრის ადგილის აღსანიშნავად მითითებულია გრაფემები „აჟ“. ბირკიანის განძის სეფი I-ის სახელით მოჭრილ მონეტებზე ეს გრაფემები ზაგემად ა. რაჯაბლიმ წაიკითხა (მას, საზოგადოდ, დასაფასებელი წვლილი აქვს შეტანილი ამ ზარაფხანის ამოკითხვაში³) (Кутелия, 1979: 16-17). ზარაფხანა „აჟ“ ქალაქ ზაგემს მართებულად დაუკავშირეს დ. კაპანაძემ და ლ. ჭილაშვილმა (კაპანაძე, 1969: 139; ჭილაშვილი, 1973). ზაგემისა და ბაზარის იგივეობა დამტკიცებულია და ეჭვს არ იწვევს (Кутелия, 1979: 21-25; ჭილაშვილი, 1980: 157-161; პაპუაშვილი, 2008: 106, 108).

ზაგემში მონეტის გამოშვების ისტორიისა და ამ ზარაფხანის ნაწარმის შესწავლის საქმეში თვისობრივი ახალი ეტაპი უკავშირდება თ. ქუთელიას სახელს. მის ნაშრომებში, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ეპოქის ქართული ნუმისმატიკური ისტორიის მკვლევართათვის სამაგიდო წიგნად ქცეული „Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)“, დაწვრილებით არის გაანალიზებული ქ. ზაგემის ზოგად-სეფიანური ტიპის საფასე, დაწყებული XVI საუკუნითა და დასრულებული შაჰ სეფი I-ის სახელით გამოშვებული ჰ. 1039 (1629/30) და 1041 (1631/2) წწ. დათარიღებული აბაზიანებით (ქუთელია, 1970; ქუთელია, 1972; Кутелия, 1979: 14-25). აღსანიშნავია, რომ ზაგემის ამაზე უფრო გვიანდელ საფასეს ქართული ისტორიოგრაფია ადრე არ იცნობდა. ყურადსაღებია ისიც, რომ ორივე ზემოთ აღნიშნული მონეტა უნიკალური იყო, ვინაიდან წარმოადგენდა ორ განსხვავებულ სამონეტო ტიპს — ჰ. 1039 წ. აბზასი A ტიპისაა

1 ქალაქი ბაზარი ამ სახელით ქართულ წყაროებში პირველად, როგორც ჩანს, 1392 წელს იხსენიება (ჭილაშვილი, 1980: 160; პაპუაშვილი, 2008: 105).

2 სპილენძის მონეტები, რომელზედაც მოჭრის ადგილად „კახეთია“ აღნიშნული, სავარაუდოდ, აგრეთვე ზაგემში იჭრებოდა (Акопян-Алексамян, в печати).

3 ამასთანავე, თავის ბოლო დროის შრომაში ა. რაჯაბლის რამდენჯერმე ხაზგასმული აქვს რომ ზაგემი (ავტორი რატომღაც დასაშვებად თვლის მოჭრის ადგილის ალტერნატიულ წაკითხვასაც: ზეამი ან ზაამი) აზერბაიჯანში მდებარეობს (Раджабли, 1997: 124, 141) (მისი წარსული სტატუსი — კახეთის სამეფოს ერთ-ერთი დედაქალაქი — მითითებული არ არის). ამასთანავე, რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ამავე ნაშრომში სეფი I-ის ზარაფხანებს შორის ზაგემი მითითებული საერთოდ არ არის (Ibid., 145).

(Album, 2011: 279) (იხ. სურ. 1), ვინაიდან მის შუბლზე მითითებული იყო შაჰის აღმნიშვნელი შემდეგი პროტოკოლი¹



სურ. 1²

ხოლო ჰ. 1041 წ. დათარიღებული აბაზი კი – B ტიპისაა (ამ სამონეტო ტიპზე vide infra).

ბოლოდროინდელი აღმოჩენები ავსებს ჩვენ ცოდნას კახეთის სამეფოს ნუმისმატიკურ ისტორიაზე. მიკვლეულია მოჰამად ხოდაბანდეს სახელით ზაგემში მოჭრილი მონეტები (Пагава, в печати); ზაგემში მოჭრილი სპილენძის მონეტები, სპილენძის მონეტები დამლით “فلوس زکم”, მონეტები მოჭრილი „კახეთში“ (Акопьян-Алексаиян, в печати); ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ცნობა მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობის პერიოდში კახეთში (ზაგემში?) ოსმალური ტიპის საფაშის გამოშვების შესახებ (ფალავა, 2012: 128-129).

მიუხედავად ამისა, კახეთის ქალაქ ბაზარში მონეტის გამოშვების, ისევე როგორც, საზოგადოდ, ქალაქის ისტორია საბოლოოდ შესწავლილად, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება. ახალი მონაცემები იძლევა შესაძლებლობას სხვანაირად მოიაზროს ქ. ბაზარის (ზაგემის) და, მასთან ერთად – საქართველოს შესაბამისი კუთხის³, შედარებით გვიანდელი პერიოდის თავგადასავალი.

ჩვენი მიზანი სწორედ ამაში მდგომარეობს – წინამდებარე ნაშრომში ვაწარმოებთ 1630-იანი წლებიდან და XVIII საუკუნის ჩათვლით ქ. ბაზარის ისტორიის ანალიზს ახალი ნუმისმატიკური ფაქტების საფუძველზე და წერილობითი წყაროების მოშველიებით.

ამ მხრივ საყურადღებოა ისეთი წერილობითი წყაროები, როგორცაა სხვადასხვა ისტორიული საბუთი (კახთა მეფეების სიგელები, სპარსული დოკუმენტები), რუსი ელჩების ცნობები, სპარსული ადმინისტრაციის სახელმძღვანელო თაზეირათ ალ-მულუქი (პაპუაშვილი, 2008: 106-110; *Tadhkirat al-Muluk*, 1943: 101; Берадзе-Смирнова, 1988: 86).

განვიხილოთ ჩვენს მიერ აღმოჩენილი ახალი ნუმისმატიკური მასალა⁴:

1 აქ და შემდგომში, არაბული და სპარსული ლეგენდების თარგმანი არ მოგვყავს (ლექსად ჩამოყალიბებული სიტყვების თამაშის შემცველი სპარსული ლეგენდების თარგმნა საგანგებო კვლევას საჭიროებს და ცდება ჩვენი ამჟამინდელი ამოცანის ფარგლებს).

2 ამ და სხვა მონეტების გამოსახულებები უმასშტაბოდ არის მოყვანილი.

3 როგორც ცნობილია, XX საუკუნეში, საქართველოს ძალდატანებითი სოვეტიზაციის შემდეგ ეს ტერიტორია აზერბაიჯანის შემადგენლობაში მოექცა და ამჟამად საინგილოს ჩრდილოეთ ნაწილს შეადგენს.

4 ზუსტი მეტროლოგიური მონაცემები ცნობილია მხოლოდ ზოგიერთი მონეტისთვის.



სურ. 2

პ. 1045 წლით (1635/6) დათარიღებული აბაზი, სეფი I, ზაგემი, წონა 7.56 გ, სიქების თანაფარდობა 7:45 სთ-ზე (სურ. 2)

შუბლი:

هست از جان غلام شاه صفی
ضرب ز کم ۱۰۴۵

ზურგი: შიიტური რელიგიური ფორმულა:

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي الله

რთულ (ხაზოვან-წერტილოვან-ხაზოვან) რკალშია ჩასმული.

ეს მონეტა, შაჰის აღმნიშვნელი პროტოკოლიდან გამომდინარე, უკვე B ტიპისაა (Album, 2011: 279) (ისევე როგორც პ. 1041 წ. დათარიღებული აბაზიანი ბირკიანის განძიდან – vide supra).

მისი არსებობა გვიდასტურებს, რომ ზაგემის ზარაფხანა აგრძელებს მუშაობას (ქალაქი ზაგემი კი, საფიქრებელია – არსებობას) 1635/6 წლისთვისაც. ეს აღსანიშნავი ფაქტია, ვინაიდან სამამულო ისტორიოგრაფიაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ზაგემი „მაღევე“ (1630 წლის შემდგომ) დაიქცა (Жутелия, 1979: 24).



სურ. 3

პ. 1[0]52 წლით (1642/3) დათარიღებული აბაზი, სეფი I, ზაგემი, წონა 7.57 გ, სიქების თანაფარდობა 12:15 სთ-ზე (სურ. 3)

შუბლი:

هست از جان غلام شاه صفی
ضرب ز کم ۱۵۲

ზარაფხანის სახელწოდება წრეწირშია მოქცეული.

ზურგი: შიიტური რელიგიური ფორმულა:

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي الله

საყურადღებოა ვარსკვლავისებრი (ხელოსნის?) ნიშანი, რომელიც ლამშია ჩასმული (სიტყვაში رسول). ფორმულა რთულ (ხაზოვან-წერტილოვან-ხაზოვან) რკალშია ჩასმული.

ამ მონეტაზე შაჰის აღმნიშვნელი პროტოკოლი იგივენაირია, როგორც B ტიპის შემთხვევაში, მაგრამ მოჭრის ადგილის სახელწოდება წრეწირშია ჩასმული, შესაბამისად, ეს უკვე C ტიპის მონეტაა.

როგორც ვხედავთ, ირკვევა, რომ ზაგემში სეფი I-სთვის ცნობილი სამივე ტიპის (A, B, C) მონეტები იჭრებოდა.

ამ მონეტის არსებობა ადასტურებს, რომ ზაგემის ზარაფხანა აგრძელებს მუშაობას (ქალაქი ზაგემი კი, საფიქრებელია – არსებობას) შემდგომ პერიოდშიც – 1642/3 წლისთვისაც.



სურ. 4

თარიღი აცდა სამონეტო ნამზადს, აბაზი, სეფი I, ზაგემი, წონა 7.60 გ (სურ. 4). შაჰის აღმნიშვნელი ფორმულა ისეთივეა, როგორც წინა მონეტაზე – C ტიპის; ამ ფორმულით მონეტები იჭრებოდა ჰ. 1050-1052 წწ. (Album, 2011: 279). ეს მონეტაც ამ წლებით უნდა თარიღდებოდეს.

საინტერესოა, რომ C ტიპის ორივე აბაზიანის მოსაჭრელად შუბლის ერთი და იგივე სიქა გამოყენებული, მაგრამ ზურგის ორი განსხვავებული სიქა (სურ. 5).



სურ. 5



სურ. 6

დაუთარილებელი (თარიღი აცდა სამონეტო ნამზადს?) აბაზი, სეფი I, ზაგემი, წონა 7.61 გ, კვეთა 20 მმ, სიქების თანაფარდობა 12:00 სთ-ზე¹ (სურ. 6).

შაჰის აღმნიშვნელი ფორმულა ისეთივეა, როგორც წინა ორ მონეტაზე – C ტიპის; ამ ფორმულით მონეტები იჭრებოდა ჰ. 1050-1052 წწ. ეს მონეტაც ამ წლებით უნდა თარიღდებოდეს.

საყურადღებოა, რომ ამ მონეტაზე მოჭრის ადგილი აღნიშნულია როგორც **مك**; დამატებითი აღიფიქვით²; და არა როგორც ჩვეულებრივ, ყველა სხვა, ჩვენთვის ცნობილ, ზაგემის მონეტაზე – **ك**; (Кутелия, 1979: 14-25). აუცილებელია დამატებითი მასალის მოძიება, რომელზედაც ზედწერილების შესაბამისი ფრაგმენტი უფრო სრულად იქნება შენახული (თეორიულად დასაშვებია, რომ აქ რაიმე სხვა მოჭრის ადგილიც იყოს აღნიშნული).



სურ. 7

დაუთარილებელი აბაზი, სეფი I, ზაგემი, წონა 7.31 გ, კვეთა 19 მმ, სიქების თანაფარდობა 12:00 სთ-ზე³ (სურ. 7).

შაჰის აღმნიშვნელი ფორმულა ისეთივეა, როგორც ჰ. 1039 წლით დათარიღებულ მონეტაზე ბირკიანის განძიდან – A ტიპის; ამ ფორმულით მონეტები იჭრებოდა ჰ. 1038 წ., თბილისში 1039 წელსაც (Album, 2011: 279) (ზაგემშიც?). არ არის გამორიცხული, რომ ეს მონეტაც ამ დროს იყოს მოჭრილი – ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს რომ ჰ. 1038 წ. (ამ ტიპისა და სეფი I-ის სახელის მატარებელი მონეტების გამოჩენის წელი) არის ამ ეგზემპლარის გამოშვებისთვის terminus ante quem non.

მონეტა მეტად საყურადღებოა შემდეგო კრიტერიუმებით:

- 1 მონეტა ინახება ტიუბინგენის უნივერსიტეტის კოლექციაში, მისი საინვენტარო ნომერია 95-4-134.
- 2 წაკითხვის პრიორიტეტი ლ. ილიშ ეკუთვნის.
- 3 მონეტა ინახება ტიუბინგენის უნივერსიტეტის კოლექციაში, მისი საინვენტარო ნომერია 97-6-86.

ზედწერილები მეტად უხეში და არაკვალიფიციურია; ანალოგები საქართველოში (თბილისისა თუ ზაგემის ზარაფხანების მიერ) სეფიანთა სახელით გამოშვებულ ფულებში არ გვგვხვდება;

მოჭრის ადგილის – ზაგემის აღმნიშვნელი გრაფემების მცირე ზომა და ულაზათო კალიგრაფია; ამ მხრივ ეს მონეტა მკვეთრად განსხვავდება როგორც თავად სეფი I-ის სხვა ფულებისგან, ასევე მისი წინამორბედის – „აბბას I-ის საფასისგან;

სეფის სახელის ადგილმდებარეობა მონეტის შუბლზე – როგორც წესი, მათ შორის C ტიპის მონეტებზედაც, სეფის სახელში შემავალი გრაფემა **س**-ის ქვეშიდე ასრულებდა გამყოფი ხაზის როლს, და სამონეტო ლეგენდას ორ ნაწილად ანაწევრებდა. შეად. ერევანში კ. 1038 წ. მოჭრილ აბბასის (სურ. 8); ერთადერთი ანალოგი, რომლის მოძებნაც მოვახერხეთ, იყო კ. 1038 წ. დათარიღებული ისფაჰანის აბბასი, შესანიშნავი კალიგრაფიით შესრულებული ზედწერილებით (სურ. 9).¹



სურ. 8



სურ. 9

ამის გათვალისწინებით, ვერ გამოვრიცხავთ, რომ ეს მონეტა (სურ. 7) იმდროინდელ ნაყალბევს წარმოადგენდეს.



სურ. 10

პ. 10?6 წლით დათარიღებული აბაზი, 'აბბას II, ზაგემი (Goron, 2004: 38) (სურ. 10)

1 ორივე მონეტის გამოსახულება ხელმისაწვდომია აღმოსავლური მონეტების ინტერნეტმონაცემთა ბაზაში (Zeno Oriental Coins Database, www.zeno.ru/).

შუბლი:

بگیتی سکه صاحبقرانی
زد از توفیق حق عباس ثانی
ضرب ز کم [۹۶].[۱۰]

რთულ (ხაზოვან-წერტილოვა-ხაზოვან?) რკალშია ჩასმული.

ზურგი: შიიტური რელიგიური ფორმულა:

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي الله

რთულ (ხაზოვან-წერტილოვა-ხაზოვან?) რკალშია ჩასმული.

მონეტას თარიღის, როგორც ჩანს, მხოლოდ ბოლო ციფრი შეემორჩა – 6. ამასთანავე, ცნობილია, რომ ‘აბბას II-ის ზეობა მოდიოდა შემდეგ წლებზე: ჰ. 1052-1077 (1642-1666). ჰ. 1052-1054 წლებში მის მონეტებზე მიეთითებოდა (Album, 2011: 279) შაჰის აღმნიშვნელი მოკლე ფორმულა (A ტიპი):

لا اله الا الله محمد رسول الله على ولي الله

ხოლო ჰ. 1054-1077 წლებში კი შეუდარებლად უფრო ვრცელი ფორმულა, ისეთივე, როგორც ამ მონეტაზე; ამასთანავე, კალიგრაფიის მიხედვით გამოირჩევა ორი ტიპი: B ტიპი – შუბლის ზედწერილები ნასხის კალიგრაფიით არის შესრულებული, და C ტიპი – შუბლის ზედწერილები ნასთლიქის კალიგრაფიით არის შესრულებული (Ibid.). გარდა ამისა, ჰ. 1054-1067 წწ. უპირატესად 4-შაჰიანი აბაზიანები იჭრებოდა, ჰ. 1067-1077 წწ. კი უპირატესად – 5-შაჰიანი აბაზიანები. კონკრეტულად ეს მონეტა 4-შაჰიანი აბაზიანია, შუბლის ლეგენდა ნასხით არის შესრულებული; ამრიგად, ჩვენს წინაშე B ტიპის საფასეა. გასაგებია, რომ თუ თარიღის ბოლო ციფრი ექვსიანია, მონეტა შეიძლება მხოლოდ ჰ. 1056 (1646/7) თუ 1066 (1655/6) წ. მოჭრილიყო.

ამგვარად, ეს უნიკალური მონეტა ადასტურებს, რომ ზაგემის ზარაფხანა აგრძელებს მუშაობას (ქალაქი ზაგემი კი, საფიქრებელია – არსებობას) ამ პერიოდამდე – 1646/7 თუ 1655/6 წლისთვისაც კი.

უფრო მეტიც, ამ მონეტის არსებობა კახეთის სამეფოში ‘აბბას II-ის სახელით საკუთარი ფულის გამოშვების უტყუარი საბუთია.

ჩვენი აზრით, ამ პერიოდში ზაგემი კვლავინდებურად კახეთის სამეფოს შემადგენლობაშია – ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ 1662 წ. თეიმურაზ I ენიხელთ ნაცვალს ზაგემის ნაცვლობასაც უბოძებს (პაპუაშვილი, 2008: 106).

წერილობითი წყაროების მოშველიებითა და ახალი ნუმისმატიკური მასალის გამოყენებით შესაძლებელი ხდება XVII-XVIII სს. ზაგემის ისტორიის ფრაგმენტებად, მაგრამ მაინც, აღდგენა.

მოვიყვანო მოვლენებს ქრონოლოგიური რიგით, სიის სახით:

1603/4 (ჰ. 1012) – ზაგემის ზარაფხანა უშვებს მონეტას „აბბას I-ის სახელით (Кутелия, 1979: 18) (კახეთის მეფე ამ დროს არის ალექსანდრე II);

1616 – ზაგემის აოხრება შაჰ ‘აბბას I-ის მიერ (ისქანდერ მუნში: 107; Кутелия, 1979: 24);

1629/30 (ჰ. 1039) – ზაგემი, როგორც ჩანს, უკვე აღდგენილია თეიმურაზ I-ის მიერ; ზაგემის ზარაფხანა უშვებს მონეტას სეფი I-ის სახელით (Ibid.: 16);

1631/2 (ჰ. 1041) – ზაგემის ზარაფხანა უშვებს მონეტას სეფი I-ის სახელით (Ibid.);

1635/6 (ჰ. 1045) – ზაგემის ზარაფხანა უშვებს მონეტას სეფი I-ის სახელით;

1637 – თეიმურაზ I-ის სიგელში მოიხსენიება ვაჭრობა [ქ.] ბაზარში (პაპუაშვილი, 2008: 106);

1639 – რუსი ელჩების თანახმად, ზაგემი ისევ გაჩანაგებულია – «а ныне, пусто все» (Полиевктов, 1937: 385);

1639-1643 – რუსი ელჩების თანახმად, ზაგემს კახეთის მეფე აკონტროლებს (ჭილაშვილი, 1980: 167);

1642/3 (ჰ. 1052) – ზაგემის ზარაფხანა ხელახლა უშვებს მონეტას სეფი I-ის სახელით;

1646/7 (ჰ. 1056) თუ 1655/6 (ჰ. 1066) – ზაგემის ზარაფხანა უშვებს მონეტას „აბზას II-ის სახელით“;

1662 – თეიმურაზი უბოძებს ენისელთ ნაცვალს ზაგემის ნაცვლობას (პაპუაშვილი, 2008: 106);

1700-1725 – თაზქირათ აღ-მულუქში მოიხსენიება **مکز** –ის მმართველი, რომლის განკარგულებაშიც იყო 1200-კაციანი რაზმი, და რომლის ჯამაგირიც შეადგენდა 6 ათ. თუმანს (?) (*Tadhkirat al-Muluk*, 1943: 101; Берадзе-Смирнова, 1988: 86);

1705 (ჰ. 1117) – ზაგემი მოიხსენიება სპარსულ დოკუმენტში (*Ibid.*);

1706-1715 – დავით II იმამყული-ხანი წარუმატებლად ებრძვის ჭარელებს (პაპუაშვილი, 2008: 127-128);

1714/5 (ჰ. 1126) – ზაგემი მოიხსენიება სპარსულ დოკუმენტში (Берадзе-Смирнова, 1988: 86);

1726 – კონსტანტინე I მაჰმადყული-ხანი ქავჭავაძეებს საინგილოში მამულებს უმტკიცებს (*Ibid.*: 111-112);

1794-1799 – იოანე ბაგრატიონის გეოგრაფიაში „ბაზარი“ (უცნობია, აქ სწორედ ზაგემზეა საუბარი თუ არა) სოფლად არის მოხსენიებული (*Ibid.*: 113).

ამრიგად, **დავასკვნით**, რომ ქ. ზაგემის (ქართული წყაროების ბაზარი, წალმა-ბაზარი) არსებობა ნამდვილად არ შემწყდარა 1630-იან წლებში. ქალაქი აგრძელებდა არსებობას სულ ცოტა XVIII საუკუნის I მეოთხედამდე – ამას როგორც წერილობითი, ასევე ნუმიზმატიკური მონაცემები ადასტურებს. თუმცა კი, საფიქრებელია, რომ 1662 წლის შემდეგ კახეთის სამეფომ უკვე დაკარგა ზაგემიც და მისი ჰინტერლანდიც. ზაგემი იქცა სეფიანთა ერთ-ერთ დასაყრდენად რეგიონში, მაგრამ მისი ეკონომიკური მნიშვნელობა, საფიქრებელია, შემცირდა. ქალაქის საბოლოო დაკნინება სეფიანთა ძალაუფლების (ამიერკავკასიაში) დამხობას უნდა უკავშირდებოდეს (ავღანელების მიერ 1722 წ. ისფაჰანის აღების შემდეგ).

ამასთანავე, ახალი მონაცემები ადასტურებს, რომ კახეთის სამეფოში ფულის გამოშვება (სეფიანი სიუზერენის სახელით) გრძელდებოდა XVII საუკუნის შუა წლებამდე მაინც (1646/7 თუ 1655/6 წლამდე); ვფიქრობთ, რომ ეს აღმოჩენა საყურადღებოა საქართველოს ნუმიზმატიკური ისტორიის კვლევის თვალსაზრისითაც.

სასიამოვნო ვალდებულებად მივიჩნევთ **მადლობა** მოვახსენოთ გაწეული დახმარებისა და რჩევისთვის პატივცემულ კოლეგებს: გრიგოლ ბერაძეს, სთენ გორონს, ლუთც ილიშს, ვადიმ კალინინს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. კაპანაძე, დ. *ქართული ნუმიზმატიკა*. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969.
2. ისქანდერ მუნში. (სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურიძემ). *ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ*. თბილისი: მეცნიერება. 1969.
3. ფალავა ი. „ოსმალური სამყაროსა და საქართველოს ურთიერთობა ახალი ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით: კონსტანტინე ფალავა 90. რედ. ლ. ჟორჟოლიანი, მ. კვაჭაძე. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2012. გვ. 128-144.
4. ქუთელია, თ. „კახეთის სამეფოს უცნობი ზარაფხანა“ *ძეგლის მეგობარი*. №23. თბილისი, 1970. გვ. 31-32.
5. ქუთელია, თ. „ზაგემში მოჭრილი მონეტები“ *მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია)*, №4. თბილისი. 1972. გვ. 133-142.
6. ჭილაშვილი, ლ. *კახეთის ქალაქები*. თბილისი, 1980.
7. Album, S. *Checklist of Islamic Coins. Third Edition*. Santa Rosa, 2011.
8. Goron, S. „The Coinage of the Safavid ruler, „Abbās II up to AH 1060 - Part 2“. *Oriental Numismatic Society Newsletter* 178 (2004). P. 35-40.
9. *Tadhkirat al-Muluk, a Manual of Safavid Administration*. (Translated and explained by V. Minorsky). London, 1943. Reprinted 1980.
10. Акопян, А., Алексанян Д. „Гянджинский клад и медный чекан Кахетинского царства.“ В сб.: *Путиами средневековых монет: Археолого-нумизматический сборник памяти Алексея Владимировича Фомина*. М., 2012. (в печати).
11. Берадзе Г., Смирнова Л. *Материалы по истории ирано-грузинских взаимоотношений в начале XVII века*. Тбилиси: Мецნიერება, 1988.
12. Кутелия, Т. *Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики)*. Тбилиси: Мецნიერება. 1979.
13. Пагава, И., Туркия С. „Новые данные о чеканке сефевидской монеты в царстве Кахети (Грузия)“ (в печати).
14. Полиевктов, М. *Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615-1640*. Тбилиси, 1937.
15. Раджабли, А. *Нумизматика Азербайджана*. Баку: Элм ве Хаят, 1997.
16. Чилашвили, Л. О локализации Базари-Загеми. *XXI Научная сессия Государственного музея Грузии им. С. Н. Джанашиа АН Грузинской ССР*. Тбилиси, 1973.

ნანი გელოვანი

მუჰადისი ქალები შუა საუკუნეების დამასკოში

არაბული ბიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მუსლიმ სწავლულ ქალთა ბიოგრაფიებს. წინამდებარე ნაშრომში განხილულია აჰმად ბ. 'ალი ბ. ალ-ჰაჯარ ალ-'ასკალანის (გარდ. 852/1449)¹ და შამს ად-დინ ას-სახავის (გარდ. 902/1497)² ბიოგრაფიულ კრებულებში დაცული ცნობები მამლუქთა პერიოდის დამასკოში ორი ცნობილი მუჰადისი ქალის შესახებ: ზაინაბ ბინთ ალ-ქამალ (646-740/1248-1339) და „აიშა ბინთ მუჰამად ბ. 'აბდ 'ალ-ჰადი (723-816/1323-1413).

659/1260 წელს მამლუქებმა დაიპყრეს დამასკო – მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ადმინისტრაციული ცენტრი. მამლუქები, სელჩუკი და აიუბიანი წინაპრების მსგავსად, აგრძელებდნენ სუნიტური ტრადიციონალიზმის დამკვიდრებას სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუტების საშუალებით.

დამასკოს გარეუბანი – ას-სალიჰიდა (დამასკოს ჩრდილო-დასავლეთით) გამოირჩეოდა ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობით. აქ ცხოვრობდა ჰანბალიტური თემი, რომელთა უმრავლესობა იყო ბანუ კუდამადან. სწორედ ბანუ კუდამას და რეგიონის სხვა გავლენიანი ჰანბალიტების დახმარებით სალიჰიას რაიონი გახდა რელიგიური სწავლების ცენტრი. აქ იყო სხვადასხვა რელიგიური ინსტიტუტები – ყურანის და ჰადისების შემსწავლელი ინსტიტუტები (დურ ალ-კურ'ან, დურ ალ-ჰადის), მეჩეთები, მედრესეები და მონასტრები (ზავადა). ისტორიული წყაროები ადასტურებს, რომ ამ ინსტიტუტების უმრავლესობა დაარსებული ან დაფინანსებული იყო ქალების მიერ. სალიჰიას საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართული იყვნენ ქალებიც, რომელთა უმრავლესობა ჰანბალიტები იყვნენ. მამაკაცებისაგან განსხვავებით, ქალები არ მოგზაურობდნენ რელიგიური ცოდნის საძიებლად (რიჰლა ფი ტალაბ ალ-'ილმ). ქალები ესწრებოდნენ რელიგიურ წრეებს (ჰალაკათ ალ-'ილმ), ჰადისმცოდნეთა შეკრებებს (მაჯალის ალ-ჰადის) და მათ შეეძლოთ ადგილზე მიეღოთ იჯაზა³ – სერტიფიკატი. ჰადისების შესწავლა, ისლამური სამართლისაგან განსხვავებით, შეიძლებოდა ნებისმიერ ასაკში. არაბული გრამატიკისა და ლინგვისტიკის ცოდნა იყო აუცილებელი, რათა სწორად გადაეცა ტექსტი. თუმცა ეს იყო ცოდნა, რომელიც შეეძლო

1 ეგვიპტელი ჰადისმცოდნე, მოსამართლე და ისტორიკოსი. მას ეკუთვნის ბიოგრაფიული ლექსიკონი — ალ-დურარ ალ-ქამინა ფი ა'ჰან ალ-მი'ა ალ-სამინა. კაირო, დარ ალ-ქუთუბ ალ-ჯადიდა, 1966, ტ. 2.

2 ეგვიპტელი ჰადისმცოდნე. მას ეკუთვნის ბიოგრაფიული ლექსიკონი — ად-დავ' ალლამი' ფა ეან ალ-კარნ ათ-თასი. კაირო, მაქთაბა ალ-კუდსი, 1936, ტ. 12.

3 შუა საუკუნეების ევროპული საუნივერსიტეტო სისტემისაგან განსხვავებით, თითოეული სასწავლო კურსის მოსმენის შემდეგ, რომელიც ხშირად რამდენიმე წელი გრძელდებოდა, მუსლიმი მეცნიერი-ღვთისმეტყველი გადასცემდა სტუდენტს იჯაზას („კვალიფიკაციის მოწმობა“, „ლიცენზია“, „სერტიფიკატი“). ეს იყო ნებართვა, რომელსაც მასწავლებელი აძლევდა თავის მოსწავლეს, რათა მას გადაეცა მიღებული ცოდნა სხვებისათვის.

მიწვევით ქალს უმაღლესი განათლების გარეშე. ამასთან ჰადისების სწავლა არ მოითხოვდა დიდ დროს და ინტენსიურ შეხვედრებს მამაკაც მასწავლებელსა და ქალ სტუდენტს შორის და შესაბამისად არ ირღვეოდა რელიგიური ნორმები [Sayeed, 2002:75-76].

ზაინაბ ბინთ ალ-ქამალ (ზაინაბ ბინთ აჰმად ბ. 'აბდ არ-რაჰიმ ბ. „აბდ ალ-ვაჰიდ ბ. აჰმად ალ-მაკდისიდი“) ეკუთვნოდა ჰანბალიტურ მადჰაზას. ზაინაბი გამოირჩეოდა თავისი სერტიფიკატების რაოდენობით (თაფარადათ ბილ-იჯაზა). გარდა-ცვალებისას იმდენ იჯაზას ფლობდა, რომ აქლემის საპალნეს გაუჭირდებოდა მისი დატევა [ალ-'ასკალანი, 1966:210; Goldziher, 1971:367]. მისი კარიერა, როგორც მუჰადდისის, დაიწყო ადრე. ერთი წლის ასაკში ზაინაბმა მიიღო იჯაზა – ჰადისების გადაცემის ნებართვა – 'აბდ ალ-ხალიკ ალ-ნიშთირბისაგან (537-649/1142-1251), ცნობილი შაფიიტი იურისტისა და მუჰადდისისაგან. ან-ნიშთირბიმ მას გაუგზავნა იჯაზა 647/1249 წელს. თუმცა ბიოგრაფები არ მოიხსენიებენ იმ შრომებს, რომელთა გადაცემის კვალიფიკაციასაც ეს იჯაზა აძლევდა. ბიოგრაფები ხაზს უსვამენ, რომ ზაინაბის ავტორიტეტი, როგორც მუჰადდისის, ძირითადად მომდინარეობს ან-ნიშთირბისაგან. ზაინაბმა ერთი წლის ასაკში მიიღო ორი სხვა იჯაზაც – 'აჯიბა ალ-ბაკადრიდიასა (647/1249) და იბნ ას-საიდდისაგან (647/1249). ორივე ცნობილი ჰადისთმცოდნე იყო ბაღდადში. 2 წლის ასაკში ზაინაბმა დამატებით მიიღო სერტიფიკატი (უჰჰირათ 'ალა) ჰაბიბა ბ. აბი 'უმარისაგან (648/1250). იმავე წელს მან მიიღო ბაღდადიდან სხვა იჯაზა იბრაჰიმ ბ. მაჰმუდ ბ. ალ-ხაირისაგან (648/1250). ზაინაბმა 6 წლის ასაკში ალექსანდრიის, ჰარანის, ალექსანდრიის, კაიროს და აშ-შამის სწავლულებისაგან მიიღო წერილობითი ნებართვა გადაეცა განსაზღვრული შრომები. 3-დან 12 წლამდე პერიოდში ზაინაბი ესწრებოდა სხვადასხვა შეკრებებს თუ ინდივიდუალურ გაკვეთილებს, სადაც ის ისმენდა (სამ'იათ მინ) ცნობილი სწავლულების შრომებს [ალ-'ასკალანი, 1966:209-210].

უნდა აღინიშნოს, რომ ზაინაბის იჯაზების უმრავლესობა იყო წინასწარი. 5 წლის ასაკამდე ძნელი იყო დაემახსოვრებინა ან ესწავლა ის შრომები, რომელთა იჯაზები მას ჰქონდა მიღებული. აუცილებლად უნდა ყოფილიყო შუამავალი, რომელმაც იზრუნა მის საგანმანათლებლო კარიერაზე [Lutfi, 1981:123-4; Roded, 1994:76].¹

შუა საუკუნეებში ქალები განათლებას ღებულობდნენ ძირითადად ოჯახში. თუმცა ზაინაბის შემთხვევაში არსად არ არის მოხსენიებული, რომ ზაინაბის მა-

1 შეიძლება იჯაზას გადაცემა მესამე, კომპეტენტურ პირზე და მას ეწოდებოდა იჯაზათ ალ-იჯაზა. ასეთი პრაქტიკა არ იყო დაზღვეული მისი ბოროტად გამოყენებისაგან: მრავალი მეცნიერი აკრიტიკებდა ამას, რადგანაც ზოგჯერ ასეთი „დიპლომი“ გადაეცემოდა ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს. იჯაზას გადაცემა ბავშვებზე და იმ პირებზე, რომლებსაც არ მიუღიათ ცოდნა უშუალოდ მასწავლებლის ხელმძღვანელობით, მუდმივად კამათის საგანი იყო. ცნობილი ჰადისთმცოდნეები – ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი (გარდ. 463/1070) და იბნ ასსალაჰ ალ-შაჰრაზური (გარდ. 643/1245) ეთანხმებოდნენ იმ აზრს, რომ იჯაზა გადაეცათ ბავშვებისათვის ადრეულ ასაკში და მოგვიანებით შეესწავლათ ეს ნაშრომები თანმიმდევრულად [Bulliet, 1983:105-117]. ზაინაბის ბიოგრაფები იყენებენ სხვადასხვა ტერმინს იმის აღსანიშნავად, თუ როგორ მიიღო ზაინაბმა სერტიფიკატები. ტერმინი უჰჰირათ 'ალა გამოიყენებოდა, როდესაც ის ფიზიკურად ესწრებოდა მუსლიმი სწავლულის ლექციებს. ტერმინი აჯაზა(თ) ლა-ჰან აღნიშნავდა წერილობით ნებართვას, რომელიც გაიცემოდა მასწავლებელთან შეხვედრისას ან გადაეცემოდა შუამავლის საშუალებით. სამ'იათ მინ აღნიშნავდა შემთხვევას, როდესაც ის ესწრებოდა შეკრებას, რომელზედაც განსაზღვრული ნაშრომი იკითხებოდა [Sayeed, 2002:76].

მას – აჰმად ალ-მაკდისის (აჰმად ქამალ ად-დინ ბ. 'აბდ არ-რაჰიმ ბ. „აბდ ალ-ვაჰიდ ბ. აჰმად ალ-მაკდისი) ჰქონდა მუჰადისის რეპუტაცია. მაგრამ მას ჰყავდა ბიძა – შამს ად-დინ მუჰამად ბ. 'აბდ არ-რაჰიმ ბ. 'აბდ ალ-ვაჰიდ ბ. აჰმად ალ-მაკდისი (688/1289), რომელიც ცნობილი ჰადისთმცოდნე იყო. ის ასწავლიდა ად-დიჰა'იდას მედრესეში. მისი ქალიშვილი, ზაინაბის ბიძაშვილი – ასმა' ბინთ მუჰამად ბ. ალ-ქამალ 'აბდ არ-რაჰიმ ალ-მაკდისიდა (723/1323) ასევე ცნობილი ჰადისების გადამცემი იყო. შესაძლებელია, რომ ზაინაბმა მოისმინა ჰადისები ბიძისაგან. ჰადისთმცოდნეთა შეკრებებს ზაინაბი ესწრებოდა 5 წლის ასაკამდე, მაგრამ იჯაზების მიღება შესაძლებელია მამის დამსახურება იყოს. იბნ ჰაჯარ ალ-ასკალანის ცნობით, ზაინაბი არასოდეს გათხოვილა. შესაძლოა იმის გამო, რომ მას აწუხებდა ოფთალმია (რამად) [ალ-ასკალანი, 1966:210]. თუმცა არსად არ არის აღნიშნული, რომ ამ დაავადებამ გარკვეული გავლენა მოახდინა მასზე, როგორც მუჰადისზე.¹

ზაინაბის ბიოგრაფები უფრო მეტად არიან დაინტერესებული მისი სერტიფიკატებით და მისი, როგორც მასწავლებლის კარიერით 60-დან 94-წლამდე. ზაინაბი იყო ცნობილი მასწავლებელი, რასაც ადასტურებს მისი სტუდენტების რაოდენობა. ამდენად, 10-დან 60 წლამდე ზაინაბს უნდა გაეგრძელებინა იმ შრომების შესწავლა, რომლებშიც ადრეულ ასაკში მიიღო სერტიფიკატები. მაგალითად, მან მიიღო იჯაზა იბნ ალ-საჰიდისაგან, რათა გადაეცა იბნ აბი ად-დუნაას (გარდ. 281/894) ქითაბ ასსამთ („სინაჰის წიგნი“). იბნ ალ-საჰიდი გარდაიცვალა 647/1249 წელს, ე.ი. ერთი წლის შემდეგ ზაინაბის დაბადებიდან. შესაბამისად, ზაინაბს არ ექნებოდა შესაძლებლობა ესწავლა ეს ნაშრომი უშუალოდ მისგან. ქითაბ ასსამთ იყო ის ნაშრომი, რომელსაც ზაინაბი გადასცემდა ჰადისთა შეკრებებზე (სუმი'ა 'ალაჰჰჰ). უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაინაბმა შეისწავლა ეს ნაშრომი იბნ ალ-საჰიდის გარდაცვალების შემდეგ, მაგრამ გადასცემდა მას იჯაზას საფუძველზე, რომელიც ადრეულ ასაკში ჰქონდა მიღებული [ალ-ასკალანი, 1966:210].

ზაინაბ ბინთ ალ-ქამალი გადასცემდა სხვადასხვა ჟანრის ნაშრომებს: ალ-ბუხარის და მუსლიმის საჰიჰ, აბუ დავუდის სუნან და ალ-მალიქის მუვატტა; ჰადისების კრებულები სპეციალურ თემატიკაზე, მათ შორის ისლამის ისტორია, მეცნიერებები ყურანსა და ჰადისებზე ('ულუმ ალ-კურ'ან და 'ულუმ ალ-ჰადის), ისლამური სამართალი.

ზაინაბის ბინთ ალ-ქამალის სტუდენტებს შორის იყვნენ მისი დროის ცნობილი სწავლულები: მუჰამად იბნ აჰმად აბ-ზაჰაბი (გარდ. 748/1347), ხალილ ბ. აბბაკ ას-საფადი (გარდ. 764/1362), თაჯ ად-დინ ას-სუბკი (გარდ. 771/1369). იბნ ბატუტა (გარდ. 770/1368-9 ან 779/1377წ.) უწოდებს მას „მსოფლიო მოგზაურს“ და ასახელებს ზაინაბს იმით შორის, ვინც გადასცა მას იჯაზა დამასკოში ყოფნის დროს 726/1325 წელს [Goldziher, 1971:367]. შამს ალ-მულუქ ბინთ მუჰამად ბ. იბრაჰიმ ად-დიმაშკი (გარდ. 803/1400) და აიშა ბინთ მუჰამად ბ. „აბდ ალ-ჰადიმ (გარდ. 816/1413) მიიღეს ასევე იჯაზა ზაინაბისაგან.

ბიოგრაფების ცნობით, ჰადისების მოსასმენ შეკრებებზე (მაჯლის ას-სამა') ძირითადად გაიცემოდა იჯაზა სამა' (მოსმენის სერტიფიკატი). ამ იჯაზების მთავარი მიზანი იყო დაედასტურებინა წაკითხული ტექსტის სიზუსტე. ასეთ შეკრე-

1 ბიოგრაფების აზრით, მისი აღმატებული რეპუტაცია, როგორც მუჰადისის ადასტურებს, რომ მან სძლია ამ დაავადებას. ზაინაბი არ გათხოვილა, რის გამოც ის თავისუფალი იყო ოჯახური პრობლემებისაგან და მთელ დროს სწავლას უთმობდა.

ბებზე მსმენელები აქტიურად არ სწავლობდნენ ან არ განიხილავდნენ ტექსტს თავისი მნიშვნელობებით. ძირითადად ისინი ისმენდნენ ან კითხულობდნენ გარკვეულ ტექსტს. სტუდენტები ამზადებდნენ თავიანთ ასლს იდენტურს იმ ტექსტის, რაც წაკითხული იყო. წიგნის ბეჭდვის შემოღებამდე მაჯლის ას-სამაწა“ იყო ერთადერთი გზა, რათა დაედასტურებინათ ხელით გადაწერილი ტექსტის იდენტურობა ორიგინალთან. ხშირად სტუდენტები განმეორებით ისმენდნენ ერთი და იგივე ტექსტს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათი ასლი ორიგინალის შესატყვისი იყო[Sayeed, 2002:80].

ალ-დიმაშკიდას „მუჯ‘ამ ას-სამაწა“-ის ინდექსში ჩამოთვლილ 33 სერტიფიკატში მოხსენიებულია ზაინაბი ან მარტო ან სხვა მასწავლებლებთან ერთად. ჩვეულებრივ სერტიფიკატი შეიცავდა შემდეგ ელემენტებს:

მასწავლებლის სახელი (შაიხ ან შაიხა);

სახელი ტექსტის, რომელიც იკითხებოდა ან ისწავლებოდა;

შეხვედრის დრო და ადგილი;

ტექსტის წამკითხველის სახელი (იმ შემთხვევაში, თუ ეს არ იყო მასწავლებელი);

სამაწა-ს ავტორის სახელი;

სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც ესწრებოდნენ. პრაქტიკაში იყო აგრეთვე დამსწრე სტუდენტების სახელების ჩამოთვლა, განსაკუთრებით თუ ამ შეკრებებს ცოტა მსმენელი ჰყავდა[Sayeed, 2002:80].

ყველა სერტიფიკატი, რომლებშიც მოხსენიებულია ზაინაბი, როგორც მასწავლებელი, გაცემულია 713-739/1313-1339 წლებში, როცა ის იყო 65-91 წლებს შორის. ზაინაბი შეკრებებს ატარებდა ძირითადად თავის სახლში და ტექსტის წამკითხველების სახლში. ზაინაბს ჰყავდა აგრეთვე შერეული კლასები მამაკაცებისა და ქალებისათვის მადრასა ალ-დიმაშკაში, სადაც მის ბიძას – შამს ალ-დინს ჰქონდა თანამდებობა და იბნ ალ-კალანისის რიბატში [ალ-‘ასკალანი, 1966:210]. 721/1321 წელს მოხსენიებულია, რომ დაახლოებით ასი სტუდენტი-საგან შედგებოდა მისი აუდიტორია საკრებულო მეჩეთში – ალ-ჯამი‘ ალ-მუზაფფარ. არის ცნობა, რომ 738/1337 წელს ის შეკრებას ატარებდა თავის სახლში პარასკევის ღამის შემდეგ და ამ შეკრებას დაახლოებით 21 სტუდენტი ესწრებოდა. ამ პერიოდში ზაინაბი 90 წლის ასაკში იყო [Petry, 1991:122-142].

ზაინაბმა, როგორც ცნობილმა მუჰადდისმა, მიიღო საპატიო ტიტული – მუსნიდა (ჰადისების კრებულების გადამცემი) აშ-შამ.¹ ის გარდაიცვალა 93 წლის ასაკში.

ზაინაბ ბინთ ალ-ქამალის მოწაფე იყო აიშა ბინთ მუჰამმად იბნ ალ-ჰადი. ის ეკუთვნოდა ბანუ კუდამას, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ჰანბალიტურ ოჯახს სალიჰიას რეგიონში, რამაც გარკვეულწილად განაპირობა მისი წარმატება ჰადისთმცოდნეობაში. ამ ტომისათვის უცხო არ იყო ჰადისების სწავლა ქალებისაგან და ქალებისათვის გადაცემა. ამ ტომის ცნობილმა იურისტმა და სწავლულმა – ‘აბდ ალლაჰ ბ. აჰმად ბ. მუჰამმად ბ. კუდამამ (გარდ. 620/1223) მოისმინა ჰადისები სამი ცნობილი ქალისაგან თავისი მოგზაურობის დროს ბაღდადში: ხადიჯა ან-ნაჰრაჰანიდა (გარდ. 570/1174), ნაფისა ალ-ბაზაზა (563/1167) და შუჰჰდა ალ-ქათიბა (გარდ. 584/1188). ამ უკანასკნელისაგან მოისმინეს ჰადისები ბანუ

1 ტერმინი *მუსნიდა* აღნიშნულ პერიოდში გამოიხატებოდა იმ ადამიანის აღსანიშნავად, ვისაც შეეძლო ჰადისების ან ჰადისების კრებულების ზედმიწევნით ზუსტად გადმოცემა. ჰადისების კრიტიკის ცოდნა არ იყო აუცილებელი.

კუდამას სხვა ორმა წევრმა: იბრაჰიმ ბ. ალ-ვაჰიდმა (614/1217) და მუჰამმად ბ. ალ-ჰადიმ (გარდ. 658/1259). ბანუ კუდამას წარმომადგენლები ასევე ასწავლიდნენ ქალებს. ზაინაბ ბინთ ალ-ვასიტი დასახელებულია როგორც იბნ კუდამას ერთ-ერთი სტუდენტი. ასევე ზაინაბ ბინთ ალ-ქამალი გადმოგვცემს ჰადისს მუჰამმად ბ. ალ-ჰადისაგან [Sayed, 2002: 83].

აიშას მამა – მუჰამმად იბნ ალ-ჰადი ცნობილი სწავლული იყო. ას-სალიჰიაში ის ცნობილი იყო უფრო მეტად როგორც მუჰთასიბი (ბაზრის ზედამხედველი) და არა როგორც მუჰადდისი. თუმცა მუჰამმად ალ-ჰადის მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამასკოს ცნობილ მუსლიმ ღვთისმეტყველებთან. იბნ ტულუნი აღნიშნავს, რომ აიშა ჰადისებს ისმენდა თავისი მამისაგან და იმ დროის ცნობილი სწავლულები-საგან. აიშას უფროსი და – ფატიმა ბინთ მუჰამმადი (719-803/1319-1400) ასევე ცნობილი მუჰადდისი იყო [ალ-‘ასკალანი, 1966:103]. მამის გარდა, აიშასა და ფატიმას წარმატებაში გარკვეული წვლილი უნდა შეეტანათ სხვა ნათესავებსაც. მაგ., მათი ბიძაშვილი მუჰამმად იბნ აჰმად ბ. ‘აბდ ალ-ჰადი ბ. ‘აბდ ალ-ჰამიდ ბ. ‘აბდ ალ-ჰადი ბ. მუსუფ ბ. კუდამა სწავლობდა ცნობილ ჰანბალიტ თეოლოგთან და იურისტთან – იბნ თადიმადთან (გარდ. 728/1327) [ას-სახავი, 1936:81]. როგორც ჩანს, მუჰამმად იბნ აჰმადის კავშირებმა დამასკოს სხვა ცნობილ ჰანბალიტებთან განსაზღვრა ფატიმას და აიშას წარმატებები.

ზაინაბის მსგავსად, აიშამაც ჰადისების შესწავლა დაიწყო ადრეულ ასაკში.¹ 4 წლის ასაკში იყო, როცა ცნობილ მუჰადდისთან – იბნ ჰაჯართან (გარდ. 730/1329) მიიყვანეს. აიშამ მიიღო მისგან იჯაზა, რაც აძლევდა ალ-ბუხარის ჰადისების კრებულის (საჰიჰი გადაცემის ნებართვას. თვითონ იბნ ჰაჯარს მოსმენილი ჰქონდა ბუხარის საჰიჰი იბნ აბ-ზაბიდისაგან (გარდ. 649/1251), ცნობილი მუჰადდისისაგან. მან გადასცა ალ-ბუხარის ჰადისების კრებული არანაკლებ 70-ჯერ დამასკოში, ას-სალიჰიაში, კაიროში, ჰამაში, ბაალბეკში, ჰომსში, სხვა მიმდებარე რეგიონებში. იბნ ჰაჯარის გარდა, აიშას ბიოგრაფები ასახელებენ 17 მის მასწავლებელს. იბნ ჰაჯარის გარდა გამორჩეულთა (ალ-ფადლ) შორის არის დასახელებული – ‘აბდ ალლაჰ ბ. ალ-ჰასანი.² აიშას მასწავლებლებიდან 4 არის ქალი. ამასთან სამი ქალი არის დამასკოს ცნობილი მუჰადდისი: სითთ ალ-ფუკაჰა ბინთ იბრაჰიმ (გარდ. 726/1325), ზაინაბ ბინთ იაჰია (გარდ. 735/1334) და ზაინაბ ბინთ ალ-ქამალ (გარდ. 740/1339). მეოთხე არის აიშა ბინთ მუჰამმად ბ. ალ-მუსლიმ, ჰარანიდან (გარდ. 736/1335). მათი გარდაცვალების თარიღი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ აიშას მათთან ურთიერთობა ჰქონდა ადრეულ ასაკში: სითთ ალ-ფუკაჰა გარდაიცვალა, როცა აიშა იყო 4 წლის, ზაინაბ ბინთ ალ-იაჰიას გარდაცვალებისას აიშა იყო 11 წლის, ზაინაბ ბინთ ალ-ქამალის გარდაცვალებისას – 17 წლის და აიშა ბინთ მუჰამმად ბ. ალ-მუსლიმის გარდაცვალებისას – 14 [ას-სახავი, 1936:81; Siddiqui, 1993:117-123].

აიშამ ადრეულ ასაკში მიიღო იჯაზები, რომლებიც მას ნებას რთავდა გადაეცა სხვადასხვა ხასიათის შრომები: ალ-ბუხარის და მუსლიმის საჰიჰი, იბნ ჰიშამის სირა (მუჰამმადის ბიოგრაფია), აბუ ალ-ჯაჰიმის მცირე მოცულობის ჰადისების კრებული და სხვ. იბნ ჰაჯარი ჩამოთვლის კიდევ 14 ნაშრომს, რომლებსაც

1 იბნ ჰაჯარ ალ-‘ასკალანის და ას-სახავის ბიოგრაფიულ ლექსიკონებში ზაინაბისა და აიშას გვერდით დასახელებულია მრავალი ქალი, რომელთაც გადაეცათ იჯაზა 5 წლის ასაკამდე [Roded, 1994:70-1].

2 ჰადისთმცოდნე იერუსალიმიდან. ის გადასცემდა აჰმად ბ. ჰანბალის (გარდ. 855) ჰადისებს. გარდაიცვალა 731/1331 წელს.

არ მოიხსენიებენ აიშას ბიოგრაფები. აიშას მიერ გაცემული სერტიფიკატები მიუთითებს მის მრავალმხრივ ცოდნაზე. იბნ ჰაჯარ ალ-‘ასკალანი იყო მისი სა-უკეთესო სტუდენტი. ის ძირითადად დასპეციალდა ჰადისების კრიტიკაში. 15 ნაშრომის ისნადში იბნ ჰაჯარ ალ-‘ასკალანი უთითებს აიშას და მის დას ფატიმას [ალ-‘ასკალანი, 1966:103]. თუმცა არ არის ცნობილი დები ატარებდნენ თუ არა ერთობლივ მეცადინეობებს. იბნ ჰაჯარის გარდა მამლუქი დიდებულები არიან აიშას სტუდენტთა სიაში: იზზ ად-დინ აჰმად ბ. კადი ალ-კუდა ბურჰან ად-დინ (800-876/1376-1471), აჰმად იბნ იბრაჰიმ ბ. ნასრ ალლლაჰ (800-876/1397-1471) და ქამალ ად-დინ მუჰამმად ბ. ალ-კადი ნასირ ად-დინ (796-856/1393-1452). ას-სახავი შენიშნავს, რომ „მრავალი განსწავლული (ა’იმმა), ძირითადად მოგზაურები (რელიგიური ცოდნის საძიებლად) მიდიოდნენ მასთან და გადასცემდნენ მისგან [ას-სახავი, 1936:81]. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მისი ავტორიტეტი ძალიან მაღალი იყო დამასკოში და მის მიმდებარე რეგიონებში.

აიშას სტუდენტები იყვნენ მამაკაცებიც და ქალებიც. ას-სახავი ჩამოთვლის 31 ქალს მის სტუდენტებს შორის. ქალ სტუდენტებს აიშასთან კონტაქტი ჰქონდათ ძირითადად მისი ხანდაზმულობის პერიოდში. 31 ქალიდან 21 ქალი იყო მექიდან, 2 ქალი ალეპოდან, 1 კაიროდან, 1 ბულაკიდან. არ არის ცნობილი სად ხვდებოდა მათ აიშა – ას-სალიჰიაში თუ მათ მშობლიურ ქალაქებში. შესაძლებელია იჯაზას გადაცემა მოხდა დაუსწრებლად. თუმცა ეს სერტიფიკატები ადასტურებს, რომ აიშას ავტორიტეტი, როგორც მუჰადდისის, კარგად იყო ცნობილი ამ ქალაქებში. აიშას სტუდენტებს შორის ბევრი იყო მექიდან, რადგანაც პილიგრიმოზის დრო იყო საუკეთესო რელიგიური ცოდნის გადასაცემად. აიშას ბიოგრაფიაში აღნიშნულია, რომ სირიაში მხოლოდ ალ-ხატიბ ბ. აბუ უმარ ალ-ჰანბალიმ მიიღო მისგან იჯაზა [ას-სახავი, 1936:81].

აიშა გარდაიცვალა 93 წლის ასაკში. მიცვალებულზე ლოცვა შესრულდა დამასკოს დიდ მეჩეთში (ალ-ჯამი’ მუზაფფარ). ას-სახავი მოიხსენიებს აიშას საპატიო ტიტულით – მუსნიდა ად-დუნია (მსოფლიოში ცნობილი ტრადიციონალისტი) [ას-სახავი, 1936:81].

უნდა აღინიშნოს, რომ ორივე – ზაინაბ ბინთ ალ-ქამალი და აიშა ბინთ ალ-ჰადი – გადასცემდნენ ძირითადად ჰადისების კრებულებს. ისლამური სამართალი, თეოლოგიური ტრაქტატები, ყურანის ეგზეგეტიკა არ არის იმ შრომების სიაში, რომლებსაც ისინი სწავლობდნენ ან გადასცემდნენ. ორივე იყო ჰანბალიტური მაზჰაბის მიმდევარი. თუმცა მათ ურთიერთობა ჰქონდათ სხვა მაზჰაბების წარმომადგენლებთან – მასწავლებლებთან და სტუდენტებთან.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ალ-‘ასკალანი (იბნ ჰაჯარ). *ად-დურარ ალ-ქამინა ფი ა’მან ალ-მი’ა ას-სამინა*. კაირო, დარ ალ-ქუთუბ ალ-ჯადიდა, 1966, ტ. 2.
2. ას-სახავი. *ად-დაჯ’ ალ-ლამი’ ფი ა’მან ალ-კარნ ათ-თასი’*. კაირო, მაქთაბა ალ-კუდსი, 1936, ტ.12.
3. Ahmed, Leila. *Women and Gender in Islam: Historical Roots of a Modern Debate*. New Haven: Yale University Press, 1992.
4. Bulliet, Richard. The Age Structure of Medieval Education. In: *Studia Islamica* (1983), 105-17.

5. Goldziher, Ignaz. *Muslim Studies*, trans. C.R. Barber and S.M. Ster (London: George Allen & Unwin Ltd, 1971), t. 2.
6. Lutfi, Huda. Al-Sakhawi's Kitāb al-Nisā' as a Source for the Social and Economic History of Muslim Women during the Fifteenth Century, AD. In: *Muslim World*, 71(1981), 104-24.
7. Petry, Carl. Class Solidarity versus Gender Gain: Women as Custodians of Property in Later Medieval Egypt, Chap. in *Women in Middle Eastern History*, ed. Nikki R. Keddie and Beth Baron (New Haven: Yale University Press, 1991), 122-42.
8. Roded, Ruth. *Women in Islamic Biographical Collections*. Boulder: Lynne Rienner Publications, 1994.
9. Sayeed, Asma. Women and Hadīth Transmission. In: *Studia islamica*, 95, 2002, 71-94.
10. Siddiqui, M. Z. *Hadith Literature*. Cambridge: Islamic Texts Society, 1993.

ნადირ შაჰის რელიგიური პოლიტიკა

1736 წელს ირანში სეფიანთა დინასტიის საბოლოოდ დაცემის შემდეგ ტახტზე ავიდა ნადირ შაჰ ავშარი. ნადირის მიზანი იყო წარმატებული დაპყრობითი ომების შედეგად შეექმნა ძლიერი, უზარმაზარი სახელმწიფო. მას არ აკმაყოფილებდა ირანის სახელმწიფოს საზღვრების აღდგენა ყოფილ საზღვრებში. ამასთან, ნადირი ცდილობდა დაპყრობითი ომებიდან შემოსული ნადავლით აღედგინა ქვეყნის გამოფიტული ფინანსები და ახალი დინასტიისთვის შემოერიგებინა ფეოდალური არისტოკრატია, ბინადარი და მომთაბარე მოსახლეობა, მიეცა მათთვის გამდიდრების შესაძლებლობა სამხედრო ნადავლის მეშვეობით. ამავე გზით მოეპოვებინა ძლიერი ჯარის შესანახი ხარჯები, რომლის მოპოვება ძნელი იყო გალატაკებულ ირანში. ნადირის ჯარის ბირთვი გახდა თურქმენთა, უზბეკთა და ავღანელთა ტომები, რომელთა შენახვა უდიდეს ხარჯებს მოითხოვდა (История Ирана, 1977: 204).

ნადირ შაჰმა დაპყრობითი ომების წარმოებას დაუქვემდებარა ქვეყნის საშინაო პოლიტიკა. ამ მხრივ საინტერესოა მისი რელიგიური პოლიტიკა. ნადირი, როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, რელიგიის მიმართ საკმაოდ გულგრილი იყო. ძნელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რომელ რელიგიას აღიარებდა. მისი ახლობლების თანახმად, ის არარელიგიური ადამიანი იყო (Арунова, Ашрафян, 1958: 139).

ჰანვეის ცნობით, ნადირი ერთნაირად გულგრილი იყო ისლამის ორივე შტოსადმი. ჰანვეი ასევე მიაწერს ნადირს სურვილს, შეექმნა მაჰმადიანობისა და ქრისტიანობისაგან ახალი რელიგია „ყველაზე უკეთესი, რომელსაც ოდესმე აღიარებდნენ“ (Hanway, 1754: 404).

ნადირმა განიზრახა გასცნობოდა მსოფლიო რელიგიებს. ამისთვის საჭირო იყო წმინდა წიგნების სპარსულად თარგმნა. ამ მიზნით, მან თავისთან დაიბარა სომხური ეკლესიის მღვდელმთავრები, კათოლიკე ეპისკოპოსები, მოლები, რაბინები, რომლებსაც დაავალა მათი წმინდა წიგნების თარგმნა. როდესაც ნადირს წაუკითხეს სპარსულად თარგმნილი სახარება, სამოციქულო, თალმუდი, მან მთარგმნელები უხვად დააჯილდოვა. ამ წიგნების განხილვის შემდეგ ნადირმა გადაწყვიტა მათგან შეექმნა ახალი რელიგია, რომელიც ღმერთს მოეწონება და ყველასთვის მისაღები იქნება. რა საჭიროა ამდენი კანონი – ამბობდა ნადირი – რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავენ. რამდენადაც ღმერთი ერთია, კანონიც ერთი უნდა იყოს (АВІР, 1741: 177-178).

ცნობილია, რომ მულანის ველზე კორონაციისას ნადირმა ყურულთაიზე შეკრებილებს სამი პირობა წაუყენა: 1. არ მიიღონ ტახტის პრეტენდენტები სეფიანთა დინასტიიდან; 2. არ უღალატონ მას და მის ოჯახს; 3. ნუ გაუწევენ წინააღმდეგობას ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი სუნიტებისა და შიიტების გაერთიანებას (Кишмишев С., 1889: 101).

სადავო იყო მესამე პირობა, მაგრამ წინააღმდეგობის გაწევა მხოლოდ შიიტური სამღვდლოების მეთაურმა – მოლა ბაშიმ გაბედა, რომელიც, ნადირის ბრძანებით, იქვე სიკვდილით დასაჯეს. მის შემდეგ სხვა უღემებმა ვერ გაბედეს ნადირის წინააღმდეგ ხმის ამოღება.

ნადირ შაჰის მოთხოვნით, იმამიტური შიიზმის აღმსარებლობა უნდა შეცვლილიყო კომპრომისული ხასიათის აღმსარებლობით. ოთხი სუნიტური მიმდინარეობის: მალიქიტების, შაფიტების, ჰანიფიტების და ჰანბალიტების გვერდით უნდა შემოეღოთ მეხუთე – ორთოდოქსული მიმდინარეობა „ჯაფარიტებისა“, რომელიც თავყვანს სცემდა წმინდა იმამ ჯაფარ სადიკს. ახალი მიმდინარეობა ერთიანად მისაღები უნდა ყოფილიყო შიიტებისა და სუნიტებისათვის.

შიიტებისა და სუნიტების გაერთიანების ნადირისეულ გეგმას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ნადირი კარგად ხედავდა, რომ სწორედ სუნიტების დევნა ქურთისტანში, აზერბაიჯანში, ჩრდ. კავკასიაში, ავღანეთში და სხვაგან, აჯანყებების საბაზი ხდებოდა. ასევე, ნადირისთვის ნათელი იყო, რომ ოსმალეთთან გაუთავებელი ომების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ყოველთვის რელიგიური შუღლი იყო და ეს ომები მუდმივად რელიგიური ომების ხასითს ატარებდა. თუ ნადირი შეძლებდა შიიტების და სუნიტების გაერთიანებას ერთიანი აღმსარებლობის – ჯაფარიტების ქვეშ ეს მიზეზი აღმოიფხვრებოდა.

გამოიცა შაჰის სპეციალური ბრძანება: ისლამის ორი შტოს – სუნიტებისა და შიიტების გაერთიანების შესახებ, რომელთა არსებობა „თესავს შუღლს სპარსელებსა და თურქებს შორის“. ბრძანებაში მითითებული იყო, რომ ამ კანონის შეუსრულებლობისთვის ელით შაჰის რისხვა (Hanway, 1754: 343-344).

ნადირი ლიბერალურად იყო განწყობილი სხვა რელიგიების მიმართაც. მაგალითად, 1735 წლის 27 მაისს ოსმალეთთან ომის დროს, ნადირმა ყარსიდან ერზიადინისაკენ დახვეისას მონახულა ერზიადინის მონასტერი. სამღვდელოება მას მონასტრის კარებთან შეხვდა. ეკლესიის დათვალიერების შემდეგ ნადირი მივიდა საკურთხეველთან და მთელი მღვდელმსახურება ყურადღებით მოისმინა. ამის შემდეგ ერზიადინის ეკლესიას შესწირა 300 თუმანი, კეთილგანწყობით მოექცა ეკლესიის მსახურებს და გამომშვიდობებისას ასე მიმართა: „იცხოვრეთ მშვიდობით, არაფერზე შეწუხდეთ. თქვენი მონასტერი ჩემი სახლია და ვერავინ გაბედავს თქვენს წყენინებას“ (Кишмишев С., 1889: 89).

ნადირმა ეკლესიას გადასცა ორი სიგელი: ერთით დაამტკიცა კათალიკოს აბრამ კრეტაცი, მეორეთი – ერზიადინს სპარსელი შაჰების მიერ ბოძებული ყველა სავარგული და სოფელი დაუმტკიცა.

ნადირ შაჰის სხვა რელიგიებისადმი ლოიალიზმის გამოხატულება იყო მისი უერთიერებოება ქართველ მეფეებთან. ნადირმა უარი თქვა ქართლ-კახეთის მიმართ შაჰაბასისეულ პოლიტიკაზე. სწორედ ნადირის დასტურით, 113 წლის შემდეგ ქართლში თეიმურაზი, ხოლო კახეთში – ერეკლე პირველად ეკურთხნენ მეფეებად ქრისტიანული წესით. მართალია, ეს იყო ქართველი ხალხის 150-წლოვანი მედგარი ბრძოლით მონაპოვარი უფლება, მაგრამ ცხადია, ნადირის რელიგიურმა შემწყნარებლობამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა.

კიდევ ერთი მაგალითი ნადირის ლოიალობისა. როგორც ცნობილია, ყანდაჰარის და ინდოეთის ლაშქრობაში ერეკლე უფლისწული თან ახლდა ნადირ შაჰს. ყანდაჰარის ბრძოლაში ერეკლემ თავი გამოიჩინა. ნადირს მოეწონა იგი. ერთ დღეს ნადირმა ჰკითხა ერეკლეს : „არ გაათარღები?“ ერეკლე არ დაიბნა და უპასუხა : „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა ვერვის ძალუძსო და არც მე ვავმაჰმადიანდებო“. ნადირს მოეწონა ერეკლეს პასუხი და მიუგო : „ნუ გეშინია, მე აღარ გაიძულებ“ (ომარ ხერხეულიძე, 1913, 245). მეორე დღეს კმაყოფილმა ნადირმა მეფე თეიმურაზი და მისი ამაღლა სამშობლოში გამოისტუმრა. ერეკლე უფლისწული კი თვითონ იახლა ინდოეთის ლაშქრობაში.

თავისი რელიგიური რეფორმის ჩასატარებლად ნადირს უპირველეს ყოვლი-
სა ოსმალეთის სულთანთან უნდა მიეღწია თანხმობისთვის.

მულანის ყურულთაის ესწრებოდა თურქეთის ელჩი, რომელმაც სულთანს
აცნობა ნადირის ტახტზე ასვლა და სპარსელთა მიერ შიიტობისგან განდგომა.
ნადირმა სულთნის კარზე თავისი ელჩები გააგზავნა, რომლებმაც ნადირისგან
მიიღეს დავალება, თურქეთთან ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერათ შემდეგი პი-
რობებით: ჯაფარ სადიკის აღმსარებლობა, რომლის მიმდევრები ხდებიან შაჰის
ქვეშევრდომი შიიტები, სულთანმა უნდა სცნოს სუნიტურ მეხუთე დოგმად, ქააბა-
ში დაიდგას მეხუთე სვეტი (სტელა) ჯაფარის მიმდევრებისთვის. სპარსელი პი-
ლიგრიმები მექაში უნდა გააცილოს ემირ ულ ჰაჯიმ (მეჰდი ხანი, 1749: 168-169).

სტამბოლში ირან-ოსმალეთს შორის მოლაპარაკებისას დიდი დისკუსია გა-
მოიწვია რელიგიურმა პუნქტებმა. მოლაპარაკებაში სპარსეთის მხრიდან მო-
ნაწილეობდნენ მოლა ბაში ალი აქბარი და სადრ მირზა აბულ კასიმ ქაშანელი,
თურქეთის მხრიდან – ანატოლიის მთავარი ყადი, სტამბოლის ყოფილი ყადი და
სხვა გამოჩენილი ღვთისმეტყველები. დისკუსტის შედეგად ნადირის მოთხოვნები
უარყოფილ იქნა.

1738 წლის მაისში ნადირ შაჰს ეახლა თურქეთის ელჩი. ელჩმა ნადირს გა-
დასცა სულთნის წერილი. სულთანი ბოდიშს იხდიდა იმის გამო, რომ მას არ შეუძ-
ლია მიიღოს ნადირის წინადადება, რომელიც რელიგიას ეხება. ნადირმა სთხოვა
ელჩს, გადასცეს სულთანს, რომ მთავარი რელიგიური მოთხოვნებია, ამიტომ იგი
მოლაპარაკებას არ თვლის დასრულებულად (მეჰდი ხანი, 1749: 189). ხელშეკრ-
ულება არ იქნა რატიფიცირებული.

ნადირი ოთხი წელი ცდილობდა თურქებთან შეთანხმების მიღწევას, მაგ-
რამ სულთანი მუდამ უარზე იყო. სულთანი თავის წერილებში ბოდიშს უხდიდა
ნადირს უარყოფითი პასუხების გამო. ერთ-ერთი წერილის პასუხში ნადირი იტყ-
ობინებოდა, რომ მისი მთავარი მიზანია თურქეთთან მეგობრობის განმტკიცე-
ნა, ამისთვის კი აუცილებელია რელიგიური ერთობა და ჯაფარიტების დოგმის
აღიარება, როგორც სუნას მეხუთე აღმსარებლობისა. თურქების უარი ამ წინა-
დადებაზე ორივე ქვეყანას სწირავს მუდმივი მტრობისთვის. ბოლოს ნადირი მუ-
ქარაზე გადადიოდა, როცა იტყობინებოდა, რომ მას ამ საკითხის გადასაწყვეტად
თურქეთში ჯარით გამგზავრება მოუწევს (Арунова, Ашрафян, 1958: 142).

ოსმალეთის სულთნის მორიგ უარზე რელიგიურ მოთხოვნასთან დაკავშირე-
ბით შაჰი ატყობინებდა სულთნის კარს მისი ჯარის მორიგ იერიშზე. მართლაც,
1743 წლის ზამთარში ნადირმა დატოვა დაღესტნის მთები და ზაფხულში თურ-
ქეთის წინააღმდეგ იერიშზე გადავიდა.

მომდევნო მოლაპარაკებებზე ოსმალეთთან ნადირი ზოგიერთ დათმობაზე
წავიდა. 1743 წლის დეკემბერში ოსმალეთის კარზე გაგზავნილი ხელშეკრულ-
ბის ახალ ტექსტში ყურულთაიზე წამოყენებული რელიგიური მოთხოვნებიდან
დარჩა მხოლოდ ერთი – ჯაფარის დოგმის ცნობა სუნიტთა მეხუთე აღმსარებ-
ლობად. მასში უკვე აღარაფერი იყო ნათქვამი მექაში მეხუთე – ჯაფარის სვე-
ტის აგებაზე. ნადირის ასეთი დათმობა აიხსნებოდა მის ქვეყანაში დაძაბული სა-
შინაო მდგომარეობით. ამასთან, თურქეთთან ომი (1743-1746 წწ.) ცვალებადი
წარმატებებით მიმდინარეობდა. ნადირისთვის ამ ომს გამარჯვება არ მოუტანია.
თურქებთან ზავი აუცილებელი იყო ნადირისთვის, რომ წარმატებით ჩაეხშო სე-
რიოზული გლეხთა აჯანყებები და ფეოდალთა ამბოხებები.

სულთნის კარმა უარი თქვა მიეღო ხელშეკრულების რელიგიური პუნქტი.
საბოლოოდ, ირან-ოსმალეთის 1746 წლის კარდანის საზავო ტექსტში არაფერი

იყო ნათქვამი რელიგიურ მოთხოვნებზე. ნადირი სულთანს აუწყებდა, რომ არ აიძულებს მიიღოს ჯაფარის აღმსარებლობა.

ამრიგად, ნადირ შაჰის რელიგიურმა პოლიტიკამ მარცხი განიცადა. სუნიზმის სახელმწიფო რელიგიად აღიარებით ნადირი ცდილობდა წარმოეჩინა თავი, როგორც შაჰისა და სულთნის ქვეშევრდომთა მეგობრობის შეუპოვარი დამცველი. ამას, ნადირის აზრით, მისთვის თურქი, ასევე ქურთი, ავღანი, უზბეკი სუნიტების რელიგიური სიმპათიები უნდა მოეპოვებინა და შეეტანა მორალური განხეთქილება მის მოწინააღმდეგეთა რიგებში (Арунова, Ашрафян, 1958: 143-144).

ნადირ შაჰი თვლიდა, რომ რელიგიის რეფორმა ხელს შეუწყობდა მისი პატივმოყვარე აზრების განხორციელებას. იგი იმედოვნებდა, რომ გააერთიანებდა ირანსა და ოსმალეთს (Fraser James, 1742: 147).

ნადირ შაჰმა თავისი მრავალრიცხოვანი დაპყრობითი ომების შედეგად შექმნა უზარმაზარი სახელმწიფო. მან კარგად იცოდა, რომ თავისი ძალაუფლებისა და სახელმწიფოს განსამტკიცებლად აუცილებელი იყო უფრო მჭიდრო, ორგანიზებული კავშირი ცალკეულ ქვეყნებსა და ხალხებს შორის, რომლებიც ძალით იყვნენ შეყვანილი მის სახელმწიფოში. მაგრამ ტომებისა და ხალხების გაერთიანება მხოლოდ რელიგიის საფუძველზე, რომ ძალით მოექცია ყველა ერთ რელიგიაზე, შეუძლებელი იყო, რამდენადაც თითოეული მათაგნი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იდგა და არ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი ეკონომიკური და პოლიტიკური ერთობის ინტერესებით. ამდენად, ნადირ შაჰის გეგმები არა თუ განუხორციელებელი, არამედ მეტად რეაქციულიც იყო.

ნადირ შაჰის რელიგიური რეფორმა სხვა მიზნებსაც ისახავდა. როგორც ცნობილია, სეფიანთა დროს შიიზმი გახდა სახელმწიფო რელიგია ირანში. მუსლიმური ტრადიცია სეფიანთა წარმოშობას უკავშირებდა მუჰამადს ალის ხაზით. შიიზმი სეფიანთა იდეოლოგიური საფუძველი იყო. როდესაც სეფიანებმა დაკარგეს ტახტი, ნადირს უნდოდა, საფუძველი ჩაეყარა ახალი რელიგიისთვის, რომელიც მის მემკვიდრეებს ტახტს დაუმკვიდრებდა (Fraser James, 1742: 127). ამ გზით ნადირის რეფორმა მიმართული იყო სეფიანთა ავტორიტეტის ამოსაძირკვად და ავშართა დინასტიის განსამტკიცებლად. ამავე დროს, ნადირის მიზანი იყო ამ გზით ხელში ჩაეგდო შიიტი სამღვდელოების უდიდესი ქონება და მამულები, რომლებიც სეფიანთა დროს იგდეს ხელთ.

ამრიგად, ნადირის ცდა სუნიტებისა და შიიტების შეერთებისა არარეალური აღმოჩნდა, იგი მხოლოდ ქალაქებზე არსებობდა. ჯაფარიტების მიმდინარეობა ოფიციალურ აღმსარებლობად არ ცნეს არც უზბეკეთში, არც თურქეთში, არც სხვა სუნიტურ ქვეყნებში და არც თვით ნადირ შაჰის ირანში. ნადირ შაჰის მიზანი იყო, მიეღწია სუნიტებსა და შიიტებს შორის ერთობისათვის, ბოლო მოეღო მათ შორის მტრობისათვის და გაეადვილებინა თურქეთთან ზავის დადება, ასევე დაესუსტებინა შიიტური სამღვდელოება და ამით საბოლოო დარტყმა მიეყენებინა სეფიანებისათვის.

ნადირ შაჰის ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. ბოლოს მან თავად თქვა უარი თავის რელიგიურ რეფორმაზე, რაც მისი რელიგიური პოლიტიკის სრული კრახით იყო გამოწვეული.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ომან ხერხეულიძე, *ცხოვრება მეფის ირაკლის მეორისა*, „საქართველოს ცხოვრება“, თბილისი, 1913.
2. *АВПР, ф. Сношения России с Персией.*
3. Арунова, М., Ашрафян К. *Государство Надир-шаха Афшара*, Москва, 1958
4. *История Ирана*, Москва, 1977
5. Кишмишев, С. *Походы Надир-шаха в Герат, Кандагар Индию и события после его смерти*, Тифлис, 1889
6. Fraser James, *The History of Nadir shah*, London, 1742.
7. Hanway Jones. *An Historical Account of the British Trade over the Caspian Sea*, vol.II, London, 1754
8. მირზა მოჰამედ მეჰდი ხანი, *თარიხე ნადერი, ბომბეი, 1749* (სპარსულ ენაზე).

ირინე ნაჭყებია

**მიშელ-ფრანსუა პრეოს რამდენიმე სპარსული ჩანახატი
(1807-1809)**

XIX საუკუნის დასაწყისში ევროპის უდიდესი სახელმწიფოების – ინგლისის, რუსეთისა და საფრანგეთის – ინტერესები სპარსეთში გადაიკვეთა. სპარსეთის ტახტზე დამკვიდრებული ყაჯართა დინასტიის მეორე წარმომადგენლის, ფათჰ-ალი შაჰის (1797-1834) კარზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ინგლისის, საფრანგეთისა და რუსეთის დიპლომატიური მისიები. შედეგად, XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ევროპაში მრავალი თხზულება გამოქვეყნდა სპარსეთის შესახებ. ზოგიერთი მათგანი წიგნის ავტორების¹, ზოგიერთი კი თხზულების შინაარსის მიხედვით მხატვრების მიერ² შესრულებული ნახატების ლითოგრაფიებითა თუ გრაფიურებით იყო გაფორმებული. ამ ნახატების მრავალფეროვანი თემატიკა – ქალაქების ხედები, პეიზაჟები, ისტორიული ძეგლები, სპარსეთში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ფენის, ეროვნებისა და რელიგიური მიმდევრობის მოსახლეობის ტიპაჟები, სამხედრო სიუჟეტები, საყოფაცხოვრებო სცენები და სხვ. – ევროპელის თვალით დანახულ სპარსეთს წარმოაჩენდა.

წინამდებარე სტატიაში შევხებით 1807-1809 წლებში სპარსეთში საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი მინისტრის, გენერალ გარდანის მისიის მხატვრის, მიშელ-ფრანსუა პრეოს შემოქმედების მნიშვნელობას. ცნობები პრეოს ბიოგრაფიის შესახებ მეტად მწირია. ცნობილია, რომ პირველად იგი 1796 წელს ჩავიდა კონსტანტინოპოლში. სპარსეთში მიმავალი გენერალი გარდანი თავისი მისიის წევრებთან ერთად 1807 წლის სექტემბრის დასაწყისში ჩავიდა კონსტანტინოპოლში. ბრწყინვალე პორტაში 1806-1808 წლებში საფრანგეთის ელჩმა, გენერალმა სებასტიანიმ, გენერალ გარდანს წარუდგინა მხატვარი და არქიტექტორი მიშელ-ფრანსუა პრეო, რომელმაც სპარსეთში გამგზავრების სურვილი გამოთქვა. საფრანგეთის მისიის მესამე მდივნის ფელიქს ლაჟარის რეკომენდაციით გენერალმა იგი მისიაში ჩარიცხა. 1807-1811 წლებში საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრი, დე შამპანი, გენერალ გარდანის ცნობებზე დაყრდნობით ნაპოლეონისათვის 1809 წლის 23 აგვისტოს წარდგენილ მოხსენებით ბარათში პრეოს შესახებ წერდა: „მხატვარმა მრავალი ადგილი, მონუმენტი და ყოველდღიური ცხოვრების სიუჟეტი ასახა. ბატონმა გენერალმა გარდანმა თან წამოიღო მისი ყველა ნახატი, აგრეთვე ბატონი ოფიცრების ის ჩანაწერები და რუკები, რომლებიც მის დეპეშებს არ ერთვოდა“ (SHAT, n°1673, 1M, Perse, fol. 11; CP/Perse, vol. 11, fol. 173r-173v; AN, AF, 1686 IV1, doc. 10, fol. 1-4; Dehérain, 1929/30: II, 48-49).

1 ჯეიმს მორიერი – 1812, 1818, პოლკოვნიკი მორის კოცებუ – 1819, კაპიტანი ჯონ ჯონსონი – 1819, სერ რობერტ კერ პორტერი – 1821.

2 პოლკოვნიკი გასპარ დრიუვილი – 1819, 1825, ჟ.-მ. ტანკუანი – 1819, ამედე ჟობერი – 1821, სერ ვილიამ აუსლი – 1819-1823, ჟან-ფრანსუა გამბა – 1826.

ცნობები მიშელ-ფრანსუა პრეოსა და მისი შემოქმედების შესახებ მოცემულია ოგიუსტ ბოპის¹ 1911 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – *Les peintres du Bosphore au dix-huitième siècle*. მისი ცნობით, სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ პრეო კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს მხატვარი იყო ჯერ გენერალ ანდრეოსის (1812-1815), შემდეგ კი მარკიზ დე რივიერის (1815-1821) ელჩობის დროს. მხატვარი 1827 წლამდე დარჩა კონსტანტინოპოლში და ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა მხარეების პეიზაჟების, მონუმენტების და ჟანრული სცენების ნახატების სერია შექმნა (Boppe, 1911: 223-226). 1911 წლის გამოცემისაგან განსხვავებით, ბოპის წიგნის 1989 წელს გამოცემულ ვარიანტს ერთვის ილუსტრაციები, მასში ავტორის ტექსტის შესაბამისადაა წარმოდგენილი ფრანგი მხატვრების, მათ შორის მიშელ-ფრანსუა პრეოს მიერ ოსმალეთის იმპერიის თემაზე შექმნილი ნახატების ფერადი ილუსტრაციები (Boppe, 1989).

ოგიუსტ ბოპის ცნობების მიხედვით ვაზუსტებთ, რომ გენერალმა გარდანმა 1809 წლის 27 აგვისტოს 1807-1811 წლებში საფრანგეთის საგარეო ურთიერთობათა მინისტრს, დე შამპანის, პრეოს მიერ როგორც კალმით, ისე ფერადი, აკვარელით შესრულებული 53 ნახატი გადასცა. 1825 წლის 2 სექტემბერს ეს ნამუშევრები საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივს გადასცეს, მაგრამ სერია სრული არ იყო და ინვენტარიზაციის შედეგად გაირკვა, რომ მას აკლდა 13 – ექვსი კალმით² და შვიდი ფერადი, აკვარელით³ შესრულებული ნახატი. დარჩენილი 40 ნამუშევრიდან პრეოს მიერ მხოლოდ ერთი ყოფილა ხელმოწერილი, მაგრამ არ არის დასახელებული, სახელდობრ, რომელი. ო. ბოპი იქვე აღნიშნავს, რომ ამ ალბომის გადაფურცვლაც კი საკმარისი იყო იმაში დასარწმუნებლად, რომ ისინი პრეოს ხელით იყო შექმნილი. 1911 წელს მ.-ფ. პრეოს ნახატები საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში სპარსეთის სერიის „Perse, Mémoires et documents“-ის V ტომში შეუტანიათ (Boppe, 1911: 225). აღნიშნული არქივის კატალოგში (*Inventaire Sommaire, Mémoires et Documents, Perse*) რომელიც მიკროფილმზე გადაღებულ 11 ტომს მოიცავს, მითითებულია ჩვენთვის მრავალმხრივ საინტერესო V ტომი – „5. (Perse, 5.) – 1808 Atlas des cartes, plans et dessins de la mission du général Gardanne en Perse. 1. vol. gr. In-fol.“, მაგრამ არქივის კურატორის მიერ 1996 წელს ჩემთვის მოცემულ ცნობაში წერია, რომ ეს ტომი გამქრალია (*disparu*). საფრანგეთში მოღვაწე ირანელი ისტორიკოსის, ირაჯ ამინის მოსაზრებით, მ.-ფ. პრეოს ნახატები აღნიშნული არქივიდან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიკარგა (Amini, 1995: 126).

ოგიუსტ ბოპის ნაშრომში მოცემულია მისთვის ცნობილი მ.-ფ. პრეოს 26 ნახატის სათაური, რომლებიც დაკავშირებულია კონსტანტინოპოლიდან თეირანისაკენ მიმავალი გენერალ გარდანის მისიის მარშრუტთან. ესენია: «1. Eglise

1 კავალერიის ოფიცრის ვაჟი ოგიუსტ ბოპი, ფრანგი დიპლომატი და მკვლევარი, 1862 წელს საფრანგეთში, ქალაქ ნანსიში დაიბადა. 1903-1905 წლებში იგი კონსტანტინოპოლში საფრანგეთის საელჩოს ატაშე იყო და იგი წლების მანძილზე იკვლევდა ფრანგ მხატვართა მოღვაწეობას ოსმალეთის იმპერიაში. ო. ბოპი 1921 წელს პეკინში გარდაიცვალა, სადაც იგი საფრანგეთის ელჩი იყო.

2 *Pointe de Chalcédoine; tombeau d'Annibal avant Nicomédie; vue de Nicomédie; ruines d'un palais à Nicomédie; vue d'un pont près Keusi-Devremout; mosquée à Torbade* (Boppe, 1911: 225-226).

3 *Réception de l'ambassade chez Tchapan Oglou à Yousgat; entrée à Bayazid; vue du château de la fille près Miané; pont de la fille près Miané; ruines d'une mosquée à Gasirim; mosquée veuve à Gasirim; vue de Kars Kodjion, maison royale près Téhéran* (Boppe, 1911: 225-226).

à Nice, in-folio; 2. Bey Bazar, petit in-folio; 3. Angora, petit in-folio; 4. Angora, Monument d'Auguste, petit in-folio; 5. Tokat, petit in-folio; 6. Environ de Tokat, petit in-folio; 7. Monument près Tokat, petit in folio; 8. Kouleh Hissar, petit in folio; 9. Kara Hissar Sahib, petit in-folio; 10. Rocher entre Tokat et Niksar, petit in-folio; 11. Fête à Erzeroum; grand sujet, double in-folio; 12. Couvent antique avant Bayazed, colorié, in-folio; 13. Mont Ararat, petit in-folio; 14. Enterrement du capitaine Bernard dans un couvent arménien, petit in-folio; 15. Réception du Général Gardane chez le gouverneur de Tauris; lavis; petit in-folio; 16. Mosquée à Tauris, colorié, petit in-folio; 17. Garavanseraï Guilek près Tauris, colorié, petit in-folio; 18. Pont de Miané, colorié, petit in-folio; 19. Vue de Sultanieh, colorié, in-folio; 20. Grande mosquée de Sultanieh, double in-folio; 21. Mosquée extérieure de Sultanieh, double in-folio; 22. Tombeau à Sultanieh, colorié, in-4o; 23. Camp de Sultanieh, double in-folio; 24. Tour de Ray, petit in-folio, colorié; 25. Monuments à Bisitoun; 26. Soldats de Nizam Djedid, colorié, in-4».

ოგუსტ ბოპი იმასაც აღნიშნავს, რომ ამედე ჟობერის მოგზაურობაში წარმოდგენილია პრეოს ორი ნახატის ლითოგრაფია – 1. Vue de Bayazid; 2. Mosquée de Sultanieh (Boppe, 1911: 226). 1805-1809 წლებში სპარსეთში ნაპოლეონის წარგზავნილთაგან თავისი შთაბეჭდილებები პირველმა, 1809 წელს, გენერალ გარდანის მისიის პირველმა მდივანმა და გენერლის უფროსმა ძმამ, ანჟ დე გარდანმა, გამოაქვეყნა. ეს თხზულება 1808 წლის შემოდგომაზე იყო დასრულებული, რასაც მოწმობს მის შესახებ 1808 წლის 28 ნოემბერს Journal de l'Empir-ში დაბეჭდილი კონრად მალტ-ბრიუნის რეცენზია. იმ დროს პრეოს ნამუშევრები ჯერ კიდევ არ იყო გადაგზავნილი საფრანგეთში. ამავე მისიის ორი წევრის, ატაშეს – ადრიენ დიუპრესა და თარჯიმნის – ჟოზეფ-მიშელ ტანკუანის თხზულებები ერთდროულად, 1819 წელს, გამოქვეყნდა, მაგრამ არც მათ წიგნებშია შეტანილი მ.-ფ. პრეოს ნახატების ლითოგრაფიები. ა. დიუპრეს ორ ტომად გამოცემულ „მოგზაურობას“ მხოლოდ ნაპოლეონის მიერ სპარსეთში 1805-1809 წლებში წარგზავნილ პირთა მონაცემების საფუძველზე ესკადრონის მეთაურის, ლაპის, მიერ დაზუსტებული ახლო აღმოსავლეთის რუკა ერთვის; ე.-მ. ტანკუანის აგრეთვე ორ ტომად გამოქვეყნებული „წერილები“ კი სპარსელი მხატვრების ნახატების მიხედვით შექმნილი ოთხი ფერადი გრავიურით არის გაფორმებული.

მ.-ფ. პრეოს ნახატების ათი გრავიურა მოცემულია ლუი დიუბეს (1798-1863) მიერ 1841 წელს გამოცემულ თხზულებაში. ესენია: 1. Ruines d'une Mosquée à Tauris. - Préaux (ill. 25); 2. Caravanseraïl Guilek près de Tauris. - Préaux (ill. 26); 3. Pont de Mianeh. - Préaux (ill. 27); 4. Sultanieh (ill. 29); 5. Grande Mosquée de chah Khodabendéh à Sultaniéh (ill. 30); Extérieur de Sultanieh (ill. 31); 7. Mosquée Extérieur de Sultanieh (ill. 32); 8. Portique de la mosquée extérieur de Sultanieh (ill. 33); 9. Camp à Soutanieh. - Préaux (ill. 34); 10. Ruines d'une tour à Reï ou Ragès (ill. 37). ოთხ გრავიურაზე (ill. 25, 26, 27, 34) მითითებულია მხატვრის გვარი – Préaux, ექვსზე (N №29, 30, 31, 32, 33, 37) კი – არა, მაგრამ დიუბე თხზულებაში წერს, რომ ისინი პრეოს ეკუთვნის (Dubeux, 1841: 27). ჩვენთვის უცნობია, თუ რამდენად შეესაბამება ისინი ო. ბოპის ნუსხაში მითითებულ სათაურებს „Vue de Sultanieh, colorié, in-folio“ (№18), „Mosquée extérieure de Sultanieh, double in-folio“ (№20), „Tombeau à Sultanieh, colorié, in-4o (№21)“.

მ.-ფ. პრეოს ნახატების ოთხი ილუსტრაცია მოცემულია ფრანგი ისტორიკოსის, ანრი დეერენის (1867-1841) მიერ XX საუკუნის ოცდაათიან წლებში გამოცემულ მონოგრაფიაში. მათზე მითითებულია, რომ ისინი საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ნახატების მიხედვითაა მოცემული (Dehérain, 1929/30: II). ესენია: 1. „Un Caravanseraïl près de Tauris“. D'après

un dessin de Préaulx, Archives du Ministère des Affaires Etrangères (Pl., III), 2. „La Mission Gardane passant sur le pont de Koulé-Hissar (Anatolie)“. D“après un dessin de Préaulx, Archives du Ministère des Affaires Etrangères (Pl., IV), 3. „Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz“. D“après un dessin de Préaulx, Archives du Ministère des Affaires Etrangères (Pl., V), 4. „Vue d“un mosquée à Tauriz“. D“après un dessin de Préaulx, Archives du Ministère des Affaires Etrangères (Pl., VI).

ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ჟერმენ გიიომის სტატიაში მოცემულია პრეოს სურათის ორი ილუსტრაცია: „Mosquée de Sultaniya“ (Guillaume, 1939: Pl. XXXVIII) და „Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz“ (Guillaume, 1939: Pl. XXXIX).

ამგვარად, ჩვენთვის ცნობილია მიშელ-ფრანსუა პრეოს 14 ნახატის ლითოგრაფია, გრაფიურა და ილუსტრაცია, რომლებიც შესრულებულია მხატვრის მიერ 1807-1809 წლებში გენერალ გარდანის მისიაში ყოფნის დროს.

არარატის მთა და ბაიაზეთის ციხე. ის პირველი ავტორი, რომელმაც თავის „მოგზაურობაში“ მიშელ-ფრანსუა პრეოს ორი ნახატი გამოაქვეყნა მათი შექმნიდან 14 წლის შემდეგ, 1805 წელს სპარსეთში მივლინებული ნაპოლეონის ემისარი, ამედე ჟობერია. თავისი თხზულების გამოცემის დროისათვის, 1821 წელს, მას საშუალება ჰქონდა სრულად გასცნობოდა პრეოს ნამუშევრებს და „მოგზაურობის“ გასაფორმებლად თავისი მარშრუტის შესაბამისი ნახატები შეერჩია. 1805 წლის ივნისში იგი თურქეთ-სპარსეთის საზღვარზე, არარატის მთასთან დაატყვევებინა ბაიაზეთის ფაშამ, მაჰმუდმა. ბაიაზეთის ციხის ჯურღმულში, ტყვეობაში მყოფმა ჟობერმა 8 თვე გაატარა (Jaubert, 1821: 42-43). ჟობერის „მოგზაურობაში“ შეტანილი პრეოს ნახატის ლითოგრაფია – „Vue de Bayazid, et de la chaîne des montagnes qui separent la Turquie de la Perse“. Dessiné sur les lieux par Préaulx. Imp.ie de C. Motte R. des Marais (Jaubert, 1821: 28) (სურ. 1) – ევროპელ მკითხველს, ერთის მხრივ მცირე აზიის თვალწარმტაც პეიზაჟს წარუდგენს, მეორეს მხრივ კი ახალგაზრდა ფრანგი ემისრის დატყვევების ადგილს მიანიშნებს. ანჟ დე გარდანი შემდეგს წერს არარატის მთისა და ბაიაზეთის შესახებ: „ჩვენ ვიხილეთ არარატის მთა... მისი მწვერვალი მარადიული თოვლითაა დაფარული... დიადინიდან ბაიაზეთამდე 11 საათის სავალია: 3 000 სახლი. ეს თურქეთის სასაზღვრო ქალაქი და ორთულიანი ფაშის რეზიდენციაა. სწორედ ამ ქალაქის ციხე-სიმაგრეში იყო გამომწყვდეული სპარსეთში თავისი მოგზაურობითა და აღმოსავლური ენების ცოდნით ცნობილი ბ-ნი ჟობერი“ (Gardane, 1809: 27-28). ჟ.-მ. ტანკუანი თავის „წერილებში“ აგრეთვე ეხება ამ თემას და წერს: „დღეს დილით, არარატის მთის დიდებულებით დავტკბით. ცა კამკამა და უღრუბლო იყო... მარადიული ყინულითა და თოვლით დაფარული მისი მწვერვალი ღრუბლებში იკარგება... ბაიაზეთი აზიური თურქეთის უკანასკნელი ქალაქია... ის ამფითეატრის მსგავსადაა გაშენებული მეტად ციცაბო კლდის ფერდობზე და მეტად მიუდგომელია... ფაშის სერალი ანუ სასახლე ქალაქის ყველაზე უფრო ამალღებულ ნაწილში, კლდეზე მდებარეობს... მაჰმუდ ფაშის ბრძანებით ამედე ჟობერი სწორედ ამ უკანასკნელ ფორტში იყო გამოკეტილი რვა თვის განმავლობაში“ (Tancoigne, 1819: I, 101, 103-104). ჩვენთვის უცნობია, შეესაბამება თუ არა ეს ლითოგრაფია ბოპის ნუსხაში 1825 წელს პრეოს დაკარგულ ფერად ნახატებს შორის მითითებულ სათაურს „Entrée à Bayazid“.

სულთან ხოდაბანდეს მეჩეთი სულთანიეში. სპარსეთის თემაზე შექმნილ ნახატებს შორის მიშელ-ფრანსუა პრეოს შემოქმედებაში საგანგებო ადგილი სულთანიეს თემას უჭირავს.

ჩვ. წ. VIII საუკუნეში აღმოცენებული ქალაქის – სულთანიეს – აღზევება XIII საუკუნეში, ილხან არღუნის ზეობის დროს (1284-1291) დაიწყო. XIV საუკუნის დასაწყისში ილხანმა ულუჯაითუმ (1305–1316), რომელმაც ისლამის მიღების შემდეგ მუჰამედ ხოდაბანდეს დაირქვა, სულთანიე სპარსეთის დედაქალაქად აქცია. ხუროთმოძღვარმა ალი-შაჰმა ქალაქში მეჩეთი ააშენა ხოდაბანდეს ბრძანებით (1309-1313), სადაც იგი გარდაცვალების შემდეგ დაკრძალეს (Wilber, 1958: 53-54; Lockhart, 1960: 12-13, 72). იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიაში სულთანიეს კომპლექსი 2005 წელს შეიტანეს.

ამედე ჟობერის თხზულებაში შეტანილი პრეს ნახატის ლითოგრაფია – “Mosquée du chah Khodabendéh à Sultaniéh”. Dessiné sur les lieux par Préaux, Lithoé par Paris. Imp. ie de C. Motte R. des Marais (Jaubert: 1821: 352) – რომელიც აგრეთვე ემთხვევა ფრანგი ემისრის მარშრუტს და ლუი დიუბეს თხზულებაში შეტანილი გრავიურის – “Grande Mosquée de chah Khodabendéh à Sultaniéh” (Dubeux, 1841: ill. 30) – იდენტურია, შეესაბამებიან ოგიოსტ ბოპის ნუსხაში მითითებულ სათაურს – “Grande mosquée de Sultanieh” (№19).

XIX საუკუნის დასაწყისში ფათჰ-ალი შაჰმა სრულიად საგანგებო ფუნქცია მიანიჭა მიწისძვრით განადგურებულ სულთანიეს და ის თავის საზაფხულო რეზიდენციად აქცია, სადაც ივნისის პირველი რიცხვებიდან აგვისტოს ბოლომდე რჩებოდა. ამედე ჟობერი 1806 წლის ივლისში ახლდა ფათჰ-ალი შაჰს სულთანიეში, გენერალ გარდანის მისიის წევრები კი – 1808 წლის ზაფხულში.

1805-1809 წლებში სპარსეთში ნაპოლეონის წარგზავნილი ყველა ემისარი ეხება ხოდაბანდეს მიერ სულთანიეს დაარსების ისტორიას. მათი ცნობებით, სულთანიეში შეუძლებელი იყო ნაბიჯის ისე გადადგმა, რომ არ შეჰხებოდნენ შესანიშნავ ნანგრევებს, რომლებიც უცხოელს წარსულ დიდებას ახსენებდა. ხალხის უყურადღებობა ამ ძეგლების მიმართ მათ სრულ ნგრევას იწვევდა.¹ ძლიერი დაზიანების მიუხედავად, სულთანიეს ნანგრევების ალებასტრის კოლონები, შესანიშნავი მოზაიკა, ქანდაკებებისა და ემალის სიმდიდრე, თამამი გუმბათი და აგურების გამძლეობა კვლავ დიდ აღტაცებას იწვევდა. ამ ნანგრევებს შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა ორი მეჩეთი: ერთი, ჩრდილოეთით მდებარე, ნანგრევების გროვალა იყო; მეორე, დასავლეთით მდებარე, მოქცეული დანგრეული კედლის შიგნით, ხოდაბანდეს მეჩეთად წოდებული, უკეთესად იყო შენახული. ეს ტაძარი ოთხკუთხედი იყო და მას მეტად მაღალი გუმბათი² აგვირგვინებდა. ის რვა დიდ თაღს ეყრდნობოდა და ოთხი მინარეთი ჰქონდა. ფრანგმა ემისრებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტს, რომ თავრიზში მეჩეთების მინარეთები თურქულისაზე უფრო დაბალი იყო და აღნიშნავდნენ, რომ სპარსეთში მათი მსგავსი მხოლოდ ხოდაბანდეს ბრძანებით სულთანიეში აშენებული მეჩეთის მინარეთები იყო. აგურით ნაგები ეს შენობა გარედან თეთრი და ღია ცისფერი ჭიქურით იყო დაფარული, კედლის გარშემო კი ამოკვეთილი იყო ნაწყ-

1 პოლკოვნიკ გასპარ დრიუვილის ცნობით, სულთანიეს ველზე არაფერი არ იყო ყურადღების მისაქცევი გარდა შესანიშნავი არქიტექტურის მქონე დანგრეული მეჩეთისა, საიდანაც სპარსელები ქვებსა და მარმარილოს ეზიდებოდნენ თავიანთი სახლების მოსართავად (Drouville, 1829, III, 182).

2 ოსტ-ინდოეთის კომპანიის ოფიცერი, ჯონ მაკდონალდ კინეირი, რომელიც ფათჰ-ალი შაჰს 1810 წლის ივნისში ახლდა სულთანიეში, თავის თხზულებაში ხოდაბანდეს მეჩეთს შესანიშნავ შენობას უწოდებს და იქვე აღნიშნავს, რომ ამგვარი გუმბათის მშენებლობა ევროპის საუკეთესო არქიტექტორებისთვისაც კი საამაყო იქნებოდაო (Kinneir, 1813: 123).

ვეტები ყურანიდან. სამხრეთით მდებარე სამლოცველოში ხოდაბანდეს საფლავი იყო, რომელზეც კვლავ შეიმჩნეოდა დახვეწილი ემალი. ოდესღაც ინტერიერის იასპით და ალესტრით მოპირკეთებულ კედელზე შეიმჩნეოდა ოქროს ფირფიტების ფრაგმენტებისა და მათი დამამაგრებელი ლურსმნების კვალი. მეჩეთის თაღის გარშემო განლაგებული გალერეების ჭერის ინკრუსტაცია სპარსული ულამაზესი ქსოვილების ნახატებს ჰგავდა. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო დიდი კარის ორნამენტი, რომელსაც გენერალ გარდანის მისიის წევრი, კაპიტანი ოგიუსტ დე ბონტამ ლე ფორი, შედეგს უწოდებს. ნაპოლეონის წარგზავნილთა აზრით, ეს მეჩეთი მუსლიმობის მიერ სპარსეთში შექმნილ ძეგლებს შორის ყველაზე ლამაზი და დიდებული იყო (Bontems, s.d.: 137-138; Gardane, 1809: 43; Tancoigne, 1819: I, 295; Dupré, 1819: II, 209-210; Jaubert, 1821: 158, 264-265, 343). (სურ. 2)

გენერალ გარდანის მისიის ატაშე, ადრიენ დიუპრე ამ ტაძრის აგების ამბავს ასე გადმოსცემს: „ხოდაბანდემ სიზმრად მიიღო ტაძრის აშენების ბრძანება, სადაც ალის მიწიერი სხეული უნდა გადაესვენებინა. ტაძრის აშენების შემდეგ, სიზმარში მას ალის ნეშტის ნეჯეფში დატოვება და ამ ძეგლის საკუთარ საფლავად ქცევა უბრძანეს, რათა თავისი ღვთისმოსაობა სპარსეთში ყველაზე უფრო პატივცემული წმინდანისათვის მიეძღვნა.“ დიუპრე იმასაც აღნიშნავს, რომ ნიჭიერმა მხატვარმა პრემომ ამ შენობის შესანიშნავი სურათი დახატა (Dupré, 1819: II, 210-211), ფელიქს ლაჟარის ცნობით სულთანიეს თემაზე პრემოს ალბომში რამდენიმე ნახატი იყო (Dehéraïn, 1938/08/01, № 181), ხოლო უ. გიიომი წერს, რომ სულთანიეს თემისადმი მიძღვნილი პრემოს ალბომის მრავალი გამოუქვეყნებელი გვერდი შესრულებული იყო დიდი სიფაქიზით, რაც ფრანგი მხატვრის მიერ ირანული არქიტექტურის მნიშვნელოვანი ძეგლების ასახვის საუკეთესო ნიმუში იყო (Guillaume, 1939: 87). ამას მოწმობს ამედე ჟობერის, ლუი დიუბეს და ჟერმენ გიიომის ნაშრომებში წარმოდგენილი მ.-ფ. პრემოს ნახატების ილუსტრაციები.

1809-1810 წლებში ინგლისის წარგზავნილის, სერ ჰარფორდ ჯონს ბრიჯის მისიის მდივნის, ჯეიმს მორიერის მიერ შესრულებული სულთანიეს მეჩეთის ერთი სურათის გრაფიურა მოცემულია მისივე „მოგზაურობაში“ (Morier, 1812), ამ მეჩეთის გრაფიკული ჩანახატის ფრაგმენტის ილუსტრაცია კი რუსეთის დიპლომატიურ სამსახურში მყოფი ინგლისელი მხატვრის, სერ რობერტ კერ-პორტერის თხზულებაში (Sir Robert Ker Porter, 1821: I). 1817 წლის 31 ივლისს სპარსეთში გენერალ ალექსეი ერმოლოვის მეთაურობით წარგზავნილი ელჩობის წევრის, შტაბს-კაპიტან მორის კოცებუს მიერ დახატული სულთანიეს ბანაკის ფერადი ნახატის გრაფიურა მისივე თხზულებაშია მოცემული (Kotzebuë, 1819). ამგვარად, XIX საუკუნეში სწორედ მიშელ-ფრანსუა პრემოს არის ის პირველი ევროპელი მხატვარი, რომელმაც სულთანიეს თემას ნახატების სერია მიუძღვნა.

„აბას მირზას მიერ თავრიზში გარდანის მისიის მიღება.“ სხვა თემას ეხება ანრი დეერენის მონოგრაფიის მეორე ტომში მოცემული მ.-ფ. პრემოს ნახატის ილუსტრაცია სათაურით – „Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz“. D“après un dessin de Préaulx, Archives du Ministère des Affaires Etrangères (Dehéraïn, 1929/30: II, Pl., V). ის ამავე სათაურითაა წარმოდგენილი ჟერმენ გიიომის სტატიაში (Guillaume, 1939: Pl. XXXIX) და ა. დეერენის წიგნში მოცემული ილუსტრაციის იდენტურია. პრემოს ნახატის ეს სათაური ო. ბოპის ნუსხაში მითითებული არ არის¹.

1 ჩნდება კითხვა, რომელზეც ჯერ-ჯერობით პასუხი არ გვაქვს: რატომ არ არის ოგიუსტ ბოპის მიერ წარმოდგენილი მიშელ-ფრანსუა პრემოს ნახატების სათაურების ნუსხაში

პრეოს ნახატზე ასახული სცენის აღსაწერად ა. დეერენს ფელიქს ლაჟარის ერთ-ერთი წერილიდან მოჰყავს შემდეგი ნაწყვეტი: „შეუძლებელი იყო იმაზე მეტი კეთილგანწყობისა და ენთუზიაზმის წარმოდგენა, როგორცაც მეფისწულმა აბას მირზამ მიიღო ყველა ფრანგი.“ შემდეგ ფრანგი ისტორიკოსი თვითონ აღწერს ამ სურათს: „პრეოს ნახატი ჩვენც გვასწრებს ამ მისიის მიღებაზე. მეფისწული დიდი დარბაზის კუთხეში ზის სპარსული წესისამებრ ფეხმორთხმული. გენერალი ფეხზე დგას და ესალმება მას. მისიის ხუთი წევრი თავიანთი მეთაურის უკან ზის. მრავალი წარჩინებული სპარსელი შორიდან ესწრება ამ მიღებას, დარბაზი ღიაა ბალის მხრიდან“ (Dehérain, 1938/08/01, n. 181). ფელიქს ლაჟარის ამ სიტყვებზე ა. დეერენის კომენტარი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ეს სურათი აბას მირზასთან საფრანგეთის მისიის პირველ აუდიენციას ასახავს.

გენერალ გარდანის მისიის წევრების, ჟოზეფ-მიშელ ტანკუანისა და ანჟ დე გარდანის, თხზულებებში დაცული ცნობების თანახმად, მეფისწულმა აბას მირზამ საფრანგეთის მისია პირველად 1807 წლის 13 ნოემბერს მიიღო, მეორედ კი – 14 ნოემბერს. ჩნდება კითხვა: რომელ მიღებას ასახავს ა. დეერენის მონოგრაფიასა და ჟ. გიომის სტატიაში წარმოდგენილი პრეოს ნახატის ილუსტრაცია?

აბას მირზასთან გამართული პირველი მიღების შესახებ ჟ.-მ. ტანკუანი შემდეგს წერს: „ისევე როგორც ყველგან, სპარსეთში ეტიკეტი სერიოზული, სახელმწიფო საქმეა. გუშინწინ, დღის 11 საათზე, პირველად ვნახეთ შაჰზადე აბას მირზა. ჩვენ დიდი ცრემონიალით გავუდექით გზას სასახლისაკენ მის მიერვე გამოგზავნილი ცხენებით; პირველ ეზოში მდებარე დარბაზში მისია ბეგლარბეგმა ანუ ქალაქის გუბერნატორმა, აჰმედ ხანმა, მიიღო. უპირველეს ყოვლისა, მან მირზას ჩვენი გვარები და წოდებები დააწერინა, რათა სათითაოდ წარვედგინეთ მეფისწულისათვის. შემდეგ ის *სერალის* მეორე ეზოში შეგვიძღვა. ყველა მინისტრი ღობის გასწვრივ იდგა მდუმარედ; აბას მირზა დაბალჭერიან დარბაზში ფანჯარასთან მარტო იჯდა ფეხმორთხმული. შაჰზადეს მუქი შინდისფერი ატლასის სამოსი ეცვა, მის მკლავებს ელვარე სამაჯურები ამშვენებდნენ, მუხლებზე ხმლის ქარქაში ედო, რომელზეც პატიოსანი თვლები ბრწყინავდა, თავზე ყიზილბაშთათვის დამახასიათებელი ქუდი ეხურა და ჟოლოსფერი ლამაზი შალი ჰქონდა შემოხვეული.

მას შემდეგ, რაც ელჩების წარმდგენი პირის მითითებებით მეფისწულს სამჯერ მდაბლად მივესალმეთ, განსაკუთრებული კეთილგანწყობის ნიშნად დარბაზში შეგვიყვანეს. აბას მირზამ მეტად გულთბილად მიგვიღო, ელჩი მის მახლობლად დაჯდა მოოქროვილ სავარძელში, ჩვენ კი სკამებზე დავსხედით... გენერალი ფრანგულად ლაპარაკობდა, რასაც სპარსულად ელჩის მეორე თარჯიმანი, ბ-ნი დე ნერსია, თარგმნიდა. შემდეგ საუბარი უფრო გულთბილი გახდა: ის სამხედრო საქმეს შეეხო და მეფისწულმა გამოთქვა სურვილი, ფრანგულ ყაიდაზე გაეწვრთნა თავისი სპარსული ნაწილები. გამომშვიდობების შემდეგ იმავე ცერემონიალით წამოვედით, როგორცაც მივედით“ (Tancoigne, 1819: I, 125-127). ეს ცნობები მეორდება ანჟ დე გარდანის თხზულებაშიც (Gardane, 1809, 37-38).

1807 წლის ნოემბერს თავრიზში საფრანგეთის მისიის 23 წევრი იმყოფებოდა – გენერალი გარდანი, მისიის მდივნები (ანჟ დე გარდანი, ფელიქს ლაჟარი), თარჯიმნები (დე ნერსია, ჟუანარი, ტანკუანი), ატაშეები (დე ბუასონი, ესკალო-

ისეთი მნიშვნელოვანი ნახატის სათაური, როგორცაა “Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz”, მაგრამ არის სათაური №14 “Réception du Général Gardane chez le gouverneur de Tauris?”

ნი), ექიმი სალვატორი, ორი მისიონერი, ოთხი კაპიტანი (ლამი, ვერდიე, პეპენი, ბიანკი დ., ადდა), ორი ლეიტენანტი (ფავიე, რეზული), სამი სერჟანტი (დამრო, მარეშალი, ფინო) და მხატვარი პრეო. სავარაუდოა, რომ 13 ნოემბერს გენერალი გარდანი მისიის თითქმის ყველა წევრის თანხლებით წარდგა მეფისწულთან აუდიენციაზე. ამას გვაფიქრებინებს ანჟ დე გარდანის და ჟ.-მ. ტანკუანის ცნობები მისიის წევრებისათვის მათი გვარებისა და წოდებების გამოკითხვის შესახებ მეფისწულთან წარსადგენად. აღსანიშნავია, რომ 1807 წლის 22 დეკემბერს ფათჰ-ალი შაჰთან გამართულ აუდიენციამდე იგივე ცერემონიული შესრულდა და შაჰს მისიაში მყოფი მისიონერებიც კი წარუდგინეს (Tancoigne, 1819: I, 167).

ანჟ დე გარდანისა და ჟ.-მ. ტანკუანის ცნობითვე, მეორე დღეს, 14 ნოემბერს, მეფისწულმა თავისთან მიიწვია გენერალი გარდანი, ინფანტერიის კაპიტანი ვერდიე და ხაზის სამი უნტერ-ოფიცერი, რომლებმაც აბას მირზას თხოვნით სხვადასხვა სამხედრო ილეთები შეასრულეს ფრანგულ ყაიდაზე (Gardane, 1809, 39; Tancoigne, 1819: I, 129-130). ამიტომ, გენერალ გარდანის მისიის წევრების ამ ცნობების გათვალისწინებით ვვარაუდობთ, რომ მ.-ფ. პრეოს ნახატზე ასახულია აბას მირზასთან გენერალ გარდანის მეორე აუდიენცია: მეფისწული პავილიონის სიღრმეში ზის; იქ ექვსი ერთნაირი სკამი დგას და არ ჩანს აბას მირზას მახლობლად საგანგებოდ გენერალ გარდანისათვის დადგმული მოოქროვილი სავარძელი. ერთ-ერთი ოფიცერი ფეხზე დგას და ხალიჩაზე მჯდომ პირს ესაუბრება, დანარჩენი ხუთი პირი სკამზე ზის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სურათზე გენერალი გარდანი, კაპიტანი ვერდიე, სამი სერჟანტი – ფინო, მარეშალი, დამრო და მისიის ერთ-ერთი თარჯიმანი, სავარაუდოდ კვლავ ანდრეა დე ნერსია, არიან წარმოდგენილნი. ლობის გასწვრივ ფეხზე მდგომი სილუეტები შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც წარჩინებულებს, ისე მეფისწულის დაცვას (სურ. 3).

სურათზე მისიის ყველა წევრს ჩექმა აცვია, ხმალი ჰკივია, ილღიაში ქუდი უჭირავს. ცნობილი ფაქტია, რომ ყაჯართა კარზე მიღებული მკაცრი ეტიკეტის თანახმად, ფათჰ-ალი შაჰთან და აბას მირზასთან აუდიენციაზე ჩექმებით, სავარაუდოდ იარაღითაც, შესვლა იკრძალებოდა. 1807-1809 წლებში სპარსეთში გენერალ გარდანის მისიის წევრები თუმცა კი აღწერენ შაჰთან და აბას მირზასთან მიღების ამბავს, მაგრამ არაფერს არ წერენ იმის შესახებ, თუ რა ეცვათ ფეხზე და ატარებდნენ თუ არა იარაღი. აღსანიშნავია, რომ ფათჰ-ალი შაჰმა ჩექმებით ყოფნის ნება მისცა მასთან 1806 წლის 19 ივნისს აუდიენციაზე წარდგენილ ამედე ჟობერს, რომელიც ამ საკითხის შესახებ შემდეგს წერს: „შაჰმა ჩემდამი განსაკუთრებული კეთილგანწყობის გამო ნება მომცა არ გამეხადა ჩექმები და დავმჯდარიყავი კიდევ მის პირდაპირ სპარსული წესისამებ“ (Jaubert, 1821: 233).

ყაჯარების კარზე მიღებულ ამ ეტიკეტთან დაკავშირებით მოვიძიეთ სხვა ევროპელ დიპლომატთა ცნობებიც. 1808-1809 წლებში სპარსეთში ინგლისის საგანგებო წარგზავნილის, სერ ჰარფორდ ჯონს ბრიჯის, 1810-1816 წლებში კი სპარსეთში ინგლისის ელჩის, სერ გორ აუსლის, ელჩობის მდივნის, ჯეიმს მორიერის ცნობებით, შაჰთან აუდიენციაზე ინგლისელები მწვანე მაღალქუსლიან ფეხ-საცმელებსა და წითელი ქსოვილის წინდებში იყვნენ გამოწყობილნი (Morier, 1812: 186; Morier, 1818: 177). იმავეს წერს 1817 წლის ზაფხულში ფათჰ-ალი შაჰის აუდიენციაზე მიწვეული ოსტ-ინდოეთის ოფიცერი, ჯონ ჯონსონი (Johnson, 1819: I, 250).

1812 წელს აბას მირზასთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი რუსეთის სამსახურში მყოფი დიპლომატის, ვილჰელმ ფონ ფრეიგანგის ცნობით, სპარსელები შენობაში შესვლისას ფეხსაცმელს იხდიდნენ და იცვამდნენ ქოშებს (des

babouches - V.F.), რაც უძველესი წესი იყო და სპარსელთა საცხოვრებლის უღამაზესი მორთულობის – ხალიჩების – გაფრთხილებას ემსახურებოდა. ფონ ფრეიგანგის შედარებით, სპარსეთში ფესსაცმლის გახდას იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც ევროპაში ქუდის მოხდას და ყოველივე ამის გათვალისწინებით, ის აბას მირზას წინაშე ქოშებით წარდგა (Freygang, 1816: 281).

1817 წელს ფათჰ-ალი შაჰთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილმა რუსეთის ელჩმა, გენერალმა ერმოლოვმა, მეფისწულ აბას მირზას პირველ ვეზირს, *ყაიემ მაყამ* მირზა ბოზორგს კატეგორიული უარი განუცხადა მეფისწულთან აუდიენციაზე სპარსული ეტიკეტით გათვალისწინებული წითელი წინდების ჩაცმაზე (Берже, 1877: 22, 26, 28-29; Ермолов, 1912: 85). გენერალმა განაცხადა, რომ ის უძლიერესი და ამასთან, მათი მეზობელი სახელმწიფოს ელჩი იყო და არ აპირებდა სხვათა მსგავსად მოქცევას, ხოლო თუკი წითელი წინდები უნდა ყოფილიყო ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობის საფუძველი, მან *ყაიემ მაყამს* შაჰის გაფრთხილებაც სთხოვა იმის თაობაზე, რომ იგი არც მასთან აუდიენციაზე ჩაიცვამდა მათ (Дуровин, 1888: VI, 249-252). ინგლისელი გენერალი ვ. მონტეისი თავის წიგნში აკრიტიკებს გენერალ ერმოლოვის დამოკიდებულებას ამ საკითხის გამო და რუსებს არაცივილიზებულებს უწოდებს: «(...) რუსეთის მისიის მეტად უაღრესად კეთილგანწყობით მიღების მიზეზი სპარსელების თანდაყოლილი ზრდილობა და სტუმართმოყვარეობა იყო; ფათჰ-ალი შაჰს და აბას მირზას სურდათ, რომ სტუმრობა უცხოელებისათვის, მეტად სასიამოვნო ყოფილიყო. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, რომ მათ შეურაცხყოფად არ მიეღოთ მიერ გამომჟღავნებული უპატივცემულობა რუსებისა, რომლებიც თავიანთ აპარტამენტებში მაინც განაგრძობდნენ შესვლას არც თუ ისე სუფთა ჩექმებით. მათი უმეცრების მისანიშნებლად გაიცა ბრძანება, რომ ძვირფასი ხალიჩები ან აელოთ, ან დაეხვიათ და ამგვარად გაეთავისუფლებინათ რუსების სამყოფელი, რომელთაც გარკვევით აცნობეს ამგვარი წინდახედული ზომების მიზეზი» (Monteith, 1856: 101-103).

1832-1838 წლებში სპარსეთში რუსეთის სრულუფლებიანი მინისტრის ივან სიმონიჩის ელჩობის წევრი, ბარონი კორფი თავის თხზულებაში წერს, რომ შაჰის კარზე ჩექმებით მისვლის უფლება რუსებისათვის გენერალმა ერმოლოვმა მოიპოვა. ინგლისელები ამ უპირატესობით არ სარგებლობენ და იძულებილნი იყვნენ, შაჰთან წარდგენისას ყოველთვის ქოშები და წითელი წინდები ჩაეცვათ (Корф, 1838: 200, 191).

უნდა აღინიშნოს, რომ აუსტერლიცთან გამარჯვების შემდეგ (2.12.1805) ნაპოლეონი სპარსელთათვის უძლეველი გმირი გახდა. ჟობერი ასე გადმოგვცემს მათ დამოკიდებულებას ნაპოლეონის მიმართ: „ალექსანდრეს შემდეგ აზიაში არავის სახელი არ შემოსილა ისეთი დიდებით, როგორც დიდი იმპერატორისა. სპარსელები მასში არა მხოლოდ ევროპის არბიტრს და ბატონს, არამედ აღმოსავლეთის სახის შეცვლისთვის მოწოდებულ პიროვნებასაც ხედავენ; მეფისწული აბას მირზა კი ნაპოლეონს „დასავლეთის გმირს“ უწოდებდა (AN, AF IV, 1686, doc. 16, fol. 7-8). კაპიტანი ოგიუსტ დე ბონტამ ლე ფორი აგრეთვე ადასტურებდა, რომ ნაპოლეონი აბას მირზასათვის „მისაბაძი გმირი და მაგალითი იყო“ (Bontems Le Fort, S. d.: 85).

ამგვარად, იმუამად ყაჯარები იმდენად იყვნენ დაინტერესებულები საფრანგეთთან ურთიერთობის დამყარებით, რომ რუსეთთან საომარ მდგომარეობაში მყოფმა სპარსეთის ტახტის მემკვიდრემ ნაპოლეონის წარგზავნილებთან ყაჯართა კარის ეტიკეტი მკაცრად არ დაცვა. მითუმეტეს, რომ მეტად შეუფერებელი იქნებოდა საფრანგეთის სამხედრო მუნდირებში გამოწყობილი, მაგრამ ჩექმები-


სა და სრული აღჭირვილობის გარეშე იმ ოფიცრების მიღება, რომელთაც სპარსელი მოლაშქრეები უნდა გაეწვრთნათ.




Dessiné sur les lieux par Préaux *Gravé par Préaux*
Vue de Bayazid, et de la chaîne des montagnes qui séparent la Turquie de la Perse

Imp. de C. Motte, R. des Marais 1821

„Vue de Bayazid, et de la chaîne des montagnes qui séparent la Turquie de la Perse“ („ხედი ბაიაზეტიდან და სპარსეთ – თურქეთის გამომყოფი მთების ქედებიდან“). – Dessiné sur les lieux par Préaux. Imp.ie de C. Motte R. des Marais. – Am. Jaubert, 1821: 28.



„Mosquée du chah Khodabendéh à Sultaniéh“ („შაჰ ხოდაბანდეს მეჩეთი სულთანეში“). - Dessiné sur les lieux par Préaux. Lithoé par Paris. Imp.ie de C. Motte R. des Marais.- Am. Jaubert, 1821: 352; L. Dubeux, 1841: ill. 30.



„Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz“ („აბას მირზას მიერ თავრიზში გარდანის მისია მიღება“). - D'après un dessin de Préaux, Archives du Ministère des Affaires Etrangères. - H. Dehérain, 1929/30: II, Pl., V; G. Guillaume, 1939: Pl. XXXIX.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Amini, I., *Napoléon et la Perse, Les relations franco-persanes sous le Premier Empire dans le context des rivalités entre la France, l'Angleterre et la Russie*, Paris, 1995.
2. Archives du Ministère des Affaires étrangères: Correspondences Politiques, Perse (CP/Perse): vol. 11, fol. 173r-173v.
3. Archives du Ministère des Affaires étrangères: Mémoires et Documents, Perse (MD/Perse): vol. 3, doc. 4, fol. 120r.
4. Archives Nationales (AN): AF, 1686 IV¹, doc. 10, fol. 1-4.
5. [Bontemps Le Fort Auguste de] *Lettres d'un officier français contenant la relation d'un voyage rapidement fait en Turqui et en Perse pendant l'année 1807*, S.d.
6. Boppe, A., *Les peintres du Bosphore au dix-huitième siècle*. Paris, Librairie HACHETTE et G*79, Bd. Saint-Germain, 79, 1911.
7. Boppe, Auguste (1862-1921), Ambassadeur de France. *Les peintres du Bosphore au dix-huitième siècle*. Les orientalistes, vol. 8. Imprimé en France par Même Imprimeurs à Tours, 1989. ACR Édition Internationale, Courbevoie (Paris). Dans la réserve de la bibliothèque de Sainte Geneviève à Paris.
8. Dehérain, H., *La vie de Pierre Ruffin, orientaliste et diplomate*, vol. I-II, Paris, 1929-1930.
9. Dehérain, H. „La Perse vue par un artiste français sous Napoléon“, in: „Journal des débats politiques et littéraires“, 1938/08/01 (181).
10. Drouville, G., *Voyage en Perse, fait en 1812 et 1813*, t. I-III, Turin, 1829.
11. Dubeux, L., *La Perse*, Paris, 1841.
12. Dupré, Adrien, *Voyage en Perse, fait dans les années 1807, 1808 et 1809, en traversant la Natolie et la Mésopotamie, depuis Constantinople jusqu'à l'extrémité du Golf Persique, et de la à Iréwan*, t. II, Paris, 1819.
13. Gardane, Ange de, *Journal d'un voyage dans la Turquie-d'Asie et la Perse, fait en 1807-1808*, Paris-Marseille, 1809.
14. Guillaume, Germaine, „Influences des ambassades sur les échanges artistiques de la France et de l'Iran du XVII^{ème} au début du XIX^{ème} siècle“. In: III^e Congrès International d'art et d'archéologie iraniens, Mémoires, Leningrad, Septembrw, 1935, Éditeur: Académie des sciences de l'URSS, Moscou-Leningrad, 1939, pp. 79-88.
15. Jaubert, P. Am., *Voyage en Arménie et en Perse, fait dans les années 1805-1806*, Paris, 1821.
16. Kotzebuë, Moritz, *Relation d'un voyage en Perse, fait en 1817 à suite de l'Ambassade Russe*, Traduite de l'Allemand par M. Breton, orné de gravures coloriées. Paris, 1819.
17. Lockhart, L., *Persian cities*, London, 1960.
18. Monteith, W., Lieut.-General, *Kars amd Erzeroum: with The Campaigns of Prince Paskiewitch In 1828 and 1829; and an Account of the Conquests of Russia beyond the Causacus, From Treaty Time of Peter the Great to the Treaty of Turcoman Chie and Adrianople*, London, 1856.
19. Morier, J., *A Journey Through Persia, Armenia, and Asia Minor, to Constantinople, in the Years 1808 and 1809*, London, 1812.
20. Porter, Sir Robert Ker, *Travels in Georgia, Persia, Armenia, Ancient Babylonia during the Years 1817, 1818, 1819 and 1820*, vol. I-II, London, 1821.

21. Service historique de l'Armée de Terre (SHAT), Vincennes : Perse 1807-1857, n°1673, 1M, 4/52.
22. Tancoigne, J. M., *Lettres sur la Perse et la Turquie d'Asie*, t. I-II, Paris, 1819.
23. Wilber, Donald N., *Iran Past and Present*, Princeton, New Jersey, Princeton University Press, 1958.
24. Берже, Ад., *Посольство А. П. Ермолова в Персию. Исторический очерк. Посвящаю Михаилу Ивановичу Семевскому*. СПб., 1877.
25. Дубровин, Н., *История войны и владычества Русских на Кавказе*, т. 6, СПб., 1888.
26. Ермолов, А. П., *Ермолов 1777-1861. Биографический очерк*. Издание Императорского русского военно-исторического общества. С.-Петербург, 1912.
27. Корф, Ф., Барон, *Воспоминание о Персии 1834-1835*, СПб., 1838.

გიული ალასანია

ორი განსხვავებული ხედვა სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებზე

თანამედროვე სამყაროში დაპირისპირება ქვეყნებსა და ხალხებს შორის არანაკლებ მწვავეა ვიდრე ადრე. თუმცა შეიცვალა ფორმები. მეტი ფასი დაედო ადამიანის სიცოცხლეს, დღის წესრიგში დაისვა ადამიანის უფლებების დაცვა, რასაც მეტნაკლებად ყველა ქვეყანაში ექცევა ყურადღება, თუმცა ამ მიმართულებით განვითარება ყველა ქვეყანაში თანაბარი და ერთნაირად წარმატებული არ არის და ზოგიერთ შემთხვევაში შორსაა იდეალურისაგან. სწორედ ეს განსხვავებულობა ხდება ხშირ შემთხვევაში დაპირისპირების მიზეზი. თანამედროვე პირობებში კონფლიქტი ხდება არა იმდენად განსხვავებული რელიგიების გამო, რამდენადაც განსხვავებული ღირებულებების და განვითარების განსხვავებული დონეების გამო. აგრესიის და კონფრონტაციის ინიციატორიც სწორედ ეკონომიკურად და სოციალურად ჩამორჩენილი ხალხები ან ქვეყნები ხდებიან, რომელთაც პატიოსანი კონკურენციის პირობებში წარმატების ნაკლები შანსი აქვთ. ცივი ომის დასრულების შემდეგ, ერთპოლარულ მსოფლიოში დღის წესრიგში უსაფრთხოების ახლებური სისტემის შექმნა დაისვა. მსოფლიო გარდამავალ ფაზაში იმყოფება. გავლენების გადანაწილების პირობებში ყველაზე დაუცველი კვლავ პატარა ქვეყნები და მცირერიცხოვანი ერები რჩებიან. არჩევანის გაკეთება კი არა იმდენად გეოგრაფიული სიახლოვის, რამდენადაც ღირებულებების სიახლოვის მიხედვით ხდება. კომუნიკაციების თანამედროვე დონემ პატარა ქვეყნებს მისცა შესაძლებლობა განსაზღვრონ თავისი ადგილი არა მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით – დასავლეთი-აღმოსავლეთი, არამედ ღირებულებების და მიზნების მიხედვით. დღეს ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ზოგიერთი აზიური ქვეყნის ეკონომიკა („აზიური ვეფხვები“), რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად, უფრო ახლოა დასავლურ ქვეყნებთან, ვიდრე თუნდაც ქრისტიანული ტრადიციებიდან მომდინარე ევროპასთან ბევრად ახლო მდებარე ზოგიერთი ევრაზიული ქვეყანა.

ადამიანის უფლებებთან ერთად აქტუალური გახდა და მწვავედ დაისვა უმცირესობების უფლებები, რომლებიც ხშირად დიდი სახელმწიფოების ხელში პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების მიღწევის იარაღად არიან ქცეული.

სსრკ-ს დანგრევა სხვა ნიშნებთან ერთად მსოფლიოს იმითაც ეცნობა, რომ „მტკიცე“ და „ურყევი“ მეგობრობის ქვეყნის ნანგრევები მოიცვა ეთნო-კონფლიქტებმა იმ ხალხებს შორის, რომლებიც თითქოსდა „სამუდამოდ შეადუღაბა დიადმა რუსეთმა“ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. ვინც ასე თუ ისე იცნობდა სსრკ-ს ისტორიას, რომელიც იმ ქვეყანაში ძირითადად რუსეთის შელამაზებული ისტორიის ფორმით ისწავლებოდა, მაინც კარგად იცოდა, რომ თითქოსდა მიძინებული ნაციონალიზმის გამოცოცხლება და შესაბამისად ძმურ ოჯახში დაპირისპირება მოსალოდნელი იყო. ამჟამად ეთნოკონფლიქტებს სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ადგილი ეთმობა კიდევ ერთხელ ხდება ისტორიული პროცესების ახლებუ-

რად წარმართვა და ამასთანავე ისტორიის ახლებურად გააზრება და ხელახლა გადაწერა. კიდევ ერთხელ ცხადად ხდება იმის დადასტურება, რომ ისტორია, მართალია, მეცნიერებაა, მაგრამ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით მოკლებულია შესასწავლი ობიექტის უშუალო დაკვირვების შესაძლებლობას და ამას ადამიანის ხელით შექმნილი წყაროების მეშვეობით ახდენს, რაც ისტორიულ პროცესებში საერთო კანონზომიერებებიდან არცთუ იშვიათ გამონაკლისებთან ერთად სუბიექტურობის დიდ შესაძლებლობასაც იძლევა. ამიტომ აქ, როგორც არსად სხვაგან, მკვლევრის მომზადება, მისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კუთვნილება, დასკვნების სანდო წყაროებზე და მყარ არგუმენტებზე და არა წინასწარ შედგენილ სქემებზე და ახირებებზე დამყარება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

ჩვენს წინაშეა ორი სადოქტორო დისერტაცია, დაცული ლონდონის ეკონომიკის და პოლიტიკურ მეცნიერებათა უნივერსიტეტში, რომელიც ეძღვნება კონფლიქტებს სამხრეთ კავკასიაში: „კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში: ავტონომია და გამოყოფა“, დაცული 2006 წელს, რომლის ავტორია არსენი საფაროვი [Saparov:2006] და „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა პოსტ-საბჭოთა სამხრეთ კავკასიაში: ყარაბაღი და აფხაზეთი“, დაცული 2003 წელს, რომლის ავტორია ჰრატჩ ჩილინგირიანი [Tchilingirian:2003]. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომები მსგავს პრობლემებს ეხება, ისინი მნიშვნელოვნად განსხვავდებიან საკითხების დასმით, თავისი შედეგნილობით, სისრულით, თუნდაც მიუკერძოებულობის ხარისხით. შესაძლოა, ნაწილობრივ უკანასკნელის მიზეზი ისიც არის, რომ ჰ. ჩილინგირიანის ნაშრომი უფრო ადრეა დაწერილი, და ავტორს, როგორც ჩანს, უჭირს გარკვეული ემოციებისაგან თავის დაღწევა, ხოლო ა. საფაროვის ნაშრომი დაწერილია სამი წლით გვიან და იქ განხილული მოვლენებიც დროის დისტანციიდან არის დანახული და ამდენად უფრო მშვიდად. ორივე ნაშრომი ძალზე საფუძვლიანი გამოკვლევაა.

დავიწყებთ პირველით, რომელიც, თუმცა, სამი წლით გვიან არის დაწერილი, უფრო ფართოა, დიდ ინფორმაციას შეიცავს; აქ ყველა კონფლიქტი თუ კონფლიქტური ვითარება ჩასმულია გარკვეულ ისტორიულ კონტექსტში, რაც არა მარტო ავტორს, არამედ მკითხველსაც უადვილებს სწორი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას.

ა. საფაროვის ნაშრომი მოიცავს 270-მდე გვერდს და შედგება შესავლის, სამი მონაკვეთის, ბიბლიოგრაფიის სიის და დანართისაგან, ცხრილებითა და დიაგრამებით. თავის მხრივ, ყოველი მონაკვეთი შეიცავს თავებს.

შესავალში (1) წარმოდგენილია პრობლემის დასმა, სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების ინტერპრეტაციები, მეთოდოლოგია, დისერტაციის გეგმა. მეორე მონაკვეთი, რომელიც მიმოიხილავს რეგიონების ისტორიას, ორი თავისაგან შედგება – 2. ტერიტორიული იდენტობის წარმოშობა სამხრეთ კავკასიაში, სადაც გადმოცემულია მე-16-19 სს-ში სამხრეთ კავკასია იმპერიებს შორის, შენაძენი და კონსოლიდაცია 1801-1830 წლებში, ადმინისტრაციული ექსპერიმენტები, კავკასიის სამეფისნაცვლო და ავტონომიების გაუქმება, ეკონომიკური ბუმი და ეროვნული გამოღვიძება და 3. სამხრეთ კავკასიაში ტერიტორიული იდენტობის ინსტიტუციონალიზაცია, რამდენიმე პრობლემით – დეზინტეგრაციიდან დამოუკიდებლობის გავლით საბჭოთა კავშირისაკენ; ნაციონალიზმი სამხრეთ კავკასიაში.

მეორე მონაკვეთში – „ეთნიკური კონფლიქტები და გამოყოფა“ – ასევე ორი თავია. მე-4 „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის წარმოშობა“ და მე-5 „ქართულ-ოსური კონფლიქტი“ პირველში განხილულია შემდეგი საკითხები: აფხაზეთი

სსრ-დან ასსრ-მდე: ადრეული პერიოდის დაპირისპირებები და დავები 1921-1931; აფხაზების პრეტენზიები და ჩივილები 1937-1953; აფხაზების უკმაყოფილება და პროტესტები; აფხაზების მონაპოვარი და ქართული რეაქცია, მეორეში კი შესწავლილია სამხრეთ ოსეთი რუსეთის სამოქალაქო ომის დროს 1917-1921 წწ; ოსური ავტონომია და ავტონომიური ინსტიტუტები როგორც ოსური იდენტობის ბაზისი; ავტონომიური ინსტიტუტების როლი ოსური იდენტობის კონსოლიდაციაში; ოსების პრეტენზიები; ოსური იდენტობის მანიფესტაციები გვიან საბჭოთა პერიოდში; ომის ესკალაცია.

მესამე მონაკვეთში – „თავსაცილებული გამოყოფა“ წარმოდგენილია ნაშრომის მე-6 და მე-7 თავები – „აჭარა და ნახიჭევანი – ავტონომიები, რომლებიც არ აჯანყებულან“, სადაც შესწავლილია აჭარის და ნახიჭევანის ავტონომიების შემთხვევა, და მე-7 თავი „არაავტონომიური უმცირესობები“, სადაც საუბარია იმ უმცირესობებზე, რომელთაც არა აქვთ ავტონომიური სტატუსი, და შემდეგ ცალცალკე, კონკრეტულად, ასეთი უმცირესობების მდგომარეობა აზერბაიჯანსა და საქართველოში. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა თავი დასკვნებით სრულდება, დისერტაციის მე-8 თავი საგანგებოდ დასკვნებს ეძღვნება.

დანართში წარმოდგენილია სხვადასხვა წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების მასალები და რუკები, რესპუბლიკები, ავტონომიური ერთეულები და უმცირესობები. რუსეთის ექსპანსია კავკასიაში 1800-1829; რუსული კავკასია 1852 წელს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფით; სსრკ 1924 წლის კონსტიტუციით; აფხაზური გერბის ცვლილებები; აზერბაიჯანის სსრ-ს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფა.

ავტორი იწყებს ბოლოდან, ანუ წარმოადგენს ძირითად დასკვნებს ყველა შესწავლილ საკითხზე. ის თავიდანვე მიუთითებს იმ ძირითად მიზეზზე, რამაც გამოიწვია კონფლიქტი აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბაღში. მისი აზრით, ამის მიზეზი იყო ერთდროულად ავტონომიის სტატუსი და ტიტულოვანი უმცირესობის არსებობა. ის აცხადებს, რომ 1992 წელს აფხაზეთმა დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწიეს, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ეს არ მომხდარა რუსული და ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისე ძალების მნიშვნელოვანი მხარდაჭერის გარეშე. იგი ახსენებს აჭარის და ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკებს, რომლებიც არ ჩაბმულან კონფლიქტში მათ რესპუბლიკებთან და სვამს შეკითხვას. რატომ? და გასცემს პასუხს: ავტორის აზრით, ეს მოხერხდა იმიტომ, რომ იმ ავტონომიურ ერთეულებში არ არსებობდა შესაბამისი უმცირესობა, ნახიჭევანი დასახლებული იყო ეთნიკური აზერბაიჯანელებით, აჭარა კი – ეთნიკური ქართველებით და იქვე დასძენს, რომ განსხვავებული რელიგია აჭარის შემთხვევაში არ იძლევა რაიმე არსებითს.

კიდევ ერთი შემთხვევა, რომელიც განხილულია ნაშრომში, ეს არის უმცირესობები, რომლებიც დარჩენილი არიან ავტონომიის მიღმა სსრკ-ში, თუმცა რაოდენობრივად უფრო მეტი არიან, ვიდრე არსებულ ავტონომიებში მცხოვრები უმცირესობები. სხვათა შორის, აქ ერთმანეთთან შედარებულია მთელ აზერბაიჯანსა და ყარაბაღში მცხოვრები სომხები, მთელ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსები, რაც მეორე შემთხვევაში ნაკლებია, ამასთანავე განხილულია რესპუბლიკებში მცხოვრები სხვა უმცირესობების მდგომარეობა, რომელთაც არა აქვთ ავტონომიები.

დისერტაციის ავტორი ამ ძირითადი პრობლემების შესწავლისას არაერთ საკითხზე საუბრობს და ეს მას ხელს უწყობს ნაშრომის დასაწყისში გაცხადებული დასკვნების დამაჯერებლად დასაბუთებაში და ამას ის ძირითადად ახერხებს.

ავტორი ადარებს ერთმანეთს დასავლურ და აღმოსავლურ ნაციონალიზმს და აღნიშნავს, რომ პირველი ყალიბდება სახელმწიფოს ირგვლივ, ხოლო მეორე – ეთნიკური ხაზების გასწვრივ, რომელიც ამასთანავე არ ემთხვევა ადმინისტრაციულ – პოლიტიკურ საზღვრებს. ამასთან დაკავშირებით მას რამდენიმე მაგალითი მოაქვს – სომხების, რომელთა წარმოდგენით სომხების ეთნიკური საზღვრები ვრცელდება აზერბაიჯანზე, საქართველოზე და თურქეთზე, ქართველების, რომლებსაც ქართული ეთნიკური საზღვრები არ იფარგლება საქართველოთი და არის თურქეთში, აზერბაიჯანში და რუსეთში, და აზერბაიჯანელების, რომელთა შეგნებაში აზერბაიჯანული ეთნიკური საზღვრები, აზერბაიჯანის გარდა, არის საქართველოში, ირანში, დაღესტანში. ავტორი არ ამტკიცებს, რომ ყველა ეს შემთხვევა შეიძლება მივიდეს ომამდე.

ნაშრომი წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის ფართო წრეს ეყრდნობა. მისი დადებითი მხარეა ის, რომ ავტორი იყენებს ლიტერატურას არა ამორჩევით, არამედ, შეძლებისდაგვარად, ცდილობს ყველა შემთხვევაში გაითვალისწინოს ორივე მხარის პუბლიკაციები და არგუმენტები. ნაშრომის ყველაზე ძლიერი მხარეა დეტალურად გადმოცემული ისტორია, კონკრეტული ფაქტები, რომელიც ასევე მოცემულია არა შერჩევით, არამედ საკმაოდ სრულად. ავტორი წარმოადგენს ყველა იმ ფაქტის ჩამონათვალს, რამაც საბოლოოდ გამოიწვია კონფლიქტი. ავტორი არავის არ ადანაშაულებს, ნაკლებად იძლევა მხარეების შეფასებას და გვაძლევს ყოველმხრივ დასაბუთებულ, დამაჯერებელ ძირითად დასკვნებს. სხვა დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას კი მკითხველს მიანდობს. ვფიქრობთ, სწორია ავტორი, როდესაც რეგიონების ისტორიის მიმოხილვას არ იწყებს შორეული წარსულით და იფარგლება გვიანი შუა საუკუნეებით, მე-16-19 საუკუნეებით. ეს სწორედ ის ხანაა, რომელმაც შეამზადა და მოიტანა ახალი ეპოქა, იმ დროს ჩაისახა ნაციონალიზმი, დღის წესრიგში დადგა ერთა თვითგამორკვევა, მოხდა ბურჟუაზიული რევოლუციები, რამაც, თავის მხრივ, შექმნა ახალი ტიპის სახელმწიფოები, თუმცა ეს პროცესი მსოფლიოში ძალზე არათანაბრად წარიმართა.

მაგალითად, სამხრეთ კავკასია ამ პროცესს შედარებით გვიან მიუერთდა, მხოლოდ მე-19 ს-ის მეორე ნახევრიდან, რადგან წარმოადგენდა, თავის მხრივ, ჩამორჩენილი რუსეთის ნაწილს, რომელიც თვითონაც გვიან დაადგა ბურჟუაზიული განვითარების გზას. მხოლოდ 1861 წელს მოხდა რუსეთში ოფიციალურად, ჯერ მხოლოდ ქალაქებში, ბატონყმობის გაუქმება, ხოლო შემდეგ იგივე მოხდა სამხრეთ კავკასიაში, თუმცა რეალობაში ეს საკმაოდ გაჭიანურებული პროცესი იყო. ნაშრომში საკმაოდ დეტალურად არის გადმოცემული რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის ისტორია, საქართველოს შემთხვევაში ბაგრატიონების გადასახლება, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, რუსული ბიუროკრატის დამკვიდრება. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა დემოგრაფიული პროცესების მართვა, ეთნიკური ჯგუფების რაოდენობის ხელოვნურად გაზრდა ან შემცირება. მოსახლეობის დეპორტაცია ან, ზოგიერთ შემთხვევაში, პირიქით, ჩასახლება, ყოველივე ეს, ასე მტკივნეული დაპყრობილი ხალხებისათვის, დამპყრობლის აზრით, იმპერიის დღევანდელობას ემსახურებოდა. აქვე ნაჩვენებია, რომ იგივე გამოცდილება არ იყო დავიწყებული არც საბჭოთა წლებში. დეტალურად არის ნაჩვენები რუსული ადმინისტრაციის დამკვიდრება კავკასიაში და ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობა, იმპერიული, ხოლო მოგვიანებით საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის ახალი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება და იდეოლოგიის გავრცელება და ოფიციალური ნაციონალიზმის

თავსმოხვევა სახელმძღვანელოების, ენციკლოპედიების, სხვა ბეჭდვითი ორგანოების ან მედიის საშუალებით, ავტორი აღნიშნავს, თუ როგორ ცდილობდნენ ყველანაირი ხერხით გაემართლებინათ რუსეთის იმპერიის და ბოლშევიკების ექსპანსიონიზმი, რაც წარმოდგენილი იყო როგორც ხსნა მჩაგვრელი მეზობლებისაგან მათი დამონებისა და ასიმილაციისაგან. ავტორი წარმოადგენს მასალას იმის შესახებ, თუ როგორ მეთოდურად ინერგებოდა სიძულვილი გარეშე მეზობლების მიმართ, თუმცა, როგორც იგი აღნიშნავს, ეს არ უნდა გავრცელებულიყო შიდა მეზობლებზე. ავტორის სიტყვით, სხვადასხვა მჩაგვრელები იყვნენ რუსეთის იმპერიის/სსრკ-ს ყველა საზღვარზე: ტევტონთა ორდენი ბალტიისპირეთში, პოლონეთი – ბელორუსიასა და უკრაინაში, ოსმალეთის იმპერია-უკრაინაში, მოლდოვაში, ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში; სპარსეთი-ჩრდილო კავკასიაში და ჯუნგარები და ჩინეთი ცენტრალურ აზიაში და შორეულ აღმოსავლეთში. ამ აზრების ტირაჟირება ხდებოდა ყველა დონეზე, რის შემდეგაც ადვილი ხდებოდა ნებისმიერი ექსპანსიის გამართლება. სხვა მაგალითებს შორის, ნახსენებია II მსოფლიო ომის შემდეგ ირანის და თურქეთის ტერიტორიების ანექსიის მცდელობა, რაც, პირველ შემთხვევაში, თითქოს აზერბაიჯანის, ხოლო, მეორე შემთხვევაში, თითქოს სომხეთის და საქართველოს სასარგებლოდ ხდებოდა.

ავტორი მიმოიხილავს სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი ქვეყნების ვითარებას 1918-20/21 წწ., ეხება მათ შორის ტერიტორიულ დავებს და კონფლიქტებს და სომხურ-ქართული კონფლიქტის მცირე მასშტაბს ხსნის როგორც ორმხრივი კომპრომისებით, ასევე იმითაც, რომ ამ ორ ხალხს შორის მტრობა თითქმის არ იყო. სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტი, მისი აზრით, ბევრად უფრო რთული იყო, რადგანაც ამ ორ ხალხს შორის მტრობა არსებობდა, ხოლო მათ შორის კულტურულ-რელიგიური სხვაობები დიალოგს უფრო რთულს ხდიდა. სომხები აცხადებდნენ პრეტენზიას მთელ ერევნის პროვინციაზე და ელიზავეტპოლის მთიან ნაწილებზე (ყაზახზე, ყარაბაღზე და ზანგეზურზე), ხოლო აზერბაიჯანელებს უნდოდათ კონტროლი მთელ ელიზავეტპოლზე და ერევნის პროვინციის ნაწილზე (ნახიჭევანი, შარურ-დარალაგები, სურმალუ და ალექსანდროპოლი). ნახსენებია ტერიტორიული დავა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ზაქათალას ოკრუგზე, რომელიც, ავტორის აზრით, ისტორიული საქართველოს სამეფოს ნაწილი იყო. როგორც აღნიშნულია ნაშრომში, ქართველებს ამ ტერიტორიაზე ისტორიული და ეთნიკური პრეტენზიები ჰქონდათ, ხოლო აზერბაიჯანელები რელიგიურ არგუმენტებს იყენებდნენ.

ავტორი, ბუნებრივია, ეხება კონფლიქტებში საგარეო ძალების მონაწილეობასაც, თურქების, გერმანელების, ბრიტანელების, რუსეთის თეთრი გენერლების (დენიკინის).

ავტორი ეხება იმას, თუ რომელი ტერიტორიები და რა ვითარებაში მიიღეს ცალცალკე რესპუბლიკებმა სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკების დამკვიდრების შემდეგ. აზერბაიჯანმა – ზაქათალის ოლქი, სადავო საქართველოსთან, და ყარაბაღი და ნახიჭევანი, სადავო სომხეთთან. სომხეთმა შეინარჩუნა ზანგეზური, ყაზახის და ლორეს ოლქების ნაწილი, სადავო აზერბაიჯანსა და საქართველოსთან. საქართველომ კი მიიღო ახალქალაქი, სადავო სომხეთთან, და ბათუმი, სადავო თურქეთთან.

ავტორის აზრით, სხვადასხვა ხარისხის ავტონომიით სწორედ სადავო ტერიტორიები დაჯილდოვდა – ყარაბაღის, ნახიჭევნის, სამხრეთ ოსეთის, აჭარის და მოგვიანებით აფხაზეთის.

ნაშრომში თვალი გაედევნება ნაციონალიზმის სხვადასხვა გამოვლენას, თუ როგორ ხდებოდა დროდადრო ლატენტური ნაციონალიზმის აფეთქება, რაც სახალხო პროტესტის ფორმას იღებდა. ყურადღება ექცევა ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებს, სხვადასხვა პასუხს პროტესტებზე, ახსნილია ამ სხვაობის მიზეზები, შესწავლილია დისიდენტური მოძრაობა, რაც უფრო ადრე დაიწყო და მსგავსი იყო საქართველოსა და სომხეთში, უფრო გვიან აზერბაიჯანში, რელიგიური აქტიურობა სხვადასხვა რესპუბლიკაში, ნაჩვენებია სხვაობა მათ შორის, კონკრეტული ლიდერების საქმიანობა, მათი პირველად გამოჩენა (მაგალითად, მომავალი პრეზიდენტების, ზვიად გამსახურდიასი ან ლევონ ტერ-პეტროსიანის), მათი მოთხოვნები, რეპრესიები. ის წლები ავტორს ქრონოლოგიურად, დეტალურად აქვს შესწავლილი, კარგად იცნობს იმ დროის პუბლიკაციებს, არცერთ შემთხვევაში არ ტოვებს უყურადღებოდ ვითარებას ავტონომიურ ერთეულებში. ავტორი განიხილავს სხვადასხვა შეხედულებას ავტონომიების შესახებ და მიაჩნია, რომ ის რესპუბლიკები, სადაც შექმნილი იყო ავტონომიები, განიხილავდნენ მათ როგორც არაპროპორციულს, თავსმოხვეულს მოსკოვიდან, როგორც მე-5 კოლონას, რომელიც მოსკოვზე მუშაობს, რის გამოც მათ მუდამ ჰქონდათ სურვილი შეეზღუდათ მათი უფლებები ან სულაც გაეუქმებინათ. პრობლემა განხილულია სხვადასხვა მიმართულებით: ა. ვითარება, რამაც მიიყვანა ავტონომიების შექმნამდე, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო მომავალში უკმაყოფილების წყარო, ბ. ავტონომიაში შექმნილი სახელმწიფო სიმბოლოების ინსტიტუტის როლი და ფუნქცია, გ. ხსოვნა, რომელიც ამართლებს რესპუბლიკის მიმართ მტრულ განწყობილებას და რომელიც მომდინარეობს როგორც არაოფიციალური, ასევე ოფიციალური წყაროებიდან, დ. რესპუბლიკის მხრიდან გატარებული შევიწროების პოლიტიკა (მოგონილი ან რეალური).

ავტორი არ იზიარებს აზრს, რომ ავტონომიები იმთავითვე იყო შექმნილი როგორც ნაღმი რესპუბლიკების ასაფეთქებლად. მისი აზრით, შეუძლებელია, რომ ბოლშევიკ ლიდერებს მე-20 ს-ის 20-იან წწ-ში განესაზღვრათ ქვეყნის დაშლა 90-იან წწ-ში; მისი ვარაუდით, ავტონომიური სტატუსი ვითარების განსამუხტად მიენიჭათ იმ რეგიონებს, სადაც უკვე არსებობდა კონფლიქტური ვითარება.

კონფლიქტების კვლევისას ავტორს ზედმიწევნით აქვს შესწავლილი ავტონომიური ერთეულების ისტორია, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული, დემოგრაფიული, საგანმანათლებლო პოლიტიკა, ნაჩვენებია აქვს, თუ როგორ იცვლებოდა აფხაზეთის სტატუსი 20-30-იან წლებში, როგორ იცვლებოდა აფხაზეთისათვის დამწერლობა, იხურებოდა ან იხსნებოდა სკოლები, გაზეთები ან ჟურნალები, რადიო და ტელეგადაცემები, როგორ გადაკეთდა პედაგოგიური ინსტიტუტი უნივერსიტეტად, როგორ დაიყო ის ქართულ და აფხაზურ უნივერსიტეტებად, ქართულ-აფხაზური თეატრიდან ქართულის გამოდევნა, თუ როგორ გახდნენ აფხაზები, რომლებიც მოსახლეობის 17% შეადგენდნენ, დომინანტური სახელმწიფო ინსტიტუტებში 1970-იანი წლებიდან, როგორ ხდებოდა 1990-იან წლებში 1921-31 წწ-ში ჩამოყალიბებული სიმბოლიკის აღორძინება და გამოყენება. ავტორი ამახვილებს ყურადღებას აფხაზეთის კონსტიტუციაზე, რომელიც, როგორც ის აღნიშნავს, არ ჰქონდათ სხვა ავტონომიებს, საკონსტიტუციო ცვლილებებზე (მაგ., თუ 1925 წლის კონსტიტუციაში, რომელიც, სხვათა შორის, არ ამუშავებულა, სახელმწიფო ენა რუსულია, 1927 წლის კონსტიტუციაში სახელმწიფო ენა არის აფხაზური, ქართული და რუსული), აქცევს ყურადღებას საკანონმდებლო ხარვეზებს, რაც, ზოგიერთ შემთხვევაში, განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდა, საკადრო პოლიტიკას. უყურადღებოდ არ

არის დატოვებული სამეცნიერო ლიტერატურა, პ. ინგოროყვას გამოკვლევა და რეაქცია ამ ნაშრომის პუბლიკაციაზე. ავტორის აღნიშვნით, მზადდებოდა ნიადაგი ავტონომიური სტატუსის გასაუქმებლად, ან იქნებ აფხაზების დეპორტაციისათვის, რასაც ბოლო მოელო სტალინის გარდაცვალების შემდეგ. კარგად არის ნაჩვენები, როგორ შეიცვალა აფხაზეთში ვითარება აფხაზების „სასარგებლოდ“; თუმცა, როგორც ავტორი შენიშნავს, ეს არ იყო გამოწვეული ალტრუიზმით, არამედ მიმართული იყო ქართველების წინააღმდეგ. 60-იანი წლებიდან აფხაზეთში კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტში პირველი და მეორე მდივნებიც იყვნენ აფხაზები, იმ დროს, როცა, მაგალითად, საქართველოში, თუ პირველი მდივანი ადგილობრივი იყო, მეორე მდივანი უსათუოდ რუსი უნდა ყოფილიყო. რესპუბლიკების შინაგან საქმეებში მოსკოვის ჩარევის ბევრი მაგალითია მოტანილი, ამასთანავე ნაჩვენებია, თუ როგორ უწყობდა ხელს კონფლიქტის გაღვივებას კონკრეტული დადგენილებების გამოცემა. ნახსენებია ლიხნის შეხვედრა და 87-გვერდიანი აფხაზური წერილიც. დაბოლოს კონფლიქტის გადაზრდა ომში და ქართველების განდევნა აფხაზეთიდან და დასკვნაში მანამდე ნაშრომში არაერთხელ ნათქვამის გამეორება, რომ რუსეთის მედიაციის გარეშე აფხაზები ვერ მიაღწევდნენ კულტურული და პოლიტიკური უფლებების გაზრდას. ძალზე სადავო მოსაზრებაა, რომელსაც არაერთხელ გაეცა პასუხი უკანასკნელ წლებში სხვადასხვა პუბლიკაციაში. ვფიქრობთ, აქ უფრო მართებული იქნებოდა საუბარი არა უფლებებზე, არამედ მნიშვნელოვან პრივილეგიებზე დანარჩენი მოსახლეობის ხარჯზე.

არანაკლებ დეტალურად არის შესწავლილი სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი. აქაც ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს კონფლიქტის მთელ ისტორიას, რასაც 1917 წლიდან იწყებს. ავტორი დაგვანახებს დაპირისპირების სოციალურ ხასიათს, სადაც ერთ მხარეზე იყვნენ ოსები, რომლებიც გლეხები იყვნენ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველები – თავადები, თუმცა უყურადღებოდ არ ტოვებს არც ამ დაპირისპირების ეთნიკურ ხასიათს, რაც, მისი აზრით ბოლშევიზმში შემოსილი ეთნიკური შეფერვილობისა იყო. კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ იყენებდნენ ოსებს ბოლშევიკები ურჩ ქართველებთან დასაპირისპირებლად და ბოლშევიკური რეჟიმის დასამყარებლად საქართველოში. ნახსენებია სამხრეთ ოსეთის რუსეთისათვის მიერთების მოთხოვნაც, ქართველების პასუხი, მათი წინააღმდეგობა, შეტაკებები ქართველებსა და ოსებს შორის, მსხვერპლი. ავტორი აჩერებს ყურადღებას იმაზე, თუ როგორ და რა ვითარებაში დაისვა საქართველოს ფარგლებში ავტონომიური ერთეულის შექმნის მოთხოვნა და როგორ განიცადა ტრანსფორმაცია საქართველოდან გამოყოფის იდეამ და შეიცვალა ავტონომიის მოთხოვნით საქართველოს ფარგლებში, საუბრობს ქართველების წინააღმდეგობაზე, რომლებიც თანახმა იყვნენ ავტონომიის მიცემაზე მხოლოდ აჭარისა და აფხაზეთისათვის. შემდეგ აქაც გადმოცემულია ოსეთის ავტონომიური ოლქის ინსტიტუტების ისტორია, საგანმანათლებლო და კულტურული პოლიტიკა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ანბანის შეტანა. აქ ერთგან ავტორი შენიშნავს, თუ როგორ გაუქრათ სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ოსებს ასიმილაციის დიდი ხნის შიში, მას შემდეგ, რაც ქართული ანბანი მათ შეუცვალეს კირილიციით, რომელსაც ჩრდილოეთ ოსები იყენებდნენ. გაუგებარია, რატომ არ ჰქონდათ ასიმილაციის შიში ჩრდილოელ ოსებს კირილიცის გამოყენების პირობებში. ავტორი აქცევს ყურადღებას მხარის ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს, რაც უარესი იყო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში, მიგრაციულ პროცესებს. ავტორი გაადევნებს თვალს სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოსების ჩრდილოეთ ოსეთთან გაერ-

თიანების სურვილს, რაც ეპიზოდურად, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ფორმით იჩინდა თავს. აქვე ყურადღება ექცევა ქართველი მეცნიერების გამოკვლევებში საქართველოს ტერიტორიაზე ოსების გვიან ჩამოსახლების დასაბუთებას და ოსების მტკიცებას, რომ ისინი დაკავებულ ტერიტორიაზე არ იყვნენ ახალმოსულები, რის დამტკიცებასაც ტოპონიმების შესწავლით ცდილობდნენ. ყველაფრის მიუხედავად, ავტორი ფიქრობს, რომ ომი ქართველებსა და ოსებს შორის სრულიად მოულოდნელი იყო, რადგან თბილისსა და ცხინვალს შორის არასდროს არსებულა ისეთი დაძაბულობა, რაც, მისი აზრით, იყო ქართველებსა და აფხაზებს შორის. გადმოცემულია კონფლიქტის გაღვივების ეტაპები, შესაბამისი ორგანიზაციების შექმნა, „კანონების ომი“ დაბოლოს ღია დაპირისპირება.

ცალკეა შესწავლილი აჭარის და ნახიჭევნის ვითარება, რომელიც ავტორს გაერთიანებული აქვს როგორც ის ავტონომიები, სადაც არ არსებობდა რესპუბლიკასთან დაპირისპირებაში მყოფი უმცირესობა და სადაც დაძაბულობა არ გადაზრდილა ღია კონფლიქტში. აქ წარმოდგენილია ბათუმის ისტორია ბერლინის ტრაქტატიდან, 1878 წლიდან, რომლის ერთ-ერთი პირობა იყო ბათუმის Porto Franco-დ გამოცხადება, სტატუსი, რომელიც რუსეთმა ერთპიროვნულად გააუქმა რამდენიმე წელიწადში, მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ბათუმის შეყვანა ოლქის სტატუსით ქუთაისის გუბერნიაში. ავტორი ეხება ბრესტ-ლიტოვსკის ზავს, თურქეთის ბრძოლას ბათუმის შესანარჩუნებლად, მუდროსის ზავს, რომლითაც თურქებს მოუხდათ გასვლა. ერთხანს ბრიტანელი გენერალ-გუბერნატორის კონტროლი, რომლის ადმინისტრაცია შედგებოდა ყოფილი რუსი მოხელეებისა და რუსული და მუსლიმური საბჭოების წევრებისაგან და რომელმაც გაძლო 1919 წლის 14 აპრილამდე. მისი დათხოვნის შემდეგ დამყარდა პირდაპირი ბრიტანული მმართველობა. ნაშრომში არის მოტანილი მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ ბრიტანელები, რომლებიც რუსეთის სამოქალაქო დაპირისპირებაში მხარს უჭერდნენ დენიკინს, არ იყვნენ განწყობილი სიმპათიით ქართველების პრეტენზიების მიმართ ბათუმზე და ცდილობდნენ გამოეცხადებინათ ბათუმის ოლქი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ერთა ლიგის პროტექტორატის ქვეშ. ანტანტის უზენაესმა საბჭომ ბათუმი 1920 წლის 24 თებერვალს კვლავ Porto Franco-დ გამოაცხადა, რამაც საქართველოში ბუნებრივი პროტესტი გამოიწვია. 1920 წლის ივნისის შუა რიცხვებში ბრიტანულმა ძალებმა დატოვეს ბათუმი და ისინი შეცვალეს ქართულმა ძალებმა, რის შემდეგაც კვლავ გამოჩნდნენ თურქული ძალები და კვლავ შეეცადნენ მხარის მიტაცებას. ავტორი ახსენებს პირველ ქართულ კონსტიტუციასაც, რომელიც ბოლშევიკების შემოსვლამდე ცოტა ხნით ადრე იქნა მიღებული და არ უმოქმედია, მაგრამ ეს დოკუმენტი აჭარას ანიჭებდა ავტონომიას, საბოლოოდ ბოლშევიკების შემოჭრას და რუსეთ-თურქეთის მოსკოვის ზავს 1921 წელს, რომლის მიხედვითაც ბათუმი დარჩა საქართველოს ფარგლებში, და რაც შემდგომში ყარსის ზავითაც დადასტურდა. ნაშრომში დაწვრილებით არის საუბარი მემედ აბაშიძეზე, მუსლიმური საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის საქმიანობაზე, მის მიერ გამოცემულ გაზეთებზე, საბჭოების ნაცვლად მეჯლისის შექმნაზე. აქვე საუბარია იმაზე, თუ რა გაუგებრობას იწვევდა ავტონომიის შექმნა აჭარაში რელიგიური ნიშნით და როგორ იხსენიებოდნენ ლიტერატურაში აჭარლები, მცდარად, ზოგიერთ შემთხვევაში, როგორც უმცირესობა და როგორ იხსენიებოდა შეცდომით აჭარული ენა, რომელიც იგივე ქართულია. დეტალურად არის გადმოცემული ადგილობრივი ინსტიტუტების შექმნის ისტორია – კვლევითი ინსტიტუტი, პედაგოგიური ინსტიტუტი, მწერალთა კავშირი, თეატრი, ადგილობრივი გაზეთები და სხვ. დისერტაციაში ცალკე თავი ეძღვნება

ასლან აბაშიძეს, მის მიერ სახელმწიფო ინსტიტუტების გამოყენებას დანარჩენი საქართველოდან სეპარაციისათვის, წინააღმდეგობა საქართველოს მთავრობის მიმართ (ზ. გამსახურდია, ე. შევარდნაძე), თავის მხრივ, გამსახურდიას მოძრაობა აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად, ან მისი უფლებების შესაზღვრად.

ამავე თავში საუბარი ნახიჭევანზე 1918 წლით იწყება, კონფლიქტით სომხებსა და ადგილობრივ თურქულ მოსახლეობას შორის და ბრძოლაში სომხების უკან დახვევა თურქების უპირატესობის გამო. მუდროსის ზავით თურქები გავიდნენ აღნიშნული ტერიტორიიდან, თუმცა მანამდე შექმნეს „არაქსის რესპუბლიკა“ და დატოვეს იქ თურქი გენერალი, ჰალილ ბეი, როგორც სამხედრო მრჩეველი. ინგლისელები ეჭვით უყურებდნენ „არაქსის რესპუბლიკას“, ნება დართეს სომხებს გაეუქმებინათ ის ერთეული და დანიშნეს იქ სომეხი გენერალ-გუბერნატორი. 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ზავით შეიქმნა ნახიჭევანის ავტონომია, რომელშიც არ არსებობდა უმცირესობა და რომლის მოსახლეობა არაფრით არ განსხვავდებოდა დანარჩენი აზერბაიჯანელებისაგან. ავტორის აზრით, ნახიჭევანს მიეცა ავტონომია არა იმიტომ, რომ მას ჰქონდა კონფლიქტი აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, არამედ იმიტომ, რომ ჰქონდა კონფლიქტი ადგილობრივ სომხებთან და მეზობელ სომხეთთან. გზადაგზა ავტორი ხაზს უსვამს განსხვავებებს ნახიჭევანსა და აჭარას შორის. სახელმწიფო ინსტიტუტებზე საუბრისას, რაც ნახიჭევანში შედარებით ცოტა იყო – თეატრი, ისტორიული მუზეუმი, ხალხური ცეკვის და სიმღერის ანსამბლი, მწერალთა კავშირი და სხვ., ის აქცევს ყურადღებას იმ ფაქტს, რომ თუ აჭარაში მათ ცნობილი ქართველების სახელებს არქმევდნენ, ნახიჭევანში მათ ხაზგასმით მხოლოდ ადგილობრივი მოღვაწეების სახელები ენიჭებოდათ. ნაჩვენებია აქვე მოსახლეობის დინამიკა. მითითებულია კონკრეტული ციფრებიც: თუ 1918 წელს აზერბაიჯანელები იყვნენ 84,4 %, ხოლო სომხები 10,7%, მოგვიანებით უფრო გაიზარდა აზერბაიჯანელების მოსახლეობა და იკლო სომხების რაოდენობამ.

ცალკე თავი ეძღვნება ალიეების საგვარეულოს და კერძოდ, წარმოშობით ნახიჭევნელი ჰეიდარ ალიევის ცხოვრებას და მოღვაწეობას, ნახიჭევანში, ბაქოში და მოსკოვში, მის აღმა და დაღმასვლას, მის ბედს მ. გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ, ვითარებას აზერბაიჯანში მისი შემდგომი პრეზიდენტების აიაზ მუტალაბოვის, ხოლო შემდეგ აბულფაზ ელჩიბეის დროს, ხელისუფლებაში ჰეიდარ ალიევის დაბრუნებას. ავტორი საუბრობს მის გავლენაზე ნახიჭევანში, იხსენიებს ამ მიზებით ნახიჭევანში ელჩიბეის საფლავზე დიდი ხნის მანძილზე ქვის არარსებობის და ნორაშენისათვის ჰეიდარაბადის დაქმნის ფაქტებს. ის, რომ ავტორი აშკარად არ ეკუთვნის ალიეების თაყვანისმცემელთა რიცხვს, ეს ჩანს, როგორც ჰეიდარ ალიევის ზოგიერთი ბიოგრაფიული მონაცემის, ავტორის აზრით, გაყალბებაზე მინიშნებით, ასევე აღნიშნული ქვეთავის სათაურიდანაც: „ალიეების კლანი და აზერბაიჯანი“.

როგორც აღვნიშნეთ, დისერტაციის მე-7 თავში საუბარია ავტონომიების მიღმა დარჩენილ ეთნიკურ უმცირესობებზე. მოტანილია პირველი საბჭოთა აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვითაც სამხრეთ კავკასიაში 153 სალაპარაკო ენაა დაფიქსირებული. ავტორის კომენტარით ეს რიცხვი რეალურად ბევრად უფრო მცირეა. მთელ ამ მოსახლეობას ავტორი სამ ჯგუფად შეისწავლის. პირველში მოთავსებული არიან ისინი, ვისაც არა აქვს ავტონომიები, მაგრამ აქვთ ინსტიტუციური წარმომადგენლობა საბჭოთა ფედერალურ ჩარჩოში. მაგალითად აქ მოყვანილი არიან სამხრეთ ოსეთს გარეთ მცხოვრები ოსები საქართველოში, სომხები და აზერბაიჯანელები, რომლებსაც არა აქვთ ავტონომია, ასევე ყარა-

ბალს გარეთ მცხოვრები სომხები აზერბაიჯანში. მეორე ჯგუფში თავსდება ის უმცირესობები, რომელთაც არ გააჩნიათ ავტონომიები არც რესპუბლიკაში, არც მის ფარგლებს გარეთ. მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქურთებს, რომლებსაც კომპაქტური დასახლება აქვთ სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში და აზერბაიჯანის და ირანის საზღვარზე მცხოვრებ თალიშებს. ამ უმცირესობებს შეეძლოთ ჰყოლოდათ ინსტიტუციური წარმომადგენლობა საბჭოთა ფედერალურ ჩარჩოებში, ჰქონოდათ დაწყებითი სკოლები, პედაგოგიური კადრი, რომლებიც განათლებას უფრო პედაგოგიურ ინსტიტუტებში იღებდნენ, ვიდრე უნივერსიტეტში, ორენოვანი გაზეთები და ჟურნალები, თუ მათ აღიარებდნენ როგორც უმცირესობის ჯგუფს. მაგრამ ეს არ ხდებოდა მექანიკურად, ყველასათვის. ამორჩევით ხდებოდა ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფის შესწავლა – მაგ., სომხეთში ძირითადი ყურადღება ექცეოდა სომხებს, შემდეგ ქურთებს, აზერბაიჯანელებს კი, რომლებიც იმ რესპუბლიკაში ყველაზე მრავალრიცხოვან უმცირესობას შეადგენდნენ, თითქმის არანაირი. რაც შეეხება საქართველოს, აქ ყველაზე მეტი ყურადღება ეთმობოდა ქართველებს, აფხაზებს და სამხრეთ ოსებს და თითქმის არავითარი – აზერბაიჯანელებს და სომხებს, ისევე, როგორც ყურადღების მიღმა იყვნენ დარჩენილი ყველაზე ფართო ეთნოგრაფიული ჯგუფი – მეგრელები. თითქმის არავითარი ყურადღება არ ეთმობოდა აზერბაიჯანში მცხოვრებ ქურთებს, ლეკებს, თალიშებს, ინგილო ქართველებს და სომხებსაც კი. ერთი გამონაკლისის გარდა, აზერბაიჯანის ორ სოფელში მცხოვრები უღების, რომლებიც შეისწავლეს 60-იან წწ-ში. ავტორი სვამს შეკითხვას, რატომ ჰქონდათ მეტი ინტერესი ქურთების, აფხაზების, ოსების და უღების მიმართ სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში? სომხეთში, მისი აზრით, აზერბაიჯანელები გაიგივებული იყვნენ თურქებთან და ამდენად მათი სახით საფრთხეს ხედავდნენ, ხოლო ქურთები არ წარმოადგენდნენ არავითარ საშიშროებას, რადგან თითქმის ასიმილირებული იყვნენ. საქართველოში, ავტორის აზრით, ხიფათს ეროვნული იდენტობისა და ინტეგრაციისათვის ხედავდნენ სომხებსა და აზერბაიჯანელებში. აქვე ავტორი კვლავ ათავსებს მეგრელებსაც. აქ, ალბათ, შეიძლება შევეცამათოთ ავტორს საქართველოს მაგალითზე. იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბების მრავალსაუკუნოვანი ისტორია ერის მთლიანობის საკმაოდ მყარი გარანტიაა, ქართველი ეთნოგრაფები თანაბარი წარმატებით სწავლობდნენ და სწავლობენ რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა ეთნოგრაფიულ ჯგუფს, მაგალითად, ფშავ-ხევსურებს, თუშებს, მთიულებს, რაჭველებს; და არავითარ ხიფათს არ ხედავდნენ სვანებსა და მეგრელებში, რომელთა ყოფასაც არაერთი გამოკვლევა ეძღვნება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი შეცდომაში შეყვანილი არაკეთილმოსურნე აქტიურად იყენებდა და იყენებს მეგრულ და სვანურ თემას ქართველების წინააღმდეგ, რადგან ფიქრობს, რომ ამ გზით შესაძლებელია საქართველოს დანაწევრება. შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ შენიშვნას სომხებსა და აზერბაიჯანელებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღების ნაკლებობა შეიძლება იმით აიხსნას, რომ მათი ყოფა საქართველოში დიდად არ განსხვავდებოდა იმისაგან, რაც იყო სომხეთსა და აზერბაიჯანში და რაც საკმარისად იყო შესწავლილი სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგების მიერ, ამასთანავე საკმარისად არის შესწავლილი აზერბაიჯანელების და სომხების ყოფა საქართველოშიც მათი საქმიანობის მიხედვით (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, სოციალური ურთიერთობები, სულიერი კულტურა).

ნაშრომში განხილულია ინგილო ქართველების ისტორია, მათი წარმოშობა, ეთნიკური შემადგენლობა. ავტორის აზრით, მათი დიდი ნაწილი ქართველები არიან. ყურადღება არის გამახვილებული თვით ტერმინზე. ავტორი წარმოადგენს სიტყვის სხვადასხვა ინტერპრეტაციას: პირველ რიგში მოაქვს შეხედულება სიტყვის თურქულიდან მომდინარეობის შესახებ, იენი გელ, რაც ნიშნავს ახალ-მოსულებს ან ახალმოქცეულებს. აქვე მოტანილია გეიზულაევის ფრიად უცნაური ახსნა, რომელიც აკავშირებს ამ ტერმინს გელებთან, მისი აზრით, ინგილოების ალბანელ წინაპრებთან, ხოლო, თავის მხრივ, ჩრდილო-დასავლეთ ალბანეთში მცხოვრებ გელებს აკავშირებს კასპიის სამხრეთ-აღმოსავლეთით მცხოვრებ ირანულენოვან ტომთან – გელებთან.

შემდეგ ავტორი განიხილავს ინგილო ქართველების განსახლების და მათი რაოდენობის საკითხებს, საგანმანათლებლო პოლიტიკას აღნიშნულ ტერიტორიაზე, ახსენებს საქართველოდან პედაგოგების გაგზავნას, ინგილო ქართველებისათვის საქართველოს უნივერსიტეტებში ადგილების გამოყოფას, რაც, მისი შენიშვნით, შეწყდა სტალინის გარდაცვალების შემდეგ, 1953 წლიდან, თუმცა ეს განცხადება არ შეესაბამება სინამდვილეს და აღნიშნული ტრადიცია შემდგომშიც გრძელდებოდა. შემდეგ ავტორი აღნიშნავს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპედიციის გაგზავნას საინგილოში და აქცევს ყურადღებას გარკვეულ ეჭვებს აზერბაიჯანის მხრიდან. ავტორის აზრით, პოლიტიკა საინგილოს მიმართ იყო ერთგვარად დისკრიმინაციული და თუ დაძაბულობა იქ არ გადაიზარდა კონფლიქტში, ეს იმიტომ, რომ არ არსებობდა ადგილობრივი ინსტიტუტები, ხოლო ადმინი-სტრაციული თანამდებობები იქ მთლიანად აზერბაიჯანელების ხელში იყო. აქვე ავტორი ავლებს პარალელს აჭარასა და საინგილოს შორის და აღნიშნავს, რომ როგორც ერთის, ასევე მეორეს მოსახლეობა ჯიუტად უსვამდა ხაზს მათ ქართულ იდენტობას.

აქვე განხილულია აზერბაიჯანში მცხოვრები ირანულენოვანი თალიშების მდგომარეობა, შედარებით სუსტი ეთნიკური იდენტობით, რომელთაც არ ჰქონიათ ლიტერატურული ტრადიცია. აღნიშნულია ფაქტი 1993 წლის 21 ივნისს, ყარაბაღის ომის დროს, თალიში პოლკოვნიკის ალიკრამ გუმეტოვის აჯანყება 7 სამხრეთ ოლქისათვის თალიშ-მულანის რესპუბლიკის მოთხოვნით. თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ გაძლო 1993 წლის 23 აგვისტომდე. მისი ლიდერი დაპატიმრებულ იქნა და მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა სახელმწიფოს ლალა-ტისა და სეპარატიზმისათვის. ავტორი ავლებს პარალელს აფხაზეთთან და ხაზს უსვამს სხვაობასაც. მისი აზრით, თალიშის შემთხვევაში კონფლიქტი ომში ვერ გადაიზარდა იმის გამო, რომ თალიშებს არ ჰქონდათ პოლიტიკური და კულტურული ინსტიტუტები, მათ არ დაუჭირეს მხარი ალიკრამ გუმეტოვს და ისინი არც ითხოვდნენ აზერბაიჯანიდან გამოყოფას და იფარგლებოდნენ მხოლოდ ავტონომიის მოთხოვნით აზერბაიჯანის რესპუბლიკის ფარგლებში. აქვე დეტალურად არის განხილული ლეკების საკითხიც აზერბაიჯანში, დემოგრაფიული მონაცემები (XXს-ის 20იანი წწ-დან), კულტურული, საგანმანათლებლო, ენობრივი პოლიტიკა, მიმართული, ავტორის აზრით, ლეკების ასიმილაციისაკენ. საუბარია დისიდენტურ მოძრაობაზე 60-იანი წლებიდან, ნაციონალისტურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის სტუდენტების გარიცხვაზე უნივერსიტეტიდან. დაბოლოს იხსენიება 1989 წელს დაღესტანთან მიერთების შესახებ ლეკების მოძრაობის მოთხოვნა, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა ყარაბაღის ომის დროს 1992-93 წლებში. ხშირ შემთხვევაში მოვლენების სინქრონიზაცია მკითხველს ნამდვილად

აძლევს შესაძლებლობას ანგარიშსდგინოს რესპუბლიკის გარედან, ერთი ცენტრიდან მართვის შესაძლებლობა.

საქართველოში უმცირესობების შესწავლა იწყება სომხური მოსახლეობით. გადმოცემულია სომხების ჩასახლების ისტორია, უმთავრესად 1829 წელს, როდესაც საქართველო დატოვეს მუსლიმმა მუჰაჯირებმა, მითითებულია მათი რაოდენობა სხვადასხვა აღწერის მიხედვით, წარმოდგენილია მათი განსახლების ადგილები აფხაზეთი, თბილისი და ორი ოლქი სომხეთის საზღვარზე და გაკეთებულია მინიშნება ჯავახეთზე, როგორც სეპარატისტული მოძრაობის პოტენციურ კერაზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იზოლირებული იყო დანარჩენი საქართველოდან. ნაშრომში გაედევნება თვალის ადმინისტრაციულ, დემოგრაფიულ, საგანმანათლებლო პოლიტიკას, რომელიც ხორციელდებოდა საქართველოში რეგიონის მიმართ უკვე დამოუკიდებლობის წლებში რეგიონის დანარჩენ საქართველოში ინტეგრაციის მიზნით და რაშიც ჩართული იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც და პოლიტიკური პარტიებიც. როგორც ავტორი აღნიშნავს, ქართული სახელმწიფო ამას ნელ-ნელა და ფრთხილად აკეთებდა, ხოლო სომხური სახელმწიფო არ აღვივებდა იქ სეპარატისტულ ტენდენციებს. უკანასკნელის მიზეზი, მისი აზრით, იყო, ერთი მხრივ, ომი ყარაბაღში და ბლოკადა აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველებსა და სომხებს შორის ანტაგონიზმის და კონფლიქტური ნარატივების არარსებობა. ის, რომ გარკვეული დაძაბულობა არ გადაზრდილა ღია კონფლიქტში, ამის მიზეზი, ავტორის აზრით, არის კვლავ სახელმწიფო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების არარსებობა, და ის ფაქტი, რომ ჯავახეთის სომხებს თითქმის უპრეცედენტო საგანმანათლებლო და პოლიტიკური უფლებები ჰქონდათ სამხრეთ კავკასიის სხვა არაავტონომიურ უმცირესობებთან შედარებით.

აქვე დეტალურად არის გადმოცემული რაოდენობრივად საქართველოში მცხოვრები მეორე უმცირესობის, აზერბაიჯანელების, ისტორია. ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ მოხდა თურქმენული ტომის „ბორჩალოს“ მიწვევა და ჩასახლება ქართველი მეფის მიწვევით მე-17 ს-ში სპარსელების თავდასხმის და მიწების გაუკაცრიელების შემდეგ, რისთვისაც ვ. ჯაოშვილის ნაშრომს იმოწმებს, თუმცა თურქულენოვანი მოსახლეობა, როგორც ცნობილია, საქართველოში სხვადასხვა დროს სახლდებოდა და მათ ჩასახლებას დამპყრობელის მიერ არაიშვიათად იძულებითი ხასიათიც ჰქონდა. ავტორი ამახვილებს ყურადღებას რეგიონში დემოგრაფიულ სიტუაციაზე, შობადობის, ისევე როგორც ეკონომიკური პირობების, შედარებით მაღალ დონეზე, სადაც პირველი, ქართველების აზრით, გამოწვეული იყო არა იმდენად ტრადიციებით, რამდენადაც მეორეთი, იმაზეც, რომ რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცოდა ქართული ენა, 80-იან წლებში გარკვეულ დაძაბულობაზე (1983 წლის შემთხვევა), რაც გამოწვეული იყო საკადრო პოლიტიკით, მმართველი აპარატის ძირითადად ქართველებით დაკომპლექტებით. გამახვილებულია ყურადღება ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული სვანეთის სოფლების დანგრევის შედეგად სვანების ჩასახლებაზე რეგიონში, სოფლების სახელების გადარქმევაზე, აზერბაიჯანელების მხრიდან „ბორჩალოს ავტონომიის შექმნის“ მოთხოვნაზე ცენტრით რუსთავში 1989 წელს, დაძაბულობასა და შეტაკებებზე, აზერბაიჯანელების აყრის შემთხვევებზე, რასაც მოსდევს ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ კონფრონტაცია არასდროს გადაზრდილა კონფლიქტში ავტონომიური ინსტიტუტების არარსებობის და აზერბაიჯანის სახელმწიფოს მხრიდან ავტონომიის მოთხოვნისათვის მხარდაჭერის არარსებობის გამო.

მიმოხილული ვრცელი დისერტაცია სრულდება დასკვნებით, რომელიც მანამდე არაერთხელ არის გამეორებული ნაშრომის სხვადასხვა გვერდზე. მას შემდეგ, რაც ავტონომიების შექმნისას სსრკ-ში ავტორი ვერ ხედავს დემოგრაფიულ ლოგიკას, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ამ ერთეულებში ის ეთნიკური ჯგუფი, რომლის სახელიც ერქმეოდა ავტონომიურ ერთეულს, არ წარმოადგენდა ყველაზე მრავალრიცხოვან მოსახლეობას და ამავე ეთნოსის დიდი ნაწილი ავტონომიის ფარგლებს გარეთ რჩებოდა, ის მაინც ხედავს ამ შემთხვევებში გარკვეულ კანონზომიერებას. მისი აზრით, ბოლშევიკები ქმნიდნენ ავტონომიებს იქ, სადაც არსებობდა დაპირისპირება. მაგრამ სწორედ ავტონომიის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო ინსტიტუტები ქმნიდა და ხელს უწყობდა შემდგომში ვითარების გამწვავებას და გადაზრდას ღია დაპირისპირებაში, რაც თუმცა გარკვეულ დრომდე შეუძლებელი იყო მკაცრი კონტროლის გამო.

ნაშრომი მთლიანობაში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. წარმოდგენილია შესასწავლი პრობლემის იმდენად სრული და, მეტნაკლებად, ობიექტური სურათი, რომ ნაშრომის გაცნობისას მკითხველს გაუჭირდება განსაზღვროს ავტორის ეთნიკური კუთვნილება, ხოლო ნაშრომში დაშვებული ზოგიერთი მცირე უზუსტობის მისი მიკერძოებულობით ახსნა. მთელი ნაშრომის მანძილზე კარგად ჩანს, როგორც მესამე ძალის ფაქტორი, ასევე ორსავე მხრიდან დაშვებული შეცდომები, რაც უფრო გამოუცდელია აიხსნება, ვიდრე წინასწარგანზრახვით. ნაშრომის წიგნად გამოცემის შემთხვევაში, ვფიქრობ, ის გაუწევს გარკვეულ სამსახურს როგორც სამხრეთ კავკასიის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევარებს, ასევე კონფლიქტების მოგვარებაში ჩართულ პოლიტიკოსებს.

ჰრატი ჩილინგირიანის 318 გვერდიანი დისერტაცია შედგება შესავლის, 7 თავის, დასკვნის, 1803-1992 წლებში აფხაზეთსა და ყარაბაღში სამხედრო და პოლიტიკური კონფლიქტების და სახალხო პროტესტების შემთხვევების ჩამონათვალისა და ბიბლიოგრაფიისაგან.

თითოეული თავი, თავის მხრივ, ქვეთავებისაგან შედგება.

თავი 1 – „ისტორია და ავტონომია“ წარმოდგენილია შემდეგი ქვეთავებით – ისტორია და ტერიტორიული მოთხოვნები, აფხაზეთი ისტორიაში, ისტორიების გადაწერა, ფართომასშტაბიანი გასახლება და მოსახლეობის გადაადგილება, ეთნიკური წმენდა, დასკვნებით.

თავი 2 – „ავტონომია საბჭოთა მმართველობის ქვეშ“ შემდეგი ქვეთავებით – საბჭოთა მმართველობის დამყარება კავკასიაში, შიდა ეთნიკური კონფლიქტები და ადმინისტრაციული დემარკაციების მოშლა, სსრკ-ს სახელმწიფო და ადმინისტრაციული სტრუქტურა, საბჭოთა კონსტიტუციური მოწყობა – აფხაზეთი, ყარაბაღი, საერთაშორისო სამართალი და ავტონომია პარაგრაფებით – ავტონომიის მიღებული განსაზღვრება, ავტონომიის ტიპები, ტერიტორიული კონფლიქტები და ავტონომია თანამედროვე ეპოქაში და დასკვნები.

თავი 3 – „ტიტულოვან სახელმწიფოებთან კონფლიქტების წყაროები“ შემდეგი ქვეთავებით: საბჭოთა ინტერნაციონალიზმის მარცხი, ყარაბაღი: როდესაც დანამ ძვალს მიაღწია, ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტი, დეპორტაცია, კულტურის დაქვეითება, პოლიტიკური ლიდერობა და ტერიტორიული პრეტენზიები, არაჯანსაღი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობები, ენის პოლიტიკა, განათლება.

თავი 4 – „მობილიზაცია ხელახალი რესტრუქტურაციისათვის“ შემდეგი ქვეთავებით – ხელისუფლების ტრანსფორმაცია საკითხებით – ემპირიული საფუძველი, ტრანსფორმაცია და ლეგიტიმაცია, პეტიციიდან პოლიტიკურ

მოძრაობამდე, აღმავალი სოციალური მობილიზაცია, ხელისუფლების რესტრუქტურირება და კონფლიქტები, მეორე ქვეთავი – მობილიზაციის პროცესი – საკითხებით: სცენის აღმართვა, მასობრივი მობილიზაცია, სადაც ცალცალკეა განხილული აფხაზეთი და ყარაბაღი, მეზობლებიდან მტრებად ჩვეულებრივი მოქალაქეების გადაქცევა, მოსახლეობის პოლიტიზაცია, კონფლიქტების მილიტარიზაცია, ოპერაცია „ალყა (რინგ)“ ყარაბაღში.

თავი 5 – „რელიგია: „ახალი წესრიგის“ შენარჩუნება – ქვეთავებით, რომელთაგანაც პირველში „რელიგიის პერსონალური და კოლექტიური განზომილებანი“ განხილულია საკითხები – ანომიის პრევენცია, ინდივიდუალური რწმენა, ახალი რელიგიური გამონახულებები, კოლექტიური რწმენა და რელიგია, აფხაზეთის ტრადიციული ან წარმართული რელიგია, აფხაზეთის რელიგიური ისტორია, „სამოქალაქო რელიგია“ ყარაბაღში თავისი ქვესაკითხებით – ტრადიციული რწმენები და რიტუალები, ენა, მიწა, ისტორია – ეკლესიის ისტორიული ფესვები ყარაბაღში ქვეთავებით – ეკლესია ადრეულ საბჭოთა პერიოდში, ეკლესიის დაბრუნება ყარაბაღში, მეორე ქვეთავში – „რელიგიური დისკურსი და ინსტიტუციური რელიგია“ შემდეგი საკითხებით – სამღვდლოების როლი, რელიგიური დისკურსის ენა, „ისლამური პასუხები“ ყარაბაღის კონფლიქტზე, რელიგიის პოლიტიზაცია.

თავი 6 – „ახალი წესრიგი და საერთაშორისო საზოგადოება, თვითგამორკვევა ტერიტორიული ინტეგრაციის საპირისპიროდ – ქვეთავებით – თვითგამორკვევა საერთაშორისო სამართალში, დამოუკიდებლობის გამოცხადება ქვესაკითხებით – აზერბაიჯანი და ყარაბაღი საქართველო და აფხაზეთი, ავტონომია „საერთო სახელმწიფოს“ საპირისპიროდ – სახელმწიფოებრიობის დეფინიციები და დასკვნები.

თავი 7 – „სადავო დამოუკიდებლობა და სახელმწიფოს შენება“ – ქვესაკითხებით – ხელისუფლების ტრანსფორმაცია, ელიტის ტრანსფორმაცია, კონფლიქტების ტრანსფორმაცია, „სახელმწიფოებრიობა“ განვითარებაში, დამოუკიდებლობის ფასი, (აღიარება, უშიშროება და ეკონომიკა), „სხვისი“ დემონიზაცია, „ნის ფესვების მსგავსი“ და დასკვნები.

ის ფაქტი, რომ ავტორი ერთად სწავლობს აფხაზეთს და ყარაბაღს, უკვე თავისთავად იმას ნიშნავს, რომ ის ამ ორ შემთხვევას შორის კველევის დაწყებამდეც უფრო მეტ საერთოს ხედავდა, ვიდრე სხვაობას. ეს მოლოდინი შემდგომში დაადასტურა მისმა გამოკვლევამაც. იმთავითვე ნათელია ავტორის პოზიცია: ის აშკარად სიმპათიით და თანაგრძნობით არის განწყობილი ყარაბაღის და აფხაზეთის მიმართ და ძალზე უარყოფითად, რომ არა ვთქვათ მტრულად, აზერბაიჯანისა და საქართველოს მიმართ. ამასთანავე, როგორც ის თვითონვე აცხადებს ნაშრომის დასაწყისშივე, მას მასალაც არათანაბრად ჰქონდა ამ ორი შემთხვევისთვის მოპოვებული. თუ ერთ შემთხვევაში მას მიეცა შესაძლებლობა ემუშავა სომხეთში 1992 წლიდან 2000-მდე სამი თვის მანძილზე, ხოლო 1995 წლის ივლისიდან სექტემბრამდე ყარაბაღში, აელო იქ ინტერვიუები მთავრობის წევრებთან, ჯარისკაცებთან, სამღვდლოებასთან, პედაგოგებთან, პროფესორებთან, აფხაზეთში, როგორც ის აღნიშნავს, მას არ მიეცა იგივე შესაძლებლობა ობიექტური მიზეზებით, საომარი ვითარებით და იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი იზოლიაციაში იყო. რაც შეეხება საქართველოში ვიზიტს, ავტორს ეს იმთავითვე არ მიუჩნევია საჭიროდ და არც რაიმე ახსნა განმარტება ამის გამო საჭიროდ არ მიუჩნევია, ვინაიდან, როგორც ჩანს, დარწმუნებულია, რომ აფხაზეთის კონფლიქტზე სწორი დასკვნების გასაკეთებლად მის ხელთ არსებული წყაროები

სავსებით საკმარისია. რაც შეეხება მის წყაროებს, სამხრეთ კავკასიის შესახებ არსებულ მასალას ავტორი სამ კატეგორიად ჰყოფს: ი. ისტორიული წყაროები და სამეცნიერო პუბლიკაციები, როგორც საბჭოთა, ასევე უცხოური 2. ჟურნალისტური პუბლიკაციები, ანალიტიკური მოხსენებები, 3. აკადემიური წრეების, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ლიტერატურა, რომელიც ეძღვნება კონფლიქტების გადაჭრას. უცნაურია, მაგრამ ავტორი საერთოდ არ იცნობს ქართველი მეცნიერების, არასამთავრობო ორგანიზაციების და ჟურნალისტების პუბლიკაციებს, ხოლო თუ ახსენებს მათ, როგორც წესი, ეს ავტორები წარმოდგენილი არიან როგორც ბრალდებულები, და მათ შესახებ ინფორმაცია ამოღებულია აფხაზი ან რუსი ავტორების და მათზე დაყრდნობით შექმნილი ზოგიერთი უცხოური ავტორის ნაშრომებიდან. ავტორი თვითვე შენიშნავს გარკვეულ დისპროპორციას ყარაბაღის და აფხაზეთის კვლევის შემთხვევაში და იმას, რასაც, მისი სიტყვით, მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ უფრო მეტია ყარაბაღზე, ვიდრე აფხაზეთზე, ხსნის მასალის ნაკლებობით მეორე შემთხვევაში.

საკითხისადმი ასეთი ცალმხრივი და ზერელე მიდგომიდან ჩანს, რომ ავტორს იმთავითვე აქ ჰქონია მიზნად პრობლემის სრულად შესწავლა, ვინაიდან კონფლიქტი მინიმუმ ორ მხარეს მაინც გულისხმობს, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მათგან მხოლოდ ერთის გულშემატკივარია.

ნაშრომის დასაწყისში ავტორი მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურას ნაციონალიზმზე, მოაქვს ე. სმიტის, ე. გელნერის, ე. კედურის, ლ. გრინფილდის, კ. დოიჩის, ბ. ანდერსონის და სხვების საყურადღებო შეხედულებები, მათზე დაყრდნობით ცდილობს მოძებნოს იმის ახსნა, თუ როგორ ხდებოდა სსრკ-ში ნაციების შექმნა, ეთნიკური ჯგუფებით მანიპულირება. მთელი ეს მონაკვეთი, თავისთავად საინტერესო, ვფიქრობთ, მთლად ორგანულად ვერ უკავშირდება ნაშრომის დანარჩენ ნაწილებს.

ნაწილობრივ მისაღებია ავტორის მსჯელობა მომდევნო მონაკვეთებში, სადაც არის ხაზგასმული გადაუჭრელი ტერიტორიული და კულტურული პრობლემები, საზღვრების გაურკვეველობა, რაც სსრკ-მ მემკვიდრეობით მიიღო მეფის რუსეთისაგან, რისი შედეგიც მნიშვნელოვანწილად არის ამჟამინდელი კონფლიქტები. ამასთანავე ძალზე საკამათოა ავტორის პოზიცია, როდესაც ის დასაწყისშივე ყველა ცოდვაში ერთპიროვნულად ადანაშაულებს ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოების დომინანტურ მოსახლეობას, მოლდოველებს, ყაზახებს, ქართველებს, აზერბაიჯანელებს ან სომხებს, რომლებიც, მისი აზრით, იმთავითვე გამოხატავდნენ უმრავლესობის ინტერესებს და არასდროს ცდილობდნენ გადაეჭრათ შიდა პრობლემები მშვიდობიანი გზებით ან კონსტიტუციური მოწყობით; ავტორი საუბრობს რესპუბლიკების კორუმპირებულ მთავრობებზე.

ავტორი ჩამოთვლის იმ ნიშნებს, რომლითაც ხასიათდება ყარაბაღის და აფხაზეთის შემთხვევები:

ა. ტერიტორიული პრეტენზიები, ანუ „ისტორიული“ ტერიტორიული საზღვრების აღდგენა;

ბ. კულტურული სხვაობები, რაც გულისხმობს ეთნიკურობას, ენას, რელიგიას, ზნე-ჩვეულებებს;

გ. ეკონომიკური უთანასწორობა, ე.ი. შემოსავლის და რესურსების განაწილება;

დ. პოლიტიკური არათანასწორუფლებიანობა, ე.ი. პოლიტიკური ხელისუფლების მისაწვდომობა და ეფექტური უფლება ჯგუფის ინტერესების სასარგებლოდ მოახდინონ პოლიტიკური აქტივობის ორგანიზება.

ამის შემდეგ მოკლედ არის მიმოხილული ყარაბაღის უახლესი ისტორია, თუ როგორ მოხდა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობის გამოცხადება. აქვე ავტორი სამართლიანად იმასაც აღნიშნავს, რომ 1992-93 წწ. ყარაბაღელმა სომხებმა სომხეთიდან და რუსეთიდან სამხედრო დახმარებით მიაღწიეს სამხედრო წარმატებებს.

აფხაზეთის ისტორიის ასეთივე მოკლე მიმოხილვაში ხაზი ესმება სხვაობას ყარაბაღსა და აფხაზეთს შორის, კერძოდ იმას, რომ აფხაზეთში 1989 წლის აღწერით აფხაზები ქართველებთან შედარებით მნიშვნელოვანი უმცირესობა იყვნენ (18%, 46%). აქვე აღნიშნულია, რომ რეგიონის გაქართველებამდე, მე-19 საუკუნის დასასრულს, აფხაზები იყვნენ უმრავლესობა – 55,3%, ხოლო ქართველები 24,4%. ავტორი აღნიშნავს მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ომში რუსეთის მონაწილეობის ფაქტს, თუმცა ამ ორივე შემთხვევაში, ავტორის სწორი დაკვირვებით, ეს არ ხდებოდა ყარაბაღის ან აფხაზეთის დახმარების სურვილით, არამედ მოსკოვისათვის ეს იყო თბილისსა და ბაქოზე ზეწოლის საშუალება. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ არ არის ზუსტი ინფორმაცია აფხაზების რაოდენობის შესახებ მე-19 ს-ის დასასრულისათვის. 1886 წლისათვის საოჯახო სიების მიხედვით 60.432 აფხაზი იყო, მაგრამ აქ სამურზაყანოელი ქართველებიც იგულისხმებოდა, რომელთაც „ნაროდნოსტის“ გრაფაში მიწერილი აქვთ სამურზაყანოელები და რომელთა რაოდენობა 30.640 უდრიდა. მე-19 ს-ის დასასრულს საქართველოში 29.792 აფხაზი იყო, რომელთაგანაც 915 ბათუმის ოკრუგში. 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკით აფხაზეთში 38.121 აფხაზი იყო, რაც მთელი მოსახლეობის 21.4% შეადგენდა.

ამ მოკლე ექსკურსების შემდეგ ავტორი უბრუნდება ისტორიულ წარსულს, რასაც უძველესი დროიდან იწყებს, მოგვითხრობს, თუ როგორ იყო ყარაბაღი ალბანეთის საზღვრებში, თუ როგორ გახდა ალბანური ეკლესია მე-10 ს-თვის სომხურის ნაწილი და ცნობილი იყო როგორც ალბანეთის ან ალვანკის სომხური საკათოლიკოსო, რომელმაც მე-19 ს-ის შუა წლებამდე გაძლო, თუ როგორ იყო ტერიტორია დაპყრობილი არაბების მიერ, მე-11 ს-ში დიდი ნაწილი თურქ-სელჩუკების მიერ, როგორ იყო დას. ალბანეთი ასიმილირებული სომხების და ნაკლებად ქართველების მიერ.

აფხაზეთის ისტორიის გადმოცემისას იგი იმეორებს აფხაზი ავტორების გადმოცემებს. თუ როგორ იყო დასახლებული ეს ტერიტორია აფხაზურენოვანი ტომებით უძველესი დროიდან, საუბრობს მხარის გაქრისტიანებაზე I საუკუნიდან, ხოლო ოფიციალურად – მე-6 ს-დან, შემდეგ 788-797 წლებიდან იწყებს აფხაზეთის სამეფოს ისტორიას, რომელიც, მისი აზრით, ორ საუკუნემდე გრძელდებოდა, როდესაც ჩაეყარა საფუძველი აფხაზურ ფეოდალურ ნაციონალიზმს. გაუგებარია, რა იგულისხმება აფხაზურ ნაციონალიზმში, როდესაც ქვეყნის დედაქალაქი ქუთაისია, ხოლო სახელმწიფო ენა ქართული. მას შემდეგ, რაც არაბები განდევნილ იქნენ საქართველოდან, 1122 წელს, თბილისი გახდა სამეფოს დედაქალაქი. ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწია აფხაზეთის სამეფოს იმ ორსაუკუნოვანი პერიოდის შემდეგ, 1122 წლამდე, ვიდრე თბილისი გათავისუფლებულ იქნებოდა და რას წარმოადგენდა კულტურულად და პოლიტიკურად ე.წ. აფხაზთა სამეფო. ავტორი ენება იმასაც, თუ როგორ ხდებოდა, მისი დაკვირვე-

ბით, საბჭოთა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრები სომხების იგნორირება და რესპუბლიკაზე წერის დროს მათზე დუმილი.

შემდეგ ავტორი კვლავ გადადის აფხაზეთზე და მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ დაიწყეს ქართველმა მეცნიერებმა იმის მტკიცება, რომ აფხაზები იყვნენ გვიან მოსულები. ერთგან ავტორი ჩამოთვლის ნაციონალისტ ქართველ ისტორიკოსებს, რომელთა ნაშრომებმა, მისი აზრით, მოამზადეს ნიადაგი კონფლიქტისათვის. ესენი არიან დავით ბაქრაძე, თეიმურაზ მიქელაძე, პავლე ინგოროყვა, როსტომ ჩხეიძე, ალექსანდრე ონიანი, ულტრა-ნაციონალისტი ზვიად გამსახურდია, თამაზ ნადარეიშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე. თუმცა, როგორც ჩანს, არცერთი ამ მეცნიერის ნაშრომი მას თვითონ არ წაუკითხავს და მათი დანაშაულებისათვის იყენებს ჰუიტის ან ლაკობას ნაშრომებს. იმის გამო, რომ ავტორი ნაკლებად იცნობს შესაბამის წყაროებს და ლიტერატურას, ისტორიულ მიმოხილვაში უზუსტობებს უშვებს. ავტორი აღნიშნავს მე-14 საუკუნეში სოხუმში გენუელების მიერ სავაჭრო ფაქტორიის შექმნის ფაქტს, სადაც, როგორც ის აღნიშნავს, მეგრელები, სომხები, ებრაელები და მუსლიმები აფხაზებთან ერთად ცხოვრობდნენ, და არაფერი აქვს ნათქვამი იმის შესახებ და, შესაძლოა, არც იცის, რომ საზღვარი იმ დროს აფხაზეთსა და ოდიშს შორის უფრო ჩრდილოეთით გადიოდა, ანაკოფიის წყალზე, რომელსაც ამჟამად ფსირცხა ეწოდება, ხოლო სოხუმი აფხაზეთის საზღვრებში ბევრად უფრო გვიან შევიდა. არ იცის მან აგრეთვე არც ის ცნობა, რომელიც მოიპოვება სებასტოპოლისის (სოხუმის) კათოლიკე ეპისკოპოსის, პეტრუს ჯერალდის 1330 წლის წერილში, რომელსაც ის კენტერბერის არქივისკოპოსს წერდა, რომლის მიხედვითაც ქალაქის მოსახლეობას მე-14 ს-ის 20-იან წწ.-ში შეადგენენ ქართველები, იუდეველები და მუსლიმები. არავითარი სომხები და აფხაზები წერილში არ იხსენიებიან. რაც შეეხება მეგრელებს, ჯერალდმა, როგორც ჩანს, კარგად იცის, რომ ისინი იგივე ქართველები არიან [კიკნაძე, 1983:95-104; Берадзе, 1989:98]. დისერტაციის ავტორისათვის უცნობია აგრეთვე მე-14 საუკუნის არაბი ავტორის აბულ ფიდას (1273-1331) მონაცემებიც, რომელიც სოხუმს ქართულ ქალაქად მიიჩნევს, თუმცა აღნიშნავს, რომ ქალაქში ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა [Очерки из истории Грузии, 2009:590], ისევე, როგორც, სხვათა შორის, იმავე დროის თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში.

თურქებისაგან ყირიმის დაპყრობის შემდეგ, 1475 წელს, ავტორი შენიშნავს, რომ მომდევნო 300 წელი ოსმალეთის გამგებლობის ქვეშ სოხუმის ყურე ოსმალეთის ფლოტისათვის მნიშვნელოვანი პოსტი გახდა, იმ დროს დაიწყო აფხაზეთში სუნიტურმა ისლამმა გავრცელება და იმავე საუკუნეში ისლამი აფხაზეთში დომინანტური რელიგია გახდა, რაც, ვფიქრობთ, არ შეესაბამება სინამდვილეს არა მარტო იმ დროისათვის, არამედ არც გვიან შუა საუკუნეებში. სხვათა შორის, ამ შემთხვევაში არანაირი წყარო არ არის მითითებული, რაც არ არის შემთხვევითი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოხუმში მუსლიმები ადრეც ცხოვრობდნენ და მისდევდნენ ვაჭრობას, რაც ბუნებრივი იყო ქალაქებისათვის და ეს არ იყო დაკავშირებული ოსმალების შემოსვლასთან. მართალია, ოსმალებმა უკვე მე-15 ს-ის შუა წლებში და იქნებ კონსტანტინოპოლის აღებამდეც დაიწყეს დასავლეთ საქართველოზე თავდასხმები, ამას, იმ დროს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ცნობილია, რომ 1578 წელს თურქეთი შეეცადა შეექმნა სოხუმის საბეგლარბეგო, დაინიშნა იქ ბეგლარბეგი, შემდეგ ის სხვა ბეგლარბეგით შეიცვალა, მაგრამ ეს ცდა იმჯერად უშედეგოდ დასრულდა. მართალია, მე-17 ს-ის თურქი ავტორის ქათიბ ჩელების „ჯიჰანნუმას“ (მე-17 ს-ის შუა წლები) გამოცემაში (1732) ჩარ-

თულ აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკის (გარდ. 1691 წ.) ნაწყვეტში საკუთრივ სოხუმის მოსახლეობა მუსლიმები არიან, სოხუმი აფხაზეთშია მოთავსებული, ხოლო სუხუმის ციხე, მისი შენიშვნით, სამეგრელოდან გამოყოფილ ადგილზე მდებარეობდა [ქათიბ ჩელები, 1978:132-134], რაც შეეხება მთლიანობაში აფხაზეთს, მე-17 ს-ის შუა წლებში თურქი მოგზაური და თვითმხილველი ევლია ჩელები იქ ისლამის გავრცელებაზე განსხვავებულ ცნობას იძლევა: „მრავალი ასი ათასი, ურჩი და მეამბოხე ხალხია. მათ რომ ქაფირი უწოდონ, კაცს მოკლავენ. მუსლიმი რომ უწოდონ – გაენარდებათ. ესენი ყურანს არ იცნობენ და არც რაიმე სარწმუნოება აქვთ. ამასთანავე, ქაფირი არ უყვართ და მუსლიმს სულს მისცემენ. ისლამი რომ მიიღონ, ძალზე მორწმუნე და ერთი ღმერთის მიმდევარნი იქნებიან“ [ევლია ჩელები, 1971:106].

უზუსტობას უშვებს ავტორი, როცა ამბობს, რომ 1803 წელს საქართველო პირველად გახდა რუსეთის პროტექტორატი. ამ წელს მხოლოდ ოდიშის რუსეთის ქვეშევრდომობას მოეწერა ხელი. შემდეგ ავტორი საუბრობს აფხაზეთის ისტორიაზე, რომელსაც ზედაპირულად და ცალმხრივად იცნობს, მხოლოდ ლაკობას ნაშრომით. საუბარია ძირითადად ქართველებსა და აფხაზებზე და არაფერია ნათქვამი ბოლშევიკების ან თეთრგვარდიელების ან თურქების მოქმედებებზე, მათ მონაწილეობაზე მოვლენებში აფხაზეთში და დანარჩენ საქართველოში, ინგლისელების მხრიდან თეთრი გენერლების მხარდაჭერაზე. ამასთანავე აფხაზები წარმოდგენილი არიან როგორც ერთგვაროვანი მასა, თუმცა იმ დროს, ისევე როგორც დღეს, აფხაზეთში სხვადასხვა ჯგუფები იყო წარმოდგენილი, სხვადასხვა ორიენტაციით. ნახსენებია აფხაზეთის დაპყრობა რუსეთისაგან 1864 წელს, აქა-იქ მოტანილია ცნობები მუჰაჯირებზე. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში საუბარია ურთიერთობაზე საქართველოსა და აფხაზეთს შორის. ავტორი ამბობს, რომ 1918 წლის 9 თებერვალს აფხაზეთის დელეგაცია ჩავიდა თბილისში სტატუსზე მოსალაპარაკებლად ქართველებთან როგორც თანაბარ მეზობელთან. საქართველომ სცნო ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებით ენგურიდან მდ. მზიმთამდე (დამოწმებულია ლაკობა). მაგრამ იმავე წელს, მაისში, 1918 წელს, აფხაზეთი მიუერთდა ჩრდ. კავკასიის რესპუბლიკას. მალე, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქართველებმა დაიკავეს აფხაზეთი 1918 წლის ივნისში. აფხაზეთის პოლიტიკური ლიდერები დაპატიმრებულ იქნენ და სახალხო პროტესტები ჩაიხშო. აფხაზეთი თბილისის პირდაპირი მმართველობის ქვეშ გადავიდა და, ავტორის აზრით, ხელისუფლების მახვილით იმართებოდა. როგორც ვხედავთ, აქ წარმოდგენილია აფხაზეთის ისტორიის ის ვერსია, რომლითაც აფხაზი ისტორიკოსები ცდილობენ ჩაანაცვლონ ნამდვილი ისტორია. ამ გამოგონილ ისტორიაზე დიდი ხანია გაცემულია პასუხი, ხოლო შესაბამისი დოკუმენტები გამოქვეყნებულია ჯემალ გამახარია და ბადრი გოგიას მიერ, რომელთა ნაშრომს ავტორი ისევე არ იცნობს, როგორც სხვა ქართველი მეცნიერების გამოკვლევებს. შემდეგ ავტორი საუბრობს ბოლშევიკური ექსპანსიის შესახებ 1920 წელს, თუმცა საქართველოში ეს 1921 წელს მოხდა. საბჭოთა წლებში საქართველოს პოლიტიკა ასევე ზედაპირულად, ცალმხრივად და არაზუსტად არის წარმოდგენილი. ავტორი აღნიშნავს, რომ აფხაზური დამწერლობა შეიცვალა ქართული გრაფიკული ბაზით და სასწავლო ენა შეიცვალა ქართულით. ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ ცალკე აფხაზური დამწერლობა არ არსებულა, 1866 წლიდან აფხაზები იყენებდნენ კირილიცას, 1926 წლიდან ლათინურზე გადაიყვანეს, ხოლო 1938 წლიდან საკავშირო ბრძანების საფუძველზე, რაც არამართო აფხაზეთს ენებოდა, არამედ ყველა ავტონომიას, შემოღებულ

იქნა შესაბამის რესპუბლიკებში მიღებული დამწერლობა, რაც აფხაზეთის შემთხვევაში, რომელიც საქართველოს ნაწილი იყო, ქართული იყო. რაც შეეხება სასწავლო ენას, აფხაზეთში არსებობდა რუსული სკოლები, სადაც ისწავლებოდა აფხაზური ენა. სწორედ რუსული სკოლები შეიცვალა ქართულით, სადაც ასევე ისწავლებოდა აფხაზური.

ავტორი ვრცლად საუბრობს ავტონომიაზე, ჩამოთვლის მის 4 მთავარ სტრუქტურულ ელემენტს – 1. არჩეული ადგილობრივი კანონიერი ორგანო, 2. ადგილობრივი არჩეული აღმასრულებელი, 3. ადგილობრივი დამოუკიდებელი სასამართლო, 4. სახელისუფლებო მოწყობა, საერთო ავტონომიასა და ცენტრალურ მთავრობას შორის. შემდეგ ავტორი საუბრობს ავტონომიის ტიპებზე – ტერიტორიული, კულტურული, ისტორიული, მოპოვებული. ყოველივე ეს ავტორს კვლავ სჭირდება იმის დასასაბუთებლად, თუ როგორ არასწორად იყო მოწყობილი ავტონომიები ყარაბაღის და აფხაზეთის შემთხვევაში, თუმცა ამ თეორიულ წიაღსვლებსა და საკვლევ თემას შორის კავშირი ყოველთვის არ ჩანს.

ავტორი შეისწავლის ტიტულოვან სახელმწიფოებთან კონფლიქტის მიზეზებს. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეთნიკურობა კვლავ რჩებოდა ჯგუფური იდენტიფიკაციის ძლიერ ძალად, რის შემდეგაც კრებს და წარმოადგენს სხვადასხვა პუბლიკაციაში თავდასხმებსა და არასასიამოვნო გამოთქმებს (მაგ., მინი-იმპერია – ა. სახაროვის გამოთქმა) ქართველებსა და საქართველოზე, ასევე, შესაბამისად, აზერბაიჯანზე, რომელთა მიმართ აფხაზების და ყარაბაღელი სომხების უკმაყოფილება, ავტორის აზრით, არასდროს შეწყვეტილა მათი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული სირთულეების გამო. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ სწორედ აფხაზეთი საბჭოთა წლებში სხვა რეგიონებთან შედარებით უკეთესი ეკონომიკური პირობებით გამოირჩეოდა. არ შეიძლება არ დაეთანხმო ავტორს ზოგიერთ შემთხვევაში, თუმცა ვერ გავიზიარებთ მის აზრს იმის შესახებ, რომ ყარაბაღელ სომხებსა და აფხაზებზე თავსდატყევილი ყველა უბედურება ქართველებისა ან აზერბაიჯანელებისგან მომდინარეობდა შეგნებულად უმცირესობის ასიმილაციის მიზნით.

ბუნებრივი მიგრაციული პროცესები ყველა შემთხვევაში ახსნილია როგორც იძულებითი და წინასწარგანზრახული, თუმცა კარგად არის ცნობილი, რომ ინდუსტრიული ეპოქა შლის კომპაქტურობას და მიგრაცია დასაქმების პრინციპით სრულიად ბუნებრივი ხდება.

ავტორი საუბრობს საგანმანათლებლო პოლიტიკაზე აფხაზეთში, აფხაზურის შევიწროებაზე და ქართულის იძულებით დამკვიდრებაზე, რაც, როგორც აქ აღნიშნულია, 1946 წელს დაიწყო, როდესაც ყველა აფხაზური სკოლა შეიცვალა ქართული სკოლებით. სტალინის გარდაცვალების შემდეგ აფხაზური კვლავ აღდგა, თუმცა მხოლოდ დაწყებით სკოლებში და განათლება იყო მხოლოდ რუსულ და ქართულ ენებზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1945 წელს, მართლაც, მოხდა რუსული სკოლების ქართულით ჩანაცვლება, რაც ასევე საკავშირო ბრძანების, მართალია, 7 წლის დაგვიანებით, დამორჩილება იყო. წარმოდგენილი სურათის მიხედვით ასე იყო შემდგომ წლებშიც. სხვადასხვა წყაროდან მოტანილ ციტატებში სულ არის საუბარი აფხაზების იძულებით გაქართველებაზე. ყოველივე ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გაკვირვებას იწვევს ის, რაც აღნიშნულია სამი აფხაზი ინტელექტუალის 1985 წლის წერილში, რომ ქართულის ცოდნა აფხაზეთში შეზღუდულია, გარდა იმ აფხაზებისა, რომლებმაც ისწავლეს კითხვა და წერა რეპრესიების შიშით, რომელთა რიცხვი, როგორც ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თითებზე ჩამოსათვლელია. და ეს მას შემდეგ, რაც 40 წლის მანძილზე

მიმდინარეობდა იძულებით ქართულის თავსმოხვევა? ავტორს, აშკარად, უფრო მისაღებად მიაჩნია ვითარება, როდესაც საქართველოს მოქალაქეებმა არ იციან ქართული. ამავე მონაკვეთში საუბარია ქართველების შესახლებაზე აფხაზეთში და ქართველების რიცხვის მკვეთრ ზრდაზე.

შემდეგ ავტორი დეტალურად გადმოგვცემს სსრკ-ს ნგრევის, რესპუბლიკებში უკმაყოფილების, წინააღმდეგობის ბუნებრივად და ხელოვნურად გაღვივების, ეროვნული მოძრაობის ისტორიას, სადაც ჩანს გარკვეული სინქრონიზაცია აფხაზეთსა და მთლიანად საქართველოში და ყარაბაღში და აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე მოვლენებს შორის. აქვე კეთდება გარკვეული აქცენტები, სადაც ვლინდება შესასწავლი საკითხის არასაკმარისი ცოდნა. გაუგებარია, თუ რატომ არის საჭირო მერაბ კოსტავას სახელის ხსენებისას იმის ხაზგასმა, რომ ის მეგრელი იყო. ავტორმა, როგორც ჩანს, არ იცის, რომ მეგრელი იყო ზვიად გამსახურდიაც. ავტორი, როგორც წესი, მეგრელებს ცალკე გამოყოფს, ისინი არა-ქართველებად მიაჩნია და მათი ბედი ძალზე აწუხებს. მოგვიანებით, არძინაზე საუბრისას, რომელსაც ქარიზმატულ ლიდერად მიიჩნევს, ის აღნიშნავს, რომ ის მგრძობიარე იყო არაქართველების მოლოდინების მიმართ აფხაზეთში და სხვა ეროვნების წარმომადგენლები ჩართო ახალ ადმინისტრაციაში მაგ., მან ადგილობრივი მეგრელი დანიშნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ცალკე საუბრობს სოხუმის უნივერსიტეტზე, მის სამ განყოფილებაზე. უკმაყოფილოა იმით, რომ ყველაზე დიდი იყო ქართული განყოფილება, ამასთანავე ივიწყებს, რომ უნივერსიტეტის შექმნის დროისათვის აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი უმრავლესობა ქართველები იყვნენ, აღფრთოვებულია იმით, რომ ამ უნივერსიტეტის სტუდენტები მთელი დასავლეთ საქართველოდან შეიძლება მიეღოთ. ამ შემთხვევაშიც ის, როგორც ჩანს, ივიწყებს, რომ აფხაზეთი, თუნდაც ავტონომიის სტატუსით, საქართველოს შემადგენლობაშია.

მოცემულია ღია კონფლიქტების ისტორია ყარაბაღის და აფხაზეთის შემთხვევაში. ეს გადმოცემებიც ცალმხრივია, მოკლებულია ობიექტურობას. ისევე, როგორც სხვა შემთხვევაშიც, ავტორის მთელი სიმპათია ყარაბაღელი სომხების და აფხაზების მხარეზეა, ამასთანავე, თუ ყარაბაღზე ის, მართალია, ნაკლებად, მაგრამ მაინც იყენებს აზერბაიჯანელების ნაშრომებსაც, აფხაზეთის ვითარებას მხოლოდ აფხაზი და რუსი ავტორების პუბლიკაციებით იცნობს. დიდ ადგილს იკავებს აქ ინტერვიუები, თუმცა ამ შემთხვევაშიც მოსაუბრეები კვლავ აფხაზები და სომხები არიან. ავტორმა არ იცის, როგორი იქნება რეგიონის მომავალი, მაგრამ ერთი, რაც მან დანამდვილებით იცის, ის არის, რომ არც აფხაზები, და არც ყარაბაღელი სომხები არ დათანხმდებიან საქართველოსა და აზერბაიჯანზე დაქვემდებარებულ სტატუსს. მისი აზრით, მათ მიაღწიეს დე ფაქტო დამოუკიდებლობას და ამჟამად დაკავებული არიან სახელმწიფოს შენებით, რაც, მათი რწმენით, მიიყვანთ მათ სრულ და აღიარებულ დამოუკიდებლობამდე. უცნაურია ამასთანავე ავტორის განცხადება, მას შემდეგ, რაც ის საუბრობს ძალიან დიდ მსხვერპლზე, ძირითადად ქართველების და აზერბაიჯანელების მხრიდან და აფხაზეთიდან ქართველების, ხოლო ყარაბაღიდან აზერბაიჯანელების განდევნაზე, რომ აფხაზებისა და ყარაბაღელი სომხებისათვის ეს იყო ძალზე მაღალი ფასი, რაც მათ გადაიხადეს დამოუკიდებლობისათვის, ხოლო თბილისისა და ბაქოსათვის ეს არის დანაკარგი, რომელიც მათი საზოგადოებებისათვის ძნელად ასახსნელი და გამართლებას მოითხოვს.

ავტორი ზოგადად სწორად აფასებს რელიგიის როლს საბჭოთა რესპუბლიკებში და შემდგომში, დამოუკიდებელ ქვეყნებში. გადმოცემულია აგრესიული

ათეიზმის ისტორია, მეჩეთების და ეკლესიების დახურვა, სასულიერო ფენის დევნა, დამოუკიდებლობის წლებში ხალხის მიბრუნება რელიგიისაკენ, რომელმაც მარქსისტული იდეოლოგია ჩაანაცვლა. მისი აზრით, მოსახლეობის უმრავლესობა, როგორც ერთ, ასევე მეორე შემთხვევაში, არ არიან მორწმუნეები და რელიგია მათთვის უფრო ტრადიციაა, მიუხედავად ამისა, რელიგია ყარაბაღის და აფხაზეთის რესპუბლიკებთან დაპირისპირებაში კრიტიკულ როლს თამაშობს და მისი გამოყენება საკმაოდ აქტიურად ხდება სხვადასხვა ლიდერის მიერ. აქვე ავტორი გადმოგვცემს აფხაზეთის გაქრისტიანების ისტორიას და აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ეკლესია მე-8 საუკუნიდან გახდა ავტოკეფალური, ხოლო მე-10 ს-დან მოექცა ქართული გავლენის ქვეშ და აფხაზურ ეკლესიაში ღვთისმსახურებაში ბერძნული ენა შეიცვალა ქართული ენით. აქვე ნათქვამია, რომ ალბანური ეკლესია, ისევე როგორც იბერიის ეკლესია, სომეხი მისიონერების მიერ იყო დაარსებული, რაც საკითხის ძალზე ცალმხრივი გაშუქებაა, რომელიც გარკვეული წყაროებიდან მომდინარეობს და არ დასტურდება წყაროების დიდი ნაწილით. თუმცა არცერთ ამ წყაროს ავტორი არ იცნობს და ეყრდნობა და ისიც მხოლოდ შერჩევით, ზოგიერთ ტენდენციურ პუბლიკაციას. ყოველივე ეს „არახალია“ და ქართული ეკლესიის ისტორიაც საკმაოდ კარგად არის შესწავლილი.

ავტორი შემდეგ საუბრობს იმაზე, თუ როგორ შეიძლებაოდა ყოფილიყო გამოყენებული აქტიურ პოლიტიკურ კონტექსტში რელიგია, რომელიც არ იყო მთავარი ფაქტორი, თუ როგორ ხდებოდა რელიგიური მოტივით გარეშე ძალების მიმხრობა, ირანის და თურქეთის მეტოქეობაზე აზერბაიჯანში, როგორ აღადგენდა თურქეთის მთავრობა აზერბაიჯანში მეჩეთებს, როგორ გაისმოდა ზოგჯერ მოწოდება ჯიჰადისაკენ, თუმცა, ზოგჯერ ობიექტურობასაც იჩენს, და ამატებს, რომ მთავრობა აზერბაიჯანში ცდილობდა დაეცხრო ეს მოძრაობა. ამასთანავე აქვეა ნაჩვენები სხვადასხვა დამოკიდებულება არაბულ სამყაროში, განცხადებები მსოფლიო სიონიზმის წინააღმდეგ, იმედგაცრუება ბაქოში ირანის სომხეთთან ურთიერთობის გამო და სხვ. მოტანილია ბრიტანეთის ლორდ-თა პალატიდან ბარონესა კაროლინ კოქსის მაგალითი, რომელიც ლობირებდა ყარაბაღელ სომხებს როგორც „ქრისტიანულ ნაციას“ მეზობელი ისლამისტების წინააღმდეგ. ახსენებს ყარაბაღისათვის დამკვირვებლის სტატუსის მინიჭებას 1996 წელს ევროპული მართლმადიდებელი სახელმწიფოების პარლამენტთაშორისო კონფერენციაში, ნაკლებად ცნობილ ორგანიზაციაში, რომელშიც 18 მართლმადიდებელი სახელმწიფოა გაერთიანებული. ნახსენებია ასევე აზერბაიჯანის გაწევრიანება (1992 წელს) ისლამური კონფერენციის ორგანიზაციაში, რომელიც აერთიანებს 56 მუსლიმურ სახელმწიფოს. ავტორი ახსენებს ბაქოს ორმხრივ ურთიერთობებს პაკისტანთან, თურქეთთან, ქუვეითთან, ერაყთან და სხვ., რასაც ისლამის ფაქტორით ხსნის.

ავტონომიაზე მსჯელობისას ავტორი ცდილობს დაასაბუთოს ყარაბაღის და აფხაზეთის გამოყოფის უფლება, იმ შემთხვევაშიც, თუ ამაზე არ არიან თანახმა ის ქვეყნები, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი არიან, ე.ი. აზერბაიჯანი და საქართველო. ამ შესაძლებლობის დასასაბუთებლად მოტანილია სხვადასხვა ციტატა, სადაც საუბარია გამონაკლისებზე საერთო წესიდან, მაგალითად, „თუ მთავრობა მიმართავს მასობრივ განადგურებას ან სხვაგვარ სისტემატურ ძალადობას მისი მოსახლეობის ნაწილის მიმართ და უმოწყალოდ ლახავს ადამიანის ძირითად უფლებებს, ასეთ შემთხვევაში გაერო არ უარყოფს შემადგენლობიდან გასვლას“. მაგალითად მოტანილია ისრაელის სახელმწიფოს შექმნა 1947 წელს და ბანგლადეშის შექმნა აღმოსავლეთ პაკისტანში 1971 წელს. ავტორის ღრმა

რწმენით ბანგლადეშის მაგალითი სავსებით შეესაბამება აფხაზეთის და ყარაბაღის შემთხვევებს, რაც არის დეკოლონიზაცია დეკოლონიზებულ სახელმწიფოში.

ისტორია მეცნიერებაა და ისტორიკოსი მეცნიერი. მაგრამ სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით ის კაცობრიობის ისტორიას შეისწავლის, რომლის შემქმნელებიც ადამიანები არიან. ამდენად სუბიექტურობის ფაქტორი აქ არა მარტო არ არის გამორიცხული, აუცილებლად იგულისხმება, რაც ქმნის ისტორიოგრაფიის სირთულეს და ამასთანავე მის მომხიბვლელობას. მაგრამ შედარებით ნეიტრალური მკვლევარი, რომელსაც მიზნად აქვს ჭეშმარიტებასთან დაახლოება და პრობლემების გადასაჭრელად ეფექტური რეკომენდაციების შემუშავება და რომელიც არ ცდილობს სინამდვილის წინასწარ შედგენილ სქემებზე მორგებას, ამას უფრო წარმატებით ახერხებს. ეს მიზანი, ვფიქრობ, მეტნაკლებად მიღწეულია აქ წარმოდგენილ პირველ ნაშრომში, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით მეორეზე.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. კიკნაძე, ვ. ლათინური წყარო მე-14 ს-ის საქართველოზე. – *თსუ შრომები*, 243, 1983, გვ. 95-104.
2. *ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“*. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ, ნაკვ. I, ქართული თარგმანი, თბ., 1971.
3. *ქათიზ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ., 1978.
4. Берадзе Т. Н. *Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии*. Тб., 1989. *Очерки из истории Грузии: Абхазия с древнейших времен до наших дней* / [Авт.: Джемал Гамахария, Лиа Ахаладзе, Малхаз Барамидзе и др. ; Редкол.: Джемал Гамахария (гл. ред.), Тамаз Берадзе, Теймураз Гванцеладзе] ; М-во народного образования и культуры Абхазии, Ин-т истории и этнологии. – Тб.: Интелекти, 2009.
5. Saparov, Arseny. *Conflict in the South Caucasus: Autonomy and Secession*. Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy. London School of Economics and Political Science. University of London. October 2006.
6. Tchilingirian, Hratch. *The Struggle for Independence in the post-Soviet South Caucasus: Karabakh and Abkhazia*. Thesis submitted for the degree of Doctor of Philosophy. Sociology Department. London School of Economics and Political Sciences. February 2003.

S U M M A R I E S

Giuli Alasania

TWO DIFFERENT VISIONS CONCERNING SOUTH CAUCASUS CONFLICTS

The present paper considers two researches submitted for the degree of Doctor of Philosophy at the London School of Economics and Political Sciences. The first is „Conflict in the South Caucasus: Autonomy and secession“ by Arseny Saparov (2006), the other thesis is „The struggle for independence in the post-Soviet South Caucasus: Karabakh and Abkhazia“ by Hratch Chilingirian“ (2003).

The first research mostly focuses on Georgian-Ossetian, Georgian-Abkhaz conflicts but it goes further and the issues are studied in wide context. One can see here history of establishing of the Soviet Union, the reasons of establishing autonomies, relations between titular nations and minorities in different situations.

According to the research, autonomous status was granted in some cases to avoid conflict when some confrontation between dominant nations and minorities already existed in the area (Abkhazia, Ossetia, Karabakh); in other cases they were established as a compromise to the foreign powers (Adjara, Nakhchevan). Although in both cases they were used as a leverage by power, in cases, when there were minorities in confrontation with the dominant nations, autonomous status didn“t help integration, or reducing confrontation, on the contrary, autonomous institutions increased identity, uniqueness and came to separatism, while in the other case, when there was no minority even with the separatist leaders such an entity couldn“t secede. In case when there was no autonomy, regardless of high number of minority, mobilization couldn“t be strong enough to come to some essential movement. The author of the research submits overall and impartial picture of the issue, which gives opportunity to restore painful and sensitive pages of the recent history. One can see here the factor of the third force, as well as some mistakes made by the sides, which can be explained by inexperience more than by premeditation.

Unlike the first dissertation, the other is concentrated on two conflicts - in Karabakh and Abkhazia. Unfortunately, the author started to investigate the issue with a definite position. One can obviously see his sympathy towards Karabakh and Abkhazia while his feelings towards Georgia and Azerbaijan are far from being friendly not to say - hostile. Evident lack of sources, especially, in case of Abkhazia, which the author, according to his explanation, couldn“t visit since it was isolated, while the Georgian sources were not accessible either, resulted in number of mistakes and shortcomings, which are commented in the present survey.

SOME REMARKS ON THE FOUR-LINE INSCRIPTION FROM THE BOLNISI SIONI CHURCH

Many attempts to decode and interpret a four-line inscription above the north entrance into the Bolnisi Sioni Church (south-east Georgia) have been made by researchers during the last century. This inscription is written with an old Georgian „Asomtavruli“: (An old Georgian alphabet that has been used for wall writing).

The decoding of the four-line inscription from the Bolnisi Sioni church was first suggested by Akaki Shanidze. His interpretation was supported by Giorgi Chubinashvili and, with some correction, by Elene Machavariani.

During my investigations of the foregoing inscription, the approach of the outstanding German expert in decoding of East epigraphic monuments Ernst Herzfeld, i.e., text division into identical columns, was used. Following this method, I divided the epigraphic monument from the Bolnisi Sioni church in vertical columns: two letters in each column. It has been found that the four-line inscription actually contains two different inscriptions. They consist of the two first lines and two last lines respectively. These virtually different inscriptions were accomplished by different graves at different times.

As it turned out, the words „Shetsevnita gvtisata Samebisaita“ from the first two lines of the four-line Bolnisi Sioni church inscription have the meaning „by the grace of Blessed Trinity“, i.e. the church was built by the grace of Blessed Trinity and therefore called „Trinity church“. The last two lines indicate that the church was reconstructed (or built a new) by the bishop's grace and devoted to St. Mary, i.e. thereafter the church was called Sioni, name is used up to now.

The last reconstruction of the Bolnisi Sioni church took place in the second half of the 70s of the 5th century. Bishop David became the head of Bolnisi's bishopric after the church reforms of Kartli's king Vakhtang (Second half of the 5th century). This follows from an eight-line inscription carved on his behalf on the east front of the Bolnisi Sioni church.

Already during the last reconstruction of the Bolnisi Sioni church, the mean part of the upper lintel of the left entrance of the north front, on which the mean parts of both inscriptions were carved, was removed from its place.

DYNAMIC CONCEPTUAL MODEL OF THE LINGUISTIC STRUCTURING OF SPACE: GEORGIAN PREVERBS

For structuring of space relations in the Georgian language three dimensions are valuable:

1. Point of View (PV) – Speaker’s and/or Teller’s Position: The „teller“ usually coincides with the „speaker“, but this is not always the case: Sometimes the „teller“ differs from the speaker and the space is structuralized according to the teller’s and not the speaker’s PV; e. g. „Nino says that she is going up“. Although the place where Nino is going to could not be „up“ for the speaker who is located geographically higher than Nino, the speaker can still structure the space according to the teller’s, e.g., Nino’s, point of view.

2. Geographic Space (GS) – Various Directions and Distance Dichotomy: GS is structuralized due to the abstract relations that have concrete interpretation only on the basis of the point of view of a „teller“. Abstract geographic relations are represented in the linguistic structures of the Georgian language by the so-called simple preverbs (SP). The relations can be described by the following conceptual structures:

<i>a</i>	– „from down to up“	↑
<i>ča</i>	– „from up to down“	↓
<i>mi</i>	– „from speaker/listener“	→
<i>mo</i>	– „to speaker/listener“	←
<i>gada</i>	– „overcoming, across“	↗
<i>še</i>	– „from outside to inside“	⊖
<i>ga</i>	– „from inside to outside“	⊕
<i>c“a</i>	– „from something/somebody“	○→
<i>da</i>	– „over a path“	—

3. Communicational Space (CS) – Ego and Alter Spaces: Communicational space is further divided into „Ego Space“ and „Alter Space“. Differences between ES and AS are represented in linguistic structures of Georgian by the formal opposition – Complex Preverbs([SP + mo-]):Simple Preverbs(all SP except mo-). The opposition distinguishes the orientation of an action according to the dichotomy: I/II [action directed/oriented to I/II person (ES)]: III [action directed/oriented to III person (AS)]. Thus, the addition of mo – changes the orientation of an action. ES does not always confirm with the semantics of „Proximal“: „Distal“, which is an important feature for structuring of GS according to the concept of „Distance“. The „distance“, like the ES, is relative and it is defined by speaker’s or teller’s attitude, which is different from the opposition ES:AS. Objects near to us are not obligatorily included into ES and vice versa: „Near“ does not always mean „to us“ and „Far“ does not always mean „from us“.

„Point of View“, „Ego Space“ and „Distance dichotomy“ are flexible: They can be changed according to the speaker’s (or teller’s) attitude, while abstract relations of „Geographic Space“ are stable. Various combinations of the dimensions are represented in Georgian by 9 simple and 7 complex preverbs.

Olga Beridze

RYTHMIC STRUCTURE OF *EKPHRASIS* IN OLD GEORGIAN LITERATURE

Ekphrasis, a formal description, is a broadly characterizing element of the writings of various types of literary genres. The ekphrasis is widely used as a rhetorical trope in the Georgian hagiographical and historical literature.

This paper is dedicated to the peculiarities of the rhythmic structure of the ekphraseis. The tact and the rhythm created by the logical intensive activity of specially ordered distribution of the words in the sentence is based on the isocolones and isosyllabic nature; by the symmetric use of the resembling consonants and vowels the alliteration is created; by the use of the isosyllabic the hidden rhythm is created. The syntagmae proportionally distributed in the text are not connected with the generally necessary feature of the Georgian sentence - the verb - and this contributes to the increase of the poetic character of the utterance. The rhetorical methods like anaphora, paronomasia, homoiotelevtones are used. The parallelism caused by isosyllabic lines is so perfect that the scholar Pavle Ingoroghva attributed several ekphraseis to the panegyric poetry, despite the fact that in these descriptions the rhythm that is close to poetry is often intentionally changed in order to break the symmetry „by making it a lame symmetry“ in order to prevent the transformation of the rhythmic prose into a regular poetry. This happens in three various compositions; hence it may not be attributed to the individual feature of one author only.

The attention is drawn in this paper also to the fact that the fragments of the syllabic segment are used for the creation of the symmetrical syllabic columns: 4/4 and 3/5; according to the viewpoint of the scholars Th. Gamkrelidze and V. Ivanov this is essentially typologically isomorphic with the reconstructed Indo-European verse.

Manana Gabashvili

IMPORTANCE OF PONTO-TOWN IN VAKHTANG GORGASALI AND GENERAL GEORGIAN POLITICS

Ponto-Town, evidenced in the works of Juansher (the 5th century), the historian of Vakhtang Gorgasali, as it became clear according to Georgian, Armenian and Greek sources, is Trabzon. Posing the question from this point of view makes possible to examine and consider many issues of the history of Georgia in a new way. This concerns also the problem of re-dating the work from the 11th to the 5th century. It becomes clear, that the Trabzon policy existed already in the time of Vakhtang Gorgasali (5th century). Besides of that in Juansher's work there are evidenced Levant international ways, is shown also Vakhtang's attitude towards these ways and policy, he was conducting in the mentioned direction. One of the main orienting points of this policy was Ponto-Town. On the basis of analyze and generalization of the materials, connected with Ponto-Town, one can see well, how the Medieval Georgian historian well understood Geopolitical goals of Georgia.

NARA – HISTORICAL CAPITAL OF JAPAN

Between the historical capitals of Japan, Nara (which was called initially as Heijo) deserves special attention. Nara period (710-847) represented the age of high-centralized state formation in all respects: official ideology, administrative division of the state, craftsmanship structures, culture, large scale construction projects etc. Nara was built on the example of the capital of Tani dynasty of China – Chanan. This means city planning, streets, residential and administrative buildings, Buddhist temples. The following capitals of Japan were based on the same principle, however there were some differences as well. In particular, different from the capital of China, Nara was smaller; It was not surrounded by the wall – only the residence of the emperor was surrounded by high (5.5m) thick wall. In addition to this, by that time stone and brick were not used in construction in Japan. Entire city, including the palace complex and the temples were made of wood.

It is worth mentioning that despite significant Chinese influence, Japanese did not blindly replicate Chinese style, rather they picked the elements necessary for them from the continental values and combined and synthesized with the local traditions. On the basis of all these, foreign influence on Japan was gradually weakening, later on disappeared completely. This process was clearly revealed particularly by the end of Nara period.

Nani Gelovani

WOMEN TRANSMITTERS IN MEDIEVAL DAMASCUS

At every period in Muslim history, there lived numerous eminent women scholars of hadith, treated by their brethren with reverence and respect. Entries on very large numbers of them are to be found in the biographical dictionaries. The eighth century compilation *al-Durar al – Kāminah* of Ibn Hajar al-‘Asqalani (d.852/1449), and the ninth century compilation *al-Daw’ al-Lāmi’* of al-Sakhawi (d.902/1497) contain hundreds of entries for women known for their skills as muhaddithahs. This study documents the careers of two prominent female hadith transmitters in the region of Mamluk Damascus: Zaynabb int al-Kamal (646-740/1248-1339) and ‘A‘isha bint Muhammad b. ‘Abd al-Hadi (723-816/1323-1413). As the activities of the two muhaddithahs below demonstrate, women took full advantage of the entry points in hadith studies and excelled to the extent that prominent male scholars eagerly sought their authoritative transmissions. Zaynab and ‘A‘isha were granted numerous ijazas and they disseminated this knowledge to other hadith students. Zaynab and ‘A‘isha transmitted primarily compilations of hadith on particular topics of Muslim ritual and ascetic piety as well as some of the major canonical collections.

Biographers indicate that their sessions were well attended and that they were in demand as reliable transmitters. Zaynab and ‘A‘isha had many female contemporaries who engaged in similar activities.

Ramaz Gorgadze

CONCERNING THE ORIGINS OF GEORGIAN-ARMENIAN COMMON VOCABULARY

The studies in general historic vocabulary of Georgian and Armenian languages with a glance to ancient Egyptian yield interesting results. At that stage we consider some of the most ancient Egyptian adoptions in Georgian (uphali>mamphali, mari, marani), which later on were reflected in Armenian language.

Manana Gostsiridze

ON THE STATUS OF ARAMAIC LOANWORDS IN MODERN HEBREW

Aramaic loanwords make up approximately 30% of Modern Hebrew vocabulary. The great majority of these borrowings have been taken from Rabbinic language (kise "chair", dugma "sample, example", uvda "fact", quvlana "complaint", seleq "beet"...etc.).

Most of the lexical items of Aramaic origin are fully integrated in Modern (Israeli) Hebrew and can hardly be perceived as foreign words. Considerable number of Aramaisms with distinguishing sign (final ם) often drop this ending or replace it by ך. High degree of their adaptation must be due to the high frequency of the usage of these lexemes.

Certain number of Aramaic words and expressions have been adopted by Israeli Hebrew immediately from the Talmudic sources or via Yiddish. It is worth mentioning that some of these borrowings have acquired in contemporary language stylistic status of more literary forms as compared with their native Hebrew counterparts (Cf. for example, Aram. let man d^efalig=iš eno ḥoleq "nobody contests"; Aram niḥa = ṭov "O.K").

Some of the nouns of Aramaic origin, which represent inseparable part of Modern Hebrew vocabulary, bear stylistic connotation of non-formal words and belong mainly to the spoken language (e.g., aba "daddy", ima "mummy").

Lali Guledani

THE "FATHERS' EXHORTATIONS" (Collection of Religious and Moral Statements of the Jewish Wise Fathers)

"Fathers' Exhortations" is a compact, but important declaration. It consists of six chapters. First four of them provide us with knowledge of sixty most famous teachers, each one of which, is summed with one or more didactical proverb. The fifth chapter generally provides us with teachings of anonymous authors and the 6th consists of confirmation of Torah teaching's importance.

The "Fathers' Exhortation" is thematically diverse and interesting from the point of view of ideology collection. The expressions, connected with Torah and its teaching are outstanding by their multitude and pathetic, where there are recognized Torah's advantages, necessity to learn it with the purpose of acquiring wisdom and avoiding sins that makes people close to the god; there are determined conditions of studying Torah, it is underlined that acquiring Torah with the sense of fear of the God keeps man out of the reach of any evil, as the God is just, sees everything, will appreciate everything and everybody will get what they merit. Who pays great attention to learning of Torah and fulfilling of commandments, becomes free of the difficulties of life, and his work will be remunerated with kindness.

To the topic of Torah's study are closely connected the exhortations, told with respect to the wise men, the aim of which is to remind to the wise people what a great mission they have, how careful they have to be while preaching, their words not to be incorrectly understood. What is a real wisdom, in the „Exhortations“ sometimes is explained in allegorical form.

The topic of Torah's study often is accompanied with the expressions, connected with justice and fairness. The main idea is that the world relies on three bases: truth, justice and peace. There is also indicated, how you have to behave at the trial, how the witnesses have to be questioned, etc. What is the most important, you have not to judge unilaterally, as only one, - the God has the right to do this.

To the Torah is connected the issue of friendship too. It is of great importance, whom do you chose as friend during your studies. The preaches tell us that you have to avoid a bad neighbor, a person who is in government and not to be friend with a sinner. Also, you have not to judge your friend until you do not put yourself at his place.

Some preaches are dedicated to the importance of study in general, and the types of the pupils. Artistically is given the opinion that to study is better in youth than in old age, and that an old experienced person teaches better than a young one, though, there is an opposite opinion too, according to which it is of no importance, what kind appearance has the teacher, but it is important what does he have in his head. In the „Exhortation“ there is an allegoric characteristic of four types of pupils. Also, 4 types of persons too - according to their character, temperament and different abilities of giving charity. Interesting and useful advices are given in all the preaches, containing wisdom.

The above mentioned thematic diversity of the "Fathers" Exhortations' are permeated by one idea: The people have to hear and understand the preaches of the wise fathers for refinement of their moral and ethic norms and achievement of spiritual perfection.

Research of "The Fathers' Exhortations" with regard to the Bible is particularly interesting. As it was noted, the last chapter of this collection completely, and the most part of the "Exhortations" is connected with "Torah" and the necessity of its teaching, that conditions itself the Sermons" close connection with the Bible. In Torah the Educated Wise Fathers often indicate in the Sermons" the biblical source. There are several sermons, the biblical sources of which are not clear and transparent. Comparative study of several sermons of "The Fathers' Exhortations" and their biblical sources showed that the "Exhortations" undergo great influence of Bible from the point of view of contents and ideas. Sometimes one or another assumption is witnessed from the Bible without any changes, texts are completely equal or are slightly different, that is natural, as the basic idea of the Wise fathers" life is respecting the laws of Torah and recognition of its supremacy.

Marine Ivanishvili

PROTO-KARTVELIAN PLANT NAMES: ZYMART'L - „MEDLAR“

The paper deals with the issues of the reconstruction of the stem *zymart'l - (*Mespilus germanica* L) in the Kartvelian languages. According to the phonemic correspondences between the Kartvelian languages Geo. *zymart' l* - || *sxmart'l* -: Megr. *cxumu(n)tur* - || *ckimunt'ur* -: Laz. *cximunt'ur*-|| *ckirmunt'ur* - || *sk'ilimunt'r* -: Svan. *žunt'u* || *žunt'ü* || *žunt'*; *zunt'u* || *zunt' ü* || *zunt'* „medlar“, duplicate proto-stems *zymart' l-, *z₁ymartl₀-, *sxmartl₀ - are reconstructed for the Proto-Kartvelian level.

Elene Javelidze

FROM THE HISTORY OF THE STUDY OF YAHYA KEMAL'S POETRY

Yahya Kemal (1884-1958) is one of the prominent representatives of new Turkish literature. The poetry of Western literature, namely elements of poetic culture and aesthetics of symbolism, as well as creative thinking of Baudelaire's and Verlaine's literature affected the poet's work. Yahya Kemal spent nine years in Paris. He had close relationship with symbolists. It was well known, that Baudelaire and Verlaine created the architectonics of new French verse and thus created poetry which was named as Symbolism. They applied the historical and mythological motives in their poetic collection. Yahya Kemal seriously studied modern literature based on the supernaturalistic inspiration, created verses similar to Verlaine's poetry.

It was well known, that Jan Moreas and Charles Moraut revived the architectonics of old French verse and named the poetry, thus created, Neoclassicism. Paul Verlaine applied the XVIII century French in his poetic collection - *Fetes Galantes*. Yahya Kemal seriously studied literature of Divan based on the neoklassical work, created hundreds of gazels, *sharkis* and *musamats* similar to Divan Poetry. The poet noted, that Verlaine's *Fetes Galantes* inspired him to create his own poetry.

There is no doubt that a feeling of isolation pervaded all the intellectuals at the turn of century. Yahya Kemal Beyatli sought escape in artistic notions, he turned towards „higher“ spheres, towards mysticism of the Literature of Divane. Fundamentally the belief of Yahya Kemal Beyatli is the belief common to all eastern mystics. The main aesthetic and artistic criterion of Yahya Kemal Beyatli is the cognition of beauty and infinity. The intermingling of the abstract and concrete, which we have noted both in the Literature of Divane and in symbolism, undergoes a state of evolution in the poetry of Yahya Kemal Beyatli. Images of the Literature of Divan in Yahya Kemal's poetry appears both mystical and mythological qualities.

History is very important subject to Yahya Kemal's work. Being at Paris School of Political Sciences the poet started learning the history of Turkey. In his understanding, the history of a nation should be framed and the most important is the national memory. The poet creates a mythological image of the Ottoman Empire.

These broad thematic lines are closest he ever got to “subject matter” and his poems, long and short, reflected (proceeding from the poet’s “I” to the exterior world), or projected (creating an emblematic world and characters), these intertwined preoccupation of poet.

Nino Javelidze

APSHILS – EGROSS’ PROGENIES

The ethnic question of Apshils lived in Egriss kingdom is not fully investigated. We made all-round analysis of all types existed materials about Apshils. Apshils spoke Georgian, their toponymy is Georgian, their heathen pantheon is Georgian and they were one of the first who converted to Christianity. Apshils were as Egross’ progenies as other West Georgian tribes.

Marika Jikia

THE ANTHROPNOMS OF THE GRAND REGISTER OF GEORGIA REGION (1595)

The paper deals with the masculine proper names in the “Grand Defter (“Register”) of South-West region of Georgia” (1595) – Defteri Mufassali Vilayeti Gürjistan, which is one of the valuable sources for the peoples history of the South Caucasus at the end of the 16th century.

Thanks to devterdar (“a register writer”) approximately 600 anthroponyms of different origins are listed in the register. I fixed about 300 Georgian proper, 100 canonical-Christian (Jewish, Greek, Roman), 50 Armenian, 150 Semitic-Iranian-Turkish names.

The material is noteworthy from the viewpoint of studying the history of anthroponyms.

Murman Kutelia

GENERAL CHARACTERISTIC OF WORKS RIFA’ A AT-TAHTAVI

The article states the key moments of the biography of Rifa’a at-Tahtavi, the main reasons of his western orientation, his educational and public work. The subject matter of the article is the approaches of at-Tahtavi towards the notion of “the home country”, brief review of his religious beliefs, the parallel attitudes of the Arabic reformers working in the same field after him as well as the points at-Tahtavi,s main requirementa about the upbringing and education of boys and girls ... and etc.

Analysing at-Tahtavi s works its quite acceptable for us words of Shukri Al-‘Ayad and K. Ohernberg: “A herald of the nev revival” (Al-‘Ayad); “...standard-

bearer and symbol of Arabic renaissance, the most well-known thinker of his epoch” (K. Ohernberg).

Vladimir Lekiasvili

LINGUISTIC INTUITION AND BACKWARD CAUSATION

Semantic analysis of the backtracking counterfactuals and phrases expressing backward causation encounters serious obstacles when carried out via modeling of the extra-linguistic reality. The main problem lies in the fact that the study which should produce intuitively acceptable results actually implies the adaptation of the linguistic intuition to speculative constructions. By the example of the backward causation we make an attempt to show that any metaphysical theory that rejects or ignores the relations legitimated by the linguistic usage, in the end, encounters insurmountable contradictions.

Marina Meparishvili

ON SOME FEATURES OF SEMITIC LANGUAGES

During the last period in Semitic comparative linguistics the increase of interest in the studies concerning the reconstruction of phonological systems of parent-language as well as of its different branches and groups is observed. Attention is also paid to their relationship from the viewpoint of diachronic linguistics. In the article transformations of different Proto-Semitic phonemes, series and subsystems in various languages and branches are considered. Some of phonemes and series are stable and unchanged, while other ones are strongly modified.

While comparing various branches and groups of Semitic languages with the Proto-Semitic it should be noted, that series, subsystems and classes regarded in the article might be united in three groups: 1. first group consists of unchanged, unmarked series of semitic phonemes, which preserve in various languages and branches such as liquids, three-member dental series in plosives and simple alveolar sibilants in fricatives; 2. second group consists of ones, which are modified partly such as approximants, labial and velar plosives, pharyngeal fricatives etc. 3. third group consists of strongly transformed ones; the most modified are series of lateral and interdental sibilants in the subsystem of sibilants as well as semitic vowels could be also regarded in this group.

Different Semitic languages reveal low, medium or high degree of similarity to Proto-Semitic Phonological System. High degree of similarity reveal Ephyraic and Modern South Arabian languages, as well as Arabic and Ugaritic, medium degree of similarity reveal Hebrew and Aramaic. The most modified series, classes and subsystems in Akkadian and also in South - Ethiopian languages has been revealed.

IDWAR AL-KHARRAT AND SURREALISM

Idwar al-Kharrat, the famous Egyptian writer, translator and literary critic, became one of the prominent writers of New Sensibility and Generation of the Sixties. The writer first became interested in surrealism during his imprisonment for involvement in revolutionary activities in 1948; later, he dedicated several interesting works to this movement. Surrealistic elements and the desire to comprehend the surreal world were noticeable from his first works; Al-Kharrat often used the term “meta-real” on the pages of “Gallery 68” and with this word he implied all that existed behind the visible reality. Reality is one of the important problems addressed in al-Kharrat’s works. In his fiction, reality is multifarious and variable, different from the traditional understanding of reality.

His famous novel “Saffron City” (“ترايبا زعفران”) shows all the features characteristic to al-Kharrat’s prose in general. The narration of novel follows the process of remembering, the stream of Mikhail’s memories. The novel is abundant in episodes which bear little resemblance to the incidents that happened in physical reality. They are very close to dreams or hallucinations. Often, the episodes start as a real story and then gradually or suddenly they continue in the world of fantasy, where the boundaries between dream and reality are deleted or missing. These unreal episodes may be termed surrealistic. In the character’s dreams and imaginary visions, true thoughts are revealed, which are coming from his unconscious mind. The author tries to follow the associations emerging during the remembering process and follows intuitive connections rather than logical thinking. In “Saffron City”, we see the themes and forms of expression which are common to surrealism: dream, imagination and reality are merged; a child’s pure thoughts and fantasies play an important role; rational control of the mind is weakened and the thoughts follow the associations without any logical connections. However, Idwar al-Kharrat cannot be considered a true surrealist writer. We can say that the writer – interested in surrealism — created fiction, in which surrealism is presented to a large extent.

Irina Natchkebia

NOTES ABOUT THE TRADE RELATIONS BETWEEN FRANCE AND PERSIA BY LIEUTENANT THÉODORE HETTIER (1822)

In the archives of the Ministry of Foreign Affaires of France is kept a manuscript entitled *Note sur la Perse*. The *Note* is dated by 30 January 1822, and signed by Théodore Hettier, ex-lieutenant of Napoleon’s National Guards. This manuscript has never been published.

The *Note* consists of four parts. In the first part of the work Fath-Ali Shah’s administration is assessed. The second part contains information about Persian provinces and the Shah’s sons who ruled over those lands; special attention is paid to Abbas Mirza’s personality and his circle. Third part deals with the internal and foreign policies of Persia, in particular, activities of Russian and England embassy members in Tabriz and their relations with the officials

of Abbas Mirza's court. The fourth part discusses the issues of trade relations between Persia and France and, in this regard, the role of the Black Sea. Hettier was specifying that this plan could be realized only in case if Persia went under the influence of Russia.

In present paper focus is done on the Hettier's plan on development. For the realization of the plan he advocated for the alliance with Russia and Russia's strong influence on Persia. This project is written in the context of the expected development of the events.

Irina Natchkebia

MICHEL FRANÇOIS PRÉAUX'S SOME DRAWINGS ABOUT PERSIA (1807-1809)

The list of the drawings of Michel François Préaux, - the painter of the mission of General Gardane, the Plenipotentiary Minister of France in Persia in the years 1807-1809, - is given in a work of Auguste Boppe. Till the 40th years of the 20th century 40 creations of the French painter were stored in the archives of the Ministry of the Foreign Affairs of France (Boppe, Paris: 1911). According to Iraj Amini the paintings of M.-F. Préaux were lost from these archive after the Second World War (Amini, 1995: 126).

Today we know lithographies, engravings and illustrations of 14 paintings, made by M.-F. Préaux in Persia. We can find them in the works of Amédée Jaubert (Paris, 1821), Louis Dubeux (Paris, 1841), Henri Dehérain (Paris, 1929/30: II), Germaine Guillaume (Moscow-Leningrad, 1939) and Iradj Amini (Paris, 1995).

In our papers we introduce two different themes of paintings, drawn by the French painter in Persia. First of them concerns the series of paintings about Sultaniye ("Mosquée du chah Khodabendéh à Sultaniéh", "Camp de Sultanieh"). It is worthy to note that Michel François Préaux was the first European painter in the nineteenth century who dedicated to Sultaniye series of drawings. The second theme concerns the reception of the General Gardane by the Crown Prince Abbas Mirza in Tabriz („Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz"). Unlike Henri Dehérain's opinion, we suppose that the illustration of this drawing of M.-F. Préaux shows General Gardane's second (14.11.1807) and not the first (13.11.1807) audience at Abbas-Mirza's court. In spite of this opinion certain questions have to be answered yet: Why in the list M.-F. Préaux's paintings, which was compiled by Au. Boppe, is not mentioned such an important title as "Réception de la mission Gardane par le prince Abbas Mirza à Tavriz", but there is such a title as "Réception du Général Gardane chez le gouverneur de Tauris"?

Irakli Paghava

ON THE SAFAVID-GEORGIAN RELATIONS: CITY OF BAZARI (ZAGEMI)
IN KAKHETI IN THE 17th-18th CC.
(ACCORDING TO NUMISMATIC AND WRITTEN DATA)

We present previously unknown silver coins produced in the Kingdom of Kakheti, at the Zagemi (زگمی) mint: Abbasis in the name of Safi I dated AH 1045, 1052, specimens with missing date, including very peculiar ones (one with mint name spelled as زکام; another being contemporary forgery?); abbasi in the name of 'Abbas II (AH 1056 or 1066). These data indicate that the city of Zagemi (Bazari, as it was designated in contemporary Georgian sources) survived until at least the mid-17th century. It was still controlled by the Kingdom of Kakheti; therefore, these monetary issues pertain to the numismatic history of Georgia. The documentary data as well as *Tadhkirat al-Muluk*, a manual of Safavid administration confirm that the city, albeit already seemingly lost by the Kingdom of Kakheti, still constituted a significant administrative center through the 1st quarter of the 18th c.

Tamta Parulava

FOR SLEEP AND VIGILANCE

The present article deals with two antagonistic notions applied in the Muslim mystical thinking and literature, in particular, interrelation of *sleep* and *vigilance*. The article analyses two stories from *Masnavi* by Jalāl ad-Dīn Rūmī, entitled *A story about a snake slipping down the throat of a sleeping man* and *A story about a lover, who was made an appointment*.

In these stories *vigilance* implies caution, struggle against callousness and light-heartedness, while *sleep* means spiritual somnolence; a sleeping man is an allegory of a man, dormant with a sleep of a transient world. According to the Muslim moral-philosophical conception, and particularly, to the Muslim mystical thinking, *vigilance*, as compared with *sleep*, is considered to be virtuous for the God, since *vigilance* teaches a man how to attain spiritual perfection and leads a man to the spiritual sobriety.

Vigilance is one of the main Christian virtues. One of the stories by Rūmī (*A story about a lover, who was made an appointment*) echoes with the Gospel according to St. Matthew, The Parable of Ten Virgins (St. Matthew, Chapter 25, 1-12). Though, the main idea differs, the thought likeness is obvious.

NEW COMPUND VERBS AND PHRASE VERBS IN OLD PERSIAN

I have done earlier the scheme of Old Persian Compund Verbs-CV (Sakhokia 1972, 1979, 1985). Of course, it was considered here the earlier works too (Z. Telegdi, G. Lazard, N. Sims-Williams, etc.). The main CV-groups are coordinated with Modern Persian CV and Phrase Verb (PhV) schemes, according to J. Rubinchik, by retrospection range. These Old Persian CV-groups are the followings: 1. By the auxiliary verb *cartanaiy/kar* (akunauš, kartam, akunavam, akutā, kunautuv, kunavataiy, akariyā, akariyātā, etc.) „to do“; da (adadā) „to create“; 2. By *bav* (abava, abavam, etc.) „to become“; 3. By *bar* (abaram, abara) „to bring“; 4. *ah/as* (āha, āham, amiy, āhy, biyā) „to be“; 5. *Θad* (Θadaya, Θadayātaiy) „to seem“; 6. *Mar* (amariyāta) „to die“; 7. *Pars* (aparsam) „to ask, to demand, to request“; 8. *Gaub* (agaubata) „to say, to talk, to tell, to call“; 9. *Tav* (tavātaiy) „to can, to be able“. The grammatical and semantical features of these Op CV/PhV include the actives, the passives, the affectives, the paronomasias, etc. Such OP CV/PhV are the prototypes of the New Persian CV/PhV be the following auxiliaries (kardan, šodan, bordan, budan/hastan, forsidan/xāstan, goftan/xāndan, tavānestan, etc.). Just now I'd like to represent the New Old Persian CV/PhVs, being the result of my next researchs. These data are the following (a doubt is marked by the interrogative sigh symbol; the units are represented by its textual linguistic forms): bajim abarata(?) „to paid tax“; arika abava „to get angry“; vasiy abava „to multiply“; uvāipaišyam akutā „to appropriate“; diitam caxriyā „to capture“; gāθavā avāstāyam „to restore [on its own place]“; maškauva avakanam (?) (cp.: ušabarim akunavam „to support on camel, to make camelborn“); asam frānayam(?); basta adāriya „to kept bound“; jiyamnam āha „to conclude“; dastayā akunauš „to help“; dauštā biyā(?) ; utava āhy; nipištiya adārayatā; avastāyā cāxriyatā; viya marda „to destroy“; tacaram akunauš „to buil palace“; stūnā akunavam; dacaram akunavam; akunavam ima hadiš; hadiš akunavam; stūnāyā akunauš; apadana akunauš/akunavam; gāθavā niyašādayam ; kartam akunavam „to make made, to do done“; azdā bavatiy „to recognize“; partaram patiyajatā „to wage war“; paθim ma avarada „to leave the course, the path“; frašam Θadayataiy „to like, to seem good“; naibam akunavam/akunauš „to better, to improve, to make better“; miθa kariyaiš „to do evil, to make evil“; daršam dārayamiy „to control“; xšnuta amiy; yumainiš amiy(?); azdā kušuva „to recognize“; duruxtam kunavataiy „to lie“; aθagam akunavatā; daraniyam akunavaša „to cultivate gold, to make gilt“; dāruv akunavaša; agurum akunavaša; didām apiθa; frašam kunautiy; gaθava nišadayam; daiva ayadiya(?); frataram akunavam „to better, to improve“; yānam jadiyāmiy; nipištam akunauš „to write, to make whritten“; dipim nipištanaiy „to make inscription, to inscribe“; paradayadām akunavam. The new auxiliaries and the new groups are revealed, but it must be discussed more precisely. The CV/PhV with the verb *cartanaiy-kar* are in my opinion definitely codifeid. All these units are not of an equal strength. A degree of grammaticalization and lexicalization, as well as the different CV-groups or PhV must be studied and defined on the lighth of the diachronic range, dealing to the general linguistic (lexical and structural) rules. But, at first, in my opinion, it must be correspond with the CV/PhV schemes, established to Modern Persian data. The J. Rubinchik's system will be used as an initial point (cp. Also: Moqaddam, Vidrin, etc.). On this basis I can reveal the OP prototypes to Modern Persian data. On the other hand, the Modern Persian data are in this case the basis for define the certain word combinations mentioned above. Are some of them the textual taxemes (phrases) only, or all its examples are certainly the

Phrasal Verb/the Compound Verb Units? This question must be showed as clear is possible. The conclusions are connected really with the peculiarities of the Old Persian Inscriptions Texts Pragmatic Semantics too. One conclusion is clear indeed in all the cases: the Dynamics of forming of multiple Compound Verbs and Phrasal Verbs functioning in New (Classical and Modern) Persian is beginning in Old Persian Texts. I am not sure that it would not found some new Old Persian CV/PhV units more.

George Sanikidze

SOME REMARKS ABOUT IRANIAN AND TURKISH CRISIS (END OF THE WWII AND FIRST POSTWAR YEARS)

At the end of WWII and during first postwar years one of the main problems in international relations became the danger of Soviet expansion towards the south which was expressed by the so called Iranian and Turkish crisis. The aim of the article is to show that these two crisis can be studied jointly and it must be shown their interdependence. Till now this approach practically isn't used. The main question is following: the retreat of the Soviet Union was really a failure of the Soviet policy (for example, the retreat of Soviets in Iranian Azerbaijan is frequently considered as a first victory of the US in the Cold War) or the result of these crisis was conditioned by the pragmatic position of the Soviet authority - who finally realized that in a paradoxical way new territorial gains could become serious problem for internal situation in the Soviet empire?

In both cases problems weren't connected only with territories and each crisis was composed by two elements: In the case of Turkey it was territories claimed by Georgian and Armenian Soviet republics and the possibility of dislocation of Soviet troops on the shores of Straits. In the case of Iran it was the idea of the „reunification“ of two „Azerbaijan“ and the exploration of the oilfields in the Northern Iran. It must be stress that Soviet leaders were much more interested in these two strategic and economic issues than of the territorial expansion.

In the case of reunification of Azerbaijan the existed status-quo in the South Caucasus, where the number of Georgians, Armenians and Azeris are approximately equal or there was some balance between these nations will be seriously changed. The Azeris population will outnumber two other nations.

At the same time discussion about territories would begin. Armenia (on the same basis of the historical „reunification“ of the nation) would require Karabagh and Georgia - Western province of Soviet Azerbaijan (Saingilo in Georgian).

At first glance the basis of the satisfaction of these two republics could be Turkish territories. But there was also serious problems: except that there was already begun the quarell between Georgia and Armenia concerning limits of their „historical territories“, these territories were populated by the Turkish majority (there were no Armenians and the ethnic identity of Georgian minority was quit different from Georgians of Georgia - because of the islamisation and centuries passed in the Ottoman Empire). I suppose that in the case of attachment of Turkish territories there could be three different scenario: 1) the creation there of the Turkish autonomy or Soviet republic. 2) Deportation of native Turks and moving to live there Georgians and Armenians. 3) Declaration of the local population as Azeris (by this way in the Soviet census of 1939 most of Muslim ethnic groups of the Soviet Caucasus were considered as

Azeris) and the creation there of the autonomous republic of Azerbaijan (like Nakhchevan autonomous republic). All these possibilities were extremely difficult to realize. So, for my point of view, Soviet authority refused this plan itself and it was not the result of the pressure of the West or the fear of the Nuclear weapon (this fear is stressed oftenly).

Concerning two other components: for the strengthening positions on the straits Soviets needed an extraordinary effort because it would be also necessary to establish control on the Turkish southern shores of the Black sea (in general, soviet hypothetical aim was to transform Black sea on Soviet lake). Soviet authority wasn't ready to oppose radically to the West on this issue. These were years when Soviet Southern and Middle Eastern policy was not yet well defined. Soviet regime finally decided that establishing soviet style regimes in the Eastern Europe was much more easier and profitable than to try expansion towards the South. In the case of Iranian oil, there was yet only the project of the preliminary test drilling and I think that in this case also the decision of Soviets not to be extremely aggressive can be considered as pragmatic.

But in general, of course, it must be stressed that the try of Soviets to expand its influence towards south was ended without any result and it can be considered as the victory of the West, but in this struggle main questions were the control of straits and Iranian oil.

Irakli Topuridze

RULING OF SULAIMAN PASHA AL-QABIR (BUYUK) IN IRAQ (1780-1802)

In the 1770-ies the situation in the one of the part of Ottoman Empire, Pashaliq of Iraq was extremely tensed. Mamluq rulers of Wilayat with great difficulty were suppressing the rebellions of Arab and Kurdish tribes and there was raging epidemic of plague in the country, which reached to the ruler persons. To addition of that, there were excessive activities of neighboring Persia, which constantly interfered in the internal affairs of Iraq.

In 1780 the on the position of Wali of Baghdad was appointed former Governor of Basra, person from the Mamluq environment, a Georgian by origin Sulaiman Pasha al-Kabir (Buyuk), which launched a vigorous measures to establish stability in the Wilayat, whether the suppression of uprisings Arab and Kurdish tribes, resistance to the endless attempts by the central government of the Ottoman Empire to abolish Mamluk power in Iraq and contrariety to interruption of Persia and the Wahhabi movement in the internal affairs of Iraq.

History of the struggle Suleiman Pasha al-Kabir (Buyuk) against the Iraqi tribes indicates that the root of this problem was not in the use of force, but in the recognition of the rights of Arabs and Kurds. That's why solution of this problem was postponed until the XXI century and when Mamluqs by force of arms were suppressing the rebellion of one tribe, as soon others begin larger and more dangerous rebellion. Despite these troubles, Sulayman Pasha al-Kabir successfully ruled Wilayat for almost twenty years. It was a golden age for the Iraqi Mamluqs, since they are wholly owned by the reins in Pashalik. It should be noted that the during the reign of Suleiman Pasha al-Kabir increased the number of the Mamluqs, the majority of which represented the sons of Georgia. Despite the frequent uprisings, Iraq looked more stable than the other regions of the Ottoman Empire, swayed by constant rebellions and turmoil. At the same time, the Ottoman Sultan

perfectly seen that on the outskirts of the Empire there is a large military force, headed by Pasha came out from the Mamluq environment.

Wali of Baghdad has surpassed his predecessors in bringing stability to a greater part of the country. To achieve this, he sometimes sown enmity between Arabs and Kurds, and sometimes within the Arabs and the Kurds than weakened them, and after that controlled situation created by his own and gradually concentrated all power in the hands of the Mamluqs.

The history of the reigning of Suleiman Pasha al-Kabir (Buyuk) in Iraq can be defined as a twenty-two years fighting for stability and unification of the country. Politic of the appointment to administrative positions of the persons from the Mamluq environment founded dynastic system, known as the „Georgian Mamluk dynasty of Iraq“, which ruled by Wilayat till the termination of the Mamluq system in Iraq in 1831.

დარეჯან სვანი

არსენიოს (ფარის) ფახური და მისი ადგილი სირიულ გრამატიკულ ლიტერატურაში

XIX საუკუნის მოღვაწემ, მარონიტმა ფარის ფახურმა განათლება მიიღო აინ ვარკას ცნობილ სემინარიაში, სადაც არაბულ და ძველ სირიულ ენებთან ერთად, დაეუფლა იტალიურ და ლათინურ ენებს. სწავლობდა ფილოსოფიას, ლოგიკასა და თეოლოგიას. სულ მოკლე დროში, ფარისმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც ყველაზე ერუდირებულმა პიროვნებამ. მისმა პოპულარობამ მიაღწია მარონიტთა მაშინდელ პატრიარქ იუსუფ ჰაიშამდე. 1826 წელს მან ფახური ბქერქეს პატრიარქად დანიშნა და უწოდა სახელი არსენიოს.

არსენიოს ფახურის გრამატიკული ტრაქტატი ყველაზე გვიანდელია ჩვენამდე მოღწეულ სირიელ ავტორთა მსგავსი ხასიათის შრომებს შორის და ყურადღებას იქცევს იმიტაც, რომ მასში თავმოყრილი და გათვალისწინებულია ადრინდელ გრამატიკოსთა შეხედულებები.

ტრაქტატი აგებულია არაბული გრამატიკული სისტემის პრინციპებზე. არაბული სისტემის გავლენა შეიგრძნობა მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის, სახელის კატეგორიათა განხილვის და, განსაკუთრებით, ზმნათა ტიპების დახასიათებისას.

გამორჩეულად მნიშვნელოვანია ფახურის ნაშრომში წარმოდგენილი გრამატიკული ტერმინოლოგია. შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არცერთი კატეგორია თუ ენობრივი მოვლენა არ გვხვდება შესატყვისი ტერმინის გარეშე. ტერმინთა უმრავლესობა დასტურდება სირიულ გრამატიკულ ლიტერატურაში და, მეტწილად, დაფიქსირებულია X-XIII საუკუნეების ტრაქტატებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფახურისთან მოცემულ ტერმინთა რიცხვი აღემატება სხვა სირიელ ავტორებთან დამოწმებულს და ყველა სირიულ ტერმინს მოსდევს არაბული ეკვივალენტი.

Luiza Shengelia

NADIR SHAH'S RELIGIOUS POLICY

Nadir Shah was fairly indifferent to religion. His contemporaries said it was hard to define what confession he belonged to.

Nadir attempted at replacing Shiism with Sunnism, a newer religious trend. Namely, along with 4 Sunni trends, the fifth, orthodox one of Jaffarits was to be introduced, which would become similarly mandatory for both Shiah and Sunnis. Nadir wanted to put an end to the strife between the Shiah and Sunnis and, also, facilitate peace with the Turks. By proclaiming the new religious doctrine, Nadir was laying grounds for the prospected invasions.

Nadir Shah's religious reform was also targeted at slackening the power of the Shiah clergy in order to seize their huge wealth and estates.

Eventually, Nadir's religion policy came to nothing. He failed to reconcile the Shiah and Sunni Muslims. The Jaffari trend was rejected in Turkey, Uzbekistan, the other Sunni countries and even in his native Shiah Iran.

Finally, acknowledging the total failure of his religion policy, Nadir Shah had to give up his reforms.

Mikheil Svanidze

CÜRCÜ MEHMET PASHA (1526-1626)

Cürcü Mehmet Pasha was the first person originally from Georgia to become the grand vizier of the Ottoman Empire. He was stolen in childhood and sold to the Ottomans as a slave.

During the reign of Suleiman I (1520-1566), when Semiz Ali Pasha (1561-1565) became a Grand Vizier, he took this white eunich slave, to the sultan's castle, where he served in different capacity: was a Kapi Ağa, Hasodan Bashi etc. Cürcü Mehmet Pasha had different high ranking positions in his long tenure: was a Vali of Egypt, Beglarbeg of Bosnia. In 1621, he accompanied Osman II in the Battle of Khotyn and was the Sultan's treasurer. Three times, he was an acting Grand Vizier (Kaima-Kam), and from September 21 1622 until February 5 1623 was the Grand Vizier. Staring from May 26 1624, he acted as a Grand Vizier until his death on 13 July 1626.

By our observations, Cürcü Mehmet Pasha positively met Georgian representatives visiting Istanbul in 1625. Georgians were pleading support from Cürcü Mehmet Pasha to repel the Iranian violence in Georgia. Mehmet Pasha's warm welcome was due to the fact that Iranian aggression toward Georgia was not in the interest of the Ottoman leaders.

In the Ottoman and European sources Cürcü Mehmet Pasha is described as smart, worthy, and devoted person of a strong will.

THE DEFINITNESS OF NOUNS IN OLD ETHIOPIC LANGUAGE

Having examined the given point, we are able to sum up that:

1. There is no definite or indefinite article in Old Ethiopic, All Proper Names are by their nature determined, sole representatives are invariably determined such as 'amlāk "God", s'ah ḥay "the Sun", ḥəywat "Life" and so on.

Spelling of examples is presented in transliteration.

2. Ethiopic language tries fill in the gap by help of the referring pronoun wə'ətū: e.g. wə'ətū: dabr "the mountain"; watala' 'ala: wə'ətū: bə'əsī "the man was exalted".

3. The same purpose is often served by appending Suffix Pron.: e.g. bə'əsīhū "the man"; qarbū: 'ardā'ihu "the disciples approached" (Matt. 18, 1).

4. The third method of defining nouns is Genitive Relation, particularly, Status constructus - the ordered combination of two words: the word to be determined and the determining one. This syntagmatic relation can be expressed by following formula: n-a+n₁-Ø: n is the determined noun, (-a) is construct ending, which is appended to determined noun, n₁ is determining noun with zero morpheme: e.g. qāla: 'əgzīabher "Voice of God"; qālāta: nabīy "words of prophets".

5. No other word can be inserted between any that stand in the Constr. State relation. An Adjective must come before or after entire group; Possessive Suffix is put at the end of the whole group: e.g. 'abīyə: 'as' ada: wayn; or 'as'ada: wayn: 'abīyə "a large vineyard"; nəwāya: ḥəqləka [Gen., 27, 3] "the field - apparatus (weapons)".

6. All nouns in Ethiopic may take Construct State, with exception of Pronouns and Proper names. If Construct State is used as direct object its termination coincides externally the termination of the Accusative.

7. Some scientists suppose that the ending (-a) of Construct State has possibly arisen from analogical extension of the accusative morpheme. A. Dillmann thinks "that the ending (-a) of Construct State cannot be originally identical with the accusative ending as it expresses something entirely different and is appended not to what is subordinated, but to what subordinates".

It is known that the binding-vowel (-ī) always occurs in plural before Nominal Suffixes: e.g. mawā'əlīhū "his days"; 'arda'ihu "the disciples". This binding-vowel is such of importance that for the sake of it even the (-a) of Acc. is given up. In several cases this ending takes fuller form of (-īa) if it is preceded by Constr. St.: e.g. bə'əsīta: 'əntīaka "the wife of thine"; ba'ata: kā'əbat: 'əntī'ahu "his double cave".

In Dillman's opinion Constr. State ending (-a) and the binding-vowel (-ī) could be different abbreviations of fuller (-īa).

I wonder that this diphthong as it was expected didn't become (ē) as it might have done according to Ethiopic phonetic rules.